2065
2

ᲡᲣᲞᲔᲠᲘ და ᲡᲐᲢᲘᲢᲣᲚᲝ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ
მხატვ. Გ. ᲠᲔᲕᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

Всес[illegible]й Научно-Исследова[illegible]
[illegible]ин[illegible]ут Чайного [illegible]

МАРКИЗ ДЕ-КЮСТИНЕ

НИКОЛАЕВСКАЯ РОССИЯ

ИЗД-ВО=ПОЛИТКАТОРЖАНИН=ТИФЛИС

1 9 3 5 г.

პატრიკ ფ. ტიერნეი

ნიკოლოზ I
ღრმინდელი რუსეთი

ფასი 5 მანეთი

გამომცემლობა „პოლიტიკა“ ტორლენინგრადი „ფეინერი“

1 9 3 5 г.

რედაქტორი ა. ს ტ ე ფ ა ნ ო ვ ი — კორექტ.-გამრმშვები ა. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე

ტირაჟი 4.000 — შეკვეთა № 3222 — მთავლიტი № 7054-ა — ქ. ზ. 62×94

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა . . . . . V—XXXI

თავი I—შეხვედრა რუსეთის ტახტის მემკვიდრესთან ემსში.—მისი კარისკაცების მლიქვნელობა.—ლიუბეკის სასტუმროს პატრონის უკიდურესი შეხედულება რუსეთზე.—ხანძარი ზღვაზე გემ—„ნიკოლოზ I"-ზე.—თავადი კრასლოვსკი. ბაასი მასთან რუსეთზე.—გრაფ უნვერნშტერნბერგის ისტორია.—კუნძულ დაგოს ბნელი წარსული. . . . . 1—9

თავი II—კრონშტადტთან მიახლოვება.—„რუსეთის ფლოტი—მეფის საოცმაშო".—პეტერბურგის ბუნება.—კუნძული კოტლინი და კრონშტადტის ციხე.—თანამედროვე გალერეები.—მეფამოყვნეები და ჯაშუშები თავს აბეზრებენ მგზავრებს. . . . . 10—19

თავი III—პეტერბურგის საერთო სურათი ნევიდან.—უკანასკნელი ჩხრეკა და დაკითხვა.—პოლიციელ მაძებართა დახელოვნება.—ბარგის არეულ-დარევა.—გერმანული სახე.—სპილენძის ნხედარი.—საზამთრო სასახლის აშენება.—უზენაესი დაწყებულების მსხვერპლნი ათასობით.—კონსტანტინ იგორნებს გერბერნშტეინს.—მოსკოვის სამეფო და ნიკოლოზის რუსეთი. . . . . 20—28

თავი IV—პეტერბურგი დილით.—„სუნთქვა შეიძლება მხოლოდ მეფის ნებართვით".—მოხელეთა იერარქია.—„კომფორტაბელური" სასტუმრო.—პავლეს მკვლელობა.—ნევა და მისი სანაპიროები.—რუსული ბასტილია.—მეფის საფლავები კაზემატების გვერდით.—პეტრე დიდის სახლი.—მივიწყებული კოსტელი. . . . . 29—39

თავი V—კუნძულები.—რუსეთის საზოგადოების ნაღები.—ნიკოლოზ 1 პოპულარობის ფასი.—სასახლის ინტრიგები.—აზიური ფუფუნება.—რუსული სილამაზე.—ბატონ-ყმობის საშინელებანი.—მოჩვენებითი ცივილიზაცია.—დედოფლის ბედი.—მაღალ საზოგადოების სიჩუმის შეთქმულება.—შიში უცხოელების წინაშე.—რუსეთი ფასადების ქვეყანაა. . . . . 40—53

თავი VI—რუსეთის იმპერატორი.—იგი შიშსა ჰგვრის და თვითონ მუდამ შიშს განიცდის.—მეფის ვარეგნობა.—ნიკოლოზს ღიმილი არ შეუძლია.—დედოფლის ავადმყოფობა.—ქუსლის კატასტროფა.—სასახლის ეკლესია.—დიდი მთავრის ქორწილი.—თათრის ხანი.—ეტიკეტის სასტიკი დამცველი.—მეფის მკვლელის შვილი შაფერის როლში.—„პოდპორუჩიკი ლეიხტენბერგსკი".—მოღუღუნეს მტრედები.—კაპელლა.—მოხუცი მიტროპოლიტი.—ავდარი. . . . . 54—66

თავი VII—წარდგენა ნიკოლოზის წინაშე.—იმპერატორის ნიღაბი—ალექსანდრე I განხრახ დავიწყება.—„ჩრდილოეთის ცივილიზაცია" კარის კაცების აღსრულებით.—რუსი გერმანელი მეფის ტახტზე.—ბალი სასახლეში.—მნიშვნელოვანი ბაასი დედოფალთან.—უსიხარულო დროს გატარება.—ალექსანდრე I იჭვიანობა.—იმპერატორი თავის ოჯახში.—ქართველი დედოფალი.—ნაციონალური გვარდიის მუნდირში გამოწყობილი ყენეველი.—პეტერბურგი ღამით.—ეკატერინე II მგზავრობა ყირიმში . . . . . 67—79

თავი VIII—თიხის ფეხებიანი კოლოსი.—დედოფალი მეტად თავაზიანია.—ბალი მიხეილის სასახლეში.—ფრანგული ლიტერატურის აკრძალვა.—„ჩვენ განვაგრძობთ პეტრე დიდის საქმეს“.—აზიის შვილი.—უშნო კამერიუნკერი.—მინერალური კაბინეტი.—პროტექციის ტირანია. . 80—87

თავი IX—საზეიმო სპექტაკლი.—მონარქის გამოჩენა და „სახაზინო“ აღფრთოვანება.—ნიკოლოზის თხრობა დეკაბრისტების აჯანყების შესახებ.—„ვაჟკაცობა მკვლელების წინაშე.“—ნიკოლოზის სიძულვილი კონსტიტუციისადმი.—კიუსტინი სასოწარკვეთილებას ეძლევა.—სასახლის პასტორალი.—დედოფლის მეგობარი.—„მონარქებს ნაკლებად აქვთ მადლობის გრძნობა“.—ხოლეროიანი ბუნტი.—კიუსტინის აქციები მაღლა იწევენ.—მლიქვნელობა და გმირობა.—თუ მონა არ არის—ბუნტოეჩიკია.—წესრიგების და სიმშვიდის ილუზია. . 88—102

თავი X—პეტერბუოგის ქუჩები.—ნევის პროსპექტი.—ინგლისური სტილი და აზიური უწესრიგობა.—მეეტლეები.—ფელდიეგერის სიმბოლური ეტლი.—ქალაქის სამხედრო არქიტექტურა.—ეკლესიების სიუხვე.—მონების ბოროტი ენები.—„რუსული სული“.—ქალების კარჩაკეტილობა.—გადაჭარბებული თავაზიანობა. . . . . 103—111

თავი XI—მეფის კავშირი ხალხთან.—რუსეთის „კონსტიტუცია“.—პეტეოჰოფის სასახლე.—კოსტუმის განსაკუთრებული მნიშვნელობა.—ნიკოლოზის პოზა.—ალმოსავლეთის დესპოტიზმი.—ორი ნაცია რუსეთში.—რუსებისთვის უცნობია ნამდვილი ბედნიერება.—უცხოელების ყალბი შეხედულება.—პირმოთნეობა.—მონების ბონები.—კატალოგების იმპერია.—ინტელიგენცია.—სიკვდილით დასჯა.—სამოც მილიონიანი ცხე.—სარდინიელი ელჩის საათი. . . . . 112—122

თავი XII—პეტერჰოფის დღესასწაული.—პეტერჰოფის ადგილ-მდებარეობა.—ადამიანის ნებისყოფის გამარჯვება.—დღესასწაულებრივი ბრბო.—ხლაპრული ფეიერვერკი.—ღამის თევა.—მხიარულება კომანდით.—მეფის წული კონსტანტინ ომის შესახებ.—იმპერატორის გამოსვლა.—კატასტროფა ზღვაზე.—დედოფლის „შრომის დღე“.—ვახშამი.—პარკის ილუმინაცია.—კადეტების პარადი.—ადმოსავლეთური ჯირითი . . . . . 123—133

თავი XIII—ინგლისური კოტეჯი.—კრუსტინი მოხიბლულია.—მემკვიდრე ჩიჩერონეს როლში.—პოლონეთის აჯანყების გამოძახილი.—სასახლის დათვალიერება.—ნიკოლოზის სამუშაო კაბინეტი.—გამგზავრება ორანიენბაუმში.—მენშიკოვის რეზიდენცია.—პეტრე III ბედი.—წარსულის ძეგლები. . . . . 134—139

თავი XIV—პეტერჰოფის კატასტროფის დაწვრილებითი ცნობები.—მეფის ტახტს სიცრუე დარაჯობს.—მუნჯების ნაცია.—ყველიერის ეპიზოდი.—პოლიცია თავის „მოვალეობას“ ასრულებს.—მუშტის უფლება.—მთავრობის ტერორი.—მხეცური საქციელი ნევაზე.—პროტესტების გამოუცხადებლობა.—ცივილიზაცია ბარბაროსობას ჰფარავს.—ალექსანდრეს კოლონა. . . . . 140—149

თავი XV—პეტერბუოგი უხელმწიფოდ.—რანგების ტაბელი.—ბრძოლა „ჩინებისათვის“.—ოცნება მსოფლიო ბატონობაზე.—ჩინური ცერემონიები.—უნდობლობა უცხოელებისადმი.—ფორმალობა საზღვარგარეთ წასვლის დროს.—ანტიკური ევეყნის პაროდია.—ნევის სანაპიროები.

—პეტერბურგის „სობოროები“. —ერმიტაჟი. —პუშკინის დუელი. —ნიკო-ლოზის ფარისეველური მწუხარება.—ლერმონტოვის გადასახლება.—კავკასია რუსი პოეტების სკოლაა. . . . . 150—160

თავი XVI —შლისელბურგში გამგზავრება.—რაზედ არ შეიძლება ლაპარაკი რუსეთში.—კიუსტინს ეშინიან ციმბირის.—კოცებუს თავგადასავალი. —გზა შლისელბურგში.—სანთლის ფიგურა.—იძულებული ხარ დაათვალიერო შლიუზები.—ციხეში შესვლის ცდა.—კიუსტინის მოუთმენლობა.—ძალმომრეობის მსხვერპლთა საფლავები არ აქვთ.—რუსული ციხეების საშინელებანი.—წვეული სადილი ინჟენერთან.—კიუსტინს ქალები ართობენ.—სიტყვიერი შეკამათება. . . . . 162—175

თავი XVII—ვამოთხოვება პეტერბურგთან.—მორჩილების დოგმატი.—გლეხური „ბუნტები“.—უცერვი დაყოვნება.—დეკაბრისტ ტრუბეცკოის ისტორია. —ნიკოლოზის დაუცხრომელი ზიზღი დეკაბრისტებისადმი. —კნეინას წერილი.—შურისძიებითი დევნა.—„ედა-მიწის ერთი მესამედის ციხის დარაჯი“.—კიუსტინი ცენზურას ატყუებს. . . 176—185

თავი XVIII—მოგზაურობა საფოსტო გზებით.—„რუსული მთები“.—კიუსტინის ფელდიეგერი.—მეეტლის ცემა.—სწრაფი სიარული.—გამოცდილი მოგზაურის წინასწარმეტყველება.—სოფლის მოსახლეობა.—საფოსტო სადგურები.—რუსი გლეხი ქალების მიმზიდველობა.—სატახტო ქალაქის ფერიები ქაჯებად იქცევიან.—ბოგანო ხალხი.—უმაღლესი გზა. . . . . 186—191

თავი XIX —იძულებითი გაჩერება გზაში.—რუსის ხალხის ბუნებრივი გრაცია. —სევდიანი სიმღერები.—საქანელა.—გლეხური გამოიახლა.—ღვთის შიში და ცბიერება.—ციხეფერ სისხლიანი ხალხი.—თავისებური წარმოდგენა პატიოსნებაზე.—კიუსტინი ისმენს მონობის ბოლოს.—აჩქარება.—სიდარბაისლის ნიმუში.—უბედური კვიცი.—სიხშირები ცხადლივ.—ტვერის სისხლიანი წარსული.—მუზანათური რასა. . 192—200

თავი XX—მოსკოვის პანორამა.—იმედის გაცრუება ქალაქში შესვლის დროს. —კრემლი.—აჩრდილთა საფანი.—ჯალათების და მათ მსხვერპლთა ქალაქი.—კუზნეცკის ხიდი.—ქუჩის ბობო.—ჭეფეები არ კარგლობენ ყოფილ რეზიდენციას.—რკინის გზების შესახებ.—ინგლისური კლუბი.—რუსი ფილოსოფი სარწმუნოების თავისუფლებაზე.—ნოვოდევიჩის მონასტერთან სეირნობა.—კაზაკები. . . . . 201—210

თავი XXI—სუხარევის კოშკი.—ერთფეროვანება და პედანტობა.—რუსეთი შეპყრობილია მოწყენილობათ.—ვილა ქალაქ-გარეთ.—რუსების მერყეობა. „პირველი მსახიობნი მთელ ქვეყანაზე“.—მოსკოვის „საზოგადოება“. პოლიტიკური პროტესტი ლოთობაში და ქეიფში გამოიხატება. —მოსკოველების „ცელქობა“.—მონასტრის წესდების არაჩვეულებრივი ახსნა-განმარტება.—ზნე-ჩვეულებათა გახრწნილება.—კიდევ ბატონყმობის შესახებ.—მომავალი რევოლუცია. . . . . 211—224

თავი XXII—წამოსვლა მოსკოვიდან.—ტროიცე-სერგიევსკის მონასტერი. ბასი პოლონელების შესახებ.—ფელდიეგერის ცნობისმოყვარეობა.—მეორე ბრძოლა ბალღიანჯრებთან.—ლავრის დათვალიერება.—საეკლესიო მორთულობის სიმდიდრე.—ბერების „მორცხვობა. . . . . 225—230

თავი XXIII—[illegible] . . . . . [illegible]

ლონი იაროსლავლში.—ფერისცვალობის მონასტერი.—ადიუტანტის ბერული კეთილმსაზურება.—კანჩატკისა და ვერსალის მეზობლობა.—სოფლის თვით მპყრობელნი —ბიუროკრატიის ბატონობა.—საიდუმლო საზოგადოებათა შესახებ. . . . . 231—240

თავი XXIV—გზად ნიჟნი-ნოვგოროდში.—რუსი მეეტლეები.—სახიფათოა მოგზაურობა. —ვოლგაზე გადასვლა. —თვითუარყოფა და მორჩილება. —ციმბირი.—რუსეთი კვადრატში.—რუსების საზრისიანობა.—კიდევ ნაციონალურ ჰანგებზე.—საბთვალიანი ეტლი.—ციმბირის გზა.—მოწყენილი პეიზაჟები.—ბორკილიანებთან შეხვედრა. . . . . 241—249

თავი XXV — ნიჟნი-ნოვგოროდი.—ბაზრობა.—ენათა და ტანსაცმელთა აღრევა. —ხალხის შეჯგუფება.—თავშესაფარის ძიება.—გარიგება მოხდა.—მესამე ბრძოლა ბალლინჯოებთან.—შეტაკება ფელდიეგერთან.—საბაზრო შენობები.—ჩაის ქალაქი.—რკინის ქალაქი.—სპარსული სოფელი —ყმა კომერსანტები.—პატიოსნების გაკვეთილები.—სიძვირე. — პროტესტის აფეთქება.—საბაზრო ჯართობანი. . . . . 250—263

თავი XXVI —ფულის რეფორმა.—გუბერნატორი „მშვიდად“ ებაასება ვაჭრებს.—დესპოტური თალლითობა.—იმპერატორი იწყებს ნიჟნინოვგოროდის გადაკეთებას.—ბატონები და ყმები. მართლმსაჯულების უქონლობა.—ჯაშუში—მცველი.—ისტორიის ფალსიფიკაცია.—ნიჟნი-ნოვგოროდის სამხედრო ბანაკები. 264—272

თავი XXVII — იმპერიის გამხრწნელი სენი.—მონობა.—კიუსტინს აგონდება ანეკდოტები.—რეპეტიტორი.—როტმისტრი.—სამწუხარო წასვლა ნიჟნიდან.—„რად არის ავად?“—ქალაქი ვლადიმირი.—კანცელარიის წიაღი.—ისევ მოსკოვში.—ხელმწიფის შეხვედრა.—ბოროდინოს ღღესასწაული. . . . . 273—281

თავი XXVIII—მზადება წასასვლელად.—თანამემამულის თავგადასავალი.—ამაო ცდა პერნეს გასანთავისუფლებლად.—ბარონესას მონაწილეობა.—პერნეს ნაამბობი.—მოსკოვის საპყრობილეები.—ბაასი ბეკენდორფთან.—გამოსამშვიდებელი სიტყვა რუსეთზე. . . . . 282—290

მარკიზ დ'კიუსტინ

და

მისი მემუარები

I

1839 წ. ივნისში ა. ი. ტურგენევი ატყობინებდა კისინგენიდან ვ. ა. ვიაზემსკის, რომ რუსეთში მიემგზავრება მათი საერთო ნაცნობი, მარკიზ-დ'კიუსტინ, ცნობილი ფრანგი მოგზაური და ლიტერატორი. ტურგენევი მიანდობდა სახელგანთქმულ ტურისტს თავის მეგობრის მზრუნველობას და სთხოვდა გაეწიათ კიუსტინისათვის რეკომენდაცია ვ. ფ. ოდოევსკისთან, ჩაადაევთან და მოაზროვნე რუსეთის სხვა გამოჩენილ წარმომადგენლებთან[1]).

კიუსტინი პირველ ხანებში თითქოს არ საჭიროებდა მფარველობას და რეკომენდაციას. მისი სახელი კარგად ცნობილი უნდა ყოფილიყო რუსეთში. რევოლუციის საშინელი აჩრდილი, რომელიც მუდამ ელანდებოდა ნიკოლოზის კარს, აღადგენდა კვლავ კიუსტინის პაპის და მამის სახელებს, რომელთაც თავები მოჰკვეთეს რობესპიერის გილიოტინით. ასტოლფ დ'კიუსტინ დაიბადა ნიდერვილერში 1790 წ. მარტის 18-ს, საფრანგეთის დიდი რევოლუციის ჭექა-ქუხილში. მისი ოჯახი გაიფანტა პირველ დაჭექებაზედვე. კიუსტინის დედამ, დელფინა, დე-საბრანმა, ამ იშვიათი სილამაზის და დიდი ჭკუის ქალმა, შვილთან ერთად თავი შეაფარა ნორმანდიის განმარტოებულ სოფელს, სადაც იგი ეწეოდა ჩუმ და კარჩაკეტილ ცხოვრებას. ხოლო ქ-ნი დე-საბრან, კიუსტინის დიდედა, დასახლდა პრუსიის მეფის კარზე. კიუსტინის პაპა, განთქმული გენერალი, ადამ-ფილიპე დ'კიუსტინ, რომელიც ხელმძღვანელობდა რეინის არმიას, ავიწროებდა პრუსიელებს. და ბოლოს, მისი მამა, ახალგაზდა, ოცდაორიწლის დიპლომატი იმდროსვე დანიშნული იყო ლუი XVI მთავრობის მიერ ელჩად ბრაუნშვეიგის ჰერცოგთან. მას მინდობილი ჰქონდა, რომ ჰერცოგს მონაწილეობა არ მიეღო კოალიციურ არმიის შედგენაში, რომელსაც მიზნად დასახული ჰქონდა რევოლუციის ჩაქრობა. მაშინ როიალისტებს ჯერ კიდევ იმედი ჰქონდათ, რომ უცხოეთის ჩაურევლად რევოლუცია უფრო მალე და ადვილად დაცხრებოდა. ახალგაზრდა კიუსტინი ძალიან გვიან გამოცხადდა; იგი მივიდა იმ დროს,

---

1) ოსტაფიევის არქივი, ტ. IV, გვ. 79.

როცა ჰერცოგს უკვე მიეცა თავისი თანხმობა. იმავე მიზნით კიუსტინი გაგზავნილი იყო პრუსიაში, სადაც თავის სიდედრს შეხვდა. ეს უკანასკნელი ამაოდ ცდილობდა არ გაეშვა თავისი სიძე უკან საფრანგეთში, სადაც მას ანგარიში ჯერ ჩაებარებინა. მასზე დაკისრებულ მოვალეობის შესრულების ირგვლივ. საფრთხე თავის თავად ცხადი იყო. ახლად მოვლენილი ემიგრანტული-ქადაგები უწინასწარმეტყველებდენ კიუსტინს სიკვდილს, თუ იგი რევოლუციონურ საფრანგეთში დაბრუნდებოდა. კიუსტინმა ყური არ დაუგდო მათ, მაგრამ, როდესაც იგი სამშობლოში დაბრუნდა, მალე დარწმუნდა, რომ ატეხილ პოლიტიკურ ქარიშხალში მისთვის ადგილი აღარ იყო, იგი შეუერთდა თავის მამის არმიას, რომელიც იერიშით იღებდა შპეიერს და ვორმსს, მაინცს და ფრანკფურტს.

მაგრამ ბრწყინვალე გამარჯვებას თან სდევდა დამარცხებაც. პრუსიელებმა აიძულეს გერენალი კიუსტინი დაეცალა მაინცის ციხე. მაშინ კონვენტის მიერ გამოწვეული იყო იგი პარიზში და დატუსაღებული ციხეში სახელმწიფო ღალატის გამო. შვილმა არ დასტოვა დევნილი სარდალი და მასთან ერთად დასტოვა არმია. პარიზს მიაშურა აგრეთვე დელფინა კიუსტინმაც, რომელმაც თავის ბავშვი მოხუც გამზრდელ ქალს ჩააბარა. მიუხედავად სიძულვილისა და მტრობისა მამამთილია და მისი ოჯახის შორის, რომელსაც ვერ ეპატიებინა გენერალისათვის მისი რევოლიუციისადმი სამსახური, მარკიზა დ'კიუსტინმა უდიდესი, არა ქალური ენერგია გამოიჩინა, რომ გადაერჩინა სიკვდილისაგან თავისი მამამთილი. მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. 1793 წ. აგვ. 28-ს გილიოტინის დანა დაეშვა გერენალ-კიუსტინის დახრილ ღავზე.

სიკვდილით დასჯის წინ შვილმა შეასრულა მამის უკანასკნელი ანდერძი, შეადგინა და დააბეჭდინა გენერლის გასამართლებელი სიტყვა, რომელიც გააკრა პარიზის კედლებზე. ამით მან გამოიწვია მთავრობის რისხვა, მალე დატუსაღებული იქნა და აყვანილი ეფაფოტზე 1794 წ. იანვარში. დატუსაღებული იყო აგრეთვე მარკიზა დელფინა დ'კიუსტინ. მაგრამ ბედმა გადაარჩინა იგი, და გადასახლდა ლოტარინგიაში, სადაც მან თავი შვილის აღზრდას შეუწირა.

გილიოტინა, რომელმაც კიუსტინის პაპა და მამა იმსხვერპლა, საუკეთესო რეკომენდაცია იყო იმპერატორ ნიკოლოზის სასახლეში თვით კიუსტინისათვის. მაგრამ მას კარგად უნდა შეხვედროდენ მაშინდელ რუსულ ინტელიგენციის წრეებშიაც. მისი პირადი დამსახურების გამო. 1811 წ. კიუსტინმა ოცდაერთი წლისამ დასტოვა სამშობლო და წავიდა საზღვარ-გარედ. იგი მოგზაურობდა 1822 წლა-

მდე და შემოიარა ინგლისი, შოტლანდია, შვეიცარია და კალაბრია. დაკვირვებანი და შთაბეჭდილებანი, რომელიც გამოიტანა კიუსტინმა ამ მოგზაურობიდან, საფუძვლად დაედო მის პირველ ლიტერატურულ შრომას,—„Memoires et Voyages ou lettres écrites a diverses époques pendant des courses en Suisse, en Calabre, en Angleterre et en Ecosse,—რომელიც დაბეჭდილი იყო პარიზში 1830 წ. ხუთი წლის შემდეგ, 1835 წ. მან გამოუშვა ახალი წიგნი „Le monde comme il est".

ამის შემდეგ კიუსტინი გაემგზავრა ესპანეთში და 1838 წ. გამოსცა წიგნი „L'Espagne Sous Ferdinand VII". ამ წიგნმა ყურადღება მიიქცია არა მარტო საფრანგეთში, არამედ რუსეთშიაც. ტ. ნ. გრანოვსკი სწერდა, რომ ეს საუკეთესო წიგნია ესპანეთის შესახებ უკანასკნელ სამოქალაქო ომის ხანამდე[2]). ამ თავისი შრომებით, რომელნიც მოწმობდნენ კიუსტინის გამჭრიახ, დაკვირვებულ და არაჩვეულებრივ ნიჭს, მან უკვე დაიპყრო თანამედროვეთა ყურადღება. მის წიგნებს დიდი გასავალი ჰქონდა. კიუსტინის პოპულიარობას კიდევ ის აორკეცებდა, რომ იგი გამოდიოდა დრამატიულ და ბელეტრისტულ სარბიელზე. იგი თანამშრომლობდა ჟურნალებში, მონაწილეობას იღებდა მთარგმნელის სახით ინგლისელ პოეტების კრებულში, რომელიც გამოცემული იყო „ინგლისურ-ფრანგულ ბიბლიოთეკის" სახელწოდებით. 1833 წ. მან წარადგინა „ფრანგულ კომედიაში" თავის ხუთმოქმედებიანი ტრაგედია „Beatrice Cence", რომელიც გამოცემული იყო მაშინვე. იგი დადგმული იყო პორტოსენ-მარტენში. შემდეგ გამოვიდა მისი თხზულება: „შვეიცარელი მეუდაბნოე", სადაც მან ალ. ტურგენევის მოწმობით, „რამდენადმე ასწერა თავისი სიყვარული ჰერცოგინა დიურას მიმართ, მაშინ, როცა სურდათ მისი დაქორწინება ამ ჰერცოგინას ქალიშვილზე[3]). ბოლოს, რუსეთში წამოსვლის წინ, კიუსტინმა დაბეჭდა „ეთელი" („Ethel" Paris, 1839), ხოლო გაცილებით უფრო გვიან მან დასწერა დიდი თეოლოგიური რომანი „Romualld ou la Vocation", რომელიც დაიბეჭდა 1848 წ. და მიმართული იყო ათეიზმის წინააღმდეგ.

კიუსტინი აღიბეჭდა ისტორიაში თითქმის მხოლოდ, როგორც ავტორი თხზულებისა: „La Russie en 1839" და ეს უდიდესი ისტორიული უსამართლობაა, რადგანაც კიუსტინმა უამწიგნოდაც მთელი თავისი ლიტერატურული მოღვაწეობით უკვე მოიპოვა ადგილი ის-

---

[2]) ტ. ნ. გრანოვსკი და მისი მიწერ-მოწერა მ. 1897 წ. ტ. II, გვ. 195.

[3]) ალ. ტურ. ტ. IV, გვ. 73.

ტორიაში. ტყუილად არ იყო იგი ცნობილი დიდი ხნით ადრე, ვიდრე გამოვიდოდა მისი მოგონებანი რუსეთის შესახებ. შატობრიანი მეგობრობდა კიუსტინთან. სახელგანთქმულ ადელაიდა რეკამიეს სალონში, რომლის სიყვარულს ამაოდ ეძიებდენ რომანტიული ლუციან ბონაპარტი, დაღვრემილი რელიგიური ფანატიკოსი მათიე მონმარანსი, მკაცრი ბერნადოტი და თვით ნაპოლეონი,—სადაც იკრიბებოდნენ ლიტერატურულ საფრანგეთის საუკეთესო წარმომადგენელნი და სადაც ლამარტინმა პირველად წაიკითხა თავისი „Meditation",—კიუსტინი მუდმივი სტუმარი იყო. ამასთანავე იგი მიღებული იყო შინაურულად მეორე სახელგანთქმულ სალონში, რომელსაც მეთაურობდა მისი მეგობრის, ცნობილ გერმანელ მწერლის ვარნჰაგენ ფონ-ენზეს მეუღლე, რახილი,[1]) და რომლის გარშემოც თავს იყრიდნენ ხელოვნების ყველა დარგების საუკეთესო წარმომადგენელნი.

ამ სალონებში კიუსტინი ხვდებოდა აგრეთვე რუსეთიდან მოსულ ალ. ტურგენევს, ვიაზემსკის, გრეჩს და სხვ.. ამ გვარად, მისი სახელი, უკვე ცნობილი ლიტერატურაში, შეიმოსა რუსულ საზოგადოებაში დიდი ჭკუის, გონება მახვილ და უაღრესად თავაზიან ნაცნობი ადამიანის ცოცხალი სხეულით.

თვით კიუსტინის პოლიტიკური ფიზიონომიაც არავითარ საიდუმლოებას არ წარმოადგენდა. მარკიზ ასტოლფ დ'კიუსტინ, ეს ძველი არისტოკრატული საგვარეულოს ნამსხვრევი, უკიდურესი კლერიკალი და რწმენით აღსავსე კონსერვატორი იყო, რაც ძალიან კარგად მოეხსენებოდა რუსეთის სამეფო კარს. შემდეგ, როდესაც მან გამოსცა თავისი წიგნი რუსეთის შესახებ, იგი წინასწარ აუწყებდა მკითხველს, რომ მიემგზავრებოდა რუსეთში, დაიმედებული არგუმენტების პოვნით კონსტიტუციონურ მმართველობის წინააღმდეგ. და ეს მიზანი, რომელიც იზიდავდა ნიჭიერ ტურისტს შორეულ მხარეში, კიდეც რომ არ ყოფილიყო ცნობილი რუსეთის მთავრობისათვის, ყოველ შემთხვევაში ადვილად მისახვედრი იყო მისთვის.

ეფექტი სრულიად საწინააღმდეგო გამოდგა. კიუსტინი მიდიოდა რუსეთში კონსტიტუციონურ მართველობის საწინააღმდეგო

[1]) მისი სიკვდილის შემდეგ 1833 წ. კიუსტინმა დაბეჭდა წერილი მის შესახებ „Revele des deux mondes"-ში, რომელიც გადათარგმნილ იქმნა გერმანულად და გადაბეჭდილია ვარნჰაგენის მიერ. (ოსტ. არქ. ტ. IV, გვ. 79), შემდეგ, 1870 წ., ბრიუსელში დაბეჭდილი იყო კიუსტინის წერილები — „Lettres à Varnhagen d'Ense et Rachel Varnhagen d'Ense".

საბუთების საძიებლად და დაბრუნდა, როგორც დარწმუნებული და მტკიცე ლიბერალი. ამას იგი ამოწმებს თავის წიგნში.

ეს წიგნი მოევლინა რუსეთის თვითმპყრობელობას, როგორც უსასტიკესი და უაპელაციო განაჩენი. იმპერატორის გულახდილობამ და ალერსმა და აგრეთვე რუსეთის სასახლის კარის თავაზიანობამ ძალიან მცირე გავლენა იქონია ავტორის ფხიზელ და დაკვირვებულ გონებაზე—იგი მზად იყო მხოლოდ პირველ ხანებში დამორჩილებულიყო ამ მომჯადოვებელ გავლენას, მაგრამ ფაქტები მეტად აშკარა იყო, და სინამდვილეც მეტად ძალოვანად მოითხოვდა პასუხს. და კიუსტინიც არ შეფერხებულა საბოლოო დასკვნის წინაშე: „უნდა იცხოვრო ამ მოუსვენარ უდაბნოში, ამ დაუსვენებელ ციხეში, რომელსაც რუსეთი ეწოდება, რომ იგრძნო ევროპის ხალხთა თავისუფლება, რანაირიც არ უნდა იყოს იქ მმართველობის წესწყობილება... ეს მოგზაურობა სასარგებლოა ყველა ევროპიელისათვის. ყველა, ვინც ახლო გაეცნობა მეფის რუსეთს, მოხარული იქნება იცხოვროს სხვაგან, რანაირიც არ უნდა იყოს ეს ქვეყანა“[1]).

ასეთი იყო კიუსტინის დასკვნა. გასაკვირველი არ არის, რომ მისი წიგნის წაკითხვის შემდეგ თვით უმაღლესმა ოფიციალურმა სფეროებმა დაჰკარგეს თავიანთი ოლიმპიური სიმშვიდე და გულგრილობა, ხოლო იმპერატორმა ნიკოლოზმა, როდესაც ეს წიგნი წაიკითხა, დაადო იგი იატაკზე და შეჰყვირა: „ჩემი ბრალია, რისთვის ვლაპარაკობდი ამ არამზადასთან!“[2]).

„უსადურ მოგზაურს“ შეეძლო ზეიმის გადახდა სრული გამარჯვების გამო. მისმა წიგნმა მძიმე ზარბაზნის ტყვიის მსგავსად შეანგრია ოფიციალური კმაყოფილების პოლიციური ჯავშანი. იგი გაგებულ იქმნა, როგორც ერთგვარი გამოწვევა, რომელიც პასუხს მოითხოვდა.

პირველად ყოვლისა მიღებულ იქმნა ყოველგვარი აკრძალვითი ზომები. კიუსტინის წიგნის გამოცემასთან ერთად დაუყონებლივ აკრძალული იყო მისი საჯაროდ ხსენება. წიგნების გამყიდველებმა, რომელთაც ეს წიგნი გამოიწერეს რუსეთში, ბრძანება მიიღეს, რომ ყველა ეკზემპლიარი სამზღვარ გარედ დაებრუნებინათ. მაგრამ ამ აკრძალვამ თავის მიზანს ვერ მიაღწია. წიგნი მაინც უხვად შემოდიოდა რუსეთში არალეგალური გზებით.

ნიკოლოზის რეჟიმის დახშული სიტყვის, დაჩლუნგებული აზრის და მონური ობსკურანტიზმის პირობებში ამგვარი წიგნის გა-

[1]) იხ. ქვემოდ.
[2]) „გოლოვინის ნაწერებში. ლეიპციგი, 1859, გვ. 93.

მოჩენა იმდენად არაჩვეულებრივი და დიდი მოვლენა იყო, რომ მისი სიჩუმით შეხვედრა შეუძლებელი იყო. იმათ, ვის წინააღმდეგაც იყო მიშართული კიუსტინის წიგნი, ერთი წუთით თავი იგრძნეს ისე, თითქოს მათ სახლში ბიწის ძვრას გარე-კედელი გაერღვიოს და უეცრივ ჭუჩის საკუთრებად იქცა მათი ინტიმური ცხოვრება, ოჯახური დავა და კინკლაობა, რაც ჩვეულებრივ დაფარულია უცხო ადამიანის თვალისაგან.

დროს მაინც თავისი გაჰყავდა. არავითარ პოლიციურ და შემზღუდავ ზომებს არ შეეძლო რუსეთის თავად-აზნაურობის, განსაკუთრებით, მისი საშუალო და წვრილი ფენების, გადაგვარების შეჩერება, — თავად-აზნაურობის, რომლის საგვარეულო გერბი თანდათან იბინდებოდა და ხავსს იკიდებდა მიყრუებულ პროვინციებში. იგი უკვე ეზიარა ევროპიულ კულტურას. თავად-აზნაურობის ეს ნაწილი უკვე ბუნდოვანად იწყებდა იმის შეგნებას, რომ თავის პრესტიჟის და უპირატესობის დასაცავად საკმარისი არ არის საჯინიბოების და საძაღლეების აშენება, ან და უსიტყვო მონების ბრბოს ყოლა. პროვინციის თავად-აზნაურობა უკვე ცდილობდა თავის ცხოვრების გარდაქმნას ევროპიულ ყაიდაზე. იორქშირის მსუქან ლორებთან და ნაზ ვერძიან ცხვრებთან ერთად იგი იწერდა უცხოეთიდან აგრეთვე ფრანგულ რომანებს, „Journal des De'batts" და „აუგსბერგის გაზეთს". ქალაქში წასვლის დროს სხვა და სხვა საჭიროებისათვის, მეგამულეებს მოჰქონდათ სოფელში ახალი წიგნები. საბილიარდო ოთახებში, კედლების გასწვრივ წიგნების შკაფები იდგმებოდა. მდიდარი ბიბლიოთეკა კვეხნის საგნად გადაიქცა, წიგნის კითხვა — მოდად. და არა მარტო მოდად, არამედ ხშირად — ყოველდღიურ საარსებო მოთხოვნილებად. ეს სრულიად ბუნებრივი იყო იმავე პოლიციურ რეჟიმის პირობების გამო, საშინელი მუხრუჭებით რომ ზღუდავდა ადამიანის აზრს, რომელიც ერთად ერთ გამოსავალს წიგნის კითხვაში პოულობდა. აქედან წარმოიშვა განსაკუთრებული მიზიდულობა აკრძალულ წიგნისადმი და ეს ინტერესი დამყარებული იყო არა მარტო უბრალო ცნობისმოყვარეობაზე, არამედ სურვილზედაც, რომ სხვისი პირით გამოეთქვათ თავის იდუმალი მღელვარე აზრები და ეჭვები.

გასაკვირველი არ არის, რომ კიუსტინის წიგნი ყველამ წაიკითხა, თვით ფამუსოვ ის და მანილოვის შვილებმაც-კი. „მე არ ვიცი არც ერთი კარგად შენახული ოჯახი, სადაც-კი არ მოიპოვებოდეს კიუსტინის თხზულება რუსეთზე", — აღნიშნავდა 1851 წ. იგივე გერცენი[1]).

[1]) რევოლუც. იდეების გავრცელების შესახებ რუსეთში. თხზ. კრებული, ტ. VI, გვ. 36.

უდავოა, რომ კიუსტინმა სრულიად დაიმსახურა ამგვარი პოპულიარობა. მისი წიგნი ძვირფასი წყაროა, რომელიც იძლევა ცნობებს ნიკოლოზის ეპოქის პოლიტიკურ წყობილების შესახებ. ეს წიგნი განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ იგი დაწერილია უცხოელის მიერ, რომელმაც პირველად ნახა რუსეთი. აქედან წარმოსდგება მისი სიმახვილე და სიახლე, რასაც ხშირად მოკლებულნი იყვნენ რუსი მემუარისტები; ეს უკანასკნელნი ასწერდნენ მხოლოდ იმ გარემოებას და პირობებს, სადაც ისინი დაიბადნენ და აღიზარდნენ. მაგრამ კიუსტინის ამ განსაკუთრებულ თვისებას თავისი შებრუნებითი ხასიათი აქვს.

მართალია, თავის მსჯელობაში და მოთხრობაში რუსეთის შესახებ იგი მიუდგომელი იყო და პრაგმატიკული, რამდენადაც-კი ეს შესაძლებელია. მართალია ისიც, რომ ვიდრე იგი რუსეთში მოვიდოდა, რამდენადმე მიმზადებული იყო რუსულ შთაბეჭდილებათა შესათვისებლად; კიუსტინი კარგად იცნობდა სეგიურის „რუსეთის და პეტრე დიდის ისტორიას“ და კარამზინის „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიას“, რომელიც ჯერ კიდევ 1826 წ. გამოვიდა პარიზში ეოფრეს თარგმანით.

მიუხედავად ამისა, თავისი ხანმოკლე ყოფნის გამო რუსეთში, კიუსტინს, როგორც უცხოელს არ შეეძლო ყოველთვის გაეგო იმ რთული კომპლექსების თვითეული მხარე, რომელიც ნიკოლოზის რუსეთს წარმოადგენდა. ამასთანავე, იგი ხანდახან ძალიან ჩქარობდა დასკვნების გამოტანის დროს. ასე, მაგალ., მოვიდა თუ არა პეტერბურგში, კიუსტინი უკვე მსჯელობდა მთელ რუსეთზე, პირველ შთაბეჭდილებების მიხედვით, რომელიც მოახდინა მასზე სატახტო ქალაქმა. მაგრამ ეს კიდევ არ იყო მთელი უბედურება. გაცილებით უფრო სახიფათო იყო ის, რომ კიუსტინის შეგნებაში სასახლის საზოგადოება, რომელიც მან ახლო გაიცნო პეტერბურგში, გათანაბრებული იყო „ხალხის“ მცნებასთან და ამ უნიადაგო და უპაერო სივრცეში მოქცეულ მცირე ჯგუფის მიხედვით კიუსტინი ხშირად მსჯელობდა ნამდვილ რუსეთზე და მის ხალხზე.

სამაგიეროდ, როდესაც კიუსტინი ლაპარაკობს ნიკოლოზის, მისი სასახლის და რუსულ მოხელეების შესახებ, სავსებით შეიძლება ენდო მას. თავისი მრავალი და დაკვირვებული გონებით მან ღრმად და სწორედ ამოიცნო რუსული თვითმპყრობელობის აზრი და მისი „უზენაესი წინამძღოლის“ ფიგურა. კიუსტინის მსჯელობა ნიკოლოზის შესახებ მით უფრო საინტერესოა, რომ მთელი წიგნის მანძილზე გარკვევით მისდევს მისი შთაბეჭდილებების ცვალებადობა. დაწყ-

ბული აღტაცებიდგან, რომელიც უახლოვდებოდა გაღმერთებას, ტანჯვით აღსავსე ანალიზის გზით, ფრანგი როიალისტი მივიდა თავის გმირის სრულ განგვირგვინებამდე და ნიკოლოზის საბედისწერო გამოცნობამდე,— „თიხის ფეხებიანი გიგანტური კოლოსი“ — სიმბოლო იმ დროის რუსეთისა. კიუსტინისათვის ნიკოლოზის მეფობის ტრაგიკული ბოლო არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ყოფილიყო მოულოდნელი.

ხოლო, როდესაც კიუსტინი ნამდვილ ხალხს ხვდებოდა, ძალაუნებურად იგი ერთგვარ სიბეცეს იჩენდა. „ძნელი იყო ნამდვილი ხალხის შესწავლა,—ამბობს მ. ნ. პოკროვსკი,—კომფორტაბელურ ეტლის ფანჯრებიდან, რომლითაც ფრანგმა მარკიზმა რუსეთი შემოიარა; და უფრო ძნელი იყო მასთან დაახლოვება მისი ენის უცოდინარობის გამო“ [1]). ამიტომ, მუდამ დინჯი და დარბაისელი კიუსტინი, ასე აჩქარებული და ზერელეა, როდესაც ნამდვილ რუსეთზე ლაპარაკობს. იგი უფრო მტკიცედ და დარწმუნებულად გრძნობს თავს „ნაღალი საზოგადოების“ სფეროში, და ამიტომ ცდილობს დაგვიმტკიცოს რუსების სიყვარული თავიანთ მონობისადმი, თუმცა მთელი ქვეყანა ჩანჩარებდა გლეხთა ამბოხებით. კიუსტინმა იცოდა ეს, მაგრამ ვერ ერკვეოდა ამ მოვლენებში. რუსის ხალხს მან შეამჩნია უმთავრესად გარეგნული თვისებები: სახის გამომეტყველება, გულუბრყვილო ცბიერება, ბრძოლის უნარი სხვადასხვა დაბრკოლებასთან და სევდიანი ჰანგები, რომლის აზრიც, უნდა სიმართლე ითქვას, კარგად გამოიცნო კიუსტინმა.

მაგრამ ცალ-ცალკე დეტალებშიაც კიუსტინი ხშირად იჩენს მეტად დიდ აჩქარებას და დაუფიქრებლობას. ასე, მაგალ. მან სრულიად ვერ გაიგო ორი დიდი მოვლენის აზრი და მნიშვნელობა: პუშკინის ლიტერატურული მოღვაწეობის და დეკაბრისტების აჯანყებისა. ასევე ზერელედ კიუსტინი იმეორებდა საკმაოდ გავრცელებულ აზრს დასავლეთ-ევროპიელ მწერლობაში იმის შესახებ, რომ რუსული კულტურა ბარბაროსობის ზედაფენია, რომ ნამდვილი ცივილიზაცია უცხოა რუსებისათვის, ვინაიდგან ეს უკანასკნელნი კმაყოფილდებიან ზერელე შეთვისებით იმისა, რაც შემუშავებულია ევროპიელ მეცნიერების მიერ კულტურის დარგში. ძალიან საეჭვოა კიუ-

---

[1]) მ. ნ. პოკროვსკი. რუსეთის ისტორია. ტ. IV, გამოც. 4. სახელგ. მ. 1922, გვ. 4 იგივე აზრი გამოსთქვა თავის დროს გერცენმა ამ სიტყვებით: „რუსეთის შესწავლა უნდა ხდებოდეს უფრო საფუძლიანად ვიდრე ის ქვაფენილი, რომელზედაც მიექანებოდა მარკიზ დე-კიუსტინის ელეგანტური ეტლი (თხზ. კრებული ტ. XX, გვ. 84).

სტინის შენიშვნები რუს მეამბოხეთა ხასიათის შესახებ, რომლის მეთოდიურ სიმკაცრეს იგი უპირდაპირებს თავის თანამემამულეთა გარდამავალ რევოლუციონურ აღტყინებას. მრავალი მისა დასკვნა ფრიად გაბედულია და საინტერესო, მაგრამ არა ნაკლებად სადავო, როგორც მაგალ. შენიშვნა იმის შესახებ, რომ განთქმული რუსული ქეიფი და დროს გატარება მხოლოდ ერთი ფორმათაგანია საზოგადოებრივი პროტესტისა მთავრობის დესპოტიზის წინააღმდეგ.

ამგვარი შემცდარი და სადავო მსჯელობა უხვად გაფანტულია კიუსტინის წიგნში. მაგრამ ყველა ეს შეცდომა დაშვებულია ავტორის მიერ ან უცოდინარობით, ან და პირდაპირ მამხილებელი გრძნობის კარნახით. მის წარმტაც, ნათელ და მხატვრულ სტრიქონებში ჩვენ ვხედავთ ეპოქის სახეს.

ამაშია კიუსტინის წიგნის მთელი აზრი და მნიშვნელობა. ამის გამო „რუსეთი 1839 წ.“ შეიძლება უდიდეს ისტორიულ ძეგლების რიცხვს მივაკუთვნოთ. ასეთივეა ეს წიგნი დღესაც. იგი ფრიად საინტერესო დოკუმენტია იმ ბნელ და პირქუშ ეპოქისა, რომელიც დაკავშირებულია იმპერატორ ნიკოლოზ I სახელთან.

II

კიუსტინის წიგნის გამოცემის რამდენიმე თვის შემდეგ პარიზში გამოვიდა „გამოკვლევა ბ-ნ მარკიზ-დე-კიუსტინის თხზულებისა—„რუსეთი 1839 წ.“ ეს გამოკვლევა ეკუთნოდა ნ. ი. გრეჩის კალამს. თავის შრომის წინასიტყვაობაში გრეჩი ამბობდა, რომ იგი დაჰყვა თავის თანამემამულის კუზნეცოვის სურვილს და დასთანხმდა, რომ მისი წიგნი გადაეთარგმნათ ფრანგულად. ამასთანავე იგი სარგებლობს შემთხვევით და აცხადებს, რომ ფრანგულ და გერმანულ გაზეთების მტკიცებანი, რომ მისი წიგნი რუსეთის მთავრობას შეკვეთით არის დაწერილი, აბსოლუტური სიცრუეა. „მე ეს შრომა დავიწყე მხოლოდ ჩემი ინიციატივით“—სწერს გრეჩი. გრეჩის პირადი ინიციატივა კიუსტინის გაკრიტიკების საქმეში ეჭვს გარეშეა, მაგრამ რუსეთის მთავრობას მის წიგნთან ძალიან ახლო კავშირი ჰქონდა, მონაწილეობას იღებდა მის გამოცემაში. ამ წიგნის მთელი ისტორია დაწვრილებით მოთხრობილია მ. ლემკეს შრომაში „ნიკოლოზის ჟანდარმები და ლიტერატურა“ მის მიერ აღმოჩენილ III განყოფილების საქმის მიხედვით...[1]

1843 წ. ივლისში გრეჩი, რომელიც ამ დროს ჰეიდელბერგში

---

[1]) მ. ლ ე მ კ ე—„ნიკოლოზის ჟანდარმები და ლიტერატურა“ 1826—1855 წ. გამოც. ჯ. ხპ. 1909, გვ. 141—152

ცხოვრობდა, სწერდა ბენკენდორფის თანაშემწეს ლ. ვ. დუბელტს: „ყველა იმ წიგნებში, რომელიც ამ უკანასკნელ დროს გამოვიდა და ეხება რუსეთს ყველაზე, საძაგელი არის არამზადა მარკიზ დე-კიუსტინის ქმნილება... თქვენო აღმატებულებავ, მოისურვეთ, რომ მუდამ ვეფფდრო ღმერთს თქვენთვის! იშუამდგომლეთ ჩემთვის, რომ გავარჩიო ეს წიგნი... ამ წიგნის გარჩევას მე რუსულად დავწერ და გამოგიგზავნით გადასათვალიერებლად, იმავე დროს გადავთარგმნი გერმანულად და მაღლით ნებართვის აღების შემდეგ დავბეჭდავ... და შემდეგ გამოვცემ პარიზში ფრანგულად... ღვთის გულისათვის, ნება დამრთეთ; არ შევარცხვენ რუსეთის მიწა წყალს! თუ რომ ნიჭი და გონება არ მეყოფა, ამ ნაკლს შეავსებს ჩემი მხურვალე სიყვარული მეფისა და სამშობლოსადმი!" რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა გრეჩი ვერ ელირსა პასუხს დუბელტისაგან, სწერდა ამ უკანასკნელს, რომ დაიწყო კიუსტინის წიგნის გარჩევა, გაათავა იგი და გზავნის ხელთნაწერს ამ წერილთან ერთად. „ყველანი მარწმუნებდნენ, რომ დამეწერა. მე-კი ვუპასუხებდი, რომ უფლება არ მაქვს დავბეჭდო რაიმე ამის მსგავსი, თუ მთავრობის ფორმალური ნებართვა არ იქნება. შეიძლება ჩემდაუნებურად და სრულიად გულწრფელად ვერ მივხვდე აქ, უცხოეთში მთავრობის ნამდვილ სურვილებს და ზრახვებს და დავწერო ის, რაც არ არის საჭირო, ან და ისე არ დავწერო, როგორც საჭიროა". პასუხი ფრიად სანუგეშო იყო. დუბელტი სწერდა, რომ მან წარუდგინა გრეჩის ხელთნაწერი III განყოფილების გამგეს ა. ხ. ბენკენდორფს განსახილველად და ეს ხელნაწერი მცირეოდენი შესწორების შემდეგ მოწონებული იქმნა. ბენკენდორფი ურჩევდა გრეჩს დავბეჭდა ეს გარჩევა საგანგებო ბროშურებად გერმანულ და ფრანგულ ენებზე საზღვარგარეთ გასავრცელებლად და გამოეცა რაც შეიძლება ბევრი ეკზემპლიარი.

გრეჩი აღფოთოვანებული იყო ამ წერილის მიღებით. „თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამამხნევა და გამახარა ამ წერილმა... ამგვარად, შეიძლება ჩემი გულმოდგინეობა სასიამოვნო იყოს ჩვენი მამის და კეთილისმყოფელ მეფისთვის. მე სავსებით მივაღწიე მიზანს." გრეჩი იტყობინებოდა, რომ ხელთნაწერი უკვე გადაეგზავნა რუსეთის საელჩოს უფროს მდივანს კოცებუს ბადენის სასახლეში გერმანულ ენაზე გადასათარგმნელად. „გერმანიაში მე მსურდა დამებეჭდა იგი აუგსბურგის „Allgemeine Zeitung"-ში, რომელიც 12 ათას ეკზემპლიარამდე საღდება, მმგრამ არამზადა გამომომცემლები მტრულად არიან განწყობილნი რუსეთისადმი და მოითხოვენ ფულს დაბეჭდვისათვის. ნებას დამრთავთ თუ არა, გავწირო ეს ხარჯი ხაზი-

ნის ანგარიშზე?... ამ წერილის დაბეჭდვა ცალკე ბროშურებად გერმანულ და ფრანგულ ენებზე კაპეიკები დაჯდება. მე სიამოვნებით გამოვცემდი ამას ჩემ ხარჯზე, რომ შემეძლოს, მაგრამ მგონი მოგეხსენებათ, თუ რა ზარალი განვიცადე მე ამ წლის დასაწყისს. გარდა ამისა, მიუხედავად იმის, რომ მე აქ მთავრობისთვის ვმუშაობ ყოველ მხრივ, უნდა გადავიხადო პასპორტებში ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის 1.400 მან. ასიგნაციებით წელიწადში... ყველა ამ მიზეზების გამო მე იძულებული ვარ გთხოვოთ ნებართვა, რომ გაიღოთ ზემოდაღნიშნული თანხები მთავრობის ხარჯზე. მე ვეცდები დავხარჯო რაც შეიძლება ნაკლები და ყველაფერში ანგარიშს ჩაგაბარებთ''... გრეჩის იმედები, რომ მთავრობა მას ფულით დახმარებას აღმოუჩენდა, არ გამართლდა. დუბელტმა მისწერა მას, რომ ბენკენდორფი თანახმა არ არის გაიღოს რაიმე ხარჯები გრეჩის წიგნის გამოსაცემად. არ თანხმდება იმიტომ, რომ, პირველი, უცხოეთის მწერლები არასოდეს არ მოითხოვენ ფულად დახმარებას თავიანთ მთავრობისაგან, და მეორე, ჟურნალ-გაზეთების მოსყიდვა იმ მიზნით, რომ იქ მოთავსებული იყოს ჩვენთვის ხელსაყრელი წერილები, არ თანხმება ჩვენი მთავრობის ღირსებას და მის მუდმივ კეთილშობილებას. რამდენიმე ხნის შემდეგ დაიბეჭდა კიუსტინის წიგნის ფრანგული და გერმანული თარგმანები და გადმოიგზავნა III განყოფილებაში. დუბელტი სწერდა გრეჩს, რომ ბენკენდორფმა და თვით ხელმწიფემაც წაიკითხეს გრეჩის წიგნი და კმაყოფილნი დარჩნენ. გრეჩს შეეძლო იმედი ჰქონოდა, რომ ასეთ ყურადღების შემდეგ მისი შრომა არ დაიკარგებოდა და მიიღებდა სასურველ ჯილდოს. ეს იმედები, როგორც ეხლა დავინახავთ, ძალიან უახლოვდებოდა თავის განხორციელებას, მაგრამ მოულოდნელად გრეჩს თავს დაატყდა უბედურება.

1843 წ. დამლევს დუბელტმა გრეჩს წერილი მისწერა, სადაც იტყობინებოდა, რომ „ფრანკფურტის ჟურნალის" ერთ ერთ ნომერში ბენკენდორფმა გაკვირვებით წაიკითხა, წერილი იმის შესახებ, რომ გრეჩს რუსეთის მთავრობის მიერ მინდობილი აქვს შეადგინოს კიუსტინის კრიტიკა ოფიციალური მასალების მიხედვით, რომ ეს კრიტიკა უკვე შედგენილია და ითარგმნება ფრანგულ და გერმანულ ენებზე. ამ გვარ ცნობების გამოქვეყნებას ბენკენდორფი ხსნის მხოლოდ გრეჩის მოურიდებლობით და ამიტომ მიანდობს თვითონ მას იმსჯელოს იმის შესახებ, თუ რაოდენ მცირე ნდობის ღირსია ის. მეორე წერილში დუბელტი სწერდა, რომ ბენკენდორფი თანხმ[illegible] [illegible]ენაზ[illegible]ებინა გრეჩისთვის ყველა ხარჯები, რომ არ

წაეკითხა ყველა გაზეთებში „დაწვრილებით ცნობები არა მთავრობის წინადადებისა მისდამი, არამედ მისი წინადადებისა მთავრობისადმი". ძას შემდეგ, რაც გრეჩმა მისცა საბაბი ჟურნალისტებს გამოექვეყნებინათ, რომ მთავრობამ მიანდო მას წიგნის დაბეჭდვა, მაშინ როდესაც მან თვითონ მიმართა წინადადებით მთავრობას ამის შესახებ და დაბეჭდა იგი, ბენკენდორფს აღარ სურს იქონიოს გრეჩთან საქმე და სთხოვს მას შესწყვიტოს ყოველგვარი მიწერ-მოწერა ამ თემაზე. გრეჩი უპასუხებდა დამამცირებელი თავის მართლებით, მაგრამ მთავრობის მოწყალების დაბრუნების იმედს მაინც არ ჰკარგავდა. როდესაც მან გაიგო, რომ მისი წიგნის გერმანულად მთარგმნელს ერთი წლის ჯამაგირი მისცეს, იგი სწერდა დუბელტს: „იმისდამიხედვით, თუ რა ყურადღებით მოეპყრნენ ჩემი წიგნის მთარგმნელს, მე დასკვნა გამომყავს, რომ მისი ავტორიც ოდესმე მიიპყრობს ყურადღებას თავისი ერთგულობით და ძალოვანი შრომით"... III განყოფილების არქივის საქმიდან, რომელიც გამოქვეყნებული იყო ლემკეს მიერ, არ სჩანს, თუ რამდენად გამართლდა გრეჩის მოლოდინი, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ მის შემდგომ მოღვაწეობას, ჩვენ დავინახავთ, რომ მან მოახერხა III განყოფილებასთან შერიგება და ჯილდოს მიღება „ბეჯით შრომასათვის".

ასეთია იმ წიგნის გამოცემის ისტორია, რომლის შესახებაც გრეჩი წინასიტყვაობაში ამბობდა, რომ მან დასწერა იგი „მხოლოდ თავის სინიდისის მოვალეობის აღსასრულებლად და პატიოსნების და ჭეშმარიტების დასაცავად".

თავისი მცირე წინასიტყვაობის შემდეგ გრეჩი უეცრივ იწყებს საქმეს. იგი პირველ გვერდზევე აცხადებს, რომ კიუსტინის წიგნი შეცდომების, წინააღმდეგობათა, სიცრუის და ცილისწამების კრებულია, რომ კიუსტინი მსჯელობს რუსეთზე იმავე უფლებით, როგორც ყრუ-მუნჯი საოპერო წარმოდგენის შესახებ. გრეჩს არ შეუძლიან გააბათილოს კიუსტინის ყველა შეთხზული ამბები, რადგანაც ამისთვის მას უნდა დაეწერა იმდენივე, რამდენიც დასწერა თვით კიუსტინმა. ამიტომ იგი შეჩერდა მხოლოდ უაღრესად მნიშვნელოვანზე. მან შეჰკრიბა პარიზში კიუსტინის გამაწბილებელი ცნობები, მაგრამ არ სურს მათი მოყვანა: მას არავითარი სურვილი არა აქვს მიმართოს ასეთ არა ეთიკურ პოლემიკურ ხრიკებს, იგი მხოლოდ კიუსტინის წიგნზე ილაპარაკებს, და ნათქვამიც სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ნათელი იყოს ყველასთვის მისი ავტორის ფიზიონომია.

თავის პოლემიკას კიუსტინთან გრეჩი იწყებს ბაასით „რუსეთი 1839 წ." ავტორსა და ლუბეკის სასტუმროს პატრონს შორის. გრე-

ჩის აზრით, სულიერი განწყობილების სხვადასხვაობა, რომელიც ემჩნევა სამშობლოდან მომავალ და იქ მიმავალ რუსებს, აიხსნება იმით, რომ საზღვარგარეულ მიმავალნი ჩვეულებრივ გაზაფხულობით მოდიან ლუბეკში და ამიტომ თავს ფხიზლად და მხიარულად გრძნობენ. სამშობლოში-კი შემოდგომით ბრუნდებიან. სიცივე, წვიმა ცარიელი ჯიბეები, მომავალი უსიამოვნობა სამსახურში და სხვ...,—ყველაფერი ეს მოქმედებს მოგზაურების სულიერ განწყობილებაზე, და ამიტომ მათ ასეთი დაღონებული და ჩაფიქრებული სახე აქვთ. თუმცა,—დასძენს გრეჩი,—შემიძლიან დაგარწმუნოთ, ბ. კიუსტინ, რომ კრონშტადტთან მოახლოვების დროს ჰქრება ეს მძიმე სულიერი განწყობილება და მოგზაურები, გამხიარულებულნი სამშობლოში დაბრუნების მოლოდინით, ივიწყებენ ყველაფერს, და მათ შორის თქვენც, ბ-ნო კიუსტინ". კოზლოვსკისთან ბაასი გრეჩს მიაჩნია გამოგონილად. კოზლოვსკის არ შეეძლო გადაეცა კიუსტინისთვის ის ჭორები და ანეკდოტები, რომელიც მას მოჰყავს თავის წიგნში. გარდა ამისა, კოზლოვსკი, როგორც სჩანს, ბევრს ხუმრობდა და კიუსტინმა კი თავის გულუბრყვილობის გამო ყველა ეს ხუმრობა სინამდვილედ მიიღო.

К 2065

კიუსტინის გადაჭარბებული უკმაყოფილება რუსეთის სადამოჟნოს წესებით მოწმობს მისი ზრახვების უწმინდურობას, რადგანაც კიუსტინისადმი მოპყრობაში არაფერია არაჩვეულებრივი. ვენაში მისვლისას თვით გრეჩმა განიცადა იგივე ფორმალობა, რომელიც წილად ხვდა კიუსტინს, და ამაში მას არაფერი განსაკუთრებული-რამ არ დაუნახავს. გრეჩის სიტყვით მთელი ისტორია ზამთრის სასახლის აშენების შესახებ, ნაამბობი კიუსტინის მიერ, სრული სიცრუეა. არც ერთი ადამიანი არ მომკვდარა. რუს ადამიანისთვის საერთოდ საშიში არ არის ტემპერატურის უეცრივი ცვალებადობა: იგი შეჩვეულია ამას. ცნობილია, რომ რუსები ცხელი აბანოდან პირდაპირ თოვლში ცვივიან. ამით ისინი თავის ჯანმრთელობას აძლიერებენ და არავითარი ცვალებადობა სითბოსა და სიცივეს შორის მათთვის სახიფათო აღარ არის. რასაკვირველია, უცხოელი ამას ვერ აიტანდა, მაგრამ რუსები საკმაოდ ამტანნი არიან.

გრეჩი ჩერდება კიუსტინის მტკიცებაზე, რომ სამხატვრო აკადემიის სფინქსები პეტერბურგში ასლები არის და არა დედნები. გრეჩი დასცინის კიუსტინს ასეთი „ზუსტი" ცნობებისთვის და აღნიშნავს: „და ის, ვინც ასე აშკარად ამახინჯებს სიმართლეს, მსჯელობს იმპერიის შესახებ, რომელსაც თითქმის მთელი დედამიწის ნახევარი უჭირავს!" გრეჩის პოლემიკის ასეთი ნიშ-

ში ფრიად დამახასიათებელია. იგი ჰკრებს კიუსტინის წიგნიდან აშკარა შეცდომებს და ამის მიხედვით წინადადებას გვაძლევს ვიმსჯელოთ მთელი წიგნის ღირსებაზე. ასეთი თვალსაჩინო მაგალითის შემდეგ მკითხველს რასაკვირველია შეეძლო ეჭვი შეეტანა კიუსტინის ყველა დებულებათა სიმართლეში. მაგრამ საქმეც ის არის, რომ გრეჩი მხოლოდ წვრილმანებზე ჩერდება, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არ აქვს კიუსტინის მიერ მოთხრობილ ამბებში. ამგვარ გამაბათილებელ მაგალითს გრეჩი რასაკვირველია ვერ იპოვნიდა იქ, სადაც კიუსტინი ეხება იმპერატორს, მმართველობის სისტემას რუსეთში, და თვით მთავრობას; ამიტომ გრეჩი იძულებული იყო ავტორის ვასაბათილებლად წიგნის ამ ნაწილში მოეხმარა მთელი თავისი ნაკლებად გამჭრიახი გონება და სუსტი პოლემიკური ნიჭი.

კიუსტინი თავის წიგნში ხშირად დასცინის იმპერატორის „გალმერთებას“ მისი ქვეშევრდომების მიერ. გრეჩი ამტკიცებს, რომ ყველა რუსები განიცდიან მამაშვილურ გრძნობებს ნიკოლოზ I-დმი და უყვართ იგი სრულიად გულწრფელად. ეს გულწრფელობა შეუძლიან დაამოწმოს თვით იმპერატორმაც: ხშირად იგი გადაცმული გამოდის ქუჩაში და ყოველმხრივ ესმის ხალხის ლოცვა-კურთხევა თავის სახელისადმი. ამასთანავე გრეჩი არ უშვებს შემთხვევას, რომ მიუძღვნას ფრიად გრძელი და ტკბილი პანეგირიკი ნიკოლოზ I ს. იმპერატორი მთელ ხალხს უყვარს, ის ალმერთებს მას. და როგორ არ უნდა გიყვარდეს ის, ვინც ასე გულწრფელად ზრუნავს თავის უკანასკნელ ქვეშევრდომის კეთილდღეობაზე და სწირავს ამ ზრუნველობას მთელ თავის ძალას და ჯანმრთელობას? ხალხი რომ კიდეც გაანთავისუფლო ფიცისაგან, სულერთია მთელი ოცი მილიონი მოსახლეობა მაინც ნიკოლოზს აირჩევს იმპერატორად. ხელმწიფის დახასიათებაში კიუსტინი ვარდება უცნაურ წინააღმდეგობაში: იგი ჯერ აღნიშნავს ნიკოლოზის გულწრფელობას, კეთილშობილებას, თავმდაბლობას და სიდიადეს, მაგრამ შემდეგ ახასიათებს მას, როგორც დესპოტს, გულცივ და სასტიკ ტირანს. როგორ უნდა ავხსნათ ეს წინააღმდეგობა? გრეჩი აღნიშნავს, რომ ამის ამოცნობით შეიძლება გაგებულ იქნეს ის მრავალი წინააღმდეგობანი, რომლითაც სავსეა კიუსტინის წიგნი, სადაც ერთი და იგივე პიროვნების და მოვლენის ირგვლივ მჭიდროდ გადახლართულია სიყვარული და ზიზღი, სიმართლე და სიცრუე, გულკეთილობა და სიძულვილი. გრეჩი არც ერთი სიტყვით არ იხსენიებს იმას, თუ როგორ ხსნიდა თვით კიუსტინი თავის წიგნში ყველა ამ წინააღმდეგობას (იხ. თავი XXIII, გვ. 234) არამედ გამოსთქვამს ამის შესახებ შემდეგ

დებულებას: მიუდგომელი მსჯელობის სახით იმპერატორის პიროვნებაზე კიუსტინი ცდილობს თავის წიგნის დასაწყისში დაიმსახუროს ნდობა თავის შემდეგი ცილისწამებისათვის. იმავე ხერხს ხმარობს იგი მთელ წიგნში. იგი გაკვრით ქებით იხსენიებს რუსეთს და ამით სურს სიმართლის ხასიათი მისცეს თავის ცილიწამებით სავსე გამოგონილ ამბებს.

გრეჩის სიტყვით რუსეთის მთავრობაზე და რუსულ სისტემაზე მაღლა არაფერი დგას. რუსეთის ყველა მცხოვრების პიროვნება სრულიად უზრუნველყოფილია. პოლიციის უმაღლესი მმართველობა მინდობილი აქვს ადამიანებს, რომელნიც სარგებლობენ იმპერატორის ნდობით და მთელი ქვეყნის პატივისცემით. დაბალი პოლიციის წარმომადგენელნიც გარეგმოცულნი არიან საერთო პატივისცემით და სიყვარულით. აზრის გამოთქმის თავისუფლება რუსეთში მინიჭებული აქვს ყველას და თუ ცენზურა არსებობს, იგი დაწესებულია მხოლოდ იმპერატორის ქვეშევრდომების საკეთილდღეოდ. შემდეგ, გრეჩი დასძენს გესლიანად: უცხოელები იმდენ სისულელეს სწერენ რუსეთზე, რომ ცენზურა სრულიად აუცილებელი ხდება. საერთოდ კი რუსეთში არა ნაკლებ თავისუფლად ფიქრობენ და ლაპარაკობენ, ვიდრე პარიზში, ბერლინში და ლონდონში. რუსეთის მთავრობა ყოველთვის უმწიკვლოდ მოქმედებს. კიუსტინი ბრალსა სდებს მას სიმკაცრეში ლერმონტოვის მიმართ, რომელიც კავკასიაში იყო გადასახლებული პუშკინის სიკვდილზე დაწერილ ლექსის გამო. გრეჩი ამტკიცებს, რომ ამ გადასახლებას მოჰყვა მხოლოდ პოეტის სასარგებლო შედეგები, რადგანაც კავკასიაში სავსებით გაიფურჩქნა ლერმონტოვის ნიჭი.

ასეთია გრეჩის უხეში პოლემიკის და მის მიერ ნიკოლოზ I-ის მონური დაცვის ნიმუშები. ბოლოს, იგი სთხოვს კიუსტინს და მის თანამოაზრეებს გააბათილონ მისი დებულებანი და ამთავრებს თავის წიგნს იმ იმედით, რომ კეთილმოაზროვნე ხალხისთვის ისიც საკმარისი იქნება, რაც ითქვა მის შიერ. „რაც შეეხება სხვებს, მე მათთვის არ მოვიდე კალამს ხელი"—ღრმად დასძენს გრეჩი. ეს „სხვები", როგორც სჩანს, არც ისე ცოტა იყო: ა. ი. ტურგენევი 1844 წ. იანვარს პარიზიდან სწერდა, რომ გრეჩის წიგნს არავინ არ ყიდულობს. მეორე წერილში, 1843 წ. დეკემბრის თარიღით, იგი ატყობინებდა ვიაზემსკის, რომ „რუსებმა და ნახევრად რუს ქალბატონებმა მიიღეს დაბეჭდილი ბარათები: „M-r Gretch premier espion de sa majestè empereur de la Russie" [1]).

[1]) „ბ-ნი გრეჩი მისი უდიდებულესობის რუსეთის იმპერატორის ჯაშუშია". [illegible]ოსტალგიის არქივი, ტ. IV. გვ. 274.

გრეჩის წიგნის შემდეგ გამოვიდა პარიზში ახალი თხზულება, რომელსაც მიზნად დასახული ჰქონდა კიუსტინის განადგურება და ნიკოლოზ I-ის კეთილი სახელის აღდგენა. იგი დაწერილი იყო დიუეს მიერ [1]), ფრანგმა ვექილმა, რომელმაც დასწერა „ფრანგული და ლათინური რეტორიკა პანსიონებში სახმარებლად“ და „სამხედრო სასჯელთა დებულება“, გადას ყვიტა დაემთავრებია თავისი მრავალ-მხრივი ლიტერატურული მოღვაწეობა კიუსტინის გაბათილებით. რა მიზნით დაიწყო დიუე-მ თავისი შრომა, ან რა იყო მისი დაწერის საბაბი, ამის გაგება ისევე ძნელია, როგორც ზემოდაღნიშნულ ორი „ნაწარმოების“ შექმნის მოტივების ამოცნობა. მის წიგნში არც წინასიტყვაობაა და არც არავითარი ახსნაგანმარტება. მაგრამ თუ მისი კრიტიკის „კილოს“ მივიღებთ მხედველობაში (ეს კილო ისეთივე უქვეშევრდომილესია, როგორც გრეჩის), შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ დიუე რამდენადმე დაახლოვებული იყო რუსეთის მთავრობასთან; თუმცა ეს დაახლოვება შეიძლება III განყოფილების საიდუმლო ფულადი ფონდის გარეშეც ხდებოდა და ნაკარნახევი იყო სრულიად უანგარო მოსაზრებით.

დიუე-ს წიგნი არაფრით არ გაირჩევა თავისი ხასიათით გრეჩის „გამოკვლევისაგან“, და ამასთანავე მოკლებულია მის ზოგიერთ ლიტერატურულ ღირსებებს. თავის წიგნის მთელ 63 გვერდს დიუე უძღვნის რუსეთის ისტორიის გადმოცემას, დაწყებული 859 წლიდან, რომელიც მას რაღაც მიზეზით რუსეთის ისტორიის დასაწყისად მიაჩნია, და ათავებს მას თანამედროვე ამბებით. ამას მოსდევს სრულიად მოულოდნელი განცხადება. რამდენიმე ზოგადი შენიშვნა კიუსტინის ცალმხრივობის და სიცრუის შესახებ და იმის აღნიშვნა, რომ თანამედროვე საფრანგეთში უფრო მეტ მძიმე და სამწუხარო მოვლენებს აქვს ადგილი, ვიდრე ის, რაც კიუსტინმა ნახა რუსეთში, — ასეთია დიუე-ს ფუქსავატ და მსუბუქ წიგნის შინაარსი. დიუე ს „კრიტიკა“ თავდება ღრმა ფილოსოფიურ მოსაზრებით იმის შესახებ, რომ ყველა ერებს აქვთ თავიანთი ნათელი დღეები და ბნელი ღამეები და რომ თვითეული უარყოფითი მოვლენებით არ შეიძლება აიხსნას საქმის საერთო ვითარება.

კიუსტინის წიგნის ირგვლივ ატეხილი ხმაურობა თანდათან ძლიერდებოდა. ევროპა გატაცებით კითხულობდა მას და ანიტომ

[1]) „Critique des mystères de la Russie et de l'ouvrage de M. de Custine „La Rnssie en 1839“, Suivie de b,extrait du voyage de l'empereur. Par Duez avocat â la cour royale de Paris“.

გრეჩის და დიუე-ს კრიტიკა მეტად სუსტი გამოდგა. მთავრობა იძულებული იყო გამოენახა ახალი ძალები ამ საქმისათვის, რათა საბოლოოდ გაენადგურებინა ფრანგი მოგზაური, რომელმაც თავის მასპინძლებს სტუმართმოყვარეობა შავბნელი უმადურობით გადაუხადა. პარიზში ცხოვრობდა ი. ნ. ტოლსტოი, რომელიც ირიცხებოდა „საგალხო განათლების სამინისტროს კორესპონდენტად", მაგრამ ფაქტიურად-კი III განყოფილების აგენტი იყო. მის მოვალეობას შეადგენდა „რუსეთის დაცვა ჟურნალ-გაზეთებში" ყოველგვარ თავდასხმისაგან ლიტერატურაში, რადგანაც მან უკვე დაიმსახურა სახელი ამ მხრივ რამდენიმე პატრიოტულად დაწერილ თხზულებით, ამიტომ მას დაავალეს დაეწერა გრეჩის დასამატებლად კიუსტინის გასაბათილებელი წიგნი. 1844 წ. პარიზში გამოვიდა მისი ორი წიგნაკი. ერთი მათგანი გამოვიდა იაკოვლევის ფსევდონიმით, ხოლო მეორე—მისი საკუთარი სახელით [1]). ამ წიგნაკების სახაზინო კილო და ხოტბის შესხმა არაფრით არ განსხვავდება გრეჩის პატრიოტულ ვარჯიშობისაგან. იგივე მოსაწყენი და უსიცოცხლო მსჯელობა კიუსტინის სიცრუის და ნიკოლოზ I-ის რაინდობის შესახებ, რომელსაც, რასაკვირველია, ვერ მიხვდა ფრანგი მოგზაური.

მაგრამ ი. ტოლსტოის წიგნში, რომელიც გამოქვეყნებული იყო იაკოვლევის ფსევდონიმით, მაინც რამდენიმე საკმაოდ საინტერესო ცნობა მოიპოვება. ტოლსტოი თავიდანვე აცხადებს, რომ მან იცის კიუსტინის სიცრუის ნამდვილი მიზეზი; ზოგიერთი სწორე შენიშვნების გარდა ამ სიცრუით გამსჭვალულია მთელი წიგნი. ტოლსტოი არ ასახელებს ამ მიზეზს, მაგრამ გაკვრით აღნიშნავს, რომ კიუსტინს უნდა მიეჩქმალა რაღაც სკანდალური ისტორია, დაკავშირებული თავის პიროვნებასთან, ამ წიგნის ირგვლივ ატეხილ აურზაურით. საინტერესოა ტოლსტოის აღიარება, რომ კიუსტინის წიგნის პირველ გაცნობასთანვე იგი შეიპყრო აღშფოთებამ. მაგრამ, როდესაც დაინახა, რომ გიჟთან აქვს საქმე, ეს აღშფოთება გაჰქრა და შეიცვალა ცნობისმოყვარეობით, რადგანაც კიუსტინის სიგიჟე არ არის მოკლებული ერთგვარ ინტერესს. ტოლსტოი, როგორც გრეჩი, ჩერდება კიუსტინის მიერ დაშვებულ წინააღმდეგობებზე. კიუსტინის პარადოქსი—„საკუთარ წინააღმდეგობათა გზა არის ცოდნის გზა"—ნებას აძლევს მას სრულიად მოურიდებლად უარჰყოს ის, რასაც წინა-

---

[1]) „La Russie en 1839, revê par M-r de Custine. ou Lettres suracet ouvruage, ècrites de Trancfort" და „Lettre D'un Russe à un journaliste francais sur ges diatriles de la presse anti-russe".

გვერდზე ამტკიცებდა, ერთ თავის წერილში (ტოლსტოის წიგნი დაწერილია წერილების სახით ფრანკფურტიდან) ავტორი ჩერდება მის მიერ აღმოჩენილ კიუსტინის გონების თვისებაზე, სახელდობრ: მის ორგანიულ მიდრეკილებაზე ყოველგვარ ღირსების დამცირებისადმი. ძალიან ხშირად კიუსტინის მსჯელობა დამოკიდებულია მის წუთიერ სულიერ განწყობილებაზე, და რადგანაც იგი უმეტეს წილად შეზავებულია მუქი ფერებით, ამიტომ კიუსტინის განაჩენი თითქმის ყოველთვის უარყოფითია. თუ რომელიმე მოვლენა ან საგანი გამოიწვევს კიუსტინში დადებით შეფასებას, ამას მხოლოდ შემთხვევითი ხასიათი აქვს და ბედნიერ გამონაკლისს შეადგენს. კიუსტინს თითქოს ეშინიან ამ ქების და ჩქარობს გააქარწყლოს მისი ეფექტი ერთი ცილისწამების აკინძვით მეორე ცილისწამებაზე. კიუსტინის ამ თვისების გამო ყველა მისი სიტყვები ყოველგვარ ფასს ჰკარგავენ.

ტოლსტოი ეყრდნობა ამ თავის ძირითად აზრს კიუსტინის გონების თვისების შესახებ და აბათილებს ყველა მის დებულებას ძალიან ადვილად. და მართლაც ძნელი არ არის მოიყვანო რაიმე ციტადა კიუსტინის წიგნიდან და განაცხადო, რომ საქმე გაქვს ნერვებ მოშლილ ადამიანთან და ამიტომ მისი მსჯელობა შემცდარია და ღირსი არ არის ყურადღებისა. თუმცა ტოლსტოის ერთი შენიშვნა მეტად ესლიანია: მას მოჰყავს კიუსტინის სიტყვები პუშკინის ენის შესახებ და დასძენს: „როგორ შეიძლიან კიუსტინს ისჯელოს პუშკინზე, როდესაც იგი ერთმანეთში ურევს სიტყვებს—пруссаки და персики. მისი დასკვნა სრულიად შეესაბამება მთელი წიგნის მიმართულებას. იგი აცხადებს, რომ შეუძლებელია კიუსტინის წიგნის გაბათილება, რადგანაც არ მოიპოვება საშუალება ადამიანის დაუცხრომელ ფანტაზიის გასაბათილებლად.

ტოლსტოის მეორე წიგნაკი მიმართულია ერთსა და იმავე დროს კიუსტინის და სხვა ანტი-რუსულ მწერლების წინააღმდეგ. იგი შეიცავს მეტად მოსაწყენ და სუსტ ბრალდებას კიუსტინის ფარისევლობის, სიცრუის, უმადურობის და სხვ. შესახებ, ბრალდებას, რომელიც ამასთანავე სრულიად უსაფუძვლოა. ტოლსტოი ამ წიგნში განუწყვეტლივ სიყვარულს უცხადებს საფრანგეთს, რომელსაც ძალიან აფასებს არა მარტო იგი, არამედ მთელი რუსეთი, მიუხედავად მისი მრავალ უარყოფითი მხარეებისა. კიუსტინმა-კი არ დააფასა რუსეთი და გამოიტანა მასზე თავის სასტიკი განაჩენი წუთიერ შთაბეჭდილებათა მიხედვით. კიუსტინს უნდა ყურადღება მიექცია იმ კარგ მხარეებისათვის, რაც იზიდავს ყველა უცხოელების სიყვარულს რუსე-

თისადმი, თუ რომ ისინი არ არიან მოწამლულნი წინასწარ აკვიატებული აზრით.

გაცილებით უფრო მაღლა დგას კ. კ. ლაბენსკის წიგნი, ვიდრე ზემოდ აღნიშნული კიუსტინის გამაბათილებელი წიგნები, რომელნიც გამოცემულნი იყვნენ რუსეთის მთავრობის მონაწილეობით[1]. ლაბენსკი საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარი მრჩეველი იყო. ამასთანავე იგი არა ერთხელ გამოდიოდა პრესაში, როგორც პოეტი ჟან პოლონიუსის ფსევდონომით. მან გამოაქვეყნა ლექსების რამდენიმე კრებული და ცალკე პოეტურ ნაწარმოებათა მთელი რიგი. ლაბენსკის წიგნი გამოცემული იყო ფრანგულად ორჯერ, და გარდა ამისა, გადათარგმნილი გერმანულად და ინგლისურად. მშვენიერი სტილი, კიუსტინის ღრმა და გონებიანი გაგება, და ნიკოლოზ I-ის ფრიად მოხერხებული დაცვა—ასეთია ამ წიგნის უდავო ღირსებანი. მართალია, ლაბენსკიმ, როგორც ყველა სხვა კიუსტინის საწინააღმდეგო ლიტერატურის ავტორებმა, ვერ შესძლო ფაქტიურად კიუსტინის ცნობების ვერც ერთი გაბათილება, გარდა იმის რაც სრულიად უაზრო იყო. მაგრამ, მისი წიგნი უფრო უახლოვდებოდა მიზანს, ვიდრე გრეჩის, დიუე-ს და ტოლსტოის ნაწერები, რადგანაც იგი დაწერილი იყო ჭკვიანი და უდავოდ ნიჭიერ ადამიანის მიერ.

ლაბენსკი იწყებს იმის მტკიცებით, რომ ამჟამად ევროპაში ძალიან ბევრს სწერენ რუსეთის შესახებ. განუწყვეტლივი ბრალდებანი რუსეთისადმი, რომ იგი ვითომც ემზადება გალაშქრებისითვის ევროპაზე, იპყრობს საყოველთაო ყურადღებას და ბევრის სიძულვილს იწვევს. ერთი ამ მოძულეთაგანი არის კიუსტინი. იგი თვითონვე აღიარებს, რომ ყველა უწინდელი აღწერილობანი რუსეთისა მეტათ მიდგომითი იყო, და მისი მიზანი ის არის, რომ დაანახოს ყველას რუსეთი უნიღბოდ და აუხილოს თვალები ყველა იმათ, ვისაც კიდევ ეჭვები ეპარება ამ ქვეყნის ნამდვილ ზრახვებში. კიუსტინთან დავა უნაყოფოა. მისი შემცდარი მსჯელობის დამტკიცება რუსეთის შესახებ უფრო ადვილად შეიძლება მისივე მეთოდის ანალიზით. კიუსტინი მეტად ბოროტათ იყენებს ზოგად დასკვნებს. ცალ-ცალკე და ზერელე შთაბეჭდილებანი სრულიად საკმარისი არ არის იმ დასკვნებისათვის, რომელნიც მას ასეთი რწმენით და უშეცდომოდ გამოჰყავს. კიუსტინი—მოგზაურთა კეისარია: მოვიდა, დაინახა, და გაიგო. ზოგადი მსჯელობის სენი ჰქმნის მასში წინდაწინ გამომუ-

[1]) Un mot sur l'ouvrage de M. de Custine, intitulé „La Russie en 1839", (ის. ლეტკეს თხზ. სარს. გვ. 143).

შავებულ კრიტერიუმს ყველა მის ირგვლივ არსებულ მოვლენათა შესაფასებლად. ლაბენსკის სიტყვით კიუსტინმა რუსეთი თან მოიტანა პორტფელით; საკმარისი იყო მხოლოდ გემით მოგზაურობის შთაბეჭდილებანი და თავ. კოზლოვსკისთან ბაასი, რომ ერთხელ და სამუდამოდ შეექმნა განსაზღვრული და უცვლელი შეხედულება რუსეთზე. მსჯელობის ასეთი მეთოდი აიძულებს ლაბენსკის უსაყვედუროს ბიუროს ზედმეტი პოეტური მსოფლმხედველება. ძისი პოეტურ შეხედულებათა გარდატეხა, რომელიც მოხდა მასში რუსეთში ყოფნის დროს, უფრო პოეტური განწყობილების პროცესია, ვიდრე ლოგიკური მსჯელობის.

მუდმივ სწრაფვას ზოგადი მსჯელობისადმი მიჰყავს კიუსტინი მრავალ წინააღმდეგობისაკენ, რომელიც იმდენად ცხადი ხდება, რომ არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს თვით ავტორს მიერ. საქმე წინააღმდეგობა კი არ არის,—ამბობს ლაბენსკი,—რადგანაც ყველაფერი ქვეყნად სავსეა კონტრასტებით. არსებითად წინააღმდეგობას შეიცავენ არა ფაქტები, არამედ ამ ფაქტების კომენტარიები, და უფრო ხშირად მაშინ მოსდის ადამიანს შეცდომა, როდესაც ულოგიკოდ მსჯელობს ამ წინააღმდეგობათა შესახებ. რუსეთი სავსეა წინააღმდეგობით, ამას სრულიად ეთანხმება ლაბენსკი. მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, რომ კიუსტინი აქ მხოლოდ ცუდ მხარეებს ხედავს და ვერ ამჩნევს ნათელს. ამის გამო კიუსტინი ხშირად ხვდება სრულ სიმართლეს, მაგრამ არ შესწევს ძალა შეიგრძნოს და შეითვისოს ესა თუ ის მოვლენა მთლიანად. კიუსტინის სიმართლე ხანდახან მკაცრია და ჩვენ,—ამბობს ლაბენსკი,—შეგვიძლიან მხოლოდ მადლობა უთხრათ კიუსტინს ამისთვის. მაგრამ ეს შეეხება მხოლოდ კერძო შემთხვევებს, და არა მთელს. ლაბენსკის განსაკუთრებით მოსწონს კიუსტინის ერთი შენიშვნა; რუსეთში არ არის საზოგადო უფლებრივი შეგნება, მისი ადგილი აქ დისციპლინას უჭირავს. ლაბენსკის აზრით ამ სრულიად სწორე აღნიშნულ თვისების გამო ყველა სლავიანური ერები მოკლებულნი არიან პოლიტიკურ უნარს და ძალას. და თუ რუსეთ მაინც არ არის არავითარ შემთხვევაში პოლიტიკურად სუსტი ქვეყანა, ეს აიხსნება მხოლოდ იმით, რომ აქ ხალხის მასებში უფლებრივი თვითშეგნების ადგილი უჭირავს ინსტიქტიურ, ჩვეულებრივ და თითქმის ცრუმორწმუნე სიყვარულს მთავრობისადმი. განათლებულ ხალხში კი ეს სიყვერული სრულიად შეგნებულია და ლოგიკურად დასაბუთებული.

კიუსტინი თავის წიგნში ხშირად მიმართავს ისტორიულ ცნობებს და პარალელებს. ეს მეთოდი,—ამბობს ლაბენსკი,—არც თუ

დიდად საიმედოა, რადგანაც ისტორია წააგავს ბიბლიას: მასში ყველა იმას ხედავს, რაც თვითონ სურს.

ასეთი არის ლაბენსკის წიგნის საერთო შინაარსი. დასასრულს, ცოტა უხეიროდ და თავისი წიგნის სერიოზული კილოს წინააღმდეგ ლაბენსკი ადარებს კიუსტინის წიგნს შეხერაზადას ზღაპრებს და ამტკიცებს, რომ მისი ფაქტიური გაბათილება უხერხულია და შეუძლებელი.

ამის შემდეგ გამოჩნდა კიუსტინის კიდევ ერთი „გამბათილებელი", რომელმაც დასწერა თავისი წიგნი, მართალია სრულიად ძალდაუტანებლივ მთავრობის მხრივ, მაგრამ აშკარა განზრახვით ესიამოვნებინა მისთვის, რისთვისაც მან უაღრესად უხეშ მლიქვნელობას მიმართა. ეს იყო გრ. ი. გ. გოლოვინი, საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელე, რომელიც სხვათაშორის მისდევდა ლიტერატურას. 1842 წ. იგი გაემგზავრა საზღვარგარეთ, სადაც მან დასწერა წიგნი „პოლიტიკური ეკონომიის სული", რომელმაც გამოიწვია რუსეთის მთავრობის რისხვა. თავის რეაბილიტაციისთვის მან შეთხზა: „Discours sur Pierre le grand. Relitation du livre de M. de Cultine—„La Russie en 1839". (Paris, 1839). წიგნი დაწერილი იყო ფრიად ერთგული კილოთი მთავრობისადმი და კიუსტინს ძალიან „მოხვდა" მისი გალაშქრებისათვის პეტრე I წინააღმდეგ. გოლოვინის იმედები, რომელიც დაკავშირებული იყო მის წიგნთან, არ გამართლდა, მთავრობასთან შერიგებას ვერ მიაღწია, და უიღბლო ლიტერატორს მოუხდა ემიგრანტად დარჩენა უცხოეთში, სადაც მან ყოველგვარ აფერებს მიჰყო ხელი და მალე დაიმსახურა მხდალი და ყოყოჩა ემიგრანტის სახელი. [1]) რადგანაც გოლოვინის წიგნი ეხება მხოლოდ იმას, რაც ითქვა კიუსტინის მიერ პეტრე I-ის შესახებ, ამიტომ იგი განსაკუთრებულ ინტერესს არ წარმოადგენს, მით უმეტეს, რომ მისი ლიტერატურული ღირსებანი სრულიად ბრწყინვალე არ არის.

რუსეთის მთავრობის მიერ გაღვივებული ლიტერატურა კიუსტინის წიგნის შესახებ სავსეა საყვედურით იმის გამო, რომ ხსენებული ავტორი ზერელედ და ფუჭსავატად მსჯელობს, ვარდება მუდმივ წინააღმდეგობაში და ამასთანავე ხშირად მიმართავს შეგნებულ სიცრუეს და ცილისწამებას. უკვე აღნიშნული იყო, რომ ეჭვს გარეშეა კიუსტინის ზოგიერთი დასკვნების სისწრაფე, მიუხედავად მათი

[1]) იხ. მ. ლემკე—„ნიკოლოზის ჟანდარმები და 1826-1855 წ. ლიტერატურა". ს. პ. ბ. 1909 წ., გვ. 555-572.

გულწრფელობისა—ეს საყვედური გაისმის აგრეთვე თვით ფრანგულ კრიტიკაში, რომელიც სრულიად თავისუფალია ყოველგვარ ვალდებულებისაგან რუსეთის მთავრობისადმი. ასე, მაგალითად, „Revue de Paris“ ჟურნალში მოთავსებული წერილი (1843, V. 23), რომელიც შეიცავს კიუსტინის წიგნის გარჩევას ლა ეკუთვნის შოდ-ეგ-ის კალამს, ძალიან სასტიკად ჰკიცხავს კიუსტინს ზერელე მსჯელობისათვის. ან როგორ არ უნდა შეგეპაროს ეჭვი ადამიანის სიმართლეში,—ამბობს შოდ-ეგ-ი,—რომელიც აშკარად აცხადებს, რომ იგი უარს ამბობს მიუდგომელ მეთვალყურე მოგზაურის სახელზე? როგორ უნდა მიენდო იმის მოთხრობებს, ვინც გულუბრყვილოდ შეჰხარის თავის ხანმოკლე მოგზაურობას რუსეთში, თუნდაც მას გაეტარებინოს იქ არა ორი თვე, არამედ ორი წელიწადი? კიუსტინის შენიშვნა, რომ მან ცოტა-რამ ნახა, მაგრამ ბევრი გაიგო, საბაბს აძლევს შოდ-ეგ-ს უსაყვედუროს მას უდიდესი თავხედობა. ამ ავტორის აზრით კიუსტინის მთელი წიგნი სავსეა უშინაარსო ლაყბობით. კიუსტინმა გამიაააშკარავა რუსეთის ეკონომიკის, მისი პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების სრული უვიცობა. მისი დახასიათება რუსეთის იმპერატორისა და ხალხის სავსეა წინააღმდეგობით, და ამასთანავე სრულიად შეუძლებელია იმის გაგება, თუ რომელი ამ წინააღმდეგ აზრთაგანი უფრო ახლოა სინამდვილესთან. კიუსტინის სიცრუემ ვერ შეუშალა ხელი მისი წიგნის გავრცელებას. რით აიხსნება ასეთი გამარჯვება? რეაქციონურ კრიტიკოსისთვის ამის პასუხი სიძნელეს არ წარმოადგენს: წიგნი დაწერილია ბრბოსთვის. ვულგაროება და მოურიდებლობა ძალიან შეჰფერის ბრბოს გემოვნებას. მაგრამ სერიოზულმა კრიტიკამ უნდა გამოაშკარავოს კიუსტინის წიგნის „რუსეთი 1839 წ.“ უსარგებლობა და თვით სიცრუეც.

უფრო დიდებითია და მიუდგომელი კიუსტინის წიგნის შეფასება გრაფ დ'ორერის წერილში, რომელიც მოთავსებულია ლიბერალურ ჟურნალში „Le Correspondence“ (1843, № 3). წერილის ავტორი ალიარებს, რომ კიუსტინის წიგნი დაწერილია აჩქარებით და მას მცირე მასალა ჰქონდა შეტად კატეგორიულ დასკვნებისათვის, მაგრამ იმავე დროს აღნიშნავს ამ წიგნის ბევრ ღირსებასაც. დ'ორერ-ი აღფრთოვანებულია კოზლოვსკის აზრებით, რომელიც მან გამოსთქვა კიუსტინთან ბაასის დროს. ძნელია რუსული ბუნების უფრო უკეთესად დახასიათება, ვიდრე ეს მოგვცა კოზლოვსკიმ. „ხანგრძლივი ყოფნა რუსეთში“,—აცხადებს დ'ორერ-ი,—„საშუალებას გვაძლევს დავამოწმოთ უდიდესი სიმართლე ყველა იმის, რაც ითქვა კიუსტინის თანამოსაუბრის მიერ, განსაკუთრებით იმ მოუთმენლობის შესა-

ხებ, რაც ასე აქტიურად ემჩნევა თანამედროვე რუსეთის მთავრობის პოლიტიკას. არაფერი არ შეედრება ევროპაში რუსეთის მეფის სრულ დესპოტიზმს, რომელიც წაართმევდა ადამიანს თვით აზროვნებ ს საშუალებას, რომ ამის შესაძლებლობა ჰქონდეს. დ'ორერ-ი მიუთითებს მკითხველს კიუსტინის წიგნ ე, რომ მას საშუალება ჰქონდეს დაწვრილებით გაეცნოს რუსეთს—ამ „მონების ქვეყანას", როგორც მას უწოდებს დ'ორერ-ი. ამ უკანასკნელს განსაკუთრებით აღელვებს კიუსტინის ერთი აზრი. თავის წიგნში კიუსტინი გამოსთქვამს შიშს, რომ რუსეთი შეიჭრება დასავლეთ ევროპაში და წალეკავს დედამიწის პირიდან ევროპიულ ცივილიზაციას. დ'ორერი სრულიად ეთანხმება ამ გვარ შემოსევის შესაძლებლობას და ფიქრობს, რომ რუსეთის სამხედრო და პოლიტიკური შეჭრა ევროპაში შეიძლება შეჩერებული იქმნეს ყველა ევროპიულ სახელმწიფოთა ურთიერთ შორის სრული შეთანხმებით. დაე ევროპაში ნუ ჩაჰქრება ეს თავის გადარჩენის შიში რუსეთის გეგმების წინაშე, მაგრამ დაე გრძნობდეს იგი თავის თავს საკმაოდ ძლიერად, რომ მას არაფრისა არ ეშინოდეს, გარდა თავის საკუთარ უთანხმოებისა.

ყველა ზემოდ მოყვანილი რეცენზიები კიუსტინის წიგნზე, ეკუთვნის ან რუსეთის დამცველებს ex oficio, ან ფრანგ კრიტიკოსებს და ერთ დამახასიათებელ თვისებას შეიცავს: ისინი გამსჭვალულნი არიან საშინელი ცივი კილოთი, რაც სრულ დისჰარმონიას წარმოადგენს კიუსტინის მხურვალე და აღგზნებულ კილოსთან შედარებით. პირველნი აღშფოთებულნი იყვნენ კიუსტინის წიგნით სწორედ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელი იყო მათდამი აღმოჩენილ ნდობის გასამართლებლად, ხოლო მეორენი ცნობის მოყვარეობით აღნიშნავდენ კიუსტინის პამფლეტის ზოგიერთ დეტალებს, რომელიც არსებითად ძალიან ნაკლებად აინტერესებდა მათ, და აძლევდენ მას სრულიად კეთილგანწყობილ—დადებით და უარყოფით შეფასებას. სულ სხვანაირად მოეპყრენ კიუსტინის წიგნს „რუსეთი 1839 წ." ისინი, ვინც თავისი რწმენით რუსეთის მოწინავე, პატიოსან და დამოუკიდებელ ინტელიგენტთა რაცხვს ეკუთვნოდა. მათ შეეძლოთ კიუსტინის მხილების მიღება ან უარყოფა, შეეძლოთ გამსჭვალულიყვნენ მისდამი სიმპატიის გრძნობით ან, პირიქით, სიძულვილით, მაგრამ მათ არ შეეძლოთ გულგრილად ყოფნა ისე, როგორც იყვნენ გ რეჩი, ტოლსტოი და გოლოვინი. ამ ადამიანთა შორის, რასაკვირველია, პირველი ადგილი გერცენს უჭირავს.

„ეს წიგნი განსაკუთრებულად ნიშვნელოვანი შეიქმნა მისი ავტორის (კიუსტინის) სელას ტფაში [illegible] გამო: [illegible] სრულიად

არ ვრის მტრულად განწყობილი რუსეთისადმი. პირიქით იგი უფრო სიყვარულით სწავლობდა ჩვენს ქვეყანას, და ამ სიყვარულის დროს, არ შეეძლო არ გაემათრახებინა ბევრი რამ, რაც ჩვენ გვამათრახებს",—ასე ფხიზლად გაიგო გერცენმა ამ წიგნის შინაარსი, რომელიც მასზე „წამების" მსგავსად მოქმედებდა. გერცენი სცნობს კიუსტინის შეცდომებს და ხედავს ზოგჯერ ზერელე მსჯელობას, მაგრამ არ შეუძლიან უარჰყოს მისი ნამდვილი ნიჭი და უნარი მოვლენათა სწრაფი ასახვის და პიროვნებათა სწორე დახასიათებისა. განსაკუთრებით აღფრთოვანებული იყო გერცენი კიუსტინის ისეთი შენიშვნებით, როგორც მაგალითად: „თავმომწონეობა და ტრაბახი ევროპიული ცხოვრების იმ ელემენტებით, რომელიც ჩვენ მხოლოდ გარეგნულად და სხვის საჩვენებლად გვაქვს", რუსული საზოგადოების „ირონია და მოწყენილობა, უიმედობა და თვითნებობა", „უსაზღვრო ძალა-უფლება და პიროვნების არარაობა მის წინაშე".

1844 წ. დღიურში გერცენი გამოსთქვამს თავის აზრს გრეჩის და ლაბენსკის წიგნების შესახებ. პირველისათვის მას არა ჰყოფნის სიტყვები, რომ გამოსთქვას თავისი აღშფოთება. „მონური შეხედულება და თავხედური ფამილიაორობა", „მონის ცინიზმი, რომელსაც დაუკარგავს ყოველგვარი პატივისცემა ადამიანური ღირსებისადმი", „გრეჩმა გასწირა სამარცხვინოდ საქმე და წარმოსთქვა ამისთვის საზიზღარი სიტყვა",—ასეთია დახასიათება, რომელიც გერცენმა უძღვნა „რუსეთის იმპერატორის პირველ ჯაშუშს". ყველასთვის ცნობილ ფაქტების უარყოფით გრეჩი აღწევს საწინააღმდეგო შედეგს და მხოლოდ აორკეცებს კიუსტინის მხილების ძალას. ლაბენსკი გაცილებით უფრო ჭკვიანია გრეჩზე. მან ვერ გაბედა იმის უარყოფა, რაც უკვე დიდი ხანია საზოგადო ჭეშმარიტებად გადაიქცა და ამით გამოამჟღავნა რამდენადმე თავისი ტაქტი და თავდაჭერილობა, რომელსაც არ უარჰყოფს მასში გერცენი[1]).

გადის ხუთი წელიწადი მას შემდეგ, რაც გერცენმა უკანასკნელად გამოსთქვა თავისი აზრი კიუსტინის შესახებ, და ფრანგი მოგზაურის წიგნი აღარ იწვევს მასში უწინდელ გრძნობებს. ამ ხნის განმავლობაში დაცხრა პირველი შთაბეჭდილება, რომელმაც სრულიად ააფორიაქა გერცენი, განელდა რუსეთის დამცირებით გამოწვეული მწვავე შეურაცყოფის გრძნობა, და გერცენი იძლევა კიუსტინის უფრო მშვიდ და ფხიზელ დახასიათებას. თხზულებაში, რომელსაც ჰქვიან „რუსეთი" (1849) იგი აღიარებს აღნიშნულ ავტო-

[1]) გვ. 314-315.

რის (კიუსტინის) მსუბუქ აზროვნებას, დიდი გაზვიადების უნარს და ხალხის თვისების განურჩევლობას მთავრობის ხასიათისაგან. პეტერბურგის სასახლის შთაბეჭდილებანი იმდენად ძლიერი იყო, რომ მათ, გერცენის სიტყვით, სულ დაჩრდილეს ყველაფერი, რაც კიუსტინს ენახა მანამდე. იგი ირ შეეცადა რამე გაეგო რუსეთის ხალხის, „ლიტერატურულ და მეცნიერულ წრეების, ან და რუსეთის ბ-ნებრივი ცხოვრების შესახებ". მისი დაკვირვებანი განისაზღვრა მხოლოდ იმ ქვეყნით, რომელსაც მან მოსწრებულად უწოდა „ფასადების ქვეყანა". „ეგი, ამბობს გერცენი, რასაკვირველია, დამნაშავეა იმაში, რომ მან არ მოისურვა დაენახა ის, რაც ამ ფასადების უკან იყო", — ამიტომ უდიდესი შეცდომაა კიუსტინის მტკიცება, რომ რუსეთში ყველაფერი სასახლის ცხოვრებით ამოიწურება. მიუხედავად ამ თვისებებისა, კიუსტინის წიგნი, გერცენის აზრით, მაინც შესანიშნავია იმ ნაწილში, სადაც დახასიათებულია იმპერატორი და მისი სასახლე. კიუსტინი სრულიად მართალია იმ მცირე ქვეყნის დახასიათებაში, რომელიც მან აირჩია თავისი მოქმედების ცენტრად" და „თუ მან უყურადღებოდ დასტოვა რუსეთის ცხოვრების ორი მესამედი, სამაგიეროდ კარგად მიხვდა მის უკანასკნელ მესამედს და ოსტატურად დაახასიათა იგი" [1]). გერცენის თვალსაზრისით კიუსტინის წიგნი, მიუხედავად მისი მრავალი შეცდომების და გაზვიადებისა რუსეთის ხალხის დახასიათების დროს, მაინც რჩება დაუვიწყარ და განუმეორებელ პამფლეტად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

კიუსტინის წიგნი ვერ აუხვევდა გვერდს რუსეთის ინტელიგენციის ამ ნაწილს, რომელიც იმყოფებოდა სლავიანოფილების ბანაკში. „მოსკოვიტიანინში" 1845 წ. № 4 მოთავსებული იყო ა. ს. ხომიაკოვის წერილი „უცხოელების აზრი რუსეთზე", რომელიც, პ. კ. ანენკოვის სიტყვით, გამოწვეული იყო კიუსტინის წიგნის კითხვით [2]). ხომიაკოვის აზრით უცხოელები, რომელნიც რუსეთის შესახებ სწერენ, ჩვეულებრივ ბევრ სიცულელეს ლაპარაკობენ და მათი ნაწერები გამსჭვალულია აშკარა მტრული განწყობილებით რუსეთისადმი. ასეთი მტრული განწყობილება შედეგია იმ ღრმა განსხვავებისა, რომელიც არსებობს რუსეთისა და დასავლეთ ევროპის სულიერ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უცხოელებს არ შეუძლიანთ უარჰყონ რუსეთის თავისებურება და ამ უკანასკნელის დამარწმუნებელი ძალა, მაგრამ მათ არ სურთ განიმეორონ მისდამი პატივისცემით. უცხოე-

[1]) ა. ი. გერცენის ფხზ. II, 1919, ტ. V, გვ. 338—340.

[2]) პ. ვ. ანენკოვი. „მოგონებანი". ლ., 1929 წ. გვ. 431. ხომიაკოვის წერილი გადაბეჭდილია სრული ფხზ. კრებულში, ტ. I. გამოც. ე. ბ., 1900.

ლების ასეთ ზიზღს რუსეთისადმი ხშირად ხელს უწყობენ თვით რუსები, რომელნიც მონურად ქედს იხრიან დასავლეთის წინაშე. რუსების დამოკიდებულებაში თავიანთ სამშობლოსადმი ბევრი საქებური თავდაბლობაა ჩაქსოვილი, მაგრამ როდესაც ეს თავდაბლობა საკუთარ თავის უარყოფას საზღვრავს, იგი ბოროტებად იქცევა. როდესაც უცხოელი ხედავს რუსი ადამიანის ასეთ დამოკიდებულებას სამშობლოსადმი, იგი მაშინ პატივს აღარ სცემს მას. ხომიაკოვის მთელი წერილი—ეს მოწოდებაა სამშობლოს, მისი ისტორიის, ენის და კულტურის შესწავლისადმი. მხოლოდ მაშინ, როდესაც რუსი კარგად შეისწავლის რუსეთს, იგი შესძლებს თავის პატივისცემის გრძნობის განვითარებას და ამით არ მისცემს უცხოელებს მიზეზს, რომ ზიზღით მოიხსენიონ რუსეთი. კიუსტინის წიგნი შეეხო ხომიაკოვის ყველაზე მტკივნეულ ადგილს: მწარე შეურაცყოფის გრძნობას რუსეთის გულისთვის, რომელნიც სამშობლოს ღალატობენ და მიზეზად ხდებიან ისეთი წიგნების გამოცემის, როგორიც არის კიუსტინის „რუსეთი 1839 წ.“

კიუსტინის წიგნის გამოქვეყნების შემდეგ მრავალმა წლებმა განვლეს და იგი კვლავ აღელვებდა რუსეთის ინტელიგენციის ერთ ნაწილს. ამ ინტელიგენციის იმ წარმომადგენლებს, რომელნიც იდგნენ მოწინავე რუს მოღვაწეთა რიგებში, გაუჩნდათ ახალი ამოცანები, იმდენად გრანდიოზული, რომ სრულიად ზედმეტი იყო ჟამთა ვითარებაში ჩამქრალ დოკუმენტების გამომზეურება, როგორიც იყო, მაგალ. კიუსტინის წერილები. მაგრამ ბევრთათვის კიუსტინის გამოლაშქრებას მაინც არ დაეკარგა თავისი მომქმედი მნიშვნელობა და კვლავ აღიზიანებდენ მათ შეურაცმყოფელ ნაციონალურ თავმოყვარეობას. ასე მაგალ., „რუსულ სიძველის“ საზეიმოდ ქალაქ. შენიშვნაში,—იხ. წერილი „დიდი კნ. ელენე პავლეს ასული“, რომელიც თითქოს მ. ნ. სემევსკის კალამს ეკუთვნის,—ჩვენ ასეთ უნიათო რეცენზიას ვკითხულობთ კიუსტინის წიგნზე: „კიუსტინი გაეცნო ჩვენი სასახლის ყოფა-ცხოვრებას, გამოსტყუა ყოველგვარი ჭორები და ცილისწამება რუსეთის და მის უბენაეს წინამძღოლის შესახებ ისეთ ადამიანების, რომელნიც გამსჭვალულნი იყვნენ საიდუმლო სიძულვილით შეფისა და მისი ოჯახებისადმი, და ამრიგად გადაუხადა მან პატივისცემა ხელმწიფეს სიკეთისა და პეტრ-მარილისთვის გესლიანი და სიცრუით სავსე პამფლეტით“.

---

[1]) „Русская Старина“, 1882, № 3 გვ. 791.

ასეთივე იყო ნ. კ. შილდერის შენიშვნები მის მიერ კიუსტინის წიგნიდან ამოკრებილ ნაწყვეტების დაბეჭდვის გამო.

კიუსტინის წიგნმა კვლავ მიიპყრო რუსული საზოგადოების ყურადღება თითქმის ჩვენ დროშიც. 1910 წ. „Русская Быль"-ში დაიბეჭდა კიუსტინის წიგნის შემოკლებული თარგმანი ამ სათაურით: „ნიკოლოზის ეპოქა, ფრანგი მოგზაური მარკიზ დე-კიუსტინის მოგონებანი" (მ. 1910). ამ თარგმანში, რომელიც ვ. ნეჩაევს ეკუთვნის, (სამწუხაროდ ალბად ცენზურის პირობების გამო, იქ გადათარგმნილი არ არის და მხოლოდ მოკლედ გადმოცემულია ბევრი ძალიან საინტერესო შენიშვნები და დახასიათებანი), კიუსტინის წიგნის შეფასებაც არის. „ოფიციალურმა რუსეთმა იმპერატორ ნიკოლოზის მეთაურობით", ამბობს ვ. ნეჩაევი, „წაიკითხა რუსული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ყოფა-ცხოვრების გულახდილი და მკაცრი შეფასება"... მთარგმნელი აღიარებს კიუსტინში უდავო კეთილსინდისიერებას, ფრიად განვითარებულ დაკვირვების ნიჭს, და მოვლენათა დამახასიათებელ თვისებების აღნიშვნის უნარს, მაგრამ არ შეუძლიან არ აღნიშნოს ის მხარეც, რომელიც ხშირად ცუდ გავლენას ახდენს ფრანგ მოგზაურის მოთხრობებზე— სახელდობრ: მეტად ნაჩქარევი და დასკვნებისადმი მიდრეკილება. კიუსტინის წიგნის არსებითად ასეთი სწორე შეფასება, დაწერილი ამავე დროს დამშვიდებული კილოთი, გვიჩვენებს, თუ როგორ მიაყუჩა ჟამთა მსვლელობამ კიუსტინის პოლემიკური მეთოდების სიმწვავე და მოგვცა საშუალება მოვეპყრათ მის წიგნს მაქსიმალური ობიექტივობით.

ასეთია კიუსტინის წიგნის ლიტერატურული ბედი. მისი ისტორია იმპერატორული რუსეთის ისტორიაა. ლანძღვით, ცილისწამებით და დაცინვით შეხვდნენ მას მეფის ტახტის დამცველები და ღრმად ააღელვა მან ისინი, ვინც მეორე ბანაკში იდგა. დრომ უკვე დიდი ხანია დაასაჭარა ორივე—სიძულვილი და თანაგრძნობა. წიგნი სრულიად ისტორიულ დოკუმენტად გადაიქცა, მაგრამ ცბიერი ფრანგი მარკიზის გესლიან დაცინვას და აღშფოთებას არ დაუკარგავს დღემდის არც თავისი ძალა, და არც თავისი მძაფრი მოქმედება.

თავი I

შეხვედრა რუსეთის ტახტის მემკვიდრესთან ემსში.—მისი კარისკაცების მლიქვნელობა.—ლიუბეკის სასტუმროს პატრონის უკიდურესი შეხედულება რუსეთზე.—ხ ნძარი ზღვაზე ბემ—„ნიკოლოზ I"-ზე.—თავადი კოზლოვსკი. ბაასი მასთან რუსეთზე —გრაფ უნვერნშტერნბერგის ისტორია. — კუნძულ დაგოს ბნელი წარსული.

ჩემი მოგზაურობა რუსეთში თითქო უკვე ემსში დაიწყო. მე აქ შევხვდი ტახტის მემკვიდრეს, დიდ მთავარს ალექსანდრე ნიკოლოზისძეს, რომელიც მოვიდა მრავალრიცხოვანი ამალის თანხლებით 10 თუ 12 ლანდოთი. პირველი, რაც მე თვალში მეცა რუსეთის მეფის კარისკაცების დანახვაზე მათ მიერ თავიანთ მოვალეობის შესრულების დროს, იყო რაღაც განსაკუთრებული მლიქვნელობა და მორჩილება. ისინი გვანდნენ ერთგვარ მ ო ნ ე ბ ს, მხოლოდ მაღალი წოდებიდან გამოსულთ. მაგრამ მოშორდებოდა თუ არა მათ ტახტის მემკიდრე, ისინი უმალ დამოუკიდებელ სახის გამომეტყველებას იღებდენ და თავხედები ხდებოდნენ, რაც ჰქმნიდა უკიდურეს და ნაკლებად მომხიბლავ კონტრასტს მათ ერთი წუთის წინად გამომჟღავნებულ ყოფაქცევასთან შედარებით. შთაბეჭდილება ისეთი იყო, რომ მეფის მემკვიდრის ამალაში გაშეფებულია მლიქვნელობის სული, რომლისგანაც წარჩინებული კარისკაცნიც ისევე ნაკლებად არიან თავისუფალნი, როგორც მათი საკუთარი ყმები. ეს არ წააგავდა ჩვეულებრივ სასახლის ეტიკეტს, არსებულს სხვა ქვეყნებში, სადაც ოფიციალური ხარისხის პატივისცემა, თანამდებობის მაღლა დაყენება პიროვნებაზე და როლი, რომელსაც ძალაუნებურად ყველა ასრულებს, ჰქმნის მოწყენილობას და იწვევს ხშირად დამცინავ ღიმილს. არა, აქ უფრო ცუდი რამ იყო: მონური აზროვნება, რომელიც იმავე დროს არ იყო მოკლებული ბატონურ მედიდურობას, ასეთი აღრევა თავის დამცირებისა და მედიდურობის არასასიამოვნოდ მეჩვენა; იგი არაფერს ამბობდა იმ ქვეყნის სასარგებლოდ, რომლის ნახვაც მე განზრახული მქონდა.

დიდ მთავარს სასიამოვნო მანერები აქვს, კეთილშობილი, არა საამებელი შეხედვა; მთელი მისი გარეგნობა სავსეა თავისებური

სილამაზით, რომელიც თანდაყოლილი აქვს სლავიანურ რასას. ეს არ არის სამხრეთის ხალხის უსიცოცხლო ვნებიანობა და არც ჩრდილოეთის მცხოვრებთა უვნებო გულცივობა. არამედ აღრეულია ოავდაბლობისა, სამხრეთის სილაღისა და სკანდინავიის მელანქოლიისა. დიდი მთავარი ნახევრად გერმანელია. მეკლენბურგში, როგორც ჰოლშტინიის და რუსეთის ზოგიერთ ნაწილებში, ხშირად ვხვდებით სლავიანურ გერმანელებს. დიდი მთავრის სახე, მიუხედავად მისი სიყმაწვილისა, იმდენად სასიამოვნო არ არის, როგორც მისი ფიგურა. თვით მისი სახის ფერი არ არის ახალგაზრდული, რაც მოწმობს მის შინაგან დაავადებას. გარეგნულ გულკეთილობის გამომეტყველებაში, რომელსაც ჩეულებრივ სახეს ახალგაზდობა, სილამაზე და გერმანული სისხლი აძლევს, ძლიერი გულჩახვეულობა, რაც არასასიამოვნოა ჯერ კიდევ ესოდენ ახალგაზდა ადამიანში

რაც შეეხება დიდი მთავრის კორტეჟს, მე განცვიფრებული ვიყავი მისი ეტლების ულამაზობით, ბარგის უწესობით და მსახურთა ჩაუცმელობით. ცხადია, საკმარისი არ არის შეუკვეთო ლანდოები ლონდონის საუკეთესო ხელოსნებს, რათა განვითარების იმ საფეხურს მიაღწიო, რომელიც ინგლისს ჩვენ პოზიტიურ საუკუნეში უპირატესობას ანიჭებს ყველაფერში და ყველას წინაშე.

ემსიდან ჩემი გზა ლიუბეკზე მიდიოდა. მოვთავსდი თუ არა ლიუბეკის ერთ საუკეთესო სასტუმროში, ჩემს ოთახში შემოვიდა სასტუმროს პატრონი, რომელსაც გაეგო, რომ მე რუსეთში მივდიოდი. წმინდა ვერმანული გულკეთილობით დამიწყო რჩევა, რომ უარი მეთქვა ამ განზრახვაზე.

— განა თქვენ ასე კარგად იცნობთ რუსეთს?—ვკითხე მას.

— არა, მაგრამ მე ვიცნობ რუსებს. ისინი ბევრნი მიდიან ლიუბეკზე გავლით და ამ მოგზაურთა ფიზიონომიის მიხედვით მე ვმსჯელობ მათს ქვეყანაზე.

— მაინც რას ამჩნევთ მათ სახის გამომეტყველებას ისეთს, რამაც ჩემში უნდა შეაფერხოს სურვილი მათი სამშობლოს ნახვისა?

— მათ სხვადასხვაგვარი სახის გამომეტყველება აქვთ, იმისდამიხედვით ევროპაში მიემგზავრებიან თუ სამშობლოში ბრუნდებიან. რუსეთიდან მომავალნი ისინი მხიარულნი არიან, ბედნიერნი და კმაყოფილნი. ისინი ფრინველებს ჰგვანან, გალიიდან თავისუფალ ჰაერზე გამოშვებულებთ. მამაკაცები, დედაკაცები, მოხუცნი და ახალგაზდები,—ყველა ბედნიერები არიან, როგორც მოწაფეები ზაფხულის არდადაგებში. რუსეთში დაბრუნების დროს, იგივე ხალხი, სახე და-

ლვრემილია და ჩაფიქრებული, მას ლაპარაკი მკაცრი აქვს და ნაწყვეტ-ნაწყვეტი, საერთოდ კი ყველაფერში რაღაც მოუსვენრობა ეტყობა. ამ განსხვავებიდან მე ის დასკვნა გამოვიყვანე, რომ ქვეყანა, საიდანაც ასეთი სიხარულით მოდიან და სადაც ასე უვულოდ ბრუნდებიან, არ შეიძლება იყოს სასიამოვნო ქვეყანა.

— შეიძლება თქვენ მართალიც იყოთ; ვუპასუხე,—მაგრამ თქვენი დაკვიოვებანი მოწმობენ, რომ რუსები არც ისე გულჩათხრობილნი ყოფილან, როგორც ამას ზოგიერთები ამტკიცებენ.

— დიახ, ისინი გულჩათხრობილი არიან იქ, თავიანთ მიწაწყალზე, მაგრამ აქ ჩვენ, გულკეთილ გერმანელებს, როდი გვერიდებიან.

როდესაც რესტორანის პატრონმა იმედი დაჰკარგა ჩემი ენაზრის შეცვლისა, გულკეთილი ლიმილით მოშორდა და დამტოვა თავისი სიტყვების შთაბეჭდილების ქვეშ, თუმცა რასაკვირველია, ვერ მაიძულა მე შემეცვალა ჩემი გადაწყვეტილება.

მეორე დღეს ჩემი ლანდო და მთელი ბარგი უკვე „ნიკოლოზ I-ის" ბორტზე იყო; ეს რუსული გემი „ყველაზე საუკეთესო იყო მთელ ქვეყანაზე", როგორც ამას კვეხნით ირწმუნებოდნენ რუსები. აი სწორედ ეს გემი გასულ წელს პეტერბურგიდან ტრავემიუნდში მოგზაურობის დროს ნახევრად დაიწვა, შემდეგ შეკეთებული იქნა ხელახლად და ეხლა მხოლოდ თავის მეორე რეისს აკეთებდა. როდესაც შეფემ გაიგო „ნიკოლოზ-I" ხანძარნა დააზიანაო გადააყენა მისი კაპიტანი, ძველი რუსი მეზღვაური და დანიშნა ახალი-ჰოლანდიელი ამ უკანასკნელს, როგორც ამბობდენ ავტორიტეტი არ ჰქონდა გემის მოსამსახურეთა შორის: უცხოელები მუდამ ასაღებენ რუსეთში მხოლოდ იმას, რაც თვითონ არ უნდათ სახლში. ყველაფერი ეს სანუგეშოს არას მოასწავებდა, მაგრამ მე მაინც გადავწყვიტე წასვლა და მივენდე ღვთის განგებას.

უკვე გემის გასვლის წინ ბაქანზე ხანში შესული, ძალიან სრული მამაკაცი შევამჩნიე, მას ძლივს ეჭირა ტანი თავის საშინლად გასიებულ ფეხებზე და სახის გამომეტყველებით, ფიგურით და მთელი თავისი იერით ლუი XVI მოგვაგონებდა. ეს იყო რუსი წარჩინებული კარის კაცი, თავადი კ., რიურიკის ჩამომავალი, ძველი გვარის წარმომადგენელი. როგორც კი ეს დარბაისელი მოხუცი, რომელიც თანამგზავრებს ესაუბრებოდა, სავარძელში ჩაჯდა, მაშინვე მოშიბრუნდა და ჩემი სახელი წარმოსთქვა. მე განცვიფრებული ვიყავი, მაგრამ თავადმა კ. საჩქაროდ განმიმარტა, დიდი ხანია თქვენს შესახებ მსმენია.

— თქვენ მთელი ევროპა შემოვლილი გაქვთ,—დასძინა მან,— და ალბად ჩემივე აზრისა იქნებით.

— რის შესახებ სახელდობრ?

— იმის, რომ ინგლისში არ არსებობს ნამდვილი ჩამომავლობითი არისტოკრატია. იქ მხოლოდ ტიტულები და ხარისხებია.

მე დავეთანხმე. და ჩვენი ბაასიც დაიწყო. ჩვენ დიდხანს ვილაპარაკეთ ჩვენი დროის შესამჩნევ ამბებზე და ადამიანებზე. ბევრი ახალი პოლიტიკური ანეკდოტები გავიგონე, ბევრი ღრმა მსჯელობა და მოსწრებული დახასიათება, მოვისმინე და თითქოს ვგრძნობდი, რომ არასოდეს საათებს ისე სწრაფად არ გაურბენიათ, როგორც ამ თავადთან ბაასის დროს. თუმცა მე უფრო ვუსმენდი მას, ხოლო ჩემს პასუხებში საკმაო თავდაჭერილობას ვიჩენდი, ეს ძველი დიპლომატი მაინც უეცრივ მიხვდა ჩემ აზრთა მსვლელობას.

— არა,—მითხრა მან,—თქვენ არა ხართ შვილი არც თქვენი სამშობლოსი და არც თქვენი დროისა. თქვენ გეზიზღებათ სიტყვა, როგორც პოლიტიკის იარაღი.

— თქვენ მართალი ხართ, საჯარო სიტყვაზე მაღლა მე ვაყენებ ყველა სხვა საშუალებას ადამიანის ბუნების ამოსაცნობლად, განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, როგორც ჩემი სამშობლოა, სადაც გამეფებულია ფუჭი პატივმოყვარეობა. მე არა მწამს, რომ საუკუნეთში ბევრი მოიპოვებოდეს ისეთი ადამიანი, რომელიც ბსხვერპლად თავის შეხედულებას და რწმენას ბრწყინვალე სიტყვის წარმოთქმის შესაძლებლობას არ შესწირავდეს.

— და მაინც,—მითხრა რუსის ლიბერალმა,—სიტყვაში ყველაფერია ჩაქსოვილი, მთელი ადამიანი და უფრო მაღალიც: სიტყვა ღვთაებრივია.

— მეც ამ აზრისა ვარ და სწორედ ამიტომ არ მსურს ვიხილო იგი წარყვნილი.

— მაგრამ ხალხის მმართველობა-გამგეობა შეიძლება მხოლოდ ან შიშით ან რწმენით,—სთქვა თავადმა.

— გეთანხმებით, მაგრამ მოქმედება უფრო ძალიან დამარწმუნებელია, ვიდრე სიტყვები მოიგონეთ ნაპოლეონი. როშლის ბატონობის დროს შესრულდა დიადი საქმე: იგი მხოლოდ დასაწყისში განაგებდა ძალითაც და რწმენითაც, და ისიც თავის მჭერმეტყველებას მხოლოდ ზოგიერთების წინაშე იჩენდა. ხალხს მუდამ თავის საქმეთა ენით ელაპარაკებოდა. საჯარო დისკუსიის გამართვა ახალი კანონის შესახებ უეცრივ ართმევს ამ კანონს მასების იმ პატივისცემას, რომელშიაც მარტოოდენ მდგომარეობს მისი ძალა.

— მაგრამ თქვენ ნამდვილი ტირანი ყოფილხართ.

— პირიქით, მე მხოლოდ მეშინიან ვექილების და გაზეთების, რომელიც მათი გამოძახილია. მართალია, მყვირალა სიტყვები ერთ დღე და ღამეზე მეტი არ გაისმის, მაგრამ ისინი მართლა ტირანებად გვევლინებიან, რომელნიც ჩვენ დღეს საფრთხეს გვიმზადებენ.

— რუსეთში მისვლის შემდეგ თქვენ სხვა რამისა შეგეშინდებათ.

— საეჭვოა, თავადო, რომ თქვენ, და სახელდობრ თქვენ შექმნათ ჩემში ცუდი წარმოდგენა რუსეთზე.

— ნუ იმსჯელებთ მასზე ჩემის და ან სხვა რუსების მიხედვით, რომლებსაც თქვენ საზღვარგარეთ ხვდებით,—მიპასუხა კ.—ვტოვებთ თუ არა სამშობლოს ჩვენ, ჩვენი მოქნილი ბუნების წყალობით კოსმოპოლიტები ვხდებით, და უკვე მარტო ეს წარმოადგენს სატირას ჩვენ მართვა-გამგეობის წესზე.

მიუხედავად იმისა, რომ თავადს ჩვეულება ჰქონდა სრულიად თავისუფლად ელაპარაკნა ყველაფერზე, მაინც გაჩუმდა, თითქოს ეშინოდა ჩემი, ხოლო უმთავრესად-კი სხვა მგზავრებისა, რომელნიც ჩვენს ახლო იმყოფებოდნენ. შემდეგ თავადმა ისარგებლა მომენტით, როდესაც ჩვენ მარტოკა დავრჩით, და ხელახლად დაუბრუნდა იმავე საკითხს; მან უფრო დაწვრილებით განაგითარა თავისი შეხედულებანი თავისი სამშობლოს მცხოვრებთა ხასიათის და დაწესებულებათა შესახებ.

— რუსეთში თათრების შემოსევის შემდეგ თითქმის ოთხი საუკუნე გავიდა, დასავლეთ ევროპაში-კი ამ კრიზისმა უკვე თოთხმეტი საუკუნის წინად გაიარა. ათასი წლით უფრო ხნიერი ცივილიზაცია ჰქმნის უფსკრულს ნაციათა ზნე-ჩვეულებებსა და ადათებს შორის. შეუბრალებელი დესპოტიზმი, რომელიც ჩვენშია გამეფებული, წარმოიშვა იმ დროს, როდესაც მთელ დანარჩენ ევროპაში უკვე მოსპობილი იყო ბატონ-ყმობა. მონღოლების შემოსევის შემდეგ სლავიანები, რომელნიც უწინ ყველაზე თავისუფალ ხალხს წარმოადგენდენ მთელ ქვეყანაზე, გახდნენ მონები ჯერ მათზე გამარჯვებულებისა ხოლო შემდეგ თავიანთი საკუთარი თავადებისა. მაშინ ბატონ-ყმობა წარმოიშვა, არა მარტო ფაქტიურად, არამედ სახელმწიფოებრივი კანონების ძალითაც. მან იმდენად დაამცირა ადამიანის სიტყვა, რომ ეს უკანასკნელი ხაფანგად იქცა. მთავრობა რუსეთში მხოლოდ სიცრუით ცხოვრობს, რადგანაც სიმართლისა მტარვალსაც ეშინიან და მონასაც. ჩვენმა ავტოკრატებმა მტარვალობის ძალა ოდესღაც თავიანთი საკუთარი გამოცდილებით გაიცნეს. რუსის მთავრები, რომელნიც იძულებულნი იყვნენ ხარის ასაკრეფად დაემონებინა თავიანთი ხალხი, ბნელად თითონვე

მიჰყავდათ მონებად თათრებს. ისინი ბატონობდენ იმ დროამდე, ვიდრე თათრის ხანების ერთეული იარაღები იყვნენ ხალხის დასამონავებლად და მას უკანასკნელ ლუკმას ართვევდენ. მათ კარგად შეისწავლეს დესპოტიზმის ძალა თავიანთი საკუთარი მონობის გზით. და ყველაფერი ეს, გახსოვდეთ, ხდებოდა მაშინ, როდესაც დასავლეთ ევროპაში მეფეები და მათი ვასალები ერთმანეთში ქიშპობას ეწეოდნენ თავიანთი ხალხის გასანთავისუფლებლად. პოლონელები რუსების მიმართ დღესაც იმ მდგომარეობაში არიან, რა მდგომარეობაშიც რუსები იმყოფებოდენ მონღოლების მიმართ. ვისაც თვით უტარებია მონობის უღელი, არასოდეს არ შეეცდება იგი შეუმსუბუქოს იმათ, ვისაც ამ უღელს ადგამს. მთავარნი და ხალხნი ხშირად თავიანთ დამცირების ჯავრს უდანაშაულოებზე იყრიან და მათზე შურს იძიებენ ხოლმე, მათ თავიანთი თავი ძლიერებად მიაჩნიათ, რადგანაც შეუძლიანთ სხვები მსხვერპლად შეიწირონ.

— თავადო,—ვუპასუხე მე, როდესაც მოვისმინე ასეთი გრძელი დასკვნა,—მე თქვენი სიტყვები არ მჯერა. თქვენი ბრწყინვალე გონება თქვენ ნაციონალურ ცრუ-შეხედულებებზე მაღლა გაყენებთ და გაიძულებთ ამ ფორმით ყურადღება მიაქციოთ უცხოელს თქვენ სამშობლოში. მაგრამ მე ისევე ნაკლებად მჯერა თქვენი ოვითდამდაბლება, როგორც სხვების უზომო ტრაბახი.

— სამი თვის შემდეგ თქვენ მომიგონებთ და იტყვით, რომ მართალი ვიყავი. მანამდის-კი და ვიდრე ჩვენ მარტონი ვართ, მე მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო უმთავრეს. მე თქვენ მოგცემთ გასალებს იმ ქვეყნის ამოსაცნობად, სადაც თქვენ ეხლა მიემგზავრებით. ჩაუფიქრდით ყოველ ნაბიჯს, როდესაც ამ აზიურ ხალხში იქნებით, გახსოვდეთ, რომ რუსებს არ განუცდიათ რაინდობის და კათოლიციზმის გავლენა.

— თავადო, თქვენ მე მაიძულებთ ვიამაყო ჩემი შორსმჭვრეტელობით. მხოლოდ ეხლახან მივწერე ჩემს მეგობარს წერილი, რომ რუსეთის პოლიტიკის მთავარი საიდუმლო ღერძი სარწმუნოებრივი ფანატიზმია მეთქი.

— თქვენ ზუსტად მიხვდით იმას, რის ნახვაც მალე მოგიხდებათ. მაგრამ თქვენ მაინც ვერ შესძლებთ ნამდვილი წარმოდგენა იქონიოთ რუსების ძლიერ ფანატიზმზე, რადგანაც, ვინც მათ შორის განათლებულია და საქმიანი დამოკიდებულება აქვს დასავლეთთან, ყველა ლონისძიებას ხმაროს, რომ დამალოს თავისი მთავარი იდეა—ბერძნული ორტოდოქსიის გამარჯვება, რომელიც მის თვალში რუსული პოლიტიკის სინონიმს წარმოადგენს. ნუ გგონიათ, ბაგალითად რომ პოლონეთის დამონავება იმპერატორის პირადი გრძნობის გამო—

აშკარავება იყოს. ეს — ღრმად მოფიქრებული და ცივი ანგარიშის შედეგია. სიმკაცრის აქტები ჩადენილი პოლონეთის მიმართ ჭეშმარიტ მორწმუნეთა თვალში რუსეთის მონარქის დამსახურებას შეადგენს. სული წმინდა აღაფრთოვანებს მას და ამაღლებს მის სულს ყველა ადამიანურ გრძნობებზე; თვით ღმერთი აკურთხებს თავისი უზენაესი განზრახვების შემასრულებელს. ამგვარ შეხედულებების დროს მოსამართლენი და ჯალათები მით უფრო წმინდანები არიან, რაც უფრო მეტს ბარბაროსობას იჩენენ ისინი...

ეს ლაპარაკი წარმოდგენას გვაძლევს იმ ხანგრძლივი ბაასის ხასიათზე, რომელიც თავად კ.-თან მქონდა გემ „ნიკოლოზ I-“ზე ყოფნის დროს.

მეორე დღეს ტრავემიუნიდან გამოსვლის შემდეგ, როდესაც ყველა მგზავრები ნასადილევს გემის ბაქანზე შეიკრიბენ, სამანქანო განყოფილებაში რაღაც არაჩვეულებრივი ხმაური გაისმა და გემი უეცრივ შეჩერდა. ჩვენ ვიყავით შუა ზღვაში, რომელიც იმ დროს საბედნიეროდ სრულიათ წყნარი იყო. ჩამოვარდა ღრმა და ღელვით აღსავსე სიჩუმე. ყველა მოცული იყო მწუხარე მოგონებებით ახლო წარსულ კატასტროფაზე, ხოლო ვინც ჩვენს შორის უფრო ცრუმორწმუნენი იყვნენ, იმათ უძლიერესი მღელვარება ეტყობოდათ. მაგრამ მალე მოვიდა კაპიტანი და გაჰფანტა ჩვენი შიში. მანქანას რაღაც ხრახნილი გასტეხია, ახალით შესცვლიან და თხუთმეტი წუთის შემდეგ კვლავ გზას გავუდგებითო.

საღამოს დაგვიანებით, ვიდრე ჩვენ კაიუტებში დავბინავდებოდით, დავინახეთ კუნძულ დაგოს დაღვრემილი სახე.

— აქ, პავლე I დროს, საშინელი ამბავი დატრიალდა,—სთქვა თავადმა კ. და მიუბრუნდა მის გარშემო შეკრებილ მგზავრებს.

— გთხოვთ გვიამბოთ.

— თავისი დროის ერთი უგანათლებულესი ადამიანი, ბარონი უნგერ ფონშტერნბერგი, რომელმაც მთელი ევროპა შემოიარა, პავლეს დროს რუსეთში დაბრუნდა. მალე სრულიად უმიზეზოდ მეფის უკმაყოფილება დაიმსახურა და სხვაგან უნდა გადასახლებულიყო. იგი ჩაკეტა თავის საკუთარ კუნძულ დაგოზე და სამკვდრო-სასიცოცხლო ზიზღი გამოუცხადა მთელს კაცობრიობას, რათა ამით შური ეძია იმპერატორზე, რომელიც მის თვალში მთელ ადამიანთა მოდგმის განხორციელება იყო.

თავის განმარტოებულ კუნძულზე ბარონი უეცრივ სიყვარულით გაჰსჭვალულიყო მეცნიერულ შროკისადმი. რათა ამ საქმის საფასებით მისცემოდა და მისთვის ერთვის ხელი ეთ შეეშალა, მას ადამიანთა მა-

ლალი კოშკი, რომლის კედლები ბინოკლით მოსჩანს გემიდან. ამ კოშკისთვის თავისი ბიბლიოთეკა ეწოდებინა; მის თავზე გაეკეთებინა ფანარი, ყოველ მხრივ შუშით გარემოცული,როგორც ბელკედერი, ობსერვატორია ანუ უკეთ—მნათობი შუქურა. მხოლოდ აქ შემიძლია მუშაობა და ისიც ღამით, აბსოლუტური სიჩუმის დროსო, ამბობდა თურმე ბარონი. ამ ბიბლიოთეკაში შესვლა შეეძლო მხოლოდ მის პატარა შვილს და ამ უკანასკნელის გუვერნიორს. შუა ღამისას, როდესაც ბარონმა იცოდა, რომ ორივეს ეძინა, იგი ჩაიკეტებოდა ხოლმე თავის ბიბლიოთეკაში და ანთებდა მოელვარე ფანარს, რომელიც შორიდან სიგნალს ჰგავდა. ამ მატყუარა შუქურას შეცდომაში უნდა შეეყვანა უკხო გემები, რომელნიც კუნძულის ახლო გაივლიდენ, რაც ცბიერი ბარონის საბოლოო მიზანი იყო. ვერაგი შუქურა, აღმართული მაღალ კლდეზე, მღელვარე ხღვის შუაგულიდან იზიდავდა თავისკენ მეზღვაურებს, რომელნიც ცუდად იცნობდენ ადგილობრივ ნაპირებს და ეს უბედურნი, მოტყუებულნი თავის გადარჩენის ცრუ იმედით, აქ სიკვდილს პოულობდენ. როდესაც გემი უკვე დაღუპვის კარს იყო მიმდგარი, ბარონი ნაპირზე ჩამოვიდოდა ხოლმე, ჩაჯდებოდა ნავში რამოდენიმე დახელოვნებულ და გამოცდილ კაცთან ერთად, რომელნიც დაქირავებულნი ჰყავდა სპეციალურად ღამეში სათარეშოდ და დაღუპული გემიდან ნაპირზე გადაჰყავდა გადარჩენილები. აქ ღამის წყვდიადში ბარონი ხოცავდა მათ, ხოლო შემდეგ თავისი მხლებლების დახმარებით დაღუპულ გემს სძარცვავდა. ყველა ამას იგი სჩადიოდა არა იმდენად ფულის შეძენის სურვილით, რამდენადაც ბოროტებისა სიყვარულით და განადგურების დაუცხრომელი წყურვილით.

მაგრამ ერთხელ გუვერნერმა შემთხვევით აღმოაჩინა ეს საშინელი საიდუმლეობა. იგი ავადმყოფი იწვა თავის ოთახში, იმ დარბაზის გვერდით, სადაც ბარონი სიცოცხლეს უსპობდა უკანასკნელ ტყვეებს. გუვერნერს ყველაფერი ესმოდა. მას წინადაც რაღაც ეჭვები ეპარებოდა და ახლა შემოესმა თუ არა ხმები, ყური მიადო კარებისა ჭუჭრუტანას, რათა ბარონის ვერაგობა შეემოწმებია. როდესაც სისხლიანი საქმე გათავდა და კოშკში კვლავ საიდუმლო სიჩუმე ჩამოვარდა, გუვერნერს ნაბიჯები შემოესმა, იგი მაშინვე ლოგინში ჩაწვა და თავი მოიმძინარა. ოთახში შემოვიდა ბარონი და გასისხლიანებული ხანჯლით ხელში თავს დაადგა თავის შვილის აღმზრდელს; დიდხანს გაშტერებით უყურებდა მის სახეს და ყურს უგდებდა მის სუნთქვას. როდესაც დარწმუნდა, რომ სძინავს, ბარონმა თავი დაანება მას და ეს კაცი ცოცხალი გადარჩა. როგორც ხედავთ, უნაკლობა ბოროტმოქმედებაში ისევე იშვიათია, როგორც ყველა სხვა

საქმეში. რა წამსაც გუვერნერი მარტო დარჩა, სასწრაფოდ ჩაიცვა, მიუხედავად ციებ-ცხელებისა, თოკით ფანჯრიდან ნაპირზე ჩამოეშვა, ახსნა იქვე მიბმული ნავი და გაეშურა ხმელეთისაკენ და უახლოეს ქალაქში ბარონის ვერაგობის ამბავი გამოამჟღავნა. კოშკში შეამჩნიეს გუვერნერის წასვლა, მაგრამ პირველად ბარონმა გაიფიქრა, იგი ალბად ციებ-ცხელების დროს ფანჯრიდან გადავარდაო. მაგრამ თოკმა და დაკარგულმა ნავმა მალე ეჭვები აღუძრეს მას.

ვიდრე ბარონი რაიმე გამაფრთხილებელ ზომებს მიიღებდა, კოშკი უკვე ყოველ მხრივ შემორტყმული იყო ჯარებით, მას სურდა თავის დაცვა, მაგრამ მსახურებმა ულალატეს, ბარონი დაიჭირეს, პეტერბურგში მოიყვანეს და იმპერატორი პავლეს ბრძანებით მიუსაჯეს მუდმივი საკატორღო მუშაობა ციმბირში, სადაც იგი გარდაიცვალა.

ასეთი იყო სამწუხარო ბოლო იმ ადამიანის, რომელიც თავისი განათლებული გონების და კეთილშობილი ქცევის წყალობით, სულ დიდი ხანი არ არის, ევროპის საუკეთესო საზოგადოებაში იყო მიღებული და შესამჩნევ როლს თამაშობდა იქ.

ეს რომანტიული ამბავი მოგვაგონებს ჩვენ საშუალო საუკუნეებს, მაგრამ, როგორც ხედავთ, რასაც ევროპაში ადგილი ჰქონდა საშუალო საუკუნეებში, რუსეთში ეს თითქმის ჩვენ დროში ხდება. რუსეთი დასავლეთს ყველაფერში ჩამორჩა ოთხი საუკუნით.

თავი II

კრონშტადთან მიახლოვება—„რუსეთის ფლოტი—მეფის სათამაშო“.—პეტერბურგის ბუნება.—კუნძული კოტლინი და კრონშტადტის ციხე.—თანამედროვე გალერეები.—მედამოუნეები და ჯაშუშები თავს აბეზრებენ მგზავრებს.

„ნიკოლოზ I“ უახლოვდებოდა კრონშტადტს. უდაბნო ფინეთის უბემ ცოტა გამოცოცხლება დაიწყო: საიმპერატორო ფლოტის გემები, წარმოსადეგნი გარეგნულად, სერავდენ მის წყლებს სხვადასხვა მიმართულებით. ეს ფლოტი იძულებულია წელიწადის უდიდესი ნაწილი დაპყოს გაყინულ ნავთსადგურში; მხოლოდ ზაფხულის სამი თვის განძავლობაში, როგორც გავიგე, გემები მანევრებზე მიდიან საზღვაო კორპუსის კადეტებთან ერთად და მოგზაურობენ კრონშტადტსა და ბალტიის ზღვის შუა. ზღვა თავისი მკრთალი ფეხებით და ნაკლებად დასერილ წყლებით გვაუწყებს მიახლოვებას კონტინენტისადმი, რომელიც სუსტადაა დასახლებული თავისი მკაცრი ჰავის გამო. მისი უდაბნო ადგილები სავსებით ჰარმონიულად ეგუება თვით ზღვას, უდაბურს და ცივს. დაღვრეშილი ბუნება, ძუნწი და ძალა გამოლეული მზე, ნაცრის ფერი წყალი,—ყველა ეს მგზავრებს მოწყენილობას და დარდს ჰგვრის. ჯერ კიდევ არ შეხებიხარ ამ ნაკლებად მიმზიდველ ნაპირს და უკვე გსურს დაშორდე მას. ძალა-უნებურად გაგონდება ეკატერინე II ერთ-ერთი ფავორიტის სიტყვები, წარმოთქმული იმ დროს, როდესაც იგი უჩიოდა ჰავის ცუდ გავლენას მის ჯანმრთელობაზე. „მოწყალე უფლის ბრალი არ არის, დედოფალო, თუ რომ ადამიანები ბრმა ჯიუტობით აშენებენ დიდი იმპერიის სატახტო ქალაქს მიწაზე, რომელიც თვით ბუნების მიერ დანიშნულია მგლებისა და დათვების ბუნაგად“.

ჩემი თანამგზავრები არა ერთხელ სიამაყით მიმითითებდენ რუსეთის ფლოტის მიღწევებზე. მე გაკვირვებული ვარ ამ მიღწევებით, მაგრამ სულ სხვანაირად ვაფასებ ამას, ვიდრე ჩემი რუსი თანამგზავრები აფასებდენ. რუსეთის ფლოტი იმპერატორ ნიკოლოზის ქმნილებაა, ანუ უფრო სწორედ—მისი გასართობია. ეს მონარქი ერთობა პეტრე I მთავარი იდეის განხორციელებით, მაგრამ რაც უნდა მძლავრი იყოს ადამიანი, ადრე თუ გვიან იგი იძულებული

ხდება აღიარეს, რომ ბუნება ყველა ადამიანურ ძალებზე უძლიერესია. ვიდრე რუსეთი არ გამოვა თავის ბუნებრივ საზღვრებიდან, რუსეთის ფლოტი მხოლოდ მეფეების სათამაშო იქნება და მეტი არაფერი. ლორდ დიურამმა სრულიად გულახდილად უთხრა ეს პირადად ნიკოლოზ I და ამით ლახვარი ჩასცა მისი ძალა-უფლების მოყვარულ გულის ყველაზე მგრძნობიარე ადგილს. „რუსის სამხედრო გემები—რუსეთის იმპერატორის სათამაშოა.“ ჩემზე ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა რუსეთის საზღვაო ძალების ნახვამ, რომელნიც გაერთიანებულნი იყვნენ აქ, სიტახტო ქალაქის ახლო მხოლოდ მეფის გასართობად, მისი მლიქვნელი კარისკაცების საჩვენებლად და მისი კადეტების სავარჯიშოდ. ფლოტის ამ სასკოლო ვარჯიშობაში მე ვგრძნობდი მხოლოდ უკულმართად მიმართულ რკინიყელურ ნებისყოფას, რომელიც სჩაგრავს ადამიანებს, ვინაიდგან მას არ ძალუძს გარემოს მცველი ბუნების დაპყრობა. გემები, რომელნიც რამდენიმე ზამთრის განმავლობაში აუცილებლად უნდა დაიღუპნენ ისე, რომ მხარეს არავითარი სარგებლობა არ მოუტანონ, ჩემს თვალში დიდი სახელმწიფოს ძლიერებას კი არ განასახიერებენ, არამედ უბედური ხალხის მხოლოდ ტყუილ-უბრალოდ დაღვრილ ოფლს. ნახევარ წელიწადზე უფრო ხანგრძლივად გაყინული ზღვა—სამხედრო ფლოტის უდიდესი მტერია. ყოველ შემოდგომით, სამი თვის ვარჯიშობის შემდეგ, მოწაფე ბრუნდება თავის გალიაში, სათამაშო იმალება ყუთში და მხოლოდ ზღვის ყინულის ზედაპირი ეწევა სერიოზულ ომს მეფის ფინანსებთან...

არაფერი არ არის ისე მოწყენილი, როგორც პეტერბურგის მიდამოების ბუნება. რაც უფრო ღრმად შედიხარ უბეში, მით უფრო ვიწროვდება ჭაობიანი ინვერმანლანდია და თავდება წვრილი ოდნავ შესამჩნევი ზოლით. ეს ზოლი — რუსეთია; ესაა ნესტიანი და სწორე ველი, სადაც აქა-იქ ამოსული უბადურკი არყის ხეები მოსჩანს. ეს ველური და უდაბური პეიზაჟი, უგორაკო, უფერული, უსაზღვრო და იმავე დროს მოკლებული ყოველგვარ სიდიადეს, ისე სუსტადაა განათებული, რომ ძლივს მოსჩანს. უფერული მიწა აქ სრულიად ლირსია იმ ფერმკრთალი მზისა, რომელიც მას აშუქებს. რუსეთში ღამეები გვაკვირვებდენ თავიანთი თითქმის დღიური სინათლით, სამაგიეროდ დღეები სულს გვიხუთავენ თავიანთი დაღვრემილობით.

კრონშტატი, მოთუული გემების ანძების ტყით, ფორტებით და გრანიტის ჯებირებით, გულს უქარვებს მგზავრს, რომელიც ჩემსავით ფერებს ეძებს ამ უმადური მიწა-წყალზე. არსად დიდი ქალაქების ახლო, მე არ მინახავს ისეთი უბადრუკი ადგილი, როგორც

ნევის ნაპირებია. რომის მიდამოები უდაბურია, მაგრამ რამდენი ლა-
შაზი კუთხეა იქ, რაოდენი მოგონებანი, სინათლე, ცეცხლი, პოე-
ზია! კიდევ მეტს ვიტყოდი, რამდენი ვნებანი აცხოველებენ ამ ის-
ტორიულ მიწა-წყალს. პეტერბურგის წინ კი წყლის უდაბნოა, გარე-
მოცული ტორფის უდაბნოთი. ზღვა, ნაპირები, ცა — ყველაფერი გაერ-
თიანებულია; ეს—სარკეა, მაგრამ სარკე დაბინდული და უფერული,
თითქოს მოკლებული გამჭვირვალეობას და არაფრის გამომხატველი.

ასეთია პეტერბურგის გარშემო მდებარე ადგილი. ნუ თუ ამ
მწირმა ბუნებამ მოკლებულმა სილამაზეს და ელემენტარულ პირობებს
დიდი ხალხის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ისე გაიელვა
პეტრე დიდის გონებაში იმ ადგილის არჩევის დროს სატახტო ქა-
ლაქად, რომ არ გამოიწვია მასში განცვიფრება და წინააღმდეგობა ამ
ნაბიჯის გადადგმის წინ? ზღვა რადაც უნდა არ დაჭდარიყო იგი —
აი ერთად ერთი მოსაზრება, რომლითაც შეპყრობილი იყო პეტრე I.
ესაა რუსის უცნაური იდეა — დააარსოს სლავიანური იმპერიის სატახ-
ტო ქალაქი ფინების და შვედების გვერდით, ტყუილად ამბობდა პეტრე,
რომ ამით მას სურდა მხოლოდ ზღვაში გასასვლელი მიეცა რუსეთი-
სათვის. ის რომ მართლა გენიოსი ყოფილიყო, როგორც მის შესა-
ხებ ამბობენ, უნდა გაეთვალისწინებია ამ ადგილის არჩევის ყველა
უარყოფითი მხარე; პირადად მე ეჭვი არ მეპარება, რომ ამას
იგი კარგად გრძნობდა. მაგრამ, პოლიტიკამ და მე ვფიქრობ უფ-
რო მეფის ავადმყოფურმა თავმოყვარეობამ, შეურაცყოფილმა ძვე-
ლი მოსკოველების დამოუკიდებლობით, წინასწარ განსაზღვრეს ახა-
ლი რუსეთის ბედი. იგი ეხლა გვაგონებს სიცოცხლით სავსე ადა-
მიანს, რომელიც იხრჩობა ზედმეტი ძალ-ღონისაგან. მას არ მოე-
პოვება გასასვლელი თავისი სიმდიდრისათვის. პეტრე I შეჰპირდა
რუსეთს ასეთ გასასვლელს, გახსნა კიდეც მისთვის ფინეთის უბე, მაგ-
რამ მას არ ესმოდა, რომ ზღვა დაკეტილი ძალაუნებურად რვა თვის
განმავლობაში, არ შეიძლება ნამდვილ ზღვად ჩაითვალოს. მაგრამ
რუსებისათვის სახელწოდება, იარლიკი — ყველაფერია. პეტრემ, და მის
ქვეშევრდომების და მემკვიდრეების ლოწისძიებამ, რა გინდ განცვი-
ფრების ღირსი არ უნდა იყოს იგი, შექმნა მხოლოდ ისეთი ქალაქი,
რომელიც ძალიან მძიმე საცხოვრებელია და სადაც სულ მცირეოდენ
ქარის დროს ფინეთის უბეს მხრივ, ნევა დავობს ყოველ ტკაველ
მიწას და საიდანაც ყველაფერი მიილტვის სამხრეთისაკენ, თუნდაც
ამ შიმართულებით ერთი ნაბიჯის მეტის გადადგმის ნება არ მისცენ.
ბივუაკისთვის—კი გრანიტის სანაპიროები ზედმეტია.

კრონშტადტი მდებარეობს კოტლინის დაბალ კუნძულზე ფინეთის ყურეში. ეს ზღვის ციხე ამაღლებულია წყალზე იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა პეტერბუგზე მისავალი გზების დასაცავად მტერთა გემების შემოსევის დროს. ციხის საარტილერიო იარაღები, როგორც რუსები ამბობენ, დიდი ხელოვნებით არის დადგმული. სროლის დროს თითოეული ყუმბარა განსაღრულ წერტილში ხვდება და მთელი ზღვა სკდება, როგორც მინდორი გუთნით და ფარცხით. ამ ქარიშხალისებური ცეცხლის გამო, რომელიც შეიძლება მეფის ბრძანებით ყოველ წუთს დაატყდეს მტერს თავზე, პეტერბურგზე მისასვლელი გზები სრულიად დაცულია. მე არ ვიცი მხოლოდ, შეუძლიანთ თუ არა ამ იარაღებს ჩაჭკეტონ მისასვლელი გზები ორივე ფარკატერების მხრივ. ჩემი რუსი თანამგზავრები, რომელთაც შეეძლოთ ამისი ახსნა, თითქოს თავს არიდებდენ გონივრულ პასუხის გაცემას. ჩემმა ეხლანდელმა გამოცდილებამ-კი დამარწმუნა, რომ არ უნდა ვენდო ძალიან იმ გადამეტებულ ქებას, რომელსაც რუსები ასე ხშირად მიმართავენ თავიანთი ბრძანებლის სამსახურში უზომო ერთგულების გამოჩენის დროს. ნაციონალური სიამაყის გაგება შეიძლება მხოლოდ თავისუფალ ხალხს ჰქონდეს. იგი აუტანელი ხდება, როდესაც ის გვევლინება მხოლოდ მონური მლიქნელობის გამო. მთელი ეს ქება-დიდება მე მგონია ნაკარნახევია მხოლოდ შიშით და მთელი თავხედობა, რომელსაც ჩვენი მოგზაურობის დროს ჩემი რუსი თანამგზავრები იჩენდენ, მხოლოდ მათ სულიერ თვისებების დაბალ დონეს მოწმობს. ეს შთაბეჭდილება არ ჰქმნის ჩემში დიდ მეგობრულ განწყობილებას მათდამი.

როგორც საფრანგეთში, ისე აქ, გემზე, მე მუდამ ორნაირი ტიპის რუსებს ვხვდებოდი: ერთნი ამაო თავმოყვარეობით შეპყრობილნი, უზომოდ აქებენ თავიანთ სამშობლოს, ხოლო მეორეთ სურთ თავიანთი თავი კულტურულ და განათლებულ ადამიანებად გვაჩვენონ. ჩამოვარდება თუ არა ლაპარაკი რუსეთზე, ეს უკანასკნელნი მის მიმართ ან ღრმა ზიზღს გამოსთქვამენ ან და სრულ გულგრილობას. აქამდე არც ერთ მათგანს არ ვაძლევდი ნებას რომ მოვეტყუილებინე. მაგრამ მე მსურდა მესამე ტიპის რუსებიც შეპოვნა—უბრალო, გულწრფელი ადამიანები, და აი სწორედ იმათ დაუწყეს ძებნას რუსეთში.

ჩვენ კრონშტადტში ღამის 12½ საათზე მოვედით, ანუ, უფრო სწორედ, იმ ერთ-ერთი დღის განთიადზე, რომელსაც არც დასაწყისი აქვს და არც ბოლო; თუმცა მე არ ძალმიძს მათი აღწერა, მაგრამ მე მუდამ აღფრთოვანებული ვარ ამ დღეებით. გემი ჩაძინებული ციხის პირდაპირ გაჩერდა, და ჩვენ დიდხანს უნდა გვეცადნა,

ვიდრე გაიღვიძებდა მოხელეების მთელი ურდო, რომელნიც მწკრივად ჩვენსკენ გამოემართა. გამოჩნდენ პოლიციის კომისრები, საბაჟოს დირექტორები და ვიცედირექტორები და ბოლოს თვით საბაჟოს უფროსი. ამ წარჩინებულმა ბატონმა, სჩანს, თავის მოვალეობად ჩასთვალა პირადად მოსულიყო ჩვენთან სადარბაზოდ განსაკუთრებით მაღალ ხარისხოვან რუს პასაჟირების გამო, რომელნიც ჩვენი „ნიკოლოზ I"-ის ბორტზე იმყოფებოდნენ. მან ხალისიანად ბაასი დაუწყო თავადებს და მათ მეუღლეებს, რომელნიც საზღვარგარეთიდან პეტერბურგში ბრუნდებოდნენ. ისინი რუსულად ლაპარაკობდენ, რადგანაც ალბათ დასავლეთ ევროპის პოლიტიკაზე მსჯელობდენ. ხოლო როდესაც შეეხენ გემიდან გადმოსვლის სიძნელეს და ჩვენი გემის დატოვების აუცილებლობას, რათა მეორე უფრო პატარა გემზე გადამსხდარიყვნენ, წარჩინებულმა მოსაუბრეებმა ისევ ფრანგულად დაიწყეს ლაპარაკი.

პაკეტროტი „ნიკოლოზ I" ძალიან ღრმად ივჯდა წყალში და არ შეეძლო ასვლა ზემოდ ნავახე. ამიტომ იგი კრონშტადტში დარჩა ჩვენი ბარგით, პასაჟირები პეტერბურგში უნდა მიეყვანათ მეორე, პატარა, ჭუჭყიან და ცუდათ გამართულ გემზე. ჩვენ ნება დაგვრთეს თან წაგველო მხოლოდ ხელით სატარებელი ბარგი და პატარა ჩემოდნები. რომელნიც დაბლომბილნი იყვნენ კრონშტადტში საბაჟოს მოხელეების მიერ. როდესაც ეს ოპერაცია დამთავრდა, ჩვენ გავეშგზავრეთ იმ იმედით, რომ ჩვენ ბაგაჟს პეტერბურგში ვნახავდით ორი დღის შემდეგ. ჯერ-ჯეროობით კი მიტოვებული იყო... ღვთისა და საბაჟოს ზედამხედველების ამარად. ისევე, როგორც მე, უბრალო მოგზაურს, რუს თავადებსაც, უნდა გამოევლოთ საბაჟოს ჩხრეკის ყველა ფორმალობა, და მდგომარეობათა ასეთი თანასწორობა პირველად ძალიან მომეწონა. მაგრამ პეტერბურგში მოსვლის დროს, დავინახე, რომ ისინი თავისუფალნი იყვნენ სამი წუთის შემდეგ, მაშინ როდესაც მე სამი საათი უნდა მებრძოლა საბაჟო ცერბერების ყოველგვარ შარების წინააღმდეგ. დესპოტიზმის ნიადაგზე აღმოცენებული უპრივილეგიობა, რომელიც მე ერთი წუთით მომეჩვენა, ისევე უეცრივ გაჰქრა, და ამის შეგნებამ სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო.

სრულიად უმნიშვნელო და ზედმეტ გამაფრთხილებელ ზომების სიუხვე საბაჟოში ჩხრეკის დროს აუცილებლად ხდის ყოველგვარ მოხელეების უამრავ რიცხვს. თითოული მათგანი თავის საქმეს ისეთი პედანტიზმით, რიგორიზმით და თავხედობით ასრულებს, რომელ-

საც მხოლოდ ერთად-ერთი მიზანი აქვს—მიეცეს განსაზღრული მნიშვნელობა თვით უაღრესად პატარა მოხელესაც კი. იგი თავის თავს ნებას არ აძლევს ერთი ზედმეტი სიტყვა წარმოსთქვას, მაგრამ ცხადად სჩანს, რომ გამსჭვალულია თავისი სიდიადის შეგნებით. „პატივისცემით მომეპყარით! მე დიადი სახელმწიფო მანქანის ნაწილი ვარ". ხოლო სახელმწიფო მექანიზმის ეს ნაწილები, რომელნიც ბრმად ასრულებენ სხვის ნებას, მხოლოდ საათის პატარა ბორბლებს მოგვაგონებენ,—რუსეთში კი მათ ადამიანებს უწოდებენ. როდესაც ამ ავტომატებს უყურებდი, მე ტანში ჟრუანტელი მივლიდა. რაოდენი არაბუნებრივობაა ადამიანში, რომელიც უსულო მანქანად არის გადაქცეული. თუ რომ იმ ქვეყნებში, სადაც მანქანები უხვად მოიპოვება, თვით ხე და ლითონიც სულიერ საგნებად გვეჩვენება, პირიქით, დესპოტიზმით დაჩაგრულ ქვეყნებში ადამიანები ხისაგან შექმნილად გვეჩვენებიან. ძალაუნებურად ჰკითხავ შენ თავს, რაში უნდა გამოიყენონ მათ სრულიად ზედმეტი გონება და უეცრივ გრძნობ სასოწარკვეთილებას, როცა ფიქრობ, თუ რაოდენი ძალა და ძალმომრეობაა საჭირო, რომ ცოცხალი ადამიანები უსულო ავტომატებად გადააქციო. რუსეთში მე სიბრალულს ვგრძნობდი ადანიანებისადმი, ისე როგორც ინგლისში ვერიდებოდი მანქანებს. იქ ამ ადამიანურ ხელთა ქმნილებებს მხოლოდ სიტყვა აკლდა, აქ-კი იგი სრულიად ზედმეტი იყო სახელმწიფოს მიერ შექმნილ ცოცხალ მანქანებისთვის.

ეს ცოცხალი მანქანები მეტის-მეტად ზრდილობიანად იქცეოდენ. ეტყობოდათ, რომ ისინი აკვნიდანვე მიჩვეულნი იყვნენ ამ ზრდილობას, როგორც ჯარისკაცი მიჩვეულია იარაღის ტარებას მაგრამ რა ფასი აქვს ამ უაღრეს ზრდილობას, როდესაც იგი სრულდება მხოლოდ ბრძანებით და მონური შიშით თავისი უფროსების წინაშე!

მთელი ამ ჯაშუშთა მასის დახახვამ, რომელნიც ასე გულმოდგინედ აწარმოებდენ ჩვენს დაკითხვას, ნერვიულ მთქნარებამდე მიმიყვანეს, და ეს მთქნარება შეიძლებოდა მალე ცრემლებადაც გადაქცეულიყო, არა საკუთარი თავის, არამედ უბედურ ხალხის ბედის გამოტირებად. ამდენი წვრილმანი სიფრთხილე, რომელიც აქ ალბად აუცილებლად მიაჩნდათ, სხვაგან კი არსად არ შეგხვდებათ; აშკარად მოწმობს იმას, რომ ჩვენ შევდივართ მხოლოდ შიშით მოცულ იმპერიაში, ხოლო შიში ხომ განუყოფელია მწუხარებასთან. და მეც ზრდილობის გულისთვის, რათა საერთო სულიერი განწყობილება გამეზიარა, ერთსა და იმავე დროს შიშსაც განვიცდიდი და მოწყენილობასაც. ჯერ კი-

დევ კრონშტადტში მე მთხოვეს გადმოვსულიყავი ჩვენი გემის დიდ დარბაზში, სადაც უნდა წარვმდგარიყავი მოხელეთა არეოპაგის წინაშე, რომელიც პასაჟირებს დაჰკითხავდა. ამ ტრიბუნალის წევრები, რომელნიც უფრო მრისხანედ გამოიყურებოდნენ, ვიდრე იმპოზანტურად, დიდ მაგიდას შემოსხდომოდნენ და განსაკუთრებული ყურადღებით ფურცლავდენ მათ წინ მდებარე რეესტრებს. თითქოს სჩანდა, რომ ისინი შთანთქმულნი იყვნენ რაღაც სერიოზული საიდუმლო დავალებით, თუმცა მათ მიერ დაკავებული თანამდებობანი არ შეეფერებოდა მათ ნაძალადევ სიდარბაისლეს. ზოგი მათგანი, კალმით ხელში, ისმენდა პასაჟირების ანუ უკეთ სწორედ, ბრალდებულთა პასუხებს, რადგანაც, ალბად, ყველა უცხოელი, რუსეთის საზღვარზე მოსული, წარმოდგენილია წინასწარ, როგორც ბოროტმოქმედი. სხვები ამ პასუხებს მაღალი ხმით მწერლებს გადასცემდენ, ამასთანავე ჩვენი პასუხები ითარგმნებოდა ფრანგულიდან გერმანულად და გერმანულიდან რუსულად და უკვე ამ სახით, შეიძლება საკმაოდ დამახინჯებულადაც, ეს პასუხები მწერლებს ჟურნალში შეჰქონდათ. შეჰქონდათ ჩვენ პასპორტებში გაწერილი სახელები, ყველა თარიღები და ვაზები, ამასთანავე ყველაფერი ეს მათ მიერ ფრიად დიდი და განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა განხილულიყო. მაგრამ იმავე დროს ამ მორალური წამებით დატანჯულ პასაჟირებს ყალბი ზრდილობით ეკითხებოდენ და საბაჟოს მოსამართლეების ყოველ ფრაზას თითქოს მიზნად ჰქონდა დასახული ნუგეში ეცათ ამ უბედურთათვის, რომელნიც საბრალდებულო სკამებზე ისხდნენ მათ წინაშე.

ხანგრძლივი დაკითხვის შემდეგ, რომელიც მე განვიცადე სხვა პასაჟირებთან ერთად, პასპორტი ჩამომართვეს და აქის ნაცვლად ხელი უნდა მომეწერა რაღაც ბლანკზე; ამ უკანასკნელის საშუალებით კი, როგორც მიფხრეს, შემეძლო ჩემი პასპორტის მიღება პეტერბურგში. თითქოს, ყველა პოლიციური ფორმალობა დამთავრებული იყო. ყველა პასაჟირი და მათი ბარგი უკვე მეორე გემზე იყო, ოთხი საათი ვიდექით დაქანცულნი კრონშტადტის წინ, მაგრამ ჯერ მაინც გქში გასვლაზე არავინ ფიქრობდა.

ყოველ წუთს ქალაქიდან გამოდიოდა შავი ნავები და ნელნელა გვიახლოვდებოდენ. თუმცა ჩვენ ქალაქის კედლების ახლო ვიდექით, ირგვლივ სამარისებური სიჩუმე სუფევდა. არც ერთი ხმა არ მოისმოდა ამ სამარიდან, და ჩვენს ირგვლივ ნავებით მცურავი აჩრდილები მუნჯნი იყვნენ ქვებივით, რომელნიც მათ აი ეს იყო დასტოვეს. ყველაფერი ეს ჩვენზე რაღაც სამგლოვიარო პროცესიის

შთაბეჭდილებას ახდენდა: ეს პროცესია თითქო მხოლოდ მკვდრის კუბოს მოლოდინში იყო. იმ ადამიანებს, რომელნიც ამ ჩაბნელებულ ჭუჭყიან პატარა გემებზე მოცურავდენ, უბრალო მატყლის კურტკები ეცვათ; მათი მომწვანო და ყვითელი სახეები მოკლებული იყო ყოველგვარ გამომეტყველებას. ესენი, როგორც მე შემდეგში მითხრეს, კრონშტადტის გარნიზონის მატროსები იყვნენ.

უკვე დიდი ხნის გათენებული იყო, თუმცა ამ დღეს არ მოუტანია ჩვენთვის მეტი სინათლე, ვიდრე დილის განთიადს მოიქვს. ჰაერი შეხუთული იყო და მზე, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ასული მაღლა ზღვაზე, წყალში მოსჩანდა და თითქოს მხედველობას ღლიდა. ნაგების უდიდესი ნაწილი ჩვენს ირგვლივ ტრიალებდა და არავინ გადმოჰყავდა ჩვენი გემის ბორტზე. ხან კი ექვს ან თორმეტ დაძონძილ შენავეს, რომელნიც ნახევრად იყვნენ დაფარულნი ცხვრის ქურქებით, მოჰყავდათ ჩვენსკენ კიდევ ერთი პოლიციელი აგენტი, გარნიზონის ოფიცერი ანუ საბაჟოს ზედამხედველი. და სულ ახალ-ახალი პირების განუწყვეტელი მიმოსვლა, რომელიც სრულიად არ აჩქარებდა საქმეს, მე საკმაო დროს მაძლევდა, რომ აღმენიშნა ჩრდილოელთა რაღაც არაჩვეულებრივი სიბინძურე. სამხრეთელები თავიანთ სიცოცხლეს ნახევრად შიშველნი ატარებენ ჰაერზე ანდა წყალში. ჩრდილოეთში-კი ხალხი მუდამ ჩაკეტილი ცხოვრობს და თავისი განსაკუთრებული სიბინძურით გაცილებით უფრო ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე სამხრეთელები, რომელნიც ღია ცის ქვეშ ცხოვრობენ და მხურვალე მზის სხივებში არიან გახვეულნი.

იმ მოწყენილობამ, რომელიც გამოიწვია ჩემში უაზრო და წვრილმანმა საბაჟოს ფორმალისტიკამ, საშუალება მომცა კიდევ ერთი დაკვირვება მომეხდინა: რუსი კაბის კაცები ძალიან მძიმედ ეგუებიან რუსეთის საზოგადოებრივი წესწყობილების ყველა უხერხულობას, როდესაც ეს უკანასკნელი პირადად მათ ეხება. „რუსეთი — სრულიად უაზრო ფორმალობის ქვეყანაა“ — რას ჩასჩურჩულებდენ ისინი ერთმანეთს ფრანგულად, რათა ეს მათ ირგვლივ მყოფ უამრავ მოხელეებს არ გაეგონათ. მე დიდხანს დამამახსოვდა ეს შენიშვნა, რომლის სიმართლეშიც შემეძლო თვით დავრწმუნებულიყავი არა ერთხელ მაგრამ ყველა იმის შემდეგ, რაც მე ჩემი მოგზაურობის დროს ვნახე და ჩემი რუსი თანამგზავრებისაგან გავიგონე, საერთოდ ვფიქრობ, რომ წიგნი ამ სათაურით: „რუსები თვით რუსებისვე შეფასებით“, მათთვის ძალიან მკაცრი და შეუბრალებელი იქნებოდა. სამშობლოსადმი სიყვარული რუსებისათვის მხოლოდ საშუალებაა, რომ ოფიციან-

ბატონს ასიამოვნონ როდესაც ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მათი ბატონი და მბრძანებელი ამას ვერ გაიგონებს, ისინი ყველაფერზე განსაკუთრებული გულახდილობით ლაპარაკობენ, და ეს გულახდილობა მით უფრო საშინელია, რომ იგი უაღრესად სახიფათოა მათ მსმენელთათვის.

ბოლოს გავიგეთ ჩვენი ესოდენ ხანგრძლივი დაგვიანების მიზეზი: გემზე გამოცხადდა რუსული საბაჟოს უფროსთ-უფროსი, მთავართ-მთავარი და დირექტორთ-დირექტორი. ეს თურმე უკანასკნელი ვიზიტი იყო, რომელსაც ჩვენ არ ველოდით, ისე დიდხანს ვიდექით იქ. ბობოლა მოხელეს მუნდირი-კი არ ეცვა, არამედ ფრაკი; იგი პირველად დარდიმანდი კაცის როლში მოგვევლინა და ყოველნაირად ცდილობდა თავი მოეწონებინა და ზრდილობიანად მოპყრობოდა რუსის ქალებს. მან მოაგონა თავადის მეუღლეს № შეხვედრაზე ერთ არისტოკრატიულ სახლში, სადაც იგი ნამდვილად არასოდეს არ ყოფილა. იგი უამბობდა ამ ქალს სასახლის ბალებზე, სადაც მას იგი არასოდეს არ უნახავს. მოკლედ, იგი ჩვენთან და განსაკუთრებით ჩემთან ფრიად სულელურ კომედიას თამაშობდა, რადგანც მე ვერ გამიგია, რანაირად შეიძლება კაცმა თავი უფრო დიდად მოაჩვენო იმ ქვეყანაში სადაც მთელი ცხოვრება სასტიკად არის შეზღუდული რეგლამენტებით და სადაც ყველას ჩინი ქუდზე ან ეპოლეტებზე აწერია. მაგრამ ადამიანი, სჩანს, ყველგან ერთი და იგივეა. ჩვენი დარდიმანდული მანერებით აღფურვილი სალონის კავალერი მალე შეუდგა საქმეს. მან ზრდილობიანად გვერდზე გადასდო რაღაც აბრეშუმის ქოლგა, შემდეგ ჩემოდანი, ნესესერი და ხელახლა გულცივად ჩხრეკა დაუწყო ჩვენ ბარგს, რომელიც უკვე დიდი ყურადღებით იყო გაჩხრეკილი მის ხელქვეითი მოხელეების მიერ. ეს, იმპერიის მთავარი ციხის დარაჯი მთელი გემის ჩხრეკას განსაკუთრებული ყურადღებით და გულდასმით აწარმოებდა. ჩხრეკა უზომოდ დიდ ხანს გრძელდებოდა და ზრდილობიანი ლაპარაკი, რომელიც მუდამ თან სდევდა მუშკის სურნელებით გაჟღენთილ საბაჟოს ცერბერის საზიზღარ საქმიანობას, კიდევ უფრო აორკეცებდა მის მიერ შექმნილ უმსგავს შთაბეჭდილებას. მაგრამ, ბოლოს, თავი დავაღწიეთ საბაჟოს მოხელეების ყველა ცერემონიებსაც, პოლიციის თავაზიანობასაც, სამხედრო პირების მისალმებებსაც და წარმოუდგენელი სიღარიბის საშინელ სანახაობას, რომელიც ასახიჩრებს კაცობრიობას და განსახიერებული იყო აქ რუსეთის საბაჟოს მეზღვაურებში; ეს უკანასკნელნი მთელი თავისი გარეგნობით რაღაც განსაკუთრებულ და ჩვენთვის სრულიად უცხო რასის ადამიანებს წააგავდნენ. რადგანაც მე არაფრით არ შემე-

ძლო შველა, ამიტომ მათი ცქერა აუტანელი ხდებოდა ჩემთვის, და ყოველთვის, როდესაც ეს უბედურები გემის ბაქანზე გადმოსხამდენ საბაჟოს, ანუ საზღვაო პოლიციის (რუსეთის იმპერიის ყველაზე სასტიკი პოლიციის) რომელიმე მოხელეს, — მე თვალს ვარიდებდი ამ სურათს. ეს მეზღვაურები, უბადრუკნი, ღონე მიხდილნი, და ჭუჭყიანი ძონძებით შემოსილნი, შეურაცხყობას აყენებენ თავიანთ სამშობლოს. როგორც კატორღელებს გალერებზე, მათ მისჯილი ჰქონდათ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ეს მოხელეები და ოფიცრები-გადამოეყვან-გადაეყვანათ კრონშტადტიდან უცხოეთის გემების ბაქანზე. როდესაც მათ ტანჯულ სახეს ვუყურებდი და ვფიქრობდი, რომ მათი სიცოცხლის მთელი აზრი და დანიშნულება განუწყვეტლივ კატორღულ მუშაობაშია, ძალა-უნებურად ვეკითხებოდი ჩემ თავს, რა სასტიკი დანაშაული მიუძღვის ადამიანს ღვთის წინაშე, რომ 60 მილიონ ადამიანის მსგავს არსებას მისჯილი აქვს რუსეთში ცხოვრება?

როდესაც გემი დაიძრა, მე მივედი თავად კ-თან.

,,თქვენ რუსი ხართ, — ვუთხარი მას, — ნუ თუ თქვენ ისე ნაკლებად გიყვართ თქვენი სამშობლო, რომ არ შეგიძლიანთ უთხრათ შინაგან საქმეთა მინისტრს ან და იმას, ვისაც პოლიცია ემორჩილება, თუ რა აუცილებელია ყველა ამის შეცვლა! დაე ერთხელ მაინც გადაიცვას მან უცხოეთის ტანსამოსი, კრონშტადტში მოვიდეს, რათა თავისი თვალებით დაინახოს და დარწმუნდეს, თუ რას ნიშნავს რუსეთში მოსვლა ''

თ ა ვ ი III

პეტერბურგის საერთო სურათი ნევიდან. — უკანასკნელი ჩხრეკა და დაკითხვა. — პოლიციელ მაძებართა დაბელოვნება.— ბარგის არევ-დარევა.—გერმანული სახე.—სპილენძის მხედარი.—საჴამთრო სასახლის აშენება.—უზენაესი დაწყებულების მსხვერპლნი ათასობით.—კიუსტინი იგონებს გერბერნშტეინს.—მოსკოვის სამეფო და ნიკოლოზის რუსეთი.

ხმელეთის ვიწრო ხაზი, რომელსაც ჯერ კიდევ შორიდან აშჩნევ ცასა და ზღვას შუა, ზოგიერთ პუნქტებში ოდნავ მაღლა იღუნება: რუსეთის ეს ახალი სატახტო ქალაქის შენობებია. მიახლოვებისთანავე, თანდათან ნათლად მოსჩანს საყდრების მოოქრული გუმბათები, ძეგლები, მთავრობის დაწესებულებათა შენობები, ბირჟის ფრონტონი, სკოლის შენობების თეთრი კოლონადები, მუზეუმები და გრანიტის სანაპიროზე გაშენებული ყაზარმები და სასახლეები. ხოლო, როდესაც თვით ქალაქში შედიხარ, პირველ ყოვლისა თვალში გეცემათ გრანიტის სფინქსები, რომელნიც მძლავრ შთაბეჭდილებას ახდენენ. ამ ანტიკური სკულპტურის ასლებს, როგორც ხელოვნების ნაწარმოებს თავისთავად არავითარი ფასი არ აქვს, მაგრამ სასახლეების ქალაქის საერთო სურათი აქედან დიდებულია. ამისდამიუხედავად კლასიკური არქიტექტურის მიბაძულება, რომელიც მკაფიოდ მოსჩანს ახალ შენობებში, რაღაც უხერხულობას ჰქმნის, როდესაც გახსენდება, თუ რა ცის ქვეშ არის ასე უგუნურად გადმოტანილი ანტიკური შემოქმედების ეს ასლები. მაგრამ მალე ყურადღებას იპყრობს ყოველმხრივ მჭიდროდ მდებარე ტაძრების, სამრეკლოების, ეკლესიათა ლითონის წვეტების სიუხვე და გარეგანი შეხედულება. აქ ყოველ შემთხვევაში მოსჩანს საკუთარი ნაციონალური სტილი. რუსულმა ეკლესიებმა თავიანთი პირვანდელი ორიგინალობა შეინარჩუნეს. რასაკვირველია, რუსებს არ გამოუგონიათ ეს მძიმე თავისებური სტილი, რომელსაც ბიზანტიურს უწოდებენ. ბერძნული ეკლესიის მიმდევრები თავიანთი ხასიათით, რწმენით, აღზრდით და ისტორიული წარსულით ძალაუნებურად ერიდებიან რომაულ-კათოლიკურ კულტურას, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მათ ნიმუშები თავიანთ შენობებისათვის ათინაში კი არ უნდა ეძებნათ, არამედ კონსტანტინოპოლში.

პეტერბურგის სანაპიროები ნევიდან ძალიან დიდებული და ლამაზია. მაგრამ საკმარისია ფეხით შეეხო მიწას და უმალვე დარწმუნდები, რომ ეს სანაპიროები დაგებულია ცუდი და უსწორ-მასწორო ქვა-ფენილით, რომელიც უვარგისია, როგორც შესახედათ, ისე ფეხით და ეტლით მოსიარულეთათვის. აქ უყვართ ყველაფერი გარეგნული, ყველაფერი, რაც ბჭყვრიალებს: ტაძრების მოოქრული წვეტები, რომელნიც წამახვილებული არიან მეხთამრიდების მსგავსად; პატარა ნავთსადგურები, რომელთა საძირკველები თითქმის იკარგებიან წყალქვეშ, სვეტებით მორთული მოედნები, მათ ირგვლივ მდებარე უდაბნო ადგილებს შორის რომ იკარგებიან; ანტიკური ძეგლები, რომელნიც თავიანთი გარეგნობით, სტილით და ჩაცმულობით ისეთ ძლიერ კონტრასტს წარმოადგენენ თავისებურ ნიადაგთან, ცის ფერთან, მკაცრ ჰავასთან და ხალხის გარეგნობასა, ტანისაცმოსსა და ცხოვრებასთან შედარებით, რომ თითქოს გმირები არიან, ტყვედ წაყვანილნი შორეულ და უცხო მტრების მიერ. წარმართთა ღმერთების დიდებული ტაძრები, რომელნიც თავიანთი ჰორიზონტალური ხაზებით და მძაფრი გამოხატულობით ასე საკვირველად აგვირგვინებენ ონნიის მთიან ნაპირებს, აქ პეტერბურგში, თაბაშირის და კირის გროვას ჰგვანან. ბუნება აქ პეტერბურგში ადამიანებისაგან სწორედ იმის საწინააღმდეგოს მოითხოვდა, რასაც ისინი ჰქმნიდნენ. ნაცვლად წარმართთა ტაძრების მიბაძვისა მათ უნდა აეგოთ შენობები გაბედული კონტურებით და ვერტიკალური ხაზებით, რათა გაეკვეთათ პოლიარული ცის დრუბელი და შეეწყვიტათ პეტერბურგის ბარს შემორტყმული ნესტიანი და უფერული სტეპების ერთგვაროვნება.

რა გინდ გამალიზიანებელიც უნდა იყოს ასეთი სულელური წაბაძულება, რომელიც აფუჭებს პეტერბურგის საერთო სახეს, მაინც არ შეიძლება არ გაიკვირვო, როდესაც უცქერი ამ ქალაქს, ზღვიდან ამოსულს ერთი ადამიანის ბრძანებით და იგონებ მის შეუპოვარ ბრძოლას მუდმივ წყალდიდობისაგან თავის დასაცავად. ეს მძლავრი ნებისყოფის შედეგია, და თუ აღფრთოვანებული არა ხარ ამით, ყოველ შემთხვევაში გეშინიან მისი; ეს კი პატივისცემას უდრის თითქმის.

ჩვენმა კრონშტადტის გემმა ღუზა თვით ქალაქთან გადაისროლა, ინგლისურ გრანიტის სანაპიროს წინ, რომელიც მდებარეობს მთავარი საბაჟოს შენობის პირდაპირ, ცნობილ მოედნის ახლო, სადაც კლდეზე პეტრე დიდის ძეგლია აღმართული. ჩვენ აქ კიდევ [illegible] ბანს გავრბოდით და ეი რა მიზეზით. შე ეარ [illegible] ყველა

მელაპარაკნა ახალ განცდებზე, რომელიც მე გამოვიარე პოლიციისა და მისი ერთგული მოკავშირის—საბაჟოს მიერ სხვადასხვა უბრალო ფორმალობის შესრულების საბაბის გამო. მაგრამ მაინც აუცილებელია წარმოდგენა ვიქონიოთ იმ უზომო სიძნელეთა შესახებ, რომელიც უცხოელს ელის რუსეთის საზღვაო საზღვარზე: ამბობენ ხმელეთის საზღვრით შესვლა გაცილებით უფრო ადვილიაო.

პეტერბურგში წელიწადში სამ დღეს მზე აუტანელია, და გუშინ, თითქოს ჩემი მოსვლის პატივსაცემად, სწორედ ერთი ამ დღეთაგანი იყო. დაიწყო იქიდან, რომ ჩვენ,—რასაკვირველია უცხოელები და არა რუსები,—საათზე მეტი გაგვაჩერეს გემის ბაქანზე, ზედმზის გულზე. ჯერ დილის 8 საათი იყო, მაგრამ დღე უკვე ღამის პირველი საათიდან დაიწყო. ამბობდენ, ტემპერატურა 30° აღწევდა რეომიურითო; არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩრდილოეთში სიცხის ატანა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე სამხრეთის ქვეყნებში, რადგანაც იქ ჰაერი უფრო მძიმეა და ცა ხშირად დაფარულია ღრუბლებით. შემდეგ ჩვენ ხელახლა უნდა წარვმდგარიყავით ახალი ტრიბუნალის წინაშე, რომელიც შეკრებილი იყო კაიუტ-კომპანიაში, როგორც კრონშტადტში. და კვლავ დაიწყო ისევ ის შეკითხვები, იმავე თავაზიანობით, ამას მოჰყვა ჩემი პასუხები, რომელსაც რუსულად იმავე ფორმალობით გადასცემდენ.

— მაინც რა მიზნით მოხვედით რუსეთში?

— რათა ამ მხარეს გავეცნო.

— მაგრამ ეს საბაბი არ არის მოგზაურობისათვის.

— მე სხვა საბაბი არ მაქვს.

— ვის ნახვას აპირებთ პეტერბურგში?

— ყველასი, ვინც ნებას დამრთავს, რომ გავიცნო.

— რამდენ ხანს აპირებთ დარჩენას რუსეთში?

— არ ვიცი.

— მაინც დაახლოვებით.

— რამდენიმე თვეს.

— თქვენ იქნებ რაიმე დიპლომატიური დავალება გაქვთ?

— არა.

— იქნებ საიდუმლოა ეს?

— არა.

— ან იქნებ რაიმე მეცნიერული მიზანია?

— არა.

— ხომ არ ხართ გამოგზავნილი თქვენი მთავრობის მიერ ჩვენი სოციალური და პოლიტიკური წესწყობილების შესასწავლად?

— არა.

— რაიმე სავაჭრო დავალება ხომ არ გაქვთ?

— არა.

— მაშ თქვენ მხოლოდ ცნობის მოყვარეობის გამო მოგზაურობთ?

— დიახ.

— რაღა სწორეთ რუსეთში გამოემგზავრეთ ამისათვის?

— არ ვიცი...

— სარეკომენდაციო წერილები ხომ არ გაქვთ ვისთანმე.

მე წინდაწინვე გაფთხილებული ვიყავი, რომ ამ შეკითხვაზე გულახდილი პასუხი არ მიმეცა, და მხოლოდ ჩემი ბანკირი მოვიხსენიე.

ამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოდან გამოსვლის დროს მე იქვე ბევრი ჩემი „თანამოზიარე" დავინახე. ეს უცხოელები ხელახლად იქნენ დაკითხულნი ვითომდა რაღაც ახალი უწესრიგობის გამო მათ პასპორტებში. რუსულ პოლიციის მაძევრებს რაღაც განსაკუთრებული ყნოსვა აქვთ და თვითეულ პასაჟირის პიროვნების მიხედვით ისინი იძიებენ მათ პასპორტებს ამა თუ იმ სისასტიკით. საერთოდ, როგორც მე ვეღოდი, მოსულ უცხოელებს ისინი სრულიად არ ეპყრობოდენ ერთნაირად. ვიღაც იტალიელი კომერსანტი, რომელიც ჩემ წინ მიდიოდა, შეუბრალებლად გაჩხრიკეს. იგი იძულებული იყო გაეხსნა თავისი ფულის ქისა, გაჩხრიკეს მისი ტანისამოსი, როგორც ზემოდან, ისე შიგნით, და არ დასტოვეს უყურადღებოდ საცვალიც კი. მე გავიფიქრე, თუ მეც ასე მომექცენ, სჩანს ძალიან საეჭვოდ მივაჩნივართ მეთქი. ჯიბეები სავსე მქონდა ყოველნაირი საარეკომენდაციო წერილებით, რომელიც პარიზში მივიღე; მათ შორის იყო თვით რუსეთის ელჩის წერილიც და აგრეთვე სხვა ცნობილი პირების წერილებიც, მაგრამ ისინი დაბეჭდილები იყვნენ და ამ გარემოებამ მაიძულა არ შემენახა საგზაო ნესესერში. მე მაგრად შევიკარი ჩემი სერთუკი, როდესაც დავინახე, რომ პოლიციელი მაძებრები მომიახლოვდნენ, მაგრამ მათ ნება დამრთეს გამევლო და აღარ გამჩხრიკეს. სამაგიეროდ, როდესაც მე მომიხდა საგზაო ყუთების გახსნა საბაჟოს მოხელეების წინაშე, ამ ახალმა მტრებმა განსაკუთრებული სიბეჯითით, თუმცა კი იმავე უცვლელი ზრდილობით, დაიწყეს ჩემი ბარგის და განსაკუთრებით წიგნების ჩხრეკა. ეს უკანასკნელნი თითქმის სულ წამართვეს. ჩემს პროტესტებს და შენიშვნებს არავითარი ყურადღება არ მიაქციეს. წიგნებს ვარდა მე წამართვეს ორი წყვილი საგზაო რევოლვერი და

ძველებური ჯიბის საათი. ამაოდ ვეხვეწებოდი აეხსნათ ჩემთვის მიზეზი ასეთი კონფისკაციისა; მე მამშვიდებდენ მხოლოდ იმ იმედით, რომ ყველა ეს ნივთები დამიბრუნდებოდა, რასაკვირველია, ახალი ხანგრძლივი ლოდინის და წვალების შემდეგ. ძალა-უნებურად გულში ვიმეორებდი ჩემ წარჩინებულ თანამგზავრების სიტყვებს: „რუსეთი — უარო ფორმალობის ქვეყანაა“.

უკვე მთელ დღე და ღამეზე მეტია, რაც პეტერბურგში ვარ და კიდევ ვერ განვთავისუფლებულვარ საბაჟოსაგან, ყველა უბედურებას ზედ დაერთო კიდევ ის, რომ ჩემი ბარგი, წამოსული კრონშტადტიდან ერთი დღით ადრე, ვიდრე დაპირებული იყო, მოვიდა არა ჩემი მისამართით, არამედ ვილაც რუსი თავადის სახელზე. მე მომიხდა ხელახლად დაუსრულებელი მოლაპარაკების გამართვა, ვიდრე საბაჟოს ეს შეცდომა გამოირკვეოდა; საქმე ძალიან გართულდა კიდევ იმიტომ, რომ თავადი, რომელმაც ჩემი ბარგი მიიღო, უკვე წასულიყო. ამ არევ-დარევის გამო მე მიხდებოდა კიდევ დიდხანს დარჩენა უბარგოთ.

ბოლოს, 9—10 საათზე გავნთავისუფლდი საბაჟოს ტყვეობიდან და შემეძლო პეტერბურგში შევსულიყავ; ამ დროს ძალიან დამეხმარა ვილაც გერმანელი მოგზაური, რომელსაც მე „შემოხვევით“ შევხვდი ნაპირზე. თუ ის ჯაშუშია, ყოველშემთხვევაში ძალიან თავაზიანია. იგი თავისუფლად ლაპარაკობდა რუსულად, იშოვა ჩემთვის ეტლი და უშველა ჩემ მოსამსახურეს შიგ ჩაეწყო ჩემი ბარგის ნაწილი, რომლის მიღებაც მე მოვახერხე, და იგი კულონის სასტუმროში მიეტანა.

კულონი ფრანგია და მისი სასტუმრო საუკეთესოდ ითვლება პეტერბურგში, მაგრამ ეს კიდევ არ არის იმის თავდები, რომ იქ შეიძლებოდეს კარგად მოწყობა. უცხოელები რუსეთში მალე ჰკარგავენ თავიანთ ნაციონალურ თვისებებს. თუმცა არასოდეს არ ხდება მათი ასიმილაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან. ჩემმა თავაზიანმა გერმანელმა მიშოვა გერმანულად მოლაპარაკე გამძღოლი, რომელიც ჩემს უკან დაჯდა ეტლში, რათა პასუხი მეცა ყველა ჩემს შეკითხვებზე. იგი ხალისიანად ასახელებდა ყველა ძეგლებს და შენობებს, რომელიც ჩვენ გვხვდებოდა საკმაოდ გრძელ მანძილზე საბაჟოდან სასტუმრომდე: პეტერბურგში საზოგადოდ ძალიან საგრძნობი მანძილებია.

უპირველესად ჩემი ყურადღება მიიპყრო პეტრე დიდის მეტის მეტად სანაქებო ძეგლმა, მაგრამ მან ჩემზე განსაკუთრებით არასასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. აღმართული კლდეზე ეკატერი-

ნეს მიერ, გარეგნულად მორცხვი, მაგრამ არსებითად ამაყი წარწერით „პეტრე I-ს ეკატერინე II“, ეს მხედრის ფიგურა არც ანტიკური სტილით არის მოცემული და არც თანამედროვე სტილით. ეს ლუი XIV დროის რომაელია. რათა ცხენი კლდეზე მაგრად გაეჩერებინა, მოქანდაკეს მის ფეხებთან ვეებერთელა გველი მოუთავსებია— უბადრუკი იდეა, რომელიც ამჟღავნებს მხოლოდ მხატვრის უმწეობას. აქისდამიუხედავად ეს ძეგლი და მოედანი, სადაც იგი სრულიად იკარგება, ყველაზე საინტერესო რამაა ჩემ მიერ საბაჟოდან სასტუმროსკენ მიმავალ გზაზე ნახულიდან.

ერთი წუთით შევჩერდი აგრეთვე დიდებული და ჯერ კიდევ დაუმთავრებელი შენობის წინ, რომელიც უკვე ცნობილია ევროპაში. ეს შენობა—ისააკის ტაძარია. ბოლოს ვნახე ახალი ხამთრის სასახლის ფასადიც—მეორე საკვირველ მოქმედებითი მოწმობა თვითმპყრობელის უსაზღვრო ნებისყოფისა, რომელიც არაადამიანობრივი ძალით იბრძვის ბუნების, ყველა კანონების წინააღმდეგ. მიზანი მიღწეულ იქნა და ერთი წლის განმავლობაში კვლავ აღიმართა ფერფლიდან მთელ ევროპაზე უდიდესი სასახლე, რომელიც თავისი სიდიდით ედრის ლუვრს და ტიუილიერის ერთად აღებულს.

საჭირო იყო არაჩვეულებრივი, ზეადამიანური ჯაფა, რომ ეს შენობა იმპერატორის მიერ დანიშნულ ვადაში დამთავრებულიყო. შენობის შიგნით სამუშაოს განაგრძობდენ უაღრესად სასტიკ ყინვებში. სულ აღმშენებლობაზე ექვსი ათასი კაცი მუშაობდა, რომელთაგანაც ყოველ დღე ბევრნი იხოცებოდნენ; მაგრამ ამ უბედურების ნაცვლად მაშინვე სხვებს მოიერეკებოდნენ, ისინიც აგრეთვე მალე უნდა დაღუპულიყვნენ და ამ ურიცხვ მსხვერპლთა ერთადერთი მიზანი იყო მეფის წადილის აღსრულება. მართლაც, დიდი ხანია განათლებული ხალხნი მსხვერპლად სწირავენ ადამიანის სიცოცხლეს მხოლოდ საერთო კეთილდღეობას, რომლის ღირებულებაც ცნობილია თითქმის ყველას მიერ. მაგრამ სამწუხაროდ მბრძანებელთა რამდენი თაობა სცდება პეტრე I-ს მაგალითით.

სუსხიან 25—30 გრად. ყინვებში 6000 უსახელო წამებულთ, რომელთა შრომა სრულიად არ ფასდებოდა, ჰკეტავდენ სასახლის დარბაზებში, სადაც ტემპერატურა ძლიერი გახურების გამო კედლების გაშრობის დასაჩქარებლად 30° სიცხეს აღწევდა; მათ შრომას აიძულებდენ მათი საკუთარი სურვილის წინააღმდეგ, მხოლოდ შორჩილების კარნახით, რაც რუსების თანდაყოლილ და ძალმომრეობით შესისხლხორცებულ ღირსებას შეადგენს. და ეს უბედურნი ამ სიცივეების სასახლეში შესვლის და ჩქარდან გამოსვლის ღირს

რომელიც მათი მსხვერპლის წყალობით უნდა გადაქცეულიყო პატივმოყვარეობის, მორთულობის და მზიარულობის სასახლედ, განიცდიდენ 50—60° ტემპერატურის განსხვავებას.

ურალის მაღაროებში მუშაობა უფრო ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენდა ადამიანის სიცოცხლისათვის, თუმცა სასახლის მუშები არ იყენენ მაღაროების მუშებივით ბოროტმოქმედნი. მე მიამბეს, რომ იმ უბედურთ, რომელნიც ყველაზე გახურებულ დარბაზებში მუშაობდენ, თავზე ყინული უნდა დაედოთ, რათა ეს საშინელი სიცხოველე აეტანათ და არ დაეკარგათ უნარი მუშაობის გაგრძელებისა. მიუხედავად ამისა, მეფეს „მამად" იხსენიებს სწორედ ის ხალხი, რომელიც მეფის უბრალო ჟინიანობის გულისთვის უსიტყვოდ მსხვერპლად სწირავს თავის თავს. მე ძალიან უხერხულად ვიგრძენი თავი პეტერბურგში მას შემდეგ, რაც ზამთრის სასახლე ვნახე და გავიგე, თუ რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა მსხვერპლად მის აშენებას. ჩემთვის ეს დაწვრილებითი ცნობები ჯაშუშებსა და ხუმრობის მოყვარულ ხალხს არ გადმოუცია, და ამიტომ მათი სინამდვილის გარანტიას ვიძლევი. იმ მილიონებმა, რომლებიც დაიხარჯა ვერსალის აშენებაზე, იმდენივე ფრანგი მუშის ოჯახი გამოკვება, რამდენი რუსი მონაც მოჰკლა ზამთრის სასახლის 12 თვის ამშენებლობამ. მაგრამ ამ ჰეკატომბის გამო მეფის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ საკვირველი მოქმედება მოახდინა. სასახლე აღდგენილ იქნა ყველამ სასიხარულოდ ვადაზე და მისი კურთხევა აღნიშნული იყო საქორწინო დღესასწაულით. სჩანს, რომ მეფე რუსეთში შეიძლება უყვარდეთ, თუნდაც იგი არ ზოგავდეს ძალიან თავის ქვეშევრდომების სიცოცხლეს.

საზღვარგარეთ უკვე აღარ უკვირთ რუსის ხალხის სიყვარული თავის მონობისადმი. საკმარისია ამოვიკითხოთ ბარონ გერბერშტეინის მიწერ-მოწერიდან ზოგიერთი ადგილები ამის შესახებ; ეს გერბერშტეინი იყო კარლოს ძე-V-ის მამის იმპერატორ მაქსიმილიანეს, ელჩი დიდი მთავრის ვასილი ივანეს ძეს დროს. მე ეს ადგილი ვიპოვნე კარამზინის წიგნში, რომელიც მხოლოდ გუშინ წავიკითხე გენზე. ტომი, რომელშიაც ეს ამონაწერი იყო მოთავსებული, ჩემი პალტოს ჯიბეში იდო და საბედნიეროდ გადაურჩა პოლიციის ცნობისმოყვარეობას: ფრიად გამოცდილ მეძებრეებს თურმე ყოველთვის მაინც არ შესწევთ საკმაო გამოცდილება.

რუსებს ოდ სცოდნოდათ, თუ რის შეთვისება შეუძლია და კვირველულ მკითხველს, ამ მლიქნელი ისტორიკოსის წიგნიდან, რომელსაც ისინი ასე აქებ-ადიდებენ და რომელსაც უცხოელები დიდი

უნდობლობით ეპყრობიან მისი კარისკაცური მლიქვნელობის გამო, მათ უნდა შესჯავრებოდათ იგი, ხოლო მეფისთვის ეთხოვათ აეკრძალათ ყველა რუსი ისტორიკოსების კითხვა კარამზინის მეთაურობით, რათა დესპოტის დასამშიდებლად და ხალხის საბედნიეროდ წარსული დრო სასიამოვნო დავიწყების წყვდიადში დარჩენილიყო. უბედური ხალხი მაინც უფრო ბედნიერად იგრძნობდა თავს, ჩვენ—უცხოელებს რომ იგი ნსხვერპლად არ მიგვაჩნდეს.

აი რას სწერს გერბერშტეინი რუსეთის მონარქის დესპოტიზმის შესახებ: „იგი იტყვის და მორჩა. საერო და სასულიერო პირების, კარისკაცების და მოქალაქეების სიცოცხლე სრულიად დამოკიდებულია მის ნებაზე. არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს და ყველაფერი სამართლიანია, როგორც ღვთაების ქმნილებაში, ვინაიდან რუსები დარწმუნებული არიან, რომ დიდი მთავარი ციური ნების აღმასრულებელია...“ [1]. მე არ ვიცი, რუსის ხალხის ხასიათმა შექმნა ასეთი მბრძანებლები, თუ ასეთმა მბრძანებლებმა გამოიმუშავეს რუსის ხალხის ხასიათი.

ეს წერილი, რომელიც დაწერილია სამი საუკუნის წინად, ახასიათებს მაშინდელ რუსებს იმავე სახით, რა სახითაც მე ისინი ვნახე ამჟამად და მაქსიმილიანეს ელჩთან ერთად მე იმავე საკითხს ვსვამ მეფისა და მისი ხალხის შესახებ და ისევე, როგორც გერმანელ დიპლომატს არ ძალმიძს მისი გადაჭრა. მაგრამ მე მაინც მგონია, რომ აქ არის ურთიერთშორის ზეგავლენა. ამგვარი სახელმწიფოებრივი წესწყობილება არსად არ არის შესაძლებელი გარდა რუსეთისა, მაგრამ რუსის ხალხიც არ იქნებოდა ისეთი, როგორიც არის, მას რომ სხვა სახელმწიფოებრივ წესწყობილების დროს ეცხოვრა. ეხლაც, როგორც XVI საუკუნეში შეიძლება პარიზშიც და რუსეთშიც გაიგონოთ, თუ რა აღტაცებით ლაპარაკობენ რუსები მეფის სიტყვის ყოველ შემძლებლობაზე. მეფის სიტყვა სასწაულებს ქმნის და ყველა ამაყობს ამით, მაგრამ ავიწყდებათ, თუ რამდენ მსხვერპლს მოითხოვს იგი. დიახ, მეფის სიტყვა ქვებს აცოცხლებს, მიგრამ ამასთანავე ადამიანებს ხოცავს! რუსები ივიწყებენ ამ გარემოებას და ამაყობენ იმით, რომ შეუძლიანთ მითხრან: „თქვენში სამი წელიწადი ბჭობენ თეატრის დარბაზის გადაკეთებაზე, ჩვენმა მეფემ კი ერთ წელიწადში აღადგინა ულიდესი სასახლე მთელ ქვეყანაზე“. და ეს ტრიუმფი, რომელიც ღირდა რამდენიმე ათასი უბედური მუ-

[1]) „რუსეთის სახელმწიფოს ისტორია“. ნ. მ. კარამზინის. ს. პ. ბ. 1817, ტ. VII, გვ. 195.

შის სიკოცხლედ, რომელიც მეფის მოუთმენლობას და ჟინიანობას შეეწირა მსხვერპლად, ამ საბრალო ადამიანებს ძვირად არ მიაჩნიათ სრულიად. მე-კი, როგორც ფრანგი, აქ მხოლოდ უადამიანო თვითშეყვარებას ვხედავ. მაგრამ მთელ უსაზღვრო იმპერიაში, კიდით-კიდემდე, არ გაისმის არც ერთი პროტესტი აბსოლუტიზმის ამ საშინელ გამოხატულებათა წინააღმდეგ.

აქ ყველაფერი შეხმატკბილებულია—ხალხიც და ხელისუფლებაც. რუსები უარს არ იტყოდენ მეფის მიერ ჩადენილ საკვირველ მოქმედებებზე იმ შეთხვევაშიაც, ყველა ამ დროს დაღუპულ მონების-მკვდრეთით აღდგენაზედაც რომ იყოს ლაპარაკი. მე არ მაკვირვებს ის, რომ ადამიანი, რომელიც აღზრდილია თვით გალმერთების პიროებებში, და რომელსაც 60 მილიონი ადამიანი ანუ ნახევარ ადამიანი ყოვლად შემძლეთ სთვლის, ამგვარ საქმეებს სჩადის, მაგრამ არ შემიძლია არ გამიკვირდეს ის, რომ მონარქის მადიდებელ საერთო ხოროდან, არ გაისმის არც ერთი საპროტესტო ხმა, თუნდაც სამართლიანობის გულისთვის, მის თვითნებობის ასეთ უადამიანობის წინააღმდეგ. დიახ, შეიძლება ითქვას, რომ მთელი რუსეთის ხალხი, დიდიდან პატარამდე, თავისი მონობით თავდავიწყებამდე დამთვრალია.

თავი IV

პეტერბურგი დილით. — „სუნქთვა შეიძლება მხოლოდ მეფის ნებართვით“.—მოხელეთა იერარქია.—„კომფორტაბელური“ სასტუმრო.—პირველი ბალი ბალლინჯერთან.— მიხეილის კოშკი.—იმპერატორ პავლეს მკვლელობა.—ნევა და მისი სანაპიროები.—რუსული ბასტილია.—მეფის საფლავები კაზემატების გვერდით.—პეტერ დიდის სახლი.—მივიწყებული კოსტელი.

პეტერბურგი ადრე არ იღვიძებს. დილის 9—10 საათზე ქუჩებში ჯერ კიდევ სრულიად სიცალიერეა. აქა-იქ შეხვდებით მარტო ეტლებს, რომელნიც თავიანთი მეეტლეებით და ცხენებით კურიოზულ შთაბეჭდილებას ახდენენ პირველი შეხედვით. საინტერესოა მეეტლეების ტანსაცმელი, როგორც უმეტეს შემთხვევაში მუშების, წვრილი ვაჭრებისა და სხვ... თავზე მათ ახურავთ ან ნესვის მსგავსი ქუდი, ან და პატარა ნაპირებიანი შლიაპა პრტყელი თავით, რომელიც თან და თან განიერდება ზემოდ. ეს თავის მოსართავი ქალის დოლბანდს წააგავს ან და ბასკების ბერეტს. ყველანი როგორც ახალგაზრდები, ისე ბებრები, წვერს ატარებენ, და ვინც უფრო კარგად არის ჩაცმული, დიდის ყურადღებით ივარცხნის თავის წვერს. მათ თვალებს რაღაც განსაკუთრებული, თავისებური გამომეტყველება აქვს,—ისინი ცბიერად გამოიყურებიან, როგორც აზიის ხალხი, ისე რომ, როდესაც ამ ადამიანებს ხედავ თავი სპარსეთში გგონია, ორივ მხრივ ჩამოშვებული აქვთ გრძელი თმა, რომელიც ყურებს ჰფარავს, ხოლო უკან შეკრეჭილი აქვთ მრგვლად, ისე რომ კისერი სრულიად გაშიშვლებულია, რადგანაც ჰალსტუხს არავინ ატარებს. ზოგიერთებს წვერი ჯულამდე აქვს ჩამოშვებული,—სხვები მოკლედ იკრეჭენ, რაიცა უფრო შეეფარება მათ კაფტანებს, ვიდრე ჩვენი მოდიტების ფრაკებს და ჟაკეტებს. ეს კაფტანები, შეკერილი ცისფერი, მუქი მწვანე ფერის და ნაცრისფერი მაუდისაგან, უსაყელოდ, ძირს ეშვება განიერ ნაკეცებად; წელზე ბრჭყვიალა აბრეშუმის ან მატყლის სარტყელი არტყიათ. მაღალი ნოჯიანი ტყავის წაღები ზედ ერთვის ამ უცნაურ ტანსაცმელს, რომელიც მოკლებული არ არის თავისებურ სილამაზეს.

იმ ადამიანთა მოძრაობა, რომელნიც მე შემხვდნენ, რაღაც მოუხეშავი და არა თავისუფალი იყო, ყოველი მათი მოძრაობა ჯამოხა-

ტავდა ნებისყოფას, ხოლო არა ამა თუ იმ ადამიანის ნებისყოფას, არამედ იმ ადამიანისას, ვისი დავალებითაც იგი მიდიოდა. დილის საათები — ეს ბატონების და უფროსების ყოველგვარ დავალებათა შესრულების დროა. თითქოს არავინ არ მიდიოდა თავისი ნებით და ამ იძულებითი ქუჩური მოძრაობის სანახაობა ნაღვლიან ფიქრებს იწვევდა ჩემში. ქუჩებში ძალიან ნაკლებად გვხვდებოდენ ქალები, არც ერთი ლამაზი ქალის სახე არ მოსწანდა და არც ერთი მხიარული ქალის ხმა არ გაისმოდა. ყველაფერი წყნარი და ზომიერი იყო, როგორც ყაზარმაში ან სამხედრო ბანაკში. სამხედრო დისციპლინა რუსეთში ყველაფერს ჩრდილავს. და ამ ქვეყნის ცქერა ჩემში ძალაუნებურად იწვევს სევდიან მისწრაფებას ესპანეთისკენ, თითქოს დაბადებული ვიყო ანდალუზიაში — სევდიან მისწრაფებას, რასაკვირველია არა მის სიცხისა, რადგანაც აქაც ვიხრჩობი მისგან, არამედ — მის სინათლისა და მხიარულებისკენ.

შემთხვევით ქუჩაში ვხვდები ხან ცხენზე მჯდომ ოფიცერს, რომელიც ბრძანებას მიაქროლებს ამა თუ იმ კომანდირთან, ხან ფელდიეგერს, საჩქაროდ ეტლით მიმავალს იმავე ბრძანებით გუბერნატორთან, რომელიც შეიძლება სახელმწიფოს მეორე ბოლოში ცხოვრობს და ხან ჯარისკაცებს, რომელნიც ბრუნდებიან სწავლა-ვარჯიშობიდან ყაზარმებში. ყველგან ხვდები მხოლოდ დაბალ მოხელეებს, რომელნიც ასრულებენ უფროსების ბრძანებებს. ეს მოსახლეობა, შემდგარი ავტომატებისაგან, მოგვაგონებს ჭადრაკის ფიგურებს, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს მხოლოდ ერთ ადამიანს და ამ უკანასკნელს თავის უხილავ მოწინააღმდეგედ მთელი კაცობრიობა ჰყავს წარმოდგენილი ოფიცრები, მეეტლეები, კაზაკები, ყმები და კარისკაცები, — ყველა ესენი ერთი და იმავე ბატონის სხვადასხვა ხარისხის მოსამსახურეები არიან, რომელნიც ბრმად ემორჩილებიან მის ნება-სურვილს. ეს დისციპლინის შედეგია. აქ სხვანაირად არ შეიძლება მოძრაობა და სუნთქვა, თუ არ მეფის ნებართვით ან ბრძანებით. ამიტომ არის აქ ყველაფერი ასე დაღვრემილი; მკვდარი და სამარისებური სიჩუმე ჰკლავს ყოველ სიცოცხლეს. თითქოს სიკვდილის აჩრდილი გადაჰფარვია დედამიწის მთელ ამ ნაწილს.

მოსახლეობის შორის, რომელიც მოკლებულია სიხარულს და საკუთარ ნებისყოფას, ხედავ მხოლოდ უსულო სხეულებს და ძალა-უნებურად თრთი იმის გახსენებაზე, რომ ამ მრავალ-რიცხოვან ხელებს და ფეხებს მხოლოდ ერთი თავი აქვთ.

როდესაც პეტრე I დააწესა ის, რასაც ჩინს უწოდებენ, ე. ი. როდესაც მან სამხედრო იერარქია იმპერიის სამოქალაქო მმართველო-

ბაში გადაიტანა, მან მთელი მოსახლეობა მუნჯების პოლკად გადააქ-ცია, ხოლო თავისი თავი პოლკოვნიკად; უფლება დაიტოვა ეს სახელ-წოდება თავის მემკვიდრეებისათვის გადაეცა». შეგიძლიანთ წარმოიდგი-ნოთ გაშმაგებული სრბოლა წარჩინებისათვის, ცხადი და საიდუმლო ქიშ-პობა, ომში დასაშვები ვნებათა-ღელვანი, რომელიც მუდმივად არსე-ბობს მშვიდობიანობის დროს? თუ რომ თქვენ მიხვდებით, თუ რას ნიშნავს ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა სიმხიარუ-ლეთა მოკლება, თუ რომ შეგიძლიანთ დაისახოთ სურათი მუდმივი მოუსვენრობის და განუწყვეტლივი ცხარე ბრძოლისა მეფის ყურად-ღების დასამსახურებლად და ბოლოს, თუ შეიგნებთ ადამიანის ნე-ბის გამარჯვებას ღვთიურ ნებაზე, — მხოლოდ მაშინ გაიგებთ, თუ რას წარმოადგენს რუსეთი. რუსული სახელმწიფოებრივი წესწყობილება, ეს — სასტიკი სამხედრო დისციპლინაა ნაცვლად სამოქალაქო მმარ-თველობისა, ეს — პერმანენტული სამხედრო მდგომარეობაა, რომელიც აღიარებულია სახელმწიფოს ნორმალურ მდგომარეობად.

მაგრამ მე უნებლიედ გადაუხვიე საგანს. დავუბრუნდები ჩემს აღ-წერას. როდესაც დილის საათები გადის, ქალაქი ნელნელა იწყებს გამოცოცხლებას და ივსება ხმაურობით, მაგრამ ამით მას სიმხიარულე არ ემატება. მოსჩანან ნაკლებად ელეგანტური ეტლები, რომელსაც სწრაფად წყვილი, ხან ოთხი და ხან კიდევაც ექვსი ცხენი მიაქანებს; ამ ეტლებით ხალხი მუდამ საცალა მიეშურება. ცხადია, რომ სეირ-ნობა თავის სასიამოვნოდ და საზოგადოდ ყველაფერი ის, რაც უბ-რალო გასართობად ხდება, აქ უცნობი მოვლენაა.

გასაკვირველი არ არის, რომ ყველა დიდი არტისტები, რო-მელნიც რუსეთში მოდიან, რათა უცხოეთში შეძენილი დიდების და სახელის ნაყოფი მოიხვეჭონ, აქ ძალიან მოკლე ხანს რჩებიან და თუ დიდიხანი დაჰყვეს, ჰკარგავენ თავიანთ ტალანტს. თვით ამ ქვეყნის ჰაერი არის განწყობილი ხელოვნებასთან მტრულად. ყველაფერი, რაც სხვა ქვეყნებში სრულიად ბუნებრივად წარმოიშობა და ვითარდება, აქ მხოლოდ სათბურში ხეირობს. რუსული ხელოვნება მუდამ ორან-ჟერეიაში ამოსულ ყვავილად დარჩება.

კულონის სასტუმროში მისლისთანავე ვნახე მისი პატრონი, გატლანქებული და გადაგვარებული ფრანგი. მისი სასტუმრო გავსე-ბული იყო ხალხით სასახლის ზეიმის მოლოდინში დიდი მთავრის მარიამის ნეულლების გამო, და იგი, თითქოს, არ იყო გახარე-ბული სრულიად ახალი სტუმრის დანახვით. ეს გამოიხატა იმა-ში, რომ მან ნაკლები ყურადღება მომაქცია. ხანგრძლივი მოლაპა-რაკების და დაუსრულებელი სიარულის შემდეგ წინ და უკან, მე

მაინც მომცეს რაღაც შეხუთული ბინა მე-2 სართულში, რომელიც შესდგებოდა დერეფანისა, კაბინეტისა და საწოლი ოთახისაგან. ფანჯრებს არსად გაკეთებული არ ჰქონდათ პორტიერები, ფარდები და დარაბები, და ეს იქ, სადაც მზე ამჟამად თითქმის 22 საათის განმავლობაში არ ჩადის ჰორიზონტზე და მისი ირიბი სხივები ოთახის შორეულ კუნჭულებს სწვდებიან. ოთახის ჰაერი გაჟღენთილი იყო თაბაშირის, კარის და მტვერის უცნაური სუნით, რომელიც შერეული იყო მუშკის სუნთან.

დაღლილობამ წარსული ღამის და დილის განცდების და იმ წვალებისა და ხეტიალის შემდეგ, რომელიც მე გადავიტანე საბაჟოში სძლია ჩემ ცნობისმოყვარეობას. იმის ნაცვლად, რომ ჩვეულებრივ მეხეტიალნა უცნობ ქალაქის ქუჩებში, მე მაშინვე წამოსასხამ გაუხდელი დავეცი განიერ და მუქი ფერის ტყავით გადაკრულ სავარძელზე, რომელსაც თითქმის ოთახის მთელი ერთი კედელი ეჭირა, და უეცრივ ღრმად ჩავიძინე, მაგრამ... მხოლოდ სამი წუთით. მე გავიღვიძე ციებ-ცხელებისებური კანკალით, და რა დავინახე ჩემს წამოსასხამზე პატარა შავი ლაქა, მაგრამ... ცოცხალი. თუ რომ საგნებს მათს სახელს დავარქმევ, მე უნდა ვთქვა, რომ სავსე ვიყავი ბაღლინჯოებით, რომელნიც სიხარულით მომცოცავდენ. სჩანს, რომ ამ მხრივ რუსეთი არაფრით არ ჩამოუვარდება ესპანეთს; მაგრამ იქ, სამხრეთში შეგიძლია თავი დააღწიო ამ მტრებს და ჰაერზე განიკურნო, აქ-კი მათთან მუდამ კარჩაკეტილი რჩები და აბის გამო ომი უფრო სისხლიანია. მე გავიძრე მთელი ტანისამოსი, დავიწყე რბენა ოთახში და ყვირილი, მიშველეთ მეთქი. რა საშინელი ნიშნებია ღამისა, ვფიქრობდი, და ყვირილს განვაგრძობდი მთელი ხმით. მოვიდა რუსი მოსამსახურე ბიჭი; მე შევეცადე გამეგებინა მისთვის, რომ მის პატრონთან მსურს ლაპარაკი, ამ უკანასკნელმა ბევრი მალოდინა; ბოლოს ამოვიდა, მაგრამ როდესაც ჩემი საშინელი მდგომარეობის მიზეზი ავუხსენი, გადაიხარხარა და მაშინვე წავიდა; მხოლოდ წასვლის დროს მითხრა, ამას მალე მიეჩვევით, რადგანაც პეტერბურგში უბაღლინჯო ბინას ვერ იშოვითო. მან მირჩია მხოლოდ, რუსეთში არასოდეს რბილ სავარძელზე არ დაჯდეთ, რადგანაც მასზე ხშირად იძინებენ მოსამსახურეები, რომელნიც სავსე არიან უამრავი მწეერებითო, დამამშვიდა აგრეთვე იმით, რომ ბაღლინჯოები არ მომეკარებიან, თუ რომ დაშორებული იქნებით რბილ ავეჯეულობას, რომელსაც ისინი არასოდეს არ სტოვებენო.

სასტუმროები პეტერბურგში ქარვასლებს წააგავს. დაბინავდებით თუ არა იქ, თქვენ მხოლოდ თავის თავზე უნდა იყოთ მინდობ-

ბილი, და თუ საკუთარი ლაქია არ გყავთ, სრულიად უმოსამსახურო დარჩებით. ჩემი მოსამსახურე, რომელმაც რუსული ენა არ იცოდა, ჩემთვის გამოუსადეგი იყო, კიდევ მეტი, იგი ჩემთვის ზედმეტ ბარგად შეიქმნა, რადგანაც მე იმაზედაც უნდა მეზრუნა. მაგრამ, თავისი იტალიური გამჭრიახობის გამო მან მალე იპოვნა გამოსავალი შექმნილ მდგომარეობიდან: იმ ქვის უდაბნოს ერთ-ერთ ბნელ დერეფანში, რომელსაც „კულონის ოტელს“ უწოდებდენ, მან გამოსძებნა ვიღაც სამსახურის მაძიებელი ლაქია; ეს უკანასკნელი ლაპარაკობდა გერმანულად და სასტუმროს პატრონი კარგ რეკომენდაციას აძლევდა მას. მე ის მაშინვე დავიქირავე და ჩემი უბედურება ვუამბე: მოხერხებულმა გერმანელმა იმ საათშივე ახალი რკინის საწოლი მომიტანა, მე დაუყოვნებლივ ვიყიდე ის, გავშალე მასზე ახალი, თვითონ გატენილი ქვეშსაგები და საწოლის თვითეულ ფეხს წყლით სავსე ჯამი შევუდგი; ოთახის შუა გულში დავდგი ყოველგვარი ავეჯეულობის მოშორებით. როდესაც ამგვარად უზრუნველვყავი თავი ღამისათვის, მე ხელახლად ჩავიცვი და ჩემი ახალი მოსამსახურითურთ გამოვედი ამ „საუცხოო“ ოტელიდან, რომელიც გარეგნულად სასახლეს წააგავდა, ხოლო შიგნით მოოქრული და ხავერდ აბრეშუმით მოკაზმული საჯინიბო გამოდგა.

„ოტელ კულონი“ მდებარეობს სკვერის (ბაღის) ახლო, რომელიც პეტერბურგელთათვის საკმაოდ ცოცხლად გამოიყურება. ერთის მხრივ ეს სკვერი საზღვრავს ნამდვილად საუცხოო მიხეილის ახალ სასახლეს, რომელიც ეკუთვნის დიდ მთავარ მიხეილს, მეფის ძმას. ეს სასახლე აშენებული იყო იმპერატორ ალექსანდრეს მიერ, თუმცა იგი თვითონ არ ცხოვრობდა იქ. დანარჩენი სამი მხრივ სკვერი გარემოცულია ლამაზი სახლების მთელი რიგით, რომელთა შუა ფართო ქუჩებია გაყვანილი. უცნაური შემთხვევაა. გავიარე თუ არა მიხეილის ახალი სასახლის ახლო, წავაწყდი ძველ, უზარმაზარ, დაღვრემილ, ოთხკუთხიან შენობას, რომელ ც ყოველმხრივ გაირჩევოდა იმავე სახელობის ლამაზ და თანამედროვე ახალი სასახლისაგან.

თუ რუსეთში ხალხი სდუმს, სამაგიეროდ ქვები მეტყველებენ და მეტყველებენ ბოროტად. მე არ მიკვირს, რომ რუსები უფრთხიან და ივიწყებენ თავიანთ ძველ შენობებს. ეს — მათი ისტორიის მოწმეებია, რომელნიც მათ სურთ ხშირად რაც შეიძლება მალე დაივიწყონ. როდესაც მე ამ დაღვრემილი სასახლის ღრმა არხები, მასიური ხიდები და უდაბური დერეფნები დავინახე, ძალაუნებურად გამახსენდა მასთან დაკავშირებული ხანა და ის კატასტროფა, რომელმაც

ალექსანდრე ტახტზე აიყვანა. ჩემს თვალწინ აღსდგა ამ შემზარავი სცენის მთელი სურათი, რომლითაც პავლე I მეფობა დამთავრდა. მაგრამ ეს კიდევ არ არის ყველაფერი. თითქოს რაღაც სასტიკი და სისხლიანი ირონიით ამ საბედისწერო სასახლის მთავარ შესავლის წინ, იმის სიკვდილის წინა ხანებში, ვინც იქ ცხოვრობდა, მისივე ბრძანებით ცხენიანი ძეგლი აღუმართეს მის მამას, პეტრე III, მეორე მსხვერპლს, რომლის სამგლოვიარო ხსოვნა პავლეს სურდა აღენიშნა პატივისცემით, რათა ამით დაემცირებინა აღფრთოვანებული ხსოვნა თავისი დედისა. რა ტრაგედიები ხდება ამ ქვეყანაში, სადაც პატივმოყვარეობა და თვით სიძულვილიც-კი გარეგნულად ასე გულგრილი და ზომიერი გვეჩვენება. სამხრეთ ერების ვნებიანობის გამო ოდნავ მაინც ვურიგდებით მათ სისასტიკეს. ჩრდილოელი ხალხი კი, თავშეკავებული და გულგრილია, ამიტომ მათ ბოროტმოქმედებას რაღაც თვალთმაქცობის ხასიათი ეძლევა. ხშირად ადამიანი უწყინარად მიგვაჩნია, რადგანაც იგი ვნებით არ არის მოცული. მაგრამ წინასწარ მოფიქრებული მკვლელობა სიძულვილის გარეშე უფრო მეტ ზიზღს იწვევს, ვიდრე სასიკვდილო დაკვრა, ჩადენილი გულმოსულობის და სიბრაზის დროს. განა სისხლის აღების კანონში უფრო ბუნებრივი არ არის, ვიდრე ანგარებით ჩადენილი მკვლელობა? სამწუხაროდ, პავლე I მკვლელები ხელმძღვანელობდენ არა სიბრაზით ან ვნებიანი სიძულვილით, არამედ ცივი ანგარიშით. კეთილი რუსები ამტკიცებენ, რომ შეთქმულებს აზრად ჰქონდათ მხოლოდ პავლეს დატუსაღება ციხეში. მაგრამ მე ვნახე საიდუმლო კარი, რომელიც საიდუმლო კიბითვე შედიოდა იმპერატორის ოთახში. ეს კარი გადის ბაღის იმ ნაწილში, რომელიც არხს ეკვრის. ამ კარით შეიყვანა პალენმა მკვლელები სასახლეში. საბედისწერო დღის წინად მათ უთხრა: „ხვალ ან დილის ხუთ საათზე მიჰკლავთ თქვენ იმპერატორს, ან ექვსის ნახევარზე ყველანი გაცემულნი იქნებით ჩემს მიერ, როგორც შეთქმულნი“.

მეორე დღეს ხუთ საათზე ალექსანდრე ერთსადაიმავე დროს იმპერატორიც გახდა და მამის მკვლელიც, თუმცა (და მე ეს მჯერა) იგი შეუთანხმდა შეთქმულთ, რომ მისი მამა მხოლოდ დაეტუსაღებიათ, რათა ამ გზით თავისი თავი და თავისი დედა დატუსაღებისგან და თვით სიკვდილისაგან გადაერჩინა, ხოლო თავისი ქვეყანა უგნური დესპოტის სიმკაცრისა და ბოროტმოქმედებისაგან დაეხსნა[1]).

ეხლა რუსები ისე გაივლიან ხოლმე მიხეილის ძველი სასახლის ახლო, რომ ვერც-კი ბედავენ მის ცქერას. სკოლებში და საერთოდ

ყველგან აკრძალულია პავლე I სიკვდილის ამბვის გადმოცემა და ეს ამბავი არ იხსენიება არასოდეს.

მე მხოლოდ ის მიკვირს, რომ აქამდის არ დაუნგრევიათ ეს სასახლე მისი შავბნელი წარსულის მოგონებებითურთ, მაგრამ ტურისტისათვის დიდი იღბალია ამ ისტორიული შენობის ნახვა, რომელიც თავისი ძველებური გარეგნობით ასე მკაფიოდ მოსჩანს ქალაქის საერთო ფონზე, სადაც დესპოტიზმს ყველაფერი ერთნაირად შეუკრეჭია, ყველაფერი გაუთანასწორებია და ხელახლა შეუქმნია, ისე რომ თვით წარსულის კვალი იშლება ყოველდღიურად. მაგრამ ეს მოუსვენარი მისწრაფება სწორედ იმის მიზეზია, რომ ძველი მიხეილის სასახლე დღემდე გადარჩა: ეს სასახლე თითქოს მივიწყებულია. მისი ოთხკუთხიანი მასსივი, ღრმა არხები, მისი ტრაღიკული მოგონებანი, საიდუმლო კიბეები და კარები, რომლებმაც ასე ხელი შეუწყვეს ბოროტმოქმედებას, მისი არაჩვეულებრივი სიმაღლე ქალაქში, სადაც ყველა შენობები ჩამოწოლილია დაბლა,—ყველაფერი ეს ძველებურ სასახლეს რაღაც განსაკუთრებულ სიდიადეს აძლევს, რაც იშვიათია პეტერბურგში. საერთოდ ყოველ ფეხის გადადგმაზე მიკვირდა აქ ორი სულ სხვადასხვა ხელოვნების—არქიტექტურის და სცენიური დეკორატიკობის უცნაური არევა. კაცი ძალაუნებურად ფიქრობს, რომ პეტრე დიდს და მის მემკვიდრეებს სურდათ თავისი სატახტო ქალაქი ვეებერთელა თეატრად გადაექციათ.

და მაინც პეტერბურგის ქუჩებში გასეირნება გაუყოლის თანხლებით ფრიად საინტერესოა, თუმცა იგი სრულიად არ წაგავს ახალი ქვეყნის ცივილიზაციურ მხარეთა სატახტო ქალაქებში გასეირნებას.

როდესაც მიხეილის ტრაღიკული სასახლე დავტოვე, მე მოვხვდი დიდი მოედნის ახლო, რომელიც მოგვაგონებს მარსის მოედანს პარიზში; როგორც ეს უკანასკნელი, იგი ვეებერთელა და უდაბურია. ერთის მხრივ მოედანს საზღვრავს ფართო საზოგადოებრივი ბაღი, ხოლო მეორეს მხრივ—რამდენიმე პატარა სახლი; შუაში—ქვიშის ვროვა და ყველგან მტვერი—ასეთია ეს მოედანი, რომელიც თავდება თვით ნევის ნაპირას სუვოროვის ბრინჯაოს ძეგლის ახლო.

ნევა, მისი ხიდები და სანაპიროები,—ეს მართლაც სიამაყეა პეტერბურგისა. ნევის მიდამოები ისეთი დიდებულია, რომ მასთან შედარებით ყველაფერი უმნიშვნელოდ და მცირედ მოსჩანს. ეს ვეებერთელა ფართო აუზია, ნაპირებამდე აღვსილი წყლით, რომელიც მუდამ გადმოხეთქას ლამობს. ვენეცია და ამსტერდამი მე უფრო უშიშრად მიმაჩნია ზღვის მხრივ, ვიდრე ნევის ნაპირას ამართული პეტერბურგი. რასაკვირველია, ტბასავით ფართო მდინარის სიახლო-

ვე, რომელიც ღრმად მიმდინარეობს ჭაობიან ველზე, მუდამ ღრუბლიან ციხა და ზღვის მრისხანე სუნთქვის ქვეშ, ფრიად არახელსაყრელი პირობა იყო სახელმწიფოს სატახტო ქალაქის დაარსებისათვის. ადრე თუ გვიან წყალი შთანთქავს ადამიანის ამ ამაყ ქმნილებას! თვით გრანიტიც-კი ვერ გაუძლებს მდინარეს, რომელმაც უკვე ორჯერ გამოუთხარა საძირკველი პეტრეს მიერ ამართულ ციხეს [2]).

იგი უკვე ერთხელ იყო აღდგენილი და კიდევ მრავალჯერ იქნება საჭირო მისი აღდგენა, რათა დაცულ იქნეს ეს ხელოვნური ქმნილება ამაყი და თავის ძლიერებაში დარწმუნებული ადამიანის ნებისყოფისა.

მე მსურდა მაშინვე გამეკლო ხიდზე, რომ იქიდან ახლო მდებარე შესანიშნავი ციხე მენახა. მაგრამ, ჩემმა ახალმა მოსამსახურემ მიმიყვანა ჯერ „პეტრე დიდის სახლთან", რომელიც მდებარეობს ციხის პირდაპირ და ამ უკანასკნელთან მხოლოდ ერთი ქუჩითაა დაშორებული. ამბობენ, ეს ქოხი შენახულია იმავე სახით, როგორც იგი მეფემ დასტოვა. ხოლო პირდაპირ, პეტრეს ციტადელში განისვენებენ იმპერატორების ნაშთები და იქვე ამწყვდევენ სახელმწიფოებრივ დამნაშავეებს: უცნაური იდეაა—ამ სახით პატივი სცე შენს განსვენებულს. თუ რომ გაიხსენებთ ყველა ცრემლებს, რომელიც აქ რუსეთის მფლობელთა საფლავებზე იღვრება, ძალაუნებურად მოგვეჩვენება, რომ, რომელიმე აზიური მბრძანებლის დამარხვაზე იმყოფები, მაგრამ სისხლით გაპოხიერებული საფლავი მაინც ნაკლებ საშინელებას წარმოადგენს. აქ ცრემლები უფრო დიდხანს მომდინარეობს და უფრო მეტი ტანჯვით არის გამოწვეული [3]).

იმ დროს, როდესაც მეფე-მშრომელი თავის ქოხში ცხოვრობდა, პირდაპირ მის თვალწინ მომავალ სატახტო ქალაქს აშენებდენ. და იმის სადიდებლად უნდა ითქვას, რომ პეტრე იმ დროს უფრო მის მიერ ასაშენებელ ქალაქზე ფიქრობდა ვიდრე თავის „სასახლეზე". ამ სახლის ერთი ოთახთაგანი, სადაც მეფე დურგლობდა, ეხლა სამლოცველოდ არის გადაქცეული, სადაც ისეთივე მოწიწებით შედიან, როგორც ყველაზე უწმინდეს ტაძარში. რუსებს უყვართ თავიანთი გმირების წმინდანებად ჩარიცხვა; ბოძანებელთა სასტიკ საქმეებს ისინი ჰფარავენ წმინდანების უანგარო ძალით და ცდილობენ თავისი ისტორიის ყველა საშინელებანი სარწმუნოების მფარველობის ქვეშ გამოაცხადონ.

„პეტრეს სახლში" მე მიჩვენეს პატარა ხომალდი, გაკეთებული პირადად მის მიერ და სხვა ფაქიზად შენახული საგნები, რომელთაც ძველი ვეტერანი დარაჯობდა. რუსეთში ეკლესიების, სასახლეების,

ბევრი საზოგადო დაწესებულებების და კერძო სახლების დაცვა ასეთ ინვალიდებს აქვთ მინდობილი. ეს საცოდავები სიბერეში სტოვებენ ყაზარმებს და იქიდან სრულიად უმწეოდ გამოდიან, მოკლებულნი არსებობის ყველა საშუალებებს დარაჯის ან შვეიცარის პოსტზე. მათ აცვიათ გრძელი ჯარისკაცის მუნდირი და ტლანქი მატყლის მოყვითალო შინელი. ეს ფორმაში გამოწყობილნი მოჩვენებანი, რომელნიც გხვდებიან ყოველ დაწესებულებაში ან და კერძო სახლში, ზედმეტად ერთად კიდევ გვახსენებს იმ დისციპლინას, რომელიც იქ ყველგანაა გამეფებული[4]). პეტერბურგი—ეს სამხედრო ბანაკია, ქალაქად გადაქცეული.

ჩემს გამყოლს მოვალეობად მიაჩნდა, ეჩვენებინა ჩემთვის თვითეული სურათი და თვითეული ხის ნაჭერი ამ საიმპერატორო ქოხში, ხოლო ვეტერანმა დარაჯმა ჯერ ყველა სანთლები აანთო სახლის პატარა ეკლესიაში და შემდეგ „სრულიად რუსეთის იმპერატორის“ საწოლ ოთახში შემიძღვა. ჩვენი დროის დურგალი ეხლა ასეთ კუთხეში თავის შეგირდსაც არ დააყენებდა.

ეს განთქმული უბრალო ცხოვრება ნათლად ახასიათებს არა მარტო განსაზღვრულ ეპოქას და მხარეს, არამედ თვით ადამიანსაც. მაშინ რუსეთში ყველაფერს მომავალს სწირავდენ მსხვერპლად. აგებდენ დიდებულ შენობებს და არ იცოდნენ, როგორ მოეხმარათ ეს შენობები, რადგანაც ჯერ არ დაბადებულიყვნენ ბრძანებელნი, რომელთათვისაც ეს სასახლეები შენდებოდა; ხოლო თვით მშენებელნი არ გრძნობდენ ფუფუნების მოთხოვნილებას და კმაყოფილდებოდნენ ცივილიზაციის წინამორბედთა როლით. რასაკვირველია, როგორც ხალხის მეთაურის, ისე თვით ხალხის ზრუნვაში ძლიერებაზე და შომავალ თაობათა სახელის მოხვეჭაზე გამოსჭვივის მათი სულის სიდიადე. ცოცხალთა რწმენა შთამომავლობის დიდებისადმი, რაღაც თავისებურ კეთილშობილებას შეიცავს. ეს უანგარო და პოეტური გრძნობაა და უფრო მაღლა დგას, ვიდრე ადამიანთა და ნაციათა ჩვეულებრივი პატივისცემა თავის წინაპრებისადმი.

პეტრე I სახლიდან გამოსვლის შემდეგ მე ისევ ნევაზე გადებული ხიდის წინ მოვხვდი, რომელსაც კუნძულებისაკენ მივყევართ, და პეტერპურგის ციხეში გავემართე. ზემოთ უკვე ვთქვი, რომ გრანიტის საძირკველი ამ შენობისა, რომლის მხოლოდ ერთი ხსენებაც შიშის ჟრუანტელს ჰგვრის ადამიანს, უკვე ორჯერ იყო გამოთხრილი ნევის მიერ—და ეს მხოლოდ მისი არსებობის 140 წლის განმავლობაში. ჭეშმარიტად, რა საკვირველი და გასაოცარი ბრძოლაა! ძალმომრეობისაგან იქ ქვებიც ისე იტანჯებიან, როგორც ადამიანები.

მე ნება არ დამრთეს კაზემატების ნახვისა. ზოგი მათგანი წყალქვეშ არის გაშენებული, ზოგი—სახურავის ქვეშ. შემდეგ შემიყვანეს ტაძარში, სადაც იმყოფება მეფის საგვარეულოს საფლავები. ვიდექი ამ საფლავებს შორის და განვაგრძობდი მათ ძებნას, რადგანაც ვერ წარმომედგინა, რომ ეს ოთხკუთხიანი ქვები, დაფარულნი მწვანე მაუდის საბურველით, რომელზედაც ამოქარგული იყო საიმპერატორო ღერბები, შეიძლებოდა ყოფილიყო პეტრე I, ეკატერინე II და ყველა უკანასკნელ დროის მეფეთა (ალექსანდრეს ჩათვლით) საფლავები.

ამ სამარისებურ ციტადელში მე მკვდრები უფრო თავისუფალნი მეგონენ, ვიდრე ცოცხლები. ამ დამუნჯებულ თაღებ ქვეშ მე სუნთქვა მიძნელდებოდა. თუ-კი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ერთ აკლდამაში ყოფილიყვნენ დასამარებულნი იმპერატორის ტყვეები და სიკვდილის ტყვეები, შეთქმულნი და ბრძანებელნი, რომელთა წინააღმდეგ შეთქმულნი იბრძოდენ, შეიცავდა რაიმე, ფილოსოფიურ იდეას, მე შემეძლო თავი მომეხარა ამ გვარი იდეის წინაშე. მაგრამ, მე ვნახე მხოლოდ აბსოლუტური ხელისუფლების ცინიკური ძალმომრეობა და თავის თავში დარწმუნებულ დესპოტიზმის სასტიკი შურისძიება. ჩვენ დასავლეთის ხალხს—რევოლუციონერებს და როიალისტებს—რუსეთის საბელმწიფოებრივი დამნაშავე აბსოლუტიზმის უმანკო მსხვერპლად მიგვაჩნია, რუსების თვალში კი იგი საზიზღარი ბოროტმომქმედია. აი სადამდის შეიძლება მივიდეს პოლიტიკური კერპთ-თაყვანისმცემლობა. რუსეთი ისეთი ქვეყანაა, სადაც უბედურება ყველას შეურაცყოფს, განურჩევლად იმისა, თუ ვის დაატყდება იგი თავზე.

ყოველი შრიალი მე ძალით ჩახშობილ ოხვრად მიმაჩნდა. ჩემ ფეხთ ქვეშ თვით ქვებიც-კი კვნესოდენ და გულს ტკივილები მიქენჯნიდა იმ უსაშინელესი ტანჯვის გახსენებაზე, რომელიც ძნელი ასატანია ადამიანისათვის. მე დავტიროდი იმ წამებულთ, რომელნიც იტანჯებოდნენ საბედისწერო ციხის კაზემატებში. კაცი ძალაუნებურად ფრთის, როდესაც ფიქრობს იმ რუსებზე, რომელნიც ამ ქვესკნელში იღუპებიან და ხვდები სხვა რუსებს, რომელნიც მათ საფლავებზე დასეირნობენ...

მე სხვა ქვეყნებშიაც მინახავს ციხეები, მაგრამ ეს სახელწოდება უზომოდ დაშორებულია იმას, რასაც პეტერბურგის ციხე წარმოადგენს, სადაც უმწიკვლო ერთგულებას და აბსოლუტური პატიოსნებას არ ძალუძთ ადამიანი გადაარჩინონ დატუსაღებას მიწის ქვეშ ჩათხრილ აკლდამებში. მე თავისუფლად ამოვისუნთქე, როდესაც გა-

დავაბიჯე თხრილებს, რომელნიც დარაჯობენ ამ ტანჯვის სამყაროს და ჰყოფენ მას მთელი დანარჩენი ქვეყნისაგან.

რუსების მფლობელთა საფლავების დათვალიერების შემდეგ, მოვისურვე უკან დაბრუნება ჩვენს უბანში, რათა მენახა სასტუმროს ახლო მდებარე კათოლიკური კოსტელი, იგი იმყოფება უალრესად ლამაზ ქუჩაზე, ნევის პროსპექტზე, და არ გვაკვირვებს თავისი ბრწყინვალებით. ეკლესიის დერეფნები უდაბურია, ეზო სავსეა ყოველნაირი ხარახურით და ყველაფერს რალაც მოწყენილობის და ხვალინდელი დღის ურწმუნოების ბეჭედი აზის. უცხო სარწმუნოების ეკლესიის შეწყნარება რუსეთში არ არის უზრუნველყოფილი არც საზოგადოებრივი აზრით და არც სახელმწიფო კანონებით. როგორც ყველაფერი დანარჩენი, იგი წარმოადგენს ერთი ადამიანის მიერ მოცემულ წყალობას, ამ ადამიანს შეუძლია ხვალვე წაგვართვას ის, რაც დღეს მოგვცა[5]).

ამ ეკლესიაში ჩემი ყურადღება მიიქცია და ძლიერ ამაღელვა წარწერამ ერთ საფლავის ქვაზე: „პონიატოვსკი". ეს ამაო პატივმოყვარეობის მეფური მსხვერპლი და ეკატერინე II-ის მსუბუქი რწმენის ფავორიტი დამარხულია ყოველი პატივისა და დიდების გარეშე. თუმცა იგი მოკლებული იყო მეფის ტახტის სიდიადეს, სამაგიეროდ უბედურების სიდიადე მუდამ დარჩა მასში. მეფის მწარე ხვედრი, მისი დაბრმავება, ასე სასტიკად დასჯილი, და მისი მტრების ვერაგული პოლიტიკა,—ყველაფერი ეს დიდხანს კიდევ მიიპყრობს ტურისტების ყურადღებას მისი მივიწყებული საფლავისადმი.

გაძევებული მეფის გვამის გვერდით დამარხულია მოროს დასახიჩრებული გვამი. იმპერატორმა ალექსანდრემ ბრძანება გასცა მისი დრეხდენიდან გადმოსვენების შესახებ. აზრი ამ ორი საბრალო ადამიანის ნეშთის გაერთიანებისა, რათა მათი სამგლოვიარო ბედი, ერთ ლოცვაში იქნეს მოხსენებული, მე რუსეთის მონარქის ერთ-უკეთილშობილეს აზრად მიმაჩნია.

ნაშუადღევის 4 საათზე, ბოლოს, გამახსენდა, რომ რუსეთში მარტო იმისთვის როდი მოვსულვარ, რომ რამდენიმე ცოტად თუ ბევრად საინტერესო შენობა ძენახა და ამის გამო ფილოსოფიურ აზრებს მივცემოდი, და საფრანგეთის ელჩისაკენ გავეშურე.

იქ ჩემდა სამწუხაროდ მაცნობეს, რომ დიდი მთავრის მარიამის და ჰერცოგ ლიხტენბერგის ქორწინება ზეგ უნდა მოხდეს და რომ ძალიან გვიან მოხვედით იმისთვის, რომ შესაძლებლობა მოგეცეთ მეფის წინაშე წარსდგეთ ამ სახეიმო ცერემონიაზე, ხოლო ასეთი ზიზიმის გაშვება იმ ქვეყანაში, სადაც სასახლე ყველაფერია, იმას, ნიშნავდა, რომ ჩემ მოსვლას აქ თითქმის ყოველი აზრი ეკარებოდა.

თავი V

კუნძულები.—რუსეთის საზოგადოების ნაღები.—ნიკოლოზ I პოპულარობის ფასი.—სასახლის ინტრიგები.—აზიური ფუფუნება.—რუსული სილამაზე.—ბალო-ყმობის საშინელებანი.—მოჩვენებითი ცივილიზაცია.—დედოფლის ბედი.—მაღალ საზოგადოების სიჩუმის შეთქმულება.—ზიში უცხოელების წინაშე.—რუსეთი ფასადების ქვეყანაა.

დღეს მე კუნძულებზე გავისეირნე. არსად მთელ ქვეყანაზე არ მინახავს ჭაობი, ასე ხელოვნურად დაფარული ყვავილებით. წარმოიდგინეთ ნესტიანი, დაბალი ადგილი, რომელიც მხოლოდ ზაფხულში შრება რამდენადმე წყლის გადამგდებ არხების საშუალებით. ასეთია ეს მიდამო გადაქცეული საუცხოო არყის ჭალად და გარემოცული მშვენიერი სასახლეებით. არყის ხეივნები, რომელნიც ნაძვებთან ერთად მცენარეულობის სამეფოს ერთადერთი წარმომადგენელნი არიან აქ, ამ ყინულოვან ვილზე, ინგლისური პარკის ილლუზიას ჰქმნიან. ეს დიდი ბაღი თავისი სასახლეებით და კოტეჯებით პეტერბურგელების საგარეკო ადგილს წარმოადგენს, რომელიც ზაფხულში მოკლე ხნით დასახლებულია სასახლის წარჩინებული პირებით. წელიწადის დანარჩენ დროს, კუნძულები სრულიად ცარიელია.

პარიზელები, რომელნიც არასოდეს არ ივიწყებენ თავიანთ პარიზს, ამ „კუნძულებს“ ელისეს მინდვრებს უწოდებენ, მაგრამ კუნძულები გაცილებით უფრო ფართოა, მეტი სოფლური ელფერი აქვს და ამასთანავე უფრო მდიდრულად მორთულნი, ვიდრე ჩვენი სასეირნო ადგილი პარიზში. ისინი უფრო დაშორებულნიც არიან ქალაქის მდიდარ უბნებს. კუნძულების რაიონი — ერთდაიმავე დროს ქალაქიც არის და სოფელიც. ჭაობებისაგან წართმეული ჭალები და მინდვრები გიაფიქრებენებს, რომ ირგვლივ მართლა მინდვრები, ტყეები და სოფლებია; ხოლო იმავე დროს ტაძრების მსგავსი შენობები, სვეტებით გარსშემორტყმული მდიდარი ორანჟერეები, სასახლეების კოლონადები და თეატრი ანტიკური ბოძებით, — ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ თქვენ კუნძულებზე ყოფნის დროს არ დაგიტოვებიათ ქალაქი.

რუსები სამართლიანად ამაყობენ ამ ბაღით, რომელიც ასეთი შრომით იქნა გამოგლეჯილი პეტერბურგის ჭაობიან ნიადაგიდან. მაგრამ თუ რომ ბუნება დამარცხებულია, მას ახსოვს ეს დამარცხება და ადვილად არ ეშორჩილება ძალადობრეობას. უკვე პარკის მეორე მხარეზე იწყება უწინდელი ჭაობები. მე არ შევჩერდებოდი ასე დიდხანს ამ ბუნების მიერ განწირული ნიადაგის მადლმოკლებულ ხასიათზე და ჩრდილოეთში მოგზაურობის დროს არ ვიწუხებდი სამხრეთის მზის უქონლობას, რუსები რომ უფრო მეტ ყურადღებას აქცევდენ იმას, რაც მათ ქვეყანას აკლია მათი თვითკმაყოფილება ჭავაზე და ნიადაგზედაც კი ვრცელდება. ბუნებით მკვეხარეები, ისინი ამაყობენ თავისი ადგილმდებარეობით სწორედ ისევე, როგორც მათ ირგვლივ არსებული საზოგადოებით.

დელტა, წარმომდგარი ქალაქსა და ნევის ერთ-ერთ შესართავს შუა, ამ ჟამად დაკავებულია ამ პარკით, რომელიც თითქოს თვით პეტერბურგში მდებარეობს. რუსეთის ქალაქებს მთელი ოლქები უჭირავთ. პარკი ახალი სატახტო ქალაქის უაღრესად დასახლებულ უბნად უნდა გადაქცეულიყო, თუ რომ შემდეგში გახორციელდებოდა მისი დამაარსებლის გეგმა. მაგრამ მდინარეს პეტერბურგი თანდათან სამხრეთით შორდებოდა, რათა თავი დაეღწია წყალდიდობისათვის და ზაფხულობით დასახლებულ კუნძულების ჭაობიანი ადგილებისათვის. ზამთრობით მდიდარი აგარაკები ნახევრად წყალში და თოვლში არიან, და მგლები დაძრწიან დედოფლის პავილიონის ირგვლივ. სამაგიეროდ ზაფხულის სამი თვის განმავლობაში არაფერი არ შეედრება ლამაზ და მორთულ სასახლეების ყვავილთა სიმდიდრეს და მოკაზმულობას. მაგრამ აქაც ამ ხელოვნურ სილამაზეში გამოსჭვივის ადგილობრივ მცხოვრებთა ბუნებრივი ხასიათი. რუსები მთლად შეპყრობილნი არიან თავის გამოჩენის სურვილით. ამიტომ მათ სასტუმრო ოთახებში ყვავილები ისე კი არ არის გამწკრივებული, რომ სასიამოვნო იყოს ამ ოთახების ცქერა, არამედ ისე, რომ კაკვირვება გამოიწვიოს გარედან. სრულიად წინააღმდეგი ხდება ინგლისში, სადაც ქუჩაში თავის გამოჩენას ყველაზე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

მაგრამ ფიზიკური ქვეყნის უბადრუკობა, რა გინდ ფაქიზად არ იყოს იგი დაფარული, აქ მაინც საშინელ მოწყენილობას იწვევს. რადგანაც ნამდვილ ცხოვრებაში დრამები ხდება, ამიტომ თეატრში გაბატონებულია ვოდევილი, რომელიც არავის არ გვრის შიშს, ხოლო ყველაზე სასიამოვნოთ პოლ-დე-კოკის რომანების კითხვა მიაჩნიათ. რუსეთში ნიგბალართულობა ზოგადად ცოცხალ გართობა, ასეთ პირობებში სიცოცხლე მეტად მძიმეა, რაიმ, სერიოზულ ლიტ-

რატურის შესაქმნელად. სიტყვები „მშვიდობა" და „ბედნიერება" აგ ისევე გაურკვეველია, როგორც სიტყვა „სამოთხე". გამოუფხიზლებელი სიზარმაცე და მოუსვენარი უსაქმობა — ასეთია ჩრდილოეთის ავტოკრატიის აუცილებელი შედეგი.

ის, რაც ყოველ წლივ კუნძულებზე ხდება, როდესაც ისინი ზამთრის დასაწყისში თოვლიან უდაბნოებად იქცევიან და როცა მგლები დათარეშობენ ყოფილი სიდიადის ირგვლივ, უეჭველია როდისმე მთელ ქალაქს გადახდება. საკმარისია, ეს სატახტო ქალაქი, რომელსაც ფესვები არა აქვს ისტორიაში, თუნდაც დროებით მივიწყებულ იქნას მისი მონარქის მიერ და პოლიტიკის მიმართულება სხვა მხრივ გადაიხაროს, და უმალვე დაირღვევა წყალქვეშა გრანიტი, წალეკილი დაბლობი დაუბრუნდება თავის პირველყოფილ მდგომარეობას და უდაბნოების მცხოვრებნი ხელახლა მის ერთადერთი მფლობელები შეიქმნებიან.

ამგვარ ფიქრებს ეძლევა ყოველი უცხოელი, მოსული რუსეთში. არავის არ სწადს ამ საკვირველი ქალაქის ხანგრძლივობა. ძალა უნებურად ფიქრობ ამა თუ იმ ომზე, პოლიტიკის ამა თუ იმ შეცვლაზე, რომელიც აიძულებს პეტრეს ქმნილებას გაჰქრეს როგორც ჰქრება საპნის ბუშტი ქარის შემობერვით, როგორც ჰქრება ბუნდოვანი ფანარის სურათი, როცა მისი სინათლე ჩამქრალია.

დღეს საღამოს ძე მოვახერხე უმაღლესი საზოგადოების ნახვა კუნძულებზე. აქ მოვიდა მთელი პეტერბურგი, ე. ი. სასახლე თავისი ამალით და მოსამსახურე ხალხით, მაგრამ არა იმიტომ, სეირნობა რომ მოეწყოთ მშვენიერ ზაფხულის დღეში (ეს სასახლის წარჩინებული წოდებისათვის არაჩვეულებრივი რამ იქნებოდა), არამედ მხოლოდ იმიტომ, ამ თავისი ხოძალდით ჩამოსულ დედოფალს შეხვედროდენ. აქ ყოველი მონარქი ღმერთია. ამ ცვალებ ად ღვთაებათა ამალა უცვლელია, იგი მრავლდება მხოლოდ ბრბოს გამო, რომელიც მუდამ გარს არტყია მას.

და მაინც, რაც უნდა სთქვას და აკეთოს ამ ბრბომ, მისი ენტუზიაზმი ძე ძალდატანებულად მიმაჩნია; მისი სიყვარული მეფისადმი მომაგონებს ჯოგის სიყვარულს თავის მწყემსისადმი, რომელიც ჯერ ასაზრდოებს და შემდეგ დასაკლავად გზავნის მას. ხალხს, რომელიც მოკლებულია თავისუფლებას, აქვს ინსტინქტები, მაგრამ არა აქვს გონივრული გრძნობები. ეს ინსტინქტები გამოიხატება მხოლოდ ველურ და უცნაურ ფორმებში. მონური აღგზნებული თაყვანის ცემა, უბრმო გულდრეკის კმევა, რომელიც ბოლოს ბეზრდება ღვთაებრივ კერპს და მთელი ეს კულტი თავისი მონარქის გალმერთებისა,

უეცრივ იცვლება საშინელი, სისხლიანი ანტრაქტებით. რუსული მართველობის წესი, ეს — აბსოლუტური მონარქიაა, განზომიერებული მკვლელობით. რუსეთის იმპერატორი მუდამ ან შიშს განიცდის, ან სიცოცხლის მოწყენილობას. თუ დესპოტის სიამაყე მონებს მოითხოვს, — ადამიანი მუდამ თავის თანასწორს ეძებს. მეფეს თავის თანასწორი არა ჰყავს. მისი განმარტოების სადარაჯოზე უცვლელად დგას ეტიკეტი და შურით აღსავსე ეჭვიანობა. რუსეთის მეფე უფრო ღირსია სიბრალულისა, ვიდრე მისი ხალხი, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი ცოტა რაშეს მაინც წარმოადგენს.

მე ბევრი მიამბეს იმპერატორ ნიკოლოზის ბედნიერი ოჯახური ცხოვრების შესახებ, მაგრამ ამაში ვხედავ უფრო ნუგეშს მწუხარების დროს, ვიდრე სრულ ბედნიერებას. ნუგეში ბედნიერება არ არის, არამედ გამკურნავი საშუალება, რომელიც მოწმობს ავადმყოფობას. რუსეთის მეფისათვის გული ზედმეტია, თუ-კი მას საერთოდ გული აქვს. ალბად ამით აიხსნება იმპერატორ ნიკოლოზის ოჯახური კეთილდღეობა.

დედოფალმა ამ საღამოს დასტოვა პეტერჰოფი, რათა თავის საზაფხულო სასახლეში გადასულიყო კუნძულებზე. აქ მას უნდოდა მოეცალნა ქალიშვილის ჯვრისწერისათვის, რომელიც მეორე დღეს უნდა მომხდარიყო ახალ ზამთრის სასახლეში. როდესაც დედოფალი კუნძულებზე იმყოფება, სასახლის ირგვლივ ხეების ჩრდილში, დარაჯობს კავალერგარდის რაზმი, რომელიც ულამაზესია მთელ არმიაში.

ჩვენ კუნძულებზე ძალიან გვიან ვიყავით და ვერ მივუსწარით დედოფლის საზეიმო გამოსვლას მისი ღვთაებრივი ხომალდიდან, მაგრამ კარისკაცთა ბრბო ჯერ კიდევ იმყოფებოდა ლაჯვარედინ გაელვარებული მეფური ბანაკარსკვლავების შთაბეჭდილების ქვეშ. ადამიანთა ტალღები მოჰყვნებდენ ზღვის ტალღებს, დასერილებს მძლავრი სამხედრო გემით, ამაყი ხომალდი აფრაშვებული მოჰქრის, ამსხვრევს მღელვარე ტალღებს და ისინი ჯიდევ დიდ ხანს აქაფებული არიან მას შემდეგ, რა გემი უკვე მიაღწია ნავთსადგურს.

ამგვარად, ბოლოს მე უკვე ვსუნთქავდი სასახლის ჰაერით. მაგრამ აქამდის არ მჭონია შემთხვევა მეხილა ღვთაება, რომელიც თავის გამოცხადებით შუქს ჰფენდეს უბრალო მომაკვდავთ.

სასახლის ირგვლივ, ანუ მის ახლო, მაინც ფრიად მშვენიერი და მდიდარი საგარაკო სახლებია. ადამიანს სწყურია აქ თავის ბრძანებლის შეხედვა, როგორც მცენარეს მაცოცხლებელ მზის სხივები. ფვით ჰაერი აქ ხელმწიფეს ეკუთვნის და თვითეული სუნთქავს იმდე-

ნად, რამდენადაც ეს ნებადართული აქვს: ნამდვილ კარისკაცს სასახლეში ფილტვებიც ისევე მოქნილი აქვს, როგორც ზურგი.

ყველგან, სადაც სასახლე და კარისკაცებია, ანგარება და ინტრიგაა გამეფებული, ბაგრამ არსად არა სჩანს ეს ისე ცხადად, როგორც რუსეთში. რუსეთის იმპერია დიდი თეატრალური დარბაზია, სადაც ყველა ლოჟებიდან თვალყურს ადევნებენ მხოლოდ იმას, რაც ხდება კულისებში.

თუმცა რუსები ამაყობენ თავის ფუფუნებით და სიმდიდრით, მაგრამ მთელ პეტერბურგში უკეთესს არ შეუძლია იპოვოს ერთი ცოტა თუ ბევრად რიგიანი სასტუმრო. დიდ მოხელეებს რომელნიც შიდა გუბერნიებიდან სატახტო ქალაქში ჩამოდიან, თან მოჰყავთ მრავალრიცხოვანი მოსამსახურეები. ეს უკანასკნელნი სიმდიდრის ნიშანს წარმოადგენენ, რადგანაც ადამიანები აქ ბატონის საკუთრებად ითვლებიან. ეს მოსამსახურეები თავიანთი ბატონების გარედ ყოფნის დროს ბორიობენ რბილ საწოლებზე და მათ მკბენარებით ავსებენ. რამდენიმე დღეში მთელი შენობა სრულიად მოშხამულია და ეს ბოროტება გარდუვალი ხდება, რადგანაც ზამთრობით შეუძლებელია ოთახების განიავება.

მეფის ახალი სასახლე, რომელიც აღდგენილი იყო მრავალი თანხებისა და ადამიანთა სიცოცხლის დახარჯვით, უკვე აესებულია მკბენარებით. თითქოს მუშებს, რომელნიც თავიანთ სიცოცხლეს სწირავდენ, რათა უფრო ჩქარა გაელამაზებინათ სასახლის დარბაზები, სიკვდილის წინ შურის ძიება გადაეწყვიტათ და თავიანთი მკვლელი კრეტლები მოეწამლათ ამ მკბენარებით. უკვე ამთავითვე, ვიდრე ბინადრები სასახლეში შევიდოდენ, აუცილებელი გახდა ზოგიერთი ოთახის სრულიად დაკეტვა. როგორ შემიძლია კულონის სასტუმროში დავიძინო, როცა თვით მეფის სასახლე ვერ გადაურჩა ამ უბოროტეს ღამის მტრებს? ბედს უნდა დავემორჩილო: ნათელი ღამეები მიადვილებენ ღამის თევას.

დავბრუნდი თუ არა კუნძულებიდან, შუაღამისას ხელახლად ხეტიალი დავიწყე ქალაქში.

ნევის პროსპექტზე, შორიდან, განთიადის რიჟრაჟზე მე დავინახე საზღვაო ნო უწყების სვეტები თავისი ბრჭყვიალა და მოელვარე ლითონის წვეტით. ამ ქრისტიანული მინარეტის კოშკი უფრო წვეტიანია, ვიდრე რომელიმე გოთური კოშკი და მთლად დაფარულია დუკატების ოქროთი, რომელიც მოტანილი იყო ძღვნად პეტრე I-თვის ჰოლანდიის გაერთიანებული პროვინციების მიერ.

სასტუმროების საშინლად ჭუჭყიანი ნომრები და ეს ზღაპრული საუცხოო შენობა! ასეთია პეტერბურგი. ასეთია ის უკიდურესი კონტრასტები, რომელიც აქ ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. ევროპა და აზია ამ ქალაქში მჭიდროდაა გადახლართული ერთმანეთთან.

ამ ფონზე თავისებურად გამოიყურება ქალაქური მოსახლეობაც. რუსის ხალხი საკმაოდ ლამაზია. წმინდა სლავიანური რასის რუსებს, რომელნიც აქ მათ ბატონებს რუსეთის ცენტრიდან მოჰყავთ, ან და რომელნიც მათი ნებართვით დიდი ხნით პეტერბურგში რჩებიან სხვადასხვა ხელოსნობის შესასწავლად, ახასიათებს ქერა თმა, წითური სახე და განსაკუთრებით დასრულებული პროფილი, რომელიც ბერძნულ ქანდაკებას მოგვაგონებს. მათ ნუშისებურ თვალებს, აზიური ფორმა აქვს, ჩრდილოეთის მტრედის ფერის იერი და თავისებურად რბილი, გრაციული და ცბიერი გამომეტყველება. მათ აბრეშუმისებური, ოქროსფერ-მოყვითალო წვერი აქვთ და თეთრი სპეტაკი კბილები, დაწვეტიანებულები ხანდახან ვეფხვის ან ხერხის კბილების მსგავსად, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში — სრულიად თანასწორნი. ამ ხალხის ტანისამოსიც ორიგინალურია. იგი წარმოადგენს ან რაღაც ბერძნულ ტუნიკის მსგავსს, რომელიც შემოჭერილია ირგვლივ ბჭყვრიალა ტყავის სარტყელით, ან გრძელკალთიან სპარსულ ტანსაცმელს ან და მოკლე რუსულ ცხვრის ტულუპს, შიგნით ან გარედ ბეწვით შემოსილს, ჰაერის ტემპერატურის მიხედვით.

მდაბიო ხალხიდან გამოსული ქალები ნაკლებად ლამაზები არიან. ისინი იშვიათად გვხვდებიან ქუჩებში, ხოლო ვინც გვხვდება, ნაკლებად მიმზიდველია და ძალიან ტლანქი ეხედულება აქ ს. და საკვირველია: მამაკაცები უფრო სუფთად და ლამაზად არიან ჩაცმულნი, ვიდრე ქალები. იქნება ეს იმით აიხსნება, რომ მამაკაცებს თავიანთ სამსახურის გამო მუდამ დიდკაცების სახლებში უხდებათ ყოფნა. მდაბიო ქალები მძიმე ნაბიჯით დადიან და მაღალ ტყავის წაღებს ატარებენ, რომელნიც მათ ფეხებს ძალზე ამახინჯებენ. მათი გარეგნობა და ტანი მოკლებულია ყოველგვარ გრაციას, და თვით უახალგაზრდეს ქალთა მიწისფერ სახეებს არაფერი აქვს საერთო მამაკაცების სიცოცხლით სავსე სახის გამომეტყველებასთან. მ თ მოკლე და წინიდან ახდილ რუსულ ჯუბებს დატანებული აქვთ ბეწვი, რომელიც თითქმის მუდამ დაგლეჯილია და ნაფლეთებად ჰკიდია. ეს კოსტიუმი ლამაზი იქნებოდა, მას რომ „უკეთესად“ ატარებდენ, როგორც ამას მოდის მაღაზიების პატრონები ამბობენ ჩვენში, და რომ მას ხშირად არ აფუჭებდეს არა სწორი ტალია და საშინელი სიბინძურე. ქალების ნაციონალური თავსახურაც აგრეთვე ლამაზია, მაგრამ იგი ეხლა

იშვიათად გვხვდება. როგორც მე მითხრეს, მისი ნახვა ამ ჟამად შეიძლება მხოლოდ ძიძებთან ან და სასახლის ქალებთან საზეიმო დღეებში. ეს — პატარა წვეტიანი კოშკია, ბუყაოსაგან გაკეთებული, აბრეშუმით და ოქრომკედით მოქარგული.

დღეს საღამოთი მე ბევრი-რამ საინტერესო მიამბეს რუს გლეხების ეგრედწოდებული ბატონყმური უფლების შესახებ. ჩვენ მხოლოდ ძნელად-თუ წარმოვიდგენთ ადამიანთა ამ კლასის მდგომარეობას, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ უფლებებს და იმავე დროს ნაციას წარმოადგენენ. თუმცა რუსის კანონებმა მათ ყველაფერი წაართვა, ისინი მაინც ზნეობრივად ისე დაბლა არ დაცემულან, როგორც სოციალურად დაეცენ. მათ შესწევთ გამჭრიახობა და რამდენადმე სიამაყეც, მაგრამ მათი ხასიათის, როგორც მთელი მათი ცხოვრების, მთავარი თვისება ცბიერებაა. არავის არა აქვს უფლება საყვედური უთხრას მათ ამ თვისებებისათვის, რადგანაც ეგი ბუნებრივია მათს მდგომარეობაში.

იმპერიის ბევრ ნაწილში გლეხები დარწმუნებულნი არიან, რომ ისინი მიწის საკუთრებას შეადგენენ. ეს მდგომარეობა მათ ბუნებრივად მიაჩნიათ, რადგანაც ისინი თავს არ იწუხებენ ფიქრით, შეიძლება თუ არა ერთი ადამიანი მეორე ადამიანის საკუთრება იყოს. სხვა ადგილებში გლეხები ფიქრობენ, რომ მიწა მათ ეკუთვნით; ეს ყველაზე ბედნიერები არიან, თუ იმავე დროს ისინი ყველაზე დაჩაგრულნი და ტანჯულნი არ არიან რუს მონებს შორის.

ყმებისათვის ყველაზე დიდ უბედურებას იმ მიწის გაყიდვა შეადგენს, რომელზედაც ისინი დაიბადნენ. მათ ეხლა ჰყიდიან იმ მიწის ნაკვეთთან ერთად, რომელთანაც ისინი დაკავშირებულნი არიან; ამაში მდგომარეობს ახალი კანონის ერთად ერთი სიკეთე, რომელიც უკრძალავს ადამიანების გაყიდვას უმიწოდ. მაგრამ ამ კანონს მემამულეები გვერდს უხვევენ ყოველნაირი საშუალებით. ასე, მაგალითად, ჰყიდიან მთელ მამულს-კი არა ყველა გლეხებით, არამედ ცალ-ცალკე მიწის ნაკვეთებს და გლეხებს ასობით. როდესაც ასეთი უკანონო გაყიდვა მთავრობის ყურამდე აღწევს, იგი მემამულეებს სჯის, მაგრამ ეს იშვიათად ხდება, რადგანაც ამა თუ იმ ქმედობასა და მეფის შუა აღმართულია ადამიანთა კედელი, რომელნიც დაინტერესებულნი არიან, რომ დაჰფარონ და განაგრძონ ყველა ეს ბოროტმოქმედებანი.

ამგვარ წესწყობილებისაგან ყმებზე არა ნაკლებად მემამულეები იტანჯებიან, განსაკუთრებით ისინი, ვისი საქმეებიც ცუდად მიდის. მამულების გაყიდვა ძალიან ძნელია და ის მემამულეები, რომელ-

ნიც საგრძნობად დავალიალებულნი არიან, იძულებულნი ხდებიან ვალის გადასახდელად მიიღონ სესხი და თავიანთი მამულები სახელმწიფო ბანკში დააგირავონ. აქედან გამოდის, რომ მეფე მთელი რუსეთის თავად-აზნაურობის ხაზინადარი და კრედიტორია და ამგვარად, როგორც ხელფეხშეკრულს უზენაესი ხელისუფლების მიერ, მას არ შეუძლია თავისი მოვალეობა შეასრულოს ხალხის მიმართ.

ვიღაც ცნობილ მემამულეს უნდოდა თავისი მამულის გაყიდვა. გლეხებმა მას თავიანთი სოფლიდან უხუცესნი გაუგზავნეს, რომელნიც თავიანთ ბატონს მუხლმოდრეკით და თვალცრემლიანი ევედრებოდენ არ გაეყიდნათ ისინი: „მე ვალი მმართებს, — უპასუხა მემამულემ, — მე არ მინდა — ეს ჩემ წესებს ეწინააღმდეგება — გავადიდო გადასახადი, რომელსაც გლეხები იხდიან; მაგრამ არც ასე მდიდარი ვარ, რომ შევინარჩუნო მამული, რომელსაც არაფერი არ მოაქვს ჩემთვის“. „თუ რომ საქმე მხოლოდ ამაშია, — უპასუხეს გლეხებმა, — ჩვენ თვითონ საკმაოდ მდიდრები ვართ, რათა თქვენთან დავრჩეთ.“ და მაშინვე გააორკეცეს გადასახადი, რომელსაც უძველესი დროიდან იხდიდნენ თავიანთი ბატონის სასარგებლოდ.

სხვა გლეხები, რომელნიც ნაკლებად გულჩვილნი და უფრო ცბიერნი არიან, უჯანყდებიან თავიანთ ბატონებს იმ ერთად-ერთი იმედით, რომ ისინი სახელმწიფოებრივი ყმები გახდებიან. ეს რუსი გლეხის პატივმოყვარეობის უაღრესი საზღვარია. ეს ხალხი რომ უეცრივ გაანთავისუფლონ, მთელი ქვეყანა ცეცხლის ალში გაეხვეოდა. იმ წუთსვე, როდესაც მიწას ჩამოშორებული ყმები დაინახავდენ, რომ ამ მიწას უმისოდ ჰყიდიან, ქირაობენ და ამუშავებენ, ისინი მასიურად აჯანყდებოდენ და დაიწყებდენ ყვირილს, საკუთრებას გვტაცებენო.

ამას წინად რომელიღაც შორეულ სოფელში ხანძარმა იფეთქა; ბატონის სიმკაცრით გაბეზრებულმა გლეხებმა ისარგებლეს ამ არეულობით, რომელიც შეიძლება მათ მაერვე იყო გამოწვეული, დაიჭირეს თავიანთი მტერი, მოჰკლეს, სარზე ჩამოაცვეს და ცეცხლში დასწვეს. მათ ეგონათ, რომ თავს გავიმართლებთ თუ ფიცის ქვეშ ვიტყვით, რომ უბედურ მემამულეს უნდოდა ჩვენი ქოხების დაწვა და ამიტომ იძულებული გავხდით თავი დაგვეცვა. ასეთ შემთხვევებში მეფე ჩვეულებრივ მთელ სოფელს ციმბირში გადაასახლებს ხოლმე. და ამას პეტერბურგში „აზიის დასახლებას“ უწოდებენ).

როდესაც მე ვფიქრობ ამ გვარ და სხვა, ცოტად თუ ბევრად საიდუმლო სიმკაცრეებზე, რომელიც ყოველდღე ხდება ამ ვეებერთელა სახელმწიფოში, სადაც მანძილი ხელს უწყობს ამბოხებასაც, და მის

ჩაქრობასაც, მე მძულს მაშინ ეს ქვეყანაც, მისი მთავრობაც და მთელი მისი ხალხიც, საშინელ ზიზღს განვიცდი მათდამი და მხოლოდ იმაზე ვოცნებობ, რომ მალე წავიდე აქედან.

ყვავილებისა და ლივრეების ფუფუნება პეტერბურგის წარჩინებულთა სახლებში პირველად თითქოს მართობდა. ახლა-კი იგი აღშფოთებას იწვევს ჩემში და თითქმის დანაშაულად მიმაჩნია ის მხიარულება, რომელსაც ამ ფუფუნების გამო განვიცდიდი. ყოველი მემამულის კეთილდღეობა აქ განისაზღვრება იმ სულების რაოდენობით, რომელიც მას ეკუთვნის. ყოველი თავისუფლების მოკლებული ადამიანი აქ ფულია. მას მოაქვს თავისი ბატონისათვის, რომელსაც იგი თავისუფალს ეძახის მხოლოდ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელს მონები ჰყავთ, წლიურად 10 მან. საშუალოდ, ხოლო ზოგიერთ ადგილებში — ორჯერ და ოთხჯერ მეტი. რუსეთში ადამიანისებური ფული თავის ღირებულებას ისევე იცვლის, როგორც ჩვენში ბიწა, რომლის ფასი ხანდახან ორჯერ მატულობს ახალი ბაზრების აღმოჩენის დროს მისი მოსავლის გასასაღებლად. მე მუდამ ძალაუნებრად ვანგარიშობ, რამდენი ოჯახია საჭირო, რომ გადაიხადო რომელიმე მშვენიერი ქუდის ან შალის ფასი. როდესაც ამა თუ იმ სახლში შევდივარ, ვარდების და ჰორტენზიების ბუჩქები თითქოს სხვანაირად მეჩვენებიან, ვიდრე სხვა ადგილებში. მგონია, ისინი სისხლით არიან შეღებილნი მეთქი. ყველგან მედალის უკუღმა მხარეს ვხედავ. მე უფრო მაინტერესებენ ადამიანთა სულების რაოდენობა, რომელნიც განწირულნი ჰრიან სიკვდილამდე იტანჯონ მხოლოდ იმისთვის, რომ გადაიხადონ რომელიმე წარჩინებული ქალბატონისათვის საჭირო მატერია, ვიდრე ამ ქალის ძვირფასი ნივთები ან სილამაზე. ეს მშვენიერი მანდილოსნები მაგონებენ ბონაპარტის კარიკატურას, რომელიც 1813 წ. პარიზში იყო და მთელი ევროპაში გავრცელებული: როდესაც კაცი ბუმბერაზ-იმპერატორის პორტრეტს შორიდან უცქეროდა, იგი ძალიან წააგავდა ორიგინალს, მაგრამ როცა მის სურათს მიუახლოვდებოდი, ნათლად დაინახავდი, რომ მისი სახის ყოველი ნაკვთი დამახინჯებულ ადამიანთა გვამებისაგან შესდგებოდა.

ყველგან ღარიბი მუშაობს მდიდრისათვის, რომელიც მას ამ მუშაობისათვის ფულს აძლევს. მაგრამ ადამიანი, რომელიც თავისი დახარჯული შრომის და დროს გასამსჯელოს სხვა ადამიანისაგან ფულად ღებულობს შინაური საქონლად არ ჩაითვლება; თუნდაც იგი იძულებული იყოს დღითი-დღე იშრომოს, რათა თავის შვილებისათვის ლუკმა პური იშოვოს, მას მაინც მოჩვენებითი თავისუფლება მოეპოვება და მოჩვენება ხომ ყველაფერია ვიწრო გონების და განუსაზღვრელი ფან-

ნტაზიის მქონე არსებისათვის. ჩვენში ყველას, ვინც ქირით მუშაობს შეუძლია გამონახოს, სხვა დამქირავებელი სხვა ადგილი და სხვა გვარი სამუშაო, რადგანაც მისი შრომა არ არის წარმოდგენილი მდიდრის რენტის სახით. რუსი ყმა, პირიქით მისი მფლობელის ნივთია. ღღიდან დაბადებისა სიკვდილამდე იგი განწირულია ეძსახუროს ერთსა და იმავე ბატონს და შრომობს მხოლოდ იმისთვის, რომ ყმათა მფლობელს საშუალებები მისცეს მისი განებივრებული სურვილების და ჟინიანობის დასაკმაყოფილებლად. იმ სახელმწიფოში, სადაც საშუალო კლასი არ არსებობს, უნდა აიკრძალოს ყოველგვარი ფუფუნება, რადგანაც იგი გასაგებია და დასაშვები მხოლოდ კეთილმოწყობილ ქვეყნებში სადაც საშუალო კლასი სარგებლობს და ცხოვრების საშუალებებს იძნეს მაღალი საზოგადოების პატივმოყვარეობისა და ფუფუნებისაგან.

თუ, როგორც ამბობენ, რუსეთს სამრეწველო ქვეყნად გადაქცევა მოელის, მაშინ ყმებსა და ბატონებს შორის ურთიერთობა არსებითად შეიცვლება. თავისუფალი მოქალაქეების და ყმების წრიდან უნდა შეიქმნას დამოუკიდებელ ვაჭართა და ხელოსანთა წოდება, რომელიც ამ ჟამად მხოლოდ იწყებს არსებობას და უმთავრესად ცხოვრებისაგან შესდგება.

აქ პეტერბურგში საერთოდ ადვილად შეიძლება მოსტუვდე ცივილიზაციის გარეგნული შეხედულობით. როდესაც ხედავ სასახლეს და მის ირგვლივ მოსიარულე ხალხს, გგონია, რომ იმყოფები ისეთ ხალხში, რომელიც წინ წასულა კულტურულ განვითარების და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის მხრივ. მაგრამ, საკმარისია გაიხსენო მოსახლეობის სხვადასხვა კლასების ურთიერთობა და ის, თუ რა ფუფუნებაში და მძიმეა მათი ცხოვრების პირობები, რომ ამ აღმაშფოთებელ ფუფუნებაში უცვლელ ნამდვილი ბარბაროსობა განსჭვრიტო.

მე რუსებს არ ვკიცხავ იმისათვის, რაც ნამდვილად არიან, მაგრამ ვვმობ მათს სურვილს თავი ევროპიელებად მოვაჩვენონ. ისინი ჯერ კიდევ სრულიად უკულტურონი არიან. მაგრამ შეიძლებოდა იმედი არ დაგვეკარგა მათ მიერ კულტურის შეთვისებისა, ისინი რომ მაიმუნებივით არ ბაძავდენ სხვა ურებს და იმავე დროს არ დასცინოდენ მათვე, ვისაც ჰბაძავენ. კაცი ძალაუნებურად იფიქრებს, რომ ეს ხალხი დაკარგულია პირველყოფილი მდგომარეობისათვის და უვარგისია ცივილიზაციისათვის.

პეტერბურგში ყველაფერი მდიდრულად და საუცხოოდ გამოიყურება, მაგრამ თუ ამ გარეგნული შეხედულების მიხედვით ნამდვილ

ცხოვრებაზე ვიმსჯელებთ, სასტიკ შეცდომაში ჩავარდებით. ჩვეულებრივ ცივილიზაციის პირველი შედეგი ის არის, რომ იგი ამსუბუქებს ცხოვრების მატერიალურ პირობებს, აქ-კი იგი უაღრესად მძიმეა.

თუ რომ თქვენ მოისურვებდით ქალაქის გაცნობას და ამისთვის შნიცლერით არ დაკმაყოფილდებოდით სხვა გზის მაჩვენებელს ვერ იშოვიდით[7]). არც ერთი წიგნების გამყიდველი არ ჰყიდის პეტერბურგის ლირსშესახიშნავ ადგილების ცნობარს. ადგილობრივი მცოდნე პირები, რომლებსაც თქვენ ამის შესახებ შეეკითხებით ან დაინტერესებულნი არიან, რომ უცხოელს ამომწურავი ცნობები არ მისცენ, ან და სრულიად არ სცალიათ, რომ საერთოდ რაიმე გიპასუხონ. ერთად-ერთი საგანი, რაც ყველა მოაზროვნე რუსს აინტერესებს და მის გულისყურს იპყრობს, ეს არის — მეფე, სასახლე, სადაც იგი ცხოვრობს, გეგმები და პროექტები, რომელნიც ამა თუ იმ წუთს წარმოიშობიან სასახლეში. სასახლისადმი თაყვანისცემა და გაგება იმისი, თუ რა ხდება იქ, — აი ერთად-ერთი საგანი, რომელიც ავსებს მათს ცხოვრებას. ყველა ცდილობს თავის მბრძანებელს აამოს და დაჰფაროს უცხოელისაგან რუსეთის ცხოვრების არასასიამოვნო მხარეები. არავინ არ ცდილობს იმას, რომ გულწრფელად დააკმაყოფილოს უცხოელის კანონიერი ცნობისმოყვარეობა, ყველა სიამოვნებით ატყუებს მას ყალბი მასალებით, და საჭიროა დიდი კრიტიკული ნიჭი, რათა ცოტა მაინც წარმატებით იმოგზაურო რუსეთში. დესპოტიზმის პირობებში ცნობისმოყვარეობა მოურიდებლობის სინონიმია.

დაუბრუნდები ისევ ჩემს გასეირნებას კუნძულებზე. მე ძალიან ვწუხდი, რომ ვერ ვნახე დედოფალი, ამბობენ, იგი მშვენიერი, მაგრამ ამპარტავანია. მართლაც, საჭიროა რაღაც სულის ამაღლება და იმავე დროს გონების სიმსუბუქე, რომ ადამიანი შეურიგდეს იმ ცხოვრებას, რომელიც ამ ქალს წილად ხვდა. იგი არაფერში არ ერევა და არც შეკითხვებს იძლევა სრულიად. ადამიანის ცოდნა მუდამ საკმაოა, თუ-კი მას არაფრის გაკეთება არ შეუძლია. რუსეთის დედოფალიც სწორედ ისე იქცევა, როგორც მეფის ყველა დანარჩენი ქვეშევრდომი: ყველა ბუნებრივად გაჩენილ რუსს და ყველას, ვინც-კი რუსეთში ცხოვრობს, თითქოს სიჩუმის აღთქმა მიუცია იმის შესახებ, რაც მის გარშემო ხდება. აქ არაფერზე არ ლაპარაკობენ და იმავე დროს ყველაფერი იციან. სიდუმლო ბაასი აქ ძალიან საინტერესო უნდა იყოს, მაგრამ ვინ გაბედავს მას? უბრალო ფიქრიც-კი, ეჭვებს იწვევს თქვენი პიროვნების შესახებ.

სულ ეხლახან თავადი რეპნინი განაგებდა სახელმწიფოსაც და მეფესაც, მაგრამ ამ ორი წლის წინად მან დაჰკარგა მეფის ნდობა, და მას

შემდეგ რუსეთში აღარ ახსენებენ მის სახელს, რომელიც მანამდე ყველას პირზე ეკერა. ხელისუფლების მწვერვალებიდან იგი გადატყორცნილი იქნა ულრმეს უფსკრულში და ვერავინ ვერ ბედავდა ვერც გახსენებას და ვერც ფიქრს მისი ცხოვრების შესახებ, არამც თუ ეხლანდელის, არამედ წარსულისაც კი. რუსეთში ამათუიმ მინისტრის დაცემის დღეს მისი მეგობრები უნდა დანუნჯდენ და დაბრმავდენ. ადამიანი უკვე დამარხულია მაშინვე, რა წამსაც მას თითქოს მეფის წყალობა მოაკლდება. ვამბობ „თითქოს" მეთქი, რადგანაც ვეღარავინ ბედავს ლაპარაკს იმის შესახებ, ვისაც ეს სამწუხარო ბედი ხვდა. ამიტომ რუსეთმა არ იცის, არსებობს თუ არა დღეს მინისტრი, რომელიც გუშინ განაგებდა მთელ სახელმწიფოს.

ვის მიმართავს ოდესმე რუსი თავის დასაცავად ამ უმაღლესი საზოგადოების უსიტყვო შეთქმულების წინააღმდეგ? რა "ურისძიებას უქადის თვითმყრობელობას მშიშარა არისტოკრატის ეს ნებაყოფლობითი თვით დამცირება? რას აკეთებს რუსეთის თავად-აზნაურობა? იგი თაყვანსა სცემს თავის ნეფეს და ხდება თანამოზიარედ უმაღლესი ხელისუფლების ყველა ბოროტმოქმედებისა, რომ თითონ აწამოს ხალხი, ვიდრე ღმერთი, რომელსაც ეს გაბატონებული კლასი ემსახურება, და რომელიც მის მიერვე შექმნილი მათრახს, დასტოვებს მის ხელში. ნუ თუ ეს როლი არგუნა განგებამ თავად-აზნაურობას ამ უშველებელ ქვეყნის სახელმწიფო აღმშენებლობაშ ი? რუსეთის ისტორიაში არავინ, მეფეს გარდა, არ ასრულებდა იმას, რაც მის მოვალეობას და პირდაპირ დანიშნულებას შეადგენდა, — არც თავად-აზნაურობა და არც სამღვდელეობა. დამონავებული ხალხი მუდამ ღირსია თავისი მონობის: ტირანია თვით დამონავებული ხალხის ქმნილება. და ვიდრე 50 წელიწადი გაივლიდეს, ან მთელი ცივილიზაცია მოჰყვება ამ ბარბაროსების უღელ ქვეშ, ან და რუსეთში იფეთქებს რევოლუცია, გაცილებით უფრო საშინელი, ვიდრე ის იყო, რომლის შედეგებსაც დასავლეთი ევროპა დღემდე გრძნობს.

მე ვამჩნევ, რომ აქ ჩემიც ეშინიანთ, რადგანაც იციან, რომ მე ჩემი რწმენის თანახმად ვწერ. არც ერთ უცხოელს არ შეუძლია გადალახოს რუსეთის საზღვრები უიმისოდ, რომ არ განიცადოს უაღრესად სასტიკი გამოძიება და მკაცრი კრიტიკა. „იგი სერიოზული ადამიანია და ამიტომ შეიძლება საფრთხეს წარმოადგენდეს", ზიზღი დესპოტიზმის წინააღმდეგ, — ამბობენ აქ, — გაბატონებულია საფრანგეთში ჯერ კიდევ გიმოურკეველად, რადგანაც არ იციან დანამდვილებით, თუ რა ხდება ჩვენ ში. მიგრამ, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს ადამის ღირსი მიგზაური აუწყებს ყველას იმ რეალურ საშინელებას,

რომელიც არ შეიძლება თვალში არ ეცეს მას, მაშინ ჩვენ სწორედ ისე დაგვინახავენ, როგორიცა ვართ სინამდვილეში. საფრანგეთი ჯერ არ გვიცნობს და გვიყვეფს, როდესაც გაგვიცნობს, იგი კბენას დაგვიწყებს.“

ალბად სწორედ ამ მოსაზრების გამო, რუსები ყველგან დიდ ყურადღებას მიაქცევენ, მაგრამ ეს გარეგნული ზრდილობა ვერ დაჰფარავს მათ იდუმალ შიშს. მე ჯერ არ ვიცი ვიტყვი თუ არა მათ ქვეყნის შესახებ, ყველაფერს რასაც ვფიქრობ, მაგრამ ის-კი ვიცი, რომ ისინი მართალნი არიან, როდესაც ეშინიანთ, რომ მე მთელს სიმართლეს ვიტყვი.

რუსებს მხოლოდ სახელწოდება აქვთ ყველაფრის, მაგრამ სინამდვილეში არაფერი აქვთ. რუსეთი ფასადების ქვეყანაა. წაიკითხეთ ეტიკეტები, — მათ აქვთ ცივილიზაცია, საზოგადოება, ლიტერატურა, თეატრი, მეცნიერება, ხელოვნება; სინამდვილეში ექიმებიც კი არ ჰყავთ. საკმარისია ავად გახდეთ, მაგალითად ციებით, და თქვენ თვითონ უნდა უწამლოთ თავს, ან და უცხოელი ექიმი მოიწვიოთ. თუ შემთხვევით თქვენს ახლო მცხოვრებ რუს ექიმს დაუძახებ, შეგიძლიანთ თქვენი თავი წინდაწინ მკვდრებში ჩათვალოთ. რუსული მედიცინა ჯერ კიდევ განვითარების პირველ საფეხურზეა. ლეიბ-მედიკის გარდა, რომელიც რუსია და როგორც ამბობენ, ნამდვილი მეცნიერიც, ყველა დანარჩენი ექიმები, რომელნიც არ ცდილობენ თავიანთი პაციენტები საიქიოს გაგზავნონ გერმანელები არიან, ეს უკანასკნელნი მივლინებულნი არიან დიდი მთავრების სასახლეებში. მაგრამ რუსი მთავრები მუდამ მოგზაურობენ და კაცმა არ იცის, სად იმყოფებიან ისინი ამა თუ იმ წუთს; ამიტომ ფაქტიურად მოკლებული ხარ ყოველგვარ საექიმო დახმარებას. და ეს სასახლის ექიმებიც გაცილებით დაბლა დგანან ჩვენ უბრალო ჰოსპიტალის ექიმებზე. ვინც უფრო გამოცდილია პრაქტიკულად მალე ჰკარგავს თავის გამოცდილებას და ცოდნას, რადგანაც სულ სასახლეში იტარებს დროს და იშვიათად არის ავადმყოფის საწოლთან. მე დიდი ინტერესით ვკითხულობდი სასახლის ექიმის საიდუმლო მემუარებს რუსეთში, მაგრამ ვერ ვენდობოდი მის ექიმობას. ეს ხალხი უფრო კარგი მემუარისტები არიან, ვიდრე ექიმები. და ბოლოს, თუ თქვენ ამ guasi — ცივილიზაციურ ხალხში ავად გახდებით, ყველაზე კარგი ის იქნება, რომ წარმოიდგენდეთ ველურებში მოვხვდით და ყველაფერს ბუნებას მიანდობდეთ.

ღამით გვიან სახლში დავბრუნდი და დამხვდა წერილი, რომელმაც ძალიან გამაკვირვა ჩემდა სასიამოვნოდ. ჩვენი ელჩის შუამდგო-

ბლობის გამო ხვალ მე დაშვებული ვიქნები სასახლის ეკლესიაში და ვნახავ მეფის ქალიშვილის ჯვრის წერას. ოფიციალურ წარმოდგენაზე ადრე სასახლეში გამოცხადება ნიშნავს ეტიკეტის ყველა წესების დარღვევას, და ამიტომ მე სრულიად არ ვფიქრობდი, რომ ღირსი გავხდებოდი ასეთ წყალობისა. გრაფ ვორონცოვმა, ობერ ცერემონმეისტერმა, არც კი გამაფთხილა, რათა ჩემში უსაფუძლო იმედი არ აღეძრა, შიკრიკი გაგზავნა პეტერჰოფში, რომელიც 10 ლიე-სმანძილზე მდებარეობს ს. პეტერბურგიდან და სთხოვა მის უდიდებულებას გადაეწყვიტა ჩემი ბედი ხვალინდელი დღისათვის. მეფემ უპასუხა, რომ ნებას მაძლევს დაესწრო მისი ქალიშვილის ჯვრის წერას და რომ ხვალვე საღამოთი ბალზე ვიქნები წარდგენილი საგანგებო ცერემონიალის გარეშე.

თ ა ვ ი VI

რუსეთის იმპერატორი,—იგი შიშსა ჰგვრის და თვითონ მუდამ შიშს განიცდის.—მეფის გარეგნობა.—ნიკოლოზს ღიმილი არ შეუძლია.—დედოფლის ავადმყოფობა.—ქუსლის კატასტროფა.—სასახლის ეკლესია.—დიდი მთავრის ქორწილი.—თათრის ბანი.—ეტიკეტის სასტიკი დაშცველი.—მეფის მკვლელის შვილი შაფერის როლში.—„პოდპორუჩიკი ლეიხტენბერგსკი“.—მოღუღუნე მტრედები.—კაპელლა.—მოხუცი მიტროპოლიტი.—ავდარი.

შესანიშნავი შემთხვევაა! დღეს 1839 წ. ივლისის 14-ს ბასტილიის დანგრევის დღეა[8]). ჩვენი რევოლუციების დასაწყისი და ევგენი ბოჰარნეს შვილის დაქორწინება რუსეთის იმპერატორის ქალიშვილზე ერთსა და იმავე დღეს ხდება, მხოლოდ მათ შორის 50 წლის მანძილია.

მე აი ეს არის დავბრუნდი სასახლიდან, სადაც სასახლის ეკლესიაში დავესწარი დიდი მთავრის მარიამ ნიკოლოზის ასულის და ჰერცოგ ლეიხტენბერგელის ჯვრის წერას ბერძნული წესით. მაგრამ, ვიდრე ამ ზეიმს დაწვრილებით ავწერდე, მე მინდა გიამბოთ იმპერატორ ნიკოლოზის შესახებ.

პირველი შეხედვით ძალაუნებურად თვალში გეცემათ მეფის პირისახის დამახასიათებელი თვისება და რაღაც მოუსვენარი მრისხანება. ფიზიონომისტები უსაფუძვლოდ როდი ამტკიცებენ, რომ გულის სიბოროტე სახის სილამაზეს ვნებს. იმპერატორ ნიკოლოზის სახის ასეთი ნაკლებად სათნოიანი გამომეტყველება უფრო მძიმე განცდის შედეგია, ვიდრე მისი ადამიანური ბუნების. რა ხანგრძლივი და საშინელი ტანჯვა უნდა განეცადა ამ ადამიანს, რომ მისი სახე ყველას შიშს გვრიდეს ნაცვლად ბუნებრივი მიმზიდველობისა, რომელსაც ჩვეულებრივ იწვევს სახის კეთილშობილი გამომეტყველება.

ვინც ყოვლად შემძლეა და ძალა შესწევს, მოიმოქმედოს ის, რასაც მოისურვებს, აგრეთვე ნამოქმედარის სიმძიმესაც განიცდის, უმორჩილებს—რა ქვეყანას თავის წერას, იგი ყოველ შემთხვევით მოვლენაში ხედავს აჯანყების აჩრდილს თავის ყოვლად შემძლეობის წინააღმდეგ. მას თითქოს შეურაცყოფას აყენებს ბუზიც-კი, რომელიც უდროოდ გაფრინდება სასახლეში ამა თუ იმ ოფიციალური მიღების

დროს. ბუნების დამოუკიდებლობა მას ცუდ მაგალითად მიაჩნია; ყოველი არსება, რომელიც არ ემორჩილება მის ნებას, მის თვალში ჯარისკაცია, აჯანყებული ომის დროს თავისი უფროსის წინააღმდეგ. სირცხვილი თავს ატყდება არმიას და სარდალს. უზენაესი სარდალი რუსეთის იმპერატორია და მისი ყოველი დღე—ბრძოლის დღეა.

მხოლოდ იშვიათად სიკეთის მკრთალი ნიშნები არბილებს ბრძანებელის მკაცრ გამომეტყველებას და ამაში თავაზიანობის გამოხატულება უეცრივ ამჟღავნებს მისი ანტიკური თავის სილამაზეს. მამის და მეუღლის გულში მოკლე ხნით ადამიანობა იმარჯვებს მეფის პოლიტიკაზე. მაშინ იგი თვითონ ისვენებს იმ უღლისაგან, რომელიც მისი ნებით ყველას ძძიმედ აწევს, და ბედნიერად გამოიყურება. ასეთი ბრძოლა ადამიანური ღირსების პრიმიტიული გრძნობისა ბრძანებლის აფექტიურ სიმკაცრესთან, მე ძალიან საინტერესოდ მიჩანია და ამ ბრძოლას თვალყურს ვადევნებდი ჩემი ეკლესიაში ყოფნის უმეტეს დროს.

იმპერატორი ნახევარი თავით მაღლა სდგას ჩვეულებრივი ადამიანის ტანზე. მისი ფიგურა კეთილშობილია, თუმცა ოდნავ მძიმეშას სიყრმიდანვე შეთვისებული აქვს რუსული ჩვეულება წელზეით კორსეტის შემორტყმისა, რათა კუჭი გულისკენ იყოს აწეული. ამის გამო გეერდები განიერდება და მათი არაბუნებრივი გამობურცვა ვნებს მთელი ორგანიზმის ჯანმრთელობას და სილამაზეს. ფიგურის ასეთი ნებაყოფლობითი დამახინჯება ზღუდავს მოძრაობის თავისუფლებას, ამცირებს გარეგნულ სილამაზეს და მას რაღაც მოუხეშავ სიმძიმეს აძლევს. ამბობენ, როდესაც იმპერატორი კორსეტს იხდის და მისი ფიგურა უეცრივ ბუნებრივ ფორმებს ღებულობს, იგი არაჩვეულებრივ დაღლილობას განიცდისო. შეიძლება დროებით გადასწიო კუჭი, მაგრამ არ შეიძლება მისი სრულიად გაუქმება.

იმპერატორ ნიკოლოზს ბერძნული პროფილი აქვს, მაღალი, მაგრამ ოდნავ შეზნექილი შუბლი, სწორი ფორმის ცხვირი, ძალიან ლამაზი პირი, კეთილშობილი, მოგრძო პირისახე, სამხედრო და უფრო გერმანული, ვიდრე სლავიანური გარეგნული შეხედულება. მისი სიარული და თავისუფალი მანერები შთაბეჭდილებას ჰქმნიან. იგი მუდამ დარწმუნებულია, რომ საყოველთაო ყურადღებას იპყრობს და არასოდეს ერთ წუთსაც არ ივიწყებს, რომ ყველა მას უცქერის. კიდევ მეტი, ადამიანი უნებურად იფიქრებს, რომ მას სწორედ ის სურს, რომ ყველას ყურადღება მხოლოდ მაზე იყოს მიპყრობილი. მას ძალიან ხშირად [illegible] ხათ და [illegible] შთაბეჭდილ[illegible]

გულდასმით ჩავაშტერდი ამ ადამიანის ლამაზ სახეს, რომლის ნება-სურვილზე დამოკიდებულია ამოდენა ხალხის სიცოცხლე და ძალა-უნებური მწუხარებით შევნიშნე, რომ მას არ შეუძლიან ღიმილი ერთდროულად თვალებით და პირით. ეს მის მუდმივ შიშს მოწმობს. ყველას გულის წუხილით აგონდება ის ბუნებრივი გრაცია, რომლითაც ყველანი აღფრთოვანებულნი იყვნენ მისი ძმის, იმპერატორი ალექსანდრეს, შეიძლება უფრო ნაკლებად სწორი, მაგრამ უფრო მიმზიდველი სახეში. ამ უკანასკნელის გარეგნული შეხედულება მომხიბლავი იყო, თუმცა რაოდენადმე მოკლებული არ იყო სიყალბეს; ნიკოლოზის გარეგნობა უფრო პირდაპირია, ხოლო ჩვეულებრივი სასტიკი გამომეტყველება, მას ხანდახან მრისხანე და შეურყეველ ხასიათს აძლევს. თუ ნიკოლოზი თავის ძმაზე ნაკლებად მიმზიდველია, სამაგიეროდ მას უფრო ძლიერი ნებისყოფა აქვს, რომლის გამოაშკარავება ხშირად უხდება იძულებით. ხანდახან სირბილეც იფარავს ხელისუფლებას, რადგანაც იგი ანელებს ამბოხების სულს, მაგრამ ეს მოხერხებული სიფრთხილე ხელისუფლების გამოყენებაში უცნობი საიდუმლოებაა იმპერატორ ნიკოლოზისათვის. იგი მუდამ ისეთ ადამიანად რჩება, რომელიც მხოლოდ მორჩილებას მოითხოვს, სხვებს კი სიყვარულიც სწყურიათ.

დედოფალს ტანის მშვენიერი მოყვანილობა აქვს; მიუხედავად უზომო სიგამხდრისა, იგი როგორც მე მომეჩვენა, აღსავსეა არაჩვეულებრივი გრაციით. მისი მანერა თავის დაჭერისა, სრულიად არ არის ისეთი ამპარტავნული, როგორც მე მითხრეს, და უფრო ამჟღავნებს ამაყი სულის ჩვეულებას მორჩილებისადმი. საზეიმო გამოსვლის დროს ეკლესიაში დედოფალი ძალიან აღელვებული იყო და თითქმის მომაკვდავად მეჩვენებოდა. ნერვიული კონვულსიები ამახინჯებს მის სახეს და ხანდახან თავის რხევასაც-კი იწვევს მასში. მისი ღრმად ჩაცვინული ცისფერი და მშვიდი თვალები ამხილებდა ძლიერ ტანჯვას, რომელსაც იგი იტანდა ანგელოსური სიმშვიდით. მისი საკუთარი გრძნობით აღსავსე შეხედვა მით უფრო მეტ შთაბეჭდილებას ახდენდა, რომ იგი ყველაზე ნაკლებ ზრუნავდა ამაზე. დედოფალი უდროოდ არის დაბერებული და მის მნახველს არ შეუძლია მისი წლოვანობის გამოცნობა. იგი ისე დასუსტებულია, რომ თითქოს სრულიად მოკლებულია სიცოცხლის უნარს. მისი სიცოცხლე ჰგრეგა დღითი-დღე. დედოფალი უკვე აღარ ეკუთვნის დედამიწას: ის მხოლოდ ადამიანის აჩრდილია. მან ვერ სოდეს ვეღარ შესძლო გამოსწორება იმ მღელვარებისაგან, რომელიც მეფის ტახტზე ასვლის დღეს განიცადა[1]). მეუღლის მოვალეობამ შთანთქა მისი სიცოცხლის ნაშთი; მან მეტად

მრავალი კერპი მისცა რუსეთს, მეტად ბევრი შვილი იმპერატორს „ამოსწურო მთელი შენი სიცოცხლე ახალგაზრდა დიდ მთავრებში— რა საშინელი, მწარე ბედია!“ ამბობდა ერთი წარჩინებული პოლონელი ქალი, რადგანაც მას არ მიაჩნდა საჭიროდ აღფრთოვანებულიყო იმით, რაც სულით და გულით ეზიზღებოდა.

ყველანი ხედავენ დედოფლის მძიმე მდგომარეობას, მაგრამ არავინ არ ლაპარაკობს ამაზე. ხელმწიფეს უყვარს იგი, ციებ-ცხელება აქვს თუ ლოგინადაა ჩავარდნილი ავადმყოფობის გამო,—იგი თვითონ უვლის მას, მთელ ღამეებს მის საწოლთან ატარებს და თითქო მომვლელი ქალი იყოს, უმზადებს მას სასმელს. მაგრამ ოდნავ, გამოსწორდება თუ არა იგი, ხელახლად სტანჯავს მას მღელვარე ცხოვრებით, ზეიმებით და მოგზაურობით. და მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელახლად იჩენს თავს სიცოცხლის საფრთხე, იგი უარს ამბობს თავის განხრახვებზე. წინასწარ გაფრთხილებას კი, რომელსაც ამ საფრთხის თავიდან აცილება შეუძლიან, იმპერატორი არ სცნობს. ცოლი, შვილები, მისამსახურეები, ნათესავები, ფავორიტები,—რუსეთში ყველანი უნდა ტრიალებდენ იმპერატორის ქარიშხალში, პირზე ღიმილით სიკვდილამდე, ყველა ბრძანებლის უმცირეს ზრახვას უნდა ემორჩილებოდეს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. მხოლოდ იგი სწყვეტს თვითეულის ბედს და რაც უფრო ახლო დგას ვინმე ამ ერთად-ერთ მნათობთან, მით უფრო მალე იწვის იგი მის სხივებში: ეი რატომ კვდება დედოფალი!

დღეს დილით საჩქაროდ ჩავიცვი და საფრანგეთის ელჩის ლანდოთი სასახლის ეკლესიაში გავემგზავრე; გზა-და-გზა მე გულდასმით ვაკვირდებოდი ირგვლივ მდებარე არე-მარეს. სასახლის ახლო ჯარები დავინახე, რომელნიც თავისი გარეგნული შეხედულობით თითქოს არ შეეფერებოდნენ თავიანთ დიად სახელს, მაგრამ ცხენი ყველას საუცხოვო ჰყავდა. ვეებერთელა მოედანი, რომელიც ხელმწიფის სასახლეს დანარჩენ ქალაქისაგან ჰყოფდა, სავსე იყო სასახლის ლანდოებით, ლივრეებში გამოწყობილ ლაქიებით და სხვადასხვა ფორმაში გამოწყობილი ჯარისკაცებით; ყველაზე შესამჩნევნი იყვნენ კაზაკები. მიუხედავად ხალხის სიმრავლისა, არსად არ ეტყობოდა მჭიდროობა, იმდენად ფართოა სასახლის მოედანი. სასახლის ლანდოები მდიდრულად გამოიყურება, მაგრამ მოუვლელია და ამიტომ ელეგანტობაც აკლია. ისინი ცუდად არიან შეღებილი და კიდევ უფრო ცუდად გაპრიალებულნი, ძძიმედ დადიან: შიგ შებმულია ოთხი ცხენი უაღრესად გრძელი საფარველებით.

მე მოჩიბლული ვიყავი ამ ახალი სანახაობით და ბრწყინვალეებით, რომელიც თვალში ეცემოდა მაყურებელს, როცა უდიდესი სასახლის პერისტილის წინაშე აღმოვჩნდი; აქ ათას ხმიან ხმაურობაში განუწყვეტლივ ჩოდიოდნენ ლანდოები, რომელშიც მორთული კარისკაცები ისხდენ; მათ თან ახლდათ გარეგნულად და ნამდვილადაც ნახევრად ველური ლაქიები, რომელთა ჩაცმულობა თავისი ბრწყინვალებით და სიმდიდრით თითქმის არ განირჩეოდა მათი ბატონების საუცხოო ტანსაცმელისაგან.

როდესაც საჩქაროდ ლანდოდან გამოვდიოდი, რათა არ ავცდენოდი მათ, ვისთანაც ერთად სასახლეში უნდა შევსულიყავი, მე ოდნავ ვიგრძენი, რომ დეზი წამოვდე საფეხურს. წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, როდესაც ერთი წუთის შემდეგ, პირველი ნაბიჯის გადადგმისთანვე სასახლის მშვენიერ კიბეზე, მე შევნიშნე, რომ დამკარგოდა დეზი და მასთან ერთად რაც უფრო საშინელი იყო, მომეარდნოდა ქუსლი, რომელზედაც ეს დეზი იყო მიმაგრებული. ამგვარად ნახევრად უფეხსაცმელოდ დავრჩი. ეს ამბავი რომელიც სწორედ იმ მომენტში შემემთხვა, როდესაც პირველად უნდა წარვმსდგარიყავი უაღრესად პედანტური და ძლიერი ადამიანის წინაშე, ნამდვილ უბედურებად მიმაჩნდა. რუსები დამცინავები არიან და ის აზრი, რომ მე მათი ოხუნჯობის ობიექტი უნდა გავმხდარიყავი, ჩემთვის აუტანელი იყო. რა ვქნა? დავბრუნდე უკან შესავალში და დავიწყო ჩემი ფეხსაცმელის ნაგლეჯის ძებნა? მაგრამ ლანდოებმა ალბად უკვე გასრისეს საბრალო ქუსლი, მისი პოვნა სასწაული იქნებოდა და თუნდაც მეპოვნა, რა უნდა მექნა ამ ქუსლისთვის? ხელით ხომ არ შევიტანდი სასახლეში? რა გადამეწყვიტა? დამეტოვებინა საფრანგეთის ელჩი და შინ დავბრუნებულიყავი? მაგრამ ამ დროს უკან დაბრუნება სკანდალი იქნებოდა. მაგრამ ამ ხახით მონარქისა და კარისკაცების წინაშე გამოცხადება ნიშნავდა თავის დაღუპვას მათ თვალში. უნდა დავმორჩილებულიყავი აუცილებლობას. გაწითლებული მე შევეცადე ბრბოში შეუმჩნევლად შერევას. მაგრამ რუსეთში, როგორც უკვე ვსთქვი, ბრბო არსად არ არის, განსაკუთრებით არ იყო იგი ახალ საზამთრო სასახლის,—მთელ ქვეყანაზე უაღრესად გრანდიოზული და დიდებული სასახლის,—მდიდრულად მორთულ კიბეზე. მე ვგრძნობდი, რომ ჩემი ბუნებრივი ნოკრძალება საგრძნობლად გაიზარდა ამ სასაცილო შემთხვევის გამო, მაგრამ გადავწყვიტე თავი შემეკავებია და ნაბიჯი გადავდგი რაც კი შეიძლება ნაკლები კოჭლობით; გავიარე დაუსრულებელი დარბაზები და მდიდრული გალერეები, და გულში ვწყევლიდი ძათ გაჩალებულ სინათლეს და

კოლოსალურ სიფართოვეს, რადგანაც ისინი ყოველგვარ იმედს მის-
პობდენ თავი დამეღწია სასახლის წარჩინებულთა ცნობის მოყვარეო-
ბისთვის. რუსები მარტო დამცინავნი კი არ არიან, არამედ—გულ-
ციანი ცბიერნი, გონება მახვილნი და ნაკლებად ზრდილნი, როგორც
ყველა პატიოსანმოყვარენი. ისინი განსაკუთრებით არ ენდობიან უც-
ხოელებს, რომელთა მსჯელობისაც ეშინიანთ, რადგანაც დარწმუნე-
ბულნი არიან, რომ მტრულად ვართ განწყობილნი მათდამი, თუმცა
გარეგნულად ზრდილობიანი და სტუმართმოყვარულნი მოსჩანან.

ბოლოს ძლივს მივაღწიე სასახლის ეკლესიას და აქ უეცრად
სუყველაფერი დავივიწყე: ჩემი თავიც და ჩემი სულელური უხერხული
მდგომარეობაც. ყველა ისე იყო გართული იმით, რაც ირგვლივ ხდე-
ბოდა, რომ თითქმის ვერავინ შეამჩნია ჩემი ფეხსაცმლის დეფექტი
არაჩვეულებრივმა სანახაობამ კვლავ სიმშვიდე და გულგრილობა
დამიბრუნა, მე ისევ უბრალო მოგზაური გავხდი და დაეუბრუნდი
ფილოსოფიურად მიუდგომელი მეთვალყურის როლს.

კიდევ ორიოდე სიტყვა ჩემი ტანისამოსის შესახებ. იგი ხანგრ-
ძლივი დისკუსიის საგანი იყო, საელჩოს ახალგაზრდა მსახურნი მირ-
ჩევდნენ ნაციონალური გვარდიის მუნდირი ჩამეცვა, მაგრამ მე შე-
მეშინდა, რომ ეს ხელმწიფეს არ მოეწონება ბეთქი და გენერალური
შტაბის მუნდირში გამოვცხადდი. მაფრთხილებდენ, რომ ეს ფორმა
ახალია, აქ თითქმის უცნობი და მან შეიძლება დიდს მთავრებსა და
თვით ხელმწიფეს საბაბი მისცეს ყოველგვარი შეკითხვებისა, რამაც
თავის მხრით შეიძლება უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენოთო. მიუ-
ხედავად ამისა, ჩემი მუნდირისთვის აქამდე არავითარი ყურადღება
არ მიუქცევიათ.

ბერძნული წესით ჯვრის წერის ცერემონიალი ხანგრძლივი და
დიდებულია. აღმოსავლეთ ეკლესიაში ყველაფერი სიმბოლოა. საეკ-
ლესიო წირვის ბრწყინვალება, თითქოს უფრო აორკეცებდა სასახ-
ლის ზეიმის სიდიადეს. კედლები, ეკლესიის მხატრული ჭერი, მღვდელ-
მთავართა შესამოსი—ყველაფერი ოქროთი და ძვირფასი ქვებით
ბრწყინავდა. აქ იმდენი განძეულობა იყო, რომ მას შეეძლო გაეკვირ-
ვებინა თვით არა პოეტური ცნებაც. ეს სანახაობა მოგვაგონებს
ფანტასტიურ აღწერას „ათას და ერთი ღამიდან“. იგი გვიპყრობს,
როგორც აღმოსავლეთის პოეზია, სადაც შეგრძნება გრძნობის და
აზროვნების წყაროა.

სასახლის ეკლესია ძალიან დიდი არ არის. იგი ავსებულია
ევროპიელი და აზიის ყველა მინარქების წარმომადგენლებით. რადგა-
ნაც უცხოელთა რიგებთან ჩემსავით ნებადართული ჰქონდათ ცერე-

ბონიალს დასწრებოდენ დიპლომატიური კორპუსის შემადგენლობაში, ელჩების ცოლებით, და ბოლოს—სასახლეს მოსამსახურე პირებით. ჩვენ მოაჯირი გვყოფდა ნახევრად მოშრგვალებულ დარბაზისაგან, სადაც დაბალი, ოთხკუთხიანი მაგიდის მსგავსი საკურთხეველი იყო მოთავსებული. კლიროსზე მოსჩანდა ადგილები, რომელნიც დანიშნულნი იყვნენ მეფის საგვარეულოსთვის და ჯერ ისევ ცარიელები იყვნენ.

მე ცოტა რამ მინახავს ისეთი, რაც თავისი სიდიადით და ბრწყინვალებით შეედრება იმპერატორის გამოსვლას მოვარაყულ ეკლესიაში. იგი შემოკიდა დედოფალთან ერთად, მთელი სასახლის თანხლებით, და მაშინვე ჩემი და აგრეთვე ყველა იქ მყოფთა ყურადღება მიიპყრო. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი გაბრწყინვებული იყვნენ: სიყვარულით ნაკარნახევი ქორწინება ოქრომკ დით მოქარგულ ტანსაცმელში და ასეთ საზეიმო პიროვნებში იშვიათი შემთხვევაა და ამიტომ სანახაობა გაცილებით უფრო საინტერესო ხდებოდა. ასე ჩურჩულებდენ ჩემს ირგვლივ, მაგრამ მე პირადად არ მწამს ეს სასწაული და ყველაფერში, რაც აქ ხდება და რასაც ლაპარაკობდენ, ძალაუნებურად რაიმე პოლიტიკურ ანგარიშს ვხედავ. შეიძლება იმპერატორი თვითონვე სტყუვდება: მას სწამს, რომ მამაშვილური სინაზით მოიქცა, მაშინ, როდესაც მის გულის სიღრმეში ეს არჩევა, ალბად, გამოწვეულია რაიმე სარგებლობის იმედით მომავალში. პატივმოყვარეობა სიძუნწეს წაგავს: ძუნწი ანგარიშობს მაშინაც-კი, როდესაც თითქოს გულის ჟანგარო მისწრაფებით არის შეპყრობილი.

თუმცა დამსწრენი ბევრნი იყვნენ, ეკლესია კი პატარაა, მაინც არსად არავითარი არეულობა არ ეტყობოდა. მე დიპლომატიურ კორპუსში ვიდექი, ბალიუსტრადის ახლო და შემეძლო თვალყური მევლევნებინა იმ წარჩინებულ პირთა სახის გამომეტყველებისა და მოძრაობისთვის, რომელთაც აქ მოვალეობა და ცნობისნოყვარეობა აერთიანებდა. არავითარი ხმაურობა არ არღვევდა საზეიმო სიჩუმეს. მხურვალე მზის სხივები ანათებდა ეკლესიას, სადაც სიცხე, როგორც მითხრეს, 30° აღწევდა. ხელმწიფის უკან გრძელ ოქროსფერ ტანისამოსში და წვეტიან, ოქრომკედით ნაკერ ქუდში ვიღაც თათრის ხანი მოსჩანდა, ნახევრად დამორჩილებული და ნახევრად დამოუკიდებელი რუსეთის ხელმწიფისაგან. ამ აღმოსავლეთის პატარა მთავარმა, რომელიც მისი უმაღლესი მფარველის დაპყრობითი პოლიტიკის წყალობით უაღრესად ორჭოფ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი, ბედნიერებად ჩასთვალა „სრულიად რუსეთის“ მეფისთვის ნებართვა ეთხოვნა თავის პაჟების რიცხვში მისი საკუთარი შვილი მიეღო,

წამოყვანილი პეტერბურგში, რათა ამით უზრუნველეყო ამ ვაჟის სათანადო მომავალი. ეს დამარცხებული ხელისუფლება, რომელიც რელიეფს წარმოადგენდა გამარჯვებული ხელისუფლებისთვის, ძალაუნებურად რომის სიდიადეს მოაგონებდა.

სეფე ქალები და ელჩების ცოლები ყვავილების თაიგულებივით რთავდენ ეკლესიას. ამ უკანასკნელის შიგნით ნაწილში, პირველ ადგილას, როტონდის წინ, რომელიც გასაოცარი იყო თავისი კედლების მდიდრული მხატვრობით, მეფის მთელი საკვარეულო მოთავსდა. მზის სხივებში მოელვარე ოქრო ღვთიური სინათლის შთაბეჭდილებას მეფის და მისი შვილების თავზე ჰქმნიდა. სეფე ქალების სამკაულები და ძვირფასი ქვები ჯადოსნურად ელვარებდენ მთელი აზიის განძეულებათა შორის, რომლითაც დაფარული იყო ტაძრის კედლები, სადაც მეფური ფუფუნება, თითქოს, მეტოქეობას უწევდა ღვთის სიდიადეს. ზეციურ ძალას აქ პატივსა სცემდენ, მაგრამ იმავე დროს არ ივიწყებდენ ამ ქვეყნიურ ძალა-უფლებას. ყველაფერი საუცხოო იყო და ღირს საკვირველი, განსაკუთრებით თუ გავიხსენებთ, ეს არც ისე შორეულ დროს, როდესაც რუსეთის მეფის ქალიშვილის ქორწინება სრულიად შეუმჩნეველი რჩებოდა ევროპისთვის და როდესაც პეტრე I აცხადებდა, რომ მას უფლება ეკუთვნის სამეფო ტახტი იმას უანდერძოს, ვისაც მოისურვებს[10]). რამდენი წინმსვლელობაა ამ მოკლე ხანში!

როდესაც ამ სახელმწიფოს დიპლომატიურ და სხვა გამარჯვებებზე ფიქრობ, რომელიც ჯერ კიდევ ეხლახან უმნიშვნელო როლს განათლებულ ქვეყნებ შორის თამაშობდა, ძალა უნებურად ეკითხები შენ თავს, სიზმარი ხომ არ არის ყველაფერი ესო. თითქოს, თვით იმპერატორიც არ იყო შეჩვეული ყველა იმას, რაც მის წინაშე ხდებოდა, რადგანაც ის ყოველწუთს სტოვებდა თავის ადგილს და გადადიოდა ხან ერთ, ხან მეორე მხარეს, რათა გაესწორებინა თავისი შვილების ან საულიერო წოდების შეუდომები ეტიკეტის წინააღმდეგ. თუ რომ ვინმე ადგილას არ იდგა, იგი აბეზულებდა ან წინ გადაედგა ერთი-ორი ნაბიჯი არ უკან. მეფის ქალიშვილი, თვით საღვთოებელოება და სასახლის წარჩინებული პირნი,—თითქოს ყველაფერი ემორჩილებოდა უზენაესი ბრძანებლის წვრილმან მითითებებს. მე ჩემის მხრივ, მგონია, რომ უფრო ღირსეული იქნებოდა მონარქისთვის, ყველაფერი თავის ბუნებრივ მსვლელობისათვის მიენებებინა, ეკლესიაში მხოლოდ ღმერთზე ეფიქრნა და ყველანი არ დაეფრთხო, ვაი თუ რამე შეცდომა ჩაედინა საეკლესიო რიტუალის და სასახლის ეტიკეტის წინააღმდეგ. მაგრამ ამ თავისებურ ქვეყანაში თვით უკ-

ლება არსად არ არის, თვით საკურთხევლის წინაშეც-კი. პეტრე I-ის სული აქ ამჟამადაც ყველაფერზე ბატონობს.

ცერემონიის გათავების შემდეგ ნეფე-დედოფლის თავზე გვირგვინები აღიმართა. დედოფლის თავზე გვირგვინი ეჭირა მის ძმას ტახტის მემკვიდრეს; ამ დროს იმპერატორმა ხელახლა დასტოვა თავისი ადგილი საკურთხევლის წინ და საჭიროდ ჩასთვალა მისი პიზა გაესწორებინა ერთგვარი გულკეთილობით და პედანტიზმით, რომელიც ჩემთვის სრულიად გაუგებარი იყო. ჰერცოგ ლეიხტენბერგელის თავზე გვირგვინი ეჭირა გრაფ პალენს, რუსეთის ელჩს პარიზში, ალექსანდრე I-ს ფრიად ცნობილი და თავდადებული მეგობრის შვილს. ეს მოგონება, რომელიც სასტიკად განდევნილია თანამედროვე რუსების არა მარტო ლაპარაკიდან, არამედ ფიქრებიდანაც-კი, არ მმორდებოდა მთელ იმ დროს განშავლობაში, ვიდრე გრაფი პალენი მასზე დაკისრებულ საპატიო დავალებას უბრალოდ და ჩვეულებრივი კეთილშობილებით ასრულებდა, რაც შურს იწვევდა ყველა იმათში, ვინც ცდილობდა სასახლესთან დაახლოვებას. თავისი მონაწილეობით სამღთო ცერემონიაში მას ზეცის კურთხევა უნდა მოეწოდებინა პავლე I-ს შვილის შვილის თავზე, ამ სახელების დაახლოვება ძალიან უცნაური იყო, მაგრამ, ვიმეორებ, ალბად არავინ არ ფიქრობდა ამაზე, იმდენად სჭარბობს პოლიტიკა ამ ქვეყანაში თვით წარსულსაც-კი. სასახლის მლიქვნელობა წარსულითაც-კი სარგებლობს დღევანდელი დღის ინტერესებისათვის. ტაქტი აქ თითქოს აუცილებელია მხოლოდ იმათთვის, ვისაც არავითარი ხელისუფლება არ უპყრია. იმპერატორს რომ გაეფიქრა იმ ამბავზე, რომელიც მე უნებურად მომაგონდა, ის გვირგვინის დაჭერას თავის სიძის თავზე ალბად სხვას ვისმნეს დაავალებდა. მაგრამ ყველა დამსწრეთ ეს კი არ უკვირდათ, არამედ გასაოცარი უძრაობა ხელებისა, რომელთაც ახალგაზრდა მეფისწულების თავებზე გვირგვინები, ეჭირათ, მიუხედავად ამ ცერემონიის ხანგრძლივობისა და დაღლილობისა.

ახალგაზრდა დედოფალი გრაციით და უმანკოებითაა აღსავსე. იგი ქერაა, ცისფერთვალება, პირისახის ფერი ნაზი აქვს. ბრწყინავი პირველი ახალგაზრდობის ყველა ფერებით. ის და მისი და, ოლგა ყველაზე ლამაზებად მეჩვენებოდნენ იმათში, ვინც ეკლესიაში იყო. რა ბედნიერი შემთხვევითი გაერთიანებაა მდგომარეობის უპირატესობისა ბუნების ჯილდოსთან.

როდესაც მწირველმა მიტროპოლიტმა ახალგაზრდები მათ უდიდებულეს მშობლებთან მიიყვანა, ეს უკანასკნელნი მათ გრძნობიერად მოეხვივნენ და ამის შემდეგ თვით დედოფალიც გადაეხვია თავის

შეუღლეს: ეს იყო ნაზი სცენა, რომლის ადგილი უფრო ოთახშია, ვიდრე ეკლესიაში. მაგრამ რუსეთში ბრძანებლები ყველგან თავის სახლში არიან, თვით ღვთის ტაძარშიაც კი.

კურთხევის წინ ეკლესიაში ჩვეულების თანახმად ორი მტრედი შემოუშვეს. ისინი მაშინვე ჩამოსხდნენ ოქროს კარნიზზე, სწორედ ახალგაზდების თავებს ზემოდ და მთელი წირვის განმავლობაში ნაზად ღუღუნებდენ იქ.

ჰერცოგი ლეიხტენბერგელი ახალგაზდა, მაღალი ტანის, მძლავრი და კარგად მოსული ადამიანია. მისი სახე არ არის გამომეტყველი, თვალები ლამაზი აქვს, მაგრამ პირი უსწორო ფორმისაა და ძალიან გამოწეულია წინ. მთელი მისი გარეგნობა მოკლებულია კეთილშობილებას და მხოლოდ მუნდირი, რომელიც ძალიან უხდება მის ფიგურას ერთგვარ ელეგანტობას აძლევს. საერთოდ იგი უფრო კარგ „პოდპორუჩიკს" წააგავს, ვიდრე ჰერცოგს. მისი მშობლებიდან პეტერბურგში არავინ არ მოსულა ჯვრის წერის ზეიმის დასასწრებლად. მთელი წირვის დროს იგი ალბად შეპყრობილი იყო ერთი სურვილით—რაც შეიძლება მალე დარჩენილიყო მარტოდ-მარტო თავის ახალგაზრდა ცოლთან და მთელი საზოგადოების თვალები უნებურად მიპყრობილი იყო ორ მტრედს, რომელნიც საკურთხეველზე ასულიყვნენ. მე არ შემწევს ძველი კეთილი დროის მწერლების გულუბრყვილო მხიარულება; ამიტომ თავს ვიკავებ და არ ავწერ ზოგიერთ პიკანტურ დეტალს, რაგინდ საინტერესო იყოს იგი. ამ საზეიმო დღეს კარის ეკლესიაში ისინი იწვევდენ უნებურ ღიმილს არამარტო სერიოზულ, წარჩინებულ მამაკაცებში, არამედ თვით უაღრესად სათნოიან ქალებშიაც.

ჯვრის წერის ხანგრძლივი წესის შესრულების დროს არის ერთი მომენტი, როდესაც ყველა დამსწრემ მუხლი უნდა მოიყაროს. ვიდრე საერთო მაგალითს მიბაძავდა, იმპერატორმა მთელ კრებულს არც თუ ძალიან მოწყალე თვალი შემოავლო, თითქოს სურდა დარწმუნებულიყო, ვინმე ფეხზე მდგომი ხომ არ დარჩაო. ეს სრულიად ზედმეტი იყო, რადგანაც, თუმცა იქ იყვნენ კათოლიკები და პროტესტანტებიც, მაგრამ არავის უცხოელებში, რასაკვირველია, თავში ფიქრადაც არ მოსვლია გარეგნულად არ დამორჩილებულიყვნენ ბერძნული ეკლესიის ყველა წესს. ამაში ეჭვის შეტანის შესაძლებლობა იმპერატორის მხრივ ადასტურებს ჩემს მიერ ზემო ნათქვამს, და ნებას მაძლევს გავიმეორო, რომ მისი სახის ჩვეულებრივ გამომეტყველებას რაღაც მოუსვენარი მრისხანება შეადგენს. იქნებ ამჟამად როდესაც ამბობენ ჰაერში ტრიალებს და ავტოკრატიის მარეულ ეში

ნიან აჯანყებისა, თავის ყოვლად შემძლეობის წინააღმდეგ? ეს შიშ-თვით თვითმპყრობელობის იდეის უკიდურეს და საშინელ კონტრასტს შეადგენს. აბსოლუტური ძალა-უფლება უაღრესად საშინელი ხდება, როდესაც იგი თვით გრძნობს შიშს ირგვლივ არსებულის წინაშე.

მე უკვე აღვნიშნე, რომ ყველამ მუხლი მოიყარა, იმპერატორმაც ყველაზე ბოლოს. ახალგაზრდა ნეფე-დიდოფალს უკვე ჯვარი დასწერეს. იმპერატორის ოჯახი და მთელი ხალხი ფეხზე წამოდგა. და იმ წუთს, როდესაც სამღვდელოებამ და ხორომ დაიწყო მღერა „შენ გაქებთ, უფალო", ზარბაზნების სროლამ აუწყა ქალაქს შესრულებული ჯვრის წერა. აუწერელია ზეგავლენა მუსიკისა, რომელსაც თან მოჰყვა ზარბაზნების სროლა, ზარების რეკა და ხალხის შორეული გრგვინვა. ბერძნული ეკლესიიდან განდევნილია ყოველი მუსიკალური ინსტრუმენტი, და იქ მხოლოდ ადამიანის ხმები ადიდებენ ღმერთს. აღმოსავლეთის რიტუალის ასეთი სისასტიკე, ხელსაყრელი ხელოვნებისათვის, რომლის სიმარტივესაც იგი იცავს, იმავე დროს ჭეშმარიტად ღვთიური საგალობლის წყაროა. მე მეგონა, შორიდან 60 მილიონი ქვეშევრდომის გულის ძგერა მესმის მეთქი. ცოცხალი ორკესტრი ბანს აძლევდა სამღვდელოების საზეიმო მხიარულ გალობას. მე ავღელდი: მუსიკა დროებით თვით დესპოტიზმს გვავიწყებს.

მე შეიძლია ეს უკომპანემენტო ხოროები შევადარო, მხოლოდ Miserire-ს, რომელსაც წმინდა კვირის განმავლობაში ასრულებენ რომში, სიქსტინის კაპელაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პაპის ეხლანდელი კაპელა იმის მკრთალი აჩრდილია, რაც წინად იყო: რომის ნანგრევებს ერთი ნანგრევიც მიემატა.

წარსულ საუკუნის შუაში, როდესაც იტალიური სკოლა სრულ აყვავებას განიცდიდა, ძველი ბერძნული ჰანგები თითქმის დაუმახინჯებლივ გადაკეთებულ იქნა რომიდან პეტერბურგში გამოწერილ კომპოზიტორების მიერ. ამ უცხოელებმა შედევრები შექმნეს, რადგანაც მთელი თავისი ნიჭი და ხელოვნება- ანტიკურ შემოქმედების აღდგენას მოახმარეს. მათი შრომა კლასიკურ შემოქმედებად იქცა, ხოლო მისი შესრულება საიმპერატორო კაპელის მიერ სრულიად ღირსეული იყო მათი განზრახვებისა. ბავშვების ხმები—სოპრანო, ვინაიდან არც ერთი ქალი არ შედის კაპელაში, განსაკუთრებით წმინდა და რბილია. ბანები კი მძლავრი და ბარაქიანია, მე არ მახსოვს, მომისმენია თუ არა ოდესმე უწინ ამის მსგავსი გალობა.

ხელოვნების მოყვარულთათვის საიმპერატორო კაპელა ღირსია იმის, რომ მხოლოდ ამისთვის იმოგზაურო პეტერბურგში. Plano, forte, ყველა ნიუანსები და ექსპრესიები დაცულია დიდი გრძნობით,

განსაცვიფრებელი ხელოვნებით და იშვიათი შეხმატკბილებით. რუსეთის ხალხი მუსიკალურია, ამაში არ შეიძლება ეჭვის შეტანა, როდესაც მას საეკლესიო გალობას მოისმენთ. მე განაბული ვუგდებდი ყურს და ჩემს გულში მთელი ღონით მოვუწოდებდი ჩვენ მეცნიერ მეგობარს მეიერებს ყველა იმ სილამაზის ასახსნელად, რომელიც ღრმად ნაგრძნობი იყო, თუმცა არა საკმაოდ შეთვისებული ჩემს მიერ. იგი მიხვდებოდა ამ გალობას და აღფრთოვანდებოდა, რადგანაც მისი აღფრთოვანება შემოქმედების დიადი ნიმუშებით მდგომარეობს მათი სრულადობის მიღწევაში.

პარაკლისის დროს, როდესაც ერთი ჯუნდი თითქოს უპასუხებს მეორეს, გაიღო აღსავლის კარები და მღვდელთ-მსახურნი გამოჩნდენ ძვირფასი ქვებით მოელვარე მიტრებით და ოქრო-მკედით ნაკერ შესამოსებში; მათი ვერცხლის ფერი თეთრი წვეულები, რომელიც ზოგიერთს მუცელზე სცემდა, დიდებულად გამოიყურებოდა. ყველა იქ დამსწრენი ისევე ბრწყინვალედ იყვნენ მორთულნი, როგორც თვით მღვდელთ-მსახურნი. მთელი ეს მეფის კარი დიდებულია და სამხედრო მუნდირები მთელი ძლიერებით ბრწყინავდენ. მე გაოცებული შევყურებდი, თუ როგორ ადიდებენ აქ ღმერთს ყველა ამ მოკაზმულობით და ვანძეულობით. სამღთო მუსიკა მოსმენილი იყო მოუმზადებელი აუდიტორიის მიერ სიჩუმით და ღრმა ჩაფიქრებით, რომელსაც შეუძლია თვით ნაკლებად ღვთიური გალობაც გაამშვენიეროს.

მწირველი მიტროპოლიტი არ არღვევდა ამ სურათის სიდიადეს. იგი ლამაზი არ არის, მაგრამ ეს ჩაკლი გამოისყიდება მისი ღრმა მოხუცებულობით; მისი პატარა ტანი ლმობილ სინდიოფალას მოგვაგონებს. მისი თავი მთლად გაჭაღარავებულია და მოგვაგონებს დაუძლურებულ და დაავადებულ ადამიანს. პარაკლისის გათავების შემდეგ იმპერატორი მივიდა მასთან, თავი მოიხარა და მოწიწებით ხელზე ემთხვია. ავტოკრატი არასოდეს არ გაუშვებს შემთხვევას, რომ სხვებს თავის მორჩილების მაგალითი მისცეს, როდესაც ეს საჯაროებლია მისთვის. საბრალო მიტროპოლიტი, თითქოს მომაკვდავი თავის დიდებაში, იმპერატორი, დიდებულად ქედმოხრილი საუფლო ძალა უფლების წინაშე და შემდეგ—ახალგაზრდა ჯვარდაწერილები, იმპერატორის საგვარეულო და ბოლოს მთელი სასახლე, რომელიც ავსებდა და აკოცხლებდა ეკლესიას,—ყველა ეს ერთად წარმოადგენდა ჩემთვის გასაოცარ სურათს, რომელიც ღირსია მხატვრული შემოქმედებისა.

წირვის დასაწყისს მე მეშინოდა, რომ მიტროპოლიტს გული არ შელონებოდა; კარისკაცებმა ძალიან ბევრი გვალოდინეს, წინააღმდეგ ლუი XVIII თქმულებისა: „სიზუსტე მეფეთა ზრდილობაა“.

ბერძნული წესით მოწყობილ საზეიმო ჯვრის წერის გათავებას უნდა მოჰყოლოდა კათოლიკური წესით მოწყობილი ჯვრის წერა სასახლის ერთერთ დარბაზში, რომელიც ამ დღეს სპეციალურად იყო მორთული ამ მიზნისთვის. რადგანაც მე ნებართვა არ მქონდა დავსწრებოდი კათოლიკურ ჯვრის წერას და ბანკეტს, რომელიც მის შემდეგ უნდა გამართულიყო, კარის-კაცების უმრავლესობასთან ერთად გამოვედი სასახლიდან მოხარული, რომ ბოლოს საშუალება მომეცა სუფთა ჰაერით მესუნთქა.

როდესაც ჩემმა ლანდომ სასახლის თვალგადაუწვდენელი, ფართო მოედანი გაიარა, ამოვარდა ძლიერი ქარი და დადგა საშინელი კორიანტელი. როგორც ნისლში, საშინელ ქვაფენილზე ძლივს ვარკვევდი სხვადასხვა მიმართულებით სწრაფად მიმავალ ეტლებს, რომელნიც ცდილობდენ ჩქარა სადმე თავი შეეფარებინათ ატეხილი ქარიშხალისაგან. წარმოუდგენელი მტვერი, რომელიც დგება ზაფხულობით, სულ მცირე ქარის დროს, ეს პეტერბურგის ნამდვილი უბედურებაა, რომელიც გვაიძულებს უპირატესობა მივცეთ აქ ზამთარს მისი დამშვიდებული თოვლიანი დარით. შევედი თუ არა სასტუმროში, უეცრივ ასტყდა საშინელი ჭექა-ქუხილი, რომელმაც ალბად ძალიან შეაშინა ცრუმორწმუნე მოქალაქეები, როგორც ცუდი ამბების მომასწავებელმა მოვლენამ. ღამის წყვდიადი დღისით, სულის შემხუთავი სიცხე, განუწყვეტლივი ჭექა-ქუხილი უწვიმოდ, და საშინელი ქარი, რომელიც თითქოს ლამობდა სახლების დანგრევას,— ასეთი იყო სანახაობა, წარმოგზავნილი ზეცით, მეფის საქორწინო ბანკეტის დროს. მაგრამ აქაც გულუბრყვილო რუსები თავს იმითი ინუგეშებდენ, რომ ავდარი დიდხანს არ გაგრძელდა და ჰაერი მის შემდეგ უფრო სუფთა შეიქმნა. მე ძალაუნებურად თანდათან უფრო ვრწმუნდები, რომ საფრანგეთსა და რუსეთს შორის ჯერ კიდევ ჩინეთის კედელია მტკიცედ აღმართული: ესაა სლავიანური ენა და სლავიანური ხასიათი. წინააღმდეგ რუსების პრეტენზიებისა, რომელიც წარმოშობილია პეტრე დიდის მიერ, ციმბირი მდინარე ვისლადან იწყება.

თ ა ვ ი VII

წარდგენა ნიკოლოზის წინაშე.—იმპერატორის ნიღაბი.—ალექსანდრე I განზრახ დავიწყება.—„ჩრდილოეთის ცივილიზაცია“ კარის კაცების აღსრულებით.—რუსი გერმანელი მეფის ტახტზე.—ბალი სასახლეში.—მნიშვნელოვანი ბაასი დედოფალთან.—უსიხარულო დროს გატარება.—ალექსანდრე I იჭვიანობა.—იმპერატორი თავის ოჯახში.—ქართველი დედოფალი.—ნაციონალური გვარდიის მუნდირში გამოწყობილი ყენეველი.—პეტერბურგი ღამით.—ეკატერინე II მგზავრობა ყირიმში.

საღამოს 7 საათზე სხვა უცხოელებთან ერთად დავბრუნდი სასახლეში, სადაც ჩვენ წარდგენილი უნდა ვყოფილიყავით იმპერატორის და დედოფლის წინაშე.

მე კვლავ დავრწმუნდი, რომ იმპერატორს არ შეუძლიან ერთი წუთით დაივიწყოს არც ის, თუ ვინ არის იგი, და არც ის ყურადღება, რომელსაც მუდამ იპყრობს მის ირგვლივ მყოფ საზოგადოებაში. ის მუდამ პოზებს აკეთებს და ამიტომ არასოდეს არ არის ბუნებრივი, მაშინაც კი, როდესაც თითქოს გულწრფელს წააგავს. მის სახეს სამნაირი გამომეტყველება აქვს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ მოწმობს მის გულთბილობას. ყველაზე ჩვეულებრივი სისასტიკის გამომეტყველებაა, მეორე, უფრო იშვიათი, მაგრამ უფრო შესაფერი მისთვის—რაღაც განსაკუთრებული ზეიმობის გამომეტყველება და ბოლოს, მისი ჩვეულებრივი სახის გამომეტყველება. მაგრამ ამ შემთხვევით მატყუარა—ზრდილობიან გამომეტვველებასაც არ შეუძლიან მოახდინოს სათანადო შთაბეჭდილება, რადგანაც ეს გამომეტყველებაც, როგორც ყველა სხვა დანარჩენები, სრულიად სცვლის მის სახეს, უეცრივ ჩნდება და ჰქრება, არ სტოვებს არავითარ კვალს და არ მოქმედებს ახალ, სრულიად სხვა გამომეტყველებაზე. ეს დეკორაციების სწრაფი და სრული ცვალებადობაა, რომელიც არ არის მომზადებული არავითარი გადასვლით, ანუ ნიღაბი, რომელსაც იკეთებენ და იხსნიან სურვილისამებრ. იმპერატორი მუდამ თავის როლშია, რომელსაც იგი ასრულებს დიდი მსახიობის მსგავსად. მას ბევრი ნიღაბი აქვს, მაგრამ ცოცხალი სახე კი არა, და როდესაც მათში ეძებ ადამიანს, მუდამ პოულობ მხოლოდ მსახიობს

ვფიქრობ, რომ ეს შეიძლება დამსახურებადაც ჩაუთვალოთ მასის კეთილსინდისიერად ასრულებს თავის დანიშნულებას. თავის თავს იგი სისუსტეს დააყვედრიდა, თუ ვინმეს ერთი წუთითაც ნებას მისცემდა გაეფიქრა—ისე ვცხოვრობ, ვფიქრობ და ვგრძნობ, როგორც ყველა ჩვეულებრივი ადამიანიო. იგი არ იზიარებს არც ერთ ჩვენ გრძნობას და მუდამ რჩება მხოლოდ უზენაესი ხელისუფლების მეთაურად, მოსამართლედ, გენერლად, ადმირალად და ბოლოს მონარქად. რა დაღლილად უნდა იგრძნოს მან თავი სიცოცხლის ბოლოს!

ისინი, ვინც ალექსანდრე იმპერატორს იცნობდენ, პირიქით, სულ სხვა რამესათვის აქებენ მას. ამ ორი ძმის ხასიათის კარგი და ცუდი თვისებები სრულიად ერთი მეორის საწინააღმდეგონი იყვნენ. მათ არაფერი არ ჰქონდათ საერთო და არასოდეს არ გრძნობდენ სიმპატიას ერთმანეთისადმი. განსვენებულ იმპერატორის გახსენებას აქ ეხლა ძალიან არ აქებენ, რაც ეთანხმება საერთო პოლიტიკას—დავიწყებულ იქნეს წარსული მეფობა. პეტრე დიდ გაცილებით უფრო ახლო დგას იმპერატორ ნიკოლოზთან, ვიდრე მისი ძმა ალექსანდრე, და ამიტომ პეტრე ეხლაც დიდ მოდაშია. კარგი ზრდილობა აქ ყველას უკარნახებს, რომ შეაქონ იმპერატორის წინაპრები და ლანძღონ მისი უშუალო დამახლოებელი წინამორბედნი.

ეხლანდელი მონარქი მხოლოდ თავის ოჯახში ივიწყებს თავის სიდიადეს. მხოლოდ აქ ახსენდება მას, რომ ადამიანს აქვს თავისი ბუნებრივად თანდაყოლილი მბიარულებანი, დამოუკიდებელნი მისი სახელმწიფოებრივი მოვალეობათაგან. ყოველ შემთხვევაში მე მინდა ვიფიქრო, რომ ეს უანგარო გრძნობა აკავშირებს მას ოჯახურ კერასთან. მართალია, ოჯახური სიკეთე და სათნოება მას უეჭველია უადვილებს ხალხის მმართვა-გამგებლობის საქმეს და უზრუნველჰყოფს მისდამი საყოველთაო პატივისცემას, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ იგი უამისოდაც ერთგული იქნებოდა თავის ოჯახის[11]). რუსები უზენაეს ხელისუფლებას თაყვანსა სცემენ, როგორც სარწმუნოებას, რომლის ავტორიტეტი მათ შორის მუდამ დიდია, დამოუკიდებლად მღვდელ-მსახურთა პირად ღირსებებისა.

მე რომ მუდამ პეტერბურგში ვცხოვრობდე, ვეცდებოდი სასახლესთან დაახლოვებას, არა ხელისუფლების სიყვარულის, არა სიხარბის ან ბავშური თავმოყვარეობის გამო, არამედ—მხოლოდ იმისთვის, რომ მეპოვნა რაიმე საშუალება, ჩამეხედნა ამ არაჩვეულებრივ ადამიანის სულში, რომელიც ასე ძლიერ განსხვავდება ყველა დანარჩენ მომაკვდავებისაგან. მისი ამაყი გულგრილობა და შეუბრალებლობა ბუნებრივად თან დაყოლილი ნაკლი კი არ არის, არამედ აუ-

ცილებელი შედეგია იმ მალალი მდგომარეობისა, რომელიც თვითონ მას არ აურჩევია და რომლის მიტოვებაც მას არ ძალუძს. როგორც უნდა იყოს, მაგრამ რუსეთის იმპერატორის სრულიად განსაკუთრებული ბედი იწვევს ჩემში არა მარტო ღრმა ინტერესს, არამედ თანაგრძნობასაც; როგორ შეიძლება, რომ არ თანაუგრძნო მის მუდმივ მარტოობას და მის დიდებულ გადასახლებას?

რაც შეეხება სასახლეს, რაც უფრო მეტად ვუკვირდები მას, მით უფრო მეტ სიბრალულს ვგრძნობ ადამიანისადმი, რომელიც მას აგვირგვინებს, განსაკუთრებით აქ, რუსეთში. რუსეთის სასახლე თეატრს მოგვაგონებს, სადაც მსახიობნი მხოლოდ გენერალურ რეპეტიციებზე გამოდიან. თავისი როლი არავინ არ იცის კარგად და წარმოდგენის დღე არასოდეს არ დგება, რადგანაც თეატრის დირექტორი უკმაყოფილოა თავისი მსახიობების თამაშისა. მსახიობნი და თეატრის დირექტორი უნაყოფოდ ატარებენ თავიანთ სიცოცხლეს, ამზადებენ, ასწორებენ და ავსებენ დაუსრულებელ საზოგადოებრივ კომედიას, რომელსაც ჰქვიან: „ჩრდილოეთის ცივილიზაცია“. თუ რომ ამ პირობების უბრალო ხილვაც-კი ასე მოსაწყენია, რა უნდა იგრძნონ თვით როლების შემსრულებლებმა! არა! მე გადაჭრით უფრო მომწონს აზია: იქ ყველაფერში უფრო მეტი ჰარმონიაა; აქ—კი რუსეთში, ყველა ფეხის გადადგმაზე თქვენ გაკვირვებთ როგორც ცხოვრების ახალი პირობების უცნაური შედეგები, ისე ხალხის გამოუცდელობა. ყველა ამას, რასაკვირველია, გულმოდგინედ მალავენ მეთვალყურისაგან, მაგრამ გამოცდილ მოგზაურს დიდი ჯაფა არ სჭირდება, რომ შეამჩნიოს ის, რის დამალვასაც ცდილობენ.

ხელმწიფე თავისი დაბადებით უფრო გერმანელია, ვიდრე რუსი, და ამიტომ მისი ლამაზი სახის გამომეტყველება, მისი პროფილის სისწორე და მისი სამხედრო იერი უფრო გერმანიას მოგვაგონებს, ვიდრე—რუსეთს. მისი გერმანულ ბუნებას მისთვის დიდ ხანს უნდა შეეშალა ხელი, გამხდარიყო ის, რაც ეხლა არის—ბეშმარიტი რუსი. ვისი ბრალია ეს? იქნებ უამისოდ იგი უბრალო და გულკეთილი ადამიანი ყოფილიყო! თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენი ჯაფა დასჭირდა მას, რომ გამხდარიყო სლავიანების უზენაესი მეთაური! ყველა თავის სურვილით—კი არ ხდება დესპოტი. თავის-თავის მუდმივი დაძლევის აუცილებლობით შეიძლება აიხსნებოდეს იმპერატორ ნიკოლოზის უაღრესი პატრიოტიზმი.

რათა თავი გაინთავისუფლოს რამდენიაოლ ეს შესაძლებელია ამ ულისაგან, რომელსაც თვითონვე იდგამს, იგი აწყდება აქეთ-აქეთ, როგორც ლომი ბადეში, ...

დროს. იგი მოგზაურობს ცხენით, ესწრება მანევრებს, სეირნობს მდინარეზე, მართავს დღესასწაულებს და ავარჯიშებს ფლოტს,—და ყველა ამას ასწრებს ერთსა და იმავე დღეს. სასახლეში ყველაზე ძალიან მოცლილობისა ეშინიათ და აქედან თქვენ შეგიძლიათ ადვილად წარმოიდგინოთ, თუ რა მოწყენილობაა აქ გამეფებული. იმპერატორი განუწყვეტლივ მოგზაურობს, იგი სულ ცოტა 1.500 ლიეს გადის ყოველ სეზონში და ვერ წარმოუდგენია, რომ ვინმემ ვერ შესძლოს ამდენივე გაიაროს. დედოფალს უყვარს იმპერატორი, ეშინიან მარტო დასტოვოს იგი, ყველგან თან დასდევს, რამდენადაც ამის ნებას აძლევს სუსტი ძალები და კვდება დაღლილობისაგან. იგი ძალაუნებურად მიეჩვია წმინდა გარეგნულ არსებობას და ასეთი გაბნეული ცხოვრება, რომელიც მისი სულის აუცილებლობად გადაიქცა, ჰკლავს მის სხეულს.

მე დღეს საღამოს წარდგენილი ვიყავი ხელმწიფის წინაშე, მისი განკარგულების თანახმად, არა საფრანგეთის ელჩის მიერ, როგორც ეს განზრახული იყო, არამედ სასახლის ობერ-ცერემონმეისტერის მიერ უცხოელები, რომელნიც ჩემთან ერთად ამ პატივისცემის ღირსნი გახდნენ, შეიკრიბნენ ერთ დარბაზში, სადაც მათ უდიდებულესობათ უნდა გაეგლოთ ბალის გასახსნელად. ეს დარბაზი იმყოფება დიდი, ახლად შეკეთებული და მოვარაყული გალერეის წინ, რომელიც კარისკაცებს ჯერ არ უხილავთ ხანძარის შემდეგ. ჩვენ განსაზღვრულ ვადაზე მივედით და ძალიან დიდხანს უნდა გველოდნა ხელმწიფისათვის. ჩემთან რამდენიმე ფრანგი იყო, ერთი პოლონელი, ერთი ჟენეველი და რამდენიმე გერმანელი. დარბაზის მეორე მხარეს სასახლის ქალთა რიგი ამშვენებდა.

იმპერატორმა ჩვენ ძალიან ზრდილობიანად მიგვიღო. პირველი შეხედვით მასში მოსჩანს ადამიანი, რომელიც დანდობით ეპყრობა იმ პიროვნების თავმოყვარეობას, ვისაც იგი ელაპარაკება და თვითეულმა ჩვენთაგანმა უეცრივ იგრძნო, თუ რა აზრისაა მასზე ხელმწიფე.

რათა ჩემთვის ეგრძნობინებინა, რომ იგი სრული კმაყოფილებით უცქერის ჩემს განზრახვას შემოვიარო მისი იმპერია, ხელმწიფემ მოწყალებით მითხრა, რომ მე სულ ცოტა უნდა გავიარო მოსკოვნიჟნი-ნოვგოროდამდე, რომ ნამდვილი წარმოდგენა ვიქონიო მის ქვეყანაზე. „პეტერბურგი—რუსული ქალაქია, მაგრამ რუსეთი არ არის მაინც“.

დედოფალი, როდესაც მას ახლო ხედავ, გიპყრობს თავისი გარეგნობით, და მისი ხმა იმდენადვე ნაზია და სათუთი, რამდენადაც მისი მეუღლის ხმა სასტიკია და მბრძანებელი.

დედოფალი შემეკითხა, რა განზრახვით მოხვედი პეტერბურგში, როგორც უბრალო ტურისტი თუ არა. მე მაშინვე ვუპასუხე, როგორც ტურისტი მეთქი.

— მე ვიცი, რომ თქვენ ცნობის მოყვარე ხართ.

— დიახ, ხელმწიფევ, ცნობის მოყვარეობამ მიმიყვანა რუსეთში, მაგრამ ამ შემთხვევაში მე სრულიად არ ვნანობ ჩემ სურვილს შემოვიარო მთელი ქვეყნიერება.

— ასე ფიქრობთ?

— მე მგონია, ამ ქვეყანაში იმდენი რამეა გასაკვირველი, რომ ყველაფერი ამის დასაჯერებლად საჭიროა ყველაფრის ნახვა საკუთარი თვალით.

— ჩემი სურვილია, რომ თქვენ ბევრი რამ ნახოთ და კარგად დაათვალიეროთ ყველაფერი.

— თქვენი უდიდებულესობის სურვილი ჩემთვის დიდი წახალისებაა.

— თუ რომ თქვენ რუსეთზე კარგ შთაბეჭდილებას გამოიტანთ, ალბად მას საჯაროდ გამოსთქვამთ, მაგრამ ეს უსარგებლო იქნება, — არ დაგიჯერებენ, რადგანაც ჩვენ ცუდად გვიცნობენ და არც სურთ უკეთესად გაცნობა.

დედოფლის ამ სიტყვებმა მე ძალიან გამაკვირვა, რადგანაც გამოამჟღავნა აზრები, რომლებითაც მთლად შეპყრობილი იყო იგი. ამავე დროს მე მომეჩვენა, რომ ეს სიტყვები ნიშანია მისი ჩემდამი კეთილ განწყობილებისა, რომელიც ასე უბრალოდ და ზრდილობით იყო გამოხატული. დედოფალი პირველი შეხედვითვე ჰქმნის თავისადმი ნდობას და პატივისცემას, სასახლის იძულებითი ეტიკეტის და თავდაჭერილობის საბურველში თქვენ სჭვრეტთ მის გულს. უბედურება მას განსაკუთრებულ მიზიდულობას აძლევს: იგი მეტია, ვიდრე დედოფალი, იგი ქალია.

ამის შემდეგ გაიმართა დიდებული ზეიმი, რომელიც მე ოდესმე მინახავს ჩემს სიცოცხლეში. ეს იყო ფეერია ის, დაალფრთოვანებული გაკვირვება, რომელსაც იწვევდა მთელ სასახლეში თვითეული დარბაზი, აღდგენილი ერთი წლის განმავლობაში ამ ჩვეულებრივ დღესასწაულს რაღაც განსაკუთრებული ზეიმის ხასიათს აძლევდა. თვითეულ დარბაზს და თვითეულ სურათს განცვიფრებაში მოჰყავდ, რუსის კარის კაცები, რომელნიც დაესწრენ კატასტროფას, და არ ვნახათ ახალი სასახლე მას შემდეგ, რაც ეს ტაძარი მათი ბატონობის ბოძანებებით აეშენა ფერფლიდან. რა ძლიერი ნეტარებაა ვფიქრობდი მე ყოველი ბლეარეის, ბარბარილის ნაკრის და ოქროს

ზე წარწერის დანახვაზე, თუმცა ჩუქურთმების სტილი სულ რამდენიმე დღის წინად არის დამთავრებული, მოგვაგონებს იმ საუკუნეს, როდესაც ეს სასახლე იყო აგებული: ყველაფერი რაც მე ვნახე, ძველებურად გამოიყურებოდა. რუსეთში ყველაფერს ჰბაძავენ, დროსაც-კი.

ცეკვა, რომელსაც უფრო ხშირად ვხდებით ამ ქვეყანაში დიდკაცურ ბალებზე, არ არღვევს მოცეკვავეთა აზრების ჩვეულებრივ მიმდინარეობას. ეს—მუსიკის რიტმთან შეწყობილი და შეხმატკბილებული გასეირნებაა კავალრისა თავის დამასთან. ას-ასი წყვილი მისდევს ერთი მეორეს საზეიმო პროცესიაში მთელი სასახლის თვალგადაუწვდენელ დარბაზებში. დაუსრულებელი ლენტი ერთი დარბაზიდან მეორეში, გადის გალერეების და დერეფნების გზით, სადაც მიიზიდავს მას ამ ფერხულის მპრძანებელი მეთაური. ამას „პოლონეზის ცეკვას“ უწოდებენ. ამ ცეკვის ერთი ნახვა შეიძლება საინტერესო იყოს, მაგრამ იმ ხალხისთვის, რომელიც ვალდებულია მთელი თავისი სიცოცხლე ასე იცეკვოს, ბალ-მასკარადი ნამდვილ სასჯელად უნდა გადაიქცეს.

ამ პეტერბურგის პოლონეზმა ძალაუნებურად მომაგონა მეორე სასახლის ბალი, ვენის კონგრესის დროს, 1814 წ. მაშინ არავითარი ეტიკეტი არ იყო დაცული ამ ბრწყინვალე ზეიმებზე და თვითეული იმყოფებოდა იქ, სადაც მოესურვებოდა, მთელი ქვეყნის მონარქთა შორის. შემთხვევით მე მოვხვდი იმპერატორ ალექსანდრეს და მის მეუღლეს ყოფ. ბადენის პრინცესას შუა. მე განვაგრძობდი ცეკვას, თუმცა ვგრძნობდი რალაც უხერხულობას ამ უზენაეს პიროვნებათა მეზობლობის გამო. უეცრივ, რალაც გამოურკვეველ მიზეზით, მოცეკვავეთა ჯაჭვი შესწყდა, თუმცა ორკესტრი განაგრძობდა დაკვრას. იმპერატორმა, რომელიც მისდევდა ჩემს შემდეგ მოცეკვავე წყვილს, მიმართა ჩემს წინ მიმავალ დედოფალს უკმეხად შემდეგი სიტყვებით: „განაგრძეთ!“ დედოფალმა მოიხედა და როდესაც მოცეკვავე იმპერატორი იმ ქალთან დაინახა, რომელსაც იგი უკვე რამდენიმე დღე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, ფრიად გარკვეული ხმით ჩაილაპარაკა. „გთხოვთ, ცოტა ზრდილობიანად იყოთ!“ ხელმწიფემ შემომხედა და ტუჩები ჩაიკვნიტა. კორტეჟი დაიძრა და პოლონეზიც ხელახლად დაიწყო.

მთავარი გალერეის შუქმა ზამთრის სასახლეში პირდაპირ დამაბრმავა. იგი მთლად მოვაოაყებულია, მაშინ როდესაც ცეცხლის გაჩენამდე მხოლოდ თეთრად იყო შეღებილი. ამ უბედურებამ სასახლეში იმპერატორს საშუალება მისცა გამოეჩინა თავისი ძლიერი მის-

წრაფება მეფური—და მე ვიტყოდი,—ღვთაებრივი ბრწყინვალეებისადმი.

მთელი ევროპის ელჩები მიწვეულნი იყვნენ ზეიმზე, რათა საკუთარი თვალით დარწმუნებულიყვნენ მთავრობის განსაკუთრებულ ძლიერებაში. ერთი უდიდესი სასახლე მთელ ქვეყანაზე, ხელახლად აღდგენილი ერთი წლის განმავლობაში,—რა საუცხოო ობიექტია იმ ხალხის ასაღფრთოვანებლად, რომელიც შეჩვეულია სასახლის ჰაერით სუნთქვას.

უფრო ღირსსაკვირველად, ვიდრე ოქროსფრად ბრწყინავი საცეკვავო დარბაზი, შეჩვენა გალერეა, სადაც ვახშამი იყო გაწყობილი. იგი ჯერ კიდევ დაუმთავრებელია, თეთრი ქაღალდის ფანრებს, რომელნიც სპეციალურად გაკეთებულნი იყვნენ გალერეიას დროებით გასამუქებლად, ფანტასტიური შეხედულება ჰქონდათ, რაც მე ძალიან მომეწონა. ეს სახელდახელოდ მოწყობილი განათება საქორწინო ზეიმისათვის, რასაკვირველია, არ შეეფერებოდა ზღაპრული სასახლის მოწყობილობას საზოგადოდ, მაგრამ იგი გამოსცემდა ნათელ, თითქმის მზისებურ შუქს, ჩემთვის კი ეს საკმარისი იყო. საფრანგეთში, ინდუსტრიის წარმატების გამო, ჩვენ თითქმის უკვე დაგვავიწყდა, რომ არსებობს სანთელი, რუსეთში—კი, ჩვეულებრივ დღემდე სანთელს ხმარობენ. ვახშმის მაგიდა განსაკუთრებით მდიდრულად იყო გაწყობილი. საზოგადოდ, ამ ზეიმის დროს ყველაფერი კოლოსალურად გეჩვენება და ძალაუნებურად ვერ გადაგიწყვეტია, თუ რა უფრო მეტად განსაკუთრებულია: საერთო ანსამბლის ეფექტი, თუ თვითეული საგნის სივრცე და თვისება. ათასი კაცისთვის ერთს დარბაზში ერთი მაგიდა იყო გაწყობილი!

ამ ათას ადამიანს შორის, რომელნიც მეტნაკლებად ბრწყინავდენ ოქროთი და მარგალიტებით, იმყოფებოდა აგრეთვე ჩემს მიერ დღეს დილით ეკლესიაში ნახული ყირგიზელი ხანი თავის შვილის და ამალის თანხლებით. მე შევამჩნიე აგრეთვე მოხუცი ქართველი დედოფალი, რომელმაც უკვე 30 წელიწადზე მეტია, რაც სამეფო ტახტი დაჰკარგა. ეს უბედური ქალი თავის სიცოცხლის დღეებს გამარჯვებულთა სასახლეში ღაფავს, მოკლებული ყოველგვარ პატივისცემას. სახე შეგვვრემანი ჰქონდა, როგორც ადამიანს, რომელიც მიჩვეულია ცხოვრების სიძნელეს საომარ ბანაკებში, ხოლო მისი ტანსამოსი საერთო სიცილს იწვევდა. ჩვენ ადვილად დავცინით უბედურებას, როდესაც იგი განსახიერებულია ნაკლებ ძიუზიდველ გარეგნობაში, რასაკვირველია, არ არის [illegible] საქციელი, [illegible] თანაგრძნობა დაცინვით შესცვალო, მაგრამ გამოვტყდები და ვიტყვი,

რომ თავი ვერ შეიკავე, როდესაც დავინახე დედოფლის თავი, მორთული რაღაც კიევრის მსგავსი სახურავით, საიდანაც ძირს დაშვებული იყო უცნაური საკურველი. დანარჩენი მორთულობა შეეფეოებოდა მის თავის მორთულობას. მაშინ, როდესაც სხვა სეფე-ქალები გამოწყობილნი იყვნეს გრძელ ტანისამოსებში, ამ აღმოსავლეთის დედოფალს, მოკლე, სრულიად მოქარგული ქვედატანი ეცვა. იგი სიცილს და შიშს იწვევდა, იმდენად ულაზათო იყო მისი სამოსი, იმდენი სევდა და იმავე დროს სასახლის სიღალბე მოსჩანდა მის სახეზე, იმდენად ნაკლებ მიმზიდველი იყო მისი სახის გამომეტყველება და არაგრაციოზული მთელი მისი ფიგურა[12]).

რუსის სასახლის ქალების ნაციონალური ტანსაცმელი იმპოზანტურია და იმავე დროს ძველი მოდისებური. მათ თავზე რაღაც ძვირფასი მატერიისაგან აგებული შენობა ხურავთ. ეს თავის მორთულობა მოგვაგონებს მამაკაცის შლიაპას, ზემოთ ცოტა დამოკლებულს და უძიროს, ისე რომ თავის ზემო ნაწილი ღია რჩება. რამდენიმე დიუმის სიმაღლის დიადემა, მორთული ძვირფასი ქვებით, სასიამოვნოდ რთავს სახეს, და სრულიად არ ჰფარავს მას. იგი წარმოადგენს ძველებურ თავის მოსართავს, ქალის სახეს კეთილშობილობის და ორიგინალობის იერს აძლევს, ძალიან შვენის ლამაზ სახეებს და უფრო ამახინჯებს ულამაზოებს. სამწუხაროდ ეს უკანასკნელნი ძალიან ხშირად გვხვდებიან რუსეთის სასახლეში, რადგანაც მხოლოდ სიკვდილი ანთავისუფლებს სეფექალებს—თვით უაღრესად მოხუცებულებსაც—ამ წოდებისაგან. საერთოდ, კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ ლამაზი ქალები პეტერბურგში იშვიათი მოვლენაა, მაგრამ მაღალ საზოგადოებაში გრაციი და ელეგანტობა ხშირად ასრულებს სწორე სახის გამომეტყველების და ტანის მოყვანილობის მაგივრობას. მე მხოლოდ რამოდენიმე ქართველი ქალი შემხვდა, რომელშიაც შეერთებული იყო სილამაზეც და გრაციაც. ეს მნათობნი ბრწყინავენ ჩრდილოეთის ქალთა შორის, როგორც ვარსკვლავები სამხრეთის ღამის ბნელ ცაზე. სეფექალების ტანისამოსის ფორმას, გრძელ სახელოებით და ბოლოებით რამდენადმე აღმოსავლეთის ხასიათი აქვთ და მთელი სასახლის ქალების წრეს დიდებულ იერს აძლევს.

საკმაოდ უცნაურმა შემთხვევამ საშუალება მომცა, რომ ხელმწიფის უაღრეს თავაზიანობას გავცნობოდი. ზეიმის დროს ერთმა ცერემონმეისტერთაგანმა იმ უცხოელებს, რომელნიც პირველად იყვნენ სასახლეში, მათი ადგილები უჩვენა ვახშამზე. „როდესაც თქვენ დაინახავთ, რომ ბალი გათავდა,—სთქვა მან,—გაჰყეთ მთელ სა-

ზოგადოებას გალერეაში; იქ თქვენ ნახავთ დიდ, გაშლილ ზაგიდას; აიღეთ გეზი მარჯვნივ და დაიკავეთ პირველი თავისუფალი ადგილები."

დიპლომატიური კორპუსის, უცხოელების და სასახლის ყველა მსახურთათვის გაშლილი იყო ერთად ერთი მაგიდა ათასი სულისთვის, ხოლო მარჯვნივ შესავლიდან, ცოტა წინ, გაშლილი იყო კიდევ ერთი პატარა რგვალი მაგიდა რვა სულისთვის.

უცხოელთა რიცხვში მყოფი ახალგაზრდა და განათლებული ჟენეველი იმ საღამოს მეფის წინაშე წარსდგა ნაციონალური გვარდიის მუნდირში, რომელიც არც თუ ისე ძალიან მოეწონა იმპერატორს. მიუხედავად ამისა, ახალგაზდა შვეიცარელი სრულიად თავისუფლად გრძნობდა თავს. ბუნებრივი თვითკმაყოფილებას, რესპუბლიკური მოურიდებლობის თუ უბრალო გულუბრყვილობის გამო, იგი სრულიად არ აქცევდა ყურადღებას არც ირგვლივ მყოფ საზოგადოებას და არც იმ შთაბეჭდილებას, რომელსაც მათზე ახდენდა. მე თითქმის მშურდა მისი განსაცვიფრებული თვითრწმენა, რომელიც სრულიად მაკლია. მაგრამ ჩემი თავდაჭერის მანერამ, რომელიც სრულიად არ გავდა მისას, მაინც ერთი და იგივე შედეგი გამოიღო: იმპერატორი ჩვენ ორივეს თავაზიანად გვეპყრობოდა.

ერთი გამოცდილი და ჭკვიანი კაცი, ნახევრად სერიოზულად და ნახევრად ხუმრობით, მირჩევდა იმპერატორის წინაშე მხდალი და მოკრძალებითი გამომეტყველება მიმეღო, თუ რომ მსურდა მას მოვსწონებოდი. ეს რჩევა სრულიად ზედმეტი იყო, რადგანაც მე ბუნებით იმდენად მხდალი და მორცხვი ვარ, რომ მაშინაც კი დავიბნეოდი, რომ დავალებული მქონოდა მენახშირის ქოხში შესვლა და მისი გაცნობა. ალბად ტყუილად არ სჩქეფს ჩემს ძარღვებში გერმანული სისხლი. ამიტომ, ბუნებით მე უკვე საკმაო სიმხდალის დოზა მაქვს, რაც აუცილებელია მეფის ავადმყოფური თავმოყარეობის დასამშვიდებლად; იგი უფრო დიდებული იქნებოდა, ვიდრე ჩვეულებრივ სურს იყოს, თუ ნაკლებად ყოფილიყო შეპყრობილი იმ აზრით, რომ ვისმეს შეუძლიან მას არა საკმაო მოკრძალებით მოექცეს. ეს ახალი საბუთია იმისა, რომ ამ სასახლეში, დრო მხოლოდ ჯენერალურ რეპეტიციებში ვადის, მაგრამ იმპერატორს ყოველთვის არ ეტყობა ასეთი მოუსვენრობა თავისი პიროვნების ღვთიურ სიდიადის გამო.

მე უკვე აღვნიშნე, რომ ჟენეველი სრულიად არ ეზიარებდა ჩემს მოკრძალებას და არავითარ დაბნეულობას არ გრძნობდა. ეგ ახალგაზდაა და თავისი დროის შვილი,—ამით აიხსნება ყველაფერი.

და მე ძალაუნებრად, თითქმის შურისგრძნობით შეპყრობილს, მიკვირდა ძისი სიმშვიდე და თავისუფალი ყოფა-ქცევა ყოველთვის, როდესაც იმპერატორი მას დაელაპარაკებოდა ხოლმე.

მაგრამ მეფის თავაზიანობას ახალგაზრდა შვეიცარიელმა მალე უფრო დიდი განსაცდელი მიაყენა. შევიდა თუ არა ბანკეტისათვის გამზადებულ გალერეაში, ახალგაზრდა რესპუბლიკელმა, თანახმად მიღებულ მითითებისა, მარჯვნივ გასწია, დაინახა პატარა რგვალი მაგიდა, ჯერ კიდევ სრულიად თავისუფალი და იქ ადგილი უშიშრად დაიკავა. რამდენიმე წუთის შემდეგ, როდესაც სტუმრებმა თავთავიანთი ადგილი დაიკავეს დიდ მაგიდასთან, შემოვიდა იმპერატორი უაღრესად დაახლოვებულ პირთა თანხლებით (უნდა აღვნიშნო, რომ დედოფალი მასთან არ იყო) და დაჯდა იმავე რგვალ მაგიდასთან, შვეიცარელი ნაციონალური გვარდიელის პირდაპირ, რომელიც იმავე განსაცვიფრებელი სიმშვიდით განაგრძობდა ჯდომას.

მაგრამ პატარა მაგიდაზე ერთი ადგილი მაინც არ ჰყოფნიდათ, რადგანაც იმპერატორს სრულიად არ უვარაუდნია ეს მოულოდნელი მეცხრე სტუმარი. მაშინ მეფემ თავაზიანობით, რომელიც თითქმის გულკეთილობას უდრიდა, ჩუმად უბრძანა ლაქიას მოეტანა სკამი და სერვიზი, რაც ჩუმადვე და უხმაუროდ იქნა შესრულებული. ახალგაზრდა შვეიცარელი ვახშმის დროს სრულიად აუღელვებლივ განაგრძობდა ბაასს თავის უახლოეს ორ მეზობელთან, თუმცა შეამჩნია, რომ ადგილი დაიკავა იმპერატორის სურვილს გარეშე. ეგონა, რომ ამას იგი სჩადის ტაქტიკური მოსაზრებით, რათა არ მიიქციოს საერთო ყურადღება და მხოლოდ მომენტს ელის, როდესაც იმპერატორი წამოდგება, რომ მივიდეს მასთან და ოდიში მოითხოვოს მომხდარ გაუგებრობის გამო ბოდიში. მაგრამ შევცდი. ვახშმის გათავების შემდეგ, ჩემმა გულუბრყვილო შვეიცარელმა, რომელიც თურმე სრულიად არ ფიქრობდა ამას, ბუნებრივად მიიჩნია შისდამი მიძღვნილი პატივისცემა და როდესაც სახლში დაბრუნდა თავის „დლიურში" ალბად მოკლედ აღნიშნა: „ვახშამი იმპერატორთან".

ვფიქრობ ვუხვევ იმ პირთ, რომელნიც ჩემს ირგვლივ იყვნენ, და მინდა კიდევ აღვნიშნო ის, რამაც ამ ბალზე ჩემში მოულოდნელი სიამოვნება გამოიწვია და რაც სრულიად შეუმჩნეველი დარჩა სხვების მიერ. მე მხედველობაში მაქვს ის შთაბეჭდილება, რომელიც ჩვენზე ჩრდილოეთის ბუნების დიდებულმა მოვლენებმა მოახდინეს. დღის ჰაერის ტემპერატურა 30° აღწევდა და მიუხედავად საღამო ჟამის სიგრილისა, სასახლეში ატმოსფერა შეხუთული იყო. ავდექი

თუ არა მაგიდიდან, სწრაფად გავეშურე ღია ფანჯრისაკენ. მე აქ დავივიწყე ყველაფერი, რაც ჩემს გარშემო იყო, და არ შემეძლო თავი მომერიდებინა საუცხოვო შუქურ ეფექტებისათვის, რომელიც შეიძლება იხილო მხოლოდ ჩრდილოეთში საზღაპრო და ნათელი პოლიარული ღამეების დროს. ბნელი და სქელი ღრუბლების რიგები ცას ცალ-ცალკე ზონებად ჰყოფდენ. ღამის პირველი საათი იყო. ამ დროს პეტერბურგში უკვე დაწყებული იყო ჩრდილოეთის ღამეები, მაგრამ ეს უკანასკნელნი ისე მოკლენი იყვნენ, რომ ადამიანს დრო არც-კი ჰყოფნიდა მათ შესამჩნევად, და აღმოსავლეთით უკვე განთიადის რიჟრაჟი მოსჩანდა. დღის ქარი ჩადგა და უძრავი ღრუბლების ხარვეზებში მოსჩანდა უაღრესად თეთრი ცა, რომელიც წაგავდა ერთი მეორისაგან დაშორებულ ვერცხლისფერ ფირფიტებს. ეს შუქი გამოკრთოდა ნაპირებში ჩაძინებული ნევის ზედაპირზე, ეს მდინარე ზანტად მიაგორებდა თავის წითელ, რძესავით თეთრ და მარგალიტისებურ ტალღებს.

ჩემს თვალწინ გადაშლილი იყო პეტერბურგის უდიდესი ნაწილი მისი მდინარის სანაპიროებით, ეკლესიებით და სამრეკლოებით. ამ სურათის ფერადები განსაცვიფრებელი იყო. დილის რიჟრაჟის მიერ ჩამქრალი ილიუმინაციის ნაშთები ჯერ კიდევ ანათებდა ბერძნულ სტილზე აგებულ ბირჟის სვეტებიან დერეფანთან, რომელიც თეატრალური ზეიმით გადაჰყურებდა კუნძულს, სადაც ნევა ორ დიდ მთავარ ტოტად იყოფა. ამ შენობის განათებული სვეტები, რომლის ამ ადგილისათვის შეუფერებელი სტილი ღამით ამ მორეულ მანძილზე არ მოსჩანდა გარკვევით, გამოკრთოდა ნევის თეთრ წყალში მთელი დანარჩენი ქალაქი მტრედისფრად გამოიყურებოდა, როგორც შორეული სივრცე ძველებურ მხატვართა სურათებში. ეს მართლა ფანტასტიური სურათი, თითქო ულტრამარინით დაპატული იყო, ზამთრის სასახლის ფანჯრის ჩარჩოებში, განსაცვიფრებელ კონტრასტს ჰქმნიდა ჭრაღების შუქსა და ნთელი შინაგანი მოწყობილობის სიმდიდრესთან. თითქოს მთელი ქალაქი, ცა, ზღვა და მთელი ბუნება ზამთრის სასახლის შუქს ეჭიშპებოდნენ და მონაწილეობას იღებდენ მდიდარ ზეიმში, რომელიც ამ უსახღვრო ქვეყნის ბრძანებლის მიერ თავის ქალიშვილისათვის იყო გამართული.

მე სრულიად შთანთქმული ვიყავი ამ ზღაპრული სანახაობით, როდესაც მოულოდნელად გავიგონე ქალის ნაზი ხმა: „რას აკეთებთ აქ, მარკიზ?“

— ხელმწიფევ, მე აღფრთოვანებული ვარ; ძე დღეს სხვა არაფრის გაკეთება არ შემიძლიან.

ეს დედოფალი იყო; იგი მარტო გაჩნდა ჩემს მახლობლად ფანჯარასთან, რომელიც ნევაზე გამავალ პავილიონს ჰგავდა.

— მე სული-მეხუთეა,—განაგრძო დედოფალმა, — ეს უფრო ნაკლებად პოეტურია, ვიდრე ის, რითაც თქვენ აღფრთოვანებული ხართ სამართლიანად. სურათი, მართლაც რომ საუცხოოა. მე დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ ჩვენ ორნი ვუმზერთ ამ განსაცვიფრებელ შუქურ ეფექტებს.

— ხელმწიფევ, ყველაფერი, რასაც აქ ვხედავ ჩემთვის ახალია, და მე მუდამ ვინანებ, რომ რუსეთში ახალგაზდობისას არ მოვედი.

— შეიძლება მუდამ ახალგაზდა დარჩეთ, გულით და ოცნებით.

მე ველარ გავბედე რამე მეპასუხა ამაზე, ვინაიდან არც დედოფალს და არც მე აღარაფერი დაგვრჩენოდა ახალგაზდობიდან, და ვშიშობდი ეს მისთვის მეგრძნობინებინა. გახშორების დროს დედოფალმა ჩაილაპარაკა იმ სინაზით, რომელიც მას ასე ახასიათებს:

— მე გავიხსენებ, რომ აქ თქვენთან ერთად ვიტანჯებოდი და აღფრთოვანებას ვგრძნობდი. მე ჯერ სულ არ მივდივარ, დღეს საღამოს ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს.

ვიდრე გალერეიას მივატოვებდი და საზეიმო დარბაზში გადავიდოდი, ისევ მივედი მეორე ფანჯარასთან, რომელიც შიგნით ეზოში გადიოდა, და აქ ჩემი ყურადღება მიიპყრო სრულიად სხვა ჟანრის მოულოდნელმა და გასაკვირველმა სანახაობამ, როგორიც არის მზის ამოსვლა პეტერბურგის ცაზე. ზამთრის სასახლის ეზო, რომელიც ოთხკუთხიანია ლუვრის სასახლის ეზოს მსგავსად, ზეიმის დროს თანდათან ხალხით ივსებოდა[13]). განთიადის ნისლი გაიფანტა და მე შემეძლო ნათლად გამერჩია ეს ბრბო, უტყვი, დამუნჯებული, თითქოს თავზარდაცემული თავისი ბრძანებლის სასახლის ბრწყინვალეებით და რაღაც ცხოველური სიხარულით შემგრძნობი მეფური ბანკეტის სუნისა. მთელი ეზო გავსებული იყო ბრბოთი, ისე რომ ერთი ადგილი თავისუფალი მიწა აღარ მოსჩანდა. და მაინც ეს ბრბო, ეს ჩუმი აღფრთოვანება და ზეიმი ხალხისა თავისი მონარქის წინაშე, მე საეჭვოდ მიმაჩნია დესპოტიურ ქვეყანაში. ხალხი ხარობს თავისი ბატონების სიხარულით, მაგრამ ეს მხიარულება ძალიან ნაღვლიანია. უბრალო მომაკვდავთა შიში და მლიქვნელობა და ხელისუფალთა სიამაყე და ზიზღით აღსავსე მედიდურება—ერთად ერთი გრძნობებია, რომელნიც ცოცხლობენ რუსეთის ავტოკრატიის უღელ ქვეშ.

პეტერბურგის ამ ზეიმებს შორის მე არ შეიმიძლიან დავივიწყო ეკატერინე მეფეს მოგზაურობა ყირიმში და სოფლური ქოხების

ბუტაფორული ფასადები, რომელიც აგებული იყო შელებილი ფიცრებისა და ტილოსაგან, რათა გამარჯვებული თვითმყრობელ დედოფლისათვის ეჩვენებიათ როგორ დასახლდა უდაბნოები მისი უზენაესი მფარველობის ქვეშ[14]). ასეთივე აზრებით არის შეპყრობილი დღესაც რუსების გონება. ყველა ცდილობს თავის ბრძანებლის თვალებს აარიდოს ცუდი, გადააფაროს მას ნიღაბი და მხოლოდ კარგი უჩვენოს. ეს რაღაც დაუსრულებელი შეთქაულებაა უსირცხვილო მლიქვნელობისა, შეთქმულება ჭეშმარიტების წინააღმდეგ ერთად ერთი მიზნით, რომ დააკმაყოფილონ ის, ვისაც, მათი აზრით, ყველასთვის სიკეთე სურს და ვინც ჰქმნის ამ სიკეთეს.

მე ვგრძნობ, რომ პარიზელი დემოკრატების ენით ვლაპარაკობ, მაგრამ, თუმცა რუსეთში დემოკრატი ვარ საფრანგეთში მაინც ნამდვილ არისტოკრატად ვრჩები. და განა პარიზის მიდამოების გლეხი, ან და ყველაზე უმცირესი მოქალაქე საფრანგეთში ბევრჯერ უფრო თავისუფალი არ არის, ვიდრე ყველაზე უდიდესი კარისკაცი რუსეთში?

* მე დავბრუნდი სახლში, გაკვირვებული იმპერატორის სიდიადით და ბრწყინვალებით, კიდევ უფრო განცვიფრებული ხალხის აღფრთოვანებით იმ სიკეთეთა გამო, რომელსაც იგი მოკლებულია, არასოდეს არ მიიღებს და ვერც გაბედავს ოცნებას მასზე. მე რომ ყოველ დღე არ მენახა, რამდენ პატივმოყვარე ეგოისტებს ჰქმნის თავისუფლება, ძნელად დავიჯერებდი იმას, რომ დესპოტაზმს შეუძლიან ამდენ უანგარო ფილოსოფოსების წარმოშობა.

თ ა ვ ი VIII

თიხის ფეხებიანი კოლოსი.—დიდოფალი მეტად თავაზიანია.—ბალი მიხვილის სასახლეში.—ფრანგული ლიტერატურის აკრძალვა.—„ხვენ განვაგრძობთ პეტრე დიდის საქმეს“. აზიის შვილი.—უშნო კამერ-იუნკერი.—მინერალური კაბინეტი.—პროტექციის ტირანია.

კაცი რუსი უნდა იყოს და უკეთ, თვით იმპერატორი, რომ გაუძლოს პეტერბურგის ცხოვრების მიერ გამოწვეულ დაღლილობას. საღამოთი—დღესასწაულები, რომელიც შეიძლება მხოლოდ რუსეთში ნახო, დილით—მილოცვები სასახლეში, მიღება, საჯარო ზეიმები, პარადები ხმელეთზე და ზღვაზე, 120 ზარბაზნიანი გემის ჩაშვება ნევაში, სასახლის და მთელი ქალაქის თანდასწრებით. ყველაფერი ეს ნთქავს ჩემს ძალებს და უხვ საზრდოს აძლევს ჩემს ოცნებას.

როდესაც მე ვამბობ, მთელი ქალაქი დაესწრო გემის ჩაშვებას წყალში მეთქი,—უდიდესი გემის, რომელიც ნევას ოდესმე უზიდია,—ეს ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ ამ საზღვაოსნო ზეიმს მართლაურიცხვი ხალხის ბრბო დასწრებოდეს: რუსები ყველაზე ნაკლებ განიცდიან სივრცის საჭიროებას. ის 400—500 ათასი კაცი, რომელიც პეტერბურგში ცხოვრობს ძალიან ფართოდ, იკარგება ქალაქის უსაზღვრო სივრცეში, რომლის გული შექმნილია გრანიტისა და ლითონისაგან, სხეული—თაბაშირისა და ცემენტისაგან, ხოლო კიდურები—შელებილი ხისა და დამპალი ფიცრებისაგან. ეს ფიცრები აქ კედლების მსგავსად დგანან უდაბურ ჭაობის ირგვლივ. თიხის ფეხებიანი კოლოსი, ეს საზღაპრო ფუფუნების ქალაქი, არ გავს ცივილიზაციური ევროპის არც ერთ სატახტო ქალაქს, თუმცა მის დაარსების დროს ყველა მათგანს ბაძავდენ.

მე ვნახე ვენის კონგრესი, მაგრამ არ მახსოვს არც ერთი საზეიმო რაუტი, რომელიც თავის განძეულებათა, ტანსაცმელების მორთულობით, მუნდირების სიმდიდრით და საერთო ანსამბლის სიდიადით და ჰარმონიით შეედრებოდეს იმპერატორის მიერ გამართულ ზეიმს თავის ქალიშვილის ჯვრის წერის დღეს ზამთრის სასახლეში; ეს უკანასკნელი ამ ერთი წლის წინად დაიწვა და აღსდგა ახლა ფერფლიდან ერთი ადამიანის ნებისყოფით. დიახ, პეტრე დიდი არ მომკვდარა. მისი მორალური ძალა კვლავ ცოცხლობს და განაგრძობს

ბატონობას. ნიკოლოზი ერთად ერთი მპყრობელია, რომელიც რუსეთს ჰყავდა მისი სატახტო ქალაქის დამაარსებლის შემდეგ.

საღამოს, ბალის გათავების დროს, როდესაც მე ჩვეულებრივ განზე ვიდექი, დედოფალმა მორიგე ადიუტანტებს უბრძანა, რომ მოვეძებნე. თხუთმეტი წუთის განმავლობაში ისინი ყველა დარბაზებში მეძებდნენ, მე-კი ამ დროს ვტკბებოდი ჩრდილოეთის ღამის სილამაზით და ვიდექი ფანჯარასთან, სადაც დედოფალმა დამტოვა. მე ეს ადგილი დავტოვე მხოლოდ ერთი წუთით, როდესაც მის ახლო მათმა უდიდებულესობებმა გაიარეს. მაგრამ, რადგანაც მე მათ ვერ შემნიშნეს, ისევ ფანჯარასთან დავბრუნდი და განვაგრძე მზის ამოსვლის პოეტური სურათის ცქერა. აქ მიპოვნეს დედოფლის შიკრიკებმა.

— მე უკვე დიდი ხანია გეძებთ, მარკიზ. რად გამირბიხართ?

— ხელმწიფევ! მე უკვე ორჯერ შევეხეჩე გზაში თქვენ უდიდებულესობას, მაგრამ ვერ შემამჩნიეთ.

— ეს უკვე თქვენი ბრალია, რადგანაც მე თქვენ გეძებთ მას შემდეგ, რაც საზეიმო დარბაზში დაბრუნდი. მე სურვილი მაქვს, რომ თქვენ აქ ყველაფერი დაათვალიეროთ, რაც შეიძლება ზედმიწევნით და შეადგინოთ რუსეთზე აზრი, რომელსაც შეუძლიან დაარღვიოს ბოროტი და უჭკუო ადამიანების მსჯელობა მასზე.

— ხელმწიფევ, მე ძალიან შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ ჩემ თავს ასეთი ძალა მივაწერო. მაგრამ საერთოდ, რომ აზრად იქცეს ის, რასაც მე ვგრძნობ, მთელი საფრანგეთი რუსეთს ცქერას დაუწყებს, როგორც საკვირველ მოქმედების ქვეყანას.

— თქვენ ყველაფერზე უნდა მსჯელობდეთ არა გარეგნულად, არამედ არსებითად, რადგანაც ამისთვის უნარი შეგწევთ ნახვამდის, მე მინდოდა მხოლოდ თქვენთვის ღაბე მშვიდობისა მესურვებინა: სიცხე ძალიან მღლის. არ დაგავიწყდეთ, რომ დაათვალიეროთ ჩემი ახალი აპარტამენტები: ისინი აღდგენილნი არიან იმპერატორის იდეით. მე ვუბრძანებ, რომ თქვენ ყველაფერი გაჩვენონ.

აქაური სასახლის ცხოვრება იმდენად ახალია ჩემთვის, რომ ერთგვარ გართობასაც—კი ვგრძნობ აქ. იგი მაგონებს მოგზაურობას დიდი ხნის წარსულში. ხანდახან მე მგონია, რომ ვიმყოფები ვერსალში ამ ასი წლის წინად. უაღრესი თავაზიანობა და განსაცვიფრებული სიდიადე აქ სრულიად ბუნებრივია; აქედან ადვილად დაინახავთ, თუ რამდენად დაშორებულია პეტერბურგი ეხლანდელ საფრანგეთს.

ჩვენ ჯერ კიდევ არ [illegible] [illegible]ისაგან, რომ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]

[illegible] [illegible] [illegible]

მთავრის მიხეილ პავლესძის მეუღლესა ელენე პავლეს ასულთან (იმპერატორის რძალთან). იგი ერთ გამოჩენილ ქალთაგანია ევროპაში და მასთან ბაასი ფრიად საინტერესოა. მე პატივი მქონდა წარდგენილი ვყოფილიყავი მის წინაშე ზეიმის დასაწყისში, პირველ მომენტში მას არც ერთი სიტყვა არ უთქვამს ჩემთვის, ხოლო შემდეგ საღამოს განმავლობაში რამდენჯერმე იპოვა შემთხვევა ჩემთან დასალაპარაკებლად. ამ ბაასიდგან მე მახსოვრობაში შემდეგი დამრჩა:

— მე მითხრეს,—სთქვა დიდი მთავრის მეუღლემ,—რომ თქვენ პარიზში ძალიან საინტერესო საზოგადოებაში ტრიალებთ.

— დიახ ქალბატონო, მე მიყვარს ბუნებით დაჯილდოვებულ ადამიანთა საზოგადოება და მათთან ბაასი ჩემი უდიდესი სიამოვნებაა. მაგრამ მე სრულიად ვერ წარმოვიდგენდი, რომ თქვენს უმაღლესობას მოებსენებოდა ასეთი დეტალები ჩემის ცხოვრებიდან.

— ჩვენ კარგად ვიცნობთ პარიზს და ვიცით აგრეთვე, რომ იქ ცოტაა ისეთი ხალხი, რომელიც სწორედ აფასებს ეხლანდელ დროს და ინახავს ხსოვნას წარსულ დროზე. რასაკვირველია ასეთი პირებიც მაინც ხვდებიან თქვენში. ჩვენ გვიყვარს ბევრი თქვენი მწერალი, რომლებსაც თქვენ ალბად ხშირად ხვდებით, განსაკუთრებით ქ-ნი გე და მისი ქალიშვილი ქ-ნი დე ჟირარდენი.

— ეს ქალები უაღრესად დაჯილდოვებულნი არიან ბუნებით და ნიჭიერნი, და მე ბედნიერი ვარ, რომ ძეძიძლიან ისინი ჩემს მეგობრებად ჩავთვალო.

— ხომ ხედავთ, რა საინტერესო და ნიჭიერი მეგობრები გყოლიათ. ჩვენ ვკითხულობთ ქ-ნ გეს წიგნებს დიდის სიამოვნებით. რა აზრისა ხართ თქვენ მათზე?

— მე ვხედავ, რომ მათში მოცემულია ნამდვილი წარმოდგენა უწინდელ საზოგადოებაზე და ამასთანავე—იმ ადამიანის მიერ, რომელსაც ესმის ამ საზოგადოების ფასი.

— რატომ აღარაფერს არ სწერს ქ-ნი დე ჟირარდენი?

— იგი პოეტია, და პოეტებისათვის კი, დუმილი შემოქმედებაა.

დიდი მთავრის მეუღლესთან ბაასის დროს მე იმ გზას ვადექი, რომ მხოლოდ ყური მეგდო მისთვის და პასუხი გამეცა მის შეკითხვებზე. მე ველოდი, რომ იგი დაასახელებდა კიდევ რამდენიმე ლიტერატურის სახელს, რაც უფრო მეტად ასიამოვნებდა ჩემს პატრიოტულ სიამაყეს. მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა: დიდი მთავრის მეუღლემ, რომელიც ცხოვრობს ისეთ ქვეყანაში, სადაც პირველ ყოვლისა ფიქტს აფასებენ, უეჭველია ჩემზე უკეთესად იცოდა, თუ რაზე შეიძლება ლაპარაკი და რაზე არა. მაგრამ, რადგანაც იგი ში-

ობდა, როგორც ჩემი სიტყვების მნიშვნელობისა, ისე ჩემი სიჩუმის გამო, აღარ წარმოუთქვამს არც ერთი სიტყვა ჩვენი თანამედროვე ლიტერატურის შესახებ. ჩვენ, მართლაც, ბევრი მწერალი გვყავს, რომელთა სახელის გახსენებას შეუძლ ან შეარყიოს სულის სიმშვიდე და აზრის ერთფეროვანობა, დესპოტიურად ჩანერგილი ყველაში, ვისაც სურს რუსულ სასახლეში ცხოვრება.

მაგრამ, ვუბრუნდები ისევ საზეიმო დღესასწაულების აღწერას, რომლებსაც მე ეხლა ყოველ საღამოს ვესწრები. ჩვენში ეს საზეიმო საღამოები მოკლებულნი არიან ბრწყინვალეებას მამაკაცების მუქი და შავი ტანისამოსის გამო, აქ კი რუს ოფიცრების ბრწყინვალე და სხვადასხვა ფერის მუნდირები განსაკუთრებულ იერს აძლევს პეტერბურგის სალონებს. რუსეთში ქალების ძვირფას სამკაულთა სიმშვენიერე სრულიად შეეფარდება ოქროს ფერად მოქარგულ სამხედრო მუნდირებს და კავალერები, როდესაც ესენი თავიანთ დამებთან ცეკვავენ, არ გვანან აფთიაქის შეგირდებს ან და კონტორის ნოქრებს.

მიხეილის სასახლის გარეგანი ფასადი ბაღის მხრივ მთელს სიგრძეზე შემკულია იტალიური სვეტებიანი დერეფნით, გუშინ ისარგებლეს 26°—სიცხით, რათა ეფექტიურად გალერეის კოლონადა ორიგინალურ ლამპიონებით გაეჩაღებინათ ჯგუფ-ჯგუფად. ესენი გაკეთებული იყვნენ ქაღალდისაგან ტიულპანების, ჩანგებისა და ლარნაკების მსგავსად. ეს იყო რაღაც ახალი და საკმაოდ ლამაზი.

დიდი მთავრის მეუღლე ელენე ყოველ დღესასწაულის გამართვის დროს, როგორც მე გადმომცემს, ახალს, ორიგინალურს და ჩვენებისათვის უცნობ რამეს იგონებს. ამ შემთხვევაშიაც ჯგუფ-ჯგუფად ჩამწკრივებული ლამპიონების შუქი მხატვრულად გამოკოთოდა სასახლის სვეტებიდან და ბაღში, სადაც რამდენიმე სამხედრო ორკესტრი სიმფონიურ მუსიკას ასრულებდა. ხეების მწკრივები, რომელნიც ზემოდან იყვნენ განათებულნი ლამპიონების შუქით, მომხიბლავ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა, ვინაიდგან არაფერი არ შეიძლება იყოს იმაზე ფანტასტიური, ვიდრე გაშუქებული მცენარეულობა წყნარ და მშვენიერ ღამეში.

დიდი გალერეია, დამზადებული ცეკვისთვის, მორთული იყო განსაკუთრებული სიმდიდრით. ათას ხუთასი ქოთანი იშვიათი ყვავილებით სურნელოვან ბოსკეტს ჰქმნიდა. დარბაზის ბოლოში, ეკზოტიურ მცენარეთა მუქ ჩრდილში, მოსჩანდა აუზი, საიდანაც გახუწ[illegible] შადრევანი გადმოსჩქეფდა. წყლის ნაკადულები, განათებული [illegible] ცეცხლით, ბრწყინავდენ [illegible] ალმასის მტვრის მსგავ-

სად და ჰაერს ასუფთავებდენ. საუცხოო პალმები, ბანანის ხეები და ყოველგვარი სხვა ტროპიკული მცენარეები, რომელთა ფესვები ჩამალული იყო ხავერდოვან მწვანეში, თითქოს მშობლიურ ნიადაგზე ჰყვაოდენ და თითქოს მოცეკვავეთა კორტეჟი რაღაც სასწაულებრივი ძალით ველური ჩრდილოეთიდან შორეულ ტროპიკულ ტყეში იყო გადატანილი. ძალაუნებურად გრძნობდი სიკხადით, თუ როგორ სუნთქავდა ყველაფერი ირგვლივ არა მარტო სიმდიდრით, არამედ—პოეზიითაც. საზღაპრო დარბაზის შუქი ასჯერ უფრო მატულობდა ვეებერთელა სარკეების გამო, რომლის მსგავსი მე არსად არ შინახავს უწინ. ეს სარკეები, ჩუქურთმიანი და მოკარაყული ჩარჩოებით, ჰფარავდენ ფართო ხარვეზებს ფანჯრებ შუა, ავსებდენ აგრეთვე დარბაზის პირდაპირ მხარეს, რომელსაც სიგრძით თითქმის მთელი სასახლის ნახევარი ეჭირა, და ასახავდენ უაქრავ სანთლების შუქს, მოელვარეს მდიდრულ ჭაღებში. ძნელი წარმოსადგენია ამ სურათის სიდიადე. სრულიად იკარგებოდა იმის წარმოდგენა, თუ სად ამყოფებოდი. ჰქრებოდა ყველა სახღვრები, ყველაფერი სავსე იყო სინათლით, ოქროთი, ყვავალებით და მომხიბლავი ილუზიით. ბრბოს მოძრაობა და თვით ბრბო დაუსრულებლივ მატულობდა, თვალთეული სული ასულად იქცეოდა. ეს სასახლე თითქოს სადღესასწაულოდ იყო შექმნილი და თითქოს ბალის გათავების შემდეგ მოცეკვავეებთან ერთად უნდა შეანთქმულიყო მთელი ეს საზღაპრო დარბაზიც. მე არასოდეს ამისთანა ლამაზი სურათი არ მინახავს. მაგრამ თვით ბალი ყველა დანარჩენ ბალებს წააგავდა და სრულიად არ შეეფერებოდა დარბაზის იშკიათ სიმდიდრეს. აქ ადგილი არ ჰქონია არაფერ თვალსაჩინოს და მიმხიდველს, არავითარ სანახაობას, სიურპრიზებს და საბალეტო წარმოდგენებს. განუწყვეტლივ ცეკვავდენ პოლონეზს, ვალსს და რაღაც კონტრდანსს, რომელსაც ეს ფრანგულ კილოკავით კადრილს უწოდებენ. თვით მაზურკასაც კი პეტერბურგში უფრო ნაკლებ მხიარულად და გრაციოზულად ცეკვავენ, ვიდრე ამის საძმობლო ვარშავაში.

ვახშმის წინ დედოფალმა, რომელიც აუზთან იჯდა, ეკზოტიურ მცენარეთა ფარდულში, სადაც იგი თავს აფარებდა ყოველი პოლონეზის შემდეგ, რათა ცოტა მაინც დაესვენა დარბაზში გამეფებული ტროპიკული სიცხისაგან,—მანიშნა, რომ ახლო მივსულიყავი. მაშინვე მისკენ გავეშურე, მაგრამ ამ დროს აუზთან მოვიდა ხელმწიფე, ჩამკიდა ხელი და რამდენიმე ნაბიჯით დამაშორა დედოფლის საფარძელს. აქ მთელი თხუთმეტი წუთის განმავლობაში იგი სხვადასხვა საინტერესო თემებზე მეგბაასებოდა.

ჯერ რამდენიმე სიტყვით დღევანდელი ზეიმის საუცხოო მოწყობას შეეხო. მე გამოვთქვი ჩემი გაკვირვება, რომ ეს უაღრესად შომქმედი ადამიანი კიდევ პოულობს დროს გართობებში მონაწილეობის მისაღებად.

— საბედნიეროდ,—მიპასუხა ხელმწიფემ,—ჩემი ქვეყნის ადმინისტრატიული მანქანა ძალიან უბრალოდ არის მოწყობილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ მართველობა რთული ყოფილიყო, ამ ვეებერთელა სივრცეზე, რომელიც დაბრკოლებას წარმოადგენს ყველაფრისათვის, ერთი ადამიანის თავი არ იკმარებდა.

— მე გაკვირვებული ვიყავი და ნასიამოვნები ამ გულწრფელი კილოთი. იმპერატორი, რომელსაც სხვებზე უკეთესად ესმის ის, რასაც მას პირდაპირ არ ეუბნებიან, განაგრძობდა ბაასს და თითქოს უპასუხებდა ჩემს ფიქრებს:

— თქვენ ასე, იმიტომ გელაპარაკებით, რომ დარწმუნებული ვარ, გაიგებთ ჩემ აზრს: ჩვენ განვაგრძობთ პეტრე დიდის საქმეს.

— იგი არ მომკვდარა, ხელმწიფევ, მისი გენია და ნებისყოფა ახლაც ბრძანებლობს რუსეთში.

როდესაც იმპერატორი ვისმეს საჯაროდ ელაპარაკება, კარისკაცების დიდი წრე გარს არტყია კარგა მოშორებულ მანძილზე. ამიტომ არავის არ შეუძლიან ხელმწიფის სიტყვების მოსმენა, მაგრამ ყველას გულისყური განუწყვეტლივ მისკენაა მიპყრობილი და ბაასის დროს მონარქი კი არ გზღუდავთ, არამედ მისი სასახლე.

— მაგრამ, — განაგრძო ხელმწიფემ, — ამ ნებისყოფის განხორციელება ძალიან ძნელია. საერთო მორჩილება თქვენ საბუთს გაძლევთ იფიქროთ, რომ აქ ჩვენში ყოველივე ერთფეროვანია. თქვენ სცდებით: არ არის მეორე ქვეყანა, სადაც არსებობდეს ასეთი სხვადასხვაობა ხალხების, ზნე-ჩვეულებებისა, სარწმუნოებისა და სულიერი განვითარებისა, როგორც რუსეთში. ეს სხვადასხვაობა დამალულია სილრმეში, ერთფეროვანობა-კი მხოლოდ ზერელეა და მოჩვენებითი. თქვენ ხომ ხედავთ ჩვენ ახლოს ოც ოფიცერს? იმათში მხოლოდ ორია რუსი, შემდეგი სამი—ჩვენთან შერიგებული პოლონელია, დანარჩენი—გერმანელები. თვით ხანებსაც-კი მოჰყავთ ჩემთან თავიანთი შვილები, რათა მე ისინი ჩემ კადეტებს შორის აღვზარდო. აი ერთი მათგანი—სთქვა მან, და მიმითითა პატარა ჩინელ მაიმუნზე, რომელსაც უცნაური ხავერდის ტანსაცმელი ეცვა, ოქრომჟერდით მოქარგული. ამ აზიელს [illegible] [illegible] [illegible]

— ამ ბავშთან ერთად ჩემს ხარჯზე სხვა ბავშვებიც სწავლობენ და იზრდები ნ ათასობით.

— რუსეთში, ხელმწიფეე, ყველაფერი დიდი მასშტაბით ხდება; აქ ყველაფერი კოლოსალურ.ია.

— მეტის მეტად კოლოსალურია ერთი ადამიანისთვის. იმედი მაქვს, თქვენ მარტო პეტერბურგს არ დაკმაყოფილდებით, როგორი არის თქვენი მოგზაურობის შემდეგი გეგმა ჩემს ქვეანაში?

— ხელმწიფეე, მე ვაპირებ გამგზავრებას სხვაგან, პეტერგოფის დღესასწაულების შემდეგ.

— სად?

— მოსკოვსა და ნიჟნი-ნოვგოროდში.

— ეს კარგია, მაგრამ თქვენ იქ ძალიან ადრე მიეშგზავრებით. თქვენ მოსკოვს ჩემს იქ მოსვლამდე დასტოვებთ. მე კი ძალიან მოხარული ვიქნებოდი, თუ იქ გნახავდით.

— თქვენი უდიდებულესობის სიტყვები მაიძულებს შევცვალო ჩემი გეგმები.

— მით უკეთესი. ჩვენ გაჩვენებთ ახალ სამუშაოებს, რომელსაც კრემლში ვაწარმოებთ. მე მინდა ამ ძველებურ შენობის არქიტექტურა დავუახლოვო თანამედროვეს. სასახლე ძალიან ვიწროა და უხერხული ჩემთვის. თქვენ დაესწრებით აგრეთვე საინტერესო ცერემონიას ბოროდინოს ველზე: მე მინდა ჩავდო პირველი ქვა იმ ძეგლის საძირკვლად, რომელიც ჩემი ბრძანებით შენდება ბოროდინოს ომის ხსოვნის აღსანიშნავად.

მე განვაგრძობდი დუმილს, მაგრამ ალბად ჩემი სახის გამომეტყველება უფრო სერიოზული შეიქმნა. იმპერატორი ჩამაშტერდა და შემდეგ თავაზიანი კილოთი დაამთავრა:

— მანევრების ნახვამ მაინც უნდა დაგაინტერესოთ თქვენ.

— ხელმწიფეე, რუსეთში მე ყველაფერი მაინტარესებს.

მალე ამ ლაპარაკის შემდეგ და აქვე ბალზე მე ვიყავი მოწამე შემდეგი საინტერესო სცენისა.

იმპერატორი ავსტრიელ ელჩს ელაპარაკებოდა. ახალგაზრდა ეხლახან დანიშნულმა, კამერ-იუნკერმა დიდი კნეინა მარიამ ნიკოლოზის ასულისაგან ბრძანება მიიღო მისი სახელით ელჩი პოლონეზიას საცეკვაოდ გამოეწვია. საბრალო დებიუტანტმა მეტის მეტი ერთგულობით გაარღვია კარისკაცების წრე, რომელიც მე აღვნიშნე უკვე ზემოდ, უშიშრად მივიდა იმპერატორთან და მისი უდიდებულესობის თანდასწრებით მიმართა ავსტრიელ ელჩს:

— გრაფ, ჰერცოგინია ლიხტენბერგელი გთხოვთ მასთან პირველი პოლონეზი იცეკვოთ.

იმპერატორმა, უკმაყოფილომ თავისი კამერ-იუნკერის ყოფაქცევით, მას ხმამაღლა უთხრა:

— თქვენ სულ ეხლახან ხართ დანიშნული თქვენს თანამდებობაზე, მაშ ისწავლეთ თუ როგორ უნდა მისი ასრულება. პირველ ყოვლისა, ჩემი ქალიშვილი ლიხტენბერგელი ჰერცოგინი კი არ არის, არამედ დიდი კნეინა მარიამ ნიკოლოზის ასულია, და შემდეგ თქვენ უნდა იცოდეთ, რომ მე სიტყვას არ მაწყვეტინებენ, როდესაც ვისმენ ველაპარაკები...

ვტოვებ ჩემ დღიურებს, რათა სადილად გავემგზავრო რუს ოფიცერ, ახალგაზრდა გრაფ * * * — თან, რომელმაც დღეს დილით გამაცნო ადგილობრივი მინერალური კაბინეტი, ჩემის აზრით საუკეთესო ევროპაში, ვინაიდგან ურალის მთის მადნები თავისი სიმდიდრით სრულიად განსაკუთრებულია. აქ არაფრის დათვალიერება არ შეიძლება, თუ გამცილებელი არ გყავს, და ცოტა დღეებიც არის წელიწადში ისეთი, როდესაც შესაძლებელია ამა თუ ამ საინტერესო საზოგადოებრივ დაწესებულებათა დათვალიერება. ზამთრის ყინვებისაგან დაზიანებულ შენობებს ზაფხულობით რემონტს უკეთებენ, ხოლო ზამთრობით მთელი საზოგადოება ან იყინება, ან და ციკვავს. მე არ გადავამეტებ, თუ ვიტყვი, რომ კაცი პეტერბურგში რუსეთს უკეთ ვერ გაეცნობა, ვიდრე პარიზში. საკმარისი არ არის მხოლოდ მიხვიდე ამა თუ ქვეყანაში, რომ შეისწავლო იგი, აქ-კი უპროტექციოდ ვერაფერზე ვერ მიიღებთ ცნობას. პროტექცია მტარვალივით ძალადობს და ყველაფერზე ყალბ წარმოდგენას გაძლევთ, აქ კი სწორედ არსებითად ცდილობენ, რომ ყველაფერზე ყალბი წარმოდგენა მოგცენ.

თ ა ვ ი IX

საზეიმო სპექტაკლი.—მონარქის გამოჩენა და „სახალინო“ აღფრთოვანება.—ნიკოლოზის თხრობა დეკაბრისტების აჯანყების შესახებ.—„ვაჟკაცობა მკვლელების წინაშე.“—ნიკოლოზის სიძულვილი კონსტიტუციისადმი.—კიუსტინი სასოწარკვეთილებას იძლევა.—სასახლის პასტორალი.—დედოფლის მეგობარი.—„მონარქებს ნაკლებად აქვთ მადლობის გრძნობა“.—ხოლერიანი ბუნტი.—კიუსტინის აქციები მაღლა იწევენ.—მლიქვნელობა და გმირობა.—თუ მონა არ არის, ბუნტოვშჩიკია.—წესრიგების და სიმშვიდის ილუზია.

დღეს მე „გალა-სპეტაკლს“ დავესწარი ოპერაში. ბრწყინვალედ განათებული დარბაზი საკმაოდ დიდად და ლამაზად მომეჩვენა. აქ არც ბალკონებია და არც გალერეიები, არაფერი არ უშლის აქ ხელს არქიტექტორს თავისი გეგმა განახორციელოს, რადგანაც იგი არ ფიქრობს ადგილები მისცეს უბრალო ხალხს. ამიტომ თეატრის [illegible] ზი პეტერბურგში შეიძლება აშენებულ იქნას უბრალო სტილით, როგორც იტალიური თეატრები, სადაც ქალები, რომელიც მაღალ არსს ეკუთვნიან, პარტერში სხედან.

განსაკუთრებული თავაზიანობის გამო დღევანდელ საზეიმო სპექტაკლზე სავარძელი დამითმეს პარტერის პირველ რიგში. ჩვეულებრივ ასეთ დღეებში ეს სავარძლები დანიშნულია უმაღლესი წოდებისათვის, ე. ი. პირველი კლასის კარის კაცებისათვის, რომელნიც გამოწყობილნი არიან ბრწყინვალე მუნდირებში თავიანთი „ჩინის“ და წოდების მიხედვით.

ჩემმა მეზობელმა მარჯვნივ მიცნო ტანისამოსის მიხედვით, რომ მე უცხოელი ვიყავი და ფრანგულად გამომელაპარაკა იმ უაღრესი თავაზიანობით, რომელიც პეტერბურგში ახასიათებს არა მარტო უმაღლეს წოდებას, არამედ—რამდენადმე სხვა წოდების ხალხსაც. აქ ყველა თავაზიანია: წარჩინებულნი იმიტომ, რომ თავიანთი კარგი აღზრდა-განათლება გამოააშკარავონ, უბრალო ხალხი კი მუდმივი შიშის გამო.

მე ძალიან ყურადღებით არ მომისმენია სპექტაკლი, რადგანაც მაყურებლები უფრო მაინტერესებდა. იმპერატორის ლოჟა ბრწყინვალე სალონია, რომელიც მოთავსებულია თეატრის დარბაზის სიღრმეში და უფრო კარგად განათებული ვიდრე თეატრის დანარჩენი ნაწილი.

იმპერატორის გამოჩენა დიდებული იყო. როდესაც იგი, დედოფალთან ერთად და მეფის საგვარეულოს წევრთა და კარისკაცთა თანხლებით, თავისი ლოჟის ბარიერს მიუახლოვდა, ყველა იქ დამსწრენი ფეხზე წამოდგნენ. ვიდრე ალაგს დაიჭერდა იმპერატორი ჩვეულებრივი ლირსებით მიესალმა დარბაზში შეკრებილ ხალხს. მასთან ერთად მიესალმა დედოფალიც. ამავე დროს ხალხს მთელი ამალა ესალმებოდა, რაც მე ცოტა არ იყოს საზოგადოების უპატივცემულობად მივიჩნიე.

დარბაზი თავის მხრივ მონარქს, თავის დახრით, ტაშის ცემით და „ურას" ყვირილით მიესალმა. გრძნობების ამ გადაჭარბებულ დემონსტრაციას მაინც აშკარა ოფიციალური ხასიათი ჰქონდა, რაც საგრძნობად ამცირებდა მის ლირებულებას. და ან რა არის საკვირველი იმაში, რომ თვითმპყრობელ მონარქს თავის სატახტო ქალაქში სალამს უძღვნის პარტერი, გავსებული კარის კაცებით?

უცვლელი მლიქვნელობა, რომელსაც იმპერატორი მუდამ ხვდება, იმის მიზეზია, რომ მას მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ ჰქონდა შემთხვევა პირისპირ შეხვედროდა ბრბოს,—და ორივეჯერ ხალხური ამბოხების დროს. რუსეთში ყველაზე თავისუფალი ადამიანი ამბოხებული ჯარისკაცია.

მე ძალაუნებურად გამახსენდა იმპერატორის ყოფა-ქცევა მისი ტახტზე ასვლის დროს და ისტორიის ამ საინტერესო ფურცელმა დროებით დამავიწყა ის სპექტაკლი, რომელსაც მე დავესწარი. ის, რის თქმაც აქ მინდა, თვით იმპერატორმა გადმომცა ჩვენი ერთ-ერთ ბაასის დროს.

იმ დღეს, როდესაც ნიკოლოზი ტახტზე ავიდა, ამბოხებამ იფეთქა გვარდიაში. პირველი ცნობის მიღებისთანავე ჯარებში მომხდარი აჯანყების შესახებ. იმპერატორი და დედოფალი მარტოკანი სასახლის ეკლესიაში გაემგზავრენ და იქ საკურთხევლის წინ დაჩოქილნ შეჰფიცეს უფალს, რომ დაიხოცებოდნენ ტახტზე, თუ ვერ გაიმარჯვებდენ აჯანყებულებთა წინააღმდეგ. იმპერატორს ეს საფრთხე სერიოზულად მიაჩნდა, რადგანაც მან იცოდა, რომ მიტროპოლიტი ამაოდ ცდილობდა ჯარისკაცების დამშვიდებას: რუსეთში სერიოზულად ითვლება ის აღელვება, რომელსაც ვერ ამშვიდებს სასულიერო ძალა-უფლება.

იმპერატორმა გადიწერა პირჯვარი და გაემგზავრა აჯანყების ალაგას, დაიმედებული რომ მეამბოხეთ დაიპყრობდა თავისი ვამოცდილებით და სასიკ ძმვიდი, ენერგიული გამომეტყველებით. [illegible] [illegible] [illegible]

ბის დასაწყისი, ვინაიდგან შეშკრთალი ვიყავი მოულოდნელი მიმართულებით, რომელიც ჩვენმა ბაასმა მიიღო. ამიტომ მე მას მხოლოდ იმ მომენტიდან გადმოგცემთ, რომელიც გარკვეულად შეინახა ჩემმა მახსოვრობამ

— ხელმწიფევ, თქვენ ალბად საიმედო წყაროდან იძენდით ძალას.

— მე არ ვიცოდი, რას მოვიმოქმედებდი ან და რას ვიტყოდი. მე მხოლოდ უზენაეს შთაგონებას მივდევდი.

— რათა კაცს ამგვარი შთაგონება ჰქონდეს, მან უნდა დაიმსახუროს იგი.

— მე არაფერი ზე-ბუნებრივი არ ჩამიდენია, მხოლოდ უთხარა ჯარისკაცებს: „დაუბრუნდით თქვენს რიგებს!" ჩამოუარე რაზმს და შევყვირე: „დაიჩოქეთ!" ყველა დამემორჩილა. მე ძალა შთამინერგა იმან, რომ რამდენიმე წუთის წინ, უკვე სრულიად შევურიგდი სიკვდილს. მე მოხარული ვარ ამ გამარჯვებით, მაგრამ ამ ვამაყობ ამით, რადგანაც აქ ჩემი დამსახურება არ არის.

ასეთი იყო კეთილშობლური სიტყვები, რომლითაც ისარგებლა იმპერატორმა, რათა ეამბნა ეს თანამედროვე ტრაგედია. ამ მოთხრობის მიხედვით შეიძლება წარმოიდგინო მისი ბაასის ინტერესის ხარისხი უცხოელებთან, რომელთაც იგი თავის ყურადღებას აღირსებს. ეს მოთხრობა, ესოდენ დაშორებული სასახლის ჩვეულებრივ ამბებს, საშუალებას გვაძლევს გავიგოთ აგრეთვე ის მომხიბლავი გავლენა, რომელსაც ნიკოლოზი თავის ხალხზე ახდენს.

მნახველებმა გადმომცეს, იგი თითქოს თანდათან იზრდებოდა ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე, რომლითაც აჯანყებულებს უახლოვდებოდაო. ჩუმი, მელანქოლიური და წვრილმანი სიყმაწვილეში, იგი გადაიქცა გმირად, როგორც კი მონარქი გახდა, წინააღმდეგ იმისა, რაც მემკვიდრე პრინცთა უმრავლესობას ემართება.

რუსეთის იმპერატორი აქ იმდენად თავის როლში იყო, რომ მისი ტახტი დიდი მსახიობის სცენას წააგავდა. მისი პოზა აჯანყებული გვარდიის წინაშე, როგორც ამბობენ, იმდენად დიდებული იყო, რომ ერთი შეთქმულთაგანი მას ოთხჯერ მიუახლოვდა მოსაკვლელად, იმ დროს, როდესაც იგი ჯარს სიტყვით მიმართავდა, და ოთხჯერ ამ უბედურს გაბედულებამ უღალატა, როგორც კიმვრს მარიუსის მოკვლის განზრახვის დროს. მცოდნე პირები ამ ამბოხებას აწერდნენ საიდუმლო საზოგადოებათა გავლენას, რომელიც რუსეთში განვითარდენ მოკავშირეების საფრანგეთისკენ ლაშქრობისა და რუს ოფიცრების გერმანიაში ხშირი სიარულის შემდეგ.

მე აქ ვიმეორებ იმას, რაც გავიგონე. ეს ფაქტები სიბნელეში არის მოცული და მე არ მაქვს მათი შემოწმების საშუალება.

ჯარის ასაჯანყებლად შეთქმულებმა სასაცილო სიცრუეს მიმართეს: მათ გაავრცელეს ხმები, ნიკოლოზმა ძალით მოსტაცა მეფის გვირგვინი თავის ძმას კონსტანტინეს, რომელიც უკვე გამოემგზავრა პეტერბურგისაკენ თავის უფლებების დასაცავად იარაღით ხელშიო. აი რა საშუალებას მიმართეს მათ, რომ აჯანყებულ ჯარისკაცებს დაეყვირათ სასახლის ფანჯრების წინ: „გაუმარჯოს კონსტიტუციას!"—მეთაურებმა დაარწმუნეს ისინი, რომ კონსტანტინეს ცოლს მათს დედოფალს კონსტიტუცია ჰქვიან. როგორც სჩანს, ჯარისკაცების გულის სიღრმეში სცოცხლობდა მოვალეობის იდეა, რადგანაც მხოლოდ ამგვარ მოტყუების საშუალებით შეიძლებოდა მათი აჯანყება. კონსტანტინემ სისუსტის გამო უარი სთქვა ტახტზე: მას მოწამლისა ეშინოდა,—ამაში მდგომარეობდა მთელი მისი ფილოსოფია. ღმერთმა იცის, და შეიძლება ზოგიერთ ადამიანებმაც იცოდნენ, თუ რამდენად გადაარჩინა ამ უარის თქმამ იმ ბედს, რომელსაც იგი ასე უფრთხოდა.

მხოლოდ ლეგიტიზმის ინტერესების დასაცავად აუჯანყდენ გასულელებული ჯარისკაცები თავის კანონიერ ხელმწიფეს.

ამბობენ, ნიკოლოზს მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ის ჯარების წინაშე იმყოფებოდა, არც ერთხელ არ გაუჭენებია თავისი ცხენი, იმდენად დამშვიდებული იყო იგი, თუმცა ამასთანავე ძალზე ფერმიხდილიც იყო. იგი გრძნობდა თავის ძალას და ამ განცდამ უზრუნველჰყო მის ბიერ მასების დამორჩილება.

ასეთი ადამიანი არ შეიძლება გასამართლებულ იქნას, როგორც ჩვეულებრივი მომაკვდავი. მისი ძლიერი და მბრძანებელი ხმა, მისი მაგნიტისებური შეხედვა, შეჩერებული მისი ყურადღების მიპყრობა საგანზე, ხშირად ცივი და უძრავი შეხედვა, გამოწვეული მისი ჩვეულებით, რომ უფრო სძლიოს თავის აზრებს, ვიდრე დამალოს ისინი, მისი ამაყი შუბლი, მისი სახის მოყვანილობა, რომელიც აპოლონს და იუპიტერს მოგვაგონებს, და მთელი მისი გამომეტყველება უფრო კეთილშობილია, ვიდრე ნაზი და რომელიც უფრო ქანდაკებას წააგავს, ვიდრე ცოცხალ ადამიანს,—ყველა ეს მძლავრ გავლენას ახდენს იმაზე, ვინც კი ახლოს მივა მასთან. იგი იმორჩილებს სხვის ნებისყოფას, რადგანაც სავსებით პყრობს თავისას.

ჩვენი ბაასიდან მე მახსოვრობილან კიოევ შემდეგი ჩამრჩა:

— ამბოხების ჩაქრობის შემდეგ, ოქვენი უდიდებულესობა ალბად სასახლეში დაბრუნდით და სრულიად სხვა გუნებაზე ვიდრ

მაშინ იყავით, როდესაც სასახლე დატოვეთ. სამეფო ტახტთან ერთად თქვენ მოიხვეჭეთ მთელი ქვეყნის გაკვირვება და ყველა კეთილშობილ ადამიანთა სიმპატიები[15]).

—მე ამაზე არ მიფიქრია. ყველაფერს, რაც მე მაშინ მოვიმოქმედე, ძალიან აქებდენ შემდეგში.

მაგრამ ხელმწიფეს არაფერი არ უთქვამს ჩემთვის იმის შესახებ, **რომ**, როდესაც თავის ცოლს დაუბრუნდა, ეს უკანასკნელი მას ნერვიული ავადმყოფობით დაავადებული დახვდა. ეს იყო თავის კონვულსიები, რომლისაგანაც იგი შემდეგ ვეღარ განთავისუფლდა. ეს კონვულსიები ოდნავ ემჩნევა და სრულიად ჰქრება იმ დროს, როდესაც დედოფალი დამშვიდებულია და კარგად გრძნობს თავს, მაგრამ როდესაც იგი მორალურ და ფიზიკურ ტანჯვას განიცდის, ავადმყოფობა ხელახლად მეორდება უფრო ძლიერ. ეს კეთილშობილი ქალი ალბად უძლიერეს შიშს განიცდიდა, როდესაც მისი მეუღლე ვაჟკაცურად ხვდებოდა მკვლელების განზრახვას.

როდესაც მან მეფე უვნებელი დაინახა, უსიტყვოთ გადაეხვია მას, მაგრამ ხელმწიფემ დაამშვიდა იგი და თვითონაც სუსტად იგრძნო თავი. მეფე ერთი წუთით უბრალო მომაკვდავად იქცა, გადაეხვია თავის ერთ უერთგულეს მსახურთაგანს, რომელიც შეესწრო ამ სცენას და წარმოსთქვა: „აი როგორი დასაწყისია მეფობისა!"

ვუბრუნდები ჩვენს ბაასს. როცა ხელმწიფემ სთქვა გადაჭარბებულად მაქებენ, ჩემი ყოფაქცევის გამო ამბოხების დროს, მე ვუპასუხე:

—მე თქვენ გარწმუნებთ, ხელმწიფევ, რომ ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი ჩემი მოსვლისა რუსეთში იყო სურვილი მენახა მონარქი, რომელიც ასეთ უაღრეს გავლენას ახდენს ხალხზე.

—რუსეთის ხალხი კეთილია, მაგრამ ღირსი უნდა იყო ამ ხალხის მმართველობისა.

—თქვენმა უდიდებულესობამ უკეთ გაიგო, თუ რა სჭირდება რუსეთს, ვიდრე თქვენმა წინაპრებმა.

—რუსეთში კიდევ არსებობს დესპოტიზმი, რადგანაც **იგი** მთელი მმართველობის საფუძველია, მაგრამ ეს დესპოტიზმი სრულიად ეგუება ხალხის სულს.

—ხელმწიფევ, თქვენ გადაარჩინეთ რუსეთი სხვა ქვეყნებისადმი მიბაძვას და დაუბრუნეთ იგი თავის თავს.

—მე მიყვარს რუსეთი და ვფიქრობ, რომ მესმის მისი სურვილები. როდესაც მე ძალიან ვიღლები ჩვენი დროის სხვადასხვა სისა-

ძაგლისაგან, მაშინ მთელ დანარჩენი ევროპისაგან დავიყწებს რუსეთის შიგნით ვპოვებ.

—რათა მ ოიკრიფოთ ახალი ძალები თვით მის წყაროში.

—თქვენ მართალი ხართ. არავის არ შეუძლიან სულით და გულით უფრო მეტად იყოს რუსი, ვიდრე მე. თქვენ გეტყვით ი[illegible] რასაც სხვას არავის არ ვეტყოდი, რადგანაც ვგრძნობ, ოომ თქვ[illegible] და მხოლოდ თქვენ, გაიგებთ სწორედ ჩემ სიტყვებს.

ხელმწიფე შეჩერდა და დამაშტერდა. მე სმენად ვიქეცი [illegible] კრინტი არ დამიძრავს. მან განაგრძო:

—მე მესმის რესპუბლიკა: იგი პირდაპირი და ჰატიოსანი მმართველობაა, ან და შეიძლება მაინც იყოს ასეთი. მე მესმის აბსოლუტური მონარქია, რადგანაც მე თვითონ ვდგევარ მის სათავეში, მაგრამ მე არ შემიძლიან გავიგო, რა არის წარმომადგენლობითი მმართველობა. ეს არის სიცრუის, მოტყუების და მოსყიდვის მთავრობა. მე ვარჩევდი თვით ჩინეთამდე დამეხია უკან, ვიდრე დავთანხმდებოდი ამ გვარ მმართველობას.

—წარმომადგენლობითი მმართველობა მე მუდამ გარდამავალ საფეხურად მიმაჩნდა განსაზღვრულ სახელმწიფოებში და ეპოქაში. მაგრამ, როგორც ყველა გარდამავალი საფეხური, ეს მართველობაც არ სწყვეტს საკითხს, არამედ ახანგრძლივებს მხოლოდ მასთან დაკავშირებულ სიძნელეებს.

ხელმწიფეს თითქოს ჩემთვის სურდა ეთქვა: „განაგრძეთო“ და შემდეგი სიტყვებით დავამთავრე ჩემი აზრი:

—კონსტიტუციონური მონარქია ზავის ხელშეკრულებაა დემოკრატიასა და მონარქის შორის, ორი უსირცხვილო ტირანის—ფულის მოყვარულობის და შიშის დახმარებითი და ხელისშეწყობით. ეს ხელშეკრულება გრძელდებოდა მოლაყბეთა თავისუფალი აზროვნების გამო, რომელნიც სტკბებიან თავიანთი ენამჭევრობით, და მასსების პატივმოყვარულობით, რომელსაც ყიდულობენ ამ ლამაზი სიტყვებით. ბოლოს, ჩნდება სიტყვის არისტოკრატია, რადგანაც ივ[illegible] ვექილების მმართველობაა.

—თქვენ ნამდვილ სიმართლეს ამბობთ,—მითხრა იმპერატორმა და მაგრად ჩამომართვა ხელი. მეც კონსტიტუციონური მონარქი ვიყავი. და ქვეყანამ იცის, თუ რად მიღირდა ეს, რადგანაც მე ა[illegible] მსურდა დავმორჩილებოდი მმართველობის ამ საზიზღარ წესს ([illegible] ზედმიწევნით მოშუავს იმპერატორის სიტყვები). ხნებისა და სინდ[illegible] [illegible] [illegible] [

როგორც იმათთვის, ვინც ემორჩილება, ისე მათთვის, ვინც ბრძანებლობს. მე ძალიან ძვირად დამიჯდა ჩემი გულახდილობა, მაგრამ მადლობა ღმერთს, სამუდამოდ გავწყვიტე კავშირი ამ საზიზღარ პოლიტიკურ მახქანასთან. არასოდეს კონსტიტუციონური მონარქი აღარ ვიქნები. მე უნდა გამომეთქვა ის, რასაც ვფიქრობ, რათა ერთხელ კიდევ დამედასტურებინა, რომ არასოდეს არ დავთანხმდები რომელიმე ხალხი ეშმაკობის და ინტრიგის საშუალებით ვმართო.

პოლონეთის სახელი, რომელზედაც ჩვენ ორივენი ვფიქრობდით ამ შესანიშნავი ბაასის დროს, სრულიად არ ყოფილა წარმოთქმული[16]).

შთაბეჭდილება, რომელიც ჩემზე იმპერატორის სიტყვებმა მოახდინა, ძლიერი იყო; მე სასოწარკვეთილებას ვგრძნობდი. აზრთა კეთილშობილობა და გულახდილი ბაასი უფრო ამაღლდება ჩემს თვალში მის ყოვლად შემძლეობას. გულახდილად უნდა ვაღიარო, სრულიად დაბრმავებული ვიყავი ამ დროს. ის ადამიანი, რომლისთვისაც, მიუხედავად ჩემი რიდეების დამოუკიდებლობისა, მე უნდა მეპატიებინა, რომ იგი სამოცმილიონიანი ხალხის თვითმპყრობელია, უზენაეს არსებად მიმაჩნდა. მაგრამ მე ვცდილობდი არ აეყოლებინა ჩემ აღფრთოვანებას, მსგავსად ჩვენი ბურჟუების, რომელნიც მოხიბლული არიან ძველი დროის ადამიანთა მშვენიერებით. კარგი გემოვნება მათ აიძულებს გრძნობის აღფრთოვანებას აჰყვნენ, მაგრამ ამას ეწინააღმდეგება მათი პრინციპები, და ისინი ცდილობენ მოგვეჩვენონ თავდაჭერილად და რაც-კი შეიძლება არაგრძნობიერად. ბრძოლა, რომელსაც ისინი განიცდიან, მომაგონებს ჩემს მიერ განცდილ ბრძოლას. მე თვისებად არ მაქვს ეჭვი შევიტანო ადამიანის სიტყვის ვულწრფელობაში იმ წუთს, როდესაც ვუსმენ მას, ხოლოდ შემდეგ მოფიქრების და მკაცრი გამოცდილების გზით ვრწმუნდები ანგარების და ცბიერების შესაძლებლობაში. შეიძლება ამას სისულელე უწოდონ, მაგრამ მე მომწონს ასეთი გონებრივი სისუსტე, რადგანაც იგი სულიერი ძლიერების შედეგია. ჩემი გულწრფელობა მაიძულებს, რომ დავუჯერო სხვის გულწრფელობას, თუნდაც ეს სხვა რუსეთის იმპერატორი იყოს.

ეს საინტერესო ბაასი, რომელიც მე ახლა მოვიყვანე, მეხხდა პრინცესა ოლდენბურგელის ბალზე. ეს უკანასკნელი იმდენად თვისებური იყო, რომ უცვლელად ღირს მისი აწერა.

პრინცესა ოლდენბურგელმა, ნასაუს პრინცის ქალიშვილმა, რომელიც ახლო ნათესავი იყო იმპერატორისა, მოისურვა აგრეთვე საღამოს გამართვა მეფის ქალიშვილის მარიამის ქორწინების საპა-

ტიოდ, მაგრამ, ვინაიდგან მას საშუალება არ ჰქონდა ქიძაობა გაეწია მდიდრული მოწყობილობით სასახლის ბალებისთვის გადასწყვიტა სახელდახელო ბალის გამართვა ჰაერზე, ახდილ ადგილას, თავის ქალაქის გარედ მდებარე ვილაში.

მთელი ქვეყნის ელჩები (მხოლოდ მსახიობნი ასტორალების გასათამაშებლად), მთელი რუსეთის დიდკაცობა და წარჩინებული უცხოელები შეიკრიბნენ აქ და სეირნობდნენ ბალის ხეივნებში, რომლის შორეულ ბოსკეტებში ჩაშალულნი იყვნენ მუსიკის ორკესტრები

ყოველ დღესასწაულს ტონს მეფე აძლევს. ამ სალამოს „mot d'ordre" ასეთი იყო: თავაზიანი გულუბრყვილობა ანუ ელეგანტური უბრალოება ჰორაციუსის მსგავსად. ასეთი იყო მთელი სალამოს განმავლობაში ყველა იქ დამსწრეთა და მათ შორის დიპლომატიურ კორპუსის წარმომადგენელთა მთავარი სულიერი განწყობილება.

სალამოს თერთმეტ საათამდე, გარედ ჰაერზე ცეკვავდენ, მაგრამ, როდესაც ღამის რთვილმა საკმაოდ დაასველა ახალგაზრდა დანაში შესულ ქალების თავი და მხრები, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ ადამიანის ნებისყოფის გამარჯვებაში ჰავაზე, ყველანი მცირე სასახლეში გადავიდნენ; ეს უკანასკნელი ჩვეულებრივ პრინცეს ოლდენბურგელის საზაფხულო რეზიდენცია იყო.

სასახლის ცენტრში ოქროთი და ცეცხლებით მოელვარე როტონდა იდგა. ამ დარბაზში გრძელდებოდა ცეკვა, ხოლო ვინც არ ცეკვავდა გაფანტული იყო სხვა დარბაზებში. სინათლის სხივები, რომელნიც ამ ცენტრალურ პუნქტიდან გამოდიოდნენ, შორს ვრცელდებოდნენ გარედ. გაჩაღებული როტონდა ორბიტად მეჩვენებოდა, სადაც ტრიალებდნ იმპერატორის თანავარსკვლავები და თავის სხივებით მთელ სასახლეს აშუქებდენ.

პირველ სართულში ტერასებზე გამართული იყო პავილიონები, სადაც გაშლილი იყო მაგიდები იმპერატორის და ვ ხშმად მ წვეულ სტუმრებისათვის. ამ ბალზე, სადაც ნაკლები საზოგადოება იყო, ვიდრე უწინდელზე, საერთოდ ისეთი საუცხოოდ მოწყობილი მოჩვენებითი უწესობა სუფევდა, რომ ამ სალამომ ბევრად უფრო დამაინტერესა, ვიდრე ყველა დანარჩენებმა. ბიუხედავად კომიკური ძალდატანებისა, რომელიც ზოგიერთი სტუმრის სახეს ეტყობოდა, ეს სრულიად ორიგინალური სალამო იყო, სადაც ყველანი თავისუფლად გრძობდენ თავს, თუმცა აქ თვითმყრობელი მეთე იმყოფებოდა. როდესაც მონარქი მხიარულობს, იგი აღარ გავს დესპოტს, იმპერატორი კი ამ ბალზე ღვაეოდ მხიარულობდა.

მე უკვე აღვნიშნე, რომ ცეკვა გამარათული იყო გარედ, ჰაერზე. ამ შემთხვევაში პრინცესას მისი გეგმის განხორციელებაში დახმარებას უწევდა განსაკუთრებულად თბილი ზაფხული. საზაფხულო სასახლე კუნძულების ულამაზეს ნაწილში იმყოფება, და აქ ყვავილებით მორთულ ბაღში, რომელიც ხელოვნურად იყო დაფარული ინგლისური გაზონით, გამართული იყო დიდი დარბაზი—სალონური პარკეტი, გარშემორტყმული საუცხოო ყვავილებით მორთული ბალუსტრადით. ეს ორიგინალური დარბაზი, რომელსაც ჭერად ცის თაღი ჰქონდა, გემის პალუბას წააგავდა, რომელიც დღესასწაულის გამო მორთული იყო ყოველნაირი დროშებით. პეტერბურგში იშკიათი ყვავილების სიუხვე ავსებს მდიდარი მცენარეულობის უქონლობას. აზიიდან მოსულნი მცხოვრებნი, რომელნიც აქ ჩრდილოეთის ყინულებში ჩაკეტილან, როგორც ციხეში, ყველა ღონისძიებას ხმარობენ რათა შეამსუბუქონ მწირი ნიადაგის სიღარიბე, სადაც მხოლოდ ლიქენი და არყის ხე იზრდება. ხელოვნება აქ ორანჟერეებში იშვიათ ბუჩქნარების და მცენარეულობათა უამრავ რაოდენობას ჰქმნის, და რადგანაც ყველაფერი ეს ადამიანის ხელის საქმეა, აქ ადვილად ხარობს ამერიკული მცენარეულობა და ფრანგული ია—ზამბახი. ნიადაგის ბუნებრივი სინოყივრე კი არ ამშვენიერებს და აფერადებს პეტერბურგის სასახლეებს და ბაღებს, არამედ—ცივილიზაცია აძლევს მას საშუალებას ისარგებლოს მთელი ქვეყნის სიდიდრით, რათა დამალოს მიწის სიღარიბე და პოლიარული ცის სიძუნწე. ამიტომ, გასაკვირალი არაა რუსების ტრაბახი, რომელთათვის ბუნება მხოლოდ ზედმეტი მტერია, ძლეული მათი სიჯიქით და გამძლეობით. მათ გართობათა სიღრმეში მუდამ იმალება მიღებულ გამარჯვების სიხარული და სიამაყე.

სუსტი ჯანმრთელობის მიუხედავად დედოფალი ყველა პოლონეზს ცეკვავდა მისი ბიძაშვილის მიერ გამართულ „სოფლურ ბალზე", თავდაუხურავი და მკერდამოჭრილ კაბაში. რუსეთში ყველანი თავის დანიშნულებას უკანასკნელ შესაძლებლობამდე ასრულებენ. დედოფლის ვალია გაერთოს თვით სიკვდილამდე. მან უნდა შეასრულოს და შეასრულებს კიდეც ამ მოვალეობას, როგორც სჩადიან ამას სხვა მონები. იგი იცეკვებს იმ დროამდე, ვიდრე ფეხზე გაჩერება შეეძლება.

ეს გერმანელი პრინცესა, მსხვერპლი სასახლის გართობისა, რომელიც მას ამძიმებს, როგორც ტუსაღს ბორკილი, რუსეთში მაინც ბედნიერი ხვედრით სარგებლობს, რაც იშვიათია ყველგან და ყველა პირობებში და არაჩვეულებრივია დედოფლისათვის: მას ჭეშმა-

რიტი მეგობარი ჰყავს. ეს არის ბარონესა ***, გრაფ *** ქალიშვილი, დღიდან დედოფლის გათხოვებისა ეს ორი ქალი, რომელთა ბედი სულ სხვადასხვანაირია, თითქმის არასოდეს არ დაშორებიან ერთმანეთს. იგი მისთხოვდა ოფიცერს, რომლისაგანაც იმპერატორი ფრიად დავალებულია, ვინაიდგან ბარონ *** ნიკოლოზი სიკვდილს გადაარჩინა მისი ტახტზე ასვლის გამო მომხდარ ამბოხების დღეს, და იგი თავისი გულ-მკერდით უანგაროდ დაიცვა მტრის თავდასხმისაგან. ამგვარი გმირობა არაფრით არ შეიძლება იქნეს ანაზღაურებული და ამიტომ ამ შემთხვევაშიაც, როგორც სხვა მრავალ შემთხვევაში, იგი დაუჯილდოველი დარჩა.

თუმცა მონარქებს საზოგადოდ არ სჩვევიათ მადლობის გრძნობა: ისინი სცნობენ მხოლოდ მადლობას, რომელიც მათდამი უნდა იქნეს მიძღვნილი. მადლობა უფრო არღვევს მათ ანგარიშებს, ვიდრე არბილებს მათ გულს, და ამიტომ იშვიათად მიმართავენ მას. უფრო ადვილია და მოსახერხებელი ხალხის მასების ზიზღი ეს თითქმის ყველა მფლობელთა, განსაკუთრებით უაღრესად ძლიერ მფლობელთა შესახებ.

მაგრამ ჩემი ფიქრები ამის შესახებ ხანგრძლივი არ იყო, რადგანაც იმპერატორმა ხელახლად მოისურვა ჩემი აზრების დაუფლება. მე არ ვიცი და არ შემიძლია გავიგო ნამდვილი მიზეზი მისი ჩემდამი ესეოდენ ლმობიერ დამოკიდებულებისა, აღმოაჩინა თუ არა ჩემი სულის სიღრმეში რაიმე წინასწარი რწმენა თავის წინააღმდეგ თუ მას ართობდა წუთიერი ბაასი იმ ადამიანთან, რომელიც ასე ძალიან განსხვავდებოდა დანარჩენებისაგან, ვინც მუდამ მის წინაშე ინყოფება.

იმერატორი არამც თუ ბრძანებლობს სხვის მოქმედებას, არამედ ეუფლება სხვის გულსაც. შეიძლება ჩემი გულის დაუფლებაც უნდოდა, ხოლო ჩემი გულჩახვეულობა და მოკრძალება ზედმეტი სტიმული იყო ამისათვის. იმპერატორს თანდაყოლილი აქვს სურვილი, რომ თავი აწონოს სხვებს. სხვა ვინმეში აღფრთოვანების გამოწვევა ნიშნავს მის დამორჩილებას, და იმპერატორს შეიძლება სურვილი ჰქონდა თავისი ძალა გამოეჩინა უცხოელზე. და ბოლოს, შეიძლება, იმ ადამიანის ინსტიქტით, რომელსაც დიდი ხანია არ სმენია სიმართლის ხმა, მან ჩემში გულწრფელი და სიმართლის მოყვარული ადამიანი აღმოაჩინა. ვიმეორებ, მე არ ვიცი ამის ჭეშმარიტი მიზეზი, ვიცი მხოლოდ, რომ სადაც უნდა ყოფილიყო ამ საღამოს, მუდამ ბაასს იწყებდა ჩემთან.

როდესაც დამინახა, რომ მე ბალიდან ვერანდაზე დავბრუნდი, მკითხა:

— რას აკეთებდით თქვენ ამ დილით?

— ხელმწიფევ, მე ვათვალიერებდი საბუნებისმეტყველო-ისტორიულ მუზეუმს და ვნახე ციმბირის შესანიშნავი მამონტი.

— ეს ერთადერთი ეკზემპლიარია მთელ ქვეყანაზე.

— დიახ, ხელმწიფევ, რუსეთში კაცი საზოგადოდ ბევრ რამეს ხვდება, რასაც სხვაგან ვერასოდეს ვერ იხილავს.

— თქვენ პირფერობთ ჩემთან.

— ხელმწიფევ, მე იმდენად პატივს ვსცემ თქვენს უდიდებულესობას, რომ ვერ გავბედავ თქვენთან პირფერობას, მაგრამ, შესაძლებელია, მე არ ვგრძნობ შიშს თქვენს წინაშე და ამიტომ თავისუფლად გამოვთქვამ ჩემ აზრს, თუნდაც რომ მასში გამოსახული ჭეშმარიტება, კომპლიმენტს ჰგავდეს.

— ეს ძალიან ფაქიზი კომპლიმენტია. უცხოელები ჩვენ პირდაპირ გვანებივრებენ.

— თქვენმა უდიდებულესობამ ინება, რომ მე თქვენთან სრულიად თავისუფლად დამეჭირა თავი, და მიაღწიეთ კიდეც ამას, როგორც ყველაფერს, რასაც თქვენ განიზრახავთ, თქვენ დროებით მაინც გამკურნეთ ბუნებრივი სიმხდალისაგან.

თუმცა მე იძულებული ვიყავი მოვრიდებოდი ყოველგვარ სერიოზულ პოლიტიკურ მსჯელობას დღიურ საჭირ-ბოროტო საკითხებზე, მაინც მსურდა ლაპარაკი ჩამომეგდო ისეთ საგანზე, რომელიც მე მაინტერესებდა, და ამიტომ დავსძინე:

— ყოველთვის, როდესაც მე ნებას მაძლევთ მოგიახლოვდეთ, უფრო ვრწმუნდები იმ ძალაში, რომელმაც მეამბოხენი აიძულა მუხლებზე დაცემულიყვნენ თქვენს წინაშე, თქვენი სამეფო ტახტზე ასვლის დღეს.

— თქვენს ქყეყანაში არსებობს წინასწარ აკვიატებული რწმენა, რომლის დაძლევა უფრო ძნელია, ვიდრე ამბოხებული ჯარისა.

— ხელმწიფევ, ჩვენს ქვეყანაში თქვენ ძალიან შორიდან გხედავენ. თქვენს უდიდებულესობას რომ უფრო ახლო გიცნობდენ, უფრო დიდად დაგაფასებდენ და იქ ისევე მრავალი თაყვანისმცემელი გეყოლებოდათ, რ გორც აქ. უკვე მეფობის დაწყებამ უზრუნველგყოთ სამართლიანი ქებით, ხოლო ხოლერის დროს თქვენ ახვედით გაცილებით მეტ სიმაღლეზე. ამ მეორე ამბოხების დროს თქვენ გამოიჩინეთ იგივე ძალაუფლება, ხოლო შეჯავებული კეთილშობლური ჰუ-

შანიური გრძნობით. თქვენ არასოდეს ძალას არ ჰკარგავდით საფრთხის დროს.

—თქვენ აღადგინეთ ჩემს ხსოვნაში საუკეთესო წუთები ჩემი ცხოვრებიდან, რომელნიც მე მაშინ ყველაზე საშინელ წუთებად მიშაჩნდა.

—მე მესმის ეს, თქვენო უდიდებულესობავ. რათა დასძლიო ბუნებას შენში და სხვებშიც, აუცილებელია ძალლონის მოკრება...

—საშინელი ძალლონის,—გამაწყვეტინა სიტყვა ხელმწიფემ,—რომლის ანგარიშსაც შენ თავს მხოლოდ შემდეგ აძლევ.

—დიახ, მაგრამ ამ დროს თავს ზეშთაგონებულად გრძნობ.

—მე ეს არ მიგრძვნია, მე მხოლოდ ჩემს მოვალეობას ვასრულებდი. ამგვარ შემთხვევებში არავის არ შეუძლიან იცოდეს წინასწარ, თუ რას იტყვის იგი. პირდაპირ საფრთხეს ეხეჩები წინ და შენს თავს არ ეკითხები, როგორ გამოხვალ აქედან.

—თქვენი შთამგონებელი ღმერთი იყო, ხელმწიფევ. თუ რომ შეიძლება შევადაროთ ორი ესეოდენ სხვადასხვა მცნება, როგორცაა პოეზია და ქვეყნის მმართველობა, თქვენი მოქმედებით, როგორც პოეტი და უზენაეს ხმას დაემორჩილებოდით.

—ჩემს მოქმედებაში არავითარი პოეზია არ იყო.

მე შევნიშნე, რომ ხელმწიფეს არც თუ ძალიან ესიამოვნება ჩემი შედარება, რადგანაც სიტყვა „პოეზია" მის მიერ გაგებული იყო არა იმ მნიშვნელობით, რომელიც აქვს მას ლათინურად. სასახლეში ჩვეულებრივ ისე უცქერიან პოეზიას, როგორც გონების მსუბუქ ვარჯიშობას. საჭირო იყო ხანგრძლივი ახსნა-განმარტება, რომ პოეზია სულის ყველაზე წმინდა და ცოცხალი გამონაკრთობია, და ამიტომ მე დუმილი ვარჩიე. მაგრამ ხელმწიფეს ალბად არ სურდა ჩემი დატოვება ჩემს მიერ დაშვებულ შეცდომის შთაბეჭდილების ქვეშ და აღარ მშორდებოდა, არამედ ჩემთან ბაასს განაგრძობდა მთელი სასახლის განსაცვიფრებლად.

—როგორია თქვენი მოგზაურობის საბოლოო გეგმა?

—პეტერჰოფის დღესასწაულების შემდეგ მე მოსკოვში გამგზავრებას ვაპირებ, იქიდან ნიჟნი-ნოვგოროდში ბაზრობაზე დასასწრებლად წასვლას, მაგრამ იმ ვარაუდით, რომ მოსკოვში თქვენი უდიდებულესობის იქ მისვლისათვის დავბრუნდე.

—მით უკეთესი; მე ძალიან მოხარული ვიქნებოდი, თუ რომ თქვენ შესძლებდით კრემლის ახალი შენობების დათვალიერებას. მე [illegible] ჩემ [illegible] [illegible] [illegible]

არ უნდა დაჰკარგოთ: თქვენ დიდი მანძილების გავლა მოგელით, სივრცე რუსეთის უბედურებაა.

—ნუ სწუხართ ამის შესახებ, ხელმწიფევ, რადგანაც თავისუფალი სივრცე შეიძლება ამოივსოს. სხვა ქვეყნებში ხალხს მიწა არ ჰყოფნის, თქვენ-კი ასეთ ნაკლს არ განიცდით.

—მე დრო არ მყოფნის.

—მაგრამ მომავალი თქვენ გეკუთვნით.

—მე ძალიან ნაკლებად მიცხობენ, როდესაც პატივმოყვარეობას მიკიკინებენ. მე სრულიადაც არ მივისწრაფვი ჩვენი ტერიტორიის გაფართოვებისკენ, მე მინდა მხოლოდ ჩემს ირგვლივ თავი მოვუყარო რუსეთის მოსახლეობას და ვძლიო სიღარიბეს და ბარბაროსობას. რუსის ხალხის ბედის გაუმჯობესების სურვილი ჩემში გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ახალი ქვეყნის დაპყრობის წყურვილი[17]. რომ იცოდეთ, რა კეთილია ეს ხალხი, რა მშვიდი და რა თავაზიანი თავისი ბუნებით! თქვენ მას პეტერჰოფში ნახავთ. განსაკუთრებით, მე მსურდა მეჩვენებინა იგი თქვენთვის იანვრის პირველს. მაგრამ, ვიშეორებ, არც ისე ადვილია კაცი ღირსი გახდეს ამ გვარი ხალხის მმართველობისა.

—თქვენმა უდიდებულესობამ უკვე ბევრი-რამ გააკეთა რუსეთისათვის.

—ვშიშობ, რომ მე არ გამიკეთებია ყველაფერი, რის გაკეთებაც შემეძლო.

ხშირმა და ხანგრძლივმა ბაასმა ხელმწიფესთან მთელი საზოგადოების თვალწინ მრავალი ახალი ნაცნობობა შემძინა და ძველი განამტკიცა. ბევრი მათგანი, ვისაც უწინ ვხვდებოდი, გულში მიხუტებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც შემამჩნიეს, რომ მე მონარქის განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი გავხდი და ეს ყველანი სასახლის პირველი რანგის ხალხი იყვნენ. მაგრამ, როგორც სჩანს ასეთია ჯარისკაცების, განსაკუთრებით ოფიციალური პირების, ბუნება,—თავდაჭერილობა ყველაფერში, გარდა პატივმოყვარეობის ანგარიშისა. რათა სასახლეში ცხოვრების დროს შეინახო გრძნობები, რომელნიც მაღლა დგანან ბრბოს სურვილებზე, ამისთვის მეტად კეთილშობილი სულია საჭირო: ვაგლახ, რომ ასეთი ბუნების ადამიანები ძალიან იშვიათად გვხვდება ამ ჟამად.

იძულებული ვარ კიდევ გავიმეორო: რუსეთში დიდი ადამიანები არ არიან, რადგანაც არ არსებობენ დამოუკიდებელი პიროვნებანი, გარდა იშვიათი გამონაკლისისა. ესენი მეტად მცირეოდენი არიან, რომ გავლენა იქონიონ სხვებზე. ეს ქვეყანა, რომელიც დი-

დად განსხვავდება ჩვენი ქვეყნისაგან, მხოლოდ ერთში წააგავს საფრანგეთს: აქ, ისევე როგორც ჩვენში, არ არსებობს სოციალური ერარქია. ამ ხარვეზის გამო რუსეთის პოლიტიკურ ორგანიზაციაში, როგორც საფრანგეთში, საყოველთაო თანასწორობა არსებობს. ამიტომ ორივე ქვეყანაში ხშირად მოუსვენარი გონების ადამიანებს ვხვდებით, მაგრამ ისინი ჩვენში საჯაროდ ღელავენ, აქ-კი პოლიტიკური გრძნობები დახშულია. საფრანგეთში ყველას შეუძლიან მიაღწიოს მიზანს ორატორის ტრიბუნის საშუალებით. რუსეთში კი—სასახლეში ცხოვრებით. ყველაზე უმნიშვნელო ადამიანს, თუ რომ იგი შესძლებს მოეწონოს ხელმწიფეს, ხვალვე შეუძლიან გახდეს პირველი კაცი სახელმწიფოში. მიწიური ღვთაებების მოწყალება აქ საიმედო მიმზიდველი საშუალებაა, რომელიც პატივის მოყვარე პირთ აიძულებს სასწაულების ჩადენას, სწორედ ისევე, როგორც ჩვენში პოპულარობის მძლავრ სურვილს შედეგად საკვირველი მეტამორფოზები მოსდევს, ამ მიზნის მისაღწევად პეტერბურგში კაცი ყველაზე სულმდაბალი, მლიქვნელი უნდა გახდე, ხოლო პარიზში უდიდესი ორატორი. რა დიდი დაკვირვების ნიჭი უნდა ჰქონოდათ რუს კარისკაცებს, რომ მეფის წინაშე თავის მოსაწონებლად ზამთარში პეტერბურგის ქუჩებზე მარტო მუნდირში დაეწყოთ სეირნობა უშინელოდ. ეს გმირული მლიქვნელობა, მიმართული უშუალოდ ბუნებისადმი, ხოლო არაპირდაპირ მეფისადმი, უკვე სიცოცხლედ უღირდა ბევრ პატივმოყვარე პირს. რა ადვილია აქ დაჰკარგო მეფის მოწყალეობა, თუ რომ თავის მოსაწონებლად უნდა ამგვარ საშუალებას მიმართო. ფანატიზმის ეს ორგვარი სახე, ვნება, უფრო მეტად ერთმანეთის მსგავსნი, ვიდრე ეს პირველი შეხედვით გვეჩვენება, — პოპულარობის სურვილი და კარის კაცის მონური უარყოფა თავის პიროვნებასა— სასწაულებს ქმნის. პირველი სიტყვას ამაღლებს ენამჭევრობის მწვერვალზე, მეორე—სიჩუმეს ძალას ანიჭებს, მაგრამ ორივე ერთი მიზნისკენ მიდის. ამიტომ არის, რომ განსაზღვრული დესპოტიზმის დროს ადამიანის ჭკუა-გონება ისევე აღშფოთებულია, როგორც რესპუბლიკის დროს, იმ განსხვავებით, რომ აბსოლუტური მონარქის ქვეშევრდომთა უკმაყოფილება უფრო მძლავრ მღელვარებას იწვევს იმ საიდუმლოების გამო, რომლითაც მოცულია იგი. ჩვენში აშკარად და საჯაროდ უნდა იქნეს გაღებული მსხვერპლი რაიმე შედეგების მისაღწევად, აქ-კი პირიქით—იგი საიდუმლოდ რჩება. ყოვლად შემძლე დესპოტს ყველაზე ძალიან საჯაროდ მსხვერპლის გამღები ქვეშევრ-

[illegible]

არაჩვეულებრივი შემთხვევები მას ვილასიც პრეტენზიებს და უფლებებს მოაგონებენ, დესპოტიზმის დროს კი ყოველი ქვეშევრდომი, რომელიც უფლებაზე რ'ენების უკვე მეამბოხეა.

ვიდრე ჩემს მოგზაურობას შეუდგებოდი, მე ჩემი იდეები დესპოტიურ მმართველობის შესახებ ავსტრიის და პრუსიის მაგალითებზე შევამოწმებ, მე მაშინ არ ვფიქრობდი, რომ ეს სახელმწიფოები მხოლოდ სახელით არიან განუსაზღვრელი მონარქიები და რომ იქ დიდი ხნიდან დამკვიდრებული ზნე-ჩვეულებანი იჭერენ მმართველობის სახელმწიფოებრივი ფორმების ადგილს. ეს ხალხნი, რომელთაც დესპოტიური ხელისუფლება განაგებს, მე ყველაზე ბედნიერად მიმაჩნდა დედა მიწაზე, და რბილ ზნე-ჩვეულებით შეზღუდული დესპოტიზმი არ წარმომედგინა ისე საზიზღრად, როგორც ამას ჩვენი ფილოსოფოსები ასურათებენ. მაგრამ, მე ჯერ კიდევ არ მენახნა განუსაზღვრელი მონარქია იმ ხალხში, რომელიც მხოლოდ მონებისაგან შესდგება.

ადამიანი რუსეთში უნდა მივიდეს, რომ თვალით იხილოს შედეგები ევროპის სულის და ცოდნის საშინელი არევისა აზიის გენიასთან. ეს ნარევი მით უფრო საშინელია, რომ შეუძლიან დაუსრულებლივ გაგრძელდეს, ვინაიდგან პატივმოყარეობა და შიში, ეს ორი ვნება, რომელიც სხვა ქვეყნებში ხშირად ღუბავს ადამიანებს იმითი, რომ მათ ძალიან ბევრს ალაპარაკებს, აქ მხოლოდ სამარისებურ სიჩუმეს წარმოშობს. და ეს ძალმომრეობითი სიჩუმე ჰქმნის იძულებითი სიმშვიდის და მოჩვენებითი წესიერების ილუზიას, რაც უფრო ძლიერია და საშინელი ყოველ ანარქიაზე, რადგანაც მათ მიერ გამოწვეული უკმაყოფილება არასოდეს არ ჰქრება და მუდმივად გვეჩვენება.

იქნებ დამოუკიდებელ სასამართლოს და ჭეშმარიტ არისტოკრატიას შეძლებოდა რუსების გონების დაშვიდება და ბედნიერების მოტანა ამ ქვეყნისათვის. მაგრამ მე არ მწამს, რომ მეფემ ოდესმე მიმართოს ამ საშუალებას თავისი ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. რაც უნდა გონიერი და გამჭრიახი იყოს იგი, არასოდეს არ მოისურვებს ნებაყოფლობით ხალხის გაბედნიერებას.

თ ა ვ ი X

პეტერბურგის ქუჩები. — ნევის პროსპექტი. — ინგლისური სტილი და აზიური უწესრიგობა. — მეეტლეები. — ფელდიეგერის სიმბოლური ეტლი. — ქალაქის სამხედრო არქიტექტურა. — ეკლესიების სიუხვე. — მონების ბოროტი ენები. — „რუსული სული". — ქალების კარჩაკეტილობა. — გადაჭარბებული თავაზიანობა.

პატრიოტულად განწყობილ რუსების სიტყვით, პეტერბურგში ოთხას ათას ორმოცდაათამდე მცხოვრები ითვლება უგარნიზონოდ. მაგრამ საქმეში კარგად ჩახედულნი, რომელნიც იქ მავნე პირებად ითვლებიან, მარწმუნებდენ, რომ მოსახლეობა გარნიზონის ჩათვლით ოთხას ათასსაც ვერ აღწევსო. სწორეა მხოლოდ ერთი, რომ ეს სასახლეების ქალაქი თავისი ვეებერთელა სივრცით და მოკირწყლული მოედნებით ძალიან წააგავს ფიცრულით გადაღობილ მინდორს. ცენტრიდან დაშორებული ქალაქის ნაწილები მთლად გაშენებულია პატარა ფიცრული სახლებით.

მოხეტიალე და მეომარ თემთა მემკვიდრეთ, რუსებს ჯერ კიდევ არ დავიწყებიათ ბანაკებში ცხოვრება. პეტერბურგი არმიის შტაბია და არა სახელმწიფოს სატახტო ქალაქი. რა გინდ მშვენიერი იყოს ეს სამხედრო ქალაქი, ევროპიელს მაინც უდაბნო და მწირ ადგილად ეჩვენება იგი.

„მანძილი ჩვენი უბედურებაა", შეთხრა ერთხელ იმპერატორმა. ამ შენიშვნის სიმართლე შეიძლება შემოწმებულ იქნეს პეტერბურგის ქუჩებზე. პატივმოყვარეობის გამო კი არ დასეირნობენ ოთხცხენიან ლანდრებში, ვინაიდგან სადარბაზოდ წასვლა — ეს მთელი მოგზაურობაა. რუსული ცხენები, ნერვიული და ფიცხნი, ჩამოუვარდებიან ჩვენ ცხენებს კუნთების სიმაგრეში. წყვილ ცხენს არ შეუძლიან მძიმე ეტლი დიდხანს ატაროს პეტერბურგის უვარგის ქუჩებზე, ამიტომ ოთხცხენიანი ეტლი პირველი მოთხოვნილების საგანია ყველასთვის, ვისაც სურს დიდკაცური ცხოვრების გატარება. თუმცა, ამის ნება ყველას არ აქვს: ამ პრივილეგიით მხოლოდ განსაზღვრული რანგის პირები სარგებლობენ.

საკმარისია დასტოვოთ ქალაქის ცენტრი, და თქვენ დაიკარგებით ამ ადგილ დაფენილ ქუჩებში, რომლის გასწვრივ [illegible]

ნობები მისდევს. ეს სასურსათო მაღაზიებია, ფურაჟის, ტანსაცმელის და ყოველგვარი სამხედრო მარაგის საწყობები. კაცს ეგონება ხვალ დიდი აღლუმი ან და ბაზრობა უნდა გაიმართოსო. ქუჩებზე ბალახია ამოსული, რადგანაც ისინი ძალიან ფართოა მოსახლეობისათვის, რომელიც ამ ქუჩებით სარგებლობს.

იმდენი კოლონადაა მიდგმული ფასადებთან, იმდენი სვეტებიანი დერეფნებით არის მორთული ყაზარმები, რომელნიც აქ სასახლეებს წარმოადგენენ, ისეთი მდიდრული, უცხოეთიდან გადმოღებული არქიტექტურით არის გადატვირთული ეს დროებითი სატახტო ქალაქი, რომ პეტერბურგის მკვდარ და უსიცოცხლო მოედნებზე კაცი ნაკლებ ხალხს დასთვლის, ვიდრე სვეტებს.

პეტერბურგის მთავარ ქუჩას ნევის პროსპექტი ჰქვიან, იგი უფრო დაწვრილებით უნდა იქნეს აღწერილი. ეს ლამაზი ქუჩა ყველა უსაქმო ხალხის სასეირნო და შესახვედრი ადგილია. თუმცა, ასეთი ხალხი არც თუ ისე ბევრია აქ, რადგანაც აქ მხოლოდ სეირნობის გულისთვის არ დადიან. ყოველ ნაბიჯს თავისი მიზანი აქვს. სიამოვნებისაგან დამოუკიდებელი. ბრძანების გადაცემა, უფროსთან დაჩქარებით მისვლა, საჭირო პიროვნების წინაშე პატივისცემის აღიარება, — აი რას მოჰყავს მოძრაობაში პეტერბურგის და იმპერიის მოსახლეობა.

ეს ეგრედწოდებული პროსპექტი მოკირწყლულია საშინელი, უსწორ-მასწორი ქვებით. მაგრამ აქ, როგორც სხვა ზოგიერთ მთავარ ქუჩებზე, ქვაფენილებს მისდევს ხის ბილიკები — რაღაც პარკეტის მსგავსი, რომელიც ფიჭვის რვა კუთხედიან ან კუბიკურ ნაჭრებისაგან შესდგება.

ქუჩის ორივე მხარეზე გავლებულია თლილი ქვის ორი ასეთი ზოლი, სიგანით ორ-სამ ფუტამდე, რომელიც გაყოფილია ქვაფენილით. სახლებს ისინი დაშორებულნი არიან ფართო ქვაფენილებით; შორეულ ქუჩებში დარჩენილია კიდევ უბადრუკი ხის პანელები. ეს დიდებული პროსპექტი თანდათან ულამაზო, უხალხო და მოწყენილი ხდება და ბოლოს აღწევს ქალაქის საზღვრებს, სადაც იგი სრულიად იკარგება აზიური ბარბაროსობის ტალღებში; ეს უკანასკნელნი ყოველ მხრივ ნიაღვრებად აწვებიან პეტერბურგს, ვინაიდგან ყველაზე საუცხოო ქუჩები არარაობად იქცევიან უდაბნოში. დიდებული ქალაქი, ჭაობზე აშენებული პეტრე დიდის მიერ, გამშვენიერებული ეკატერინე მეორისა და გაფართოვებული დანარჩენ მონარქების მიერ, გარშემორტყმულია უფორმო და უბრალო ქოხმახებით და მივარდნილ, უდაბურ ადგილებით, სადაც სუფევს საშინელი სიბინძურე, რო-

შელიც დაგროვილია აქ მთელი ასი წლის განმავლობაში ბუნებრივ ჭუჭყიან და უთავბოლო მოსახლეობის მიერ.

კალმიკთა ურდო, ქოხებში დაბანაკებული ანტიკური ტაძრების კვარცხლბეკთან, ბერძნული ქალაქი, სახელდახელოდ შექმნილი თათრებისათვის დიდებული, მაგრამ უშნო თეატრალური დეკორაციის სახით, რომლის იქით იმალება უაღრესად ნამდვილი და საშინელი დრამა, — აი რა გვეცეშა თვალში პირველი შეხედვითვე პეტერბურგზე.

ნაშუადღევს ნევის პროსპექტზე, ფართო მოედანზე ზამთრის სასახლის წინ, სანაპიროებზე და ხიდებზე საკმაოდ ბევრი და სხვადასხვა უცნაური სახის და ფორმის ეტლები გამოდიან. ამას ცოტაოდენი სიცოცხლე შეაქვს ამ მოწყენილ ქალაქში, რომელიც ევროპიულ სატახტო ქალაქებ შორის ყველაზე მონოტონურია.

ასევე მოწყენილია საცხოვრებელ ბინების შიგნითა სახე, რადგანაც, მიუხედავად სასტუმრო ოთახების მდიდრული და ინგლისურ სტილის მოწყობილობისა, ყოველ მხრივ, ბნელი კუნჭულებიდან მოსჩანს ჭუჭყი და ნამდვილი აზიური უწესრიგობა. შინაური მოწყობილობის საგნებ შორის რუსულ სახლში ყველაზე ნაკლებად საწოლით სარგებლობენ. მოსამსახურე ქალებს საკუჭნაოებში სძინავთ, რომელნიც ჩვენი ძველი დროის შვეიცარების ბნელ ოთახებს მოგვაგონებენ, ხოლო მოსამსახურე კაცები პირდაპირ იატაკზე მარტო ბალიშის ამარა ყრიან კიბეებზე, დერეფანში და, როგორც ამბობენ, სასტუმრო ოთახებშიც.

დღეს დილით სადარბაზოდ ვიყავი ერთ თავადთან, რომელიც წარსულში დიდი კარის კაცი იყო, ეხლა-კი სრულიად განადგურებულია, ღრმად მოხუცებული და დაავადებული წყალმანკით. იგი ისევ ძალიან არის ავად, რომ არ შეუძლიან ფეხზე წამოდგომა; მიუხედავად ამისა ლოგინი არ აქვს, ე. ი. ის, რასაც ამ სიტყვაში გულისხმობენ განათლებულ ქვეყნებში. ის თავის დასთან ცხოვრობს, რომელიც გასულია ქალაქ გარედ. დარჩენილი სრულიად მარტო, იგი მთელ ღამეებს ამ ცარიელ და უადამიანო სასახლეში ატარებს ხის სკამზე, რომელიც დაფარულია ხალიჩით და რამდენიმე ბალიშით. და ამ შემთხვევაში ეს მოხუცის უბრალო ჟინი არ არის. ხანდახან შეიძლება ნახო საპარადო ლოგინი — ფუფუნების საგანი, რომელსაც უცხოელებს უჩვენებენ ევროპიული ზნე-ჩვეულებისადმი პატივისცემის ნიშნად, მაგრამ ამ ლოგინით არასოდეს არ სარგებლობენ.

სლავიანები, — ყოველ შემთხვევაში ამ რასის საუკეთესო წარმომადგენლები, — მოხდენილი და ლამაზი ტანისანი არიან, რაც ამასთანავე მათ ძალასაც [illegible]ობს. მათი თვალები ხემის მსგავსია, უფ-

რო ხშირად შავი ან ცისფერი, მუდამ ნათელი და გამჭვირვალე. ხოლო მათი გამომეტყველება მალული და ცბიერია, როგორც ყველა აზიური ხალხის. როდესაც ეს თვალები იცინიან, ისინი ცოცხლად და მიმზიდველად გამოიყურებიან. რუსის ხალხი, რომელიც სერიოზული, უფრო აუცილებლობის გამო, ვიდრე ბუნებით, სიცილს მხოლოდ თვალებით ბედავს, მაგრამ სამაგიეროდ ამ თვალებში იხატება ყველაფერი, რის გამოთქმაც სიტყვით შეუძლებელია: იძულებითი სიჩუმე მათ სახეს მჭერმეტყველურ და ვნებიან გამომეტყველებას—აძლევს, მაგრამ უფრო ხშირად იგი უზომოდ მწუხარეა — ასე გამოიყურება ხოლმე დევნილი და ხაფანგში გაბმული მხეცი.

სლავიანებში, რომელნიც თითქო გაჩენილნი არიან ეტლის სამართავად, მოსჩანს ჯიში, როგორც მათ ცხენებში. ამ უკანასკნელთა სილამაზე და სიმკვირცხლე ქუჩებს მხატვრული და ორიგინალური ხასიათს აძლევს. ამგვარად, თავისი მოსახლეობის ზნეჩვეულებით და არქიტექტორების განზრახვის წინააღმდეგ, პეტერბურგი არც ერთ ევროპიულ ქალაქს არ ჰგავს.

რუსი მეეტლეები პირდაპირ სხედან კოფოზე და ცხენებს მუდამ ჩქარი იორღით მიერეკებიან, მაგრამ ძალიან თავდაჭერით. ამიტომ, მიუხედავად არაჩვეულებრივი ჩქარი მოძრაობისა, უბედური შემთხვევები იშვიათია პეტერბურგის ქუჩებზე. მეეტლეებს ხშირად მათრახი არ უჭირავთ, და თუ უჭირავთ, იმდენად მოკლეა, რომ პრაქტიკულად უსარგებლოა. ისინი მართავენ ცხენებს უხმოდ, მხოლოდ ლაგამის და აღვირის საშუალებით. თქვენ შეგიძლიანთ მთელი საათობით იაროთ პეტერბურგში და არ გაიგონოთ არც ერთი მეეტლის ხმა. თუ მგზავრებმა საკმაოდ სწრაფად არ აუქციეს გზას, ფორეიტერი მცირეოდენ ხმას გამოსცემს, ყველანი გარბიან, ეტლიც ახლოს მიჰქროლავს, და ერთი წუთითაც არ უკლებს სიჩქარეს.

ეტლი უმეტეს წილად ცუდად შენახული, დაუდევრად ირეცხება, ცუდად იღებება და საერთოდ მოკლებულია ყოველგვარ ლაზათს. თვით ლანდოებიც კი, რომელნიც ინგლისიდან არიან წამოღებული, ლაზათს ჰკარგავენ პეტერბურგის ქუჩებზე და რუს მეეტლეების ხელში. კარგია მხოლოდ მოსართავი, რომელიც მსუბუქი და ლამაზია და გაკეთებულია საუცხოვო ტყავისაგან.

განსაკუთრებით საბრალოდ გამოიყურებიან დასაქირავებელი ცხენები და მათი უბადრუკი მომვლელები. მათი მდგომარეობა ძალიან მძიმეა: დილა ადრიან დაღამებამდე ისინი დგანან ღია ცის ქვეშ, დამქირავებლების სახლის შესავალთან ან და პოლიციის მიერ მათთვის დანიშნულ სადგომებზე. ცხენები მთელი დღე შებმულნი

არიან, ხოლო მეეტლეები ეტლზე სხედან, იქვე სჭამენ და ერთი წუ-
თით არ შორდებიან თავიანთ პოსტს. მეეტლეები ასე მხოლოდ ზა-
ფხულობით ცხოვრობენ. ზამთარში მათთვის, უფრო დიდ მოედნებზე
სახელდახელოდ გაკეთებულია ფიცრული ფარდულები.

ამ თავშესაფარების ახლო, და აგრეთვე სასახლეების, თეატრე-
ბის და ყველა იმ ადგილების ახლო, სადაც რაიმე ზეიმია გამართუ-
ლი, ანთებენ დიდ კოცონს და მის ირგვლივ შინა-მოსამსახურეები
თბებიან. მიუხედავად ამისა, არც ერთი ბალი არ თავდება ისე, რომ
ორი-სამი კაცი არ გაიყინოს ქუჩაში. ერთმა ქალმა, სხვებზე უფრო
გულწრფელმა, რომელსაც მე რამდენჯერმე შევეკითხე ამის შესახებ,
ასე მიპასუხა: „ეს შესაძლებელია, მაგრამ ამის შესახებ არაფერი გა-
მიგონია". არაპირდაპირი პასუხი, რომელიც უდრის ფაქტის აღია-
რებას! კაცმა რუსეთში უნდა დაჰყოს, რომ გაიგოს რა ზომამდე შე-
იძლება მიაღწიოს მდიდრის გულგრილობამ ღარიბისადმი, და საერ-
თოდ, რა მცირე ფასი აქვს იმ ადამიანის სიცოცხლეს, რომელიც
სულს ღაფავს აბსოლუტიზმის უღელ ქვეშ.

თუ რომ შეხვედრა რომელიმე სეირნობის დროს რამდენიმე
მოცლილ ადამიანთან ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ რუსეთშიც
როგორც სხვა ქვეყნებში, მოიპოვებიან ადამიანები, რომელნიც ერ-
თობიან გართობის გულისთვის და ამ გართობიდან სერიოზულ საქ-
მეს ჰქმნიან, — ამგვარ ილუზიას უეცრივ აქარწყლებს ფელდიეგერი,
რომელიც მთელი ძალ-ღონით მიექანება თავისი ეტლით. ფელდიე-
გერი — ეს ხელისუფლების განსახიერებაა. იგი მონარქის სიტყვიერ,
ცოცხალი ტელეგრაფი, გადამცემი მიხი ბრძანებისა სხვა ავტომატი-
სადმი, რომელიც მას ელის ასი, ორასი, ან ათასი მილის მანძილზე
და რომელსაც ისეთივე სუსტი წარმოდგენა აქვს, როგორც ფელდიე-
გერს, იმ ნებისყოფაზე, რომელსაც ეს ორივენი მოძრაობაში მოჰყავს
ეტლი, რომლითაც ეს რკინის კაცი მიჰქრის, ყველაზე უხერხულ-
ად ორგებულ სატრანსპორტო საშუალებებში. წარმოიდგინეთ პატარა
ეტლი ორი ტყავგადაკრული სკამით, ურესორო და უზურგო! ვერ
ერთი სხვა ეტლი ვერ შესძლებდა სიარულს ამ გრძელ საფოსტ-
გზებზე, რომელთა გაყვანაც მხოლოდ ეხლახან დაიწყეს ამ პირველ-
ყოფილ ქვეყანაში. წინა სკამზე ზის ფოსტალიონი ან მეეტლე, რო-
მელიც ყოველ სადგურზე იცვლება, მეორეზე კურიერი იმ დრომდე
მოგზაურობს, ვიდრე არ მოკვდება. და ის ხალხი, რომელიც ამ მძიმე
პროფესიას მისდევს, მალე იხოცება.

ეს ფელდიეგერები, რომელნიც ჩემს თვალწინ ყოველდღე მდ-
[illegible]

ბაში წარმოდგენას იწვევენ იმ უდაბნოებზე, სადაც ისინი მიექანებიან. მე ჩემი გონებით მათ თან მივდევ ციმბირში, კამჩატკაში, დიდ ჩინეთის კედლისკენ, ლაპლანდიაში, ყინულის ოკეანეზე, ახალ მიწაზე, სპარსეთში და კავკასიაში.

ამ ისტორიული, თითქმის ლეგენდარული სახელების გაგონებაზე მე თვალწინ მეხატება ნისლით მოცული, უსაზღვრო და სულის შემხუთავი სივრცე. და მაინც ამ ყრუ, ბრმა და მუნჯი შიკრიკების დანახვა მდიდარ მასალას აძლევს უცხოელის პოეტურ ფანტაზიას. ეს უბედური ხალხი, რომელიც განწირულია, რომ თავის ეტლში იცხოვროს და მოკვდეს, რაღაც საშინელ, მელანქოლიურ ინტერესს იწვევს თვით უაღრესად უბრალო ყოველდღიური ცხოვრებისადმი.

უნდა გამოვტყდე, რომ თუ აბსოლუტიზმი აუბედურებს ხალხს, რომელსაც იგი ჩაგრავს, მოგზაურებისთვის იგი ნამდვილი საუნჯეა, ვინაიდგან ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე მათ გაკვირვებას იწვევს, თავისუფალ ქვეყნებში ყველაფერი აშკარავდება და მაშინვე ეძლევა დავიწყებას; აბსოლუტიზმის უღელ ქვეშ კი, ყველაფერი დაფარულია და ყველაფერი აზრით უნდა მიხვდე. ამიტომ აქ ამჩნევენ და იხსომებენ სულ წვრილმან ფაქტებს, საიდუმლო ცნობისმოყვარეობა ახალისებს ბაასს და მას განსაკუთრებულ სიმახვილეს აძლევს. ყველაზე უბედური პოეტები ისინი არიან, ვისაც ცხოვრება უაღრესად თავისუფალ პირობებში უხდებათ, ვინაიდგან, როდესაც ყველას შეუძლიან ილაპარაკოს, რაც სურს, პოეტი უნდა გაჩუმებული იყოს. იგავი და ალეგორია — აი პოეტური ჭეშმარიტების გამოხატვის საშუალებანი. თავისუფალი სიტყვის რეჟიმი ჰკლავს ამ ჭეშმარიტებას უხეში სინამდვილით, რომელიც გასაქანს არ აძლევს ფანტაზიას.

მე ავწერე ქალაქი, მოკლებული თავისებურებას, უფრო მდიდარი, ვიდრე დიდებული, უფრო საკვირველი თავისი სივრცით, ვიდრე სილამაზით, აღვსილი უსტილო, უშნო და ისტორიულ მნიშვნელობას მოკლებული შენობებით. მაგრამ პოეტის და მხატვრის საბედნიეროდ, რუსები ღრმად მორწმუნე ხალხია. ეკლესიები, ყოველ შემთხვევაში სავსებით მათ ეკუთვნით. სამლოცველოების გარეგნული ფორმა განმტკიცებულია ტრადიციით და კულტის განუყრელ ნაწილს შეადგენს. ცრუმორწმუნოება სარწმუნოების ამ სიმაგრეებს არ უთმობს უგუნურ გატაცებას, რომელიც მათემატიკურ ფიგურებს ანხორციელებს აგურსა და ქვაში, და თავგამოდებით იცავს მათ, სამხედრო სტილის არქიტექტურის შემოტევისაგან; ეს უკანასკნელი, ყოველ რუსულ ქალაქს ისეთი სამხედრო ბანაკის ხასიათს აძლევს, რომელიც რამდენიმე კვირის განმავლობაში არსებობს მანევრების დროს.

პეტერბურგის მეორე თავისებური თვისება ოქროფერვებულ წვეტებია, რომელიც აღღვევს ქალაქის სახლების სახურავთა მონოტონურ ხაზებს. ყველაზე შესანიშნავი მათში არის ციტადელის, ან პეტერბურგის აკვანის, წვეტი და საადმირალო შენობის ნევსი. ამბობენ, ეს საკვირველი არქიტექტურული სილამაზენი, გადმოღებული აზიიდან, ისინი გვაკვირვებენ თავის მართლაც განსაკუთრებული გაბედულობით. ისინი იმდენად მაღლები და წვრილნი არიან, რომ პირდაპირ გაუგებარია, თუ როგორ ჩერდებიან ჰაერში.

წარმოიდგინეთ ეკლესიის გუმბათების უამრავი რაოდენობა, ხოლო თვითეული გუმბათის ირგვლივ ოთხი სამრეკლო, სავალდებულო მართლმადიდებლური რიტუალის მიხედვით. წარმოიდგინეთ მრავალი ვერცხლის, ოქროს, ცისფერი და ვარსკლავებით მოჭედილი გუმბათი; სასახლეების ლურჯი ან ღია-მწვანე ფერის სახურავები; იმპერატორის და რუსეთის ისტორიის გმირთა ძეგლებით მორთული მოედნები; უფართოესი მდინარის წყლის ფსკერი, სადაც, როგორც სარკეში, ყველა სანაპირო შენობების ანარეკლი მოსჩანს. მიუმატეთ ამას ტროიცკის ხიდი, პონტონებზე გადაკიდული მდინარის ყველაზე ფართო ადგილას, და პეტრე-პავლეს ციხე, სადაც სრულიად უბრალო აკლდამებში განისვენებს პეტრე დიდი თავისოჯახით! თუ თქვენ ცოცხლად წარმოიდგენთ მთელ ამ სურათს, მიხვდებით, რატომ არის პეტერბურგი მაინც მხატვრული ქალაქ მიუხედავად გადმოღებული, ცუდი გემოვნების არქიტექტურისა და მის გარშემო მდებარე ჭაობებისა.

ამ საათში აქ ტროპიკული სიცხეა, მაგრამ მცხოვრებლებს მაინც საწვავ შეშაზე ზრუნავენ ზამთრისათვის. ბარჟები დატვირთულია არყის ხეებით, ერთად ერთი საწვავი მასალით ამ ქვეყანაში, სადაც მუხა ფუფუნების საგნად ითვლება, ამ ხე-ტყის მასალა მთლად ავსებულია მრავალრიცხოვანი და ფართო არხები, რომელნიც ქალაქს სჭრიან ყველა მიმართულებით. ამ არხებში წყალი არ სჩანს ზამთრობით თოვლისა და ყინულის გამო, ხოლო ზაფხულობით ბარჟების დაუსრულებელ რაოდენობის გამო, რომელნიც ნაპირებს აწვებიან.

საწვავი მასალა იშვიათი ხდება რუსეთში. შეშა პეტერბურგშიც უფრო იაფი არ არის, ვიდრე პარიზში. როდესაც ხედავ, თუ რა სისწრაფით ისპობა ტყე, ძალაუნებურად ეკითხები შენ თავს შეშფოთებული: რითი გათბებიან მომავალი თაობანი? ბოდიშს ვიხდ ამ ხუმრობისათვის. მაგრამ მე ხშირად მგონია, რომ ის ხალხ რომელნიც [illegible] ბრძ

ლად მოიქცეოდენ, თუ რუსებს საწვავ მასალის საკმაო რაოდენობით უზრუნველყოფდენ. მაშინ ეს თანამედროვე რომაელები ეზეს ასე ხარბად არ დაუწყებენ ცქერას.

რუსები რომაელებს გვანან სხვა მხრივაც. როგორც ამ უკანასკნელთ, მათაც მეცნიერებსა და ხელოვნება გარედან გადმოიღეს. მათ ბუნებრივი ჭკუა არ ჰკლიათ, მაგრამ ეს ჭკუა მიბაძველია, და ამიტომ უფრო ირონიული, ვიდრე შემოქმედი. დაცინვა ტირანების და მონების დამახასიათებელი თვისებაა. ყოველი დაჩაგრული ხალხი ბოროტ სიტყვას, სატირას და კარიკატურას მიმართავს. სარკაზმებით იგი შურს იძიებს იძულებითი უმოქმედებისა და თავის დამცირებისთვის.

რუსები თავის ირგვლივ არა სასიამოვნო სიმყრალეს ავრცელებენ, რაც საკმაო მანძილზედაც-კი ისმის. განათლებულ, წარჩინებულ საზოგადოებას მუშკის სუნი ასდის, ხოლო უბრალო ხალხს— კომბოსტოსი, ხახვისა და ძველი მოქნილი ტყავისა. აქედან თქვენ შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ თუ რა საშინელი არომატები უნდა მოიტანონ თან იმპერატორის ოცდაათიათასმა უერთგულესმა ქვეშვრდომმა, რომელნიც მასთან სასახლეში მოდიან 1 იანვრის მისალოცად. და ექვსმა თუ შვიდმა ათასმა კაცმა, რომელიც პეტერგოფის სასახლეში იყრიან თავს დედოფლის სახელწოდების დღეს...

ჩემს მიერ ნახულ მდაბიო კლასის ქალებში დღემდე არც ერთი არ მჩვენებია ლამაზად, პირიქით, უმრავლესობას რაღაც არა ჩვეულებრივი სიმახინჯე და საშინელი უსუფთაობა ეტყობა. საკვირველია, რომ ესენი ცოლები და დედები არიან იმ ტანადი და მოხდენილი ლამაზი კაცებისა, რომელნიც გვხვდებიან მოსახლეობის თვით დაბალ ფენებშიაც-კი, სახის სწორი მოყვანილობით და ბერძნული პროფილით. არსად არ არიან ისეთი ლამაზი მოხუცი მამაკაცები და მახინჯი მოხუცი დედაკაცები, როგორც რუსეთში. სხვათა შორის თვალში გვეცემა პეტერბურგის ერთი განსაკუთრებული თვისება: ქალები აქ მოსახლეობის გაცილებით უფრო ნაკლებ ნაწილს შეადგენენ, ვიდრე სხვა სატახტო ქალაქებში. მე მარწმუნებდენ, რომ ქალები მცხოვრებთა საერთო რიცხვის მესამედს არ აღემატებიანო, რადგანაც ისინი ასე ცოტანი არიან, ამიტომ ძლიერი სქესის დიდ ყურადღებას იქცევენ და ვერ ბედავენ ბინდისას გარედ გამოსვლას. ნაკლებად დასახლებულ კვარტალებში, თუ მათ გამცილებლები არ ჰყავთ. ასეთი სიფრთხილე მე საკმაოდ წაფუძვლიანად მიმაჩნია საშხედრო სახელმწიფოს სატახტო ქალაქში და იმ ხალხში, რომელიც ლოთობას ეძლევა. რუსის ქალები უფრო ნაკლებად გამოდიან საზო-

ადოებაში, ვიდრე ფრანგის ქალები. დაახლოებით ამ ასი წლის წინად, ისინი ატარებდენ კარჩაკეტილ ცხოვრებას, მსგავსად თავიანთი აზიური ამხანაგებისა. რუსის ქალების თავდაჭერილი, მე ვიტყოდი, მოკრძალებული ყოფა-ქცევა, როგორც სხვა მრავალი რუსული ზნე-ჩვეულებანი, გვანიშნებს თუ რა წარმოშობისაა ეს ხალხი და აორკეცებს მოწყენილობას, რომელიც გაბატონებულია პეტერბურგის საჯარო დღესასწაულებზე და ქუჩებში.

სატახტო ქალაქში ძალიან ცოტა ყავახანებია, არ იმართება საზოგადოებრივი ბალები ამ სიტყვის ჩვენი გაგებით, ხოლო ბულვარზე ცოტა ხალხია, რომელიც კი არ სერნობს, არამედ სადღაც მიეშურება, დინჯი სახის გამომეტყველებით და არა გართობის მიზნით. მაგრამ, თუ რომ შიში ხალხს სერიოზულად აქცევს, იგი მას არაჩვეულებრივ ზრდილობასაც ასწავლის. მე სხვაგან არასოდეს არ ინახავს, რომ ყველა კლასების ხალხი ასე თავაზიანი იყოს ერთმანეთთან. მეეტლე მუდამ მიესალმება თავის ამხანაგს, რომელიც ასევე უპასუხებს მას. შვეიცარი თავს უკრავს მღებავს და სხვ... შეიძლება ეს თავაზიანობა ნაძალადევია; მე ეს ცოტა გადაჭარბებულად მიმაჩნია, მაგრამ ასეთი თავაზიანობა, თუნდა გარეგნული, ფრიად სასიამოვნოა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პეტერბურგში ცხოვრება ფრიად სასიამოვნო იქნებოდა მოგზაურისთვის, რომელიც ენდობა სხვის სიტყვებს და ამასთანავე მტკიცე ხასიათი აქვს. მაგრამ მეტად დიდი სიმტკიცე იქნებოდა საჭირო იმისთვის, რომ უარი გეთქვა ყოველგარ ზეიმებსა და სადილებზე, რაც რუსულ საზოგადოებას მაღალი წრეების ნამდვილ უბედურებას წარმოადგენს. მე ვცდილობდი, რაც შეიძლება ნაკლებად ვავთანხმებულიყავი კერძო პირების მიპატიჟებას, ვინაიდან მაინტერესებდა უფრო სასახლის ზეიმები, რომელიც მე საკმაოდ ვნახე. საკვირველ მოქმედებას, რომელიც არაფერს არ ეუბნება გულს, მალე დაღლილობა და მოწყენილობა მოსდევს შედეგად. დაე ამტკიცონ, რომ მაღალი საზოგადოება ყველგან ერთნაირია; სასახლის ინტრიგები არსად არ თამაშობენ ისეთ განსაკუთრებულ როლს ყოველი ადამიანის ცხოვრებაში, როგორც რუსეთში.

თავი XI

მეფის კავშირი ხალხთან.—რუსეთის „კონსტიტუცია".—პეტერ-ჰოფის სასახლე.—კოსტიუმის განსაკუთრებული მნიშვნელობა.—ნიკოლოზის პოზა.—მოსკოველების სტუმართმოყვარეობა.—აზრის შემხუთავი შიში.—აღმოსავლეთის დესპოტიზმი.—ორი ნაცია რუსეთში.—რუსებისთვის უცნობია ნამდვილი ბედნიერება.—უცხოელების ყალბი შეხედულება.—პირმოთნეობა.—მონების მონები.—კატალოგების იმპერია.—ინტელიგენცია.—სიკვდილით დასჯა.—სამოც. მილიონიანი ციხე.—სარდინიელი ელჩის საათი.

პეტერჰოფის დღესასწაული უნდა განხილულ იქნეს ორი თვალსაზრისით: მატერიალურის და თუ შეიძლება ასე ითქვას—მორალურის მხრივ ამა თუ იმ მიდგომის მიხედვით, ეს ზეიმი სულ სხვადასხვა შთაბეჭდილებას ახდენს.

მე არაფერი არ მინახავს ამაზე ულამაზესი თვალისათვის და უფრო მოსაწყენი გონებისათვის, ვიდრე ეს ვითომდა ხალხური გაერთიანება კარის კაცებისა გლეხებთან, რომელნიც თუმცა შეკრებილნი იყვნენ ერთ ჭერ ქვეშ, მაგრამ სრულიად უცხონი იყვნენ ერთმანეთისთვის. საზოგადოებრივი თვალსაზრისით ეს ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს, რადგანაც ცრუ პოპულარობის მოსახვეჭად იმპერატორი ამცირებს წარჩინებულთ. და არ ამაღლებს უბრალო ხალხს. ღვთის წინაშე ყველანი თანასწორები არიან, რუსებისთვისაკი მონარქი—ღმერთია. იგი ისე მაღლა დაფრინავს დედამიწაზე, რომ არ ხედავს არავითარ განსხვავებას ბატონსა და მონას შორის, მისი ღვთაებრივი თვალი ვერ ამჩნევს ამ წვრილ განსხვავებას, რომელიც კაცობრიობის მოდგმას სხვადასხვა ჯგუფებად ჰყოფს. ასე, მაგალითად, შეუმჩნეველი იქნებოდა მზეზე მცხოვრების თვალისთვის მთები და ველები, რომელნიც დედამიწის ზედაპირს სერავენ.

როდესაც იმპერატორი ორჯერ [1]) აღებს თავის სასახლის კარებს გლეხების და ამორჩეული მოქალაქეების წინაშე, ამით იგი ვეჭარს ან ბოგანოს როდი ეუბნება: „შენ ისეთივე ადამიანი ხარ, როგორც მე", არამედ აზნაურს ეუბნება: „შენ ისეთივე მონა ხარ,

[1]) იანვრის პირველს პეტერბურგში და დედოფლის სახელწოდების დღეს იულისის 22-ს პეტერგოფში. ავტორის შენიშვნა

როგორც ისინი, ხოლო მე თქვენი ღმერთი ვარ და თანაბრად ვბატონობ ყველა თქვენზე". ასეთია არსებითად, თუ უკუვაგდებთ ყველა პოლიტიკურ ფიქციას, ამ დღესასწაულის მორალური მნიშვნელობა, რომელიც ჩემი შეხედულებით აფუძებს მთელ მის სილამაზეს. გარდა ამისა, მე შევნიშნე, რომ მონარქი და მონები უფრო ნასიამოვნები იყვნენ ამ დღესასწაულით, ვიდრე კარისკაცები.

პოპულარობის მსგავსების ძებნა ქვეშევრდომთა თანასწორობაში—დესპოტის სასტიკი გართობაა. ამას შეეძლო თვალები აეხვია ჩვენი წინაპრებისთვის, მაგრამ შეცდომაში ვერ შეიყვანს ხალხს, რომელმაც მიაღწია გონებრივ და ზნეობრივ სიმწიფეს. რასაკვირველია, იმპერატორ ნიკოლოზს არ შემოუღია ეს სახალხო მიღების ჩვეულება, მაგრამ მით უფრო ღირებული იქნებოდა ბოლო მოეღო მისთვის. თუმცა რუსეთში არ შეიძლება რამეს ბოლო მოუღო ისე, რომ საფრთხეში არ ჩავარდეს თვით რეფორმატორი: თავისუფლებათა კანონიერ გარანტიებს მოკლებული ხალხნი თავშესაფარს ჩვეულებებში ეძებენ. ბრმა მორჩილება წინაპრების ზნე-ჩვეულებისადმი, რომელიც განმტკიცებულია „ბუნტით" და საწამლავით, რუსეთის კონსტიტუციის ერთი ბურჯთაგანია, და მრავალი მონარქის ძალმომრეობით სიკვდილი ამტკიცებს, რომ რუსები აიძულებენ სხვებს პატივისცენ ამ „კონსტიტუციას". ამგვარი სისტემის წონასწორობა გადაუჭრელ ამოცანად მიმაჩნია[18]).

თუ რომ პეტერჰოფის დღესასწაულს შევხედავთ, როგორც დიდებულ სანახაობას და ყველა წოდების ხალხის მხატვრულ ყრილობას მდიდრულ და ლამაზ ტანსაცმელში, იგი უაღრესად ქების ღირსი იქნება. თუმცა მე ბევრი წამიკითხავს და ბევრიც მსმენია მის შესახებ, მაგრამ არაფერს ამის მსგავს არ მოველოდი: სინამდვილემ უკიდურეს ფანტაზიას გადააჭარბა.

წარმოიდგინეთ სასახლე, აშენებული ბუნებრივ აივანზე, რომელიც შეიძლება მთლად მიიჩნიოთ უსაზღვრო ველების ქვეყანაში, სადაც სამოცი ფუტის სიმაღლიდან თქვენ თვალწინ დაუსრულებელი ჰორიზონტი იშლება. ამ საგულისხმიერო აივანის ძირში იწყება მშვენიერი პარკი, რომელიც მიდის ზღვამდე, სადაც ჩამწკრივებულია სამხედრო გემები, გაჩაღებული ამ საზეიმო საღამოს. მომხიბლავი სანახაობაა! ცეცხლები ინთებიან, ელვარებენ, ძლიერდებიან როგორც ხანძარი და ბოლოს ნთქავენ მთელ სივრცეს, დაწყებული სასახლიდან ფინეთის ყურემდე. პარკში სინათლეა, როგორც დღისით. ხეები განათებულია ცისარტყელას ყველა ფერებით. ამ არმი-

დის ბალებში ინთება ცეცხლი ათასობით და ათიათასობით კი არა, არამედ ასიათასობით. და თქვენ სტკბებით ყველა ამით, ხალხის ბრბოთი გავსებული სასახლის ფანჯრებიდან; ამ ბრბოს თავი ისე უჭირავს, თითქოს მთელი სიცოცხლე აქ გაეტარებინოს.

მაგრამ, თუმცა დღესასწაულის მიზანი იყო წოდებათა შორის სხვადასხვაობის წაშლა, ისინი მაინც არ ირევიან ერთმანეთში ამ ბრბოში. მიუხედავად სასტიკი შეურაცყოფისა, რომელსაც დესპოტიზმი არისტოკრატიას აყენებს, რუსეთში ჯერ კიდევ არსებობენ კასტები. ამაში შეიძლება აღმოვაჩინოთ ზედმეტი მსგავსების ნიშანი აღმოსავლეთთან და ერთი უკიდურესი წინააღმდეგობათგანი საზოგადოებრივი წესწყობილებისა, რომელიც შექმნილია ერთის მხრივ ხალხის ზნე-ჩვეულებით და მეორეს მხრივ მთავრობის მეცადინეობით. ასე, ამ თვითმპყრობელობის ნამდვილი ორგიის დღესასწაულზე ყოველმხრივ, ზეიმის გარეგნულ უწესრიგობაში მოსჩანდა ამ ქვეყანაში გაბატონებული წესიერების ნიშნები. ის, ვინც მე შემხვდა, ზოგი ვაჭარი იყო, ზოგი ჯარისკაცი, ზოგი გლეხი და ზოგიც ქარის კაცი,—და ყველა ესენი ერთი მეორისაგან ტახსაცმელით განირჩეოდნენ. ისეთი ადამიანი, რომელსაც პირადი დამსახურების გარდა, სხვა არავითარი ღირსება არ ექნებოდა, ანომალიად ჩაითვლებოდა აქ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ვიმყოფებით აზიის ზღუდეზე: ფრაკში გამოწყობილი რუსი უცხოელად მიმაჩნია ამ სამშიბლოში.

ბალი ნამდვილი ბაბილონის გოდოლი გამოდგა. იგი ნილაბიანად ითვლება, რადგანაც მამაკაცს მხრებზე წამოსხმული აქვთ ბრეშუმის ნაჭერი, ეგრედწოდებული ვენეციური წამოსასხამი. ეს „წამოსასხამი" სასაცილოდ ფრიალებს მუხლირებს ზემოდ. ძველი სასახლის ხალხით ავსილი დარბაზები ქონისაგან გაპრიალებულ თავების ზღვას წარმოადგენს, რომლებზედაც გამეფებულია იმპერატორის კეთილშობილი თავი. როგორც სჩანს ნიკოლოზ I უნარი შესწევს ხალხის სულიც დაიმორჩილოს და ბრბოზე მხოლოდ ტანით არ ამაღლდეს. მისგან რაღაც საიდუმლო ძალა გამომდინარეობს. პეტერჰოფში, პარადზე თუ ომში, და აგრეთვე მისი ცხოვრების ყველა მომენტში, თქვენ ხედავთ მასში ადამიანს, რომელიც მეფობს.

ასეთი მეფური მედიდურების პოზის გაკეთება ნამდვილი კომედია იქნებოდა. ამ მუდმივ თეატრალურ წარმოდგენაზე, რომ არ ყოფილიყო დამოკიდებული სამოცი მილიონი ხალხის არსებობა, რომელიც ძხოლოდ იმიტომ ცხოვრობს, რომ ეს ადამიანი მონარქის სახით მოწყალეობას იღებს და აძლევს მას სუნთქვის ნებას. ამასთან

ნავე უკარნახებს იმ წესებს, თუ როგორ უნდა ისარგებლონ მისი ნებართვით. ასეთია წარმოდგენის სერიოზული მხარე. აქედან გამომდინარეობს ის მნიშვნელოვანი შედეგები, რომ შიში მათ წინაშე ჰკლავს სიცილის სურვილს.

ჩვენ ხანაში დედამიწაზე არ მოიპოვება ადამიანი, რომელიც ასეთი განუსაზღვრელი ძალა-უფლებით სარგებლობდეს. თქვენ ასეთს ადამიანს ვერ შეხვდებით ვერც ოსმალეთში და ვერც ჩინეთში. წარმოიდგინეთ ჩვენი მთავრობების ასეული წლების განმავლობაში შექმნილი ხელოვნება, გადასული ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ნახევრად ველური საზოგადოების განკარგულებაში, დასავლეთის მთელი ადმინისტრატიული გამოცდილება, გამოყენებული აღმოსავლეთის დესპოტიზმის მიერ; ევროპული დისციპლინა, დამცველი აზიური ტირანიისა; პოლიცია, რომელიც იმის მაგივრად რომ ბარბაროსობას ებრძოდეს, მიზნად აქვს დასახული დამალოს იგი; ევროპიულ არმიების ტაქტიკა აღმოსავლეთურ პოლიტიკის მეთოდების განსახორციელებლად; წარმოიდგინეთ ნახევრად ველური ხალხი, გასამხედროებული და ძალით გაწვრთნილი და არა ჭეშმარიტად განათლებული,—და თქვენ მიხვდებით, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება რუსის ხალხი.

ევროპიული სახელმწიფოების ყველა ადმინისტრატიული მიღწევებით სარგებლობა იმისთვის, რომ წმინდა აღმოსავლეთური წესით მართონ სამოც მილიონიანი ხალხი,—ასეთია ის ამოცანა, რომლის გადაწყვეტაშიც ვარჯიშობენ რუსეთის ყველა მონარქები, დაწყებული პეტრე დიდის დროიდან.

იცით, თუ რას ნიშნავს რუსეთში მოგზაურობა? ჭერელე ჭკუის ადამიანისათვის ეს ნიშნავს ილლიუჭებით სახრდოობას. მაგრამ იმ ადამიანისათვის, რომელსაც ცოტად თუ ბევრად დაკვირვების ნიჭი აქვს და ამასთანავე დამოუკიდებელი ხასიათიც, ეს—მძიმე, სასტიკი და უმადური შრომაა. ვინაიდგან ასეთი მოგზაური უდიდესი ჯაფით და მეცადინეობით ყოველ ნაბიჯზე არჩევს ორ ნაციას, რომელიც ერთმანეთს ებრძვის: ერთი ამ ნაციათაგანი—რუსეთია, როგორიც იგი სინამდვილეშია, ხოლო მეორე—რუსეთი, როგორც იგი სურთ ევროპას მოაჩვენონ.

რუსეთის მთავრობა, გამსჭვალული ბიზანტიური სულით—(შეიძლება ეს ითქვას მთელ რუსეთზე), მუდამ უცქეროდა დიპლომატურ კორპუსს და საერთოდ ევროპიელებს, როგორც შურიან და ბ·როტ ჯაშ შებს ამ მხრივ ჩინელებსა და რუსებს შორის განსაკვირეველ მსგავსებაა: ორივენი დარწმუნებულნი არიან, რომ ჩვენ შე-

რის თვალით ვუყურებთ მათ. ისინი თავიანთებურად მსჯელობენ ჩვენზე.

მოსკოველების ესოდენ განთქმული სტუმართ-მოყვარეობაც უაღრესად ბრძნულ პოლიტიკად გადაიქცა. იგი მდგომარეობს იმაში, რომ რაც შეიძლება მეტად ასიამოვნოს სტუმრებს და რაც კი შეიძლებანაკლები გულრწფელობა დახარჯოს. საუკეთესო რეპუტაციით ის მოგზაურები სარგებლობენ, რომელნიც უფრო ადვილად სტყუვდებიან. აქ თავაზიანობა მხოლოდ ხელოვნებაა, ერთმანეთს ის ორმაგი შიში დაუმალონ, რომელსაც თვითეული განიცდის და სხვასაც აგონებს. ყველგან და ყოველთვის აქ პირმოთნეობით და ფარული სიმკაცრე მელანდება, უარესი, ვიდრე თათრების ბატონობის დროს იყო: თანამედროვე რუსეთი გაცილებით უფრო ახლოა მასზე, ვიდრე ჩვენ გვარწმუნებენ. ყველგან ლაპარაკობენ XVIII საუკუნის განმანათლებელი ფილოსოფიის ენით, და ყველგან წარმოუდგენელ ჩაგვრას ვხედავ. მე ასე მეუბნებიან: „რასაკვირველია ჩვენი სურვილია, რომ ძალმომრეობა არ იყოს, ჩვენ მაშინ უფრო მდიდრები და ძლიერები ვიქნებოდით. მაგრამ, საუბედუროდ საქმე აზიურ ხალხთან გვაქვს." და იმავე დროს ამის მთქმელნი ასე ფიქრობენ: „რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, რომ განვთავისუფლებულიყავით ლიბერალიზმსა და ფილანტროპიაზე ლაპარაკის აუცილებლობიდგან, მაშინ ჩვენ უფრო ბედნიერნი და ძლიერნი ვიქნებოდით, მაგრამ საუბედუროდ საქმე ევროპასთან გვაქვს".

უნდა ვაღიაროთ, რომ ყველა წოდების და მდგომარეობის რუსები საკვირველი ერთსულოვნებით უწყობენ ხელს ამგვარ მოტყუებას. ისინი იმდენად დახელოვნებულნი არიან პირმოთნეობის ხელოვნებაში, ისეთი უმანკო და გულწრფელი სახის გამომეტყველებით სტყუიან, რომ პირდაპირ შიშსა მგვრიან. მე აქ ძაგს ყველაფერი, რითაც სხვა ქვეყნებში აღრფთოვანებული ვარ, ვინაიდან ამაში აქ მეტად ძვირი საუასური უნდა გადაიხადო. წესიერება, მოთმინება, ზრდილობა, თავაზიანობა, პატივისცემა, ბუნებრივი და ზნეობრივი დამოკიდებულებანი, რომელიც არსებობს იმათ შორის, ვინც განკარგულებას აძლევს და ვინც ასრულებს ამ განკარგულებას, ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც კი შეადგენს კეთილმოწყობილ საზოგადოებათა მთავარ სილამაზეს და რაშიაც მდგომარეობს პოლიტიკურ დაწესებულებათა არსებობის აზრი, — ყველაფერი ეს ერთად-ერთი გრძნობით თავდება — შიშით. რუსეთში შიში სცვლის, ანუ უკეთ, ახშობს აზრს. როდესაც შიშის გრძნობა უაღრესადაა გაბატონებული, მას შეუძლია მხოლოდ მოჩვენებითი ცივილიზაცია შექმნას. რაც უნდა ილაპარ-

კონ ბეცმა კანონმდებლებმა, შიში არასოდეს არ შეიძლება იყოს სულ წესიერად მოწყობილი საზოგადოებისა, რადგანაც იგი წესრიგს კი არ ჰქმნის, არამედ ქაოსს ჰფარავს. სადაც თავისუფლება არ არის, იქ არც სული და სიმართლეა. რუსეთი უსიცოცხლო სხეულია ანუ უკეთ—ბუმბერაზი, რომელიც მხოლოდ თავით ცოცხლობს. ყველა მისი სხეულის ასოები მოკლებულნი არიან ძალას და თანდათან კვდებიან. აქედან წარმოსდგება უღრმესი მოუსვენრობა, რაღაც ძნელათ გაშოსაცნობი და მძიმე გრძნობა, რომელიც ყველას მოიცავს რუსეთში. ამ გრძნობის ფესვები ბუნდოვან იდეებში კი არ არის, ან მატერიალური პროგრესით უკმაყოფილებაში, ან და კონკურენციით გამოწვეულ შურში, როგორც ეს იყო ახლად მოვლენილ ფრანგ რევოლიუციონერებს შორის; იგი წარმოადგენს რეალური ტანჯვის გამოხატულებას, ორგანიული დაავადების სიმპტომს.

მე ვფიქრობ, რუსეთი ერთად-ერთი ქვეყანაა, სადაც ხალხს წარმოდგენა არა აქვს ნამდვილ ბედნიერებაზე საფრანგეთშიაც არ ვგრძნობთ თავს ბედნიერად, მაგრამ ვიცით, რომ ბედნიერება ჩვენზეა დამოკიდებული; რუსეთში ეს შეუძლებელია. წარმოიდგინეთ რესპუბლიკანური ვნებანი (რადგანაც კიდევ ვიმეორებ, რომ რუსეთის იმპერატორის ბატონობის ქვეშ მოჩვენებითი თანასწორობაა), აბობოქრებულნი დესპოტიზმის დუმილში. რუსეთი—ადუღებული წყლით, სავსე ქვაბია, მაგრად დახურული და დადგმული ცეცხლზე, რომელიც თანდათან უფრო ძლიერდება. მე მეშინიან აფეთქების. და აბა მარტო მე! იმპერატორიც განიცდიდა იმავე შიშს რამდენჯერმე თავისი მძიმე და ზრუნვით აღსავსე მეფობის დროს, როგორც მშვიდობიანობის, ისე ომის დროს. ვინაიდან ჩვენს ხანაში იმპერიები ემსგავსებიან მანქანებს, რომელნიც ჟანგდებიან უმოქმედობით და ცვდებიან მუშაობაში.

ამგვარად, ეს უსხეულო თავი, ეს უხალხო მონარქი სახალხო დღესასწაულებს მართავს. მე მგონია, რომ ვიდრე იგი ხალხში პოპულარობის ძებნას დაიწყებდეს, საჭირო იყო თვით ამ ხალხის შექმნა.

ჭეშმარიტად, ეს ქვეყანა საკვირვლად ექვემდებარება ყოველგვარ მოტყუებას. მონები ბევრ ქვეყნებში ცხოვრობენ, მაგრამ თუ გსურთ იხილოთ სასახლის მონების ამდენი რიცხვი, რუსეთში უნდა მოხვიდეთ. არ იცი, რა უფრო გაიკვირვო: პირმოთნეობა თუ წინააღმდეგობანი, გაბატონებული ამ იმპერიაში. ეკატერინე II არ მომკვდარა, ვინაიდგან მისი შვილისშვილის პირდაპირი ხასიათის მიუხედავად, რუსეთს ძველებურად პირმოთნეობა განაგებს. ტირანიის გულ[illegible] აღიარება ჩინ გადაგებული ნაბიჯი იქნებოდა აქ

ამ მხრით როგორც სხვა ბევრი მხრით უცხოელები, რომელნიც რუსეთს აღწერდნენ, რუსებს დახმარებას უწევდენ მთელი ქვეყნის მოტყუებაში. რა იქნება იმაზე მეტი პირმოთნეობა, ვიდრე იმ მწერლების საქციელი, რომელნიც მოისწრაფოდენ აქ ევროპის ყოველ კუთხიდან, რათა ლმობიერების ცრემლი დაეღვრათ გულჩვილი და ფამილიარული ურთიერთობის გამო, რომელიც აკავშირებს რუსეთის მეფეს მის ქვეშევრდომებთან? ნუ თუ დესპოტიზმის პრესტიჟი ისე ძლიერია, რომ იმორჩილებს არა ბოროტად მოაზროვნე ცნობის მოყვარეთაც? რუსეთი ან ჯერ კიდევ არ აუწერიათ ისეთ ადამიანებს, რომელნიც დამოუკიდებელნი არიან თავიანთ საზოგადოებრივი მდგომარეობით და სულიერი თვისებებით, ან და უაღრესად გულწრფელი ადამიანებიც-კი, რუსეთში ყოფნის დროს თავისუფალ მსჯელობის უნარს ჰკარგავენ.

ჩემს შესახებ ვიტყოდი, რომ მე თავს ვიცავ ამ გავლენისაგან იმ ზიზღით, რომელსაც ვგრძნობ ყოველგვარ პირმოთნეობისადმი. მე მძაგს მხოლოდ ერთი ბოროტება, და მძაგს ასე იმიტომ, რომ ჩემის აზრით, იგი ყველა დანარჩენ ბოროტებას წარმოშობს. ეს საზიზღარი ბოროტება არის სიცრუე. ყველგან, სადაც-კი სიცრუესთან შეტაკება მიხდებოდა, მე ვცდილობდი ნიღაბი ჩამომეხსნა მისთვის. სიცრუისადმი ზიზღმა აღმიძრა სურვილი და გაბედულობა ავწერო ეს მოგზაურობა. მე ეს მოგზაურობა დავიწყე ცნობის მოყვარეობით გატაცებულმა ამის შესახებ კი ვწერ მოვალეობის გრძნობით გამსჭვალული. ჭეშმარიტების სიყვარული ისე ძლიერია ჩემში, რომ თანამედროვე ეპოქის სიყვარულსაც კი მაიძულებს. თუ ჩვენი საუკუნე ცოტა ტლანქია, იგი ყოველ შემთხვევაში უფრო გულწრფელია, ვიდრე წარსული საუკუნე. მას ახასიათებს ზიზღი ყოველგვარ პირმოთნეობისადმი, რომელსაც მე სრულიად ვიზიარებ.

ფარისევლობისადმი ზიზღი-კი, ის ჩირაღდანია, რომელიც მინათებს ქვეყნის ლაბირინტში. ისინი, ვინც თავის მოყვასს ატყუებენ, სწამლავენ მას და რაც უფრო მაღალია მათი საზოგადოებრივი მდგომარეობა, მით უფრო დამნაშავენი არიან ისინი ჩემს თვალში.

აი რისთვის ვერ დავტკბი გუშინ მთელი გულით იმ სანახაობით, რომელიც ჩემდაუნებურად ეალერსებოდა ჩემს მხედველობას. თუ ეს სანახაობა ისე მომხიბლველი არ იყო როგორც ჩემს დარწმუნებას ცდილობდენ, იგი ყოველშემთხვევაში მდიდრულად მოწყობილი დიდებული და ორიგინალური იყო, მაგრამ იგი სიყალბით სავსედ მეჩვენებოდა, და ეს საკმარისი იყო, რომ მას ჩემ თვალში ყოველგვა-

რი მიმჭიდეელობა დაეკარგა, სიმართლისადმი სწრაფვა, რომელიც ამ ჟამად ფრანგებს აღფრთოვანებს, ჯერ კიდევ უცნობია რუსეთში.

ბოლოს და ბოლოს, რას წარმოადგენს ეს ხალხად წოდებული ბრბო, რომელიც ქებულია ევროპაში მისი ფამილიარული მოკრძალებისათვის მონარქისადმი? თავს ნუ იტყუებთ ამაოდ: ესენი მონების მონები არიან. წარჩინებულნი დიდი სიფრთხილით ირჩევენ თავიანთ მამულებში გლეხებს და გზავნიან მათ, რათა მიესალმონ დედოფალს. ამ არჩეულ გლეხებს უშვებენ სასახლეში, სადაც ისინი წარმოადგენენ ხალხს, რომელიც არსებობს მის კედლების იქით, და ირევიან შინამოსამსახურეებში. ეს უკანასკნელნი სასახლის კარებს ულებენ უაღრესად საიდუმლო და თავისი ლოიალობით ცნობილ ვაჭრებს, ვინაიდგან აუცილებლად საჭიროა რამდენიმე დიდწვერა პიროვნების დასწრება. ასე დგება ის „ხალხი", რომლის ერთგულება და სხვა შესანიშნავი თვისებები რუსის მონარქებს მაგალითად მოჰყავთ სხვებისთვის, ელისაბედ დედოფლის დროიდან დაწყებული. სხვათა შორის, ამ დედოფლის მიერ არის შემოღებული, როგორც სჩანს, ეს სახალხო დღესასწაულები.

გუშინ კარისკაცები ჩემთან დასწრებით თავისი ყმების ზრდილობას აქებდენ. „აბა სცადეთ ასეთი დღესასწაულის მოწყობა საფრანგეთში,"—ამბობდენ ისინი. მე მსურდა ამაზე მეპასუხა: „ვიდრე ამ ორ ხალხს შეადარებდეთ, იქონიეთ მოთმინება, როდ თქვენმა ხალხმა არსებობა დაიწყოს."

რუსეთი—კატალოგების იმპერიაა: თუ თვალს გადავავლებთ მხოლოდ სათაურებს—ყველაფერი საუცხოოდ მოგვეჩვენებათ, მაგრამ უნდა გაფრთხილდეთ, რომ ამ სათაურების იქით არ ჩაიხედოთ. გადაშალეთ წიგნი და დარწმუნდებით, რომ იქ არაფერი არ არის: მართალია წიგნის ყველა თავები აღნიშნულია, მაგრამ მათ ჯერ კიდევ დაწერა ესაჭიროებათ. მრავალი ტყე მხოლოდ ჭაობია, სადაც ერთი ღერი ფიჩხიც კი არ მოიპოვება. რამდენი რაზმია შორეულ ადგილებში, სადაც ერთი ჯარისკაციც კი არის! რამდენი ქალაქი და გზები არსებობს მხოლოდ პროექტში! და მთელი ნაციაც არსებითად მხოლოდ აფიშაა, გაკრული ევროპაში, რომელიც მოტყუებულია დიპლომატური ფიქციით. ნამდვილი ცხოვრება აქ იმპერატორის და მისი სასახლის ირგვლივ არის თავმოყრილი.

საშუალო კლასი შეიძლებოდა შემდგარიყო ვაჭრებისაგან, მაგრამ იგი ისე მცირე რიცხოვანია, რომ არავითარი გავლენა არ აქვს მსახიობნი ცოტა მეტნი არიან, მაგრამ თუ რომ შათი მცირერიცხოვანობა მათ მოქალაქეთა პატივისცემას ანიჭებს და სელს უშლიან მათ

პირად წარმატებას, იგივე მიზეზი აქარწყლებს მათ სოციალურ მნიშვნელობას. შეუძლებელია ვექილები იყვნენ იმ ქვეყანაში, სადაც არ არსებობს მართლმსაჯულება. მაშ საიდან წარმოსდგება ის საშუალო კლასი, რომელიც შეადგენს საზოგადოების ძირითად ძალას და ურომლისოდაც ხალხი ემსგავსება ჯოგს, რომელსაც ყარაულობენ კარგად გაწვრთვნილი მეცხვარის ძაღლები?

მე არ მომიხსენებია ერთი კლასი, რომლის წარმომადგენლებიც არ შეიძლება მივაკუთნოთ არც წარჩინებულ წოდებას, და არც უბრალო ხალხს; ეს მღვდლების შვილებია. მათგან უმთავრესად შესდგება მოხელეების, რუსეთის ამ ნამდვილი წყლულის, არმია. ეს ვაჟბატონები ქმნიან რაღაც მეორე ხარისხოვან აზნაურობის მსგავს, რომელიც ძალიან მტრულად არის განწყობილი ნამდვილ არისტოკრატიისადმი; იგი გამსჭვალულია ანტიარისტოკრატული სულით და იმავე დროს ყმებს სჩაგრავს. მე დარწმუნებული ვარ ეს ელემენტი დაიწყებს რუსეთში მომავალ რევოლუციას.

კიდევ ვიმეორებ: რუსეთში ყველაფერი მხოლოდ სიცრუეა, და მეფის თავმდაბლობა, რომლის წყალობითაც მის მოვარაყულ დარბაზებში მონებს უშვებენ, მხოლოდ ზედმეტი დაცინვაა.

რუსეთში სიკვდილით დასჯა არ არსებობს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახელმწიფო ღალატია ჩადენილი. მაგრამ ზოგიერთი დამნაშავენი მაინც საიქიოს უნდა იქმნენ გამგზავრებულნი. ამ შემთხვევაში, რათა კანონების ლმობიერება ზნე-ჩვეულებათა სისასტიკეს შეუთანხმონ, შემდეგნაირად იქცევიან: როდესაც დამნაშავეს ასზე მეტი მათრახის დარტყმა აქვს მისჯილი, ჯალათმა უკვე იცის, რას ნიშნავს ასეთი განაჩენი, და კაცთმოყვარეობის გრძნობით შეპყრობილი იგი მისჯილს მესამე ან მეოთხე დარტყმით ჰკლავს. მაგრამ სიკვდილით დასჯა გაუქმებულია[19]). განა კანონის ამ გვარი მოტყუება უარესი არ არის, ვიდრე თვით თავაწყვეტილ ტირანიის საჯაროდ აღიარება?

ამ ცრუხალხის ექვს ან შვიდ ათას წარმომადგენელთან შორის, რომელიც თავმოყრილი იყო გუშინ პეტერჰოფის სასახლეში, მე, ამაოდ ვეძებდი თუნდაც ერთ მხიარულ სახეს: ადამიანები არ იცინიან, როცა სტყუიან.

შეიძლება ნდობით მოეპყრათ თვითმპყრობელობის შეფასებას ჩემს მიერ, რადგანაც მე საგანგებოდ მოვედი რუსეთში იმ მიზნით, რათა აქ რეცეპტი მეპოვნა იმ უბედურებათა წინააღმდეგ, რომელნიც საფრთხეს უმზადებენ საფრანგეთს. თუ გგონიათ, რომ მე რუსეთზე ძალიან სასტიკად ვმსჯელობ, იცოდეთ, რომ ამის მიზეზი ის

უშუალო შთაბეჭდილებაა, რომელსაც ყოველდღე ვიძენ და რომელსაც ჩემს ადგილას კაცობრიობის ყოველი ჭეშმარიტი მეგობარი სწორედ ამგვარად ახსნიდა.

რა გინდ ვრცელი და უზომო იყოს ეს იმპერია, იგი მხოლოდ საპყრობილეა, რომლის გასაღები შენახული აქვს იმპერატორს. და თუ რაიმე შეედრება ქვეშევრდომთა უბედურებას, ეს თვით მონარქის მოსაწყენი მდგომარეობაა. ჩემის აზრით, ციხის დარაჯის სიცოცხლე არაფრით არ არის უკეთესი ტუსაღის სიცოცხლეზე. ამიტომ მე მუდამ მაკვირვებდა თავისებური გონებრივი შეცდომა, რომლის გამო პირველს უზომო თანაგრძნობის ღირსად მიაჩნია მეორე.

რუსეთში ადამიანმა არ იცის არც კულტურული ცხოვრების მაღალი სიამოვნება, არც ველურის სრული და უხეში თავისუფლება და არც ბარბაროსის დამოუკიდებლობა და უპასუხისმგებლობა. იმას, ვისაც წილად ხვდა უბედურება ამ ქვეყანაში დაბადებულიყო მხოლოდ ის დარჩენია, რომ თავი ინუგეშოს ამაყი ოცნებით და მთელ ქვეყანაზე გაბატონების იმედებით. ასეთ დასკვნამდე მივდივარ ძუდამ, როდესაც ვცდილობ ანალიზი გავუკეთო რუსეთის მცხოვრებთა მორალურ მდგომარეობას. რუსეთი ცოცხლობს და აზროვნობს, როგორც დამპყრობელ არმიის ჯარისკაცი. ხოლო ყოველი ქვეყნის ნამდვილი ჯარისკაცი მოქალაქე კი არ არის, არამედ მუდმივი ტუსაღია, რომელიც განწირულია თავის ამხანაგებს უდარაჯოს უბედურებაში—ისევე ტუსაღთ, როგორც თვითონაა.

ამგვარად, რუსეთში ყველაფერი მონარქის პიროვნებაშია თავმოყრილი. იგი ტონს აძლევს ყველას, ხოლო სასახლის ხორო ბანს ეუბნება მას. რუსის კარისკაცები მარიონეტებს მომაგონებენ უაღრესად მსხვილი კანაფებით.

მე არც „მუჟიკის“ პატიოსნება მჯერა. დიდი პათოსით მარწმუნებდენ, რომ იგი არ მოსწყვეტს არც ერთ ყვავილს თავის მეფის ბაღში. მე არც გამიფიქრია რაიმე ამის წინააღმდეგ. ვიცი, რა სასწაულებს ჰქმნის შიში. მაგრამ ვიცი აგრეთვე, რომ ეს გლეხი „კარისკაცები“ არ გაუშვებენ შემთხვევას, რომ არ გაჰქურდონ თავის გვერდით მჯდომი წარჩინებული პირი, თუ რომ ეს უკანასკნელი, აღფრთოვანებული თავისი უმცროსი ძმის ყოფა-ქცევით, ენდობა მის დიდ პატიოსნებას და თუნდაც ერთი წუთით თვალს მოაშორებს მისი ხელების მოძრაობას.

გუშინ სახალხო ზეიმზე პეტერჰოფის სასახლეში სარდინიის ელჩს ძალიან მოხერხებულად ამოაცალეს ჯიბიდან საათი, მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალიან იყო დამაგრებული. ბევრმა დამსწრე

თავანმა ამ არეულობაში ცხვირსახოცები და სხვა ნივთები დაჰკარგა. მე პირადად საფულე დავკარგე, მაგრამ თავს ვინუგეშებდი იმით, რომ გულში დავცინოდი იმ ქება-დიდებას, რომელსაც უძღვნიან რუსის ხალხის პატიოსნებას. მისმა მეხოტბეებმა კარგად იციან, რა ფასი აქვს ამ მაღალ ფრაზებს, და მე ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ მეც გავიგე ეს. რაც უნდა ეცადონ რუსები და რაც უნდა სთქვან მათ, ყოველი გულწრფელი მეთვალყურე მათში მხოლოდ დაცემის ხანის ბიზანტიელებს დაინახავს, გაწრთვნილებს თანამედროვე სტრატეგიაში XVII საუკუნის პრუსიელების და ეხლანდელი საუკუნის ფრანგების მიერ.

მე ძალიან მიყვარს გვერდზე გადახვევა. ჩემ გულს, შეყვარებულს ყველაფერზე რაც კი თავისუფლებას მოგვაგონებს, ესიამოვნება ერთგვარი უწესრიგობა აზრთა გადმოცემაში. მგონია, თავს დავაღწევდი ამ ჩვეულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყოველთვის ბოდიშს მოვიხდიდი მკითხველთან და სტილისტიურ ხრიკებს მივმართავდი, ვინაიდგან მაშინ გონებრივი ჯაფა სიხარულს მოსწამლავდა

თ ა ვ ი XII

პეტერჰოფის დღესასწაული.—პეტერჰოფის ადგილ-მდებარეობა.—ადამიანის ნებისყოფის გამარჯვება.—დღესასწაულებრივი ბრბო.—ზღაპრული ფეიერვერკი.—ღამის თევა.—მხიარულება კომანდით.—მეფის წული კონსტანტინე ომის შესახებ.—იმპერატორის გამოსვლა.—კატასტროფა ზღვაზე.—დედოფლის „შროპის დღე".—ვახშამი.—პარკის ილუმინაცია.—კადეტების პარადი.—აღმოსავლეთური ჯირითი.

პეტერჰოფის ადგილმდებარეობა ძალიან მხატვრულია. სასახლიდან თქვენ საუცხოვო კიბით დაბლა ეშვებით ტერასიდან ტერასაზე და პარკში ჩადიხართ, რომელიც მორთულია შადრევანებით და ხელოვნური ჩანჩქერებით ვერსალის სტილზე. პარკში აქა-იქ გაფანტულია პატარა გორაკები. იქიდან ხედავთ ზღვას, ფინლიანდიის ნაპირებს, რუსის ფლოტის საადმირალო შენობას—კუნძულ კოტლინს მისი გრანიტის პერანგიანი და წყლიდან ოდნავ ამოსული კედლებით, ხოლო შორს მარჯვნივ, ცხრა მილის მანძილზე—თეთრ პეტერბურგს, რომელიც შორიდან მხიარულად და ბრწყინვალეთ მოსჩანს და დაისის ბინდში ხანძარით განათებულ ფიჭვის ტყეს წააგავს. მისი ტაძრების გუმბათები და სამრეკლოების კოშკები ფიჭვების დაფერცხლილ პირამიდებს მოგვაგონებს. ამ ტყის შუაგულში, რომელიც გადაჭრილია მდინარის ტოტებით, ნევა თავის ტალღებს მოაგორებს და მისი დიდებული დელტა ნამდვილ დიდ მდინარეს წააგავს. კიდევ ერთი სიცრუე. ბუნება აქ პირდაპირ შეთქმულობაშია ადამიანებთან და აგრეთვე ცდილობს გზააბნეულ მოგზაურის გასულელებას.

როდესაც მე ვფიქრობ ყველა დაბრკოლებებზე, რომელიც აქ ადამიანს უნდა დაეძლია, რომ შესძლებოდა ცხოვრება, რომ აეგო ქალაქი და თვის ბუნაგების და მგლის სოროების ადგილას, ქალაქი—ღირსი დიდი მონარქის და დიდი ხალხის პატივმოყვარეობისა, მაშინ ყოველი ბუჩქი და ყოველი ვარდი ნამდვილ სასწაულად მეჩვენება. თუ პეტერბურგი შელესილი ლაპლანდიაა, პეტერჰოფი არმიდას სასახლეა შუშის სახურავ ქვეშ. არ გეჯერა, რომ იმყოფები ღია ცის ქვეშ, როდესაც შენს ირგვლივ ამდენ სილამაზეს და ბრწყინვალებას ხედავ და იცი, რომ რამდენიმე გრადუსის მოშორებით ჩრდილოეთის წელიწადი იყოფა ოდენ ზამთრებზე, ღამეებზე და ბინდზე, რომელიც სამ-სამი თვე გრძელდება. მე მუდამ შეხედ ვარ ალეგორიოვანლ ადა-

მიანის ნებისყოფის გამარჯვებით, მაგრამ აქედან ის არ გამომდინარეობს, რომ ნება უნდა მივცე ჩემს აღფრთოვანებას.

პეტერჰოფის პარკში შეიძლება ერთი მილი მანძილი გაიარო და არ მოხვდე ერთსადაიმავე ხეივანში. წარმოიდგინეთ მთელი ეს პარკი ცეცხლით გაჩაღებული! ამ მზიურ ნათელ სხივს მოკლებულ, ყინულიან ქვეყანაში ილუმინაციები ხანძარს წააგავს. თითქოს ღამეს სურდეს ხალხის დაჯილდოება ბუნდოვანი დღეებისათვის. ხეები თითქოს ჰქრებიან ბრილიანტის ელვარებაში და ყოველ ხეივანში ცეცხლი მეტია, ვიდრე ფოთლები. თქვენ წინ აზიაა, მაგრამ არა ჩვენი დროის რეალური აზია, არამედ ზღაპრული ბაღდადი „ათას ერთი ღამიდგან", ან და უფრო ზღაპრული სემირამიდის დროის ბაბილონი[20].

ამბობენ, რომ დედოფლის სახელწოდების დღეს ექვსი ათასი ეტლი, ოცდაათი ათასი ფეხით მოსიარულე და ურიცხვი ნავი სტოვებს პეტერბურგს და ბანაკდება პეტერჰოფის გარშემო. ეს ერთადერთი დღეა, როდესაც მე ნამდვილი ბრბო ვნახე რუსეთში. სამოქალაქო ბივუაკი სრულიად სამხედრო ქვეყანაში—ეს უკვე თავისთავად არაჩვეულებრივი მოვლენაა. რასაკვირველია, ჯარებიც მონაწილეობას იღებენ ამ დღესასწაულში: გვარდიის ნაწილი და კადეტთა კორპუსი დაბანაკებულნი არიან მეფის რეზიდენციის ახლო. და მთელი ეს ხალხი—ოფიცრები, ჯარისკაცები, ვაჭრები, ყმა-გლეხები, აზნაურები და კარისკაცები დაძრწიან ტყეში, არეულნი ერთმანეთში, საიდანაც ღამის წყვდიადი განდევნილია ორას ათასზე მეტი ცეცხლვებით.

მე ეს რიცხვი დამისახელეს და ზეპირად ვიმეორებ, ვინაიდგან ჩემთვის ორასი ათასი და ორი მილიონი არავითარ განსხვავებას არ შეადგენს—მე მოკლებული ვარ სათანადო თვალზომას. მხოლოდ ერთი ვიცი: ცეცხლების ეს უამრავი რაოდენობა იმდენ შუქს იძლევა, რომ მის წინაშე ჰქრება ჩრდილოეთის დღის ბუნებრივი სინათლე. ზაფხულის დამლევს ღამეები აქ თავიანთ უფლებებს იბრუნებენ და მალე მატულობენ, ისე რომ უილუმინაციოდ გუშინ სიბნელე იქნებოდა რამდენიმე საათის განმავლობაში.

მე გადმომცეს აგრეთვე, რომ ათას რვაასი კაცი ოცდა თხუთმეტ წუთში ყველა ცეცხლებს ანთებს პარკში. სასახლის გვერდით მდებარე პარკის ნაწილი ხუთ წუთში ნათდება. სასახლის მთავარი აივანის პირდაპირ იწყება არხი, სწორე, როგორც ისარი და მიმავალი თვით ზღვამდე. ეს პერსპექტივა მომჯადოვებელ შთაბეჭდილებას ქმნის: არხის წყლის ზედაპირი გარემოცულია მრავალი ცეცხლით და

ისეთ ნათელ სხივს გამოსცემს, რომ წყლის ანთებულ ალს მოგვაგონებს. კაცს უდიდესი ფანტაზია უნდა გქონდეს, რომ სიტყვებიც გამოხატო ილუმინაციის ეს მომჯადოვებელი სურათი. ცეცხლები დიდი მოხერხებით და გემოვნებით არის ჩამწკვრივებული. თქვენ ხედავთ ხან ვეებერთელა ხის ოდენა ყვავილებს, ხან მზეებს, ხან ვაზებს, ხან ყურძნის მტევნების ტრელიაჟებს, ხან ობელისკებს და სვეტებს, და ხან სხვადასხვა არაბესკებით შორთულ კედლებს მავრიტანულ სტილზე. ერთი სიტყვით, ჩვენ თვალწინ ცოცხლდება ფანტასტიური ქვეყანა, ერთი სასწაული მეორეს სცვლის არაჩვეულებრივი სისწრაფით. თავბრუ გესხმის, ცისარტყელასავით ფერადი, ძვირფასი ქვების და სტუმრების მოკაზმულობის ელვარების გამო; ყველაფერი გაჩაღებულია და გაბრწყინვებული, ყველგან ცეცხლის ალის და ბრილიანტების ზღვაა. გეშინიან, რომ ეს დიდებული სანახაობა ფერფლით არ გათავდეს, ნამდვილი ხანძარის მსგავსად.

არხის ბოლოში, ზღვასთან, სხვადასხვა ფერად ცეცხლების ბუმბერაზულ პირამიდაზე ამაღლებულია დედოფლის ენზელი, რომელიც ელვარებს წითელ, ნწვანე და ლურჯ ცეცხლებს ზემოდ. იგი წააგავს ბრილიანტის სამკაულს, გარემოცულს მოელვარე ქვებით. ყველა ეს ისეთი უზარმაზარი მასშტაბისაა, რომ კაცი არ უჯერებს თავის თვალებს. „წარმოუდგენელია რამდენი შრომაა დახარჯული ამ დღესასწაულზე, რომელიც რამდენიმე საათს გრძელდება“,—განაგრძობთ თქვენ: „ეს მეტად გრანდიოზულია, რომ მართლა იყოს სინამდვილეში. არა, ეს შეყვარებული ბუმბერაზის სიზმარია; მოთხრობილი ჭკუაზე შეშლილი პოეტის მიერ“.

მძიმე გრძნობა, რომელიც არ მშორდება მას შემდეგ, რაც მე რუსეთში ვცხოვრობ, ძლიერდება უფრო იმის გამო, რომ ყველაფერი მოწმობს დაჩაგრული რუსის ხალხის ბუნებრივ ნიჭს. მე ბრაზი მომდის, როცა ვფიქრობ, რომ ეს ხალხი ბევრს შეიძლებდა თავისუფალი რომ ყოფილიყო.

არა ნაკლებ საინტერესოა, ვიდრე თვით ეს დღესასწაული, ის ეპიზოდები, რომელიც მას თან სდევს. ორი ან სამი ღამის განმავლობაში მთელი ეს ხალხი, თავმოყრილი პეტერჰოფში, სამხედრო ბანაკში სოფლის ირგვლივ ცხოვრობს. შეძლებულ ქალებს ლანდოებში და ეტლებში სძინავთ, ხოლო გლეხის ქალებს—თავიანთ დროგებზე. ყველა ეს დროგები, ასობით ჩაწყობილნი ფიცრის ფარდულებში, წარმოადგენს უაღრესად მხატვრულ ბანაკს, რომელიც ნიჭიერი მხატვრის ფუნჯის ღირსია. ეს ბანაკი, სადაც ერთად ცხოვრობენ ცხენ[illegible]

ჰოფში მოიპოვება მხოლოდ რამდენიმე ჭუჭყიანი სახლი და ოთახი 200—500 მანეთამდე ღირს. (75—160 მანეთი ვერცხლით).

ელჩებს თავიანთ ოჯახებით და ამალით, და აგრეთვე სასახლესთან მივლინებულ უცხოელებს ეძლევათ ბინა და საჭმელ-სასმელი იმპერატორის ხარჯზე. ამ მიზნით მათთვის გამზადებულია ფართო და ლამაზი შენობა, ეგრედწოდებული ინგლისური სასახლე. ეს შენობა მდებარეობს მილის მეოთხედზე იმპერატორის სასახლიდან, მშვენიერი პარკის შუაგულში, რომელიც დაყოფილია ინგლისურ სტილზე და გამოცოცხლებულია პატარა ტბებით და მდინარეებით. წყლის სიუხვე და გორაკიანი ადგილმდებარეობა, რაც ასე იშვიათია პეტერბურგის მიდამოებში, ამ პარკს დიდ სილამაზეს აძლევს. რადგანაც წელს უცხოელთა რიცხვი მეტი იყო ვიდრე ჩვეულებრივ, ამიტომ ინგლისურ სასახლეში ყველასთვის არ აღმოჩნდა ადგილი. ამის გამო მე იქ არ მძინავს და მხოლოდ ყოველდღე ვსადილობ საუცხოოდ გამზადებულ მაგიდაზე, დიპლომატიურ კორპუსის და შვიდასრვაასი ადამიანის საზოგადოებაში.

დასაძინებლად საიმპერატორო თეატრების მთავარმა დირექტორმა ორი არტისტიული საპირფარეშო შემომთავაზა პეტერჰოფის თეატრში. ჩემი ბინა საერთო შურს იწვევს. მე არაფერი არ მაკლია, თუ რომ საწოლს არ მივიღებთ მხედველობაში. საბედნიეროდ პეტერბურგიდან თან წამოვიღე ჩემი საგზაო საწოლი, პირველი აუცილებლობის საგანი რუსეთში წამოსულ უცხოელთათვის, თუ რომ იგი არ მოისურვებს მთელი ღამე იატაკზე გაათიოს ფარდაგში გახვეული.

„სამოქალაქო" მოსახლეობის სამხედრო ბანაკი ყველაზე მხატვრული ადგილია პეტერჰოფში, რადგანაც სამხედრო ბანაკებში ჩვეულებრივი მოწყენილობაა გამეფებული. ყველა სხვა ქვეყანაში ხალხის ასეთ შეჯგუფებას დიდი ხმაურობა და აურზაური მოჰყვებოდა. რუსეთში-კი ყველაფერი ხდება წყნარად და წესიერად, და ყველაფერი საზეიმო ცერემონიის ხასიათს იღებს. ამ ახალგაზრდა და ჯანმრთელი ხალხის დანახვაზე, რომელნიც შეკრებილნია აქ თავის თავის და სხვის გასართობად და რომელსაც ვერ გაუბედია ვერც მღერა, ვერც სიცილი, ვერც თამაში, ვერც ჩხუბი, ვერც ცეკვა და ვერც სირბილი,— მე შემდეგი აზრი მიბადება: ეს ხომ კატორღელების პარტია არ არის, შეკრებილი ღანიშნულ ადგილას გასაგზავნად? და ამას სდევს მოგონებანი ციმბირზე.... ყველაფერს, ჩემს მიერ ნახულს რუსეთში, უეჭველია ერთგვარი სიდიადე და მდიდარი გემოვნების მოკაზმულობა ახლავს თან; აკლია მხოლოდ სიმხიარულე. არ შეიძლება კომან-

ლით მხიარულება. პირიქით, კომანდა სპობს ყოველგვარ მხიარულებას, როგორც ნიველირი და ლარი--პეიზაჟის სილამაზეს. რუსეთში ყველაფერი სიმეტრიულია და სადა, ყველგან გამეფებულია სასტიკი წესიერება, მაგრამ ის, რასაც შეუძლიან ღირებულება მისცეს ამ წესიერებას,—ერთგვარი სხვადასხვაობა, აუცილებელი ჰარმონიისათვის,—სრულიად უცნობია აქ.

ჯარისკაცები ბანაკებში უფრო სასტიკ დისციპლინას ემორჩილებიან, ვიდრე ყაზარმაში. ასეთი სასტიკი რეჟიმი უაღრესი მშვიდობიანობის დროს და ამსთანავე სახალხო ზეიმის დღეს მაიძულებს გავიხსენო დიდი მთავრის კონსტანტინეს მიერ გამოთქმული აზრი ომზე: „მე ომი არ მიყვარს,—სთქვა მან ერთხელ,—იგი აფუჭებს ჯარისკაცებს, სვრის მუნდირებს და არღვევს დისციპლინას". დიდი მთავარი გულახდილი არ იყო ბოლომდე: მას კიდევ სხვა საბუთები ჰქონდა ამისთვის, რაც მან დაამტკიცა თავისი მოქმედებით პოლონეთში[21]).

ზეიმის დღეს ჩვენ სასახლეში გამოვცხადდით საღამოს შვიდ საათისთვის. სასახლის წარჩინებული პირები, დიპლომატიური კორპუსი, მოწვეული უცხოელები და ეგრედწოდებული „ხალხი",—ყველანი რიგრიგობით შედიან მოვარაყებულ აპარტამენტებში, მამაკაცებისთვის, გარდა „მუჟიკებისა" და ვაჭრებისა, რომელნიც ნაციონალურ კოსტიუმებში და კაფტანებში არიან გამოწყობილნი, სავალდებულოა, როგორც მე უკვე აღვნიშნე, ვენეციური წამოსასხამი მუნდირის ზემოდ. ეს წესი ფრიად სასტიკად არის დაცული, რადგანაც ბალი მასკარადად ითვლება.

შემჭიდროებულნი ბრბოს მიერ, ჩვენ საკმაოდ დიდხანს ველოდით იმპერატორის და სამეფო საგვარეულო წევრთა გამოსვლას. მაგრამ გამ ჩნდება თუ არა ჰორიზონტზე იმპერატორი, ეს სასახლის ცხოვრების მზე, მაშინვე ბრბო უკან იხევს. იმპერატორი დადის სრულიად თავისუფლად, მდიდრულად ჩაცმული კორტეჟის თანხლებით, იქ, სადაც რამდენიმე წუთის წინ თითქოს არ მოიპოვებოდა ადგილი არც ერთი ზედმეტი ადამიანისთვის. რა წამსაც მათი უდიდებულესობა ჰქრება, გლეხების ბრბო ისევ ერთდება, ტალღების მსგავსად გეშის უკან. ორი ან სამი საათის განმავლობაში მეფე პოლონეზს ცეკვავს საიმპერატორო საგვარეულოს და მეფის ამალის დამებთან; ამასთანავე საკვირველია, რომ, თუმცა ბრბომ არ იცის, საით იზამენ პირს მოცეკვავენი იმპერატორის მეთაურობით, მაინც დროზე უიმღბს მათ ადგილს, რათა არ შეაფერხონ მონარქის მოძრაობა.

იმპერატორი ესაუბრება რამდენიმე დიდწვერა კაცს, ნაციონალურ კოსტიუმებში გამოწყობილს, შემდეგ, თერთმეტის ნახევარზე აძლევს ნიშანს და იწყება ილუმინაცია. მე უკვე აღვნიშნე, თუ რა ფეიერვერკული სისწრაფით ინთება ათასეული ცეცხლი.

მარწმუნებდენ, რომ ჩვეულებრივ ამ მომენტში საიმპერატორო ფლოტის გემები უახლოვდებიან ნაპირს და ზარბაზნების სროლით მუსიკას შორიდან ბანს აძლევენ. გუშინ ცუდი დარის გამო ჩვენ მოკლებულნი ვიყავით ამ დიდებულ სანახაობას. ერთმა ფრანგმა მითხრა, რომ გემების ილუმინაციას აუქმებენ ყოველ წლივ ამა თუ იმ მიზეზით. თქვენ თვითონ განსაჯეთ ეხლა, ვის დაუჯერო — რუსებს თუ უცხოელს?

გუშინ დღისით ჩვენ გვევონა, რომ ილუმინაცია საერთოდ არ შესდგება ცუდი დარის გამო. დაახლოვებით ნაშუადღევის სამ საათს, იმ დროს, როცა ვსადილობდით, პეტერჰოფზე საშინელმა ქარიშხალმა გადაიარა. პარკში ხეები იზნიქებოდა და მათი ტოტები მიწას ეხებოდა. ჩვენ გულგრილად ვუყურებდით ამ სურათს და შორს ვიყავით იმ აზრისაგან, რომ ბევრ, ჩვენ მაგიდასთან მჯდომთა დები, დედები და მეგობრები ამ დროს ზღვაში იღუპებოდენ საშინელ ბრძოლაში სტიქიასთან. ჩვენი გულგრილი ცნობის მოყვარეობა თითქმის სიმხიარულეს უდრიდა მაშინ, როდესაც მრავალი ნავი ზღვაში იძირებოდა ნაპირების მოშორებით პეტერბურგსა და პეტერჰოფს შუა. გაზეთები კრინტს არ დაძრავენ ამ უბედურობის შესახებ, რადგანაც ამაზე ლაპარაკი ნიშნავს დედოფლის წყენას და იმპერატორის გამტყუნებას.

მომხდარი ამბავი დიდი საიდუმლოებით იყო დაცული მთელი საღამოს განმავლობაში და ამის შესახებ ზეიმის დროს არავის არ ამოუღია ხმა. დღეს დილითაც სასახლეში არავითარი მწუხარება არ სჩანს; ეტიკეტით აკრძალულია ლაპარაკი იმაზე, რაზედაც ყველა ფიქრობს. მაგრამ სასახლის გარეთაც კი მხოლოდ ჩუმად და მალვით ბუდავენ ლაპარაკს ამის შესახებ.

ამგვარი კატასტროფები ყოველწლივ შხამავს პეტერჰოფის დღესასწაულს. იგი მიიღებდა ღრმა ტრაურის და საზეიმო გლოვის ხასიათს, თუ ვინმე ჩემსავით დაფიქრებულიყო იმის შესახებ, რა ჯდება მთელი ეს დიდებული ზეიმი. მაგრამ აქ ასეთი აზრები მხოლოდ მე მომდის თავში.

ცრუმორწმუნე ადამიანები გუშინ მრავალ ცუდ ამბების მომასწავებელ ნიშანს ხედავდენ. სამი კვირა მშვენიერი დარი იდგა და ცუდი ამინდით დედოფლის სახელწოდების დღეს შეიცვალა. მისი

ვენზელი* არ ინთებოდა. ის ადამიანი, რომელსაც დავალებული აქვს ეს დიდი საქმე — მთელი ილუმინაციის კულმინაციური პუნქტი, — ადის პირამიდის მწვერვალზე და იწყებს მუშაობას, მაგრამ ანთების უმალვე ცეცხლს ქარი აქრობს. ის ზედი-ზედ ადის რამდენჯერმე, ჰკარგავს წონასწორობას და მოჰქრის დაბლა სამოცდაათი ფუტის სიმაღლიდან. იქვე, იმავე ადგილას კვდება, ვენზელი ნახევრათ ჰქრება სიბნელეში...

დედოფლის ჩვეულებრივი დღე დილით ადრე იწყება პარადებით. შემდეგ იწყება მიღება. დედოფალი თხუთმეტი წუთით ისვენებს და შემდეგ ორი საათით სასეირნოდ მიდის ეტლით. ცხენით გასეირნების წინ ვანას იღებს. დაბრუნების შემდეგ — ისევ მიღება იწყება. იგი ათვალიერებს რამდენიმე დაწესებულებას, რომელიც მის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება, ან და ვინმეს თავის მახლობელთაგანს ესტუმრება. ამის შემდეგ თან იმპერატორს მიჰყვება თან ამა თუ იმ ბანაკში და აქედან ბალზე მიეშურება. ასე მისდევს დღე დღეს და ასუსტებს მის ძალას. ვისაც სიმამაცე და ჯანმრთელობა არ შესწევს ასეთი საშინელი ცხოვრების ასატანად, დედოფლის უკმაყოფილებას იწვევს. ერთხელ, ჩემთან ბაასის დროს ერთ ფრიად ღირსეულ და სუსტ ქალზე, დედოფალმა შენიშნა: „იგი მუდამ ავად არის". ეს სიტყვები ისეთი კილოთი იყო წარმოთქმული, რომ მე ვიგრძენი განაჩენი მთელი ოჯახის ბედზე. იმ საზოგადოებაში, სადაც არ კმაყოფილდებიან კეთილი ზრახვებით, ავადმყოფობა დასჯას უდრის. დედოფალი სხვებთან ერთად იძულებულია თავის ჯანმრთელობა მონარქის კეთილგანწყობილებას შესწიროს. ამბობენ, დედოფალი ჭლექით არის დაავადებულიო, და ეშინიანთ, რომ პეტერბურგის ზამთარი საბედისწერო არ შეიქნეს მისი ჯანმრთელობისთვის, მაგრამ არავითარ შემთხვევაში იგი იმპერატორს ექვსი თვით არ მოშორდება.

ამ საინტერესო, მაგრამ ტანჯული ქალის შეხედვაზე, რომელიც აჩრდილივით დაიარება მის პატივსაცემად გამართულ დღესასწაულზე, გული ნაღვლით მევსება, შეიძლება ასეთი დღესასწაული მან მეტი ვეღარ იხილოს. მიუხედავად გარემომცველი სიმდიდრისა და სიდიადისა, მე არ შემიძლიან არ ვიფიქრო ადამიანის ბუნების უძლურებაზე.

ჩემს მიერ აწერილი ბალი ვახშმით გათავდა, რის შემდეგაც მთელი საზოგადოება, ოფლში გაწურული (ხალხით სავსე აპარტამენტებში სრულიად აუტანელი სიცხე იდგა) მოთავსდა თავისებურ ეტლებში, ეგრეთწოდებულ „ლინეიკებში" და სასეირნოთ გაემგზავრა

* მოგზაურობა რუსეთში.

გაჩირაღდნებულ პარკში. ბნელი და ნესტიანი ღამე იყო გაბმეფებული, მაგრამ საბედნიეროდ სინესტეს ამსუბუქებდა ჭრაქების უამრავი რიცხვი. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა საშინელი სიცხის ბული იდგა ამ მომხიბლავი ტყის ხეივანებში; ცეცხლების წარმოუდგენელი სიუხვე ახურებდა პარკს და მას თვალის მომჭრელ შუქს ჰფენდა.

„ლინეიკა" — დროგია ორმაგი საჯდომით რვა კაცისათვის, რომელნიც ზურგ შექცეულნი სხედან ერთმანეთთან. მისი ფორმა, მოკაზმულობა და ცხენების ძველებური მოსართავი — ყველა ეს მდიდრულ და ორიგინალურ შთაბეჭდილებას ახდენს. ამგვარი „ლინეიკების" რიცხვი საგრძნობია, მაგრამ საკმაოა ყველა მიწვეულებისათვის, გარდა გლეხებისა და ვაჭრების.

ცერემონმეისტერმა ადგილი მიჩვენა ერთ-ერთ „ლინეიკაზე", მაგრამ საერთო აურზაურში ყველანი იქ ჯდებოდნენ, სადაც მოხვდებოდათ. მე ვერც ჩემი შინამსახური ვიპოვნე, და ვერც პალტო; ბოლოს ერთ-ერთ „ლინეიკაზე" ავედი და ადგილი ერთი რუსის ქალის გვერდით დავიჭირე. ეს უკანასკნელი არ დასწრებია ბალს და პეტერბურგიდან მოვიდა თავის ქალიშვილებით, რათა მათთვის ილუმინაცია ეჩვენებინა. ჩვენ გამოველაპარაკეთ ერთმანეთს. კილოზე ეტყობოდა, რომ ეს ქალი მაღალ საზოგადოებას ეკუთვნოდა, თუმცა მისი მსჯელობა გაცილებით უფრო გულახდილი იყო, ვიდრე ეს მიღებულია სასახლის წრეებში. იგი მეუბნებოდა ყველა პირების გვარებს, რომელნიც ჩვენს ახლოს გაივლიდნენ ხოლმე, ვინაიდგან ამ საუცხოო გასეირნების დროს ყველა „ლინეიკები" ერთმანეთს მისდევდნენ პარალელური ხეივნებით. ამგვარად, მეფის კორტეჟის ერთი ნაწილი ათვალიერებდა მეორეს.

მკითხველის დაღლის რომ არ მეშინოდეს და კიდევ მეტი, რომ არ მეშინოდეს რომ მასში ერთგვარ უნდობლობას გამოვიწვევ ჩემი აღფრთოვანებისადმი, ვიტყოდი, რომ ჩემს სიცოცხლეში ამ ცეცხლებით გაჩირაღდნებულ პარკზე უფრო განსაცვიფრებელი არაფერი მინახავს; საზეიმო დუმილით მისდევენ ერთმანეთს სასახლის ლანდოები ხალხის ბრბოს შორის, რომელიც ისევე მჭიდროა, როგორც ის ბრბო, რომელიც სასახლის დარბაზებს ავსებდა რამდენიმე წუთის წინად. ეს სეირნობა ერთ საათს გრძელდებოდა. სხვათა შორის ჩვენ შემოვუარეთ სასახლის ბოლოში მდებარე ტბას. ვერსალი და ლუი XIV სხვა საკვირველი ქმნილებანი ას წელიწადზე მეტი მოსვენებას არ აძლევდენ ევროპის მონარქებს. ამ ტბის ახლო ილუმინაცია მე უფრო შესანიშნავად მეჩვენა. ტბის გადაღმა მხარეს, სადაც წყალი ოქროსავით ლივლივებს მილიარდ ცეცხლებით, დგას პატარა სახლი, აგ-

რეთვე გაჩირაღდნებული. იქ პეტრე დიდი ცხოვრობდა. ყველაზე ძალიან წყლის ფერმამ გამაკვირვამ ამ ტბაში. საერთოდ წყალი და ხეები უაღრესად აძლიერებენ ილუმინაციის ეფექტს. ჩვენ გავიარეთ გამოქვაბულების ახლო, რომელნიც შიგნიდან განათებულნი იყვნენ ძლიერი ცეცხლის ალით და მისი შუქი წყალვარდნილის სამოსში ანათებდა. ამ მოელვარე ჩანჩქერებს ფეერიული სახე აქვთ. იმპერატორის სასახლე ბრძანებლობს მათზე და თითქოს მათ წყაროს წარმოადგენს. მხოლოდ იგი არ არის გაჩირაღდნებული, მაგრამ ცეცხლების თვალგადაუწვდენელი ზღვა მისკენ მიისწრაფვის პარკიდან; თავის თეთრი კედლებით იგი იზიდავს მათ და ელვარებს, როგორც ალმასი.

ეს გასეირნება გაჩირაღდნებულ პარკში, უეჭველად, ყველაფერზე მშვენიერი იყო პეტერჰოფის დღესასწაულის დროს. მაგრამ კვლავ ვიმეორებ, რომ ბუნებრივ სიმხიარულეს ვერ შეიდრეგიან თვით მოსახიბლავი ჯადოსნობანი. არავინ არ იცინის, არ ცეკვავს, არ მღერის. ლაპარაკობენ ჩუმად, ნახევარ ხმით და გართობის დროს უკან იხედებიან. შეიძლება იფიქროთ, რომ რუსი ქვეშევრდომნი იმდენად მიჩვეულნი არიან ზრდილობას, რომ მას მხიარულების დროსაც-კი არ ივიწყებენ. ერთი სიტყვით, პეტერჰოფში ისევე არ იყო თავისუფლება, როგორც მთელ რუსეთში.

ჩემ ოთახს, ე. ი. ჩემ საკანს პირველის ნახევარზე მივაღწიე, მაგრამ ძილზე ფიქრიც-კი არ შეიძლებოდა, რადგანაც დაიწყო ათასეული ხალხის პარკიდან გამოსვლა. რუსეთში მხოლოდ ცხენებს აქვთ მაურობის უფლება. ჩემ ფანჯრის ახლო მიდიოდა დაუსრულებელი ტალღა ეტლებისა და ყოველგვარი ზომის, სახის და ფორმის დროგებისა სხვადასხვა წოდების, სქესის და ჰასაკის ფეხით მოსიარულეთა ბრბოში. მეფის მოსაწყენი დღესასწაულის შემდეგ ჩვეულებრივი ცხოვრება იწყებოდა. ამ სწრაფად მიმავალ ხალხს არაფერი არ ჰქონდა საერთო ზომიერ ხალხთან, რომლითაც პარკი იყო სავსე ამ რამდენიმე წუთის წინად. ძალაუნებურად მაგონდება პატიმარი, რომელმაც ბორკილები მოიხსნა. ეს ხელახლად გაველურებული ურდოები, საშინელი სისწრაფით მიმავალნი პეტერბურგის მიმართულებით, მაგონდებდენ დიდი არმიის უკან დახევას, ხოლო შარა გზის ნაპირებზე დავარდნილნი ცხენები აორკეცებდენ ამ შემაწფოთებელ მსგავსებას.

ძლივს მოვასწარი გახდა და ლოგინში ჩაწოლა და ისევ ადგომა და თითქმის სირბილით სასახლეში გაშურება მომიხდა, რათა დასწრებოდი პარადს, რომელიც ხელმწიფეს ენდა ჩვეულებრივ კადეტებისთვის. როგორი იყო ჩემი გაოცებულობა, როდესაც ვფიქრობ, რომ

მთელი სასახლე უკვე თავმოყრილი იყო და ელოდა იმპერატორს. ქალები დილის ტუალეტებში იყვნენ გამოწყობილნი, მამაკაცები — საპარადო მუნდირებში. ყველანი ფხიზლად და ცოცხლად გამოიყურებოდნენ, თითქოს ბუშინდელი საღამოს დიდებულმა ზეიმმა ხეოლოდ მე მომქანცა. მე გავწითლდი სირცხვილით ჩემი სიზარმაცის გამო და ვიგრძენი, რომ დაბადებული არ ვარ რუსის მეფის კარის კაცად. და, ბორკილი ოქროთი იყო დაფერილი, იგი ამით არ მსუბუქდება.

მე ძლივს გავიკვლიე გზა ხალხის ბრბოში და ჯერ არ მივსულიყავი ჩემთვის დანიშნულ ადგილას, როდესაც იმპერატორმა უკვე დაიწყო თავის ბავშვი ოფიცრების რიგების ჩამოვლა. დედოფალი, ძალზე დაღლილი წინა დღით, ლანდოში ელოდა მას. მე სულით და გულით თანავუგრძნობდი მას; საუმცა არც მას ეტყობოდა იმ დაღლილობის ნიშნები, რომელმაც წინა დღით გამაკვირვა. შურით შევყურებდი ხანში შესულ ჯარისკაცებს, რომელნიც ადვილად იტანდნენ ამ მძიმე ტვირთს; მე კი მის სიმძიმეს ველარ ვუძლებდი. პატივმოყვარეობა აქ სიცოცხლის აუცილებელი პირობაა. ამ ხელოვნური სტიმულის გარეშე ადამიანები მუდამ მოწყენილნი და დაღვრემილნი იქნებოდნენ.

იმპერატორი პირადად ხელმძღვანელობდა პარადს. რამდენიმე კარგად ჩატარებულმა გადაჯგუფებამ, თითქოს სრულიად დააკმაყოფილა მისი უდიდებულესობა. მან ხელი მოჰკიდა ერთ ყველაზე უმცროს კადეტს, მიიყვანა დედოფალთან, ხელში აიყვანა და საჯაროდ აკოცა მას. არ ვიცი რა მიზანს ისახავდა მონარქის გულკეთილობის ასეთი დემონსტრატიული გამომჟღავნება. ეს არავინ არ იცოდა ან და არ უნდოდათ ჩემთვის ამის ახსნა. მე ვკითხულობდი, ვინაა მეფის ასეთი მოწყალებით გაბედნიერებული კადეტის მამა მეთქი, მაგრამ, როგორც გამოირკვა, არც ეს იცოდა არავინ. რუსეთში ყველაფრისაგან საიდუმლოებას ჰქმნიან.

პარადის შემდეგ იმპერატორი თავის მეუღლით სასახლეში გაემგზავრა, სადაც შესდგა მეფის ნახვის მსურველთა მიღება. შემდეგ, დაახლოებით დილის თერთმეტ საათზე, ხელმწიფე თავის მეუღლითურთ გამოვიდა აივანზე, რომლის წინაც ჩერქეზთა გვარდიის ჯარისკაცებმა მოხდენილი ჯირითობა გამართეს მშვენიერ აზიურ ცხენებზე.

ამ მდიდრულად და ორიგინალურად ჩაცმულ ჯარების სილამაზე სრულიად ეთანხმება სასახლის ხასიათს, რომელიც, მიუხედავად მისი დიდი მეცადინეობისა, განწირულია კიდევ დიდხანს ატაროს უფრო აზიური, ვიდრე ევროპიული ზნე-ჩვეულების ბეჭედი.

შუადღისას სრულიად ამოვწურე ჩემი ცნობის მოყვარეობა, და მოკლებული იმ პატივმოყვარეობის მძლავრ სტიმულს, რომელიც აქ ასეთ სასწაულებს ჰქმნის და მცირე ადამიანურ ძალებს დახმარებას უწევს, შინ დავბრუნდი და სრულიად დაქანცული ჩავწექი ლოგინში.

თ ა ვ ი XIII

ინგლისური კოტეჯი. — კიუსტინი მოხიბლულია. — მეგვიდრე ჩიჩერონეს როლში. — პოლონეთის აჯანყების გამოძახილი. — სასახლის დათვალიერება. — ნიკოლოზის სანუშაო კაბინეტი. — გამგზავრება ორანიენბაუმში. — მენშიკოვის რეზიდენცია. — პეტრე III ბედი. — წარსულის ძეგლები.

მე დაბეჯითებით ვთხოვდი ქალბატონ № ეჩვენებინა ჩემთვის იმპერატორის და დედოფლის კოტეჯი, პატარა სახლი, აშენებული მათ მიერ ახალი გოთური სტილით, რომელიც ამ ჟამად ინგლისში მოდაშია. „არაფერი არ არის იმაზე უფრო ძნელი, — მიპასუხებდა იგი, — რომ მოხვდე კოტეჯში მათი უდიდებულესობის იქ ყოფნის დროს, და არაფერია ამაზე ადვილი, როცა ისინი იქ არ არიან. მაინც ვეცდები". მე განზრახ დავრჩი პეტერჰოფში და ფრიად მოუთმენლად ველოდი № პასუხს, თუმცა ამის დიდი იმედი არ მქონდა; ერთხელ დილა ადრიან, მისგან შემდეგი შინაარსის ბარათი მივიღე: „მოდით ჩემთან 11-ს რომ თხუთმეტი წუთი აკლდება. მე ნება დამრთეს გამონაკლისის სახით გაჩვენოთ კოტეჯი ხელმწიფის და დედოფლის სეირნობის დროს, ე. ი. სრულ თერთმეტ საათზე; ხომ იცით რა ზუსტნი არიან". რადგანაც მეშინოდა დაგვიანებისა, თერთმეტის ნახევარზე მე უკვე ქ-ნ №-თან ვიყავი. თერთმეტს რომ თხუთმეტი წუთი უკლდა ჩავსხედით ოთხცხენიან ლანდოში და მივედით კოტეჯში რამდენიმე წუთით ადრე დანიშნულ დროზე. ეს ნამდვილი ინგლისური სახლია, აშენებული იმ სტილზე, როგორზეც ყველა ლამაზი ვილები შენდება ლონდონის მიდამოებში ტემზას ნაპირზე, და გარემოცული ყვავილებით და ჩრდილიანი ხეებით. ჩვენ ჯერ ვესტიბიულში არ შევსულიყავით, — ვინაიდგან რამდენიმე წუთით სასტუმროში დავრჩით, რომლის მორთულობაც მე მეტად ფაქიზად მეჩვენა სახლის საერთო სტილისთვის, — რომ შემოვიდა ლაქია და ჩემ თანამგზავრ ქალს რამდენიმე სიტყვა ჩასჩურჩულა.

— დედოფალი დაბრუნდა, — სთქვა მან.

— რა სამწუხაროა, — ვუპასუხე, — მე ვერაფრის ნახვას ვერ მოვასწრებ!

— შესაძლებელია. ჩადით ბაღში ამ ტერასით და მელოდეთ კოტეჯის შესავალთან.

მე იქ ორი წუთიც არ გამიტარებია, რომ დავინახე დედოფალი, სწრაფად მომავალი ჩემსკენ აივნიდან. მისი მაღალი და მოხდენილი ტანი უაღრესად გრაციოზულია; ნაბიჯი ჩქარი, მსუბუქი და ღირსებით აღსავსე აქვს. თეთრი თავსახურავით გარემოცული სახე მშვიდად და ახალგაზრდად მოსჩანდა. თვალები მოწყენით და კეთილად გამოიყურებოდენ. სახიდან ნაზად გადახდილი ვუალი და მხრებზე წამოსხმული გამჭვირვალე შარფი ამთავრებდენ უაღრესად მშვენიერ თეთრ დილის ტუალეტს. დედოფალი თითქოს მკვდრეთით აღდგენილად მეჩვენებოდა, და მის დანახვაზე გამეფანტენ ყველა ის მძიმე წინაგრძნობანი, რომელნიც მოსვენებას არ მაძლევდენ ბალზე.

— მე შევამოკლე ჩემი სეირნობა,—სთქვა მან,—რადგანაც გავიგე, რომ თქვენ აქ ხართ.

— ოჰ, თქვენო უდიდებულესობავ, მე ვერ გავბედავდი იმედი მქონოდა ასეთი მაღალი მოწყალებისა.

— მე ერთი სიტყვაც არ მითქვანს ჩემი განზრახვის შესახებ ქ-ნ №—სთვის. იგი ძალიან უკმაყოფილოა ჩემი აქ შემოჭრით და ამბობს, რომ მე თქვენ ხელს შეგიშლით. თქვენ აქ იმ მიზნით მოხვედით, რომ მთელი ჩვენი საიდუმლოებანი გაიგოთ?

— მე ამის წინააღმდეგ არაფერი მექნებოდა, თქვენო უდიდებულესობავ, იმ ადამიანთა საიდუმლოების გაგებით, რომელნიც ასეთი გემოვნებით აერთებენ სიმდიდრეს და სილამაზეს, შეიძლება მხოლოდ მოგება ნახო.

— პეტერჰოფში ცხოვრება ჩემთვის აუტანელია. რათა დავისვენო მისი მძიმე ვარაყისაგან, მე ხელმწიფეს ეს მცირე ადგილი ვთხოვე საცხოვრებლად. მე არასოდეს არ ვყოფილვარ ისე ბედნიერი, როგორც აქ. მაგრამ ეს კოტეჯი უკვე დიდია ჩვენთვის: ერთი ჩემი ქალიშვილთაგანი გათხოვდა, ხოლო ვაჟიშვილები პეტერბურგში სწავლობენ.

მე ჩუმად გავიღიმე მოხიბლულმა. ეს ქალი, რომელიც სრულიად არ გავს დღესასწაულის დედოფალს როგორც მე ის წინა დღით ვნახე, თითქოს ყველა ჩემ შთაბეჭდილებებს იზიარებს. ჩემსავით,—ვფიქრობდი მე გულში,—მან იგრძნო გარეგნული სიდიადის მთელი სიცალიერე და სიცრუე. მე ვადარებდი კოტეჯის ყვავილებს და სასახლის ჭაღებს, დილის მზის შუქს და ილუმინაციის ცეცხლებს ამ მშვენიერი კუთხის სიწყნარეს და ზეიმის ხმაურობას და აურზაურს, ქალს და დედოფალს, და ვგრძნობდი, რომ მოხიბლული ვიყავი დედოფლის გემოვნებით და საღი გონებით, რომელიც მოშორ-

და მუდმივ „წარმომადგენლობის“ მოწყენილობას და დაუახლოვდა უბრალო მომაკვდავთა ინტიმიურ ცხოვრების სიხარულს.

— მე არ მსურს, რომ ქალბატონი № მართალი იყოს,—განაგრძობდა დედოფალი.—თქვენ შეგიძლიანთ ზედმიწევნით დაათვალიეროთ კოტეჯი; ჩემი ვაჟიშვილი გაჩვენებთ მას. მანამდის კი ჩემს ყვავილებს მივხედავ და კიდევ გინახულებთ თქვენი წასვლის წინ.

ასე მიმიღო დედოფალმა, რომელსაც ამაყი ადამიანის სახელი აქვს გავარდნილი არა მარტო ევროპაში, სადაც მას სრულიად არ იცნობენ, არამედ რუსეთშიც. ამ წუთს ჩვენთან მოვიდა დიდი მთავარი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ქალბატონ №-ის და მისი უფროსი თოთხმეტი წლის ქალიშვილის თანხლებით, რომელიც ნორჩიკვით ვარდი და მშვენიერი, ვით ბუშეს ტურფანი. მე ველოდი, რომ დედოფალი გამანთავისუფლებდა, მაგრამ იგი განაგრძობდა წინ და უკან სიარულს კოტეჯის აივანთან, და ჩვენ მას უკან მივდევდით. მათ უდიდებულესობას მოეხსენებოდა, რომ მე ძალიან მაინტერესებს მთელი ოჯახი ქალბატონ №-სა, რომელიც ჩამომავლობით პოლონელია. მან იცოდა აგრეთვე, რომ ამ ქალის ერთი ძმათაგანი უკვე რამდენიმე წელიწადია პარიზში ცხოვრობს. ამიტომ დამიწყო გამოკითხვა მისი ცხოვრების, გრძნობების, შეხედულების და ხასიათის შესახებ. ამან მე საშუალება მომცა გამომეთქვა ყველაფერი, რაც კი მაკავშირებდა ამ ახალგაზრდა პოლონელთან. დედოფალი ძალიან ყურადღებით მისმენდა.

— და ასეთ გამოჩენილ ადამიანს უკრძალავენ დაბრუნდეს აქ მხოლოდ იმიტომ, რომ პოლონეთის აჯანყების შემდეგ იგი გერმანიაში წავიდა!—ხმა მაღლა წარმოსთქვა ქალბატონმა № ჩვეულებრივი გულწრფელობით, რომელსაც ვერ გადააჩვია სასახლეში ცხოვრებამ ბავშობიდან.

— მაინც რა ჩაიდინა? იკითხა დედოფალმა მოუთმენლობის და სიკეთის გამოუთქმელი ინტონაციით.

ასე პირდაპირ დაყენებულმა საკითხმა ცოტა შემაშფოთა, რადგანაც უნდა შევხებოდით პოლიტიკის საშიშ დარგს და რისკს ვეწეოდი, რომ ყველაფერი არ გამეფუჭებინა. დიდმა მთავარმა გაიგო ჩემი უხერხული მდგომარეობა და შესანიშნავი ფაქტით გამომიყვანა იქიდან.

— კმარა, — წამოიძახა მან მკვირცხლად, — განა შეიძლება თხუთმეტი წლის ბავშვს ჰკითხო, რა გააკეთა მან პოლიტიკაში?

ამ რეპლიკის შემდეგ მე თავისუფლად ამოვისუნთქე, და მან ბოლო მოუღო ჩვენ ბაასს. დედოფლის მითითებით ჩვენ, ე. ი. დიდი

მთავარი, ქალბატონი № ქალიშვილით და მე კოტეჯისაკენ გავემართეთ.

მე სურვილი მქონდა, რომ ამ სახლში ნაკლებად მდიდრული მორთულობა ყოფილიყო და მეტი ხელოვნების საგნები. ქვეითა სართული, როგორც გაჭრილი ვაშლივით წაგავს მდიდარი და მაღალი საზოგადოების ინგლისელის საცხოვრებელ ბინას, მაგრამ იქ არ მოიპოვება არც ერთი პირველხარისოვანი სურათი, არც ერთი ნამტვრევი ანტიკური მარმარილოსი, არც ერთი ქანდაკება, რომელიც ამტკიცებდეს სახლის პატრონის აშკარად გამოხატულ მიდრეკილებას მხატვრობისა და სკულპტურის შედევრებისადმი. ხელოვნებისადმი სიყვარულის უქონლობა მათ შორის, ვისაც ასე ადვილად შეუძლიან მისი დაკმაყოფილებით მუდამ სიბრალულს იწვევს ჩემში. ტყუილად ამბობენ, რომ ძვირფასი ქანდაკებანი და სურათები არ ეგუება კოტეჯის სტილს. ეს სახლი ხომ მასში მცხოვრებთა საყვარელი კუთხეა, და თუ ვინმე საცხოვრებელ ბინას თავისი გემოვნებით იშენებს და მხატვრობისადმი მიდრეკილება აქვს, ეს მისწრაფება უეჭველად გამოაშკარავდება, თუნდაც მთლიანი ჰარმონიის დარღვევით. ამ ლამაზი თავშესაფარის მოწყობილობაში ყველაზე ძალიან მე არ მომეწონა მონური წაბაძულობა ინგლისური მოდისადმი.

ქვეითა სართული ძალიან ზერელედ დავათვალიერეთ, რადგანაც გვეშინოდა, თავი არ მოგვებეზრებინა ჩვენი გამცილებლისთვის. საერთოდ ძალიან უხერხულობას ვგრძნობდი უავგუსტოესი ჩიჩერონეს იქ ყოფნით. მე ვიცი, რომ უდიდეს პირებს ძალიან არ მოსწონთ ჩვენი მორცხვობა: მათ ურჩევნიათ, რომ მათთან თავი უფრო თავისუფლად გვეჭიროს. ამის შეგნების გამო მე უფრო ცუდად ვგრძნობ თავს, რადგანაც მეშინიან, რომ მათზე სრულიად არასასურველი შთაბეჭდილება არ მოვახდინო. როდესაც ხანში შესული დარბაისელი პრინცის საზოგადოებაში ვარ, კიდევ შემიძლიან ბაასში ვნახო ხსნა, მაგრამ ახალგაზრდა, მხიარულ და უდარდელ ტახტის მემკვიდრესთან სრულიად ვიბნევი.

ძალიან ვიწრო და ინგლისურ ხალიჩებით მორთული კიბით ჩვენ ავედით მეორე სართულში, მეფის ქალიშვილების შარიამ და ოლგას ოთახებში, რომელნიც საუცხოოდ, და უბრალოდ იყვნენ მოწყობილნი.

დიდი მთავარი გაჩერდა კიბის ზემო აივანზე და მოგვმართა უაღრესი თავაზიანობით: „მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ გირჩევნიათ უჩემოთ დაათვალიეროთ ეს შენობა; ხოლო პირადად მე იმდენჯერ მინახავს იგი, რომ დიდი სიამოვნებით დაგტოვებთ მარტო

ქალბატონ №-თან, მე დედასთან ჩავალ და პარკში მოგიცდით". ამ სიტყვების შემდეგ მან ზრდილობიანად დაგვიკრა თავი და მოგვშორდა.

ზემო სართულში მოთავსებულია იმპერატორის სამუშაო კაბინეტი, რომელიც წარმოადგენს დიდ ოთახს, ბიბლიოტეკას; ეს უკანასკნელი ძალიან უბრალოდაა მოწყობილი და თავდება აივანით, რომელიც ზღვაზე გადის. იმპერატორს შეუძლია ბრძანებები გასცეს თავის ფლოტისადმი ისე, რომ კაბინეტიდან არ გამოვიდეს. ამ მიზნისთვის არსებობს ხმის გასაძლიერებელი ტილი, რუპორი და პატარა ტელეგრაფი, რომელიც თავის ხელით მოძრაობაში მოჰყავს თვით იმპერატორს.

მე ძალიან მსურდა ამ ოთახის დაწვრილებით დათვალიერება და მთელი რიგი კითხვების მიცემა, მაგრამ მეშინოდა, რომ ჩემი ცნობისმოყვარეობა კადნიერებად არ მიეღოთ. გარდა ამისა უფრო მაინტერესებს საერთო სურათი და არა ცალკე დეტალები. მე ვმოგზაურობ იმისთვის, რომ დავათვალიერო და მსჯელობა ვიქონიო ამათუ იმ საგანზე მთლიანად და არა იმისთვის, რომ გავზომო იგი და დავნომრო. ბოლოს, მე განსაკუთრებული პატივი მცეს იმით, რომ ნება დამრთეს დამეთვალიერებინა კოტეჯი, ასე ვთქვათ მასში მობინადრეთა თანდასწრებით; მე მინდოდა, ღირსი ვყოფილიყავი ასეთი ნდობისა და ვერიდებოდი ზედმეტ, დაწვრილებით დათვალიერებას. მე ჩემი აზრები გავუზიარე ქალბატონ №-ს, რომელმაც საკვლევით გაიგო ჩემი სულისკვეთება, საჩქაროდ მივედი დედოფალთან და მემკვიდრესთან და გამოვემშვიდობე მათ.

კოტეჯიდან რომ გამოვედი, ეტლში ჩავჯექი ორანიენბაუმში და გავემგზავრე — ეკატერინე II-ს განთქმულ რეზიდენციაში, რომელიც აშენებული იყო მენშიკოვის ბიერ. ეს უბედური, როგორც ცნობილია, ციმბირში იყო გადასახლებული და ვერ მოასწრო სასახლის დამთავრება, რომელიც მეტის-მეტად მეფურად იქნა მიჩნეული მინისტრისათვის. ეხლა იგი ეკუთვნის დიდ კნეინა ელენეს, ეხლანდელი იმპერატორის რძალს. ორანიენბაუმის სასახლე მდებარეობს ორისამი მილის მანძილზე პეტერჰოფიდან, ზღვის შორი-ახლო. და იმავე გორაკის გაგრძელებაზე, რომელზედაც დგას პეტერჰოფის სასახლე; იგი მედიდურად გამოიყურება, თუმცა ხისაგან არის აშენებული. მიუხედავად დიდი ფუფუნებისა და სიმდიდრისა, რომელსაც ამ სასახლეზე ხარჯავდენ მისი აშენებელი და იქ მცხოვრები დიდი ადამიანები, იგი მაინც არ გვაკვირვებს თავისი სიდიადით. ტერასები, კიბეები და დაქანებული გვერდები, ჩაფლულნი ყვავილებში, სასახ-

ლეს პარკთან ერთებენ და უაღრესად ამშვენიერებენ მას. მისი არ-ქიტექტურა თავისთავად საკმაოდ უბრალოა. დიდმა კნეინა ელენემ ჩვეულებრივი გემოვნებით ორანიენბაუმი მშვენიერ კუთხედ გადააქ-ცია, წინააღმდეგ მოწყენილ ადგილმდებარეობისა და აქ მომხდარი ტრაგედიის მოგონებისა.

სასახლის დათვალიერების შემდეგ მე ვთხოვე ჩემთვის ციხის ნაშთები ეჩვენებინათ, საიდანაც პეტრე III როპშაში გადაიყვანეს და დაახრჩეს. მე წამიყვანეს განცალკევებულ ტყეში, რაღაც საცხოვრე-ბელი ბინის ნაშთებიანში. ამომშრალი ორმოები, ნახევრად გამქრალი კედლები და ქვის ნაფგრევები — თანამედროვე რუინები,—რომელნიც იმდენად ჟამთა მსვლელობით. არ არიან წარმოშობილნი, რამდენადაც პოლიტიკური ამბებით. მაგრამ საშინელი სიჩუმე და უადამიანობა, რომელიც მოიცავს ამ წყეულ ნანგრევებს, ყოველნაირ სიტყვებზე უფრო მჭერმეტყველურად ღაღადებს იმას, რის დამალვაც სურდათ ჩვენგან. აქ, როგორც ყველგან, ოფიციალური სიცრუე უარყოფილია ფაქტებით. აქ ადამიანები ჰქრებიან, მაგრამ მათი საქმენი წაუშლელ კვალს სტოვებენ ისტორიის სარკეში. მე რომ კიდეც არ მცოდნოდა, რომ პეტრე III კოშკი დანგრეული იყო, მაინც მივხვდებოდამასი [22]). როდესაც ვხედავ, როგორ ცდილობენ აქ წარსულის მოგონების სრულიად ადმოფხვრას, მიკვირს, რომ კიდევ შეუნახავთ რაღაც. ჯნდა დაენგრიათ არა მარტო ციხე, არამედ სასახლეც, რომელიც მდებარეობს აქედან ცოტა მოშორებით. ყველა, ვინც ორანიენბაუმში მოდის, ხედავს ციხის ნაშთებს, სადაც პეტრე III აიძულეს უარი ეთქვა სამეფო ტახტზე, რაც მისთვის სიკვდილით დასჯად გადაიქცა.

ორანიენბაუმის დიდ და ჩრდილიან პარკში მე დავათვალიერე რამდენიმე პავილიონი, სადაც ეკატერინე II თავის საყვარლებს ღებულობდა. ზოგი მათგანი დიდებულია, ზოგიც ულაზათო. საერთოდ, მათი არქიტექტურა მოკლებულია სტილს, თუმცა ისინი საკმაოდ კარგნი არიან თავიანთი დანიშნულებისათვის.

პეტერჰოფში დაბრუნების შემდეგ, მე მესამე ღამე გავატარე თეატრში და დილით პეტერბურგში წავედი.

თ ა ვ ი XIV

პეტერჰოფის კატასტროფის დაწვრილებითი ცნობები.—მეფის ტახტს სიცრუე დარაჯობს.—მუნჯების ნაცია.—ყველიერის ეპიზოდი.—პოლიცია თავის „მოვალეობას“ ასრულებს.—მუშტის უფლება.—მთავრობის ტერორი.—მხეცური საქციელი ნევაზე.—პროტესტების გამოუცხადებლობა.—ცივილიზაცია ბარბაროსობას ჰფარავს.—ალექსანდრეს კოლონა.

ჩემს მიერ დღეს დილით შეკრებილი უკანასკნელი ცნობებით პეტერჰოფის კატასტროფის ზომამ ჩემს მოლოდინს გადააჭარბა; თუმცა ჩვენ ვერასოდეს ვერ გავიგებთ ამ სამწუხარო ამბავის ნამდვილ ხასიათს. ყოველ უბედურ შემთხვევას აქ უცქერიან, როგორც სახელმწიფოებრივ საქმეს. ყველაფერში ღმერთია დამნაშავე, რომელიც ივიწყებს თავის მოვალეობას იმპერატორისადმი.

პოლიტიკური ცრუმორწმუნოება, რომელიც ამ საზოგადოების სულს შეადგენს, ხელმწიფეს ხდის ყველაფრის პასუხისმგებლად რაც-კი მოხდება. როდესაც ჩემ ძაღლს სცემენ, იგი შველას ჩემგან ელის; როცა უზენაესი რუსებს რაიმე სასჯელს მიაყენებს, ისინი მეფეს მიმართავენ ხოლმე. თვითმპყრობელი, რომელიც სრულიად უპასუხისმგებლოა პოლიტიკური თვალსაზრისით, პასუხს აგებს ყველაფრისათვის. ეს ბუნებრივი შედეგია ადამიანის მიერ ღვთიური პრივილეგიების მითვისებისა. მონარქი, რომელიც თავს უბრალო მომაკვდავზე მეტად ჰრაცხს, თავის თავზე იღებს ყველა უბედურებას მოვლენილს მისი მეფობის დროს. ამ თავისებური პოლიტიკური ფანატიზმიდან გამომდინარეობენ უცნაური შედეგები, რომელზედაც წარმოდგენა არ აქვთ არცერთ სხვა სახელმწიფოში. თუმცა პოლიცია ცდილობს დაჰფაროს ასეთი უბედურებანი, რომელნიც ყველაზე ნაკლებად არიან დამოკიდებული ადამიანის ნებისყოფაზე, მაგრამ ვერ მიაღწიეს მიზანს, ვინაიდგან განუსაზღვრელ თავისუფლებას აძლევს ოცნებას. ყველანი გადმოვცემენ ერთსა და იმავე ფაქტებს სხვადასხვანაირად თავიანთი ინტერესების, შიშის, შებედულების და სულიერი განწყობილების მიხედვით ან კიდევ თავიანთი მდგომარეობის მიხედვით საზოგადოებაში და სასახლეში. თქვენ თვითონ განსაჯეთ, რა სიბნელეში დავეხეტებით, თუ რომ საუდამოდ გამოურკვეველი უნდა დარჩეს ის ამბავიც კი, რომელიც, ასე ვთქვათ, ჩვენ თვალწინ

მოხდა. აქამდის მე ვფიქრობდი, რომ ჭეშმარიტება ისევე აუცილებელია ადამიანისთვის, როგორც ჰაერი და მზე. რუსეთში მოგზაურობამ ეს რწმენა შეარყია ჩემში. სიცრუე ეს ტახტის დაცვას ნიშნავს, ხოლო სიმართლის თქმა წესწყობილების საფუძვლის დანგრევას.

აი ორი ეპიზოდი, რომლის სისწორეშიაც მე პასუხს არ ვაგებ.

ერთი ოჯახის ცხრა წევრმა, რომელნიც ერთად ცხოვრობდნენ ეხლახან მოვიდნენ პროვინციიდან, დაიქირავეს პატარა ნავი, მეჯად სუსტი და უძლური ზღვაზე ცურაობისათვის. ამოვარდა ქარიშალი. არც ერთი მათგანი ალარ დაბრუნებულა. უკვე სამი დღეა ყველა ნაპირებს ათვალიერებს და დღემდე ვერ უპოვიათ ამ უბედურთა ვერავითარი კვალი. ამის შესახებ მეზობლებმა განაცხადეს, რადგანაც მათ პეტერბურგში ნათესავები არ ჰყავთ, ბოლოს, იპოვეს მათი ნიშანი ხმელეთზე ადმოსროლილი პეტერბურგის ახლო, მაგრამ არც ერთი პასაჟირი, არც ერთი მეზღვაური არ სჩანს! აი ცხრა ნამდვილად აღრიცხული მსხვერპლი, მეზღვაურებს გარდა. და ასეთი პატარა ნავები ძალიან ბევრი იყო. დღეს დილით დაბეჭდეს დაცარიელებული სახლის კარები. იგი მდებარეობს იმ სახლის გვერდით, სადაც მე ვცხოვრობ; სწორედ ამ გარემოების გამო მე შემეძლო ამ ფაქტების გადმოცემა. უამისოდ არ შეცოდინებოდა იგი, როგორც არ ვიცი მრავალი ანალოგიური შემთხვევა. პოლიტიკური ცხოვრება უფრო მეტი წყვდიადით არის მოცული, ვიდრე პოლიარული ცა...

აი იმავე კატასტროფის მეორე ეპიზოდი.

სამი ახალგაზდა ინგლისელი (მე პირადად უფროსს მათგანს ვიცნობდი) ამ რამდენიმე დღის წინად პეტერბურგში ჩამოვიდა. მათი მამა ინგლისშია, დედა მათ კარლსბადში ელის. დღესისწაულის დღეს ორი უმცროსი ძმა პეტერჰოფში წავიდა. უფროსმა უარი სთქვა წასვლაზე და სულ იმას იმეორებდა, ცნობის მოყვარე არ ვარო. ორი ძმა კი პატარა იალქნიან ხომალდით გაემგზავრა, ისინი უყვიროდენ გასაცილებლად გამოსულ კეთილგონიერ ძმას: „ხვალამდე". სამი საათის შემდეგ ორივე დაიხრჩო მრავალ ქალთან, რამდენიმე ბავშვთან, და ორ-სამ მამაკაცთან ერთად, რომელნიც იმავე ხომალდით წამოსულიყვენ. გადარჩა მხოლოდ ერთი მეზღვაური კომანდიდან, საუკეთოვ მოცურავე: ცოცხლად გადარჩენილი ძმა ლამის ჭკუაზე შეცდეს ამ საშინელებისაგან და კარლსბადში ემზადება წასასვლელად, რათა დედას ეს საზარელი ამბავი შეატყობინოს.

თქვენ წარმოგიდგენიათ, თუ რამდენ ლაპარაკს, კამათს, მითქმა-მოთქმას და ყვირილს გამოიწვევდა ეს ამბავი ყოველ ქვეყანაში, და

განსაკუთრებით საფრანგეთში! გაზეთები დასწერდნენ და ათასეული ხმები ბანს მისცემდა, რომ პოლიცია არაფერს თვალყურს არ ადევნებს, რომ ნაციები სრულიად არ ვარგა, ხოლო შენაციები გაუმაძღარი მეკობრეები არიან, რომ ხელისუფლება არამცთუ არაფერს არ აკეთებს ამგვარი უბედურების თავიდან ასაცილებლად, არამედ ხელს უწყობს მას, დაუდევრობის, ფულის მოყვარულობისა თუ სხვა რაიმე ბიზნესების გამო. აქ კი არაფერი ამის მსგავსი არ ხდება... სიჩუმე აქ უფრო საშინელია, ვიდრე თვით კატასტროფა. ორიოდე სტრიქონი იწერება გაზეთში, ხოლო სასახლეს, ქალაქსა და მაღალ საზოგადოებაში — არც ერთი სიტყვა ითქმის ამის შესახებ. თუ რომ იქ ამის შესახებ არაფერს არ ლაპარაკობენ, სჩანს არსად არ ლაპარაკობენ. პატარა მოხელეები უფრო შეშინებულნი არიან, ვიდრე მათი უფროსები, და თუ ეს უკანასკნელნი გაჩუმებულნი არიან, მით უფრო გაჩუმებულნი არიან პირველნი, რჩებიან ვაჭრები და მეწვრილმანეები, მაგრამ ესენი ცბიერნი და გაიძვერანი არიან, როგორც ყველა, ვისაც სიცოცხლე და კეთილდღეობა სურს ამ კურთხეულ ქვეყანაში. თუ რომ ისინი მნიშვნელოვან საბიფათო საგანზე ლაპარაკობენ, ეს ხდება მხოლოდ ჩუმად და ოთხ კედელ შუა.

რუსეთს ნაბრძანევი აქვს არ ილაპარაკოს იმაზე, რასაც დედოფლის აღელვება შეუძლიან. ამგვარად მას შესაძლებლობას აძლევენ იცოცხლოს და მოკვდეს ცეკვით. „ახ, ეს ეწყინება მას! გაჩუმდით". ამიტომ იხრჩობიან ბავშვები, მეგობრები, ნათესავები და ვერავინ ბედავს ტირილს. აქ ყველა მეტისმეტად უბედურია, რომ იჩივლოს და უკმაყოფილება გამოსთქვას. რუსეში ბუნებრივი კარისკაცები არიან: ჯარისკაცები, ლვდლები, ჯაშუშები, ციხის დარაჯები და ჯალათები ყველანი მონურად მორჩილების მოვალეობას ასრულებენ.

მე ხშირად ვიმეორებდი ჩემს გულში: აქ ყველაფერი უნდა დაინგრეს და ხელახლად შეიქმნას ხალხი.

წარლვნაზეც კი უხერხული იქნებოდა ლაპარაკი, იმპერატორ ნიკოლოზის მეფობის დროს რომ მომხდარიყო იგი. რუსის ხალხი მუნჯთა ნაციაა. თითქოს ვილაც ჯადოქარს ეს სამოცი მილიონი ხალხი ავტომატებად გადაუქცევია, ეს რომელნიც მეორე ჯადოქრის მაგიერ ჯოხის დაქნევას ელიან რათა განახლებული სიცოცხლე დაიწყონ. ეს ქვეყანა მხინარე მზეთუნახავის კოშკს მომაგონებს: ყველაფერი ბრწყინავს, ფელგან ოქროა და სილამაზე, აკლია მხოლოდ თავისუფლება, სიცოცხლე.

სიჩუმის სენი ჯფრო ფართოდ არის განვითარებული რუსეთში, ვიდრე ამას ფიქრობენ. პოლიცია, ასე დახელოვნებული და მარდი,

როდესაც საჭიროა ხალხის ტანჯვა, სრულიად არ ჩქარობს, როცა მას დახმარებისათვის მიმართავენ.

აი მაგალითი ასეთი განზრახი უმოქმედობისა.

წელს ყველიერში ერთმა ჩემმა ნაცნობმა ქალმა კვირა დღეს მოახლე გოგო გაუშვა გარეულ. გადის ღამე და მოახლე არ ბრუნდება. დილით შეშინებული ქალი პოლიციაში კაცს გზავნის რაიმე ცნობის მისაღებად. იქ უპასუხებენ, რომ წარსულ ღამეს პეტერბურგში არაფერი მომხდარა და ამიტომ უეჭველია გოგო უვნებელი დაბრუნდება სახლშიო. გადის დღე და არაფერი ისმის ამ მოახლე გოგოზე. მეორე დღეს ამ უბედურის ერთ-ერთ ნათესავს, ახალგაზდა კაცს, რომელმაც კარგად იცის პოლიციის საიდუმლო ხრიკები, აზრად მოუვიდა ანატომიურ თეატრში შესვლა. შესვლის უმალვე იგი ხედავს მაგიდაზე თავის ბიძაშვილის გვამს, რომელიც გამზადებული იყო გასაჭრელად.

როგორც რუსი ადამიანი იგი საკმაოდ თავდაჭერილი იყო და დამალა თავისი აღელვება.

— ვისი გვამია?

— არაფერი არ ვიცით. ეს გოგო გუშინწინ მკვდარი უპოვიათ ქუჩაში. ფიქრობენ, რომ იგი დახჩობილია ვილაც უცნობი ბოროტგანმზრახველების მიერ, რომელნიც ცდილან მის ძალით გაუპატიურებას.

— ვინ არიან ეს „უცნობნი"?

— რა ვიცით? ეს შემთხვევა საერთოდ საბნელით არის მოცული. შეიძლება სხვადასხვა მოსაზრება დავუშვათ, მაგრამ ამის დასამტკიცებელი საბუთი-კი არ არსებობს.

— როგორ ჩაგივარდათ ხელში გვამი?

— ეს გვამი ჩვენ პოლიციამ მოგვყიდა ჩუმად: ამიტომ, ფრთხილად იყავით, არაფერი წამოგცდეთ.

უკანასკნელი ფრაზა აუცილებელი დაბოლოებაა ყოველი რუსის ან გარუსებულის სჯაბაასისა. ზნეჩვეულებისთვის დამახასიათებელია სრული სიჩუმე, რომლითაც გარემოცულია ამგვარი საშინელი ამბები.

დალუპული გოგოს ნათესავი გაჩუმებული იყო, როგორც მკვდარი და მისმა დიასახლისმაც ვერ გაბედა ჩივილი. და მე შეიძლება ერთადერთი ადამიანი ვიყავი, რომელსაც მან ამ ტრაგედიის შესახებ უამბო ექვსი თვის შემდეგ, ვინაიდგან მე უცხოელი ვიყავი და ვუთხარი, რომ არაფერს არ ვწერმეთქი.

ხომ ხედავთ, როგორ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას რუსი პოლიციის დაბალი მოსამსახურეები? ვმიბობ, რომ ამ ფაქტებმა

სიტყვიერ დარიგებას თან მოჰყვება მოქმედება, რომელიც სამუდამოდ აღბეჭდავს ამ სიტყვებს უბედურ დამნაშავეთა მეხსიერებაში. რუსის უბრალო ხალხი თავის სიცოცხლეში იმდენივე ცემა-ტყეპას იტანს, რამდენსაც თავს იხრის იგი. ერთიც და მეორეც შემოღებულია აქ ხალხის სოციალური აღზრდის მეთოდის სახით. ცემა შეიძლება მხოლოდ განსაზღვრულ კლასთა ადამიანებისა და ცემის უფლებაც მხოლოდ განსაზღვრულ კლასების ადამიანებს აქვთ.

მე უკვე აღვნიშნე თავაზიანობა, რომელიც გავრცელებულია რუსის მოსახლეობის ყველა კლასებს შორის, და ის, თუ რა ფასი აქვს მას სინამდვილეში. აქ მე მოგითხრობთ რამდენიმე ამბავს, რომელიც ყოველ დღე ხდება ჩემ თვალწინ.

მეეტლეები შეხვედრის დროს ერთმანეთს ქუდებს უხდიან ცერემონიით. იმ შემთხვევაში, როცა ისინი პირადი ნაცნობები არიან, ხელი ტუჩებთან მიაქვთ და ჰკოცნიან მას, თანაც თვალს ჭუტავენ და ფამილიარულად იღიმებიან. განა ეს თავაზიანობა არ არის? მაგრამ აი მეორე სურათიც: რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაზე, მე ვხედავ ვიღაც კურიერს, ფელდიეგერს თუ სხვა უფრო მაღალი რანგის მოხელეს, რომელიც გადმოხტა თავის ეტლიდან, მიირბინა ერთ-ერთ ამ ზრდილობიან მეეტლესთან და მას უმოწყალოდ ცემა დაუწყო. მას შეუძლიან სცემოს ასე, რაც ძალლონე აქვს, მუშტებით, ჯოხით და მათრახით მკერდში, სახეში, თავში და საღაც მოხვდება. და ეს უბედური, დამნაშავე მხოლოდ იმაში, რომ მას საჩქაროდ გზა არ აუქცია, არავითარ ინააღმდეგობას არ უწევს თავის მტანჯველს მისი მუნდირისა და კასტისადმი მორჩილების გამო. დამნაშავის ასეთი უსიტყვო მორჩილება ყოველთვის არ ამოკლებს ეკზეკუციის ვადას.

მე ვნახე, რომ ერთმა ამგვარმა კურიერმა, რომელიც მინისტრის შიკრიკმა, თუ იმპერატორის ადიუტანტის ლაქიამ, გადმოათრია კოფოდან ახალგაზრდა მეეტლე და სცემა ვიდრე მთელი სახე არ გაუსისხლიანა. ამ ბეცურმა საქციელმა არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა გაძვლელებზე; ხოლო ნაცემის ერთმა ამხანაგთაგანმა, რომელიც იქვე ახლო ცხენებს წყალს ასმევდა, იმ ადგილს მიირბინა ბრაზმორეული ფელდიეგერის დაძახებაზე და აღვირით ამ უკანასკნელის ცხენი ეპირა იმ დრომდე, ვიდრე მან არ ინება ეკზეკუციის გათავება. აბა სცადეთ და სხვა რომელიმე ქვეყანაში ვისმეს ხალხიდგან დახმარება მოსთხოვეთ მისი ამხანაგის საცემად. მაგრამ, სჩანს, მცემელის მუნდირი და სამსახურებრივი მდგომარეობა მას ამ-ს უფლებას აძლევდა. ამნაირად, სასჯელი კანონიერი იყო. მაგრამ, მით უარესი ქვეყნისთვის, სადაც ამგვარი კანონები არსებობს.

ეს ამბავი მოხდა ქალაქის საუკეთესო ნაწილში სეირნობის დროს. როდესაც ამ უბედურს თავი დაანებეს, მან მშვიდად ჩამოიწმინდა ლოყებზე გადმომჩქეფარე სისხლი, ავიდა კოფოზე და განაგრძო თავაზიანად თავისი პროფესიის ამხანაგების მისალმება.

ყოველდღე მესმის დიფირამბები პეტერბურგის მოსახლეობის მიმართ მისი უწყინარი და მშვიდობიანი ხასიათის გამო. სხვა ქვეყანაში მე აღფრთოვანებული ვიქნებოდი ასეთი სიმშვიდით და სიწყნარით. აქ კი იგი ბოროტების ულაშინლეს სიმპტომად მიმაჩნია, რომელიც ამ ქვეყანას ანადგურებს თვითმპყრობელობის დროს. ადამიანები იმდენად ძრწიან, რომ თავიანთ შიშს მალავენ მშვიდობიანობის ნიღაბ ქვეშ, რომელიც სასიამოვნოა მჩაგვრელისთვის და გამოსადეგი ჩაგრულისათვის. მტარვალებს მოსწონთ, როდესაც ირგვლივ იღიმებიან. იმ ტერორის გამო, რომელიც ყველას თავს დასტრიალებს, მონური მორჩილება მოქმედების ურყევ წესად ხდება. ჯალათნი და მათი მსხვერპლნი ერთნაირად არიან დარწმუნებულნი ბრმა მორჩილების აუცილებლობაში.

პოლიციის ჩარევა ჩხუბში უფრო მეტად საგრძნობ უსიამოვნობას აყენებს მოჩხუბრებს, ვიდრე გაშმაგებულ ქიდილში მოხვედრილი მუშტები. ამიტომ ასეთ შემთხვევებში ცდილობენ, რაც შეიძლება ნაკლები ხმაურობა იყოს, რათა არ მიიქციონ წესიერების დამცველის ყურადღება. ამ ჩვეულების დავიწყებას, როგორც მე დღეს დილით დავრწმუნდი, ფრიად სამწუხარო შედეგები მოსდევს.

მე მივდიოდი არხის სანაპიროზე, რომელიც ჩვეულებრივ დატვირთული იყო ხეებით სავსე ბარჟებით. მტვირთავებს შორის ერთ ბარჟაზე უეცრივ ჩხუბი ატყდა, რომელიც მალე ხელჩართულ ბრძოლად გადაიქცა. როდესაც ჩხუბის დამწყებმა იგრძნო, რომ მისი საქმე ცუდად არის, მოჭქულსა და ციყვის სიმარდით აცოცდა ნავის მაღალ ანძაზე. ამ მომენტამდე ეს სცენა საკმაოდ გასართობად მიმაჩნდა. გაქცეული შეჯდა ამ ანძაზე და იქიდან დაცინვა დაუწყო თავის უფრო ნაკლებად მოხერხებულ მოწინააღმდეგეს. როდესაც ამ უკანასკნელებმა თავი მოტყუებულად იგრძნეს, დაივიწყეს, რომ რუსის მეფის კეთილი და ზრდილობიანი ქვეშევრდომნი იყვნენ და თავიანთი რისხვა ველური ყვირილით და მუქარით გამოხატეს. მეომართა ყვირილზე სამხედრო მოქმედების ადგილას ჩნდება ორი მოდარაჯე პოლიციელი და უბრძანებს საზოგადოებრივი მყუდროების დარღვევის მთავარ მიზეზს ძირს ჩამოვიდეს. იგი უარზეა. პოლიციელი გადაეშვება ბარჟის ბაქანზე და იმეორებს ბრძანებას. ურჩი კვლავ განაგრძობს

წინააღმდეგობას და ანძას ეჭიდება. მაშინ ხელისუფლების გაშჭაგებული წარმომადგენელი თავისი პერსონით აიჩაჩხება ანძაზე და ამას ისე მოსწრებულად ახერხებს, რომ ფეხით დაითრევს „ბუნტოვშჩიკს". და როგორ ფიქრობთ, რას შვრება იგი? მთელი ძალღონით ითრევს ძირს და არ ფიქრობს შედეგებზე. უბედურს ალბად იმედი გადაუწყდა და როდესაც დარწმუნდა, რომ ხსნა აღარსაიდან არის, დაემორჩილა ბედს. გაუშვა ხელები, ორი ადამიანის სიმაღლიდან ქვასავით წამოვიდა ძირს, უგრძნობლად დაეცა შეშის გროვაზე.

შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, რა მძიმედ დაეცემოდა იგი. ამ უბედურმა მთელი ძალღონით დაარტყა თავი შეშას. მე მომესმა ამ დარტყმის ხმა, თუმცა ორმოცდაათი ნაბიჯის მანძილზე ვიდექი იმ ადგილიდან, სადაც ეს უბედურება მოხდა. მეგონა, რომ ის უბედური იქვე მოკვდა, მთელი პირისახე სისხლში ჰქონდა მოსვრილი. მაგრამ იგი მხოლოდ ძალიან იყო დარეტიანებული და როდესაც გონს მოვიდა, ფეხზე წამოდგა. მას მომაკვდავის ფერი ედო. რამდენადაც-კი შესაძლებელი იყო ამის შემჩნევა სისხლის ნიაღვარში.

„ბუნტოვშჩიკი" წაიყვანეს, თუმცა დიდხანს საშინელ წინააღმდეგობას უწევდა. პარჟის ნაპირას მოადგება პატარა ნავი რამდენიმე პოლიციელით. ტყვეს ხელფეხს უკრავენ და პირქვე აგდებენ ნავში. ამ მეორე წაქცევას, რომელიც პირველზე მსუბუქი არ არის, თან ეროსდევს მუშტების სეტყვა. მაგრამ წამება ამით არ თავდება. პირველი პოლიციელი, ანძაზე ასული გმირი, ზურგზე შეახტება წაქცეულ მოწინააღმდეგეს და ფეხებით სრესავს მას, როგორც ყურძენს საწნახელში. წარმოუდგენელი ეკზეკუციას მოსდევს საბრალო მსხვერპლის არაადამიანური ყვირილი და კვნესა. როდესაც ეს ხმაურობა ცოტა მიწყნარდა, მე სისუსტე ვიგრძნე და გავიქეცი. სულ ერთია მე აქ ვერაფერს გავხდებოდი, ნახვით კი ძალიან ბევრი ვნახე.

აი რის მოწმე ვიყავი შუადღისას სატახტო ქალაქის ქუჩაზე. მე გამოვიდი სასეირნოდ და დასასვენებლად, როგორც დაღლილი მოგზაური, რომელიც თავის შთაბეჭდილებებს აღწერს. მაგრამ ჩემი აღშფოთება იმდენად ძლიერი იყო, რომ მაიძულა ისევ კალმისთვის მომეკიდა ხელი.

ყველაზე ძალიან მე ის მაშფოთებს, რომ რუსეთში უაღრესი სიმშვენიერე უსაზიზღრეს ბარბაროსობას ეგუება. მაღალ საზოგადოებაში რომ ნაკლები ფუფუნება და სიმდიდრე ყოფილიყო, უბრალო ხალხის ნაკლებ სიბრალულს აღმიძრავდა. მდიდრები აქ ღარიბების თანამოქალაქეები არ არიან. ზემოდაღნიშნული ფაქტები, და ყველაფერი რაც მათში იმალება, შემაძულებდა ყველაზე ულამაზეს ქვეყა-

ნას დედამიწის ზურგზე. მით უფრო მეზიზღება ეს გაფერადებული ჭაობი და შელესილი საფლავი. „ეს ხომ გადაჭარბებაა!“—წამოიძახებენ რუსები:—„ეს ხომ მაღალი ფრაზებია სულ უმნიშვნელო საგნებზე“. მე ვიცი, რომ თქვენ ამას უმნიშვნელოდ სთვლით და მეც სწორედ ამაში გამტყუნებთ! თქვენ შეეჩვიეთ ამგვარ საშინელებას, ამით აიხსნება თქვენი გულგრილობა, მაგრამ იგი არ ამართლებს ამ საშინელებას. იმ თოკებს, რომლითაც თქვენ თვალწინ ადამიანს ხელფეხს უკრავენ, თქვენ იმაზე მეტ ყურადღებას არ აქცევთ, ვიდრე თქვენი ძაღლების საყელოებს.

შუადღისას, ჭოავალი ხალხის თვალწინ, რომ სასიკვდილოდ ჩცემენ ადამიანს, გაუსამართლებლივ და გამოუძიებლივ—ეს ბუნებრივად მიაჩნია საზოგადოებას და პოლიციის მაძებრებს პეტერბურგში, ახნაურები და „მეშჩანები“, სამხედრო და საერო პირები, მდიდრები და ღარიბები, დიდი და პატარა, კარგად ჩაცმული და დაგლეჯილი,—ყველა გულგრილად უცქერის მის თვალწინ მომხდარ სასაძაგლეს და არ ფიქრობს, რამდენად კანონიერია ასეთი ძალადობა. მე ვერ ვნახე რაიმე აღშფოთების ან გაკიცხვის გამოხატულება მათ სახეზე, მაყურებელთა შორის კი საზოგადოების ყველა კლასის ადამიანები იყვნენ. განათლებულ ქვეყნებში ხელისუფლების აგენტების თვითნებობისაგან მოქალაქეს მთელი თემი იცავს. აქ კი მოსამსახურე პირებს ეს თვითნებობა იცავს შეურაცყოფილის სამართლიან პროტესტებისაგან. მონები საერთოდ პროტესტს არ აცხადებენ.

ნიკოლოზ იმპერატორმა ახალი სისხლის სამართლის დებულება შეადგინა. თუ ზემოდაღნიშნული ფაქტები ამ კოდექსის მუხლებს არ ეწინააღმდეგება, მით უარესი კანონმდებლისთვის. თუ ისინი უკანონოა, მით უარესი მმართველისთვის. ორივე შემთხვევაში პასუხისმგებლობა იმპერატორს ეკისრება. რა უბედურებაა, როდესაც მხოლოდ ადამიანი ხარ და უფალი ღმერთის მოვალეობას კისრულობ! აბსოლუტური ძალა-უფლება მხოლოდ ანგელოსებს უნდა მიაკუთვნო.

გადმოცემულ ფაქტების სისწორეში მე პასუხს ვაგებ—მე იქ არაფერი არც მიმიმატებია და არც დამიკლია და მათ შესახებ ცოცხალი შთაბეჭდილების ქვეშ ვწერდი, როცა ყველა წვრილმანი დეტალები ჯერ კიდევ წაუშლელი იყო ჩემს მეხსიერებაში.

ხალხის ზნე-ჩვეულებანი შედეგია ურთიერთ გავლენისა კანონებსა და ჩვეულებებს შორის. ისინი ჯადოსნური ჯოხის გაქნევით კი არ იცვლებიან, არამედ ფრიად ნელნელა და თანდათანობით. რუსების ზნე-ჩვეულებანი, ამ ნახევრად ბარბაროსულ თემის ყველა პრე-

ტენზიების წინააღმდეგ, ჯერ კიდევ ძალიან მკაცრია და სასტიკი, და ალბად კიდევ დიდხანს დარჩება ასე. სულ ას წელზე მეტი არც-კი გასულა, რაც ისინი ნამდვილი თათრები იყვნენ. და ევროპიული ელეგანტობის ნიღაბ ქვეშ ცივილიზაციას ამ მეტიჩარეობის უმრავლესობას შეუნარჩუნებია დათვის ქურქი, მხოლოდ ბეწვი მოუქცევია შიგნით. მაგრამ საკმარისია ოდნავ ააფხიკო ზემოდან და გარეგ გამოჩრილ ბალანს დაინახავთ.

განა იმ გარემოებიდან, რომ ველურს განათლებული ადამიანის პატივმოყვარეობა აქვს, ის გამომდინარეობს, რომ იგი მიუახლოვდა კულტურას? მე უკვე ვთქვი და კიდევ ვიმეორებ: რუსებს იმდენად არ სურთ, რომ მართლა განათლებულნი იყვნენ, რამდენადაც ცდილობენ, რომ თავი მოგვაჩვენონ განათლებულად. არსებითად კი ისინი ბარბაროსებად რჩებიან. საუბედუროდ ამ ბარბაროსებმა თოფის ხმარება იციან. ნიკოლოზის განზრახვები ამტკიცებს ჩემ შეხედულებას. იგი ჩემზე უფრო ადრე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მატყუარა გარეგნობის დრო უკვე წავიდა რუსეთისათვის და ხელახლად უნდა გადაკეთებულ იქნეს ცივილიზაციის მთელი შენობა. მან გადასწყვიტა ახალი საძირკველი ჩაუყაროს მას. პეტრე, დიდად წოდებული, ამ შენობას მეორედ დაანგრევდა საძირკვლამდე, რათა ხელახლად აეშენებია იგი. ნიკოლოზი უფრო მოხერხებულია და ფრთხილი. იგი მალავს თავის მიზნებს, რათა უფრო მალე მიაღწიოს მათ.

ხელმწიფის შეხედულებანი ამ ჟამად პეტერბურგის ქუჩებსაც კი ეტყობა. იგი აღარ კმაყოფილდება სახელდახელოდ აგებულ შენობებით უბრალოდ გალესილ აგურებისაგან. ქვა ყველგან აგურის ალაგს იჭერს და მალე დიდი და მასიური არქიტექტურის შენობები განდევნიან ცრუ კლასიკურ დეკორაციებს. უნდა დაუბრუნო ხალხს თავის პირვანდელი ხასიათი, რათა იგი ნაშდვილი ცივილიზაციის ღირსი შეიქმნას, რათა ხალხმა მიაღწიოს ყველაფერს, რის უნარიც აქვს, მან უცხოელებს კი არ უნდა მიჰბაძოს, არამედ თავისი საკუთარი ნაციონალური სული განავითაროს.

ერთ მშვენიერ დღეს სამოცდაათი ათასი ჯარის კაცი და უამრავი ხალხი იმპერატორის მეთაურობით გამოიშალა ვეებერთელა მოედანზე, რათა სამლოთო სიჩუმით დასწრებოდნენ სვეტის აღმართვას, რომელიც აგებული იყო ფრანგ ბ-ნ მონფერანის პროექტის მიხედვით. (ფრანგები ჯერ კიდევ საჭირონი არიან რუსებისთვის). რთული მანქანები საუცხოოდ მოქმედებენ, და იმ წუთს, როდესაც კოლოსალური სვეტი, თითქოს გაცოცხლებული და ბორკილებიდან

განთავისუფლებული, სულ მაღლა-მაღლა ადიოდა, ჯარი და მთელი ბრბო და თვით იმპერატორი, როგორც ერთი ადამიანი, ისე დ-ეცენ მუხლებზე, რათა მადლობა შეეწირათ ღვთისადმი იმ სასწაულისა და დიად საქმეებისათვის, რომელსაც იგი შთააგონებს თავის ხალხს.

თ ა ვ ი XV

პეტერბურგი უხელმწიფოდ.—რანგების ტაბელი.—ბრძოლა „ჩინებისათვის“. —ოცნება მსოფლიო ბატონობაზე.—ჩინური ცერემონიები.—უნდობლობა უცხოელებისადმი.—ფორმალობა საზღვარგარეგ წასვლის დროს.—ანტიკური ქვეყნის პაროდია.—ნევის სანაპიროები.—პეტერბურგის „სობოროები“.—ერმიტაჟი.—პუშკინის დუელი.—ნიკოლოზის ფარისევლური მწუხარება.—ლერმონტოვის გადასახლება.—კავკასია რუსი პოეტების სკოლაა.

არაფერი არ არის იმაზე მოსაწყენი, ვიდრე სანკტ.-პეტერბურგი იმპერატორის იქ არ ყოფნის დროს. მართალია ეს ქალაქი საერთოდ არ არის მხიარული, მაგრამ იგი უდაბნოს ემსგავსება, როდესაც ხელმწიფე და მისი სასახლე იქ არ არის. როგორც ცნობილია, იგი წყალდიდობის მუდმივი შიშის ქვეშ ცხოვრობს და როდესაც დღეს დაცარიელებულ სანაპიროებზე და ბულვარებზე გავიარე, მე ვფიქრობდი ჩემს გულში: „პეტერბურგს წყალი წაიღებს; მცხოვრებნი გაიქცევიან და წყალი ისევ დაეპატრონება ჭაობს. ამ შემთხვევაში ბუნება უფრო ძლიერი აღმოჩნდება ადამიანზე“. მაგრამ მიზეზი სულ სხვაა. პეტერბურგი მოკვდა, რადგანაც ნიკოლოზი პეტერჰოფშია.

მხოლოდ მეფეს შეუძლიან დაასახლოს ეს სამხედრო ბანაკი, მუდამ ცარიელი და მიტოვებული, როცა პატრონი იქ არ არის. მხოლოდ მეფე უნერგავს გრძნობებს და სურვილებს ავტომატებს, იგი ჯადოქარია, რომელიც აღვიძებს რუსეთს. საკმარისია წავიდეს სადმე და მას კვლავ ძილი შეიპყრობს. როდესაც სასახლე მიდის, პეტერბურგი თეატრალურ დარბაზს ემსგავსება სპექტაკლის შემდეგ. მას შემდეგ, რაც მე პეტერჰოფიდან დავბრუნდი, ველარ ვცნობ მდიდრულ სატახტო ქალაქს. ეს ის ქალაქი აღარ არის, რომელიც ამ ოთხი დღის წინად დავტოვე. მაგრამ იმპერატორი რომ დღეს უკან დაბრუნდეს, ხვალ ყველაფერი გამოცოცხლდება და ამოძრავდება და რაც დღეს მოსაწყენია, ხვალ უაღრესად საინტერესო იქნებოდა. კაცი რუსი უნდა იყოს, რომ გაიგოს, რა ძალა აქვს იმპერატორის შეხედვას. მის დანახვაზე ქვეშინით დაავადებული თავისუფლად სუნთქავს, დამბლიან მოხუცს უბრუნდება სიარულის უნარი, ავადმყოფები იკურნებიან, შეყვარებულნი ივიწყებენ თავის ვნებათა ღელვის საგანს

და ახალგაზდები აღარ ფიქრობენ პარტიებზე. ყველა ადამიანურ მისწრაფებების, ზრახვების და სურვილების ადგილს იჭერს ერთი ყველაფრის შემცნობი ვნება—პატივმოყვარეობა, ერთი ყველაფრის დამძლევი აზრი—დაწინაურდე აუცილებლად და რათაც არ უნდა დაგიჯდეს ეს, ახვიდე შემდეგ საფეხურზე და ეღირსო ბრძანებლის ღიმილის დანახვას. ერთი სიტყვით მეფე—ღმერთია, სიცოცხლე და სიყვარული ამ უბედურ ხალხისთვის.

მაგრამ, როგორ მივიდნენ რუსები ამ სრულ თვითუარყოფამდე და ადამიანურ ღირსების ასეთ სრულ დავიწყებამდე? რა საშუალებით მიაღწიეს ამგვარ შედეგებს? ეს საშუალება სულ უბრალოა—„ჩინი“. ჩინი გალვანიზმია, რომელიც სიცოცხლის სახეს აძლევს სხეულს და სულს, ერთად ერთი ვნებაა, რომელიც ყველა ადამიანურ ვნებათა ადგილს იჭერს. მე თქვენ გიჩვენეთ მოქმედება, წარმოშობილი ჩინით. ეხლა უნდა გითხრათ, თუ რას წარმოადგენს იგი.

ჩინი—ნაციაა, დარაზმული პოლკებად და ბატალიონებად, სამხედრო რეჟიმი, გავრცელებული საზოგადოებაზე და სხვადასხვა წოდებებზე, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო სამხედრო საქმესთან. მას შემდეგ, რაც შემოღებულია ეს იერარქია, ადამიანს, რომელსაც არასოდეს თვალითაც არ უნახავს იარაღი, შეუძლიან „პოლკოვნიკის“ ხარისხი მიიღოს.

პეტრე დიდმა (ჩვენ ყოველთვის მას უნდა დავუბრუნდეთ, რათა გავიგოთ თანამედროვე რუსეთი) იგრძნო ერთხელ, რომ ზოგიერთი ეროვნულ ცრუმორწმუნოებას, დაკავშირებულს წინა-ისტორიულ წყობილებასთან, შეუძლიან ხელი შეუშალოს მას მისი გეგმების განხორციელებაში. მან შეამჩნია, რომ ზოგიერთი მის ჯოგში იხრებიან მედმეტი დამოუკიდებლობისაკენ და ერთგვარი თავისუფალი აზროვნებისკენ. და აი, რათა ბოლო მოეღო ამ ბოროტებისათვის, რაიცა ყველაზე არა სასიამოვნო იყო და მძიმე ასატანი გამჭრიახი და ენერგიული გონებისათვის, რომელიც ამავე დროს იმდენად შეზღუდული იყო, რომ არ ესმოდა, რამდენად სასარგებლოა მცირეოდენი თავისუფლება თვით ბმართველთათვის,—ამ დიდმა ოსტატმა ძალადობის და თვითნებობის საქმეში ვერაფერი ვერ გამოიგონა იმაზე უკეთესი, რომ დაეყო თავისი ჯოგი, ე. ი. ხალხი სხვადასხვა კლასებად; ამ კლასებს არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდათ ამა თუ იმ პიროვნების წარმოშობასთან. ამნაირად, იმპერიის პირველი დიდკაცი შეიძლება მოხვდეს უკანასკნელ კლასში, ხოლო მისი ყმის შვილი პირველი კლასამდე ავიდეს მონარქის სურვილით. ერთი სიტყვით ყველა იღებს ამა თუ იმ ადგილს ხელმწიფის წყალობის მიხედ-

ვით. ამგვარად „ჩინის“ შემაღლებით, პეტრე დიდის ამ ერთ-ერთ უდიდესი საქმით, რუსეთი საჭოცმილიონიან პოლკად გადაიქცა.

პეტრეს მშვენივრად ესმოდა, რომ, ვიდრე მის ქვეყანაში არისტოკრატია არსებობს, თვითმპყრობელობა ფიქციად დარჩება. ამიტომ მან განიზრახა თავის გულში: „ნამდვილი თვითმპყრობელი რომ გაეხდე, ფეოდალიზმის უკანასკნელი ნაშთები უნდა მოვსპო, ხოლო ამის მისაღწევად, ყველაზე უკეთესი იქნება შევქმნა არისტოკრატების კარიკატურა, ე. ი. მოვსპო და დავიმორჩილო დიდკაცობა“. თავადაზნაურობა კი არ მოისპო, არამედ გარდაიქმნა, ე. ი. არარაობად იქცა მის მიერ, რამაც მისი ადგილი დაიჭირა, ხოლო კი ვერ შესცვალა. საკმარისია კაცი ახალი იერარქიის წევრი გახდე, რომ თავის დროზე მემკვიდრეობის აზნაურობას მიაღწიო. ამგვარად პეტრე დიდმა თითქმის მთელი საუკუნით გაუსწრო წინ თანამედროვე რევოლიუციებს და დაანგრია ფეოდალური წყობილება.

საზოგადოების ამ გვარი ორგანიზაციიდან გამომდინარეობს ისეთი შურის ციებ ცხელება და ისეთი მძაფრი პატივმოყვარეობა, რომ რუსის ხალხს ამ ჟამად არაფრის უნარი არ აქვს, გარდა ქვეყნის დაპყრობისა. ჩემი აზრი მუდამ ამას უბრუნდება, რადგანაც სხვა არაფრით არ შეიძლება აიხსნას უამრავი მსხვერპლი, გაღებული სახელმწიფოს და საზოგადოების ცალკე წევრების მიერ. სჩანს ხალხმა თავისი თავისუფლება გამარჯვებას შესწირა მსხვერპლად. ამ ფარული აზრის გარეშე, რომელსაც აქ ხალხი შესაძლებელია შეუგნებლად ემორჩილება, რუსეთის ისტორია ჩემთვის გაუგებარი იქნებოდა.

აქ იბადება სერიოზული საკითხი: დარჩება თუ არა ეს ოცნება ქვეყნის დაპყრობისა მხოლოდ ოცნებად, რომელიც კიდევ დიდხანს ასაზრდოვებს ნახევრად ველური ხალხის ფანტაზიას. თუ მას შეუძლიან ერთ მშვენიერ დღეს სინამდვილედ იქცეს? ეს დილემა მოსვენებას არ მაძლევს და მიუხედავათ დიდი მცდელობისა მე არ ძალმიძს მისი გადაწყვეტა. მხოლოდ ერთს ვიტყვი: მას შემდეგ, რაც მე რუსეთში ვარ, ევროპის მომავალი სიბნელით მოცული წარმომიდგება. თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ამ მოსაზრებას არ იზიარებენ ძალიან ჭკვიანი და დაკვირვებულნი ადამიანები. ეს უკანასკნელნი მარწმუნებენ, რომ მე ვაზვიადებ რუსეთის იმპერიის ძლიერებას, რომ ყოველ სახელმწიფოს აქვს თავისი ხვედრი და რუსეთის ხვედრი არის აღმოსავლეთის დაპყრობა და შემდეგ ნაწილებად დაშლა. ჩემი ოპონენტები, რომელთაც არ სწამთ სლავიანების ბრწყინვალე მომავალი, ჩემთან ერთად აღიარებენ ამ ხალხის დადებით თვისებებს, მის ნიჭს

და მის გრძნობას მშვენიერებისადმი, რაც ხელს უწყობს ხელოვნების და ლიტერატურის განვითარებას. მაგრამ, მათი აზრით ეს თვისებები საკმარისი არ არის იმ პატიემოყვარული ზრახვების განსახორციელებლად, რომლითაც შეპყრობილია რუსის მთავრობა. „რუსები მოკლებულნი არიან მეცნიერულ უნარს,—დასძენენ ჩემი მოწინააღმდეგენი,—მათ არ შესწევთ შემოქმედებითი ძალა, მათი გონება ბუნებით ზანტი და ზერელეა. თუ რომ ისინი ხელს ჰკიდებენ რამეს, ამას მხოლოდ შიშით სჩადიან. შიშმა შეიძლება ისინი აიძულოს ესა თუ ის საქმე გააკეთონ, მაგრამ იგივე შიში მათ ხელს უშლის მედგრად ისწრაფონ წინასწარ დასახული მიზნისაკენ. გენიოსობა ბუნებით ენათესავება გმირობას, იგი თავისუფლებით ცოცხლობს, მაშინ, როდესაც შიშს და მონობას მხოლოდ განსაზღვრული მოქმედების სფერო აქვთ, როგორც იმ უფერულობას, რომლის იარაღებიც ისინი არიან. რუსები კარგი ჯარისკაცები არიან, მაგრამ ცუდი მეზღვაურები; საერთოდ მათ უფრო მოუჩილება სჩვევიათ, ვიდრე თავისი ნებისყოფის გამოაშკარავება. მათ გონებას იმპულსი აკლია, ისე, როგორც მათ სულს—თავისუფლება. როგორც მუდმივ ბავშვებს შეეფერებათ, მათ შეიძლება ერთი წუთით გაიმარჯვონ უხეში ძალის სფეროში, მაგრამ ვერასოდეს ვერ გაიმარჯვებენ აზროვნების დარგში. ხოლო ის ხალხი, რომელიც ცდილობს სხვა ხალხების დაპყრობას და რომელსაც ძალა არ შესწევს მათ გასანვითარებლად, დიდ ხანს ვერ შეინარჩუნებს ძლიერებას.

ფრანგი და ინგლისელი გლეხები ფიზიკურადაც-კი უფრო ძლიერები არიან, ვიდრე რუსები. ეს უკანასკნელნი უფრო მარდნი არიან, ვიდრე კუნთებიანნი, უფრო თავშეუკავებელნი, ვიდრე ენერგიულნი, უფრო ცბიერნი, ვიდრე თაოსნიანნი. მათ აქვთ პასიური სიმამაცე, მაგრამ აკლიათ გაბედულობა და სიმტკიცე. არმია, შესანიშნავი თავისი დისციპლინით და კარგად გაწვრთნილი პარადებისთვის, რამდენიმე რჩეული კორპუსის გამონაკლისის გარდა, შესდგება ჯარისკაცებისაგან, რომელნიც სუფთად არიან ჩაცმულნი გარეგ, და საძაგლად—ყაზარმაში. ჯარისკაცების ნაცრისფერი და გამხდარი სახე იმტკიცებს მათ შიმშილს და გაჭირვებას, რადგანაც ინტენდანტები უმოწყალოდ სძარცვავენ ამ უბედურებს. ოსმალეთის ომმა ლაშქრობამ საკმაოდ ცხადად გვაჩვენა ამ კოლოსის სისუსტე. ერთი სიტყვით, სახელმწიფოს, რომელსაც დღიდან დაბადებისა არ უგემია თავისუფლება და სადაც ყველა სერიოზული პოლიტიკური კრიზისი გამოწვეული იყო უცხოეთის გავლენით,—ასეთ სახელმწიფოს მოჰაგალი არ აქვს. აქედან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ რუსეთი, მრისხანეა იმდე-

ნად, რამდენადაც იგი აზიურ ხალხს ეომება, დამარცხებული იქნება იმ დღეს, რა დღესაც იგი ნილაბს მოიხსნის და ევროპიულ სახელმწიფოებთან დაიწყებს ომს."

ასეთია, როგორც მე მგონია, იმ ჩემი ოპტიმისტურად განწყობილი მოწინააღმდეგეების უძლიერესი არგუმენტები, რომელნიც მე ბრალს მდებენ გადაჭარბებულ შიშში. ყოველ შემთხვევაში ჩემს მოსაზრებას იზიარებენ ფრიად სერიოზული ადამიანები, რომელნიც ამ ოპტიმისტებს სიბრმავისათვის ჰკიცხავენ, მათ მოუწოდებენ პირდაპირ შეხედონ საფრთხეს და იმოქმედონ, ვიდრე ეს საფრთხე აუცილებელი გახდება. მე ახლა ვდგევარ ამ ბუმბერაზთან და არ მჯერა, რომ განვებას იგი აზიური ბარბაროსობის დასაძლევად შეექმნას, მე ვფიქრობ, რომ მას გადაწყვეტილი აქვს დასაჯოს ევროპიული ცივილიზაცია ახალი შემოსევით აღმოსავლეთიდან. ჩვენ მოგვეელის საუკუნო ახიური ულელი, იგი აუცილებელი იქნება ჩვენთვის, თუ რომ ზედმეტმა ფუფუნებამ და ბიწიერებამ გაგვწირეს ასეთი სასჯელისათვის.

ნუ ელით ჩემგან მოგზაურობის სისტემატურად აწერას. მე ვწერ მხოლოდ იმას, რაც ჩემზე მძლავრ შთაბეჭდილებას ახდენს და სრულიად არ ვფიქრობ ყველა ჩემს მიერ ნახულის ჩამოთვლას: კატალოგები ისედაც ძალიან ბევრია და მე არ მსურს მათი რიცხვის გამრავლება.

რუსეთში არაფრის ნახვა არ შეიძლება უცერემონიოდ და წინასწარ მოუმზადებლად. რუსული სტუმართმოყვარეობა იმდენი ფორმალობით არის შეზავებული, რომ სიცოცხლეს უწამლაეს თვით მფარველობაში მყოფ უცხოელებსაც. ეს ფორმალობა საბაბია იმისთვის, რომ შეავიწროვონ უცხოელის მოძრაობა და შეზღუდონ მისი მსჯელობის თავისუფლება. თქვენ ზეიმით გვხდებიან და თავაზიანად გაჩვენებენ ყველა ღირსშესანიშნავ საგნებს, ამიტომ არ შეგიძლიათ გადადგათ არც ერთი ნაბიჯი, თუ გამცილებელი არ გყავთ. მოგზაურს არასოდეს მარტო არ სტოვებენ, მას დრო არ აქვს, რომ საკუთარი მოსაზრება იქონიოს, და სწორედ ამიტ მიღწევას ცდილობენ აქ; თქვენ გსურთ სასახლის დათვალიერება?—მაშინვე მოგივლინებენ კამერჰერს და ეს უკანასკნელი კოლდაკვალ დაგყვებათ, ათას წვრილმან რამეს მიაქცევს თქვენ ყურადღებას და გაიძულებთ, რომ აღფრთოვანდეთ ყველაფრით განურჩევლად. თქვენ გინდათ დაათვალიეროთ ბანაკი, დასტკბეთ მუნდირების მხატვრული ბჭყარიალით, გაეცნოთ ჯარისკაცების ცხოვრება კარვებში?—თქვენ გაგაცილებთ ოფიცერი; ხან თვით გენერალიც. ჰოსპიტალი?—თქვენ გაგყვებათ მთავარი ექი-

მი. ციხე? თქვენ მას გაჩვენებთ; ანუ უკეთ თქვენგან ზრდილობიანად დამალავს თვით კომენდანტი და სხვ... და სხვ...

თქვენ მოგბეზრდებათ ეს ჩინური ცერემონიალი და გადასწყვეტთ არ ნახოთ ბევრი რამ, ვიდრე დაუსრულებლივ ითხოვოთ ნებართვა— აი ამ სისტემის პირველი სახეირო შედეგი. თუ რომ თქვენი ცნობისმოყვარეობა განსაკუთრებით გამძლეა და არ მოგბეზდებათ სხვები თხოვნით შეაწუხოთ, მაშინ ყოველ ნემთხვევაში მუდმივ მეთვალყურეობის ქვეშ დარჩებით. თქვენ შესძლებთ მხოლოდ ოფიციალური კავშირი იქონიოთ ყოველგვარ უცროსებთან და თქვენ მხოლოდ ერთ თავისუფლებას გიბოძებენ,—თავისუფლებას, რომ გამოსთქვათ აღფრთოვანება კანონიერ ხელისუფლების წინაშე. თქვენ არაფერში არ გეუბნებიან უარს, მაგრამ ყველგან თან დაგდევენ. ამგვარად თავაზიანობა თქვენი თვალყურის დევნის წესად იქცევა.

აი-ასე გტანჯავენ თქვენ, ვითომდა განსაკუთრებული პატივისცემის და ყურადღების ნიშნად. თუშცა უნდა ითქვას, ასეთი ბედი მხოლოდ პრივილეგიით მოსილ მოგზაურების ხვედრია.

რაც შეეხება უცხოელებს, რომელნიც არ სარგებლობენ არავითარი მფარველობით, ისინი საერთოდ არაფერს არ ხედავენ. ეს ტურფა მხარე ისეა მოწყობილი, რომ თუ მოგზაურს არ ექნება უშუალო დახმარება ხელისუფლების წარმომადგენელისაგან, უცხოელი ვერ შესძლებს იქ მოგზაურობას ისე, რომ უხერხულობას ან საფრთხეს არ წააწყდეს. ხომ ხედავთ აღმოსავლეთურ ზნე-ჩვეულებას ევროპიული თავაზიანობის ნიღაბ ქვეშ? საერთოდ, რუსეთის იმპერიას, ახასიათებს აღმოსავლეთის და დასავლეთის თავისებური აღრევა და ეს აღრევა აშკარად მოსჩანს ყოველ ნაბიჯზე.

უაღრესი უნდობლობა, რომელსაც რუსი მოსახლეობის ყველა წარმომადგენლები იჩენენ უცხოელებისადმი, აიძულებს მათ თავის მხრივ ფრთხილად იყვნენ. თქვენდამი შთაგონებული შიშის გამო თქვენ ხვდებით იმ საფრთხეს, რომელიც მოგელით.

მაგალითად, პეტერჰოფში სასადილოს პატრონმა უარი უთხრა ჩემ მოსამსახურეს საზიზღარი ვაბშის მიცემაზე შინ მოსატანად და ფული წინდაწინ მოსთხოვა. მხედველობაში მიიღეთ, რომ ეს ფრთხილ სუბიექტის სასადილო ორი ნაბიჯის მოშორებით არის თეატრიდან, სადაც მე ვიშოვე თავშესაფარი. ის, რაც ერთი ხელით მიგაქვს პირთან, მაშინვე მეორე ხელით უნდა გაანაღდო. თუ თქვენ რამეს ყაჭარს შეუკვეთავთ და ბეს არ მისცემთ, იგი ამას ხუმრობად ჩასთვლის და არაფერს გააკეთებს თქვენთვის. არავის არ აქვს უფლება დასტოვოს რუსეთი, თუ წინასწარ ამას ყველა თავის კრედიტორებს არ აც-

ნობებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მან გაზეთებში სამჯერ უნდა მოათავსოს განცხადება თავისი განზრახული წასვლის შესახებ; ამასთანავე ერთი განცხადება მეორეს რვა დღით უნდა იყოს დაშორებული. ეს წესი უნდა დაცული იყოს აუცილებლად: პოლიციას რომ ფულიც მისცე „ფორმალობის შესამოკლებლად", მაშინაც კი აუცილებელია ასეთი განცხადების მოთავსება ორჯერ ან სამჯერ. ფოსტის ცხენებსაც მხოლოდ საგანგებო ატესტატის წარდგენის შემდეგ აძლევენ, უნდა დაამოწმოთ, რომ თქვენ არავისი არაფერი არ გმართებთ.

ყველა ეს წინასწარი გაფრთხილებანი იმას მოწმობენ, რომ ამ ქვეყანაში გამეფებულია არაკეთილსინდისიერება, და რადგანაც უკანასკნელ დრომდე რუსებს თითქმის ურთიერთობა არ ჰქონიათ უცხოელებთან, აშკარაა მათ შესწავლილი აქვთ ერთმანეთის მოტყუების ხელოვნება.

რაც უფრო მეტ ალფრთოვანებას ვგრძნობ იმპერატორ ნიკოლოზისადმი, მით უფრო შესაძლებელია, უსამართლო იყოს ჩემი დამოკიდებულება პეტრე დიდისადმი—ეს ყოველ შემთხვევაში შეიძლება ასე მოგვეჩვენოს. მაგრამ ნამდვილად ეს სწორი არ არის. მე ქედს ვიხრი მისი ძლიერი ნებისყოფის წინაშე, რომელმაც გაყინულ ჭაობზე, სიცოცხლე შთაბერა ისეთ ქალაქს, როგორიც პეტერბურგია. მაგრამ ჩემი გემოვნება ალშფოთებულია კლასიკური არქიტექტურის იმ უბადრუკი ნიმუშების დანახვაზე, რომლითაც მან და მისმა მემკვიდრეებმა დაასაჩუქრეს რუსეთი და ამით იგი საბერძნეთის და იტალიის პაროდიად გადააქციეს. არქიტექტურაში დასაფასებელია, უნარი შენობების უბრალო და პირდაპირი გზით იმ მიზანთან შეგუებისა, რომლისთვისაც ისინი დანიშნულნი არიან. საკითხავია, რისთვის წამოჭიმეს ამდენი სვეტები, თაღები და კოლონადები იმ ქალაქში, სადაც შეუძლებელია ცხოვრება ისე, თუ ფანჯრებს ორმაგი ჩარჩოები არ ექნა გაკეთებული? პეტერბურგში სეირნობა შეიძლება მხოლოდ მიწურ სარდაფებში და არა ჰაეროვან სვეტებიან დერეფანში. რატომ არ გაგყავთ გვირაბები თქვენ სასახლეების ქვეშ? ზეცა თქვენი მტერია. გაეძეცით მას. თქვენ ბზე გაკლიათ; მაშ იცხოვრეთ ჩირაღდნების სინათლეზე!

პეტერბურგის სანაპიროები ერთი საუკეთესო ნაგებობათაგანია ევროპაში, რადგანაც მათი სიდიადე მათს მასივობაში და მიზანშეწონილობაში მდგომარეობს. გრანიტის ბელტები იცავენ სატახტო ქალაქს ნევის წყლის მრისხანებისაგან და იმავე დროს სარტყელივით გარს არტყიან ტურფა მდინარეს საუცხოო მოაჯირებით. ნიადაგი ფეხქვეშ გვეცლება, მაშ რა ვუყოთ? ჩვენ გავაკეთებთ ქვაფენილს

კლდისაგან და ზედ აღმართავთ ჩვენ მშვენიერ ქალაქს. ამ სამუშაოს შესრულების დროს ათასობით გაწყდება ხალხი. რა ვუყოთ! სამაგიეროთ ჩვენ გვექნება ევროპიული სატახტო ქალაქი და დიდი ქალაქის სახელი. მუდამ დავტირი არა ადამიანურ სიმკაცრეს, რომლითაც შექმნილი იყო ეს ნაგებობა, მაგრამ მაინც აღფრთოვანებული ვარ მისი სილამაზით.

ჩემ აღფრთოვანებას იწვევს აგრეთვე ზამთრის სასახლე და მის ირგვლივ არსებულ შენობათა ანსამბლი. თუმცა პეტერბურგის არქიტექტურის საუკეთესო ძეგლები იკარგებიან ვეებერთელა მოედნებს შორის, რომელნიც უფრო ველებს გვანან, სასახლეს იმპოზანტური შეხედულება აქვს, ხოლო ქვიშნარის წითელი ფერი, რომლისაგანაც იგი აშენებულია, სასიამოვნოა თვალისთვის. ალექსანდრეს სვეტი, მთავარი შტაბი, ტრიუმფალური არკა შენობათა ნახევარ წრის სიღრმეში, საადმირალოს შენობა ლამაზი სვეტებით და ოქროს ნეესით, პეტრე დიდი თავის კლდეზე, სამინისტროები, რომელნიც უფრო სასახლეებს წააგვანან და, ბოლოს, შესანიშნავი, მაგრამ ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ისაკის ტაძარი, და სამი ხიდი, ნევაზე გადებული,— ყველაფერი ეს თავმოყრილია ერთ მოედანზე, ყველაფერი ეს ულამაზოა, მაგრამ განსაცვიფრებლად დიადი. ეს ვეებერთელა მოედანი ნამდვილად სამი მოედნისაგან შესდგება: პეტრესი, ისაკის და სასახლის მოედნისაგან. შეიძლება გააკრიტიკო ცალცალკე დეტალები (და არც თუ ცოტაა ეს დეტალები), მაგრამ ყველაფერი ეს მთლიანად განსაცვიფრებელია.

მე რამდენიმე ეკლესია ვინახულე. ყაზანის ტაძარი ფართოა და ლამაზი, მაგრამ კუთხიდან შედიან შიგ. საქმე ის არის რომ საკურთხეველი აუცილებლად აღმოსავლეთისაკენ უნდა იყოს მიმართული. რადგანაც ნევის „პერსპექტივის“ მიმართულება არ ეგუება ამ საეკლესიო კანონს, ამიტომ ტაძარი აშენებულია გვერდით პროსპექტისაკენ. წმინდა მამებმა არქიტექტორებს სძლიეს და რუსეთის ერთი ულამაზესი შენობა დამახინჯებულ იქნა.

სმოლნის ტაძარი—ყველაზე დიდი და მშვენიერია პეტერბურგში. იგი ეკუთვნის კონგრეგაციას, ანუ ქალების და ქალიშვილების კაპიტულს, რომელიც დაარსებულია დედოფალი ანას მიერ. ვეებერთელა შენობები, რომელთა არქიტექტურა უფრო სამხედრო დაწესებულებას შეეფერება, ამ ქალების საცხოვრებლად არის დანიშნული. როდესაც მე ამ თავისებურ დაწესებულებას ეათვალიერებდი, ჩემ თავს ვეკითხებოდი, რა არის იგი: არც მონასტერია, არც სასახლე, უფრო კი ქალების ყაზარმაა.

სმოლნის შორიახლო მოსჩანს თავრიდის პატარა სასახლე, რომელიც აშენებული იყო ეკატერინეს მიერ რამდენიმე კვირის განმავლობაში პოტიომკინისათვის. ლამაზი, მაგრამ მივიწყებული სასახლე თანდათან ინგრევა,—რუსეთში თვით ქვებსაც-კი ყურისგდება სჭირიათ, თორემ ისინი დიდხანს ვერ სძლებენ.

დავათვალიერე აგრეთვე ერმიტაჟის სურათების გალერეა—იქ შეგიძლიანთ მოხვდეთ ზამთრის სასახლიდან ხიდით, რომელიც გადებულია შესახვევზე. ერმიტაჟში შენახულია განძეულობა, განსაკუთრებით ჰოლანდიური სკოლისა. მაგრამ... მე არ მიყვარს მხატვრობა რუსეთში. ასე ახლო მანძილზე პოლიუსთან სინათლე არ უწყობს ხელს სურათებს და თოვლის სიხსპეტაკით მოჭრილ თვალისთვის ჰკრება კოლორიტის მშვენიერი ფერადები. რასაკვირველია რემბრანტის დარბაზი მშვენიერია, მაგრამ მე უპირატესობას ვაძლევ ამ ხელოვანის ნაწარმოებს, რომელიც პარიზში და სხვა ადგილებში მაქვს ნახული. განსაკუთრებით ეხდენს ერმიტაჟის კოლექციას საშუალო ტილოების დიდი რაოდენობა, რომელსაც უნდა გვერდი აუხვიო, რათა შედევრებით დასტკბე. ერმიტაჟის გალერეის მოწყობის დროს დიდ სახელებს ეძებდნენ, მაგრამ დიდ ხელოვანთა ნამდვილი ნაწარმოები ცოტაა იქ, და ყალბი სურათები გაცილებით ბევრია.

ამ დღეებში ნევის პროსპექტზე ვსეირნობდი ერთ პეტერბურგელ დარბაისელ ფრანგთან ერთად, რომელიც კარგად იცნობდა პეტერბურგის საზოგადოებას. ჩვენი ბაასი შეეხებოდა რუსული ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა მხარეებს; ჩემი თანამგზავრი ძისაყვედურებდა, რომ ძალიან გადაჭარბებული აზრისა ვიყავი რუსეთზე. სხვათაშორის ჩვენ შევეხეთ ხელმწიფის პიროვნებასაც.

— თქვენ იმპერატორს არ იცნობთ,—მითხრა ჩემმა მოსაუბრემ,—ის ძალიან არა გულწრფელი ადამიანია.

— ჩემის აზრით, მას ყველაფერი შეიძლება ვუსაყვედურო, გარდა,—პირმოთნეობისა ვუპასუხე მე.

— მაგრამ გაიხსენეთ თუნდაც მისი საქციელი პუშკინის სიკვდილის შემდეგ.

— მე დაწვრილებით არ ვიცი ეს უბედური ამბავი.

— მაგრამ, ხომ იცით, რომ პუშკინი დიდი რუსის პოეტი იყო!

— ჩვენ ამის შესახებ არ შეგვიძლიან მსჯელობა.

— მაგრამ ხომ შეგვიძლიან ვიმსჯელოთ მის სახელზე.

— სტილს უქებენ,—ვუთხარი მე.—მაგრამ ეს დამსახურება არც თუ ისე დიდია მწერლისთვის, რომელიც დაბადებულია უკულტურო ხალხში, მაგრამ მაღალი ცივილიზაციის ხანაში. მას შეუძლიან გად-

მოიღოს გრძნობები და აზრები მ„ზობელ ერებისაგან, და მაინც თავი ორიგინალურად მოაჩვენოს თავის თანამემამულეებს. ენა მთლად მის განკარგულებაშია, რადგანაც ეს ენა სრულიად ახალია. იმისთვის, რომ ეპოქა შექმნა უვიცი ხალხის ცხოვრებაში, რომლის ირგვლივ განათლებული ერები ცხოვრობენ, საკმარისია მხოლოდ თარგმნა, დიდი გონებრივი შრომის გაუღებლად. მიმბაძავი აქ შემოქმედის სახელს დაიმსახურებს.

— დამსახურებულია თუ არა—ეს სხვა საკითხია,—მიპასუხა ჩემმა მოსაუბრემ,—მაგრამ პუშკინმა დიდი სახელი მოიხვეჭა. იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა ადამიანი იყო და მეტად ფიცხი. მისი ცოლი, იშვიათად ლამაზი ქალი, პუშკინს უფრო ვნებას აღუძრავდა, ვიდრე ნდობას. დაჯილდოვებული პოეტის სულით და აფრიკანული ხასიათით, იგი ეჭვიანი იყო. და გაშმაგებული გარემოებათა შემთხვევითი დაკავშირებით და ყალბი ცნობებით, რომელიც ჩაქსოვილი იყო ცბიერებასთან, და შექსპირის ტრაგედიების სიუჟეტებს მოგვაგონებდა, უბედური რუსი—ოტელო ჰკარგავს წონასწორობას და მოითხოვს დაკმაყოფილებას ფრანგ ბ. დანტესისაგან, ვინაიდგან ეს უკანასკნელი მას თავის შეურაცყოფელ პიროვნებად მიაჩნია.

დუელი რუსეთში—საშინელი საქმეა. მას არამცთუ კანონი კრძალავს, არამედ აგრეთვე საზოგადოებრივი აზრი ჰკიცხავს. დანტესმა ყველაფერი გააკეთა, რომ ეს ამბავი არ გაეხმაურებინა. კვალდაკვალ დევნილი თავგზადაკარგულ პოეტის მიერ, იგი ღირსეულად უარს ეუბნება დუელზე, მაგრამ განაგრძობს ყურადღებით მოპყრობას პუშკინის ცოლისადმი და ბოლოს ერთავს მის დას. პუშკინი თითქმის ჭკუაზე შეშლილია. აუცილებელი დახლოვება იმ ადამიანთან, რომლის სიკვდილიც მას სწყურია, პირდაპირ შეურაცყოფად მიაჩნია. იგი ყველაფრისთვის მზად არის, რომ დანტესი თავის სახლიდან გააძევოს. საქმე იქამდის მივიდა, რომ დუელი აუცილებელი ხდება. ისინი ბარიერთან ხვდებიან ერთმანეთს და დანტესი ჰკლავს პუშკინს. ის, ვისაც საზოგადოებრივი აზრი ჰკიცხავს, გამარჯვებული გამოვიდა, ხოლო შეურაცყოფილი მეუღლე, სახალხო პოეტი და უდანაშაულო მსხვერპლი დაიღუპა.

ამ სიკვდილმა დიდი აღელვება გამოიწვია. მთელი რუსეთი ძაძებით შეიმოსა. პუშკინი—ეს საუცხოვო ოდების შემქნელი, ქალების სიამაყე, პოეტი, რომელმაც აღადგინა სლავიანური პოეზია, პირველი რუსი პოეტი, ვისმა სახელმაც თვით ევროპის ყურადღება დაიპყრო, მოკლედ, აწმყოს დიდება და მომავლის იმედი—ყველაფერი დაიღუპა! დაიმსხვრა კერპი საკუთარ ტაძრის თაღებ ქვეშ, სიცოცხლით

ალსავსე გმირი ბრძოლის ველზე დაეცა ფრანგის ხელით, რაოდენმა ზიზღმა და შურისძიებამ იფეთქა! პეტერბურგი, მოსკოვი და მთელი იმპერია აღელვებულია, საყოველთაო ტრაური მოწმობს ქვეყნის დიდებას, რომელსაც შეუძლიან უთხრას ევროპას: „მე ჩემი პოეტი მყავდა და მე ვამაყობ, რომ დავტირი მას".

იმპერატორი, რომელიც ყველაზე უკეთესად იცნობს რუსებს და მშვენივრად აქვს შეგნებული მლიქვნელობის ხელოვნება, ჩქარობს შეუერთდეს ამ საერთო მწუხარებას. მონარქის თანაგრძნობა იმდენად ხიბლავს რუსის სულს, რომ პატრიოტიზმს ულვივებს ერთ ყმაწვილს, რომელიც დაჯილდოვებულია დიდი ნიჭით. ეს მეტად გულუბრყვილო პოეტი, გამსჭვალული აღფრთოვანებით თავის უავგუსტოესი მფარველობისადმი, რომელიც წილად ხვდა პირველს პოეტებ შორის, ბედავს დასწეროს ოდა... გესმით, რა გამბედაობაა,— პატრიოტული ოდა და ამასთანავე მადლობის გრძნობის გამოცხადება მონარქისადმი, რომელიც მოევლინა ხელოვნებას ეს ოდა თავდება დაღუპული პოეტის ქებადიდებით. ესაა და ეს! მე წავიკითხე ეს ლექსი—იგი სრულიად უვნებელია. იქნებ ეს ყმაწვილი ოცნებობდა რომ იმპერატორის შვილი დააჯილდოვებდა შემდეგში მეორე რუს პოეტს, იმის მსგავსად, როგორც თვით იმპერატორმა პატივი სცა პირველს.

ოჰ, უგნურო გაბედულო ყმაწვილო! მან მართლა ჯილდო მიიღო: საიდუმლო ბრძანება გადასახლდეს თავის პოეტური ნიჭის გასანვითარებლად კავკასიაში, რომელიც უკვე ცნობილი ციმბირის შესწორებულ გამოცემას წარმოადგენს. იქ მან დაჰყო ორი წელიწადი და დაბრუნდა ავადმყოფი, სულიერად დაცემული და ქიმერიულ ბოდვებისაგან რადიკალურად განკურნებული ფანტაზიით. ვიქონიოთ იმედი, რომ მისი სხეულიც განიკურნება კავკასიური ციებ-ცხელებისაგან. და ნუთუ ამის შემდეგ კიდევ დაიჯერებთ იმპერატორის ოფიციალურ სიტყვებს?[23]).

მე ისლა დამრჩენოდა, რომ დავდუმებულიყავი. გუშინ გადავიკითხე პუშკინის რამდენიმე თარგმანი. ამან დაადასტურა ჩემი შეხედულება მასზე, რომელიც მე მივიღე პირველი გაცნობის შემდეგ მის მუზასთან. მან თავისი ფერადები ახალი ევროპიული სკოლიდან გადმოიღო. ამიტომ არ შეშიძლია იგი რუს ეროვნულ პოეტად ჩავთვალო.

თ ა ვ ი XVI

შლისელბურგში გამგზავრება.—რაზედ არ შეიძლება ლაპარაკი რუსეთში.—კიუსტინს ეშინიან ციხბირის.—კრცებუს თავგადასავალი—გზა შლისელბურგში.—სანთლის ფიგურა.—იძულებული ხარ დაათვალიერო შლიუზები.—ციხეში შესვლის ცდა.—კიუსტინის მოუთმენლობა,—ძალმომრეობის მსოფლიოს საფლავები არ აქვთ.—რუსული ციხეების საშინელებანი—წვეული სადილი ინჟენერთან.—კიუსტინს ქალები ართობენ.—სიტყვიერი შეკამათება.

პეტერპოფის დღესასწაულის დღეს მე შევეკითხე სამხედრო მინისტრს გრაფ ჩერნიშევს, როგორ შემიძლია ნებართვის აღება შლისელბურგის ციხის გასაშინჯად მეთქი. გრაფმა მიპასუხა: „მე თქვენ სურვილს გადაეცემ მათ უდიდებულესობას“. იმ კილოში, რომლითაც ეს იყო ნათქვამი, მოისმოდა სიფრთხილე შეზავებული გაკვირვებით. პასუხი მე მნიშვნელოვანად მეჩვენა. ცხადია, ჩემი თხოვნა, ესოდენ უვნებელი ჩემს თვალში, სულ სხვანაირად ეჩვენა მინისტრს. იმ ციხის ნახვის სურვილი, რომელიც ისტორიულად იქცა მას შემდეგ, რაც იქ ელისაბედ დედოფლის მეფობის დროს დამწყვდეული იყო და დაიღუპა იოანე VI, რასაკვირველია წარმოუდგენელი თავხედობა. იყო. [24]) მე ვიგრძენი, რომ უნებლიეთ შევეხე მტკივნეულ ადგილს და გავჩუმდი.

რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც მოსკოვში წასასვლელად ვემზადებოდი, მე სამხედრო მინისტრისაგან მივიღე წერილი, რომ ნება დართული გაქვთ დაათვალიეროთ შლისელბურგის შ ლ ი უ ზ ე ბ ი ო. ეს დიდებული იყო. მე მინდოდა დამეთვალიერებინა სახელმწიფო ციხე და მოწყალება გასცეს გავეცნო საინჟენრო ხელოვნების სასწაულმოქმედებას. წერილის ბოლოში გრაფი ჩერნიშევი იუწყებოდა, რომ იმპერიის გზათა მიმოსვლის მთავარმა დირექტორმა მიიღო ბრძანება ყოველნაირი დახმარება აღმომიჩინოს მომავალ მგზავრობისათვის.

ყოველნაირი დახმარება... ღმერთო დიდებულო! რა უსიამოვნობანი მომაყენა ცნობისმოყვარეობამ და რა სასტიკი გაკვეთილი მივიღე განსაკუთრებული თავაზიანობის სახით. მე რომ არ მესარგებლა ნებართვით იმ დროს, როდესაც ყველა გზებზე გაგზავ-

ნილი იყო ბრძანებები ჩემს შესახებ, ეს მოჰსწავებდა საყოველდურს უმაღლესობისათვის. მაგრამ, მეორეს მხრივ, მე რომ ჩემესწავლა შლიუზები რუსული კეთილსინდისიერებით და თვალი მაინც გადამეევლო შლისელბურგისთვის, ეს იქნებოდა ნებაყოფლობით მახეში გაბმა და მთელი დღის დალუპვა; ეს კი დიდი დანაკარგი იქნებოდა, რადგანაც მოახლოვებული იყო შემოდგომა და მე ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა დამეთვალიერებინა რუსეთში, სადაც მე სრულიად არ ვაპირებდი ზამთაში დარჩენას.

ამგვარად, აქ ჯერ კიდევ არ შეიძლება შეეხო ელისაბედ პეტრეს ასულის დროის ზოგიერთ ამბავს, რადგანაც ესენი ჩრდილს აყენებენ ეხლანდელი ხელმწიფის ძალაუფლების კანონიერებას. ამიტომ ჩემი თხოვნა იმპერატორს უნდა მოხსენდეს. იგი არც აკმაყოფილებს მას და არც პირდაპირ უარს შეუბნება. იგი არბილებს ჩემ უარყოფას და ნებას მრთავს დავათვალიერო საინჟენერო ნაგებობანი, რაც მე აზრადაც არ მომსვლია. იმპერატორისაგან ეს ნებართვა მიდის მინისტრთან, მინისტრისაგან მთავარ დირექტორთან, დირექტორისგან მთავარ ინჟენერთან და სხვ... და სხვ..., ვიდრე ბოლოს ვილაც უნტერ-ოფიცერთან არ მივა; ეს უკანასკნელი უნდა იყოს ჩემი გამცილებელი და პასუხი აგოს ჩემ უზრუნველყოფისათვის მთელი მოგზაურობის დროს,—„წყალობა", რომელიც ცოტა იანიჩარებს მოგვაგონებს, უცხოელებს რომ მიუჩენენ ხოლმე ოსმალეთში. ყოველ შემთხვევაში ყურადღების ასეთი ნიშანი უფრო უნდობლობის დამამტკიცებელი იყო და მე არც-თუ ძალიან სიამოვნებას ვგრძნობდი ამის გამო.

უნდა წავსულიყავი გენერალ-ბდიუტანტთან, გზათა შიმოსვლის მთავარ დირექტორთან და სხვ... და სხვ..., რათა მეთხოვნა უმაღლესი ბრძანების სისრულეში მოყვანა.

დირექტორი არ იღებდა არავის, ან და არ იყო თავის ადგილას. მე მთხოვეს მეორე დღეს მივსულიყავი. მე არ მსურდა კიდევ ერთი დღე დამეკარგა, და დაბეჯითებით განვაგრძობდი თხოვნას. შემდეგ მთხოვეს, საღამოთი მივსულიყავი. ასეც მოვიქეცი და ბოლოს მოვახერხე ამ დიდ პერსონასთან შესვლა. ამ დიდმა მოხელემ ძალიან ზრდილობიანად მიმიღო და თხუთმეტი წუთის შემდეგ გამოვედი იქიდან, უზრუნველყოფილი მიწერილობით შლისელბურგის ინჟინერის და არა ციხის კომენდანტის სახელზე. გამომაცილა დერეფნამდე და დამპირდა, უნტერ-ოფიცერი ხვალ დილის ოთხ საათზე თქვენი ბინის კარებთან იქნებაო.

ლაშე უძილოდ გავატარე. ნე შტანჯავდა აზრი. რომელიც თქვენ ველურად გეჩვენებათ აზრი იმის შესახებ, რომ ჩემი გაძევებული შეიძლება ჩემი ციხის დარაჯად გადაიქცეს მეთქი. ფინ იცის, იქნებ სწორედ ამ უნტერ-ოფიცერმა პეტერბურგიდან გამოსვლის შემდეგ წარმომიდგინოს ბრძანება ჩემი გადასახლების შესახებ ციმბირში, სადაც მე პასუხი უნდა ვაგო ჩემი უადგილო ცნობის მოყვარეობისათვის მეთქი. რა უნდა ვქნა მაშინ, რა გზას უნდა დავადგე? რასაკვირველია ჯერ უნდა დავემორჩილო ამას, ხოლო შემდეგ, ტობოლსკში რომ მივალთ, თუ რომ მივედი იქ, პროტესტს განვაცხადებ. უაღრესი თავაზიანობა მე სრულიად არ შამშვიდებს, პირიქით, კარგად მახსოვს, რა ალერსიანად მოეპყრო ალექსანდრე მინისტრს, რომელიც მეფის კაბინეტიდან გამოსვლის შემდეგ შეპყრობილი იყო ფელდიეგერის მიერ და უმალვე ბრძანებით პირდაპირ გადასახლებულ იქნა სასახლიდან ციმბირში, ამასთანავე მას ნება არც კი მისცეს სახლში შესვლისა. [25]) მთელი რიგი ამგვარი მაგალითებისა თავში მომდიოდა და აწამებდა ჩემ ოცნებას

უცხოელის სახელიც საკმაო გარანტია არ არის ამ შემთხვევაში. მე გამახსენდა კოცებუს შემთხვევა, რომელიც ამ საუკუნის დასაწყისს ანალოგიურ პირობებში (მ) უკვე მელანდებოდა ციმბირში გამგზავრება) ფელდიეგერთან ერთად პირდაპირ პეტერბურგიდან ტობოლსკში გაემგზავრა. მართალია, გერმანელი პოეტის გადასახლება სულ ექვს კვირას გაგრძელდა, და სიყმაწვილეში მე ბევრს ვიცინოდი მის მოთქმა-გოდებაზე ამის გამო. მაგრამ წარსულ ღამეს მე უკვე აღარ ვიცინოდი, არამედ გულით დავტიროდი მის ბედს. საქმე გადასახლების ხანგრძლივობა კი არ არის. ათას რვაას ლიეს გავლა საშინელ გზებზე და ამ ჰავაში თავისთავად იმდენად დაშქანცველია, რომ იშვიათად თუ ვინმე აიტანს მას. ადვილად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ საბრალო უცხოელის სულიერი განწყობილება, რომელიც მოწყვეტილია თავის მეგობრებს და ნათესავებს, და ექვსი კვირის განმავლობაში იძულებულია იფიქროს, რომ თავის სიცოცხლეს უსახელო და უსაზღვრო უდაბნოში დაასრულებს ბოროტმოქმედთა და მათ დარაჯთა შორის, ასეთი პერსპექტივა სიკვდილზე უარესია და მას შეუძლიან სიგიჟემდე მიიყვანოს ადამიანი.

რასაკვირველია ჩვენი ელჩი მოითხოვს ჩემს დაბრუნებას, მაგრამ ექვსი კვირა მე თავს საუკუნო გადასახლებაში ვიგრძნობ. და თუ, ბოლოს და ბოლოს, სერიოზულად მოისურვებენ ჩემს თავიდან მოშორებას, რა დაუშლით გაავრცელონ ხმები, რომ მე ვითომც ლადოვის ტბაში დავიღუპე? ნავები ხომ ყოველდღე იღუპებიან. განა

ფრანგ ბელჩს შეუძლიან ამ ხმების შემოწმება? მას ეტყვიან, რომ ჩემ-გვამის ძებნა უშედეგოდ დარჩა. იგი დაკმაყოფილებული იქნება, და მასთან ერთად დაკმაყოფილებული იქნება ჩვენი ერის თავმოყვარეობაც, ხოლო მე საიქიოში ამოვყოფ თავს.

რა დააშავა კოცეზუმ? ის, რომ თავის თავს წერის ნება მისცა, ამასთანავე შიშობდენ, მისი აზრები სახეირო არ არის რუსეთში არსებულ წესწყობილებისათვის. ვინ არის იმის თავდები, რომ ჩემს წინააღმდეგ არ არსებობს ასეთივე ეჭვი? განა მეც არავარ შეპყრობილი წერის და ფიქრის მანიით? რაც უნდა ბევრი ვამტკიცო, მე არ ვაპირებ ჩემი შთაბეჭდილებების სიჯაროდ გამოქვეყნებას მეთქი, არავინ დამიჯერებს ამას, და რაც უფრო მეტს ხოტბას ვასხამ ყველაფერს იმას, რასაც მიჩვენებენ, ალბად მით უფრო ეჭვის თვალით მიყურებენ. გარდა ამისა, მე, როგორც ყველა უცხოელი, ჯაშუშებით ვარ გარსშემორტყმული. ამგვარად, მათ იციან, რომ მე რაღასაც ვწერ და ფრთხილად ვინახავ ამ დაწერილს. იქნებ მე მომელის ტყეში ჩასაფრება: დამესხმიან თავს: წამართმევენ პორტფელს, რომელსაც თავიდან არ ვიშორებ არც ერთ წუთს და მომკლავენ ძალლივით.

აი რა ჭიშით ვიყავი მე შეპყრობილი მთელი ღამე და თუმცა შლისელბურგში მოგზაურობამ უინცინდენტოდ ჩაიარა, ჩემი შიში უსაფუძვლოდ არ მიმიჩნია და თავს დაზღვეულად არ ვგრძნობ არა სასიამოვნო შემთხვევებისაგან. თუ მე ასე დიდხანს შევჩერდი ამ ჭიშზე, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ახასიათებს მთელ სახელმწიფოს. წარმოვიდგინოთ, რომ იგი ჩემი ავადმყოფი ოცნების ბოდვაა; ყოველ შემთხვევაში ასეთი ბოდვა შეუძლებელია სხვაგან გარდა პეტერბურგისა და მაროკოსი.

ამგვარად გუშინ, დილის ხუთ საათზე გამოვედი ოთხ ცხენიანი ეტლით (ორცხენიანით აქ მხოლოდ ქალაქში დადიან, ქალაქ გარედკი ამ ანტიკურ საშუალებას ხმარობენ). ჩემი ფელდიეგერი კოფოზე დაჯდა მეეტლესთან და ჩვენ გავწიეთ პეტერბურგის ქუჩებზე. მალე ქალაქის ცენტრალური ნაწილი უკან დავტოვეთ და გავაქროლეთ მანუფაქტურების გასწვრივ, სადაც ყურადღებას იქცევს მშვენიერი შუშის ქარხანა და შემდეგ ვეებერთელა ბამბის ქარხნების გასწვრივ, რომელნიც, მსგავსად დანარჩენი ფაბრიკების უზრავლესობისა, ინგლისელებს ეკუთვნის.

აქ ადამიანს ეფასებენ იმისდამიხედვით, თუ როგორ ეპყრობა მას მთავრობა. ამიტომ ფელდიეგერის ყოფნა ჩემს ეტლში მოჯადოვებელ შთაბეჭდილებას ახდენდა. თვით ჩემმა მეეტლემაც-კი რა ლაც სიამაყე იგრძნო უმაღლესი ყურადღების ასეთი ნიშნით და ვ-

ამსჯელა ჩემდამი პატიისცემით, რომელსაც აქამდის ვერ ვამჩნევდი მას. ასეთივე სასწაულთ მოქმედი იყო ჩემი თანამგზავრის გავლენა ყველა ფეხით მოსიარულეებზე და ეტლეებზე, რომელნიც ჩვენ წინ დამფრთხალნი გარბოდნენ. ხელის ერთი მოქნევით ფელდიეგერი გზიდან ყველა დაბრკოლებებს გადაშორებდა, და რე ზიზით ვფიქრობდი, რომ ხალხი ასევე უსიტყვოთ დაემორჩილებოდა მას იმ შემთხვევაშიც, თუ რომ მიიღებდა არა ჩემი დაცვის, არამედ დატუსაღების ბრძანებას. ტყუილად-კი არ ამბობს რუსის ხალხი: „რუსეთში შესვლის დროს კარები სრულიად ღიაა, გამოსვლისას-კი თითქმის დახურული“.

ნევის პირას გაშენებული სოფლების დანახვამ გამაკვირვა. ისინი ზედიზედ გამოიყურებიან და სახლები, რომელნიც ჩამწკრივებულნი არიან ერთად ერთ ქუჩის გასწვრივ, საკმაოდ ლამაზნიც არიან და წესიერად შენახულნიც. თუმცა, როცა ახლო დააკვირდები, შეამჩნევ, რომ ისინი აშენებულნი არიან ცუდად და დაუდეგრად, ხოლო მათი მორთულობა ხის ორშიას წააგავს და საკმაოდ პრეტენზიურია.

მე შევუკვეთე გამოსაცვლელი ცხენები პეტერბურგიდან ათი ლიეს მახლილზე. ოთხი ახალი, დასვენებული ცხენი თავისი სრული ჭოსართავით მელოდა ერთ-ერთ სოფელში. ვიდრე ცხენებს გამოსცვლიდენ, მე სახლში შევედი და ამგვარად რუსეთში პირველად გადავლ ხე გლების საცხოვრებელი ბინის ზღურბლი. მე მოვხვდი ფართო ფიცრულ თაღებში, რომელსაც საბლის უდიდესი ნაწილი უჭირავს, ფიცრები ფეხებ ქვეშ, ფიცრები თავ ზემოდ, ფიცრები ყოველ მხრივ... მიუხედავად ორპირი ქარისა, მე ვიგრძნე დამახასიათებელი სუნი ხახვისა, ჭეავე კომბოსტოსი, და თრიმლისა. თაღების გასწვრივ დაბალი და საკმაოდ ვიწრო ოთახია. მე შევდივარ და თითქოს ხომალდის კაიუტაში ვხვდები ან და უკეთ ხის კასრში. ყველაფერი — კედლები, ჭერი, იატაკი, მაგიდა, სკამები — სხვა და სხვა სიგრძის და ფორმის და ძალიან ტლანქად გათლილ ფიცრების ხროვას წარმოადგენენ. კომბოსტოს სუნს ფისის სუნ-ნელოვანობა ერთვის. ამ თითქმის უსინათლო და უჰაერო შენობაში ვამჩნევ მოხუც ქალს, რომელიც ჩაის უსხამს ოთხ თუ ხუთ წვერიან გლეხს ცხვრის ტყავში გახვეულს. (რამდენიმე დღეა, საგრძნობლად ცივი დარია, თუმცა დღეს ბოლოდ აგვისტოს პირველია). ეს ტყავები საკმაოდ ბეტერულად გამოიყურება, მაგრამ მათ საშინლად ცუდი სუნი უდით. მაგიდაზე დგას სამოვარი და ჩაიდანი. ჩაი, როგორც ყოველთვის, საუცხოოა და კარგად მომზადებული. ეს მმვენიერი ხალმკალი, მომზადებული

„ჩოლ ნებში", (მე ვხმარობ ზრდილობიან სიტყვას და ვამბობ ჩულანებში მეთქი), ესპანელების შოკოლადს მომაგონებს.

✓ რუსეთში ესუფთაობა თვალში ეცემა ადამიანს, მაგრამ იგი ეტყობა უფრო საცხოვებელ ბინებს და ტანისამოსს, ვიდრე ადამიანებს. რუსებმა თავის მოვლა იციან და თუმცა მათი ბანოები საჭიზლრად გვეჩვენება, მაგრამ ეს ცხელი ორთქლი ასუფთავებს და ამაგრებს სხეულს, ამიტომ ხშირად გვხვდება სუფთა თმიანი და წვერიანი გლეხები, რაც მათ ტანისამოსზე არ ითქმის. თბილი ტანისამოსი ძვირად ღირს და ძალაუნებურად დიდხანს უნდა ატარო. იგი უფრო ადრე ჭუჭყიანდება, ვიდრე გაცვეთას მოასწრებდეს. ხოლო ოდახები, სადაც პირველყოფილნი ცდილობენ სიცივისაგან თავის დაცვას, ძალაუნებურად უფრო იშვიათად ნიავდება, ვიდრე სამხრეთის ხალხის საცხოვრებელი ბინები. საერთოდ, ჩრდილოეთის მცხოვრებნი გაცილებით უფრო ჭუჭყიანები არიან, ვიდრე სამხრეთის ხალხნი, რომელნიც თბილი ჰავის სიკეთით სარგებლობენ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსები წელიწადში ცხრა თვე მოკლებულნი არიან სუფთა ჰაერის ბოქმედებას.

გზა პეტერბურგიდან შლისელბურგამდე ბევრ ადგილას ცუდია. გზაში გვხვდება ხან ღრმა ქვიშნარი და ხან გაუვალი ტალახი, სადაც უწესრიგოდ გადებულია ფიცრები. ეტლის თვლებ ქვეშ ეს ფიცრები მალლა ხტებიან და ტალახით გასვრიან, მაგრამ ამ ფიცრებზე უარესი სხვა რამეა. მე ბხედველობაში მაქვს ბოძები. რომელნიც შეკრულები არიან ხიდის მსგავსად და ჭაობიან ადგილებზე არიან გადებულნი. საუბედურიდ მთელი ეს ნაგებობა უძირო ჭაობზეა დაყრდნობილი და ფანფალებს ეტლის სიმძიმის ქვეშ. იმ სისწრაფის გამო, რომელიც შილებულია რუსეთში მგზაურობის დროს, ეტლები ასეთ გზებზე ძალიან მალე ფუჭდებიან; ადამიანები ძვლებს იმტვრევენ და მასთან იმტვრევიან ეტლის სხვადასხვა ნაწილებიც. ამიტომ ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლას საშუალებანი ძალაუნებურად მარტივდება და ბოლოს პრიმიტიულ „ტელეგის" ხასიათს იღებს.

შლისელბურგში სადაც მე ბელოდნენ, დამხვდა შლიუზების გაშგე ინჟენერი. ციოდა, მოლრუბლული იყო და ქარი ქროდა. ჩვენ გავჩერდით ინჟენერის ხის, მაგრამ კომფორტაბელურ სახლში; აქ მან პირადად შემიყვანა სასტუმრო ოთახში, სადაც მიუბჯენი საუზე შემომთავაზა და სიამაყით გამაცნო თავისი ცოლი, ახალგაზრდა დალამაზი პიროვნება. ეს უცხოსკნელი დივანზე იჯდა და არ წამოდგა მოსასალმებლად. მან ფრანგული არ იცოდა და არც ერთი სიტყვა არ წარმოუთქვამს; სრულიად გაუნძრეველი იჯდა და ალბად ეს

უალრეს ზრდილობად მიაჩნდა. სჩანს, მას გადაწყვეტილი ჰქონდა გინეხორციელებინა სტუმართმოყვარეობა თავიდან ფეხებამდე მორთული კერპის სახით. მე ჩუმად ვჭამდი და ვთბებოდი. იგი თვალს არ მაშორებდა, რადგანაც თვალის მორიდება ნიშნავდა ძეგლის განძრევას, რომლის როლის შესრულებაც მას მიზნად ჰქონდა დასახული. მისმა შეუღლემ საშუალება მომცა სავსებით დავმტკბარიყავი ამ საყურადღებო სანთლის ფიგურით და თითქოს ძალიან ნასიამოვნები იყო მის მიერ მოხდენილი შთაბეჭდილებით. მაგრამ, რადგანაც ინჟენერს სურდა კეთილსინდისიერად შეესრულებინა თავისი მოვალეობა, ბოლოს შემდეგი სიტყვებით მომმართა:

— მაპატიეთ, მაგრამ დრო არის წავიდეთ, ვინაიდგან ჩვენ ცოტა დრო გვაქვს შლიუზების დასათვალიერებლად, რომელიც მე ნაბრძანები მაქვს გიჩვენოთ დაწვრილებით.

მე ამ უბედურობას ველოდი, მაგრამ არაფრით არ შეეძლო მისი აცილება და მორჩილებით დავთანხმდი ერთი შლიუზიდან მეორეზე გადასვლას; ამასთანავე სრულიად არ გვიწყენდი ოჯახე VI საპყრობილეს, რომელთანაც ჩვ ახლო მისვლის ნებას არ მაძლევდენ. არა შგონია, რომ გრანიტის კამერების, რაოდენობამ ეეებერთელა გრანიტის საფარებმა შლიუზებში და იმავე მასალის ფიქალმა, რომლითაც დაფენილია გიგანტური არხის ძირი, დააინტერესოს ვინმე და მე ვერც დავიკმაყოფილებდი ამ ვარ ინობისმოყვარეობას. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ათი წლის განმავლობაში ამ შლიუზებს არავითარი რემონტი არ დასჭირებია, რაც განსაცვიფრებელი მაგალითია ნაგებობის სიმტკიცისა ასეთ საშინელ ჰავაში. და მართლაც არ დაუზოგავთ არც შრომა და არც ფული ამ ნაგებობის უნაკლოდ ასაშენებლად და უსარგებლიათ თანამედროვე საინჟინერო ხელოვნების ყველა მიღწევებით. ყველა ამის ცოდნა ძალიან საინტერესოა, მაგრამ მისი დათვალიერება მოსაბეზრებელია, განსაკუთრებით თუ ცნობებს გაძლევს ამ შედევრის შემქმნელი, რადგანაც დეტალების საშრავალე აბნევს პროფანს.

როდესაც დავრწმუნდი, რომ ამ საკვირველ მოქმედებათა დათვალიერებაზე საკმაო დრო დავხარჯე და ხოტბა შევახხი მას, მე დავუბრუნდი ჩემი მოგზაურობის პირვანდელ მიზანს; მე ვმალავდი ჩემს განზრახვებს, რათა უფრო ნამდვილად განმეხორციელებინა იგი და მხოლოდ სურვილი გამოვთქვი ნევის სათავის დათვალიერებისა. ჩემი თხოვნა გარეგნულად უკნეველი იყო, მაგრამ ამ გარემოებას არ შეეძლო მისი თავხედობის დამალვა. ამიტომ ინჟენერმა ორჭოფულად მიპასუხა:

— ნევის სათავე იქ არის, სადაც იგი ლადოგის ტბიდან გამოდის, არხის ბოლოში, რომელიც ტბას ჰყოფს კუნძულისაგან, სადაც ციხეა ალმართული.

მე ეს ვიცოდი, მაგრამ განვაგრძობდი დაბეჯითებით მოთხოვნას:

— მე მაინც მსურდა მენახა რუსეთის ერთ-ერთი ბუნებრივი ლირსშესანიშნავი ადგილი.

— ქარი საკმაოდ ძლიერია, ისე რომ შეუძლებელია წყალქვეშა ღელვის გარჩევა იმ ადგილას, სადაც ნევა ტბიდან გამოდის. მაგრამ მე ყველა ზომებს მივიღებ, რომ თქვენი ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილო.

ამ სიტყვებით ინჟინერმა ბრძანება გასცა მოეცათ ლამაზი ნავი ექვსი მ ნავითურთ. ჩვენ გავემგზავრეთ ნევის სათავისკენ და მალე მოვხვდით სწორედ ჩანჩქერში, მაგრამ ღელვა მალაედა მას ჩვენ თვალთაგან. ამიტომ გავისეირნეთ ტბაზე, შემდეგ დავბრუნდით და რადგანაც ქარი ცოტა ჩადგა, საშუალება მოგვეცა დიდ სილრმეზე რამდენიმე აქაფებული ნაკადული გვენახა. აი სწორედ ეს იყო ნევის სათავე.

მე სათანადო ალფრთოვანება გამოვთქვი შლისელბურგის სანახაობით, ბინოკლის საშუალებით საფუძვლიანად შევისწავლე ის ადგილი, სადაც ბატარეა იდგა და საიდანაც პეტრე დიდი ზარბაზნებს უშენდა შვეციის სიმაგრეს. საკმაოდ ხოტბა შეეასხი იმას, რაც მე სრულიად არ მაინტერესებდა და წარმოვთქვი გულგრილად: მოდი, ციხე დავათვალიეროთ. იგი მე ძალიან მხატვრულად მეჩვენება,—დავუმატე რაღაც უბერხულად, რადგანაც როცა ცბიეროს, გადაჭარბება არ არის საჭირო. ინჟენერმა საეჭვო თვალით შემომხედა და მე ვიკრძალენი, რომ მათემატიკოსი დიპლომატად გადიქცა.

— ციხეში, ბატონო, აოაფერი საყურადღებო არ არის უცხოელისთვის.

— ყველაფერი საყურადღებოა ისეთ საინტერესო ქვეყანაში, როგორიც თქვენი ქვეყანაა.

— მაგრამ თუ კომენდანტი არ გვლის, არ შეგვიშვებენ.

თქვენ მას ნებართვა სთხოვეთ, ციხე აჩვენოს უცხოელს. გარდა ამისა, მე ვფიქრობ, რომ იგი გელით.

მართლაც, ინჟენერის თხოვნით ჩვენ დაუყოვნებლივ შეგვიშვეს. ალბად ელოდენ ჩემ მოსვლას და ამის შესახებ წინასწარ გაფრთხილებულნი იყვნენ სათანადოდ. ჩვენ სამხედრო ცერემონიალით დაგვხვდნენ, გაგვატარეს თალებიან და საკმაოდ სუსტად დაცულ ალაყა-

ფის კარებში, შემდეგ ამწვანებულ ეზოში და შეგვიყვანეს . . . . . არა ციხეში, არამედ სამწუხაროდ მხოლოდ კომენდანტის ბინაში, სან ფრანგული არც ერთი სიტყვა არ იცოდა, მაგრამ თავს ისე მაჩვენებდა, რომ ჩემი ძისვლა თითქოს ზრდილობის აქტად მიაჩნდა უცხოელის მხრივ, მადლობას მიხდიდა ძალიან უხვად და სარგებლობდა ინტენერის თარჯიმანობით. ძალაუნებურად უნდა მეპასუხა ასეთ ზრდილობიან მოპყრობაზე, გამემართა ბაასი კომენდანტის ცოლთან, რომელსაც ფრანგული თავის ქმარზე ცოტა კარგად ესმოდა, დამელია შოკოლადი და, ერთი სიტყვით, მომესწრო ყველაფერი, გარდა იოანე VI საკანის დათვალიერებისა, რისთვისაც მე მთელი დღის მოწყენილობა ავიტანე და ამდენი ცბიერება ჩავიდინე. არა მგონია, რომ ვინმე ოდესმე ასე მოწადინებული ყოფილიყო საზღაპრო კოშკის ნახვას, როგორც მე ამ საპყროპილეს დათვალიერებას ვიყავი მოწადინებული.

ბოლოს, როდესაც დარბაზობის დრო გავიდა, მე ვკითხე ჩემ გამცილებელს, შეიძლება თუ არა ციხის შიგნითა ნაწილის დათვალიერება მკითხა. კომენდანტმა და ინტენერმა ერთმანეთს გადახედეს, შოილაპარაკეს ორიოდე სიტყვით და ჩვენ ოთახიდან გამოვედით.

შლისელბურგის ც ხეში არაფერია ისეთი, რაც ადამიანის თვალს ხიბლავს. შვედური ეპოქის დაბალ ციხის კედლების შიგნით მოთავსებულია რაღაც ეზოს მსგავსი ბოტნეულით, სადაც გაფანტულია რამდენიმე დაბალი შენობა—ეკლესია, კომენდანტის სახლი, ყაზარმა და ბოლოს საპყრობილეები, დაფარული კოშკებით, რომელიც ციხის კედლებს არ აღემატება სიმაღლით. ამ სახელმწიფო ციხის მშვიდობიანი შეხედულება უფრო საშინელ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე საშუალო საუკუნოების კოშკების გონჭურებიანი კედლები, მოაჯირები, ასაწევი ხიდები და სხვა თეატრალური აქსესუარები. კომენდანტიდან რომ გამოვედით „საუცხოვო საეკლესიო ნივთები" მაჩვენეს. ზეიმით გაშალეს ოთხი შესამოსი, რომელიც კომენდანტის განცხადებით, 30 ათას მანეთად ღირდა. ამ მიკიბ მოკიბული ლაპარაკის შემდეგ მე პირდაპირ ჩამოვაგდე სიტყვა იოანე VI საფლავზე. ამის საპასუხოდ მე მიჩვენეს ნაპრალი, გარღვეული კედელში პეტრე I მიერ შვეციის ციხის ალყის შემორტყმის დროს.

სად არის იოანე VI საფლავი?—ვიმეორებდი სრულიად მოურიდებლად.

ახლა მე წამიყვანეს ეკლესიის იქით და მიჩვენეს ვარდის ბუჩქი.—„აი ეს საფლავია."

აქედან მე ის დასკვნა გამოვიტანე, რომ რუსეთში ძალმომრეობის მსხვერპლთა საფლავები არ აქვთ.

— იოანე VI საკანი სადღა არის?

განვაგრძობდი დაბეჯითებით შეკითხვას, რაც ალბად ისევ უცნაურად ეჩვენებოდათ ჩემს მოსაუბრეებს, როგორც მე მათი სიჩუმე, ყოყმანი და სიტყვის ბანბე აგდება.

ინჟენერმა დაბალი ხმით მითხრა, იოანე VI საკანის ჩვენება შეუძლებელია, რადგანაც იგი იმყოფება ციხის იმ ნაწილში, სადაც ამ ჟამად მოთავსებული არიან სახელმწიფო დამნაშავეებია.

უარი კანონიერად მეჩვენა, მე მომზადებული ვიყავი ასეთ პასუხისათვის, მაგრამ ძალიან გამაოცა კომენდანტის სიბრაზემ. უკედ ესმოდა მას ფრანგული ვიდრე ლაპარაკობდა, ჩემი მოტყუება ურდოდა და განზრახ მალავდა ფრანგულის ცოდნას თუ, ბოლოს, მიხვდა, რაზედაც იყო ლაპარაკი,—შეარ ვიცი, მაგრამ იგი მივარდა ინჟენერს და შენიშვნა მისცა ასეთ მოუფიქრებლობისათვის, ამისათვის ოდესმე პასუხს აგებ სასტიკადო. ამ უკანასკნელმა დრო შეურჩია და მიამბო ამის შესახებ. გარდა ამისა კომენდანტმა მას წინადადება მისცა შემდეგში თავი შეეკავნა „სახელმწიფო საქმეებზე" ლაპარაკისაგან უცხოელებთან, და აგრეთვე ისინი აღარ შემოიყვანო სახელმწიფო ციხეშიო [26]).

მე ვიგრძენი, რომ უკან უნდა დამეხია, და თავი დამარცხებულად ვაღიარე; ამგვარად უარი ვთქვი იმ საკანის ნახვაზე, სადაც გონება-დაკარგულმა, რუსეთის სამეფო ტახტის უბედურმა მემკვიდრემ თავის უკანასკნელი დღენი დალია, ვიდრე იმპერატორად ერთსულოვნობაა, რომლითაც მოქმედებდენ რუსეთის მთავრობის ყველა მსახურნი, დაწყებული საგზედრო მინისტრიდან და გათავებული ციხის კომენდანტით, მათმა ჩუმმა შეთქმულებამ და სიკეთემ საშინელი ბოროტმოქმედება შოახდინა ჩემზე, და მე ვიგრძენი ძლიერი სურვილი აქედან ჩქარა წასვლისა, ისე როგორც ამ რამოდენიმე წუთის წინ აქ შემოსვლის სურვილს ვგრძნობდი. მე შემაშინა პერსპექტივამ, რომ არ გავმხდარიყავი ამ საიდუმლო ცრემლითა და ტანჯვის ქვეყნის უნებური მოსახვრეები, და მე მხოლოდ—სიარული, სუთქვა და მოძოაობა მობეზრება. დამავიწყდა, რომ მთელი რუსეთი იგივე ციხეა, მით ჯერ საშინელი ციხე, რომ რგი ვეე ერთელაა და ძნელია მისი საზღვრების მიღწევა და გადალახვა.

რუსული ციხე საშინელი სიტყვებია! . . .

მას შემდეგ, რაც მე იქ დავყავი და განვიცადე შეუძლებლობა ლაპარაკისა იმაზე, რაც ბუნებრივად ყველა უცხოელს აინტერესებს, მივხვდი რომ, ამ საიდუმლოების იქით ალბად საშინელი უადამიანობა იმალება. ჩემთვის რომ გულახდილად ეპასუხათ იმ კითხვებზე, რომელნიც შეეხებოდენ საუკუნოების ხანდაზმულობით დაფარულ ამბებს, ნაკლებად ვიფიქრებდი იმაზე, რის ნახვაც ვერ მოვახერხე, მაგრამ ყველა გამოგონებანი და ცბიერება, ბავშური მიკიბ-მოკიბვა და უსაფუძვლო უარი სწორედ იმის საწინააღმდეგოს ამტკიცებს, რაც შიაც თქვენ უნდა დაგაწმუნონ. მე მითხრეს, და ეს მჯერა კიდეც სრულიად, რომ კრონშტადტის წყალქვეშა საპყრობილეებში, სახელმწიფო დამნაშავეთა ზორის, დღემდე იტანჯებიან ალექსანდრეს დროს შეპყრობილნი უბედური დამნაშავენი [27]). ამგვარ სისასტიკის გამართლება არაფერს არ შეუძლიან! ეს ტანჯულები რომ დღეს მიწიდან ზეძოდ ამოვიდნოდენ, ისინი ალბმართებოდენ, როგორც შურისმაძიებელი აჩრდილნი და შეაძრწუნებდენ თვით დესპოტს, ხოლო დესპოტიზმის შენობა საძირკვლიანად შეირყეოდა. ყველაფერი შეიძლება გაამართლო ლამაზი ფრაზებით და დამარწმუნებელი საბუთებით მაგრამ რაც უნდა თქვან, ის რეჟიმი, რომელსაც დაცვა სჭირია ამგვარი საშუალებებით, უაღრესად გათახსირებული რეჟიმია.

ამ საზიზღარი პოლიტიკის მსხვერპლნი ადამიანის სახეს და შსგავსებას ჰკარგავენ. ყველას მიერ დავიწყებულნი, ისინი უსინათლო, სიცოცხლეს მიაჩანჩალებენ და ბოლოს ჭკუაზე ცდებიან. მათ თავისთა სახელიც-კი არ ახსოვთ. ციხის დარაჯები უხეშად და დაუსჯელად დასცინიან მათ, რადგანაც ამ ბნელი მიწური საჯდაფების უფსკრულში სამართლიანობის ყოველივე კვალი ჰქრება. თვით ამ შეპყრობილთა დანაშაულებანი დავიწყებულია და არავინ იცის, რისთვის არიან დასჯილნი ისინი. მაგრამ მაინც მათ არ ანთავისუფლებენ, რადგანაც ერთის მხრივ არ იციან ვის გადასცენ ისინი, ხოლო მეორე მხრივ, არჩევენ შეცდომის დამალვას და ადამიანების საშუალოდ ციხეში გამომწყდევას. ესაა უცნაური შიში, რომ „ცუდი შთაბეჭდილება" არ მოვახდინოთო, რასაც ვითომდა უაღრესი სახელმწიფოებრივი სიბრძნის მოსაზრებანი ამართლებდა! ჩვენ კი ყოველ ნაბიჯზე გვარწმუნებენ, რომ რუსეთში სიკვდილით დასჯა არ არსებობს! ვითომც ცოცხლივ ადამიანის დამაობვა იგივე მკვლელობა არ იყოს.

ციხიდან დაბრუნების შემდეგ მე ახალი განცდა მელოდა: წვეულება საშუალო კლასის წარმომადგენლებთან. თუმცა ინტენერმა მოიწვია ცოლის ნათესავები და რამდენიმე მეგობარი ოლიელბურგის

მიდამოებიდან ბურჟუაზია თითქმის არ არსებობს რუსეთში, მისი ადგილი უბრალოს წვრილ მოხელეების და საშუალო ხარისხის მემამულეთა წოდებას, რომელნიც ცნობილნი არ არიან ჩამოთავლობით და აზნაურობა არ დაუმსახურებიათ. ისინი გამსჭვალუნი არიან შურით არისტოკრატიისადმი. თავის მხრივ შურს იწვევენ ხალხში, და საერთოდ მათი მდგომარეობა მოგვაგონებს საფრანგეთის ბურჟუაზიის მდგომარეობას რევოლიუციის წინ. ერთნაირი მიზეზები ყველგან ერთნაირ შედეგებს იწვევენ.

შამაკაცები არ ლაპარაკობდენ ჩემთან და თითქმის ყურადღებას არ მაქცევდენ. მათ ოდნავ თუ იციან ფრანგული და შეიძლება მხოლოდ გაჭირვებით კითხულობენ. ამიტომ ისინი კუთხეში შეჯგუფდენ და რუსულად ლაპარაკობდენ. ფრანგული ბაასის ტვირთი ორ თუ სამ ქალს ხვდა წილად. მე გინცვიფრებით დავინახე, რომ ისინი კარგად იცნობენ ჩვენ ლიტერატურას, ე. ი. იმ ნაწილს, როველსაც პოლიცია რუსეთში უშვებს. მაგრამ უფრო ძალიან გამაკვირვა მათი სიტყვების მკაცრმა და შხამიანმა კილომ. ის, რასაც მალალი საზოგადოების წვრილი ზრდილობის ნიღაბქვეშ მალავდენ, და რასაც მე ბუნდოვანად ვხვდებოდი, აქ აშკარად და ცხადად მოსჩანდა. მე დავრწმუნდი, რომ რუსები ირონიულად და მტრულად გვეპყრობიან. მათ ჩვენ ვძულვართ, როგორც ყველა ძიმბაძველს სძულს ის, ვისაც ეგი ბაძავს. ისინი გვცდიან ყოველნაირად, რათა ყოველი ჩვენი ნაკლი შეგვამჩნიონ, როდესაც მათ ასეთი სულიერი განწყობილება შეგამჩნიე, მე, ჩემის მხრივ, სამაგიეროს პასუხს ვაძლევდი.

ჯერ მე საკალდეულოდ მივიჩნიე ბოდიში მომთხადა რუსული ენის უცოდინარობისთვის და დავსძინე, რომ ყოველმა მოგზაურმა უნდა შეისწავლოს იმ ქვეყნის ენა, სადაც იგი მიემგზავრება. ამ ზრდილობიანობაზე მე ასეთი შხამიანი პასუხი მივიღე:

— მაგრამ, თქვენ მაინც ამჯობინებთ იმის მოსმენას, როგორ ამახინჯებენ რუსები ფრანგულს, თუ რომ არ გსურთ, რომ მუნჯივით მოგზაურობთ.

— აი სწორედ მეც ამას ვჩივი. მე რომ შემეძლოს რუსული ენის დამახინჯება, მაშინ თქვენც არ დაიტანჯებოდით ფრანგულით.

— უწინ ჩვენ ყველანი მხოლოდ ფრანგულად ველაპარაკობდით.

— ბაბაში კარგი არაფერია.

— თქვენ მაინც არ უნდა გაგვიცხოთ ამისთვის.

— მე მუდამ სიმართლეს ვამბობ.

— მაგ სიმართლეს კიდევ ეფასებენ საფრანგეთში?

— არ ვიცი, აფასებენ თუ არა, მაგრამ ეფიქრობ, რომ სიმართლე უნდა გიყვარდეს უანგაროდ.

— სიყვარული ეხლა მოდაში არ არის.

— რუსეთში?

— არსად, და განსაკუთრებით იმ ქვეყანაში, სადაც ყველაფერს ვაზეთები განაგებენ.

მეც იმავე აზრისა ვიყავი, მაგრამ არ მინდოდა ამის გამოთქმა, რადგანაც ჩემ მოსაუბრეს აშკარად სურდა ჩემი გალიზიანება თავისი უკიდურესი მსჯელობით, საპედნიეროდ, ამ დროს მოხდა ისეთი შემთხვევა, რომელმაც შესწყვიტა ჩვენი არასასიამოვნო ლაპარაკი. გარედან რალაც ხმაურობა მოისმა და მთელი საზოგადოება ფანჯარას მიაწყდა. შემდეგ გამოირკვა, რომ მენავეებს ჩხუბი მოსვლოდათ და დანებით ემუქრებოდნენ ერთმანეთს. მაგრამ საკმარისი იყო ჩემი ინჟენრის გამოსვლა აივანზე, რომ მუნდარს თავის ჯადოსნური გავლენა მოეხდინა. ყველაფერი უეცრივ შესწყდა.

— რა საკვირველი ხალხია!—წამოიძახა ერთმა ქალმა, რომელსაც მიზნად ჩემი „გართობა“ ჰქონდა დასახული. „საწყლები“, გავიფიქრე მე, რადგანაც სრულიად არ ვაპირებდი აღფრთოვანებას შიშით გამოწვეული საკვირველების წინაშე, მაგრამ ვამჯობინე ეს აზრი ხმამაღლა არ გამომეთქვა.

— თქვენში წესიერების ასე ადვილად აღდგენა შეუძლებელია,— განაგრძობდა ჩემი დაუცხრომელი მოწინააღმდეგე და თვალებში მაშტერდებოდა.

— დიახ. თავისუფლებას თავისი უარყოფითი მხარეები აქვს, მაგრამ ჩვენ სამაგიეროდ მისი კეთილი მხარეებითაც ვსარგებლობთ.

— რომელით?

— ამას რუსეთში ვერ გაიგებენ.

— ჩვენ უპირველესად კარგად ვგრძნობთ თავს.

— ადვილია უმიზეზოდ ცხოვრება, რაც არ გესმის.

— ჩემმა მოსაუბრემ შეურაცყოფილად იგრძნო თავი და უეცრივ შესცვალა საუბარი.

— მითხარით, ეს თქვენზე და თქვენ ოჯახზე ლაპარაკობს ქ-ნი დე ჟანლისი თავის „ფელისის მოგონებებში“? [28]

მე ვუპასუხე ჰო მეთქი და ჩემი განცვიფრება გამოვთქვი იმის გამო, რომ ამ წიგნებს შლისელბურგში იცნობენ.

— თქვენ კაციჭამიებს გვიდარებთ,—მიპასუხა ჩემმა მოსაუბრემ. ისეთი გაბრაზებული კილოთი, რომ მე ძალაუნებურად გავიმსჭვალე

ამ სულიერი განწყობილებით და სათანადო რეპლიკებით ეუპასუხებდი.

— ოჰ, არა, ქალბატონო! ჩემის აზრით რუსებს შეუძლიან თავი გაირთონ უფრო ღირსეული რამით, ვიდრე ფრანგული საზოგადოების ჭორებით.

— ეს-ნი დე-ჟანლისი სრულიადაც არ არის მეჭორე.

— შეიძლება, მაგრამ ის თხზულებები, სადაც იგი ლამაზად მოგვითხრობს ანეკდოტებს თავის თანამედროვეთა შესახებ, ჩემის აზრით მხოლოდ ფრანგებს უნდა აინტერესებდეს.

— მაშ თქვენ გინდათ, რომ ჩვენ ძალიან მაღლა არ ვაყენებდეთ თქვენ მწერლებს?

— მე ის მინდა, რომ ჩვენი ნამდვილი დამსახურებისათვის გვაფასებდენ.

— მაგრამ თუ თქვენ წაგართმევთ იმ გავლენას, რომელიც ევროპაზე მოხდინეთ საზოგადოებრივი ეტიკეტის კანონმდებელთა სახით, მაშინ რაღა დარჩება თქვენგან?

მე ვიგრძენი, რომ ძლიერ მოწინააღმდეგესთან მქონდა საქმე.

— მაშინ დარჩება საფრანგეთის ისტორიის ბრწყინვალე ფურცლები, და არა მარტო საფრანგეთის, არამედ რუსეთისაც, რადგანაც თქვენი საშობლო თავის დღევანდელ მდგომარეობას ევროპაში იმ ენერგიას უნდა უმადლოდეს, რომლითაც თქვენ შური იძიეთ მოსკოვის აღებისათვის.

— დიახ, ეს სწორეა. თქვენ, თუმცა თქვენი სურვილის წინააღმდეგ, მართლაც დიდი დახმარება გაგვიწიეთ.

— თქვენ, იცნობა, მახლობელი ადამიანი დაჰკარგეთ ომში?— შევეკითხე ნას, რადგანაც მინდოდა მეპოვნა წყარო უძლიერესი სიძულვილ სა საფრანგეთისადმი, რომელიც გამოსჭვიოდა ამ სასტიკ ქალის ხმოვანებაში, მაგრამ უარყოფითი პასუხი მივიღე.

ასეთი არასასიამოვნო კილოთი ბაასმა სადილობამდე გასტანა. მე შევეცადე ლაპარაკი ჩამოგეგდო ჩვენ უახლეს ლიტერატურულ სკოლაზე, მაგრამ დავინახე, რომ რუსეთში მხოლოდ ბალზაკს იცნობენ. მის წინაშე უსაზღვროდ იხრიან ქედს და საკმაოდ სწორად მსჯელობენ მასზე. თითქმის ყველა თანამედროვე ფრანგ მწერლების თხზულებანი აკრძალულია რუსეთში, რაც მათ გავლენას ამტკიცებს. ალბათ, სხვა მწერლებსაც იცნობენ, რადგანაც შესაძლებელია საბაჟოსთან შეთანხმება, მაგრამ ეშინიათ ილაპარაკონ მათზე. თუმცა, ეს მხოლოდ ჩემი შეხედულებაა [29]).

ბოლოს, ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ მაგიდას შემოუსხედით. დიასახლისი, რომელიც აქამდე გულმოდგინედ ასრულებდა ჭანდაკების როლს, მოძრაობაში მოვიდა ერთხელ მთელი დღის განმავლობაში და თავისი სხეული გადაიტანა დივანიდან სკამზე სასადილო ოთახში. აქედან მე დავრწმუნდი, რომ კერპს ფეხები ჰქონდა, მაკრამ მისი ტუჩები და თვალები არ მოძრაობდენ. სუფრაზე საკმაო მოწყენილობა იყო, მაგრამ სადილი დიდხანს არ გაგრძელებულა და გემრიელად მეჩვენა, გარდა წვნისა, რომლის ორიგინალობაჰ ყოველნაირ საზღვრებს გადააჭარბა. წარმოიდგინეთ ცხარე და დაშაქრული ძმრის ციური წვენი, შიგ მოცურავე თევზის ნაჭრებით. გარდა ამ ჯოჯოხეთური კერძისა და—რუსული ნაციონალური სასმელის მეკვე ბურახისა,—ყოველივე დანარჩენს დიდი მადით შევექცეოდი, განსაკუთრებით საუცხოვო ბორდოს და შამპანურსა ვსვამდი.

საღამოს ექვს საათზე მე გამოვემშვიდობე სტუმართმოყვარე მასპინძლებს ურთიერთ სასიხარულოდ და გავემგზავრე №№ სასახლეში, სადაც მელოდნენ. №-ში, რომელიც მდებარეობს ექვს ან რვა ლიეს მანძილზე შლისელბურგიდან, მე ისევ დალამებამდე მოვედი და დანარჩენი დღე იქ გავატარე; ვსეირნობდი ბშვენიერ პარკში, ნავით ვცურაობდი ნევაზე და განსაკუთრებით ვსტკბებოდი რთულ ბაასით მაღალი საზოგადოების ქალთან.

იმ მარცხის შემდეგ, რომელიც შემემთხვა რუსული ბურჟუაზიის გაცნობის დროს, მე განსაკუთრებულ მიდრეკილებას ვგრძნობდი მაღალ საზოგადოებისადმი, მიუხედავად ყველა მისი ნაკლისა.

პეტერბურგში შუალამის შემდეგ დავბრუნდი; ამ ერთ დღეში დაახლოებით ოცდა თექვსმეტი ლიე გავიარე შესანიშნავ რუსულ გზებზე,—ტყუილად კი არ ანგარიშობენ, რომ რუსეთში ცხენის სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ რვა ან ათ წელიწადს უდრის.

თ ა ვ ი XVII

ჯამოთხოვება პეტერბურგთან.—მორჩილების დოკუმატი.—ბლეზური „ბუნტები“.—ფეცრიკი დაყოვნება.—დეკაბრისტ ტრუბეცკოის ისტორია.—ნიკოლოზის დაუკბრობელი ხიბლი დეკაბრისტებისადმი.—კნეინას წერილი.—შურისძიებითი დევნა.—„დედა-მიწის ერთი მესამედის ციხის დარაჯი“.—კიუსტინი ცენზურას ატყუებს.

დღეს ღამით პეტერბურგს გამოვემშვიდობე. გამომშვიდება—ჯადოსნური სიტყვაა! იგი გამოუთქმელ სილამაზეს აძლევს ყველაფერს, რასაც ჩვენ უნდა გამოვემშვიდობოთ. რატომ არასოდეს არ მეჩვენებოდა პეტერბურგი ისე ლამაზად, როგორც ამ საღამოს? ეგზოტომ, რომ დღეს მე იგი უკანასკნელად ვნახე.

თერთმეტის ნახევარზე მე კუნძულებიდან ვბრუნდებოდი. ამ დროს ქალაქს არაჩვეულებრივი სახე აქვს, რომლის სილამაზეც ძნელად გადმოსაცემია სიტყვებით. საქმე ხაზების სილამაზე კი არ არის, რადგანაც ირგვლივ ყველაფერი სადაა და უფერული. მომხიბლავობა ჩრდილოეთის ღრუბლიან ჯადოსნობაშია და მათ ნათელ ბრწყინვალებაში, რომელიც აღსავსეა დიადი პოეზიით.

დასავლეთის მხრივ ყველაფერი ბნელით იყო მოცული. დასავლეთის ცის თეთრ ფონზე ქალაქი გამოიყურებოდა შავ, თითქოს ქალალდისაგან გამოჭრილ სილუეტად. ჩასული მზის მოლივლივე შუქი კიდევ დიდხანს ათბობს დასავლეთს და ანათებს ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილს, რომლის მშვენიერი ფასადები გარკვევით მოსჩანს ჩამობნელებულ ცაზე. ამგვარად დასავლეთით—ქალაქი სიბნელეში და ნათელი ცა, აღმოსავლეთით—ბნელი ცა და ანარეკლ სინათლით გაჩირაღდნებული შენობები. ეს კონტრასტი დაუვიწყარ სურათს ჰქმნის. ნელი და ოდნავ შესამჩნევი ჩაქრობა სინათლისა, რომელიც თითქოს ებრძვის მომავალ, დაუნდობელ სიბნელეს, რაღაც საიდუმლო მოძრაობას ანიჭებს ბუნებას. ნევის წყლიდან ოდნავ ამოსული ქალაქი ზემოდ თითქოს რყევას განიცდის ცასა და მიწის შუა და აი უნდა გაჰქრეს სადღაც სივრცეში.

ვიდექი შუა ხიდზე, რომელიც გადებულია ნევაზე, და დიდხანს ვსტკბებოდი ამ სილამაზით; მსურდა ჩემს მეხსიერებაში აღმებეჭდა პეტერბურგის თეთრი ღამის ორი ესოდენ სხვადასხვა სახეობის ყველა დეტალი.

მე ჩემს გულში პეტერბურგს ვენეციას ვადარებდი. იგი უფრო ნაკლებად ლამაზია, მაგრამ მეტ განცვიფრებას იწვევს. ორივე კოლოსი შიშით წარმოიშვა. მაგრამ მაშინ, როდესაც ვენეციის წარმოშობის შიში, ასე ვთქვათ, წმინდა სახით გვევლინება, ვინაიდგან უკანასკნელმა რომაელებმა ლტოლვა სიკვდილს არჩიეს, და მათი შიშის ნაყოფი ჩვენი დროის ერთი სასწაულთაგანი იყო,—პეტერბურგი დაარსებული იყო კეთილმორწმუნეობის სამოსელში გახვეული შიშის ზეგავლენით, ვინაიდგან რუსის მთავრობამ შესძლო მორჩილების დოგმატად გადაქცევა. რუსის ხალხი ძალიან მორწმუნედ ითვლება. დავუშვათ, რომ ასეა, მაგრამ რა სარწმუნოებაა ის, სადაც იკრძალულია ხალხის დარიგება? რუსის ეკლესიებში ქადაგება არ არსებობს. პირისჯვრის წერა—კეთილმორწმუნოების ცუდი დამამტკიცებელი საბუთია. და მე მგონია, რომ მიუხედავად შუხლთ მოყრისა და ღვთისნიერების სხვადასხვა გამოხატულობისა, რუსები თავის ლოცვებში უფრო მეჯეზე ფიქრობენ, ვიდრე ღმერთზე.

პოლიტიკური რწმენა აქ უფრო ძლიერია და მტკიცე, ვიდრე რელიგიური. მართლმადიდებლური ეკლესიის მთლიანობა მხოლოდ მოჩვენებითია. მრავალრიცხოვანი სექტები, რომელნიც იძულებულნი არიან გაჩუმდნენ გაბატონებული ეკლესიის ბრძნულად მოსაზრებული სიჩუმის გამო, მიწის ქვეშ იკვლევენ თავიანთ გზებს. მაგრამ ხალხი მხოლოდ დროებით არაა გაჩუმებული, ადრე თუ გვიან იგი ენას პოულობს და ცხარე კამათი იწყება. მაშინ იწყებენ მსჯელობას ყველა პოლიტიკურ და რელიგიურ საკითხებზე. დადგება დღე, როდესაც ამ ხალხის ბაგეს აეგლეჯება სიჩუმის ბეჭედი და განცვიფრებულ ქვეყანას მოეჩვენება, რომ მეორე ბაბილონის გოდოლი გაჩნდა. ამ რელიგიურ უთანხმოებისაგან ოდესმე სოციალური რევოლიუცია წარმოიშობა რუსეთში, და ეს რევოლიუცია მით უფრო საშინელი იქნება, რომ მოხდება რელიგიის სახელით [30]).

ვოლგაზე კვლავ გრძელდება გლეხური „ბუნტები" და მათი სასტიკი ჩაქრობა [31]). ყველაფერში პოლონელი აგიტატორების ხელს ხედავენ—ესაა მსჯელობა, რომელიც ლაფონტენის მგლის საბუთებს მოგვაგონებს [32]). სიმკაცრე, რომელსაც ორივე მხარე იჩენს, იმას მოწმობს, თუ როგორი იქნება ბოლო. ალბად იგი შალე არ იქნება, იმ ხალხში, რომელსაც ამ მ თ დ ბით მართავენ, ვნებათა ცეცხლი დიდხანს ბობოქრობს, ვიდრე ზემოთ ამოვარდება. საფრთხე ახლოვდება ყოველ საათს, მაგრამ კრიზისი იგვიანებს და ბოროტება დაუსრულებელი გვეჩვენება. ჩვენმა შვილის შვილებმა, შეიძლება ვერ იხილონ

ეს აფეთქება. მაგრამ დღეს უკვე შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ მისი აუცილებლობა, და შევეცადოთ იმის გამოცნობას, თუ როდის იქნება სახელდობრ ეს კრიზისი....

სჩანს, მე აქედან არასოდეს არ წავალ! თვით ბედი ჩემს წინააღმდეგია. კიდევ ვადის გადადება მ ხდება, მაგრამ ამ შუმთხვევაში სრულიად კანონიერი. მე უკვე ეტლში ვჯდებოდი, როდესაც შემოვიდა ერთი ჩემი მეგობართაგანი წერილით ხელში. თან დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ წამეკითხა იგი. ღმერთო ჩემო, ნეტავ რა ხერილია! იგი დაწერილია კნეინა ტრუბეცკოის მიერ და მიმართული ნათესავისადმი, რომელმაც უნდა აჩვენოს იმპერატორს. მე მ ნდ და აქვე გადამეწერა დასაბეჭდად და არ შემეცვალა არც ერთი სიტყვა, მაგრამ ამის ნება არ მ მცეს.

—მაშინ ხომ წერილი სწრაფად შემოივლის მთელ ქვეყანას, ჩაილაპარაკა ჩემმა მეგობარმა, რომელიც შეშინებული იყო ჩემზე მოხდენილი შთაბეჭდილებით.

—ეს საუკეთესო საბუთია მის დასაბეჭდად.

—რას ამბობთ, ეს შეუძლებელია! საქმე ხომ მთელ რიგ პიროვნებათა ბედს ეხება. წერილის გადმოცემის დროს პატიოსანი სიტყვა ჩამომართვეს. მე შემიძლიან მხოლოდ გაჩვენოთ იგი და დავაბრუნო ნახევარი საათის შემდეგ.

უბედურია ის ქვეყანა, სადაც ჩაგრულთა ბრბოს ყოველი უცხოელი მხსნელად ჰყავს დასახული, რადგანაც ეგი განასახიერებს სიმართლეს, საზოგადოებრივ აზრს და თავისუფლებას ხალხის თვალში, რომელიც მოკლებულია ყველა ამ სიკეთეს!

ვიდრე ამ წერილის შინაარს გაგაცნობდეთ, უნდა ორიოდე სიტყვით მოგიყვეთ ერთ საშუალო ისტორიას: თქვენ, ალბად გაგიგონიათ იგი, მაგრამ ზოგადად და გაურკვევლად, როგორც ყველაფერი, რაც ამ შორეულ და ცივ ცნობისმოყვარეობის გამომწვევ ქვეყანას შეეხება. ასეთი გულგრილი და მკაცრი ცნობისმოყვარე ვიყავი მეც რუსეთში მოსვლამდე. ეხლა წაიკითხეთ და გაწითლდით! გაწითლდით იმიტომ, რომ ყველა, ვინც მთელი თავისი ძალღონით პროტესტს არ აცხადებს იმ რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც შესაძლებლად ხდის ამგვარ ფაქტებს, იგი რამდენადმე მისი თანამოზიარეა და ხელის შემწყობი.

მე ცხენები უკან დავაბრუნე უეცრივი ავადმყოფობის საბაბით და ფელდიეგერს დავაბარე ეთქვა ფოსტაში, რომ ხვალ გავდივარ აქედან. თავიდან მოვიშორე თუ არა მოსაჩილი ჯაშუში, მე მაშინვე დავიწყე ამ სტრიქონების წერა.

თავად ტრუბეცკოის, რომელიც მხურვალე მონაწილეობას იღებდა დეკემბრის 14-ს აჯანყებაში, მისჯილი ჰქონდა კატორღაზე მუშაობა თოთხმეტი თუ ხუთმეტი წლით, ხოლო ამ ვადის შემდეგ — ციმბირში ცხოვრება, რომელიც დასახლებულია ყოფილი დამნაშავეების ახალშენებით. თავადს სასჯელის ვადა ურალის მაღაროებში უნდა მოეხადნა. თავადის ცოლმა, რომელიც ერთ-ერთ უწარჩინებულეს რუსის საგვარეულოს ეკუთნის, გადასწყვიტა გაჰყოლოდა თავის მეუღლეს ციმბირში. ვერავითარ მოსაზრებამ და საუთმა ვერ შეარყია მისი გადაწყვეტილება. „ეს ჩემი მოვალეობაა,—უპასუხა ქალმა იგი,—და მე შევასრულებ მას. არ არის ქვეყნად ისეთი ძალა, რომელსაც ცოლქმრის გაყრის უფლება ჰქონდეს. მე გავიხიარებ ჩემი მეუღლის ბედს“. ამ კეთილშობილმა ქალმა მიიღო „მოწყალე“ ნებართვა ცოცხლად დამარხვისა ქმართან ერთად. მე არ ვიცი, თუ სირცხვილის რომელმა ნაშთმა აიძულა რუსის მთავრობა მისთვის ეს მოწყალება აღმოეჩინა. იქნებ ეშინოდათ ტრუბეცკოის მეგობრების, რომელნიც ცნობილნი და გავლენიანი პირები იყვნენ. თუმცა არისტოკრატია აქ დაუძლურებულია, მას კიდევ შენარჩუნებული აქვს დამოუკიდებლობის აჩრდილი, და ეს აჩრდილი საკმარისია, რომ დესპოტიზმს შიში აგრძნობინოს. ეს საშინელი საზოგადოება სავ ეა კონტრასტებით: ზოგიერთნი ისე თავისუფლად ლაპარაკობენ ერთძანეთში, თითქოს საფრანგეთში ცხოვრობდენ. საიდუმლო და ფაფული თავისუფლება ანუგეშება ძათ აშკარა და ცხად მონობაში, რომელიც მათი საძმობლოს სირცხვილს და უბედურებას წარმოადგენს.

ასე თუ ისე კნეინა წავიდა თავის კატორღელ ქმართან ერთად და, რაც უფრო საკვირველია, მრავალი ასეული მილი გაიარა ეტლით საშინელ გზებზე და დანიშნულ ადგილას მივიდა. შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, რამდენი ტანჯვა და გაჭირვება გამოიარა უბედურმა ქალმა! მაგრამ არ მინდა აღიწეროთ იგი, რადგანაც არ მაქვს ამის დ წვრილებითი ცნობები და ალბ მსურს შევთხზა არც ერთი სიტყვა,—ამ ამბავის სიმართლე ჩემთვის ცრულიად უდავოა.

კნეინა ტრუბეცკოის მოქმედება მით უფრო გმირულად გვეჩვენება, რომ კატას ეოფამდე მეუღლენი საკმაოდ გულგრილად იყვნენ განწყობილნი ერთი მეორის დმი. პეტერბურგში მათ შვილები არ ჰყოლიათ, ციმბირში ხუთი შვილი გაუჩნდათ.

რანაირი დამნაშავეც უნდა ყოფილიყო ტრუბეცკოი, მეფე დიდი ხანია აპატიებდა ძას, რომ მართლა ისეთი დიდი ონარქი იყოს, როგორც ამის სურვილი აქვს. მაგრამ, იმის გარდა, რომ საინოება უცხოა ნიკოლოზის ბუნებისათვის, იგი მას მეფური ღირსების დამა-

შეცირებელ სისუსტედ მიაჩნია. იგი თავის ძალას შიშით ზომავს და შებრალება თავის პოლიტიკური მორალის კოდექსის დარღვევად მიაჩნია. ერთი სიტყვით, იმპერატორი ნიკოლოზი ვერ ბედავს პატიებას, იგი ბედავს მხოლოდ დასჯას.

თოთხმეტი წლიწადი შეუღლეებმა მაღაროებში ერთად იცხოვრეს. თავადის ხელები, როგორც მოგეხსენებათ, ვერ ეწყობა ბარსა და ნიჩაბს, ყოველ შემთხვევაში, იგი კატორღელია და უნდა იცხოვროს იქ. თქვენ ამ საათში დაინახავთ, თუ როგორ მოქმედებს კატორღელის მდგომარეობა ადამიანსა და ამის ბავშვებზე.

მართალია პეტერბურგში ბლომად მოიპოვებიან პატრიოტები, რომელთაც კატორღელების ცხოვრება სრულიად რიგიანად მიაჩნიათ და „ყბედებს" ჰკიცხავენ, მაღაროებში გადასახლებულ დამნაშავეთა ტანჯვას აზვიადებთო. ამ უკანასკნელთა ნათესავებს,—ამბობენ ეს ოპტიმისტები,—შეუძლიანთ გაუგზავნონ მათ ტანისამოსი და სანოვაგეო. საინტერესოა მხოლოდ, რომელი სანოვაგე აიტანს გადაგზავნას რუსეთის იმპერიის საზღვარზე?

რა რიგ მშვენიერიც უნდა იყოს ციმბირში ცხოვრება, კნეინა ტრუბეცკოის ჯანმრთელობა მაინც დაუზიანდა. და ძნელი წარმოსადგენიც არის, როგორ შეძლო ნაღალ საზოგადოებაში ფუფუნებიან ცხოვრებას შიჩვეულმა ქალმა ამდენი წლები გაეტარებინა ყინულის უდაბნოში, სადაც ტერმომეტრი ყოველ წელს 40° ყინვას აღწევს. ასეთ ტემპერატურას თავისთავად შეუძლიან კაცობრიობა სრულიად წარხოცოს დედამიწის პირიდან. მაგრამ წმინდა ქალს სიცოცხლე სურდა და ცოცხლობდა. ხალხი გარდა ამისა მას სხვა საზრუნავიც ჰქონდა.

გაიარა შვიდმა წელიწადმა, მისი შვილები წამოიზარდნენ და მან თავის მოვალეობად ჩასთვალა მიეწერა ერთ-ერთ ნათესავისთვის — ბეუესთან მიდით და სთხოვეთ ნება დამრთოს შვილები პეტერბურგში ან სხვა რომელიმე დიდ ქალაქში გავგზავნო, რათა იქ სათანადო განათლება მიიღონო.

ეს თხოვნა მონარქს მოხსენდა: იოანე IV და პეტრე I ღირსეულმა მემკვიდრემ უპასუხა, კატორღელების შვილები თვით კატორღელები არიან და მათთვის ყოველი განათლება საკმაოაო.

ასეთი პასუხის მიღების შემდეგ, მისი ოჯახი, მისი მეუღლე და მისი ოჯახი კიდევ შვიდ წელიწადს სდუმდნენ. მათ სასარგებლოდ პროტესტს აცხადებდნენ კაცობრიობა, ქრისტიანული სარწმუნოება და შეურაცყოფილი თავმოყვარეობა, მაგრამ პროტესტს აცხადებდნენ ჩუმად და შეუმჩნევლად. არც ერთი ხმა არ გაისმა ამ გვარი „სამართ-

ლიანობის" წინააღმდეგ. და მხოლოდ ეხლა, როდესაც ამ საბრალოებს ახალი უბედურება დაატყდათ თავს, კვლავ გაისმა კვნესა უფსკრულიდან.

თავადმა შეასრულა კატორღის ვადა, „განთავისუფლებულნი" კი, თავის შვილებთან ერთად ციმბირის ყველაზე შორეულ ადგილას უნდა დასახლდნენ. მათი დასახლების ადგილი საგანგებოდ და განზრახ არჩეული იყო თვით იმპერატორის მიერ. ეს ისეთი მიყრუებული ადგილია, რომ იგი ჯერ კიდევ არ არის აღნიშნული რუსული გენერალური შტაბის რუკაზე, რომელიც ყველაზე ზუსტია და ზედმიწევნილი მთელ დედამიწაზედ.

კნეინას მდგომარეობა გაცილებით უფრო აუტანელი შეიქმნა მას შემდეგ, როდესაც მას „ნებადართეს" ამ დათვების კუთხეში დასახლებულიყო. (დაიხსომეთ, რომ ჩაგრულთა ენაზე მჩაგვრელის ინტერპრეტაციით ნებართვას ბრძანებად სთვლიან). მაღაროებში მას შეეძლო გამთბარიყო მიწის ქვეშ, იქ იყვნენ აგრეთვე მისი ამხანაგები უბედურობით, უტყვი ნუგეშის მცემელნი და მისი გმირობის მოწმენი. ადამიანთა თვალნი ხ დავდენ და დასტირიდენ მის წამებას და არა ერთი გული აძგერებულა მძლავრად მასთან შეხვედრის დროს. მაგრამ, როგორ უნდა გამოიწვიო შებრალება დათვებში, როგორ უნდა გაიკაფო გზა ულრან ტყეებში, როგორ გაალხობ უსაზღვრო ტუნდრის მუდმივ ყინულს და როგორ დაიცავ თავს აუტანელი სიცივისაგან უბადრუკ ქოხში? და ანროგორ უნდა იცხოვრო ქმართან და ხუთ შვილთან ერთად იმ ადგილას, რომელიც დაშორებულია ასეულ ან შეიძლება კიდევ მეტი მილის მანძილზე უახლოეს ადამიანურ საცხოვრებ ლს, თუ რომ არ ჩავთვლით გადასახლებულთა ზედამხ დველ დარაჯს?

ჩემს თაყვანისცემას იწვევს არა მარტო კნეინას მორჩილება ბედისწერისადმი, არამედ მჭერმეტყველებით და სინაზით აღსავსე სიტყვები, რომელიც მან თავის გულში ჰპოვა და რომელმაც სძლია მის მეუღლის წინააღმდეგობას; მან დაარწმუნა იგი, რომ მასთან ტანჯვის დროს ის უფრო ნაკლებად უბედურია, ვიდრე იქნებოდა პეტერბურგში, სადაც უკეთეს პირობებში იცხოვრებდა, მაგრამ დაშორდებოდა მას. ეს ერთგულების ზეიმი, დაგვირგვინებული გამარჯვებით (ვინაიდგან თავადი ბოლოს მაინც დასთანხმდა), მიმაჩნია ქალური გრძნობიერების, სიმძლავრის და სიყვარულის სასწაულად. თავის მსხვერპლად გაწირვა—კეთილშობილი და იშვიათი თვისებაა, მაგრამ რომ სხვაც აიძულო ამ მსხვერპლის მიღებაზე—ამაზე უდიდესი აღარაფერია დედამიწაზე!

ამ ქამად დედამამამ, რომელნიც მოკლებულნი არიან ყოველ-ნაირ დახმარებას, და დაუძლურებულნი ამდენი უბედურებით წარ-სულში და მომავლის წყვდიადით, რომელნიც გადახვეწილნი არიან უდაბნოში და დასჯილნი თავიანთი უდანაშაულო შვილებითურთ,— არ იციან, რანაირად არჩინონ ბავშვები. ეს უკანასკნელი—კატორ-ღულები დაბადებით, იმპერატორული რუსეთის პარიები, მოკლებულ-ნი არიან საშობლოს გვარსა და სახელს. მაგრამ ისინი საჭიროებენ ჭამას, ჩაცმას და დახურვას. განა შეუძლიან დედას, რაგინდ მაღალი სულის პატრონი იყოს, დაუშვას, რომ დაიღუპოს მისი ხორცი და სისხლი? არა, იგი თავს იმცირებს და ითხოვს მოწყალებას... ძლიერ ქალი დამარცხებულ იქნა სასოწარკვეთილი დედის მიერ. იგა ხედავს თავის შვილების ავამდგყოფობას, და არ შეუძლიან არაფრით დახ-მარება, მას არავითარი საშუალება არ აქვს რომ შეუმსუბუქოს მათ ტანჯვა, და გადაარჩინოს სიკვდილს. დარდით შეწუხებული მამა ნე-ბას აძლევს მას იმოქმედოს ისე, როგორც გული უკარნახებს. კნეი-ნამ აპატია პირველი უარის სიმკაცრე (მოწყალების თხოვნა—პატი-ებას ნიშნავს) და კვლავ გზავნის წერილს ციმბირიდან. იგი გაგზავ-ნილია კერძო ოჯახის სახელზე, მაგრამ დანიშნულია იმპერატორი-სადმი გადასაცემად. მე წასვლა დამიშალეს იმისთვის, რომ ამ წე-რილს გავცნობოდი, მაგრამ არ ვნანობ, რომ წასვლა გადავდე. ამა-ზე მგრძნობიარე და უბრალო წერილი არასოდეს არ წამიკითხავს. ასეთი გმირობა სიტყვებს არ საჭიროებს. კნეინა სარგებლობს თავი-სი გმირული მდგომარეობით, იგი ლაკონიურია მაშინაც-კი, როდე-საც საქმე მის შვილებს ეხება. რამდენიმე სტრიქონით იგი ასწერს თავის მდგომარეობას უდეკლამაციოდ და დაუჩივლელად. იგი თავს არ იმცირებს ენამჭევრობით—ფაქტები თვით ლაპარაკობენ. თავის თხოვნას იგი ათავებს იმით, რომ გაიღონ ერთად ერთი მოწყალება და მისცენ ნება იცხოვროს ისეთ ადგილას, სადაც შეიძლება საეკ-ლესიო დახმარების მიღება და წამლების შოვნა ავადმყოფი ბავშვების-თვის. ტობოლსკის, ირკუტსკის ან ორენბურგის მიდამოები სამოთხე იქნებოდა მისთვის. წერილის ბოლოში იგი არ ლაპარაკობს იმპერა-ტორზე, იგი ყველას ივიწყებს და მხოლოდ თავის მეუღლეზე ფიქ-რობს. მის სიტყვებში გამოკრთის ნამდვილი, კეთილშობილი გრძნო-ბა, რომელსაც ვეეძლო დაეიწყებინა უაღრესად მძიმე დანაშაული. მაგრამ იგი უდანაშაულოა, ხოლო მონარქი, რომელსაც იგი მიმარ-თავს, ყოველად შეძლებელია და მხოლოდ ღმერთი ასამართლებს მის მოქ-მედებას. „მე ძალიან უბედური ვარ, სწერს იგი,—მაგრამ მე რომ

ყველა ამის განცდა ხელმეორედ მომელოდეს, სწორედ ისევე მოვიქ-ცეოდი".

კნეინას წერილი დანიშნულებისამებრ მივიდა, იგი იმპერატორმა წაიკითხა. გამოჩნდა მაშაცი ადამიანი, რომელმაც გაბედა არამცთუ მიტანა ამ წერილისა მრისხანე მონარქისადმი, არამედ მხარი დაუჭირა მის წინაშე გადასახლებული ნათესავის თხოვნას. მეფესთან მასზე ლაპარაკობენ მხოლოდ როგორც ბორტმოქმედზე. სხვა ქვეყანაში-კი იამაყებდენ ამგვარი ნათესავით, რომელიც ცოლქმრული გმირობის მსხვერპლი შეიქმნა.

და აი ასეთი შურისძიებით აღსავსე თოთხმეტი წლის შემდეგ,—მომეცით ნება გამოვთქვა ჩემი აღშფოთება! ვინაიდგან სიტყვების ძებნა, როცა ამგვარ ფაქტებზე ლაპარაკობ, ნიშნავს წმინდა საქმის ღალატს! დაე აღშფოთდენ რუსები, თუ გაბედავენ ამას, მაგრამ ევროპამ უნდა გაიგოს, რომ ადამიანი, რომელსაც სამოცი მილიონი ქვეშევრდომი ყოველად შემძლებელ თვითმპყრობელს უწოდებს, თავს იმკირებს შურისძიებით. დიახ, მხოლოდ შურისძიება შეიძლება ვუწოდოთ ამგვარ საქციელს! მაშ ასე. თოთხმეტი წლის შემდეგ კნეინას ნათესავი იმპერატორ ნიკოლოზის ბაგეთაგან პასუხის მაგიერ შემდეგ სიტყვებს ისმენს: „მიკვირს, რომ მიბედავენ კიდევ (მეორეჯერ 15 წელიწადში!) ლაპარაკს იმ ოჯახზე, რომლის მეთაურიც შეთქმულებაში იღებდა მონაწილეობას ჩემს წინააღმდეგ". თქვენ შეგიძლიანთ ეჭვი შეიტანოთ ამ სიტყვების ხუსტად გადმოცემაში, მე თვითონ მინდა ვეჭვობდე ამას, მაგრამ არ შემიძლიან. მე იგი ისეთმა პირმა გადმომცა, რომელსაც კნეინას ნათესავმა ეხლახან უამბო ამ ბაასის შესახებ ხელმწიფეთან და, ბოლოს, ამას ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ ამ წერილმა არავითარი გავლენა არ მოახდინა გადასახლებულთა ბედზე.

მათი ნათესავები, ტრუბეცკოები, ფრიად გავლენიანი და წარჩინებული პირნი, პეტერბურგში ცხოვრობენ... და სასახლეში დაბიარებიან! აი ესეც რუსული არისტოკრატიის თვითშეგნება და დამოუკიდებლობა! იმ ქვეყანაში, სადაც გამეფებულია ძალადობრეობა, შიში ყველაფერს ამართლებს. კიდევ მეტი, იგი დაუჯილდოებელი არ რჩება. შიში, რომელსაც ხდილობს გულისთვის, კეთილგონიერებას და ზომიერებას უწოდებენ, ერთადერთი დაუკიწყარი დაძსახურებაა. აქ მოიპოვებიან ისეთი ვაჟბატონებიც, რომელნიც კნეინა ტრუბეცკაიას სასულიერეს უკიჟინებენ „განა არ შეუძლიან მას მარტო თვითონ დაბრუნდეს პეტერბურგში?"—ამბობენ ისინი. ჭეშმარიტად, რომ ვირის წიხლია ეს [33]).

ეხლა ჩემთვის არავითარი უეჭვი და რყევა არ არსებობს, მე უკვე შეეადგინე ახრი იმპერატორ ნიკოლოზის შესახებ. ეს მტკიცე ხასიათის და ნებისყოფის ადამიანია,—წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ გახდებოდა დედამიწის ერთი მესამედის ბატონ-დარაჯად,—მაგრამ დიდსულოვნობა სრულიად უცხოა—მისთვის. ამას აშკარად ამტკიცებს ის, თუ როგორ სარგებლობს იგი თავისი ძალა-უფლებით. დაე ღმერთმა აპატიოს მას! მე, საბედნიეროდ, მას ველარ ვიხილავ. მე დავასრულებ ჩემს მოგზაურობას, მაგრამ არ დავეწერები სასახლის წამოსვლას კრემლში და აღარას ვიტყვი იმპერატორზე. ან რა შემიძლიან გითხრათ ახალი მის შესახებ? თქვენ ეხლა საკმაოდ კარგად იცნობთ მას, რომ შეიძლოთ ნათელი წარმოდგენა ამ ქვეყანაზე. უნდა გახსოვდეთ მხოლოდ, რომ ეჭვგარი შემთხვევები აქ მუდამ ხდება, მაგრამ არავინ არ იცის მათ შესახებ. საჭირო იყო ფრიად განსაკუთრებული და ხელსაყრელი პირობების შეხვედრა, რათა ჩემამდე მიეღწია იმ ფაქტებს, რომელიც მე თქვენ გაგიზიარეთ ჩემი სინდისის მიხედვით.

მე შევკრებ ჩემს ზიერ დაწერილ შენიშვნებს დღიდან ჩემი მოსვლისა რუსეთში, რომელნიც მე ჯერ არ გადამიგზავნია პარიზში, კარგად დავბეჭდავ მთელ ამ კრებულს და ვინმეს საიმედოს მივცემ შესანახად. (ამ უკანასკნელის პოვნა არ კ თუ ისე ადვილია პეტერბურგში). შემდეგ დავწერ, ასე ვთქვათ, ოფიციალურ წერილს, რომელსაც ხვალ პარიზში გავგზავნი ფოსტით. ამ წერილში უაღრესი ქება-დიდებით იქნება მოხსენებულნი ყველაფერი, რასაც აქ ვხედავ, ყველა პირნი და დაწესებულებანი. აქედან ცხადი იქნება, თუ რა უზომოდ ვარ აღფრთოვანებული ამ ქვეყნით და ყველა იმით, რაც აქ ხდება! მე დარწმუნებული ვარ,—და სწორედ საქმეც ეს არის,—რომ ჩემი ფრანგი მკითხველები და რუსული პოლიცია ერთნაირად გაბრიყვდებიან ჩემი „სახახინო“ ენტუზიაზმით, და ასეთი წერილები, გახსნილნი საზღვრებზე, საშუალებას მომცემენ მშვიდად განვაგრძო ჩემი მოგზაურობა.

თუ ჩემს შესახებ თქვენ ველარას გაიგებთ, იცოდეთ, რომ ციმბირში გადამასახლეს. მხოლოდ ეს იძულებითი მოგზაურობა შემაშლის ხელს, რომ ბოლოს მაინც მოსკოკში წავიდე. აი ეს არის ჩემი ფილდიეგერმა შემატყობინა, რომ ხვალ დილით ფოსტის ცხენები სახლის შესავალთან მელიან.

თ ა ვ ი XVIII

მოგზაურობა საფოსტო გზებით.—„რუსული მთები“.—კოუსტინის ფელდიეგერი.—მეეტლის ცემა.—სწრაფი ნიარული.—გაძოცდილი მოგზაურის წინასწარ რმეტყველება.—სოფლის მოსახლეობა.—ს ფოსტო სადგურები.—ოუსი გლეხი ქალების მიმზიდველობა.—სატახტო ქალაქია ფერიები ქაჯებად იქცევიან.—ბოგანო ხალხი.—უმაღლესი გზა.

ფოსტის გზით მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვში ნიშნავს რამდენიმე დღით, ზედიზედ, იმის ატანას, რასაც განიცდი „რუსული მთებიდან“ დაბლა ჩამოსვლის დროს პარიზში. კარგია, რასაკვირველია, თან წამოიღო ინგლისური ეტლი ერთად-ერთი მიზნით, გაისეირნო ნამდვილ რესორებიან ეტლით ამ შესანიშნავ გზაზე, რომელიც რუსების და მგონი უცხოელების სიტყვითაც საუკეთესო შოსეა მთელ ევროპაში. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს გზა წესიერად არის შენახული, მაგრამ მაგარია და უსწორ-მასწორი, რადგანაც დამტვრეული ქვები და კენჭები სქლადაა დატეპნილი და პატარ-პატარა, უძრავ, ამაღლებულ ადგილებს წარმოადგენს. ამიტომ ბოლტები (ჭანჭიკები) ირყევა და ვარდება ყოველ გაქანებაზე, ყოველ სადგურზე ეტლს შეკეთება სჭირდება და ჰკარგავ დროს, რომელსაც იგებ გზაში, სადაც მტვრის ღრუბელში მიჰქრიხარ ქარიშხალის თავბრუდამსხმელი სისწრაფით. ინგლისური ეტლი მხოლოდ პირველ ხანებში გგვრით სიამოვნებას; მალე გრძნობთ რუსული ეტლის მოთხოვნილებას, რომელიც უფრო შეეფერება ამ განსაკუთრებულ გზას და მეეტლის ზნე-ჩვეულებას. ხიდების თუჯის მოაჯირები მორთულია საიმპერატორო ღერბით და მშვენიერი გრანიტის ბოძებით, მაგრამ თავბრუდასხმული მოგზაური მათ თითქმის ვერ ამჩნევს. მთელი გარეგნო მიჰქრის მის თვალ წინ, როგორც ავადმყოფის ბოდვა.

ჩემი ფელდიეგერის გარეგნობა, იერი და ხასიათი ყოველ ნაბიჯზე იმ სულს მაგონებენ, რომელიც გამეფებულია მის ქვეყანაში. როდესაც მეორე სადგურს ვუახლოვდებოდით, ერთმა ჩვენმა ცხენმა წაიბორძიკა და ღონე მიხდილი დაეცა. საბედნიეროდ, მეეტლემ მოახერხა უცბად ეტლის გაჩერება. მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულის მიწურულებია, დღისით მხურვალე მზეა, და სიცხისა და მტვრის გამო შეუძლებელია სუნთქვა. მე გადავწყვიტე, რომ ცხენი დასიცხუ-

ლია და მოკვდება, თუ რომ სისხლი არ გაართვეს მეთქი. დავუძახე ჩემ ფელდიეგერს, ამოვიღე საკვლიავიდან ფუტლიარი საბეითლო ლანცეტით და მივეცი წინადადება დაუყოვნებლივ ესარგებლა ამით, რათა საბრალო პირუტყვის სიცოცხლე გადაერჩინა. მაგრამ ფელდიეგერმა ბოროტი და დამკინავი კილოთი ფლეგმატურად მიპასუხა: „არა ღირს თავის შეწუხებად, ჩვენ ხომ მივედით კიდეკ სადგურამდე". ამ გვარად არც-კი მიუხედნია მომაკვდავი ცხენისკენ, საჯინიბოში წავიდა და შეუკვეთა მეორე ცხენი შესაბმელად. რუსები ძალიან ჩამორჩენილნი არიან ინგლისელებზე, რომელთაც გამოსცეს კანონი სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ ცხოველებისადმი. ჩემი ფელდიეგერი არც-კი დაიჯერებდა ამ კანონის არსებობას.

თუმცა, რა საჭიროა ცხოველებზე ლაპარაკი, როდესაც ხალხსაც ისე ეპყრობიან, როგორც პირუტყვს? აი კიდევ ერთი მაგალითი. შეეტლემ, რომელმაც სადგურამდე მიმიყვანა, სადაც ამ სტრიქონებს ვწერ, რაღაც დააშავა და თავისი უფროსი ამხანაგის რისხვა დაიმსახურა. ამ უკანასკნელმა წააქცია ეს, თითქმის ბავშვი წლოვანებით, დაუწყო ჩექმებით ცემა და მუშტებიც სეტყვასავით დააყარა. ეს მუშტები ძალიან საგრძნობი იყო, რადგან მე შორიდან მესმოდა, როგორ ხრიალებდა მკერდის ძვლები მის ფეხთ ქვეშ. როდესაც მწვალებელი ბოლოს დაცხრა, ნაცემი უსიტყვოდ წამოდგა ფეხზე, ფერმიხდილი და ათრთოლებული; გაისწორა თმა, თავი დაუკრა მრისხანე უფროსს და მარდად შეხტა კოფოზე, რათა გავექანებინე ოთხი ან ხუთი მილის სისწრაფით საათში. იმპერატორი შვიდ მილს აკეთებს საათში. რკინისგზის მატარებელი ძნელად დაეწევა მის ეტლს. რამდენი ადამიანი უნდა გაილახოს და რამდენი ცხენი უნდა დაეცეს, რომ ასეთ განსაცვიფრებელ სისწრაფეს მიაღწიოს! ამბობენ ასეთი არაჩვეულებრივი სწრაფი მოგზაურობა ახდილი ეტლით ვნებს ჯანმრთელობას, იშვიათად თუ შეუძლიათ ფილტვებს ჰაერი გაჰკვეთოს ასეთი სისწრაფით. მართალია, იმპერატორის აგებულება ისეთია, რომ იგი ყველაფერს იტანს, მაგრამ მისი უფრო სუსტი აგებულობის შვილი უკვე განიცდის ამგვარ ფიზიკურ ვარჯიშობათა მავნებელ გავლენას.

ორი საათის სიარულის შემდეგ მე შევხვდი ერთ ჩემ ნაცნობ რუსს, რომელიც თაკის ერთ-ერთ მამულში ყოფილიყო და პეტერბურგში ბრუნდებოდა. ჩვენ შევჩერდით ერთი წუთით, რათა ერთმანეთს გამოვლაპარაკებოდით რამდენიმე სიტყვით. რუსმა ზედმიწევნით დაათვალიერა ჩემი ეტლი და უეცოივ გადაიხარხარა.

— აქეთ მოიხედეთ,—მითხრა მან და მიმითითა ლერძებზე, რესორებზე და ეტლის სხვა და სხვა ნაწილებზე,—ეს ეტლი მთელი ვეღარ მიაღწევს მოსკოვამდე. იმ უცხოელებს, რომელთაც სურთ თავიანთი ეტლებით მოგზაურობა, მუდამ ერთი და იგივე ბედი მოელით. ისინი თქვენსავით გამოდიან და უკან დილიჟანით ბრუნდებიან.

— მაგრამ, რუსებმა მიახრეს, რომ ეს საუკეთესო შოსეა მთელ ევროპაში, და მე დავიჯერე მათი სიტყვა.

— ამ გზას რამდენიმე ხიდი აკლია და ზოგიერთ უბნებს შეკეთება სჭირდება. მგზავრს არა ერთხელ უხდება შოსეს გადახვევა, რომ გადალახოს დროებითი ხიდები ზედ დაყრილი ბოძებით.

— ჩემი ეტლი ინგლისშია გაკეთებული და გამოცდილია დიდ მოგზაურობაში.

— არსად არ დადიან ისე სწრაფად, როგორც ჩვენში. ეტლები ისე ირყევიან, როგორც გემები ძლიერი ქარიშხალის დროს. ხდება კომბინიური რყევა—გვერდითი და პირდაპირი, და მხოლოდ რუსეთში გაკეთებულ ეტლებს შეუძლიანთ ამის წინააღმდეგობის გაწევა.

— თქვენ ძველებურად მსჯელობთ, ვითომც მძიმე და მასიური ეტლები ყველაზე გამძლე იყოს, მაგრამ ეს სწორი არ არის.

— გზა მშვიდობისა! თუ რომ თქვენი ეტლი მოსკოვამდე მიაღწევს, მაშინ მართალი იქნებით. არ დაგავიწყდეთ წერილის მოწერა.

გამოვემშვიდობე თუ არა ამ პირქუშ წინასწარმეტყველს, ერთი რესორი უკვე გასკდა. ეს სადგურის ახლო მოხდა. აი ესეც პირველი დაბრკოლება. ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ გავიარეთ მხოლოდ თვრამეტი ლიე ას ოთხმოცდან. მე ვგრძნობდი, რომ უარი უნდა მეთქვა სწრაფ სასიამოვნო მოგზაურობაზე და უკვე ვისწავლე რუსული სიტყვა „ტიშე", იმის საწინააღმდეგო, რასაც მუდამ ამბობენ რუსი მოგზაურები.

გზაში უფრო ლამაზი სახის გლეხის ქალები გვხვდებოდნენ, ვიდრე პეტერბურგში. ტანის მოყვანილობა არც თუ ისე კარგი ჰქონდათ, მაგრამ მათი პირისახის ფერი ჯანმრთელი და ახალგაზრდული იყო. ძალიან ამახინჯებს მათ ფეხსაცმელი,—ტლანქი, მაღალი წაღები, რომელიც სრულიად მაღავს ფეხის ფორმას. შეიძლება იფიქროთ, რომ ისინი თავიანთ ქმრების ფეხსაცმელებს ატარებენ.

სახლები წააგავს შლისელბურგის გზაზე გაშენებულებს, მხოლოდ ყველა ისე ლამაზი არ არის. სოფლები ერთფეროვნად გამოიყურებიან. ისინი წარმოადგენენ ბოძებიანი ქოხების ორ მწკრივს, რომელნიც დიდ გზაზე არიან ჩამწკრივებული. ქოხები ტლანქად გათლილ ნამორებისაგან არიან შეკრულნი და პირი ქუჩისკენ აქვთ

მობრუნებული. ისინი ყველა ერთმანეთს ჰგვანან; მიუხედავად ამ მოსაწყენი ერთფეროვნებისა, ეს სოფლები ჩემზე ერთგვარი კმაყოფის და დოკლათის შთაბეჭდილებას სტოვებენ. ისინი გახვეული არიან სოფლური ცხოვრების სიშშვიდეში, რომელიც ორმაგად სასიხარულოა პეტერბურგის შემდეგ. სოფლის მოსახლეობა არც თუ ძალიან მხიარულად გიმოიყურება, მაგრამ მათ არც ისეთი უბადრუკი სახე აქვთ, როგორც ჯარისკაცებს ან პეტერბურგის მოხელეებს. რუსებში გლეხები ყველაზე ნაკლებად იტანჯებიან თავისუფლების უქონლობის გამო; ისინი ყველაზე ძალიან არიან დამონავებულნი, მაგრამ ნაკლებ შეელვარებასაც განიცდიან.

სახლი, სადაც მე ვწერ, ელეგანტურად არის მორთული, და განსაცვიფრებელ კონტრასტს წარმოადგენს ირგვლივ მდებარე მწირ ბუნებასთან შედარებით. ეს ერთსა და იმავე დროს ფოსტის სადგურიც არის და სასტუმროც, რომელიც მდიდარ კერძო პირის აგარაკს წააგავს, ჭერი და კედლები მოხატულია იტალიური სტილით, ქვემო სართული რამდენიმე ფართო დარბაზისაგან შესდგება და პროვინციალურ ფრანგულ რესტორანს მოგვაგონებს. ავეჯეულობა ტყავ გადაკრულია, ჩალის სკამები სუფთად გამოიყურება. ყველგან გამწკრივებულია დიდი დივნები, რომელნიც საწოლადაც გამოდგებიან, მაგრამ მე მწარე გამოცდილებით ვიცი, რა სახიფათოა მათი სარგებლობა, და მე ვერც-კი გამიბედნია ზედ დაჯდომა. ამგვარი ფოსტის სადგურები, თუმცა ნაკლებად ლამაზად მოწყობილნი, გაშენებულია მთელი გზის მანძილზე, პეტერბურგიდან მოსკოვამდე და მთავრობის ხარჯზე ინახება.

„რუსეთში სივრცე არ არსებობს"—ამბობენ რუსები და ამას ყველა მოგზაური იმეორებს. მე ეს სიტყვები მჯეროდა, მაგრამ სამწუხაროდ გამოცდილებამ დამარწმუნა დიამეტრალურად საწინააღმდეგოში: რუსეთში მხოლოდ სივრცე არსებობს. იქ სხვა არაფერი არ არის, გარდა უდაბნო ველებისა, რომელნიც გადაჭიმული არიან ყოველ მხრივ, სადაც-კი თვალი გასწვდება. ორი თუ სამი მხატვრული პუნქტი ერთმანეთს დაშორებულია უსაზღვრო და უდაბური სივრცეებით; ამას ანავე საფოსტო ტრაქტი სპობს სტეპების პოეზიას და სტოკებს ველების მკვდარ მოწყენილობას უსაზღვროდ და დაუსრულებლივ. არაფერი გრანდიოზული და დიდებული. ყველგან სიტიტვლე და სილარიბე, ირგვლივ სოლონჩაკები და ჭაობები. მათი ცვალებადობა ერთად-ერთი სხვადასხვაობაა პეიზაჟში. აქა-იქ გაფანტული სოფლები, რომელნიც, რაც უფრო შორდებიან პეტერბურგს, მით უფრო უსუფთაონი არიან, არ აცოცხლებენ ლანდშაფტს, პირი-

ქით, აორკეცებენ მის შოწყენილობას. ქოხების ნამორების გროვაა, ხან ყავრითა და ხან ჩალით დახურული. ამ ქოხებში ალბად თბილა, მაგრამ ისინი ძალიან დალვრემილად გამოიყურებიან. სამხედრო ბარაკებს შოგვაგონებენ მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს უკანასკნელნი შიგნიდან უფრო სუფთანი არიან. გლეხების ქოხები კი ჭუჭყიანია, უსუფთაო და მყრალი. საწოლები სრულიად არ გააჩნიათ. ზაფხულში ყაფაზებზე წვებიან, კედლის გასწვრივ, ზამთარში—ლუმელზე ან და იატაკზე ლუმელის გარშემო. აქედან გამოდის ის დასკვნა, რომ რუსის გლეხი მთელ სიცოცხლეს ბანაკში ატარებს. სახლის კომფორტი ამ ხალხისთვის უცნობია.

გლეხების თავმოსართავი ძალიან თავისებურია და ფორმით სოკოს წააგავს. ფეხებზე მათ უმეტეს წილად შინგაკეთებული ქალამანი აცვიათ, რომელიც ფეხზე კანაფით არის შიბმული ჯვარედინად. ასეთი ფეხსაცმელის ნახვა უფრო სასიამოვნოა ძეგლებზე ვიდრე ყოველდღიურ ცხოვრებაში. ანტიკური სკულპტურა ჩვენ წარმოდგენას გვაძლევს ეგრედწოდებულ „ქალამნის“ სიძველეზე.

გლეხის ქალები ისევ იშვიათად გიხვდებიან: ათიდან ერთზე მეტი არ არის ქალი. მათი კოსტიუმი მოწმობს მათ ულაზათობას და მოგვაგონებს ბენუარს უტალიოდ. თითქმის ყველანი ფეხშიშვლები დადიან, მხოლოდ ყველაზე შეძლებულთ თავი მოაქვთ ზემოდაღწერილი ჩექმებით. თავზე ქალებს აკრავთ ხელსახოცებს ანდა მაგრად გადაჭიმული ტილოს ნაჭერი.

მაგრამ მარტო გლეხის ქალებს როდი ეჩნევათ ასეთი დაუდევრობა თავის გარეგნობისადმი. მე ვნახე რუსის „დამები“, რომელნიც რაღაც არაჩვეულებრივ ტუალეტებში იყვნენ გამოწყობილნი. დღეს დილით ერთ-ერთ სადგურზე, სადაც საუზმისათვის გავჩერდი, შევხვდი მთელ ოჯახს, რომელიც პეტერბურგში ვიცნობდი. იქ ეს ოჯახი ცხოვრობს ერთ-ერთ სასახლეში, რომელსაც რუსები ასეთი სიამაყით უჩვენებენ უცხოელებს. თავიანთ სახლში ეს ქალები პარიზის უკანასკნელ მოდაზე იყვნენ ჩაცმულნი. აქ-კი, სადგურზე, სადაც ისინი დამეწიენ ახალი უბედურობის გამო, რომელიც ჩემს ეტლს შეემთხვა, სულ სხვანაირად გამოიყურებოდნენ. მე ძლივს ვიცანი ისინი, ვინაიდან ლამაზი ფერიები ქაჯებად გადაქცეულიყვნენ. წარმოიდგინეთ, რომ ხალგაზრდა პირნი, რომელთაც თქვენ აქამდე ძხოლოდ ძალიან სახოგადოებაში ხვდებოდით, უეცრივ მოგვევლინენ სანდრილიონის კოსტიუმში, არა, კიდევ უფრო ცუდად: უშლიაპოდ, ჭუჭყიანი ხელსახოცების მსგავსი თავწასაკრავებით, გაქონილ კაპო-

ტებში და რაღაც უცნაურ მოქსოვილ ტუფლებში. სწორედ რომ შეიძლებოდა კაცს ჯადოსნური გადაქცევა ეწამა.

ამ ელეგანტურ მოგზაურ ქალებს თან მისდევდა ორიგე სქესის მსახურთა მთელი შტატი. ეს ბოგანო ხალხი, რომელიც გახვეული იყო საზიზღარ ძონძებში, ირგვლივ ფუსფუსებდა და ჯოჯოხეთურად ყვიროდა, რაიცა აგვირგვინებდა ქაჯური შაბაშის სურათს. ყველა ყვიროდა, ლრიალებდა და აქეთ იქით დარბოდა. ყველგან ხარბად სვამდენ და სჭამდენ, რაც მადას დაუკარგავდა თვით უაღრესად მშიერ ადამიანს. იმავე დროს ქალები არ ივიწყებდენ პრანჭვა-გრეხას და უჩიოდნენ სადგურზე გამეფებულ ჭუჭყსა და ტალახს—ითქოს მათ უფლება ჰქონდათ პრეტენზია გამოეცხადებინათ სისუფთავეზე. მე მეგონა, ციგნების „ტაბორში“ მივხვდი მეთქი. თუმცა ციგნებს არ მოაქვთ თავი სისუფთავის მოყვარულებად.

დამავიწყდა აღმენიშნა ერთი ფრიად უცნაური გარემოება, რომელმაც ძალიან გამაკვირვა მოგზაურობის დასაწყისში.

მთელ მანძილზე, პეტერბურგიდან ნოვგოროდამდე, მე შევამჩნიე მეორე გზა, რომელიც მთავარ შოსეს მისდევდა ცოტა დაშორებით. ეს პარალელური გზა მომარაგებულია ღობეებით და ხის ხიდებით, თუმცა იგი სილამაზით ჩამოუვარდება მთავარ შოსეს და საერთოდ გაცილებით ცუდია მასზე. როდესაც სადგურზე მოვედი, სადგურის ზედამხედველს ვკითხე, რას ნიშნავს ეს უცნაურობა მეთქი. ჩემმა ფელდიეგერმა გადამითარგმნა ზედამხედველის ახსნა განმარტება აი ეს განმარტება: სათადარიგო გზა დანიშნულია ტვირთის მხიდავი მეეტლეებისა, პირუტყვის და მოგზაურთა მოძრაობისთვის იმ დღეებში, როცა იმპერატორი ან და მეფის საგვარეულოს წევრები მოსკოვში მიდიან. ამგვარად უავგუსტოესი მგზავრები უზრუნველყოფილნი არიან მტვრისა და სხვაგვარ უსიამოვნობისაგან, რომელმაც შეიძლება შეაწუხოს ან და დააყოვნოს ისინი, თუ ამ დიდ გზაზე გავლის უფლება ყველას მიეცემოდა უავგუსტოების მოგზაურობის დროს. არ ვიცი, ხომ არ დამცინოდა სადგურის უფროსი: თუმცა, იგი ფრიად სერიოზულად ლაპარაკობდა და, როგორც სჩანდა, სრულიად ბუნებრივად მიაჩნდა, რომ ხელმწიფე საფოსტო გზას სავსებით ისაკუთრება იმ ქვეყანაში, სადაც მონარქი ყველაფერია.

ლუი XIV, რომელიც ამბობდა: „საფრანგეთი—მე ვარ“!—ჩერდებოდა, რომ გზა მიეცა ცხვრების ფარისთვის და მის მეფობის დროს მეეტლე, ფეხით მოსიარულე და მათხოვარი გზათ მიმავალ პრინცს ძველი ფრანგულ ანდაზას ეუბნებოდენ: „შარა გზა ყველას ეკუთვნის“! საქმე კანონი კი არ არის, არამედ მისი გამოყენება. სა-

ფრანგეთში ზნე-ჩვეულებებს ყოველთვის ერთგვარი კორექტივი შეჰქონდა პოლიტიკურ ყოფილებაში. ხოლო რუსეთში იგივე ზნე-ჩვეულებანი პორკეცებენ კანონის ნაკლს და ტვარგისობას მისი პრაქტიკულად გატარების დროს ცხოვრებაში, ისე რომ შედეგები უარესი ხდება, ვიდრე თვით პრინციპები იყო.

ორმაგი გზა თავდება ნოვგოროდში და ვერ აღწევს რუსეთის პირველ სატახტო ქალაქამდე.

თ ა ვ ი XIX

იძულებითი გაჩერება გზაში.—რუსის ხალხის ბუნებრივი გრაციოზ.—სვედიანი სიმღერები.—საქანელა.—ჭლებური გამჭრიახობა.—ლვთის შიში და ცბიერება.—ციხეერ სისხლიანი ხალხი.—თავისებური წარმოდგენა პატიოსნებაზე.—კიუსტინი ისმენს მონობის ხოტბას.—აჩქარება.—სიდარბაისლის ნიმუშები.—უბედური კვ ცი.—სიზმრები ცხადლივ.—ტვერის სისხლიანი წარსული.—მუხანათური რასა.

კლინოში მე ხელახლად უნებური დასვენება მელოდა და სულ იმავე მიზეზით: რეგულიარულად, ყოველ ოც მილზე რამე ტყდება. ჩემი რუსი ნაცნობი ნამდვილი წინასწარმეტყველი გამოდგა!

არის წუთები, როდესაც მეეტლეები არ აქცევენ ყურადღებას რუსულ „ტიშეს“ დაბეჯითებით განმეორებას და მთელი ძალღონით მიაჭენებენ ცხენებს. მაშინ დავრწმუნდი, მათი მორჯულება შეუძლებელია მეთქი, გავჩუმდი და თვალები დავხუჭე, რომ თავბრუ არ დამსხმოდა. თუმცა, აქამდის მე არ შემხვედრია არც ერთი გამოუცდელი მეეტლე, ხოლო ბევრი მათგანი ფრიად დახელოვნებული იყო. საინტერესოა, რომ ყველაზე დახელოვნებული მეეტლეები იყვნენ მოხუცნი და ბავშვები, თუმცა უნდა გამოვტყდე, რომ, როდესაც ამ როლში ათი წლის ბავშვი დავინახე, გული შემეხუთა და პროტესტი განვაცხადე. მაგრამ ფელდიეგრმა დამამშვიდა და მეც დავმორჩილდი ჩემს ბედს, რადგანაც ბოლოსდაბოლოს ორივეს ერთნაირი საფრთხე გველოდა. მართალი გითხრათ, განსაკუთრებული და არაჩვეულებრივი, დახელოვნებაა საჭირო რუს მეეტლესთვის, რომ ასეთი სწრაფი მოგზაურობის დროს გზა აუქციოს უჩიცხვ ფურგუნებს და ეტლებს.

არაფერი არ არის უფრო ორიგინალური, ვიდრე ეტლები, ხალხი და ცხოველები, რომელსაც ხვდები ამ ქვეყნის გზებზე. მე ამის მსგავსი არსად არ მინახავს რა. რუსის ხალხს უეჭველად თანდაყოლილი აქვს ბუნებრივი გრაცია და სილამაზის ბუნებრივი გრძნობა, რის გამო ყველაფერი, რასაც-კი იგი შეეხება, ძალაუნებურად მხატვრულ სახეს იღებს, ამა აიძულეთ უფრო ნაკლებ ფაქიზი ბუნების ხალხი ისარგებლოს რუსების ბინებით, ტანსაცმელით და მორთულობით—და ყველაფერი ეს რაღაც საშინელებად მოგეჩვენებათ. აქ კი მე ეს თუმცა უცნაურად და არაჩვეულებრივად მიმაჩნია, მაგრამ ყვე-

ლა ეს მოკლებული არ არის თავისებურ სილამაზეს, რომელიც ღირსია შეატყვილი დასურათებისა. ჩააცვით რუსს ჰარიზელი მუშის ტანისამოსი, და ის აქედან რალაც სასიამოვნოს შეჰქმნის თვალისთვის. ამ ხალხის ცხოვრება სავსეა ინტერესით, თუ თვით მისთვის არა, იმისთვის მაინც, ვინც მას თვალყურს შორიდან ადევნებს. მიწაზე მიჯაჭული მოსახლეობა ხელისუფლებისადმი ბრმა მორჩილებას იჩენს, იგივე მოსახლეობა ენერგიულ და დაუცხრომელ ბრძოლას აწარმოებს მჭირ და მომაკვდინებელ ჰავასთან; ეს კონტრასტი ორიგინალურ სურათების და ღრმა ფიქრთა დაუშრეტელი წყაროა.

სიჩუმე სუფევს რუს გლეხთა ყველა დღესასწაულებზე. ისინი ბევრს სვამენ, ცოტას ლაპარაკობენ, უფრო ცოტას ყვირიან, ან და მღერიან ხოროთი, ე. ი. თავიანთ მელანქოლიურ მელოდიას ღიღინებენ. რუსების ნაციონალურ სიმღერას ახასიათებს სევდა და მოწყენილობა. რუსი გლეხების საუკეთესო გართობა—საქანელაა, რაც სრულიად შეეფერება მათ ბუნებრივ სიმარდეს. როდესაც კვირა დღით მჭიდროდ დასახლებულ სოფლებზე გავიელიდი ხოლმე გზად, მე ვხედავდი, რომ ერთ საქანელაზე ოთხიდან—რვამდე ქალიშვილი იდგა, ხოლო მეორეზე იმდენივე ახალგაზრდა ვაჟი, პირიქით მიბრუნებულნი ქალიშვილებისკენ. ყველა ისინი ოდნავ ქანაობდენ, თითქმის შეუმჩნეველად თვალისთვის. ასეთი მუნჯური თამაში დიდხანს გრძელდება და მე არასოდეს მოთმინება არ მყოფნიდა ბოლომდის მომეცადნა. მაგრამ ეს ჩუმი დროს გატარება მხოლოდ რალაც ინტერმედიის მსგავსია, რომელიც ანტრაქტებში ხდება ნამდვილ ქანაობას შუა. ეს უკანასკნელი—ძალიან გაბედული და მაკურებლისთვის საშიში გართობაა. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ბიჭები, რომლებზედაც საქანელაა გაბმული, ხანდახან ოკიფუტის სიმაღლეს აღწევს. და აი, წარმოიდგინეთ ორი ახალგაზრდა ადამიანი, რომელიც მთელი ძალღონით ბუქნავს, ისე რომ საქანელამ თითქმის ეს ეს არის სრული წრე უნდა ასწეროს! სრულიად გაუგებარია, თუ როგორ შეიძლება ასეთ პირობებში წონასწორობის დაცვა. ამ ვარჯიშობის დროს რუსები დიდ სიმარჯვეს, გრაციას და გაბედულობას იჩენენ.

ბევრ სოფელში მე ვსიამოვნობდი ასეთი გართობით და ბოლოს რამდენიმე ულამაზესი ქალის სახე ვნახე. მათ სახის კანზე, რომელსაც გამჭვირვალება და არაჩვეულებრივი სინაზე ახასიათებს, ფერადები გამოჰკრთის. დაუმატეთ ამას თ ალის მომჭრელი თეთრი კბილები და—რაც იშვიათია—პირის მშვენიერი და ნამდვილი ანტიკური ხაზები. მაგრამ თვალებს, რომელნიც ემეტებს წილად ცისფერნი

არიან, მონოლოლური მოყვანილობა აქვთ და, როგორც ყოველთვის ლავიანების თვალები, ცბიერად და მიუსვენრად გამოიყურებიან. მე არ ვიცი, შეიძლება, ეს ტანსაცმელის ბრალია, ან და შეიძლება, ის ბუნების თამაშია, მაგრამ ლაშაზი სახეები უფრო იშვიათია ქალებში, ვიდრე კაცებში.

რუსის გლეხი შრომის მოყვარულია და შეუძლიან თავი დააღწიოს გაჭირვებას ყოველგვარ პირობებში. იგი სახლიდან უცულოდ არ გამოდის; ეს იარაღი დაუფასებელია ამ ქვეყნის მცხოვრების დახელოვნებულ ხელში, სადაც ტყე ჯერ კიდევ იშვიათი არ არის. თქვენ შეგიძლიანთ რუს მოსაბსახურესთან ერთად სულ უხიფათოდ დაიკარგოთ ტყეში. რამდენიმე საათში თქვენ განკარგულებაში იქნება ჭოხი, სადაც თქვენ გაატარებთ ლამეს, უფრო მეტი კომფორტით და, რასაკვირველია, უფრო სუფთად, ვიდრე რომელიმე სოფელში.

ყოველ დასვენებამდე ჩემი მეეტლეები სამლოცველოების ახლო გავლის დროს პირჯვარს იწერდნენ, სულ ცოტა ოცჯერ მაინც და ასევე გულმოდგინედ მიესალმებოდნენ მგზავრებს, ესენი-კი ცოტანი არ იყვნენ. ამ ფორმალობის პუნქტუალურად შესრულების შემდეგ, დახელოვნებული, ღვთის მოშიში და თავაზიანი მატყუარები განუწყვეტლივ გვპარავდენ რამეს. ყოველთვის ჩვენ გვაკლდა ხან ტყავის პარკი, ხან თასმა, ხან ჩემოდანის გადასაკრავი ტილო და ბოლოს, სანთელი, ლურსმანი ან ხრახნილი. ერთი სიტყვით, მეეტლე არაადგილს სახლში ხელუხლებელი არ ბრუნდებოდა.

თუმცა ეს ხალხი ფულის მოყვარულია, იგი ვერ ბედავდს ჩიეილს, როდესაც მას ატყუებენ. ამის გამო ჩემი მეეტლეები ხშირად ზარალობდენ, ვინაიდგან ფელდიეგერი, რომელსაც მე საჭირო თანხას ვაძლევდი მათთან გასასწორებლად, რეგულიარულად უჭერდა მათ ამ საგზაო ფულის ნაწილს თავის სასარგებლოდ. როდესაც ეს თალლითობა შევნიშნე, ამ ზარალს საბრალო მეეტლეს ჩემი საკუთარი ჯიბიდან ვუნაზღაურებდი და წარმოიდგინეთ, როდესაც ამამზადა ფელდიეგერი დარწმუნდა, რომ დიდსულოვანი ვარ (ასე უწოდებს იგი ჩემ სამართლიანობის გრძნობას), თავხედურად განმიცხადა, რომ იგი პასუხს არ აგებს ჩემი პიროვნებისთვის, თუ ჩემი მოქმედებით დავარღვევ მის კანონიერ ავტორიტეტს.

შაგრამ როგორ უნდა გიკვირდეთ მორალური გრძნობის არქონა იმ ქვეყანაში, სადაც პატიოსნების უაღრესად ელემენტარულ წერტს წარჩინებული წოდება ისე უყურებს, როგორც კანონებს, რომელნიც გამოსადეგია მხოლოდ პლებეიებისთვის და სრულიად არ შეეხება ცისფერ სისხლიან ხალხს? არ იფიქროთ, რომ მე ვაჭარბებ-

დე: ეს მწარე სინამდვილეა. ფრიად გავლენიან აზნაურთა გვარეულობის უმრავლესობა რუსეთში გამსჭვალულია საზიზღარი არისტოკრატული ამპარტავნობით, რომელიც დიამეტრალურად წინააღმდეგება ნამდვილ პატიოსნებას. ამას წინად ერთმა ცნობილმა ქალმა ფრიად საგულისხმო, მაგრამ უნებური აღიარება მოახდინა ჩემთან. მისმა სიტყვებმა იმდენად გამაკვირვა, რომ პასუხს უგებ ამ სიტყვების ზუსტად გადმოცემისთვის. ჩვენი მოსაუბრის მიერ გამოთქმული გრძნობები საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული მამაკაცებს შორის, და იშვიათად ვხვდებით დეტალებში, რომელთაც უკეთესად აქვთ დაცული ტრადიციული და ბეშმარიტად კეთილშობილი აზრები, ვიდრე მათ ქმრებსა და ძმებსა.

— ჩვენ არ შეგვიძლიან ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ თქვენს წესებზე, — მითხრა მან. — მე მარწმუნებენ, ვითომც თქვენ ქვეყანაში შეიძლება წარჩინებული პირი ციხეში ჩასვან ორასი ფრანკის ვალისთვის. ეს ალმაშფოთებელია! ხომ ხედავთ რა განსხვავებაა რუსეთსა და საფრანგეთს შორის: ჩვენში არ მოიპოვება არც ერთი ვაჭარი, რომელიც გაგვიბედავდეს უარი გვითხრას კრედიტზე განუსაზღვრელი ვადით. თქვენი არისტოკრატული აზრებით, — დაუმატა მან, — ალბად თავს გაკადებით უკეთესად გრძნობთ რუსეთში. ძველი რეჟიმის ფრანგებს ჩვენთან გაცილებით მეტი მსგავსება აქვთ, ვიდრე ევროპის სხვა რომელიმე ხალხთან.

ვერ გადმოგცემთ, რა თავის შეკავება იყო საჭირო ჩემთვის, რომ ხმამაღლა პროტესტი არ გამეცხადებინა იმ ვითომდა სულიერი ნათესაობის წინააღმდეგ, რომლითაც ამყობდა ჩემი მოსაუბრე. მაინც, მიუხედავად იძულებითი თავშეკავებისა, მე არ შევძელი არ ალმენიშნა სიამოვნებით, რომ ადამიანი, რომელსაც ჩვენში ულტრარეაქციონერად სთვლიან, პეტერბურგში უკიდურეს ლიბერალად იქნება მიჩნეული. ბოლოს მე ვთქვი, თუ „თქვენ მარწმუნებთ რომ თქვენ შორის არიან ისეთი ვაჭარტონები, რომელთაც საჭიროდ არ მიიჩნიათ თავიანთ ვალების გადახდა, მე ამას ვერ დაგიჯერებთ სიტყვიერად".

— და სულ ტყუილად. ბევრი ჩვენთაგანი დიდი შეძლების პატრონია, მაგრამ სრულიად განადგურდებოდნენ, თუ ვალს გადუხდიდნენ ყველა თავიანთ კრედიტორებს.

პირველად მე ასეთი მტკიცება უბრალო ტრაბახად მიმაჩნდა ან და მახედ, რომელსაც ჩემს გულუბრყვილობას ეგებდენ. მაგრამ შემდეგში შეკრებილმა ცნობებმა დამარწმუნეს, რომ იგი ნამდვილი იყო.

მე მარწმუნებენ აგრეთვე, რომ ზნეობრივი გრძნობა სრულიად განუვითარებელი აქვთ რუსის გლეხებს. მათ ვითომც თითქმის არავითარი წარმოდგენა არ აქვთ ოჯახურ ვალდებულებებზე. და ჩემი პირადი დაკვირვებანიც თითქმის ყოველ დღე ადასტურებენ ამას. ერთმა დედამ მებატონეს მიამბო, რომ მისი ყმა, რომელმაც კარგად იცოდა რაღაც ხელობა, მისი ნებართვით პეტერბურგს გაემგზავრა საქმეშოდ. ორი წლის შემდეგ იმავე გლეხმა რამდენიმე კვირის შვებულება მიიღო და მოისურვა იგი გაეტარებინა სოფელში, სადაც მისი ცოლი სცხოვრობდა.

— მაშ, კმაყოფილი ხარ, რომ ოჯახობა ნახე? — ჰკითხავს მას მებატონე.

— ძალიან კმაყოფილი ვარ, თქვენო ბრწყინვალებავ, — გულუბრყვილოდ უპასუხებს ყმა, — ცოლმა ორი ბავშვი დამახვედრა. კარგია, ესლა ოჯახში უფრო მეტი ხალხია.

— უბედური ხალხი! მას თავისი არაფერი აქვს, — არც სახლი, არც შვილები და არც ცოლი. მისი გულიც-კი არ ეკუთვნის მას — იგი იჭვიანი არაა, და ვიზე უნდა აიღონ ეჭვი? სიყვარული მისთვის მხოლოდ შეგითხვევაა. და ასეთია ყველაზე უბედნიერეს ხალხის ცხოვრება რუსეთში — ე. ი. მონების! მე ხშირად მსმენია, როგორ შენატრიან მათ ჯარისკაცები — და, შეიძლება საფუძვლიანადაც.

— ისინი არაფერზე არ ზრუნავენ, — მეუბნებოდნენ მე, — მთელი მზრუნველობა მათზე და მათ ოჯახზე ჩვენ გვაქვს დაკისრებული (ერთმა ღმერთმა იცის, რა სახეს იღებს ეს მზრუნველობა, ყმა გლეხი ბერდება და უძლური ხდება). ისინი და მათი შვილები ხომ უზრუნველყოფილნი არიან ყველაფრით, რაც მათთვის აუცილებელია, და ამრიგად ასჯერ უფრო ნაკლებად არიან შებრალების ღირსნი, ვიდრე თქვენი თავისუფალი გლეხები!

მე ჩუმად ვუსმენდი ამ მონობის ხოტბას, მაგრამ ვფიქრობდი ჩემს გულში: მართალია, ისინი არაფრისთვის არ ზრუნავენ, მაგრამ მათ არც საკუთრება აქვთ — და ამგვარად, არც სიყვარული, არც ზედნიერება და არც მორალური გრძნობა, არ აქვთ არაფერი, რასაც შეეძლოთ — აანაზღაუროს ცხოვრების მაღალი — გაჭირვება, ვინაიდან მხოლოდ კერძო საკუთრება ჭვნის ადამიანს საზოგადოებრივ არსებად და ხელოვნურ იგი არის ოჯახის საფუძველი.

ბოროტება ყოველთვის ბოროტებაა — მეტყვიან ალ. ადამიანი, რომელიც ტერდობს მოსკოვში, ისეთივე ტერდია, როგორც ამ საქმის ჩამდენი არამზადა პარიზში. მაგრამ მე სწორედ ამას არ ეეთანხმებითვითეული ინდივიდის ზნეობა საგრძნობლად დამოკიდებულია საერ-

ბო ალბრდაზე, რომელსაც ესა თუ ის ხალხი ალებს. აქედან გამომ-
დინარეობს, ოთ გაჩენის მერ დაწესებულია სიშინელი და საი-
დუმლო ურთიერთ ბასუხისმგებლობა მთავრობასა და ხალხს შორის,
და რომ საზოგადოებათა ისტორიაში არის მომენტები, როდესაც
ზდება სახელმწიფოს გასაჭირილება და გამოაქვთ მაჯაერი, როგორც
ცალკეულ ადამიანზე.

სათნოება, ბოროტება და დანაშაული შედარებითი მცნებაა და
ჩათ სულ სხვადასხვა შნიშვნელობა აქვთ იმისდამიხედვით, ვის შეუ-
ფარდებთ ამ ცნებებს: მონებს თუ თავისუფალ ადამიანებს. ამიტომ,
როდესაც რუსის ხალხს ვეცნობი, შეშიძლიან ალენიშნო ერთ-ერთ ფაქ-
ტი, რომელიც არ იწვევს გაკიცხვას იმდენად, რამდენადაც ეს ხდება
ჩვენს პირობებში, რომ საერთოდ ეს ხალხი მოკლებულია სიამაყეს,
კეთილშობილებას და ღრმნობის სიფაქიზეს და რომ ამ თვისების
ადგილს მოთმინება და ცოდვა იკავრს.

„რუსის ხალხი კეთილია და უწყინარია!“ გაჭყვირიან ერთნი.
ამაზე მე ვუპასუხებ: „მე ამაში ვხედავ არა განსაკუთრებულ ლირსე-
ბას, არამედ მხოლოდ—ჩვეულებას მორჩილებისადმი“. სხვები-კი მე-
უბნებიან: „რუსის ხალხი უწყინარია მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ ბე-
დავს თავის ნამდვილ ღრმნობების გამოჟღავნებას. თავის ბულის
სიღრმეში იგი ცოცმორწმუნეა და მკაცრი“. „საბრალო ხალხი!—ვუ-
პასუხებ მათ,—მას ასეთი ცუდი ალბრდა მიუღია“.

რაც უფრო მეტს ვცხოვრობ რუსეთში, მით უფრო ნათლად
ვხედავ, რა გადამეებია ზიანი სუსტისადმი. ეს გრძნობა-აქ ისე ბუ-
ნებრივად მიაჩნიათ, რომ ისინიც კი, ვინც ყველაზე მეტს ჭკი ხავენ,
ბოლოს და ბოლოს თვით იზიარებენ შას. რუსეთში სწრაფი მოგზა-
ურობა პირდაპირ ავადმყოფობად არის გადაქცეული, რაც ყოველ-
ვვარ არაადამიანური საქმიელის საბაბად ხდება. ჩემი ფელდიეგერი
ამ ავადმყოფობას საკუთარ იხიარებს და ეს სენი მეც გადმომდო.
ამიტომ მეც ხშირად ვხდები მისი სამკაცრის თანამზიარე. მაგალი-
თად, იგი ჭკარვავს მოთმინებას, როდესაც მეეტლე კოფოდან ჩამო-
დის, რათა ცხენის მოსართავი გაასწოროს ან და გზაში ჩერდება სხვა
რაიმე მიზეზით.

გუშინ, გამგზავრების დასაწყისში, ფელდიეგერი რამდენჯერმე
ცემას დაემუქრა ბაბას, რომელიც ჩვენ ცხენებს ძართავდა, და მეც
ვიზიარებდა ჩემი „მცველის“ მოთმენლობას და რისხვას. უეცრივ
საჯინიბოდან გამოხტა კვიცი, სულ რამდენიმე დღისა, და ვამოეკი-
და ერთ-ერთ ჩვენ ფაეტ ცხენს, ალბად იმიტომ, რომ თავისი დედა
ეგონა. ბალგაზრდა მეეტლეს, უკვე დამნაშაეს საქმის გაჭიანურე-

ბაში, გაჩერება უნდოდა, რათა მიშველებოდა კვიცს, რომელსაც ყოველ წუთს ტლეთ გასრესა მოელოდა, მაგრამ ფელდიეგერი მრისხანედ უბრძანებდა, წინ წასულიყო და მეეტლეც, როგორც ეს რუსს სჩვევია, უსიტყვოდ ემორჩილებოდა ბრძანებას და ცხენებს მიერეკებოდენ. მე ვადასტურებ თელდიეგერის სასტიკ განკარგულებას. უნდა დავიცვა ხელისუფლების ავტორიტეტი,—ვამბობ ჩემ გულში,—მაშინაც-კი, როდესაც იგი მართალი არ არის. ჩემი კუტჩეორი ძალიან გულმოდგინეც არ არის. თუ რომ თავს მოვაბეზრებ, ხელს ჩააქნევს ყველაფერზე და თანაშეწის ნაცვლად ხედშეტ ბარგად გადაიქცევა ჩემთვის. გარდა ამისა, აქ შიღებულია ჩქარა მოგზაურობა და მე არ შემიძლიან უფრო ნაკლები მოუთმენლობა გამოვიჩინო, ვიდრე სხვა მოგზაურები იჩენენ. აუჩქარებლობა თავის ღირსების დაკარგვას ნიშნავს. თუ გინდა რომ ამ ქვეყანაში პატივი გცენ, უეშველად უნდა აჩქარდე. ვიდრე მე თავს ამგვარ მსჯელობით ვინუგეშებდი, უკვე დალამდა.

რასაკვირველია, მე საქმეში უნდა ჩავრეულიყავი და ბოლო მოგელო კვიცის და ბავშვის ტანჯვისთვის. ერთი მთელი ძალღონით ჭიხვინებდა, ხოლო მეორე უსიტყვოდ ცრემლებს იწმენდდა მუშტით და იტანჯებოდა თავისი საყვარელი ცხოველისთვის. მე კი გულგრილად ვსდუმდი ამ ორმაგი წამების გამო. იგი დიდხანს ვრძელდებოდა, რადგანაც გასავლელი გზა დიდი იყო.

როდესაც შემდეგ სადგურზე მივედით, ჩვენმა მონამ, ე. ი. საბრალო მეეტლემ, ბოლოს თავი დაიხსნა რკინის დისციპლინის უღელისაგან, და მთელი სოფელი შეჰყარა კვიცის გადასარჩენად. მოაბეს ალვირი და მიგვარეს დელას, მაგრამ ამ საბრალოს ძალა ალარ ჰქონდა ძუძუს წოვისა. ზოგი ამბობდა, მორჩებაო, ზოგიც—ძალიან დალილა და მოკვდებაო (მე უკვე თითო-ოროლა სიტყვა მესმოდა). ამ განაჩენის მოსმენის შემდეგ, ახალგაზრდა მეეტლემ ალბად ნათლად წარმოიდგინა ბედი, რომელიც მოელოდა იმას, ვისაც მინდობილი ჰქონდა ზრუნვა კვიცებზე და მიშით ენა წაერთვა, თითქოს თავის ტანზე გრძნობდა იმ ცემა-ტყეპას, რომელიც მის გაუფრთხილებელ ამხანაგს მოელოდა. მე არასოდეს ბავშვის სახეზე ასეთი სასოწარკვეთილების გამომეტყველება არ მინახავს, მაგრამ მის ბაგეს არ წმინცდებია არც ერთი საყვედური, არც ერთი ჩიეილი სასტიკ ფელდიეგერისადმი; ისევ, არავითარ ყურადღებას არ აქცევდა არც კვიცს და არც საბრალო ბავშვს, და დინჯად განაგრძობდა თავის მოვალეობის შესრულებას, რომელიც დაკავშირებული იყო ისეთ დიდმნიშვნელოვან საქმესთან, როგორც ცხენების გამოცვლაა.

უნდა ვაღიარო, რომ იმ მომენტში, როდესაც ჩვენ სადგურიდან გამოვედით და საჭიდაოზე ლავტოვეი სიბრალულ მეეტლე თავისი კვიცით, მე არ ვგრძნობდი არავითარ სინიდისის ქენჯნას. ეს უკანასკნელი შემდეგ ოთეზეწყო, როდესაც ფიქრი დავიწყე მომხდარ ამბაკზე. აქედან შეიძლება დასკვნა გაკეთიყვანოთ, რა მალე ფუფდება ადამიანი, როდესაც იგი დესპოტიზმის მოშხამულ ჰაერით სუნთქავს. და ან რას ვამბობ! რუსეთში დესპოტიზმი მეფის ტახტზეა, ტირანია ი ყველგან. და მუ ფრანგი, რომელიც თავს ბუნებით გულკეთილ ადამიანად სთვლის, და ამაყობს თავისი ძველი კულტურით, ძალმომრეობის აქტის ჩადენის პირველ შესაძლებლობისთანავე, ვერ ეიჭერ თავს და საზიზღარ სიმაცრეს ეიჩენ. პარიზელი ისე მოიქცა, როგორც ბარბაროს შეეფერება.

მე მთელი ღამე არ მძინებია. ჩემ დაღლილ ტვინში ერთიმეორეს ნელნელა ბუნდოვან ფიქრთა წყება მისდევდა. ჩემი ეტლის ცხენების სირბილი თითქოს უფრო სწრაფი იყო ვიდრე დახშული ფონებს მუშაობა; სხეულმა ფრთები შეისხა, აზრი ტკვიასავით დამძიმდა. ჩემ თვალწინ იშლებოდენ და ჰქრებოდენ სწრაფად სტეპები, ჭაობები, გამხმარი ნაძეებით და მახინჯი, არყის ხეებით, სოფლები და ქალაქები, როგორც ფანტასტიური, არა რეალური საბეები, და მე არ შემეძლო ანგარიში მიმეცა ჩემი თავისთვის, რამ მომიყვანა აქ, და ან რად უნდა დავსწრებოდი ამ მოძრავ სანახაობას, სადაც მთაბეჭდილებათა ცვალებადობა ისე სწრაფია, რომ სულს ძლივს იბრუნებ. ამ უკნაურ სიჩქარეს ცხადად თან სდევდა ჩემი მეეტლეების მონოტონური სიმღერები. ამბობენ, რუსის ხალხი მუსიკალურიაო, მაგრამ მე აქამდის არაფერი საგულისხმიერო არ გამიგონია, ხოლო გაგრძელებული ბაასი, რომელიც ჰქონდა იმ ღამეს მეეტლეს თავის ცხენებთან, საგმლოვიაროთ გაისმოდა: ურითმო სიტყვები და სვედიანი კილო, რომლითაც ადამიანი ცხოველს თავის დარდეს უზიარებდა, როგორც თავის ერთადერთ მეგობარს, სულში მწვდებოდა და მას გამოუთქმელი მწუხარებით ავსებდა.

ჩემმა ცხენებმა თავიანთი ჩლიქებით ხმაურობა ასტეხეს პონტონურ ხიდზე. ჩვენ გადავდიოდით მარცხენა ვოლგას, მის ნაპირზე, მთვარის შუქში, ქალაქი იხატებოდა. ჩრდილოეთის ღამის მატყუარა ბინდში თეთრად მოსჩანდნენ აუცილებელია რომაული ფრონტონები და შელესილი კოლონადები. გზა გარეშემო უვლიდა ქალაქს, რომელიც მე ძალიან დიდად მომეჩვენა, ეს — ტვერია; მისი სახელი ჩვენს ხსოვნაში იწვევს დაუსრულებელ ოჯახურ ქიშპობას, რომლითაც სავსეა რუსეთის ისტორია თათრების შემოსევამდე. მე მეგონა, თუ რო-

გორ სწყეულის ძმაძმას; ბაისმის მეომართა ყიჟინა; ვხედავ ხოცვა-ჟლეტას და ოოლგა სისხლით წითლდება. აზიის შუაგულიდან მოდიან თათრის ურდოები და კვლავ სისხლი იღვრება ნიაღვრებად. მაგრამ მე რისთვის ჩავერიე ამ ბრბოში, რომელსაც დარბევა და მკვლელობა სწყურია? რა უნდა გავაკეთო ამ ველურ და სასტიკ ქვეყანაში? განა უმჯობესი არ არის ხელი ჩავაქნიო მოსკოვზე, ვუბრძანო შეეტლეს მოაბრუნოს ცხენები და ვიდრე გვიან არ არის შინისკენ გავეშურო პარიზში?

სანამ ჩემი ფიქრები ასეთ შოწყენილ და მხდალ მიმართულებას ბიჭებდა, უკვე გათენდა კიდეც. მე გამოკვეხიზლდი და შევამჩნიე ჩრდილოეთის ღამის: ცბიერება: ჩემი ეზლი მთელი ღამე ახდილი დარჩენილიყო და რთვილისაგან ტანისამოსი სრულიად დამსველებოდა, თმა დაორთქლილი მქონდა, ხოლო ყველა ნივთები თითქოს წყალში ბანაობდენ. თვალები მტკიოდა და თითქოს ზედ ბინდი გადამკროდა. მე მოვაგონდა ერთი თავადი, რომელიც დაბრმავდა ოცდაოთხ საათში ღაბის თევის შემდეგ ლია მინდორზე. ეს მოხდა პოლონეთში იმავე განივრის ადგილმდებარეობაზე... [1]).

უნდა ნახოთ, როგორ ვმალავ ჩემ ნაწერებს! ხომ სულ უბრალო რაშეც საკმარისია, რომ ციმბირში მიკრან თავი. ამიტომ, ძალიან ფრთხილად ჩავიკეტები ხოლმე, როდესაც ვწერ, და თუ კარს ფელდიეგერი ან ვინმე ფოსტის მოხელე დამიკაკუნებს, მე ჯერ ქაღალდებს ავკრებ და ისე მოვაჩენრ თავი, თითქოს წიგნს ვკითხულობდე, და შემდეგ შემოუშვებ დაუპატიჟებელ სტუმარს. ამ ფურცელს მე ქუდის სარჩულში დავმალავ. რასაკვირველია ასეთი სიფრთხილე ზედმეტია, მაგრამ უმჯობესია მაინც ამ ზომების მიღება. მარტო ეს იძლევა წარმოდგენას რუსის მთავრობაზე.

---

[1]) შეუ კონაღამ იგივე ბედი ჩეწვია. თვალების ავადმყოფობამ მომიმატა: ჩემი მოსკოვში ყოფნის დროს და კიდევ დიდანს მტანჯავდა. მხოლოდ ნიჟნი-ნოვგოროდის ბ.ბროლიდან დაბრუნების შემდეგ იგი გადამექცა ქრონიკულ ოფტალმიად, რომლისაგანაც დღემდე ვიტანჯები.

თ ა ვ ი XX

მოსკოვის პანორამა.—ბიმედის გაერთიანებული ქალაქი ზესვლის დროს.—კრემლი.—აჩრდილთა საუნე.—ულათების და რაი მსხვერპლი ქალაქი.—კუზნეცკის ხიდი.—ქუჩის ბრბო — ეფუეები არ კადრულობ ნ ყოფილრეზინ ენცას.—რკინის გზების შესახებ.—ინგლისური კლუბი.—რუსი ფილოსოფი სარწმუნოების თავისუფლებაზე.—ნ.ჭოდეკინის მონასტერთან სეირნობა.—კახაკები.

მიახლოვებულხართ თუ არა ოდესმე ხმელეთიდან ლამანშის ან ბისკაის უბის რომელიმე პორტს თა გინახავთ თუ არა იმ გემების ანძები, რომელნიც დგანან ზღვის პირას? ქვიშის მთები ჰფარავს ქალაქს, ნავთსადგურებს, სანაპიროებს და თვით ზღვას, და თქვენს წინაშე მოსჩანს მხოლოდ ანძების ტყე თეალის მომჭრელი, თეთრი ალენებით, ჭრელი ბაირალებით და ცისარტყელასაფით მრავალფეროვანი დროშებით. ესკადრის სასწაულებრივმა გამოჩენამ ხმელეთზე ჩვენ ძალიან გაგვაკვირვა, აი სწორედ ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მოსკოვმა, როდესაც მე იგი პირველად დავინახე. ურიცხვი საყდრების გუმბათები, ნევსიანი წვეტიანი შპილები და საუკეთესო კოშკები მზეზე ელვარებდენ გზაში აყარდნილ მტვრის ღრუბლებს ზემოდ, მაშინ, როდესაც თვით ქალაქი და გორიზონტის ხაზი იმალებოდა მთრთოლავ ნისლში. რათა ნათლად წარმოიდგინოთ ის სურათი, რომელიც ჩემს თვალ წინ იშლება, უნდა გავიხსენოთ, რომ მართლმადიდებელთა საყდრებს უეჭველად რამდენიმე გუმბათი აქვს, მათი რიცხვი სხვადასხვანაირია, მაგრამ არასოდეს არ არის ხუთზე ნაკლები, რასაც სიმბოლიური მნიშვნელობა აქვს: ისინი საეკლესიო იერარქიის თვალსაჩინო გამოხატულობას წარმოადგენენ. დაუმატეთ ამას, რომ საყდრის გუმბათები სხვადასხვა უცნაური ფორმისა და შოყვანილობისაა და ხან ეპისკოპოსის მიტრას მოგვაგონებს, ხან ჩინურ პაგოდას (ტაძარს), ხან მეხარეტს, ხან ქვებით მოჭედილ ტიარას და ხან უბრალოდ მსხალს. ისინი ხან თითქო ქერქით არიან დახურულნი, ხან ბეყვრიალებენ ოქროსფრად და ხან აჭელებულნი არიან ფერადი ზოლებით. თვითეული გუმბათი დაგვირგვინებულია ფაქიზად გამოკვეთილი ჯვრით, ხოლო ეს ჯვრები, ხან მოოქროლნი და ხან შეიერცხლილნი ჯაჭვებით არიან გაერთიანებულნი. შეეცადეთ წარმოიდგინოთ ეს სურათი, რომლის გადმოცემა ფერადებითაც კი

არ შეიძლება, არამცთუ ჩვენი ლარიბი ენით! შუქის თამაში, რომელ-საც ეს ჰაერჯუანი ქალაქი ასახავს,—ნამდვილი ფანტასმაგორიაა შუა-ღლისას: ყველაფერი ეს მოსკოვს ჰქმნის ერთად-ერთ ქალაქად, რომ-ლის მსგავსი არ მოიპოვება ევროპაში.

როდესაც ქალაქს უახლოვდები, თანდათან ჰქრება ამ საზლაპრო ხურათის შთაბეჭდილება და რადესაც უალრესად მიწიურ და რეა-ლურ პეტრეს სასახლის წინ ჩერდებით, რომელიც აგებულია ეკატე-ტერინე II მიერ ფსევდოგოთურ სტილზე ოთხკუთხედი ფორმით და მორთულია ულაზათოდ, სრულიად გავიწყდებათ, ფანტასტიური ქა-ლაქი. რაც უფრო უახლოვდებით ქალაქს, მით უფრო ძლიერია მო-ლოდინის გაცრუება, იმ რომ, როდესაც თვით მოსკოვის კარებში შედიხარ, თქვენ უკვე ეჭვები გეპარებათ მასში, რაც ამას წინად თქვენი თვალებით ნახეთ, თითქოს ფეიერვერკი ყოფილიყოთ გართული. და ეს, როდესაც გაბეზრდებოდეთ, თქვენ მოხვდით ყველა-ზე პროზაულ და მოსაწყენ ადგილას, უზარმაზარ ქალაქში, სადაც არ არის არქიტექტურის არც ერთი ძეგლი, ე. ი. ხელოვნების არც ერთი ნაწარმოები, რომელიც მართლა ლირსი იყოს ამ სახელწოდე-ბისა, როდესაც ევროპის ამ ტლანქ და ულაზათო ასლს ხედავთ, გაკვირვებით ეკითხებით თქვენ თავს, სად დაიკარგა ანია, რომელიც ეს ეს აოის თქვენ თვალებს უალერსებდა შორიდან. მოსკოვი შო-ლიდან ფერიების ქმნილებაა, ქიმერების და აჩრდილების ქვეყანა, ახ-ლო—კი, იგი დიდი საფეიერო ქალაქია, ქაოტიური, მტვრიანი, ცუ-დად მოკირწყლული, ცუდად აშენებული და სუსტად დასახლებული. რასაკვირველია, ეს ძლიერ და ენერგიულ ხალხთა ქმნილებაა, მაგრამ იმავე დროს-ნაყოფია ვონების, რომელიც მოკლებულია ფანტაზიის და სილამაზის წარმოდგენის.

შეიძლება ხალხს არ ჰქონდეს არქიტექტურული გენია, სკულ-პტურის გემოვნება და ნიჭი, და ისე აღმართოს უზარმაზარი შენო-ბები, მაგრამ იგი ვერ შექმნის უამისოდ ვერაფერ ჰარმონიულს და დადებულს პროპორციებით. ხელოვნება, როდესაც იგი აღწევს გან-ვითარების უმაღლეს მწვერვალს, ასულდგმულებს ქვებს—ამაშია მი-სი საიდუმლოება, ამას გვასწავლის საბერძნეთი. არქიტექტურაში, როგორც ხელოვნების სხვა დარგებში, მშვენიერების შთაბეჭდილება წარმოიშობა ცალ-ცალკე დეტალების სრულქმნისაგან და მათი ხე-ლოვნური დაქვემდებარებისაგან საერთო გეგმისადმი. მთელ რუსეთ-ში არაფერია ისეთი, რაც ასეთ შთაბეჭდილებას ახდენდეს.

ამისდამიუხედავად იმ გალღვილ კედლების, აგურების და ბო-ძების ქაოსში, რომელსაც მოსკოვი ეწოდება სახელად, ორი წერტი-

ლი იზიდავს უცვლელად თქვენ ყურადღებას, ნიტარი ბასილიას ეკ-
ლესია და კრემლი, ის კრემლი, რომლის აფეთქებაც ვერ შესძლო
თვით ნაპოლეონმა!

მე არასოდის არ დამავიწყდება ის საშინელი გრძნობა, რო-
ლითაც მოცული ვიყავი თანამედროვე რუსეთის იმპერიის აკვნის
პირველად ხილვის დროს. კრემლი ლირს ბოსკოვში გამგზავრებაც
ეს არ არის საკმარისი, როგორიც მრავალია დედამიწის ზერაზე, ეს
მთელი ქალაქია, რომელსაც, როგორც ამბობენ ერთი მილი აქვს
ირგვლივ. და ეს ქალაქი, ფესვიც, საიდანაც მოსკოვი აღმოცენდა,
საზღვარია ევროპასა და აზიას შორის. ჩინგიზხანის მემკვიდრეების
დროს აზიამ უკანასკნელად მოიგონა იერიშები ევროპაზე; წინანდელის
დროს, მან ქუსლი დაარტყა დედა მიწას და აქედან ამოსდგა
კრემლი.

იცით თქვენ რა არის კრემლის კედლები? სიტყვა „კედელი"
ჩვენს გონებაში იწვევს წარმოდგენას რაღაც ჩვეულებრივ და ფრიად
უმნიშვნელო საგანზე. კრემლის კედლები—ეს ნაგებობა მთებია.
ჩვეულებრივ ციხის გალავანთან შედარებით მისი კედლები იგივეა,
რაც ალპები ჩვენ მაღლობებთან შედარებით, კრემლი მონბლანია ცი-
ხეებს შორის, გული რომ ჰქონდეს იმ ბუმბერაზს, რომელსაც რუსე-
თის იმპერია ეწოდება, მე ვიტყოდა, კრემლი ამ საშინელ ცხოველის
გულია მეფეში.

მისი სასახლეების, შუზეუმების, კოშკების, საყდრების და ცი-
ხეების ლაბირინთი საშინელ მთაბეჭდილებას ჰქმნის. მისი მიწის ქვეშ
თხრილებიდან საიდუმლო ხვაური მოისმის. ასეთი ბინები ჩვენისთა-
ნა არსებისათვის შეუფერებელია. თქვენ გელანდებათ საშინელ სცე-
ნები და ძრწით იმ აზრის გამო, რომ ეს სცენები მარტო თქვენი
ოცნების ნაყოფი არ არის. თქვენ გეჩვენებათ, რომ ეს ხმა სიფლა-
ვიდან ამოდის. კრემლში ხეტიალის დროს თქვენ გწამთ ზებუნე-
ბრივი ძალები.

კრემლი სრულიად არ არის ის, რაც ჩვეულებრივად წარმოიდგინეთ.
იგი არ არის ნაციონალური წმინდათა-წმინდა, სადაც შეკრებულია
იმპერიის ისტორიული განძები. იგი არ არის ციხე-სიმაგრე, ან და
სათაყვანებელი სავანე, სადაც გაბრიელ ბ ნ სამოსლის წმიდა და-
ტვალები. კრემლი ამაზე საკლებია და მეტიც იგი უბრალოდ რომ
ვთქვათ—აჩრდილთა სავანეა.

ყოველ გვარი სახის და ფორმის კოშკები: ბრგვალი, ოთხკუთხი-
ანი, ბრავალწახნამოგანი დაბალი და ფაღლა აღმართული წვეტიანი
ხახურსაფებით; დიდი და პატარა კოშკები, სადარაჯო, საყარაულო

და მზვერავი; სასახლეები, ტაძრები, წვეტიანი კედლები, ამფრაზურები, სასაკლაოები, თხრილები, შიწაყრილები, ყოველგვარი სიმაგრეები, უკნაური მორთულობანი, გაუგებარი გამოგონებანი და რალაც აივნები კათედრალურ ტაძრების გვერდით. ყველაფერში უწესობა და ძალმომრეობა მოსჩანს, ყველაფერი ამჟღავნებს მუდმივ შიშსა და მოუსვენრობას თავის უზრუნველყოფისათვის, რომელსაც განიცდიდენ საშინელი ადამიანები, გამომწყვდეულნი ამ ფანტასტიურ ქვეყანაში. ყველა ეს პატივმოყვარეობის, სიმრუმის, სათნოების და დიდების ერეცხვი ძეგლები მიუხედავად მოჩვენებითი სხვადასხვაობისა, ერთადერთ იდეას გამოხატავენ, რომელიც აქ გამეფებულია ყველაფერზე: ეს არის შიში, რომელიც საზრდოობს მუდმივი შიშით. კრემლი უდავოდ ზეადამიანური არსების ქმნილებაა და იმავე დროს ადამიანის მოძულის ქმნილებაც. დიდება, წარმოშობილი მონობისაგან—ასეთი კალეგორია, გამოხატული ამ ხუროთმოძღვრების ძეგლით.

თუმცა თვითეულ კოშკს და თვითეულ დეტალს თავისი ინდივიდუალური სახე აქვს, მაგრამ ისინი ერთსა და იმავეს მოგვითხრობენ: თვით ფეხამდე შეიარაღებულ შიშს. კრემლში ცხოვრება, ცხოვრება კი არ არის, არამედ თავის დაცვაა. ძალმომრეობა ამბოხებას ჰქმნის, ამბოხებაკი იწვევს გამაფრთხილებელ ზომებს, ხოლო ეს უკანასკნელნი თავის მხრივ აძლიერებენ აჯანყების საფრთხეს. აი ამ მიზეზთა და შედეგებთა მოქმედებათა და წინააღმდეგობათა გაწევის გრძელ ჯაჭვზე წარმოიშვა საშინელება—დესპოტიზმი, რომელმაც თავისთვის მოსკოვის ცენტრში ააგო ბუნაგი—კრემლად წოდებული!

ხელოვნებაში არ არის ტერმინი, რომლითაც შეიძლებ იდეს კრემლის არქიტექტურის დახასიათება. მისი სასახლეების, ციხეების და ტაძრების სტილი—არც მავრიტანულია, არც გოთური, არც რომაული და არც წმინდა ბიზანტიური. კრემლის მსგავსი არაფერია, იგი მთელ ქვეყანაზე არაფერს არ ჰგავს. მას აქვს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეფის სტილის არქიტექტურის ?ეშედი.

ითანე მრისხანე მტარვალის იდეალია, კრემლი სასახლის იდეალია მტარვალისათვის. მეფე ის არის, ვინც კრემლში ცხოვრობს. კრემლი სახლია, სადაც მეფე ცხოვრობს. მე არ მიყვარს ახლად გამოგონილი სიტყვები, განსაკუთრებით ის სიტყვები, რომლისაც მარტო მე ვსარგებლობ, მაგრამ „მეფის სტილის არქიტექტურა", ანუ „მეფის არქიტექტურა" აუცილებელი თქმაა, ვინაიდგან არც ერთი სხვა სიტყვა არ იწვევს ადამიანის გონებაში, რომელმაც იცის, თუ რა არის „მეფე" სათანადო წარმოდგენას. მოსკოვში მოთავსებულია ორი ქალაქი: ჯალათების ქალაქი და მათი მსხვერპლების ქალაქი. ისტო-

რია გვაჩვენებს, როგორ წარმოიშვა ეს ორი ქალაქი ერთი მეორისაგან და როგორ არსებობდენ ისინი ერთი მეორის გვერდით.

მიტოვებული მეფეების და წარჩინებულ გვარის მოიარების უმრავლესობის მიერ, რომელნიც გადაიქცნენ მლიქვნელ კარიერ-კაცებად, მოსკოვი იქცა საეკლესიო და საჭრელ-წვეტიანი ქალაქად, ვინაიდან უკეთესი გამოსავალი არ ჰქონდა. იგი ამაყობს თავის ფაბრიკების ზრდით, მისი აბრეშუმი რუსულ ბაზარზე ქიმპლობას უწევს ალმოსავლეთის და დასავლეთის ქსოვილებს. ამ ვაჭრობის ცენტრია კიტაი გოროდი და ქუჩა, რომელსაც კუზნეცკის ხიდის სახელი ჰქვიან, სადაც ყველაზე მდიდარი საეკლესიოებია მოთავსებული; ეს ქუჩა განგვირგვინებული სატახტო ქალაქის ლირსშესანიშნაობას ეკუთვნის. მე ამას ვიხსენებ იმიტომ, რომ რუსის ხალხის ცდას, თავი დააღწიოს იმ ხარკს, რომელსაც იგი უცხო მრეწველობის სასარგებლოდ იხდის, შეიძლება წარმოშვნელოვანი პოლიტიკური შედეგები მოჰყვეს ევროპისთვის.

პირველი, რამაც მოსკოვში განმაცვიფრა, ეს ქუჩის ბრბოს სულიერი განწყობილება იყო. იგი უფრო მხიარულად მეჩვენა, უფრო თავისუფლად თავის მოძრაობაში, და უფრო სიცოცხლით ალსავსედ, ვიდრე პეტერბურგის მოსახლეობა. ჩანს ხალხი აქ, უფრო დამოუკიდებლად მოქმედებს და ფიქრობს და უფრო ნაკლებად ემორჩილება სხვის ბრძანებას. მოსკოვში უფრო თავისუფლად შეიძლება სუნთქვა, ვიდრე დანარჩენ იმპერიაში. ამით იგი ძალიან გაირჩევა პეტერბურგისაგან, რითაც ჩემის აზრით აიხსნება შინარქეობის სიძულვილი ძველი ქალაქისადმი, რომლის წინაშე ისინი მლიქვნელობენ და რომელსაც ისინი უფრთხიან და გაურბიან; თუმცა მოსკოვური „თავისუფლება“ არსებითად ბოჩვენებითია. მოსკოვის ამ უცნაურ თავისებურების მიზეზი ჩემის აზრით, პირველ ყოვლისა, ტერიტორიის სიფართოვე და მისი დამახასიათებელი თვისებაა.

მოსკოვი თითქოს დამარხულია იმ ქვეყნის უსაზღვრო ველებზე, რომლის სატახტო ქალაქსაც იგი წარმოადგენდა. აქედან წარმოსდგება ორიგინალობის ბეჭედი მის შენობებზე, მისი მცხოვრებლების დამოუკიდებელი და თავისუფალი სახის გამომეტყველება და ბოლოს ყოფილი რეზიდენციის—დაცარიელება მეფეების მიერ. მეფეები მისი დესპოტები და ტირანები წარსულში, გარბილებულნი მიდით, ოომელმაც ისინი იმპერატორებად გადააქცია, და კიდევ მეტი, გადააქცია თავაზიან ჯენტლმენებად,—ეს მეფეები, როგორც მე უკვე აღვნიშნე გაურბიან მოსკოვს. ისინი უპირატესობას აძლევენ პეტერბურგს, მიუხედავად ყველა მისი ნაკლისა, რადგანაც მათ ესაჭიროე-

ბათ შუდმივი კავშირის დაჭერა დასავლეთ ევროპასთან. რუსეთი იმ სახით, როგორც ის პეტრე დიდმა შექმნა, ალარ ენდობა თავის საკუთარ ძალებს, რომ იცხოვროს და განათლდეს. მოსკოვში ხომ არ შეიძლება შვიდ დღეში პარიზიდან მიიღო იმპორტით ანეკდოტები, და ბევალი საზოგადოების ჭორების და ეფემერული ლიტერატურის კურსში იყო. რაც უნდა უმნიშვნელო იყოს თქვენის აზრით ეს წვრილმანები, ისინი მაინც ძალიან აინტერესებენ რუსის სასახლეს და მაშასადამე, მთელ რუსეთსაც.

რკინის გზებს ექვსი ან რვა თვით წელიწადში, რომ ხან გაყინული და ხან გამდნარი თოვლის ზეწარი არ აუქმებდეს, რუსის მთავრობა უეჭველად გადაუსწრებდა ყველა დანარჩენებს გზების სწრაფად გაყვანაში, რასაც შედეგად თითქო დედა-მიწის სივრცის შემცირება მოსდევს. მაგრამ, რაც უნდა ძალიან გავამრავლოთ ლიანდაგის ხაზები და გავაძლიეროთ მიმოსვლის სისწრაფე, ტერიტორიის სივრცე ბუდამ იყო, არის და დარჩება უდიდეს დაბრკოლებად ბდეების გაცვლა-გამოცვლისათვის, რადგანაც შეუძლებელია ხმელეთის დასერვა ყველა მიმართულებით[34]). სულ სხვა საქმეა ზღვა. იგი მხოლოდ პირველი შეხედვით აშორებს ადამიანებს, არსებითად კი აკავშირებს მათ.

რასაკვირველია მოსკოვი რომ საზღვაო პორტი ყოფილიყო ან და რკინის გზების მსხვილი ცენტრი, რომელიც ელექტრონის მსგავსად აერთიანებს ადამიანის ბრბეს ამ ჩვენ მოუთმენელ საუკუნეში, მაშინ მე გუშინ ინგლისურ კლუბში მიწამე არ გავხდებოდი შემდეგი საყურადღებო ჩვეულებისა. ყველა ჰასაკის სამხედრო და საერო პირები, მოხუცნი და უფროსულვამო ფრანგები პირველვარს იწერდენ და რამდენიმე წუთს სდუმდენ, ვიდრე მაგიდას შემოუსხდებოდენ. და ეს ხდებოდა არა ოჯახურ წრეში, არამედ საჯაროდ, ტაბლ დ'ოტთან ნამდვილ მამაკაცურ საზოგადოებაში! ისინი, ვინც ამ რელიგიურ ადათს ჯერ ასრულებდენ და თავს იკავებდენ, (ასეთებიც ცოტა არ იყო) სრულიად უბუკვირველებლივ უცქეროდენ პირველთ. როგორც ხედავთ, ნოსკოვიდან პარიზამდე მართლაც კარგი რვა ასი ლიეა!

კლუბი მოთავსებულია დიდ და ლამაზ სასახლეში. ყველაფერი ძალიან კარგად და მდიდრულად ყოფს მოწყობილი. მაგრამ მე გამაკვირვა ამან კი არა,— ყოველ ჩვენ კლუბში იშვსვე დაინახავთ,—არარად მოსკოვის საზოგადოების ღვთის მორწმუნოებამ. კლუბის ბალში ეესაუბრე ერთ მოსკოველს, რომელმაც ამ კლუბში შემიყვანა; იგი ფრიად განათლებული ადამიანი იყო და დამოუკიდებელი თავის მსჯელობაში. ბაისი თავისუფლად სწარმოებდა და მან მალე ძალიან

საგულისხმიერო და საინტერესო მიმართულება მიიღო. ზოგადმსჯელობიდან ჩვენ გადავედით საოწმენოების მდგომარეობაზე რუსეთში და მე ჩემ განათლებულ მოსაუბრეს ვთხოვე გაეცნო ჩემთვის იმ პირთა კულტურული დონე, ვინც რუსეთში ღვთის მცნებას ჰქადაგებს.

ასეთი თხოვნა პეტერბურგში ფრიად თავხედურად ეჩვენებოდათ. მაგრამ მე ვგრძნობდი, მოსკოვში შეიძლებოდა ამის გაბედვა იმ სიიდუმლოებრივი თავისუფლების გამო, რომელიც გამეფებულია იქ; თუმცა ძნელია რაში მდგომარეობს სახელდობრ ეს თავისუფლება. ამას უნდა დავუმატოთ, რომ ეს რწმენა—მოსკოვის თავისუფლობის, ძალიან ძვირად ღირს... რუსი ფილოსოფოსის პასუხი, რომელმაც რამდენიმე წელიწადი დაჰყო დასავლეთში და დაბრუნდა იქიდან ფრიად ლიბერალური აზრებით, შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნეს შემდეგნაირად:

— მართლმადიდებელ ეკლესიებში ქადაგებას მუდამ მცირე ადგილი ჰქონდა დათმობილი. ბოლო ოუსეთში სასულიერო და საერო ხელისუფლება ენერგიულად ილაშქრებდა საღვთისმეტყველო კამათის წინააღმდეგ. რა წამსაც თავს იჩენდა სურვილი მსჯელობისა საკამათო კითხვებზე, რომლებიც ჰყოფდა რომსა და ბიზანტიას, ორივე მხარეს აიძულებდენ დაჩუმდითო. არსებითად, კამათის საგანი იმდენად უპნიშვნელო იყო, რომ განხეთქილება მხოლოდ უვიცობის გამო განაგრძობს არსებობას რელიგიურ საკითხებში. ზოგიერთ ვაჟთა და ქალთა სასწავლებელში საღვთისმეტყველო საგნებს ასწავლიან, მაგრამ ამას მხოლოდ ითმენენ და დროებამოშვებით უკრძალავენ. ეს ფაქტი ჩვენ სრულიად გაუგებრად და ამოუცნობლად გვეჩვენება, მაგრამ მაინც ასეა: რუსის ხალხს რელიგიას არ ასწავლიან. ამას შედეგად მრავალი სექტები მოსდევს, რომელთა არსებობის ცოდნაც აკრძალულია მთავრობის მიერ. ზოგი მათგანი მრავალცოლიანობას ქადაგობს, ზოგიკი უფრო შორს მიდის და სიტყვით და საქმით ცოლებისა და ქმრების განსაზოგადოებას ანხორციელებს.

— ჩვენ მღვდლებს აკრძალული აქვთ თვით ისტორიული ქრონიკების წერა. ამიტომ ჩვენი გლეხები ბიბლიიდან და ცალ-ცალკე ტექსტებს ჰკრებდენ და წალმა-უკულმა ხსნიდნენ, განუწყვეტლივ ჩნდებიან ახალი სექტები, ფრიად სხვადასხვა გვარნი თავიანთი შინაარსით. როდესაც მღვდელი ამას გაიგებს, სექტას უკვე ღრმად აქვს ფესვები გადგმული. თუ რომ მღვდელმა განგაში ასტეხა, მაშინ სექტანტებს მთელი სოფლებით ციმბირში ასახლებენ. ეს, რასაკვირველია, ანადგურებს მემამულეს, რომელსაც საკმაო საშუალება მოეპოვება, რომ გააჩუმოს მღვდელი. ამ შემთხვევაში, როდესაც მთავრობა მაინც გაი-

ბებს სექტის შესახებ, მისი მიმდევრები იმდენად მრავალრიცხოვანი არიან, რომ მასთან ბრძოლა უკვე დაგვიანებულია. ძალდატანებითი ზომები ხელს უწყობენ ბოროტების გამოჩენებას და არა მის მოსპობას, რაშენით და სიტყვით მოქმედება-კი ნიშნავს ჯამათის გახსნას—რაც უალრესი ბოროტებაა თვითმპყრობელი მთავრობის თვალსაზრისით. ამიტომ ისევ სიჩუმეს მიმართავენ, ე. ი. ავადმყოფობას კი არ არჩენენ, პირიქით, ხელს უწყობენ მის გავრცელებას.

— რუსეთის იმპერია რელიგიურ განხეთქილებისაგან დაილუპება,—დასძინა ჩემმა მოსაუბრემ.—ამიტომ შორწმენობა მხოლოდ იმას შეშურდება, ვინც თვეენსაკით ზერელედ მსჯელობს და სინამდვილეში კი არ გვიცნობს.

ასეთია უალრესად გამჭრიახი და გულწრფელი რუსის აზრი ამის შესახებ.

ერთმა უცხოელმა, რომელიც უკვე დიდი ხანია მოსკოვში ცხოვრობს და სრულიად ღირსია ნდობისა, მიამბო: რამდენიმე წლის წინად ერთ პეტერბურგელ ვაჭართან ვსადილობდი, რომელმაც სამი თავისი ცოლი, ხასა კი არა, არამედ კანონიერი ცოლი გამაცნო. ეს ვაჭარი აღმოჩნდა ერთერთ ახლად დაარსებულ სექტის საიდუმლო მიმდევარი. ვფიქრობ, რომ სახელმწიფო არ იცნობს კანონიერად მის ნაილებს ამ ცოლებისაგან, მაგრამ მისი ქრისტიანული სინიდისი დამშვიდებული იყო. ეს ამბავი რომ რუსისაგან გამეგონა, მე ვეცდებოდი არ გამემეორებინა იგი, რადგანაც რუსები გულუბრყვილო უცხოელებს ბევრ ისეთ რამეს უამბობენ, რასაც სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია.

მე დავესწარი სახალხო სეირნობას ნოვოდევიჩის მონასტრის ახლო. მოჭედილი პირნი ჯარისკაცები და გლეხები იყვნენ. მაყურებელნი—საზოგადოების ხალხი, რომელიც ფრიად გატაცებულია, ამგვარი სანახაობით. კარვები და „ბალაგანები" სხვადასხვა ალმელებით გაშენებული იყო სასაფლაოს ირგვლივ: მკვდრების კულტი აქ სახალხო გართობის საბაბს შეადგენს. სეირნობა ხდებოდა რომელიღაც წმინდანის დღეს, რომლის ნეშთს და ხატებს თაყვანსა სცემდნენ ბურახის ზესმის შემდეგ.

იმ სალამოს ეს ნაციონალური სასმელი არაჩვეულებრივად ბევრი შეისვა.

მონასტრის გალავანი რვა საყდარს იტევს. სალამოს მთავარ ტაძარში შევედი. იგი ძალიან ღირსშესანიშნავად მეჩვენა, რასაც ძალიან ხელს უწყობდა იქ გამეფებული სიბნელე. მოლოცნები ძალიან ხალისიანად რთავენ საკურთხეველს და კარგადაც ასრულებენ ამ საქ-

მეს, რომელიც უდავოდ ყველაზე ადვილია მათ აღთქმებს შორის, რაც შეეხება დანარჩენ უფრო ძნელად შესასრულებელ აღთქმებს, ამ მხრივ, თუ მცოდნე პირებს დავუჯერებთ, მ. სკოვის მოლოზნების ყოფა-ქცევა არც თუ ისე დამაკმაყოფილებელია.

მოსეირნე ხალხით გაჭედილი კარვები მოშხამული იყო ჩვეულებრივ სურნელებათა თაიგულით. ტყავის, სპირტიან სასმელების, მჟავე კომბოსტოს, ლუდის, სალდათის ჩექმების ქონის, მუშკის და ამბრის სუნი ბატონუბისა,—ყველაფერი ეს საშინლად არეული იყო ერთმანეთში და სუნთქვის საშუალებას არ აძლევდა იქ დამსწრეს. რუსეთის უდიდესი სიამოვნება ლოთობაა, ე. ი.—თავდავიწყება. უბედური ხალხი! იგი ბოდეას და დავიწყებას უნდა მიეცეს, რათა ბედნიერად იგრძნოს თავი. მაგრამ აი რა ახასიათებს რუსის ხალხის გულკეთილობას: სიმთვრალის დროს „მუჟიკები“ ძალიან მგრძნობიერნი ხდებიან და იმის მაგიერ, რომ მუშტები უთავაზონ ერთმანეთს, როგორც ჩვენი ლოთები ამას სჩადიან, ისინი სტირიან და ერთმანეთს ჰკოცნიან. საყურადღებო და უცნაური ერია! იგი უკეთესი ბედის ღირსია.

სეირნობას მრავალი კაზაკობა დაესწრო. ჩუში კედლის მსგავსად იდგნენ ისინი მომღერლების გარშემო, რომელნიც დონის კაზაკების მოწყინილ სიმღერებს ასრულებდნენ. კაზაკები მომღერლებს მხოლოდ ხანდახან აძლევდნენ ბანს. ამბობენ, კაზაკები წყნარი ზნისანი არიანო, მაგრამ ომში მარტო მათი სახელის გაგონებაც კი საშინელია. ეს იმიტომ ხდება, რომ ისინი უაღრესად უვიცნი არიან და მათი უფროსები ხელოვნურად სარგებლობენ მათი სიბნელით. როდესაც ვიგონებ, რა ზღაპრებით ატყუებენ ოფიცრები თავიანთ ხელქვეითებს, მთლად აღშფოთებით ვარ შეპყრობილი და მე ვკიცხავ მთავრობას, რომელიც თავს იმცირებს ამგვარი ხრიკებით და, ყოველ შემთხვევაში, დაუსჯელად სტოვებს მათ. როგორც ნამდვილი წყაროებიდან გავიგე, კაზაკის გენერლები ხშირად ასეთი სიტყვებით მიმართავდენ თურმე თავის ჯარებს 1814 და 1815 წ. კამპანიაში: „შემუსრეთ მტერი უშიშრად! ხოცეთ, რაც შეიძლება ბევრი! ნუ გეშინიანთ თუ ბრძოლაში მოგკლავენ, სამი დღის შემდეგ შინ იქნებით ცოლშვილთან, ღმერთი მკვდრეთით აღგადგენთ, აღგადგენთ ხორცით და სისხლით. მაშ რისა გეშინიათ?“ და კაზაკებს, რომელთაც ღმერთსავით სამდათ თავიანთი ოფიცრები, ეს დაპირება პირდაპირ ესმოდათ და ჩვეულებრივი სიმამაცით იბრძოდნენ; ე. ი. თუ-კი რაიმე შესაძლებლობა ჰქონდათ გარბოდნენ საფრთხის დროს, როგორც მაროდერები,

მაგრამ სიკვდილს ხვდებოდნენ, როგორც ჯარისკაცები, თუ რომ იგი აუცილებელი იყო. უფროსის ვალდებულებაა აიძულოს ჯარი, რომ მან ზიზღით შეხედოს სიკვდილს მაგრამ ამ მიზნის მიღწევა საზიზღარი სიცრუით გმირობის სრულიად გაბათილებას ნიშნავს. თუ რომ ომი, როგორც ზოგიერთნი ამბობენ, ყველაფერს ამართლებს, მაშ რაღა ამართლებს ომს? განა შეიძლება დამმკიდებით წარმოვიდგინოთ, როგორია ზნეობრივი მდგომარეობა იმ ხალხისა, რომლის ჯარებსაც ამ ოცდახუთიოდე წლის წინად ასეთი საშუალებით მიერეკებოდნენ ბრძოლაში? ზემოდაღნიშნულმა ფაქტმა შემთხვევით მოაღწია ჩემამდე, მაგრამ რამდენი ასეთი, ან და ამაზე უარესი „სამხედრო ეშმაკობა" დარჩა კიდევ ჩემთვის უცნობი? ვინც ერთხელ მიმართავს ტყუილს, რათა ხალხის მმართველობა შეძლოს, იმისთვის ძნელია ამ მოლიპულ გზაზე შეჩერება. ახალი კამპანია ახალი სიცრუეა, და სახელწოდება მანქანა განაგრძობს მუშაობას.

თ ა ვ ი XXI

სუხარევის კოშკი.—რეფორმანება და პედანტობა.—რუსეთი შეპყრობილია მოწყენილობით. ვილა ქალაქ გარეთ. რუსების მერყეობა.—„პირველი მსახურნი მთელ ქვეყანაზე".—მოსკოვს „საზოგადოება".—პოლიტიკური პროტესტი ლოთობაში და ქეიფში გამოიხატება —მოსკოველების „ცელქობა".—მონასტრის წესდების არ ჩვეულებრივი აზსნა-განმარტება.—ზნე-ჩვეულებათა გაბრწინება —კიდევ ბატონ-ყმობაზე ანეგ.—მომავალი ოკუპაცია

მე შინდოდა თავი ამერიდებინა საშინელი კრემლისთვის, რომელიც მაგნიტსავით მიზიდავდა, და სუხარევის კოშკი დავათვალიერე. იგი მაღლობზე დგას, მოსკოვის ერთერთი ზეს ვალ კარ ინ. პირველი სართული წარმოადგენს უზარმაზარ აუზს, რომელიც წყლით ასაზრდოებს თითქმის მთელ მოსკოვს. ამ დიდ სიმაღლეზე დაკიდებულობა, სადაც ნავით შეიძლება ცურვა, იმდენად დიდია იგი, არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ახდენს. შენობის არქიტექტურა, რომელიც საკმაოდ თანამედროვეა, მძიმეა და დაღვრემილი, მაგრამ ბიზანტიური თაღები, მასსიური კიბეები და ორიგინალური დეტალები დიადებულ მთლიანობას ქმნის [35]). ბიზანტიური სტილი, საერთოდ ანაარძობს მოსკოვში არსებობას. ეს არსებითად ერთადერთი სტილია, საიდანაც, თუ იგი მოხერხებულად იქნება გამოყენებული, შეიძლება რუსული ნაციონალური არქიტექტურა აღორძინდეს, ვინაიდგან იგი ერთნაირად უდ ება როგორც ცხელ, ისე ცივ ჰავას.

მე მაჩვენეს უნივერსიტეტი, კადეტთა კორპუსი, ეკატერინეს და ალექსანდრეს ინსტიტუტები, ქვრივთა სახლი და ბოლოს აღზრდილი სახლი უპატრონოთათვის. ყველა ეს დაწესებულებანი ვეებერთელა და გრანდიოზულია. რუსები საშინლად ამაყობენ ამ ევროპიერ საზოგადოებრივ დაწესებულებათა სიმრავლით, რომელნიც მათ შეუძლიანთ უჩვენონ უცხოელებს. მაგრამ მე პირადად უფრო დავკმაყოფილდებოდი ნაკლები სიდიადით, რადგანაც არაფერი არ შეიძლება იყოს უფრო მოსაწყენი, ვიდრე ეს ერონობა ამ ამაყ და მ ნიტონურ დარბაზებში, სადაც ყველაფერი სამხედრო წესზეა დაყენებული და ადამიანის სიცოცხლე საათის ბორბალის ტრიალს მოგვაგონებს. ჰკითხეთ სხვებს, რას წარმოადგენენ ეს ფრიად სასარგებლო და მდიდარი აღზრდელი სანერგეები ოფიცრებისა, ოჯახის დედებისა და დამრიგებლები-

სა; მე არ მსურს ამაზე სიტყვა გავაგრძელო. იცოდეთ მხოლოდ, რომ ეს ნახევრად პოლიტიკური და ნახევრად საქველმოქმედო დაწესებულებანი წესიერების, მზრუნველობის და სისუფთავის ნიმუშად მეჩვენენ. ეს სახელს უხვევს მათ უფროსებს და აგრეთვე იმპერიის უზენაეს უფროსს, ჩვენში ადამიანს უკიდურესი სილაღე და სხვადასხვაობა ლალავს. აქ-კი სულს გვიხუთავს სრული ერთფეროვანება ყველაფერში და გვყინავს პედანტიზმი, განუყრელი წესიერების იდეისაგან, რის გამო თქვენ გძულთ ის, რაც არსებითად სიმპატიის ღირსია. რუსეთი—ეს ხალხი—ბავშვი მხოლოდ ვეებერთელა გიმნაზიას წარმოადგენს. აქ ყველაფერი ისე მიმდინარეობს, როგორც სამხედრო სასწავლებელში, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ მოწაფეები მას სიკვდილამდე ვერ ათავებენ.

ჩვენი დროის ევროპა შეპყრობილია მოწყენილობით. ამის დამამტკიცებელია ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრების წესი. მაგრამ რუსეთი უფრო შეტად იტანჯება ამ სენისაგან, ვიდრე სხვა ქვეყნები. ძნელია იმ მოწყენილობის გადმოცემა, რომელიც გამეფებულია მოსკოვის საზოგადოების უმაღლეს ფენებში. არსად სულის დაავადება, გამოწვეული მოწყენილობით, არ მიმაჩნდა ისე სერიოზულად და გავრცელებულად, როგორც რუსეთის მაღალ საზოგადოებაში. საზოგადოებამ აქ, ასე ვთქვათ, ბოროტმოქმედებით დაიწყო. როდესაც სენი უკვე აღარ შორდება ადამიანს და ღრღნის მის გულს, მაშინ ადამიანი ბოროტმოქმედებას სჩადის, და ეს ხდება ხანდახან რუსეთში.

მოსკოვის საზოგადოება სასიამოვნოა. პატრიარქალურ ტრადიციების და თანამედროვე ევროპიული სილაღის აღრევა, ყოველ შემთხვევაში, თავისებურია. ძველი აზიის სტუმართმოყვარეულ ჩვეულებებს და ცივილიზაციური ევროპის მშვენიერ მანერებს აქ ერთმანეთისთვის პაემანი დაუნიშნავთ და ცხოვრება მსუბუქი და სასიამოვნო გაუხდიათ. მოსკოვი, რომელიც ორი კონტინენტის საზღვარზე მდებარეობს, დასასვენებელი ადგილია ლონდონსა და პეკინს შუა. წაბაძულობის სულს ჯერ კიდევ არ წაუშლია ეროვნულ თავისებურებათა უკანასკნელი კვალი. როდესაც ნიმუშში შორს არის, ასლი ორიგინალად გვეჩვენება.

მოსკოვში საკმარისია ორიოდე სარეკომენდაციო წერილი, რომ უცხოელი გაეცნოს მრავალ ადამიანს, გამოჩენილს ან სიმდიდრით, ან მდგომარეობით, ან ჭკუით. ამიტომ მოგზაურის დებიუტი აქ ძნელი არ არის. მე სასადილოდ მიმიწვიეს აგარაკზე, რომელიც ქალაქგარეთ მდებარეობს, მაგრამ თითქის ერთი მილის გავლა მომიხდა

რაღაც პატარა ტბების და მინდორ-ველების გასწვრივ. ხოლო, როდესაც თვით ვილას მივუახლოვდი, პარკს იქით ხშირი და დაბურული ნაძვის ტყე დავინახე, რომელიც უშუალოდ ქალაქ გარედ იწყებოდა: შეიძლება ადამიანი ტყეში განმარტოვდეს მოსკოვიდან ორ ნაბიჯზე.

მე შევედი ხის სახლში.—აქ ახალი უცნაურობა დამხვდა. მოსკოვში მდიდარსაც და ღარიბსაც ფიცრულ შენობაში სძინავთ, სამაგიეროდ შიგნით მდიდრების ფიცრული „ქოხები" ფუფუნებაში ჭიშპობას უწევენ უევროპის უაღრესად მდიდარ სასახლეებს: ის სახლი, სადაც მე მიმიღეს, ძალიან მოხერხებულად და მშვენივრად მოწყობილად მეჩვენა, თუმცა მისი პატრონი იქ მხოლოდ ზაფხულობით ცხოვრობს, ზამთარს-კი მოსკოვის ცენტრალურ ნაწილში ატარებს. ჩვენ ბაღში ვისადილეთ. ბაასი, თუმცა ძალიანაც ცოცხალი და თავისუფალი (საზოგადოება მხოლოდ მამაკაცებისაგან შესდგებოდა), სრულიად ზრდილობიანი იყო, რაც ძალიან იშვიათია თვით ჭეშმარიტად განათლებულ ხალხშიც. დამსწრეთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ბევრი რამ უნახავთ და წაუკითხავთ თავიანთ სიცოცხლეში. მათი მსჯელობა ძალიან სწორი და ღრმა მეჩვენა. რუსები უეცლაფერში მაიმუნობენ, ხოლო რაც შეეხება ზნე-ჩვეულებებს, ისინი, ვისაც აზროვნების უნარი შესწევს (თუმცა ასეთები იშკიათია) ევროპელ ბაასში ემსგავსებიან თავიანთ წინაპარ—ბერძენებს, რომელნიც ბუნების მიერ დაჯილდოებულნი იყვნენ გონების სიღრმით და გამჭრიახობით. სადილი მალე გათავდა, თუმცა ნამდვილად იგი საკმაოდ ხანგრძლივი იყო ნუ დავიწყებთ, რომ ჩვენ გვეჯდით მჯდომნი სადილზე პირველად ვიხილე, ხოლო სახლის პატრონი-მეორედ. ამ სადილის მოგონება ეკუთვნის ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილებათა რიცხვს მთელ ჩემს მოგზაურობაში.

ვიდრე მოსკოვის აღწერას შევუდგებოდე, მგონია ზედმეტი არ იქნება რუსები ზოგადად დავახასიათო, რამდენადაც ისინი ჩემი ხანმოკლე ყოფნის დროს გავიცანი მათს საშშოლოში. მაგრამ თუმცა ჩემი აქ ყოფნა ხანმოკლე იყო, მე გულდასმით ვითვალიერებდი და ბუდამ ერთმანეთს ვადარებდი ნახულ ფაქტებს. ობიექტების სხვადასხვაობას შეუძლიან ოაძდენადმე აუნაზღაუროს დროს უქონლობა მოგზაურს, რომელიც ჩემსავით განსაკუთრებულ კარგ პირობებშია ჩაყენებული. საერთოდ ადვილად მჩვევია აღფრთოვანება. ამიტომ მით უფრო ნდობის ღირსი ვარ იმ ზემთხვევაში, როდესაც აღფრთოვანებული არა ვარ.

საერთოდ რუსებს, ჩემის აზრით, დიდსულოვნობა არ სჩვევიათ. მათ არა სურთ იგი და, გაბედაობა რომ შესწევდეთ, უარს ჰყოფდენ სრულიად თვით ამ გრძნობის არსებობას. ყველაზე მეტად მათ სძულთ იგი, რადგანაც მოკლებულნი არიან შინაგან საზომს ამისათვის. რუსებს მეტი სიფაქიზე აქვთ, ვიდრე დელიკატობა, მეტი გულკეთილობა, ვიდრე სიკეთე, მეტი თავდაბლობა ვიდრე სინაზე, მეტი გამჭრიახობა, ვიდრე გამოგონების უნარი, მეტი გონების სიმახვილე, ვიდრე ოცნება, მეტი დაკვირვება, ვიდრე ჭკუა, მაგრამ ყველაზე ძლიერი მათში ანგარიშიანობაა. ისინი იმიტომ კი არ მუშაობენ, რომ რაიმე სასარგებლო შედეგებს სხვებისთვის მიაღწიონ, არამედ იმიტომ, რომ ჯილდო მიიღონ. შემოქმედების ცეცხლი მათთვის უცნობია, მათ არ იციან ენტუზიაზმი, რომელიც ჰქმნის ყველაფერ დიადს. ჩაშოაციელები მათ ეს სტიმულები, როგორც პირადი დაინტერესება, დასჯის შიში და პატივმოყვარეობაა — და თქვენ მათ მოქმედების ყოველ უნარს წაართმევთ. ხელოვნების სამეფოში იაინი მონები არიან, რომელნიც სამსახურს ეწევიან სასახლეში. გენიოსობის უზენაესი მწვერვალები მათთვის მიუწვდომელია. უმაღლეს სიყვარული სილამაზისადმი მათ არ აკმაყოფილებს.

სულია ჭეშმარიტი სიდიადე ჯილდოს თავის თავშივე პოულობს. მაგრამ, თუ იგი არაფერს არ თხოულობს, ძალიან ბევრს მოითხოვს, რადგანაც ხალხის გაუჭაბუტებას ცდილობს. აქ კი იგი ხალხს მხოლოდ გააუარესებდა, რადგანაც მას მხოლოდ ნიღაბად მიიჩნევდნენ. ტერორით გაბოროტებული ხალხი სათნოებას სისუსტედ სთვლის. დაუნდობელი სიმკაცრე აიძულებს მას ქედი მოიხაროს; უკიდურესობა, პირიქით, მას თავხედობას აძლევს. მისი დარწმუნება შეუძლებელია, მხოლოდ დამონებაა შეიძლება მისი. იგი ილაშქრებს საკუთარ წინააღმდეგ და ემორჩილება სიმკაცრეს, რომელიც ძალად მიაჩნია. ყველა ეს ჩემთვის გასაგებად ხდის იმპერატორის მიერ მიღებულ მმართველობის წესს, მაგრამ არ აწვევს ჩემს დასტურს, ვინაიდგან მთავრობის ნამდვილი ამოცანაა აღზარდოს ხალხი და აამაღლოს მისი ზნეობრივი დონე.

როდესაც რუსებს სურთ ზრდილობიანად მოგვაჩვენონ თავი, ისინი საუცხოონი ხდებიან. და თქვენც მათი მომხიბლავი მოქმედების მსხვერპლი ხდებით წინააღმდეგ თქვენი ნების და წინასწარ შეშუშავებული რწმენისა. ჯერ თქვენ ვერ არჩევთ, როგორ ხდებით მათ ქელი, ხოლო შემდეგ არ შეგიძლიანთ და არც გსურთ თავი დაალწიოთ მას. თუ რაში მდგომარეობს მათი ასეთი მიმზიდველობა, ამის გამოთქმა სიტყვებით შეუძლებელია. შემიძლიან მხოლოდ ვთქვა, რომ

ეს საიდუმლო „რაღაც“ ბუნებით თანდ ყოლილი აქვთ სლავიანებს და იგი უაღრესად ჩვენია რუსის ხალხის ნამდვილ კულტურულ წარმომადგენლების მანერებს და ბაასს.

ასეთი მიმზიდველობა რუსებს დიდ ძალა-უფლებას ანიჭებს ადამიანის გულზე. საკამ მათ საზოგადოებაში იმყოფებით, თქვენ დამორჩილებული ხართ სავსებით. და ეს მოხიბლვა მით უფრო ძლიერია, რომ თქვენ დარწმუნებული ხართ, თითქოს თქვენ ის იყვეთ მათთვის, რაც ისინი თქვენთვის არიან. თქვენ ივიწყებთ დროს, საზოგადოებას, საქმეებს, ვალდებულებას და გართობას. არაფერი არ არსებობს გარდა აწმყო წუთისა და არავინ გარდა იმ პირისა, ვისაც თქვენ ამჟამად ელაპარაკებით და ვინც თქვენ მთელი გულით გიყვართ. მოწონების სურვილი, მისული უკიდურეს საზღვრებამდე, უცვლელად იმარჯვებს. მაგრამ ეს სურვილი სრულიად ბუნებრივია და არ შეიძლება მას სიყალბე ეწოდოს. ეს ბუნებრივი ნიჭია, რომელიც ინსტიქტურად მიისწრაფის გამოაშკარავებისაკენ. რათა ილუზია გაახანგრძლივო, იქნებ ერთი იყოს საჭირო რამ—დარჩე და აღარ წახვიდე აქედან. მაგრამ წასვლასთან ერთად ჰქრება ყველაფერი, გარდა მოგონებისა, რომელიც თქვენთან მიგაქვთ. წადით, წადით ჩქარა—ეს საუკეთესო გამოსავალია. რუსები პირველი აქტიორები არიან მთელ ქვეყანაზე. მათი ხელოვნება მით უფრო მაღალია, რომ ისინი არ საჭიროებენ სცენას. ყველა მოგზაურები მათ მერყეობას უსაყვედურებდენ.—და ეს საყვედური სრულიად საფუძვლიანია. გამოთხოვების უმალვე გივიწყებენ თქვენ. ამ ნაკლს მე, გარდა ერთგვარ სიმსუბუქისა, სერიოზული განათლების უქონლობას ვაწერ, მათ ეშინიანთ, რომ უფრო ხანგრძლივმა გაცნობამ არ გამოამჟღავნოს მათი შინაგანი სიცალიერე,—სიფრთხილე, რომელიც გავრცელებულია ყველგან მაღალი წრის ხალხში. დიდად ცდილობენ დამალონ არა ბოროტება, არამედ სიცალიერე, საშიში არ არის, რომ გადაგვარებულად გიცნონ, მაგრამ დამამცირებელია არარაობად მიჩნევა.

ყველა ზემონათქვამი შეეხება როგორც მეგობრობას, ისე სიყვარულს, როგორც მამაკაცებს, ისე დედაკაცებს. ერთი რუსის პორტრეტი მთელ ნაციას ახასიათებს, სწორედ ისე, როგორც ერთი ჯარისკაცი ახასიათებს მთელ ბატალიონს. არსად, მმართველობის და აღზრდის ერთობის გავლენა ისე მძლავრად არ აშკარავდება, როგორც რუსეთში. ყველა სულებს აქ მუნდირი აცვიათ.

არც ერთ საზოგადოებაში, თუ რომ არ ჩავთვლით პოლონურ საზოგადოებას, მე ამდენი მოხიბლავი ადამიანი არ მინახავს. ეი ახალი მსგავსება ძმურ ხალხთა შორის! რამდენადაც უნდა

აშორებდეს მათ ერთმანეთს დროებითი უთანხმოება, ბუნება მათ ნებაყოფლობას ჯარეში აკავშირებს. პოლიტიკური მოსაზრებანი რომ არ აიძულებდენ ერთერთ მათგანს მეორეს ჩაგვრას, ისინი გაიცნობდენ და შეიყვარებდენ ერთმანეთს.

მაგრამ, იგივე სასიამოვნო ხალხი, ესოდენ დაჯილდოვებული ნიჭით და ხანდახან ესოდენ მომხიბლავი, შეპყრობილია სენით, რომლისაგანაც თავს იკავებენ უაღრესად ტლანქ ხასიათის პატრონნი. ძნელია იმის წარმოდგენა, თუ როგორ ცხოვრობენ მოსკოვის „საზოგადოების“ ახალგაზრდები. ეს ვაჟბატონები, რომელნიც ატარებენ მთელ ევროპაში ცნობილ გვარებს, წარმოუდგენელ ფუფუნებას ეძლევიან. პირდაპირ გაუგებარია, როგორ შეიძლება ექსი თვის განმავლობაში იცხოვრო ისე, როგორც ისინი მუდამ ცხოვრობენ, წლიდან წლობამდე. ასეთი მუდმივობა კეთილ საქმეებში პირდაპირ სამოთხეში შეიყვანდა მათ. რუსეთში სუსტებს ჰყავს ფიზიკურად ანადგურებს. ხოლო მთავრობა მორალურად. ცოცხლობენ მხოლოდ ბუნებით მხეცები და ძლიერნი როგორც სიკეთემ, ისე ბოროტებამ. რუსეთი დაუცხრომელი ვნების, მონურ ხასიათების, ბუნტარების და ავტომატების, შეთქმულების და უსულო მექანიზმების ქვეყანაა. აქ არ არსებობს გარდამავალი საფეხურები ტირანსა და მონასა, უგნურსა და ცხრაველებს შორის. გონივრული ზომიერება აქ უცნობია, მას არ სცნობს ბუნება. საშინელი ყინვა და ზაფხული სიცხე ხალხს უკიდურესობისაკენ მიაქანებს.

მაგრამ, მიუხედავად ჩემს მიერ აღნიშნული კონტრასტებისა, ყველა რუსები ერთმანეთს გვანან: ყველა ისინი მსუბუქნი არიან გონებით, ცხოვრობენ მხოლოდ აწ ყოთი და დღეს იმას ივიწყებენ, რაზედაც გუშინ ფიქრობდენ. ისინი ყველაფერს განსაცვიფრებელი სიადვილით ილებენ და ასევე ადვილად სტოვებენ მას. ისინი ცოცხლობენ და კვდებიან ისე, რომ ვერ ამჩნევენ ადამიანური არსებობის სერიოზულ მხარეებს. მათთვის რეალობა არ აქვს არც კარგს და არც ცუდს. მათ შეუძლიანთ ტირილი, მაგრამ არ შესწევთ ნიჭი, რომ უბედურად იგრძნონ თავიანთ თავი. მათთან თხუთმეტი წუთის ბაასის დროს თქვენ თვალწინ მთელი სამყარო გაიკლის: სასახლეები, უდაბნოები, მწირნი, ბრწყინვალე ბრბონი, უდიდესი ბედნიერება და უსაზღვრო ტანჯვა. მათი სწრაფი და ზიზღით აღსავსე სახის გამომეტყველება ვუ-გრილად უყურებს ყველაფერს, რასაც ადამიანის გენია საუკუნოებით ჰქმნიდა. ისინი თავიანთ თავს ქვეყნად ყველაზე მაღლა აყენებენ, რაზგანაც ყველაფერი სძულთ. მათი ქება შეურაცყოფად გაისმის. ისინი შურით აქებენ და არახალისიანად მუხლთ

იყრიან იმათ წინაშე, ვინც მათი აზრით მოდის კერპია. მაგრამ ქარის პირველ შებერვითვე ჩნდება ლრუბელი და სურათს აბაფლებს, ლრუბელი იფანტება და სურათიც ალარ არის. მტვერი, კვაძლი და ქაოსი,—სხვა არაფრის მოცემა არ შეუძლიან ამ დაუდგრომელ გონების ხალხს.

მხოლოდ დესპოტიზმის უკიდურესობით შეიძლება აიხსნას აქ გამეფებული ზნეობრივი ანარქია. იქ, სადაც კანონიერი თავისუფლება არ არსებობს, ყოველთვის ადგილი აქვს უკანონობის თავისუფლებას. უფლების უარისყოფით თქვენ იწვევთ უფლების დარღვევას, ხოლო სამართლიანობის დახშობით თქვენ კარებს ულებთ უსამართლობას. იგივე ხდება, რაც უცხოეთიდან შემოტანილ წიგნების ცენზურაში, რომელიც მხოლოდ ხელს უწყობს გამანადგურებელ ლიტერატურას, რადგანაც არავის არ აქვს სურვილი რისკის გაწევისა სრულიად უვნები წიგნებისთვის. აქედან გამომდინარეობს, რომ ყველა ევროპიულ ქალაქში მოსკოვი ყველაზე ფართო ასპარეზია მცდარი წრის გარყვნილი ადამიანის სამოქმედოდ. რუსეთის მთავრობას მშვენივრად ესმის, რომ თვითმპყრობელობის დროს აუცილებელია ბუნტის განელება რომელიმე დარგში, და რასაკვირველია, იგი მორალურ ბუნტს არჩევს, ვიდრე პოლიტიკურ ბოროტობას. აი სად არის საიდუმლოება ზოგიერთთა გარყვნილებისა და სხვების შემწყნარებლობის. რასაკვირველია, ზნეჩვეულების დაცემას მოსკოვში სხვა წყაროები და მიზეზებიც აქვს, მაგრამ ამაზე ლაპარაკი აქ უადგილოა და უდროული. ჩვენი დროის ყოფაცხოვრების მწერალთა ყველაზე გაბედული სურათები სუსტ და ფერკმრთალ ასლებად გვეჩვენება იმ ორიგინალებთან შედარებით, რომლებიც ყოველდღე ჩემ თვალწინ იშლებიან მას შემდეგ, რაც რუსეთში ვცხოვრობ.

არა კეთილსინდისიერება საშწუხარო გავლენას ახდენს ყველაფერზე და განსაკუთრებით კომერციულ საქმეებზე. აქ კი მისგან იტანჯებიან თვით გარყვნილები, რომელნიც ხშირად ხდებიან თავისებური თაღლითობის მსხვერპლად. ფულის ღირებულების მუდმივი მერყეობა ხელს უწყობს ყოველგვარ თაღლითობას. ასეთივე მერყეობა რუსის დაპირება. მისი ქისა მუდამ რაღასაც იგებს უძარეთებლად გაგებულ სიტყვებზე ან და ფულის მერყეობაზე. ეს საყოველთაო არევ-დარევა ვრცელდება ავრეთვე სასიყვარულო გარიგებებზედაც, რადგანაც თვითეულმა მხარემ იცის მეორის ოინბოფობა და სურს წინდაწინ მიიღოს ფასი. ასეთი ურთიერთ უნდობლობის გამო ხშირად წარმოსდგება გარიგების შეკვრის შეუძლებლობა, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების დამდებ მხარეებს არაფერი აქვთ ამის საწინა-

ალმდეგო. სხვა ქვეყნებში ბანდიტებმაც კი იციან სიტყვის შესრულება და მათ გააჩნიათ თავისი პატიოსნების კოდექსი. რუსეთ კურატიზანი ქალები და მათი კლიენტები ყაჩაღებზე დაბლა დგანან ამ მხრივ.

თავშეუკავლობა (მე მხოლოდ უბრალო ხალხის ლოთობა კი არ მაქვს მხედველობაში) აქ ისეთ საზღვრებს აღწევს, რომ, მაგალითად, ერთი ყველაზე პოპულიარული ადამიანთაგანი მოსკოვში, საზოგადოების საყვარელი, ყოველ წელს ექვსი კვირით სადღაც იკარგება. შეკითხვებზე, სად იმყოფება იგი, ასეთ პასუხს იძლევიან: „იგი საქეიფოდ და სალოთოდ წავიდა"—და ასეთი მოულოდნელი პასუხი არავის უცნაურად არ მიაჩნია.

მე გამაცნეს საყურადღებო ტიპი, ლირსი როგორც მითხრეს, ზედმიწევნით შესავლისა. ეს ახალგაზრდა კაცი, ფრიად წარჩინებული ჩამოვავლობის, თავად №, ულრესად მდიდარ მშობლების ერთადერთი შვილია. მაგრამ იგი ორჯერ ძეტს ხარჯავს იმაზე, რაც მას გააჩნია, და ასევე უვარაუდოთ ეპყრობა თავის ჭკუასა და ჯანმრთელობას. დღე და ღამ იგი თვრამეტ საათს ატარებს ლუდხანებში. ლუდხანა მისი სტიქიონია, იგი იქ მეფობს და იქ ფლანგავს თავის არაჩვეულებრივ სულიერ ძალას. მი ი გუვერნერი ფრიად პატივ ეცული მოხუცი აბატია, ფრანგი ემიგრანტი: ამიტომ იგი უალრესად განათლებულია. მას მკვირცხლი და არაჩვეულებრივად გამჭრიახი გონება აქვს, მახვილი და ორგინალური ენა, მაგრამ მისი სიტყვებიც და მოქმედებაც ისეთნად ცინიკურია, რომ სრულიად დაუშვებელი იქნებოდა ყველგან, გარდა მოსკოვისა. მის ლამაზ და სასიამოვნო, მაგრამ მუდამ ძოუსვენარ სახეზე გამოკრთის წინააღმდეგობა მის ცხოვრებასა და იმ ნიჭს შორის, რომელიც მას ბუნებამ შთაუნერგა, გარყვნილმა ჩვეულებებმა მასზე უდროული დაჭკნობის კვალი დ სტოვა.

მას მუდამ გარს ახვევია ახალგაზრდა მოწაფეთა და მიმდევართა ბრბო, რომელნიც ცდილობენ ერთმანეთის გადაჭარბებას ფუფუნებაში. თუმცა ისინი ჭკუით თავიანთ ლიდერს ჩამოუვარდებიან, მაგრამ ყველა იმათ საერთო ოჯახური მსგავსება აქვთ. თქვენ პირველი შეხედვითვე იცნობთ მათში რუ ებს. მე მინდოდა გადმომეცა თქვენთვის მათი ცხოვრების რამდენ მე დეტალი, მაგრამ კალამი მიგარდება ხელიდან, ვინაიდან უნდა მოგითხროთ ამ გარყვნილთა კავშირის წესებზე არა მარტო დაღუპულ ქალებთან, არამედ ახალგაზრდა მონაზონებთან, რო ელთაც ფიციად თავისებურად ეკმით მონასტრის წესდება. რა საჭიროა ეკარდა ახადოთ ამ საეწუხარო ფაქტებს?—იტყვით თქვენ. იქნებ ჭეშმარიტებისადმი მისწრაფება გ-

ბრმავებს, მაგრამ ჩემის აზრით ბოროტება გამარჯვებულია სწორედ მაშინ, როდესაც იგი დაფარულია, ხოლო მხილებული ბოროტება უკვე ნახევრად მოსპობილია. და ბოლოს, განა მე მიზნად არ მაქვს დასახული, რაც შეიძლება ზედმიწევნით გადმოვცე ამ ქვეყნის ზნე-ჩვეულებათა სწორი სურათი? მხოლოდ ერთი რამ მივიჩნიე წესად: არ მოვიხსენიო იმათი სახელი, ვისაც ეს არ სურს. რაც შეეხება თავად №, ამას იმდენად სმულს სახოგადოებრივი აზრი, რომ პირიქით სურს, როგორც თვით გამოიტყდა იგი, მთელი სიგრძე-სიგანით დავასურათო. ხოლო როდესაც ვუპასუხე, რომ არაფერს არ ვწერ რუსეთის შესახებ, იგი თითქოს ნაწყენი დარჩა.

ამგვარად მე თავს ვალდებულად ვგრძნობ გიამბოთ ერთ საშინელ ბოროტმოქმედებაზე, რომლის შესახებ მე სრულიად შემთხვევით გავიგე. საქმე შეეხება ერთ ახალგაზრდა კაცის მოკვლას ნ.—ის მონასტრის მონაზნების მიერ. ეს საშინელი ამბავი მე გავიგე თავად №-საგან ერთ დიდ ნადიმზე მთელ რიგ მოხუცებულ და პატივცემულ მოხელეთა თანდასწრებით, რომელნიც არაჩვეულებრივ გულგრილობით მოექცნენ არა მარტო ამ ისტორიას, არამედ მრავალ სხვა ამის მსგავს უზნეო და საზიზღარ ამბებსაც. ამიტომ მე სრულიად დარწმუნებული ვარ მის სინამდვილეში, რაც ამასთანავე დადასტურებული იყო ახალგაზრდა თავადის მეგობრების მიერ.

აი მოკლედ ის, რაც მე გავიგონე. ვინმე ახალგაზრდა კაცი (რასაკვირველია, საიდუმლოდ) ბოლოს ერთ თვე №-ის ქალთა მონასტერში ცხოვრობდა.

ბოლოს მისთვის მოსაწყენი შეიქნა ასეთი ბედნიერება; ამასთანავე თავი მოაბეზრა მონაზონებსაც, რომელთა მიმართ იგი დავალებული იყო როგორც მილებული სიამოვნების, ისე შემდგომი მოწყენილობის გამო. იგი თითქოს, კვდებოდა. მაშინ მონაზნებმა მოისურვეს მისი თავიდან მოცილება, მაგრამ იმავე დროს ეშინოდათ სკანდალისა, რომელსაც უეჭველია გამოიწვევდა მისი სიკვდილი მონასტერში ყოფნის შემდეგ; ამიტომ მათ გადასწყვიტეს მისი მოკვლა თავისი ძალებით, მით უმეტეს, რომ იგი სულ ერთია მაინც მიდიოდა საიქიოს. თქმა და შესრულება ერთი იყო. . . .რამდენიმე დღის შემდეგ ჭაში იპოვეს ამ უბედურის დასახიჩრებული გვამი. ეს საქმე სრულიად არ გამოქვეყნებულა.

თუ რომ იმავე კარგად მცოდნე პირებს დაუჯერებთ, კარჩაკეტილობის წესი სრულიად დაცული არ არის მოსკოვის მრავალ მონასტერში. თავადის ერთ-ერთმა მეგობარმა გუშინ მე და მთელ კომპანიას დემონსტრაციულად გვიჩვენა მონაზონის კრიალოსანი, ვითო-

ზდა ამ უკანასკნელის შიერ დავიწყებული დილით მის ოთახში. შეორე ტრაბახობდა თავისი ტროფეით,—ე. ი. ლოცვანით, რომელიც მისი სიტყვით ეკუთვნოდა №-ის სამონაზნოს დას, განთქმულს თავისი ღვთისმოშიშობით, და მთელი აუდიტორია აღფოთოვანებული იყო ამ ამბით!

ვერასოდეს ვერ გავათავებდი ამგვარ ამბების გადმოცემას, რომელიც მე მოვისმინე ამ სადილზე. ყველას თავისი სკანდალური ანეკდოტი ჰქონდა სათქმელი და ეს ამბები მხოლოდ ხარხარს იწვევდენ მსმენელებში. მხიარულება, გამოწვეული წყაროსავით მჩქეფარე შამპანიურით, თან და თან უფრო მატულობდა და ბალე აურ-ზაურად იქცა, სადაც მხოლოდ თავადმა № და მე შევინარჩუნეთ ნორმალური სახე: იმან იმიტომ, რომ დაუსრულებლივ შეუძლია სმა, ხოლო მე იმიტომ, რომ სმა სრულიად არ შემიძლია...

მოსკოვის ლოველასი უეცრივ წამოდგა თავისი ადგილიდან და ბრძანების სახით საჯაროდ გაჩუმება მოითხოვა. ჩემდა გასაოცრად მისი მოთხოვნა დაუყონებლივ იქნა შესრულებული, და სიჩუმე გამეფდა. მე გამახსენდა პოეტური აღწერა ქაბაბშხალის, რომელსაც ძველი ღმერთების ხმა ამშვიდებდა! და აი, ჩვენი დროის ახალგაზდა ღმერთს შემოაქვს წინადადება მოსკოვის კურტიზან ქალების სახელით, სათანადო ხელისუფლებას შემდეგი შინაარსის პეტიცია გადაეცეს: რადგანაც ქალთა მონასტრები „საერო თემთა“ კონკურენტებად გაშოდიან და ამ უკანასკნელთა შემოსავალს იმდენად აკლებენ, რომ მათი საქმე საზეიერო აღარ არის, სიყვარულის საბრალო ქურუმნი სთხოვენ უმორჩილესად, ვისაც ჯერ არს, რომ აღნიშნულ მონასტრებს განსაზღვრული ხარკი გადახდეს, რათა „საერო განდეგილნი“ იძულებულნი არ გახდნენ დასტოვონ თავიანთი პროფესია და იგი სავსებით წმიდა მონაზონობას არ გადასცენ. ამ წინადადებას კენჭი, უყარეს და იგი მიღებული იქნა ერთხმად და დიდი ალტაკებით. ახალგაზრდა გოჟმაქმა მოითხოვა ქაღალდი და მელანი და აუღელვებელი სახით იქვე თხოვნა დასწერა მშვენიერ ფრანგულ ენაზე—დოკუმენტი იმდენად უტიფარია, რომ არ შემიძლიან აქ მისი მოყვანა. მაგრამ მე მაქვს შენახული მისი ასლი.

აი რის მოწმე ვიყავი მე გუშინ მოსკოვის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ რესტორანში; რასაკვირველია, მე თქვენ გაგახთავისუფლეთ მრავალი დეტალებისაგან, რომელთა გადმოცემაც ქაღალდზე ჩვენ დროში შეუძლებელია. ამის შემდეგ მე მივიღე წინადადება მოქეიფეთა კამპანიის წინამძღოლისაგან, რომლებსაც ეს ლუდბანა თავის მთავარ ბინად გაეხადათ, მონაწილეობა მიმეღო მათ

ზხიარულ გასეირნებაში ქალაქ გარედ, რაც ორ დღეს უნდა გაგრძელებულიყო. მე უარი ვუთხარი ამ პატივცემაზე ნიჟნი-ნოვგოროდში მოგზაურობის საბაბით, და პირადად გამოვცხადდი თავად № შტაბში, რათა ბოდიში მომეხადა მის წინაშე; აქ მე შემდეგი სცენის მოწამე ვიყავი: თორმეტიოდე შეზარხოშებული ახალგაზრდა ხმაურობით ჯდებოდა სამ ეტლში, რომელშიც ოთხ-ოთხი ცხენი იყო შებმული. მათი წინამძღოლი გაჭიმული იდგა ეტლში და განკარგულებას სცემდა ფრიად სერიოზული სახით; ეს განკარგულება სიტყვის შეუბრუნებლად სრულდებოდა. ფეხებში ყინულიანი ვედრო ან უკეთ მთელი ვარცლი ედგა, რომელშიც შამპანიური ღვინით სავსე ბოთლები ეწყო. ეს მოძრავი სარდაფი წარმოადგენდა პროვიზიას, აუცილებელს, როგორც პატივცემულმა შეფმა გზაში ამიხსნა, მტვრისაგან ყელის გასაგრილებლად. ორი-სამი ბოთლი უკვე გახსნილი იყო მისი ადიუტანტის მიერ, და ახალგაზდა მოქეიფე ღვინოს უხვად აწვდიდა ყველა გამცილებლებს; ეს საუკეთესო შამპანური იყო მთელ მოსკოვში. ორივე ხელში თავადს ჭიქები ეჭირა, რომელსაც მისი ბეჯითი თანაშემწე გულმოდგინედ და ხალისიანად ავსებდა. ერთი ჭიქიდან იგი თვითონ სვამდა, ხოლო მეორეს აწვდიდა მსჟრველს, მისი მსახურნი ოქროს ფრად მოქარგულ ლივრეებში იყვნენ გამოწყობილნი, ხოლო ახალგაზრდა მეეტლე, ეხლახან ჩამოყვანილი სოფლიდან, ფრიად შესანიშნავად იყო ჩაცმული. ძვირფასი სპარსული აბრეშუმის პერანგზე მას ეცვა წმინდა ქაშმირის კაფტანი, მოქარგული მშვენიერი ხავერდით. ხოლო ფეხებზე—საუცხოვო კემფერტის ფეხსაცმელი, მოვარაყულ-მოსირმული; ეს ფეხსაცმელი ბრწყინავდა მზეზე და თვალს სჭრიდა მაყურებელს. ამასთანავე მას წასმული ქონდა სხვადასხვა ძვირფასი ნელსაცხებელი, ისე რომ გარედაც კი, რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე ეტლიდან მოისმოდა მისი თმის, წვერის და ტანისამოსის არომატის სუნი. ლუდხანის მაახურთა დაპატიჟების შემდეგ, თავადმა ღვინით სავსე ჭიქა თავის მორთულ მეეტლეს შესთავაზა. საბრალო გლეხი დაიბნა და არ იცოდა რა ექნა. „დალიე!"—უთხრა მას ბატონმა (მე გადამითარგმნეს მისი სიტყვები),—დალიე, არამ ხადავ! სულელო, მე შენ კი არ გასმევ შამპანურს, არამედ—ცხენებს. იმიტომ რომ ცხენებს სიმკვირცხლე აკლიათ, როდესაც მეეტლე ფხიზელია!"—და მთელი კამპანია „ვაშას"-ს ძახილით, ტაშით და სიცილ-ხარხარით შეხვდა ამ ობუნჯობას. მეეტლემ ბევრიც არ ახვეწა და როცა თავადმა წასვლის სიგნალი მისცა, მან უკვე მესამე ჭიქა გადაჰკრა. წასვლის წინ თავადი მიმიბრუნდა და ფრიად ზრდილობიანად გამოსთქვა მწუხარება იმის გამო, რომ მე უარი ვთქვი მათ გასეირნებაში

მონაწილეობის მიღებაზე. ამასთანავე იგი ისე შესანიშნავად მეჩვენა, რომ დამავიწყდა, სად ვ-ყავი და წარმოვიდგინე ლუი XIV დროს ფიმყოფები ვერსალში მეთქი. ბოლოს, ქორტეჟი დაიძრა და გაჰქრა მტვრის ღრუბელში. თქვენ შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, როგორ ერთობიან ეს ვაჟბატონები თავიანთ მაშულებში!

რადგანაც მე ძიზნად დავისახე ამ ქვეყნის ზნე-ჩვეულების სრული სურათის გადმოცემა, ამიტომ კიდევ რამდენიმე სტრიქონი უნდა დაეუმატო მოსკოვის „ოქროს ახალგაზდობას“ დახასიათებას. ერთ-ერთმა მისმა წარმომადგენელმა ჩემი თანდასწრებით განაცხადა, მე და ჩემი ძმები ბამაჩემის ჰაიდუკების და მეეტლეების შვილები ვართო და თავის თანამოქეიფეებს დაალეკვინა ამ უცნობი მშობლების სადღეგრძელო, მეორე პრეტენზიას აცხადებს, ძმა (მამის მხრივ) ვარ დედის ყოფილა ძოახლე ქალებისაო. რასაკვირველია, ამ სიტყვებში ბევრი სიცრუე და ტრაბახია, მაგრამ თვით ასეთი ფანფარონობა საკმაოდ დამახასიათებელია.

თუ ამ ვაჟბატონებს დავუჯერებთ, მოსკოვის მოსახლეობის ბურჟუაზიული ფენების ქალები მაღალი წრის ქალებზე უკეთესად არ იქ ცვიან. ქალაქის ბაზრობის დროს, სადაც მათი ქმრები მიდიან, ადგილობრივი გარნიზონის ოფიცრები ყოველნაირად ცდილობენ, არ დასტოვონ ქალაქი: ეს მსუბუქი ფლირტის პერიოდია. ქალები თავიანთ საყვარლებთან მიდიან ჩვეულებრივ. თავიანთ დარბაისულ ნათესავებ ს თანხლებით, რომლებსაც მათ ქმ ები ანდობ ნ. საქმე ხანდახან იქამდისაც კი მიდის, რომ ამ ბხლებლებს აჯილდოვებენ კიდეც სიჩუმისათვის. ამგვარ საქციელს, რასაკვირველია სიყვარული არ ეწოდება.

წინააღმდეგ თავისუფალი ერეკისა, რომელთა ზნე-ჩვეულებანი თანდათან წმინდა პურიტანულ ხასიათს იღებ ნ დემოკრატიის გაბატონების მიხედვით, რუსეთში გარყვნილებას და ლიბერალიზმს ერთმანეთში ურევენ. გამოჩენილი გარყ ნილები აქ ისეთივე პოპულარობით სარგებლობენ, როგორც ოპოზიციონური უმკირესობის წარმომადგენელნი ჩვენში. თავადმა № დარდიმანდული ცხოვრება დაიწყო მხოლოდ კავკასიაში გადასახლების შემდეგ, სადაც მან სამი წელიწადი დაჰკო და თავისი ჯანმრთელობა დაიზიანა. ასეთი სასჯელი მან მიიღო კორპუსიდან გამოსვლის შემდეგ მხოლოდ იმიტომ, რომ რამდენიმე ფანჯარა ჩაამტვრია პეტერბურგის მაღაზიებში. მთავრობამ ამ სიცელქეში პოლიტიკური დანაშაული დაინახა და თავისი გადაშეტებული სისასტიკით ამ ახალგაზრდა გიჟმაჟისაგან კათასსი-

რებული ადამიანი შექმნა, რომელიც დაღუპულია ქვეყნისა და ოჯახისათვის.

ასეთ შედეგებს აღწევს დესპოტიზმი, ყველაზე მორალური წესწყობილება ყველა არსებულ წესწყობილებში. აქ ყოველი ბუნტი კანონიერად მიიჩნიეთ. ბუნტი თვით გონების წინააღმდეგაც კი. იქ სადაც საზოგადოებრივი წესწყობილება ძალმომრეობაზეა დაფუძნებული, ყოველ უწესობას თავის წამებულნი და გმირები ჰყავს. ყოველი ლოიალური და დონჟუანი თავისუფლებისათვის მებრძოლად იქცევა ხოლ დ ი იტომ, რ მ ბგი მთავრობის დევნას განიცდის, და საყოველთაო აღშფოთება მიმართელია არა დასჯილთა, არამედ მოსამართლეთა წინააღმდეგ.

რუსეთში მე მოვიტანე ცრურწმენა, რომელსაც მე ეხლა ადარ ვიზიარებ: სხვა ჭკვიან ხალხთან ერთად მე ვფიქრობდი, რომ თვითმპყრობელობა თავის ძალას მის ირგვლივ გაბატონებულ თანასწორობაში პოულობს მაგრამ ეს თანასწორობა ეხოლოდ ილუზიაა. მე ჩემ თავს ვეუბნებოდი: როდესაც ერთი ადამიანი ყოვლად შემძლეა, ყველა დანარჩენები თანასწორნი არიან, ე. ი. ერთნაირად არარა ობანიამაში, ოასაკვირველია, ცოტა რ მ არის ასიხარულო, მა რამ ცოტა ოდენი სანუგეშოც არის. ასეთი მ ჯელობა მეტად ლოიკურია და ამიტომ უკუგდებულია ფაქტიურად. ედა მიწაზე არ არსებობს აბსოლუტური ხელ სუფლება, არსებობს ხოლოდ ტირანული და ძალმომრეობით აღსავ ე ხ ლისუფლება. რაც უნდა ძლიერი იყოს ეს უკანასკნელი, იგი ვერ დაუყენებს აბსოლუტურ თანასწორობას ქვეშევრდომთა შორის. და რა გინდ ყოველა ი ძლიერი იყოს რუსეთის მეფე, რუსეთში უფრო მეტი უთანასწორობაა, ვიდრე რომელიმე ევროპიულ სახელმ ციფოში. იძულებითი თანასწორობა აქ საერთო წესია, უთანასწორობა—გ ონაკლისი, ხოლო უ ი ეურეს ძალმომრეობის რეჟ მში გაძონაკლისი წ სად იქ ევა. კა ტებს შორის, რომლ ვ ადაც დაყოფილია იმპერიის მოსახლ ობა, გამეფებულია სიძულვილი და მე ა ეაოდ ვეძებ ნაკ ბ თანასწორობას, რომლ ის შესახებ ამდენი მელაპარაკ ეს.

ნუ დაუჯერებთ ენაწყლიან ვაჟბატონებს, რომელნ ც გარწმუ ნებენ, რუსის ყ ები უბედნიერ ი გლ ეხები არიან დედამიწაზეო. არ დაუჯეროთ მათ, ისინი გ �ყუუბდენ თქვენ. შორეულ გუბერნიებში ბევრი ვლეხ ოჯახია დამშეული, ბევრიც იხ ცება სიღატაკისა და ცუ ი მოპყრობისაგან. რუსეთში ყვე ანი იტანჯებიან, მაგრამ ყველაზე დიდ ტანჯვას განიკდიან ის ხალ ხი, რომ ითა ისე ვაჭრობ ენ, რ ი ა რ ც ნივთით. მემამულეებმა,—ამბობენ მონობის დამცვ ლნი,—

უნდა თავიანთ ინტერესების გულისთვის იზრუნონ საკუთარ გლეხებზე. მაგრამ განა ყველას სწორედ ეს ის თავისი ინტერესები? ჩვენში ადამიანი, რომელსაც ცუდად მიჰყავს თავისი საქმე, მხოლოდ თავის ქონებას ჰკარგავს. მაგრამ თუ ეს ქონება მრავალ ადამიანთა სიცოცხლისაგან ესდგება, მის ცუდად და დაუზოგველად მოპყრობას შედეგად მოსდევს მთელი სოფლების შიმშილით სიკვდილი. მართალია, როცა საქმე მეტის მეტად აღმაშფოთებელი ხდება, მთავრობა მეურვეს უნიშნავს ცუდ მემამულეს. მაგრამ ეს მუდამ დაგვიანებული ზომა ხალხს მკედრეთით ვერ აღაგვენს. ძნელი წარმოსადგენია ის ტანჯვა, რომელიც იმალება რუსეთის სილრმეში ტირანიული ძალმომრეობის სამოსელ ქვეშ!

სამხედრო დისციპლინა, გავრცელებული მთავრობის მოქმედების ყოველ დარგში, მძლავრი იარაღია, რომელიც მონარქის თვითნებურ ძალაუფლებას გაცილებით უფრო კარგად იცავს, ვიდრე თანასწორობის ფიქცია. მაგრამ განა ეს საშინელი იარაღი ხშირად არაა მიმართული იმათ წინააღმდეგ, ვინც ამ იარაღით სარგებლობს? აი უბედურება, რომელიც მუდამ ემუქრება რუსეთს: ხალხური ანარქია, მ სული უკიდურესობამდე იმ შეძთხვევაში, თუ რომ ხალხი აჯანყდება და თუ ის არ აჯანყდა, ტირანიის გახანგრძლივება, რომელიც ცოტად თუ ბევრად მკაცრი იქნება, დროისა და გარემოების მიხედვით.

რათა სწორედ შეფასართ რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობის სიძნელენი, უნდა გვახსოვდეს, რომ ხალხის შეუიარაღებლობა მით უფრო საშინელი იქნება, რომ იგი უვიცია და უაღრესად მომთმენი. მთავრობა, რომელიც არაფრის წინაშე არ ჩერდება და არ იცის სირცხვილი, უფრო საშინელია გარეგნულად ვიდრე მტკიცეა. სინამდვილეში ხალხში—მოუსენებლობის მძიმე გრძნობა, ჯარში—არაჩვეულებრივი სიმხეცე, ადმინისტრაციაში—ეგოიზმი, რომელიც იმათზედაც კი ვრცელდება, ვინც ტერორს ახდენს სხვებზე, ეკლესიაში მლიქვნელობა და შავნიზმი, წარჩინებულთა შორის ფარისევლობა, დაბალ კლასებში—უვიცობა და უკიდურესი გაჭირვება: ყველას და თვითეულისთვის კი—ციებცხელება. ასეთია ეს ქვეყანა, როგორც იგი შექმნა ისტორიამ, ბუნებამ თუ განკითხვამ.

და ასეთი უძლური სხეულით აღჭურვილი ბუმბერაზი, სულ ეხლახან გამოსული ანბის ბილიდან, სცდილობს მთელი თავისი სიმძიმით დაეწვეს ევროპის პოლიტიკის წონასწორობას, გაბატონდეს დასავლეთ ქვეყნების კონგრესებზე და უკუაგდოს ევროპიული დიპლომატიის ყველა მოღვაწეები უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში. ჩვენი დიპლომატია გულწრფელი გახდა, მაგრამ აქ გულწრფელობას მხოლოდ სხვებმა აფასებენ

აი პოლიტიკური პატივმყვარეობის საშინელი შედეგები! ეს ქვეყანა—ბისთვის აუცილებარ პატივმოყვარეობის საბრალო მხვეპლი, მდულარე, როგორც ქვაბი, დაცლილი სასხლით და ცრემლებით,—ცდილობს სხვებს თავი დაუშკიდებელ დ მოაჩვენოს, რათა უფრო ძლიერი იყოს. სულ მალლად დაკარგული, იგი მალავს თავის იარებს. . .

თ ა ვ ი XXII

წამოსვლა მოსკოვიდან.—ტროიცე-სერგიევსკის მონასტერი.—ბაასი პოლონელების წესახებ.—ფელდიეგერის ცნობისმოყვარეობა.—მეორე ბრძოლა ბალლანჯოებთან.—ლავრის დათვალიერება.—საეკლესიო მორთულობის სიმდიდრე.—ბერების „მორცხვობა".

ნიჟნიში წასასვლელად მე ავირჩიე რესორებიანი ტარანტასი, რათა ჩემი ეტლი დამეზოგა. მაგრამ ეს ადგილობრივ დამზადებული ეტლი არც თუ ბევრად გამძლეა ჩემსაზე, რაზედაც ჩემი ყურადღება მიაქცია ერთმა მოსკოველმა, რომელმაც ჩემი გაცილება მოისურვა.

— თქვენ მე მაშინებთ,—ვუთხარი მე,—რადგანაც მომბეზრდა შეკეთება ყოველ სადგურზე.

— ხანგრძლივი მოგზაურობისთვის მე გირჩევდით თქვენ გეზრუნათ სხვა ეტლზე, მაგრამ ამ მცირე მოგზაურობას ესეც აიტანს.

ხოლო ეს „მცირე მოგზაურობა" გაიზომება ოთხასი ლიეთი, თუ რომ აქ ტროიცე-სერგიევსკის და იაროსლავლის ნახვასაც ჩავთვლით; ამასთანავე მარწმუნებდენ, რომ მხოლოდ ასნახევარი ლიე მომიხდება ცუდი გზებით სიარული. რუსებში მიღებული მანძილის ზომის წესიდან სჩანს, რომ ისინი ისეთ ქვეყანაში ცხოვრობენ, რომელიც თავისი სივრცით არ ჩამოუვარდება მთელ ევროპას, თუ ციმბირსაც არ მივიღებთ მხედველობაში.

მართლაც გზა საშინელი აღმოჩნდა—და არა მარტო ერთ მესამედ მანძილზე. თუ რუსებს დავუჯერებთ, ყველა მათი გზა ზაფხულობით კარგია. მე-კი ისინი საძაგლად მიმაჩნია. ცხენები მუხლებამდე ქვიშაში იფლობიან, ეწევიან რაც ძალა და ღონე აქვთ, სწყვეტავენ თასმებს და ჩერდებიან ყოველ ოც ნაბიჯზე. ქვიშიდან ამოსვლის შემდეგ, თქვენ ტალახის ზღვაში ვარდებით, სადაც თავები ამოყოფილი აქვს კუნძებს და ვეებერთელა ქვებს, რომელნიც ამტვრევენ ეტლებს და ასახიჩრებენ ცხენებს.

ასეთივე გზით მომიხდა მე გასეირნება ტროიცე-სერგიევსკის მონასტერში, ამ ისტორიულ სავანეში, რომელიც მდებარეობს ოცი ლიეს მანძილზე მოსკოვიდან. მე დასაძინებლად მოვემზადე, როდესაც მითხრეს, რომ ჩემი ნახვა სურს ვილაც ნაცნობს, რომელიც მოსკოვიდან რამდენიმე საათით გვიან გამოსულა ჩემ შემდეგ. ამ ბატონმა,

რომელიც უეჭველად ნდობის ღირსია, დაადასტურა უკვე ჩემსმიერ გაგონილი ამბავი, სახელდობრ, რომ ამას წინად სიმბირსკის გუბერნიაში მთავრობის მიერ გადამწყვარი იყო 80 სოფელი გლეხების აჯანყების გამო. ამ აღელვებას რუსები პოლონურ ინტრიგებს აწერენ.

— რა აზრი აქვს პოლონელებისათვის რუსეთის დაწვას?—შეეკითხე მე იმ პირს, რომელმაც ეს ახალი ამბავი გადმომცა.

— არავითარი,—მიპასუხა ჩემმა ნაცნობმა,—გარდა იმისა, რომ მათ სურთ დაიმსახურონ რუსეთის მთავრობის რისხვა. მათ ეშინიანთ, რომ ისინი მშვიდად არ დასტოვონ.

— თქვენ მე გამახსენეთ ბრალდებები, რომელიც გაისმოდა ჩვენი რევოლუციის დასაწყისში არისტოკრატების წინააღმდეგ: ვითომც ისინი თვითონვე სწვავდენ თავიანთ სასახლეებს.

— მე ვხედავ, რომ არ გჯერათ ჩემი სიტყვები და სრულიად ტყუილად. მე გულდასმით ვადევნებ თვალყურს ამ ამბებს და გამოცდილებით ვიცი, რომ ყოველთვის, როდესაც იმპერატორი მოწადინებულია გასცეს რაიმე წყალობა, პოლონელები ახალ შეთქმულებას იწყებენ. ისინი გზავნიან ჩვენთან ფადაცმელ ემისარებს და შეთქმულებას აწყობენ ხელოვნურად (რადგანაც რეალურად არავითარი ბოროტმოქმედება არ არსებობს), ერთადერთი მიზნით, რომ გააღიზიანონ რუსების სიძულვილი და გამოიწვიონ ახალი რეპრესიები თანამემამულეების წინააღმდეგ. ერთი სიტყვით იმათ ეშინიანთ, რომ რუსეთის მთავრობის გულჩვილობამ არ იმოქმედოს მათ გლეხებზე და მეფის წყალობამ არ შეაყვაროს მათი „შტრები".

— რასაკვირველია, მე თქვენ არ გიჯერებთ. გარდა ამისა, რატომ არ აპატიებთ პოლონელებს მათ დანაშაულს, რომ ამით დასაჯოთ ისინი? მაშინ თქვენ უფრო გამოცდილი პოლიტიკოსებიც იქნებოდით და უფრო კეთილშობილი ხალხიც, ვიდრე ისინი არიან. მაგრამ თქვენ ისინი გძულთ და მე მგონია, რათა გაამართლოთ თქვენი ასეთი სიძულვილი, მათ ბრალსა სდებთ ყველა უბედურებაში, რომელიც თავზე გატყდებათ. ინტრიგების დაბრალება მხოლოდ საბაბია ახალი დევნისათვის.

— თქვენ ასე შეჯელობთ, რადგანაც არ იცნობთ არც რუსებს და არც პოლონელებს.

— ეს თქვენი თანამემამულეების ჩვეულებრივი პასუხია, როდესაც მათ უხდებათ მწარე სიმართლის მოსმენა. პოლონელების გაცნობა ადვილია, ისინი გულახდილად გეუბნებიან ყველაფერს. მე უფრო მჯერა ენაწყლიანი ხალხის ლაპარაკი, ვიდრე გულჩათხრობილ

ადამიანების, რომელნიც მხოლოდ იმას ლაპარაკობენ, რასაც მათგან სრულიად არ მოითხოვენ.

— მაგრამ ჩემში, როგორც სჩანს, სრულიად დარწმუნებული ბარ-ბარ.

— პირადად თქვენში—დიახ. მაგრამ, როდესაც მაგონდება, რომ თქვენ რუსი ხართ, ვნანობ ჩემ გაუფთხილებლობას, ე. ი. ჩემ გულახდილობას, თუმცა მე თქვენ ათ წელიწადზე მეტად გიცნობთ.

— მე წარმოდგენილი მაქვს, როგორ გაგვისწორებთ ანგარიშებს, როდესაც სახლში დაბრუნდებით!

— თქვენ მართალი იქნებოდით, მე რომ განზრახვა მქონდეს, რამე დავწერო თქვენ შესახებ, მაგრამ, რამდენადაც, როგორც თქვენ ამას ამტკიცებთ, მე რუსებს არ ვიცნობ, რასაკვირველია, მოვერიდები ზერელეთ აზრის გამოთქმას ამ მიუწდომელ ნაციაზე.

— აძაზე უკეთესს თქვენ ვერაფერს ვერ იზამდით.

— უეჭველად. მაგრამ იცოდეთ, რომ გულჩათხრობილ ადამიანთა მხილება მათ ნიღაბის ჩამოხსნას ნიშნავს.

— თქვენ მეტისმეტად სარკასტული და გამჭრიახი ხართ ისეთ ბარბაროსებისთვის, როგორც ჩვენ ვართ.

ამ სიტყვებით ჩემი კეთილი ნაცნობი იტალიაში ჩავიდა და გასწია ჭენებით, ხოლო მე დავუბრუნდი შეწყვეტილ წერილებს. მე ეხლა ვმალავ ამ წერილებს გადასაკრავ ქაღალდის ფურცლებ შუა. უკვე ვთქვი, როგორ მეშინიან მოულოდნელი ჩხრეკისა და როგორ ვუმალავ ფელდიეგერს ჩემ სიყვარულს კორესპონდენციებისადმი. ამასწინად დავრწმუნდი, რომ იგი ფარულად შემოდის ჩემს ოთახში, და ამის ნებართვას წინასწარ სთხოვს ჩემს ანტონიოს. იტალიელს შეუძლია რუსებს მეტოქეობა გაუწიოს ცბიერობაში. უკვე თხუთმეტი წელიწადია, რაც ანტონიო ჩემთან კამერდინერად არის. მას თანამედროვე რომაელის თავი აქვს და ძველი წინაპრების კეთილშობილი გული. მე ვერ გავწევდი რუსეთში გამგზავრების რისკს ჩვეულებრივი მსახურით და ყოველ შემთხვევაში წერას ვერ გავბედავდი. მაგრამ, როდესაც ანტონიო მეგულება კონტრნალმის სახით ფელდიეგერის ჯაშუშობის წინააღმდეგ, თავს რამდენადმე უზრუნველყოფილად ვგრძნობ.

თავიანთი მიუდგომლობით, ცნობილი მოსკოველები მარწმუნებდენ, რომ მონასტერში ღამის გასათევ კარგ ადგილს იშოვითო, მართლაც, მონასტრის კარმიდამო, რომელიც ლავრის გალავნის გარედ მდებარეობს, საკმაოდ დიდი შენობა აღმოჩნდა თავისი ფართო და გარეგნულად სრულიად შესაფერი საცხოვრებელი ოთა-

ხებით. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს გარეგნობა მხოლოდ მოჩვენებითი იყო. დავწექი თუ არა ჩვეულებრივი სიფრთხილით, დავრწმუნდი, რომ ამ შემთხვევაში ეს სიფრთხილე მე არ მიშველიდა და მთელი ღამე საშინელ ბრძოლაში გავატარე უამრავ მწერებთან. და რა ჯურის მწერი არ მოიძებნებოდა იქ! შავი, ყავის ფერი და ყველანაირი ფორმის და სახისა. ერთის სიკვდილი თითქოს შურისძიებას იწვევდა ყველა მის თანამოძმეებში, რომელნიც თავს იყრიდნენ იქ, სადაც იღვრებოდა ბრძოლის ველზე დაღუპულის სისხლი. მე თავგანწირვით ვიბრძოდი და გულში გავიძახოდი: „მათ მხოლოდ ფრთები აკლიათ, რომ ჯოჯოხეთის არსებათ დაემსგავსონ!“ ეს მწერები მემკვიდრეობაა, დატოვებული მლოცველების მიერ, რომელნიც თავს იყრიან ტროიცის ლავრაში რუსეთის იმპერიის ყველა კუთხეებიდან; ისინი საშინლად მრავლდებიან წმინდა სერგის აკლდამას თაღებ ქვეშ. როგორც სჩანს, მათზე და მათ შთამომავლობაზე განისვენებს ციური ლოცვა-კურთხევა, რადგანაც ისინი აქ ისე მრავლდებიან, როგორც არსად მთელ დედამიწაზე. როდესაც დავინახე, რომ მტრის ლეგიონები ჩემი დიდი სურვილის მიუხედავად არ კლებულდნენ, მე სრულიად დავკარგე იმედი. ვინ იცის,—მელანდებოდა მე,—იქნებ ამ საზიზღარ არმიაში მოიპოვება უხილავი ესკადრონები, რომელნიც გამოჩნდებიან მხოლოდ დღის სინათლეზე? ის აზრი, რომ შეიარაღების ფერები იუარავენ მათ ჩემ თვალთაგან, გონებას მიკარგავდა. კანი მიხურდა, სისხლი მიცემდა საფეთქელში და ვგრძნობდი, რომ უხილავი მტრები მჭამდენ. ამ წუთს მე ვარჩევდი, რომ საქმე მქონოდა ვეფხვებთან, ვიდრე ამ წვრილ ქმნილებათა ლაშქართან. მე გადმოვხტი ლოგინიდან, მივარდი ფანჯარასთან და გავაღე იგი. ამან საშუალება მომცა ცოტახნით თავისუფლად ამომესუნთქა, მაგრამ კოშმარი ყველგან მდევნიდა. მაგიდა, სკამები, ჭერი, კედლები, იატაკი,—ყველაფერი ცოცხალი მეჩვენებოდა და თითქოს ფუსფუსებდა ირგვლივ.

ჩემი კამენდინერი ჩვეულებრივ საათზე უფრო ადრე შემოვიდა ჩემთან. უბედურმა იგივე ტანჯვა და მეტიც გამოიარა, რადგანაც საგზაო საწოლის უქონლობის გამო, იგი სარგებლობს თივით გატენილი ტომრით, ეს უკანასკნელი მას გაშლილი აქვს იატაკზე, რათა თავიდან აიცილოს დივნები და სხვა ადგილობრივი ავეჯეულობა მათი ტრადიციული დანართებით. საბრალო ანტონიოს თვალები დასიებული ჰქონდა. ასეთი სამწუხარო სურათის მნახველმა მე თავი შევიკავე შეკითხვებისაგან. უსიტყვოთ მიმითითა მან თავის წამოსასხამზე, რომელიც ცისფერიდან წაბლის ფერი გამხდარიყო. წამოსასხამი თითქმოს მოძრაობდა ჩვენ თვალწინ, ყოველ შემთხვევაში იგი

დაფენილი იყო მოძრავი ზოლებით და მოგვაგონებდა ცოცხალ სპარსულ ხალიჩას. ამ სანახაობამ შეგვაძრწუნა. წყალი, ჰაერი, ცეცხლი, და მთელი სტიქია, რაც ჩვენ განკარგულებაში იყო,—ყველაფერი ეს გამოყენებულ იქმნა ჩვენ მიერ. ბოლოს, როგორც იყო გავიწმინდე, ჩავიცვი და მონასტერში გავემგზავრე. იქ მე მელოდა მტრების ახალი არმია, რომელიც ამ შემთხვევაში მსუბუქი კავალერიისაგან შესდგებოდა, დაბინავებულთაგან ბერების ტანისამოსის ნაოჭებში. ამ რაზმებმა სრულიად ვერ შემაშინეს. მას შემდეგ რაც ღამით ბუმბერაზებთან ომი გადავიხადეთ, მზვერავებთან შეტაკება შუადღისას სრულიად არაფრად მიმაჩნდა. ესე იგი, უმეტაფოროდ რომ ვთქვა, ბაღლინჯოების კრებამ და ტილების შიშმა ისე გამწვრთნა, რომ რწყილების ხტუნაობას ჩვენს ფეხებთან, ყველგან, სადაც კი მივდექით, ისევე ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდი, როგორც გზის მტვერს. მე მრცხვენოდა კიდეც ჩემი გულგრილობისა. ამ დილამ და წარსულმა ღამემ კვლავ აღმიძრა გულში თანაგრძნობა საბრალო ფრანგებისადმი, რომელნიც ტყვედ ჩავარდენ მოსკოვის ხანძარის შემდეგ. ფიზიკურ უბედურობათა შორის პარაზიტები ყველაზე აუტანელია და საშეუხაროა. უსუფთაობა უფრო მეტი უბედურობაა, ვიდრე ეს პირველი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს ადამიანს: დაკვირვებული მეთვალყურესთვის იგი მოწმობს ზნეობრივ დაცემას, რომელიც გაცილებით უარესია, ვიდრე ფიზიკური ნაკლი. იგი შედეგია როგორც სულიერი, ისე ფიზიკური დაავადებისა. ეს ბოროტებაც არის და ავადმყოფობაც ერთსა და იმავე დროს.

მიუხედავად ცუდი სულიერი განწყობილებისა, მე დავათვალიერე სახელგანთქმული ლავრა ყველა მისი დეტალებით. საერთოდ იგი არ ახდენს ისეთ ძლიერ შთაბეჭდილებას, როგორც ჩვენი ძველი გოთური მონასტრები. რასაკვირველია, ხალხი სავანეში იმისთვის არ იყრის თავს, რომ არქიტექტურული სილამაზით დასტკბეს, მეორეს მხრივ, ეს უკანასკნელი არ ამცირებს ამ სავანის სიწმინდეს და არ აქარწყლებს ღვთისნიერ პილიგრიმების დამსახურებას.

ბრტყელ და უმნიშვნელო სიმაღლეზე მდებარეობს ქალაქი, რომელიც გარსშემორტყმულია ქონგურიანი კედლებით. აი ეს არის მონასტერი. მოსკოვის მსგავსად მისი მოოქრული გუმბათები და წვეტები მზეზე ბჭყვრიალებენ და შორიდან იზიდავენ მლოცველებს. კედლების გასწვრივ მიდის დახურული დერეფანი. მე ამ დერეფნით მთელ მონასტერს შემოვუარე და თითქმის ნახევარი მილი გავაკეთე. სულ ლავრაში ცხრა საყდარია, რომელნიც ზომით არ არიან დიდები და უგეგმოდ იკარგებიან გაფანტული შენობების საერთო მასსაში.

ყველა მართლმადიდებელი ეკლესიები ერთმანეთსა ჰგვანან. მხატვრობა უეჭველად ბიზანტიური სტილისაა, ე. ი. არაბუნებრივი, უსიცოცხლო და ამიტომ ერთფეროვანი.

რუსეთის ისტორიაში ყველა განთქმულ პირებს შეჰქონდათ მდიდარი განძეულობა ამ მონასტერში, რომლის ხაზინაც სავსეა ოქროთი, ბრილიანტით და მარგალიტით. შეიძლება ითქვას, მთელ ქვეყანას შეუტანია თავისი წვლილი მის უამრავ სიმდიდრეში, მაგრამ ჩემში იგი იწვევდა გაკვირვებას, რომელიც უფრო გაოცებას წააგავდა, ვიდრე აღფრთოვანებას. იმპერატორები და დედოფლები, ღვთისნიერი კარისკაცები, ფარისეველი გარყვნილები და ჭეშმარიტად წმინდა განდეგილნი ერთმანეთს ექიშპებოდნენ გულუხვობაში და ყველა მათგანი თავისებურად ასაჩუქრებდა ამ სახელგანთქმულ სავანეს. და ჩემის აზრით წმინდა სერგის უბრალო შესამოსი და ხის მორთულობა სჭარბობენ ყველა საუცხოვო განძეულობას, და თვით მდიდარ საეკლესიო შესამოსებს, საჩუქრად მოტანილს პოტიომკინის მიერ.

სერგის ნეშტის ლუსკუმა თვალს სჭრის თავისი არაჩვეულებრივი სიმდიდრით. იგი მშვენივრად გამოჭედილი, ოქროცურვებული ვერცხლისაგან არის გაკეთებული. მას თაღის სახით გადახურული აქვს ვერცხლის ბალდახინი, რომელიც იმავე ლითონის სვეტებზე დგას—ესაა დედოფალ ანას საჩუქარი. ფრანგებს აქ კარგი დავლა ერგებოდათ. აკლდამას შორი-ახლო განისვენებს მეფის მკვლელის და უზურპატორი ბორის გოდუნოვის და აგრეთვე მისი ოჯახის წევრების ნეშთი. [36]). აქ კიდევ სხვა მრავალი ცნობილი საფლავია.

მიუხედავად ჩემი დაბეჯითებითი თხოვნისა, ბიბლიოტეკა არ მანახვეს. ყველა საბუთზე მე (თარჯიმანის საშუალებით) ერთსა და იმავე პასუხს ვღებულობდი: „აკრძალულია“. ასეთი მორცხვობა ბ. ბერების მხრივ, რომელნიც მალავდენ ცოდნის განძეულობას და საჩვენებლად გამოეფინათ ამაო სიმდიდრე, მე ძალიან უცნაურად მეჩვენა. ცხადია, ვფიქრობდი მე, მათი წიგნები უფრო სქელი მტვრით არის დაფენილი, ვიდრე მათი განძეულობა.

თ ა ვ ი XXIII

იაროსლავლი,—პატრიოტული პატივმოყვარეობა.—მოწყენილობა ირონიის ნიღაბით.—გუბერნატორი და მისი ოჯახი.—ფრანგული სალონი იაროსლავლში,—ფერისცვალობის მონასტერი.—ადიუტანტის ბერული კეთილმსახურება.—კამჩატკისა და ვერსალის მეზობლობა.—სოფლის თვითმპყრობელნი.—ბიუროკრატიის ბატონობა.—საიდუმლო საზოგადოებათა შესახებ.

ჩემი მოსკოველი ნაცნობის წინასწარმეტყველება აღსრულდა, თუმცა მე ჯერ გზის მეოთხედიც არ გამივლია. მე მოველ იაროსლავლში ეტლით, რომლის არც ერთი ნაწილი მთელი აღარ იყო. აქ მას შეაკეთებენ, მაგრამ ვეჭვობ, რომ ჩემი მოგზაურობის მიზნამდე მიმიყვანოს.

უეცრივ შემოდგომის დარი დადგა: ცივმა წვიმამ ერთ დღეში განდევნა ზაფხული და ამბობენ, სითბო მომავალ წლამდე აღარ დაბრუნდებაო. მე ისე მივეჩვიე სიცხეს და ყველაფერს, რაც მას თან სდევს, როგორც მაგალითად მტვერს, ბუზებს და კოღოებს, რომ ვერ გამიბედია დავიჯერო საბედნიეროდ განვთავისუფლდი მისგან მეთქი.

იაროსლავლი რუსეთის შინაგანი ვაჭრობის მნიშვნელოვანი სატრანზიტო პუნქტია. იგი მდებარეობს ვოლგაზე, იმპერიის ბუნებრივ მაგისტრალზე და მისი ნავიგაციის მთავარ გზაზე. ვოლგისაკენ მიემართება არხების მთელი ფართო სისტემა, რომელიც წარმოადგენს რუსების კანონიერი სიამაყის საგანს და ქვეყნის აყვავების წყაროს. იაროსლავლი როგორც ყველა რუსული პროვინციული ქალაქი არაჩვეულებრივად გაფანტულია და დაუსახლებლად გვეჩვენება. მისი ქუჩები გვაკვირვებს თავისი სიფართოვით, მოედნები ნავთსადგურებს გვანან, ხოლო სახლები დაშორებულნი არიან ერთმანეთს ვეებერთელა ცარიელი ადგილებით, სადაც მოსახლეობა იკარგება. მისი არქიტექტურა იმავე სტილისაა, რომელიც გაბატონებულია იმპერიის ერთი თავიდან მეორემდე. შემდეგი დიალოგი თქვენთვის ცხადს ჰყოფს იმას, თუ როგორ აფასებენ რუსები თავიანთ ეგრედწოდებულ კლასიკას.

მოსკოვის ერთმა ფრიად დარბაისელმა მცხოვრებმა განმიცხადა, რომ მას იტალიაში ახალი არაფერი არ უნახავს.

— თქვენ ამას სერიოზულად ამბობთ? შეეკითხე გაკვირვებით.

— სრულიად სერიოზულად,—მიპასუხა მან.

— მე კი მგონია, რომ ყოველი ადამიანი, ვინც იტალია პირველად იხილა თავის სიცოცხლეში, ერთგვარ სულიერ გარდაქმნას განიცდის,—ასეთ განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს ამ ქვეყნის სილამაზე და მისი არქიტექტურის ჰარმონია და სიდიადე.

— ნუთუ თქვენ არ გესმით,—გაცხარდა რუსი,—რომ ჩვენ, მოსკოვისა და პეტერბურგის მცხოვრებლებს არ შეგვიძლიან აღვფრთოვანდეთ იტალიური არქიტექტურით, როგორც თქვენ! ჩვენ ხომ მისი ნიმუშები ყოველ ნაბიჯზე და ყოველ ქალაქში მოგვეპოვება!

ამ პატრიოტული ცრუთავმოყვარეობის აღტყინებამ კინაღამ გამაცინა. მაგრამ მე, გონიერება გამოვიჩინე და სიცილი შევიკავე. ჩემ გულში კი ვფიქრობდი: ამავე მოსაზრებით თქვენ შეგიძლიანთ განაცხადოთ, რომ არ გსურთ შეხედოთ აპოლო ბელვედერელს, რადგანაც მისი თაბაშირის ასლი მოგეპოვებათ, მე მსურდა მეთქვა ჩემ ვანათლებულ მობაასისთვის, რომ თათრების გავლენა კვლავ ცოცხლობს, თუმცა მათი უღელი გადაგდებულია. განა თქვენ იმიტომ გარეკეთ თათრები, რომ მიჰბაძოთ მათ? თქვენ შორს ვერ წახვალთ, თუ აგინებთ იმას, რაც არ გესმით. თუმცა მე ვცდილობდი ამ აზრების დამალვას, მაგრამ მათი წაკითხვა შეიძლებოდა ჩემ სახეზე. ჩემი ამპარტავანი მოსაუბრე ალბად მიხვდა ამას, რადგანაც აღარ მოუმართავს ჩემთვის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდე შენიშვნას იმის შესახებ, რომ ყირიმში ზეთის ხილი იზრდება, ხოლო კიევში—თუთის ხეო.

იმისი ზიზღი, რაც არ ესმით,—აი ეს მიმაჩნია მე რუსული ნაციონალური ხასიათის მთავარ თვისებად. გაგების მაგივრად, რუსები დაცინვას არჩევენ. მას შემდეგ, რაც რუსეთს ვეცნობი, ამ მხარეს, რომელმაც თავისი სახელი ჩასწერა ევროპიული ისტორიის დიდებულ წიგნში, მე ვხედავ, რომ მეტიჩარას ირონია შეიძლება მთელი ხალხის ხვედრი გახდეს.

საყდრების მოოქრული და გაფერადებული გუმბათები, რომელიც იაროსლავლში თითქმის იმდენივეა, რამდენიც სახლები, შორიდან ბჭყვრიალებენ, როგორც მათი მოსკოველი ნიმუშები, მაგრამ ეს ქალაქი მხატვრულად ძალიან ჩამოუვარდება ძველ სატახტო ქალაქს. იგი მდებარეობს ბრტყლად დაფენილ ველზე და მიუხედავად მისი სავაჭრო მნიშვნელობისა, მკვდრად და მოწყენილად გამოიყურება. უფრო მოწყენილია მის ირგვლივ მდებარე უდაბნო აქა-იქა გაფანტული, გადამხმარი ბუჩქნარებით, და ტბასავით ფართო მდი-

ნარით, რომელიც ზანტად მიაგორებს თავის უფერულ ტალღებს, და ტყვიის ფერი, პირქუში ცა. ესაა მოწყენილი და სევდის აღმძვრელი სურათი!

რაც უფრო უახლოვდებით იაროსლავლს, მით უფრო ლამაზად გეჩვენებათ მისი მოსახლეობა. მე დაუღალავად ვსტკბებოდი გლეხების ნაზი და კეთილშობილი სახის გამომეტყველებით. თუ რომ მხედველობაში არ მივიღებთ ფართოდ წარმოდგენილ კალმიკურ რასას, რომელსაც ახასიათებს ჩაზნექილი ცხვირები და გამოწეული ყვრილმანის ძვალი. რუსები, როგორც მე ეს არა ერთხელ აღმინიშნავს, ფრიად ლამაზი ხალხია. ძალიან სასიამოვნოა მათი ხმა, დაბალი, რბილი და ძალდაუტანებლად მოძრავი. იგი კეთილხმოვანობას აძლევს ენას, რომელიც სხვის პირში ტლანქად და მოსისინედ გვეჩვენებოდა. ეს ერთადერთი ევროპიული ენაა, რომელიც ჰკარგავს თავის ლაზათს განათლებულ კლასთა პირში. ჩეხი სენა უფრო ეგუება ქუჩურ რუსულ ენას, ვიდრე მის სალონურ განხრას. ქუჩაში იგი ბუნებრივი და ჩვეულებრივი ენაა; სასტუმროებში და სასახლეებში კი წარმოადგენს ენას, ეხლახან შესულს ხმარებაში, რომელსაც მონარქი კარისკაცებს ძალით ახვევს თავზე.

მოწყენილობა ირონიის ნიღაბ ქვეშ უაღრესად გავრცელებული სენია აქ, განსაკუთრებით სასტუმრო ოთახებში, ვინაიდგან აქ უფრო მეტად, ვიდრე სხვაგან, დაფარული უნდა იქნეს ეს მოწყენილობა. აქედან წარმოსდგება სარკასტული და დამცინავი კილო ყველა ბაასის დროს. ხალხი თავის დარდს ჩუმ ლოთობაში ახშობს, ხოლო მაღალი კლასები—ქეიფში და დროს გატარებაში. ამგვარად ერთი და იგივე სენი სხვადასხვა ფორმით გამოიხატება მონისა და ბატონის მიერ. თუმცა ამ უკანასკნელს კიდევ ერთი საშუალება აქვს თავი დააღწიოს ამ მოწყენილობას: ესაა პატივმოყვარეობა, სულის ალკოჰოლი. მართალია, ყველა კლასებში მოსჩანს თანდაყოლილი სილამაზის გრძნობა, რაღაც ბუნებრივი თავაზიანობა, რომელიც ვერ მოუსპია ვერც ბარბაროსობას და ვერც გადმოღებულ ცივილიზაციას. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ხალხი მოკლებულია ერთ ფრიად მნიშვნელოვან სულიერ თვისებას—სიყვარულის ნიჭს. უგულობა აქაური საზოგადოების ყველა კლასების ხვედრია, და თუმცა ეს სხვადასხვანაირად გამოიხატება, იმისდამიხედვით, თუ როგორია ამა თუ იმ პირის საზოგადოებრივი მდგომარეობა, მაგრამ არსებითად იგი ერთი და იგივე გრძნობაა, ანუ უკეთ, გრძნობის უქონლობა.

მე თქვენ წინაადმდეგობათა ლაბირინტში შეგიყვანეთ. ეს იმიტომ ხდება, რომ საგნებს ისე გიჩვენებთ, როგორც ისინი პირველი

და მეორე შეხედვით წარმომიდგებიან; მე თქვენ საშუალებას გაძლევთ შეათანხმოთ ჩემი შენიშვნები და გამოიყვანოთ დამოუკიდებელი დასკვნები. დარწმუნებული ვარ, რომ საკუთარ წინააღმდეგობათა გზა ჭეშმარიტების ამოცნობის გზაა.

იაროსლავლის ნახვას მე ვთვლიდი ჩემი ექსპედიციის ერთ ფრიად საინტერესო ეტაპად რუსეთში ამ ქვეყნის ზნე-ჩვეულებათა გასაცნობად. აი ამიტომ მე წინდაწინვე ვიზრუნე მოსკოვში და თან წამოვიღე მრავალი სარეკომენდაციო წერილი იაროსლავლის სხვადასხვა ცნობილ პირებთან. მე უნდა გიამბოთ ჩემი დარბაზობა გუბერნიის უფროსთან. მის შესახებ ბევრი ცუდი რამ მქონდა გაგონილი იაროსლავლის მცხოვრებლებისაგან. ის ზიზღი, რომელიც გუბერნატორმა თავის წინააღმდეგ შექმნა ჩემში, თუ შეიძლება ასე ითქვას, კეთილგანწყობილ ცნობისმოყვარეობას იწვევს. ჩემის აზრით, უცხოელებმა უფრო სამართლიანად უნდა იმსჯელონ ამათუიმ ადამიანზე' ვიდრე მის თანამემამულეებმა, რადგანაც ისინი არ იზიარებენ მათ წინასწარ აღებულ აზრებს.

დილით, საათის თერთმეტზე, ჩემთან შემოიარა გუბერნატორის შვილმა, პარადის ფორმაში გამოწყობილმა, ლანდოთი, რომელშიაც შებმული იყო ოთხი ცხენი, ფორეიტერით მარჯვენა ცხენზე. ასე მდიდრულად, პეტერბურგის ყაიდაზე მორთულმა ეტლმა ძალიან შემაშფოთა და იმედი გამიცრუა. ცხადია, გავიფიქრე მე, საქმე მექნება არა ნამდვილ რუსის ბოიარინთან, არა ძველებურ მოსკოვიტთან, არამედ გაწვრთნილ ევროპიელთან, ალექსანდრე I-ს ეპოქის კოსმოპოლიტ კარისკაცთან, რომელიც არა ეროხელ ყოფილა დასავლეთ ევროპაში.

— მამა ჩემი პარიზში ცხოვრობდა,—მითხრა ყმაწვილმა,—მას ძალიან ესიამოვნება ფრანგის მიღება თავის სახლში.

— როდის ცხოვრობდა მამა თქვენი საფრანგეთში?

ახალგაზრდა გაჩუმდა და თითქოს ძალიან შეკრთა ჩემ შეკითხვაზე, რომელიც მე ასე ბუნებრივად და უბრალოდ მიმაჩნდა. მე ჯერ ვერ მივხვდი მის დაბნეულობას; მხოლოდ შემდეგ გავიგე საქმის ვითარება და შევაფასე მისი განსაკუთრებული თავაზიანობა—იშვიათი გრძნობა ყველა ქვეყანაში და ყველა ჰასაკის ხალხში. თურმე ბ-მა №, რომელსაც ამჟამად იაროსლავლის გუბერნატორის პოსტი უჭირავს, იმპერატორ ალექსანდრე I-ს ამალაში ჩაატარა 1813 და 1814 წ. კამპანიები, და სწორედ ამის შესახებ არ სურდა თქმა მის შვილს. ამ ტაქტიანობამ მომაგონა მეორე, სულ საწინააღმდეგო ხასიათის შემთხვევა. ერთხელ, გერმანიის ერთ პატარა ქალაქში, მე ესადი-

ლობდი გერმანიის პატარა სამთავროს ელჩთან. სახლის პატრონმა გამაცნო თავისი მეუღლე და დაუმატა, რომ მე ფრანგი ვარ.

— მაშ ჩვენი მტერი ყოფილა,—ჩაერია ლაპარაკში მისი შვილი, ცამეტ-თოთხმეტი წლის ვაჟი.

ამ პატარა გერმანელს რუსის სკოლა არ ჰქონდა გავლილი.

როდესაც შევედი დიდ და მდიდრულად მორთულ სასტუმრო ოთახში, სადაც გუბერნატორი მელოდა, მე წარმოვიდგინე, რომ ვიმყოფები ლონდონში, ანუ უფრო პეტერბურგში, რადგანაც დიასახლისი, რუსული ჩვეულების თანახმად, პატარა ამაღლებულ ადგილას იჯდა, რომელიც გამოყოფილი იყო დანარჩენ ოთახისაგან ტრელიაჟით. გუბერნატორმა ძალიან თავაზიანად მიმიღო და მოკლე მისასალმებელი სიტყვით მომმართა; გამატარა სასტუმრო, ყველა თავის ნათესავების ახლო და მომიყვანა მწვანე კუთხეში, სადაც მე ბოლოს ვიხილე მისი მეუღლე. ქალმა ამ საკურთხეველის შიგნით დამსვა და ლიმილით მითხრა:

— მითხარით, ბ-ნო დე'კიუსტინ, ელზეარი ისევ იგავ-არაკებს სწერს ძველებურად?

ბიძა ჩემი, გრაფი ელზეარ დე'საბრანი პავშობიდან ვერსალის საზოგადოებაში განთქმული იყო თავისი პოეტური ნიჭით და ალბად ფართო საზოგადოებაშიაც იქნებოდა ცნობილი, თუ მეგობრებს დაერწმუნებინათ იგი გამოეცა თავისი იგავ-არაკების კრებული—რაღაც პოეტური კოდექსის მსგავსი ცხოვრების ყველა შემთხვევებისათვის. ყოველი ამბავი და ყოველი მოვლენა აღაფრთოვანებდა მის მუზას ალეგორიების დასაწერად, რომელიც ყოველთვის ჭკვიანი და ღრმად მოსაზრებული იყო. მშვენიერი, მსუბუქი ლექსთაწყობა და ორიგინალური დედა-აზრი მათ განსკუთრებულ სილამაზეს აძლევდნენ. რასაკვირველია, როდესაც იაროსლავლის გუბერნატორის სასახლეში შევედი, ყველაზე ნაკლებ ვფიქრობდი ნიჭიერ იგავ-არაკების მწერალ ბიძაზე, ვინაიდგან მთლად შთანთქმული ვიყავი ამ დარბაზობით და იმედით, რომ ბოლოს ვიხილავდი ჭეშმარიტ რუს ადამიანს რუსეთში. ამიტომ მე გაკვირვებულმა ვუპასუხე გუბერნატორის მეუღლეს: „ეს ზღაპარს წაგავს. ამიხსენით ამოცანა"!

ახსნაც მალე მოვისმინე.

— მე აღმზარდა,—მითხრა ქ-მა №,—დიდედა თქვენის, ქ-ნ დე'საბრანის, მეგობარმა ქალმა და მისგან ბევრჯერ მსმენია ქ-ნ დე'საბრანის სიკეთეზე და გამოჩენილ ჭკუაზე, ბიძა თქვენის გონებაზე და ნიჭზე, და დედა თქვენზე. იგი მე ხშირად თქვენზედაც კი მიამბობდა, თუმცა მან საფრანგეთი თქვენ დაბადებამდე დასტოვა.

იგი თან გაჰყვა პოლინიაკის ოჯახს, რომელიც საფრანგეთიდან რევოლუციის დასაწყისში გადასახლდა და პერცოგინა პოლინიაკის სიკვდილის შემდეგ აღარ დავშორებივართ ერთმანეთს. ამ სიტყვებით ქ-მა № გამაცნო თავისი გუვერნერი ქალი, ხანში შესული, ფრიად ნაზი, მიმზიდველი სახის მანდილოსანი, რომელიც ფრანგულად ჩემზე კარგად ლაპარაკობდა.

ცხადია ჩემი ოცნება ბოიარებზე არც აქ გამართლდა. მე ნამდვილად მეგონა, დიდედა ჩემის ოთახში ვიმყოფები მეთქი. მართალია, არც ის და არც მისი მეუღლე არ იყო იქ, მაგრამ მე თითქოს გარს მეხვიენ მისი მეგობრები, მოწაფეები და თაყვანისმცემლები, და შეიძლებოდა გვეფიქრა, აი ეს არის დიასახლისი გამოჩნდება მეთქი. რასაკვირველია, მე ყველაზე ნაკლებ ვიყავი მომზადებული ამ გვარი, ემოციებისთვის. ყველა ჩემს მიერ განვლილ სიურპირიზებ შორის რუსეთში მოგზაურობის დროს, ეს სიურპრიზი ყველაზე მოულოდნელი იყო. გუბერნატორის მეუღლემ მიამბო, თუ რა გაკვირვებული იყო იგი, როდესაც ბარათზე ჩემი ხელმოწერა დაინახა; ამ ბარათთან დართული იყო ჩემს მიერ მისი ქმრის სახელზე გამოგზავნილი სარეკომენდაციო წერილი. ამ არაჩვეულებრივმა შეხვედრამ ქვეყანაში, სადაც მე ჩემ თავს სრულიად უცხო ადამიანად ვთვლიდი, თავიდანვე ინტიმური და თითქმის მეგობრული ხასიათი მისცა ჩვენ ბაასს. გაკვირვება და სიხარული თითქოს გულწრფელი იყო, ყოველ შემთხვევაში მე ვერ შევამჩნიე ვერავითარი ნაძალადეობა და აფექტაცია. მე სრულიად არავინ არ მელოდა იაროსლავლში, სადაც გადავწყვიტე გამგზავრება თითქმის მოსკოვიდან გამოსვლის წინადღით, და ბოლოს ძნელი იყო იმის დაშვება, რომ გუბერნატორი ჩემი მოსვლის შესახებ სპეციალური კურიერით გააფრთხილეს. ასეთი პატივისცემისთვის მე მაინც საკმაოდ მნიშვნელოვანი პიროვნება არ ვიყავი.

გუბერნატორის ოჯახის ყველა წევრები ფრიად თავაზიანად მეპყრობოდენ და ხოტბას ასხამდენ ჩემ წიგნებს. მოჰყავდათ იქიდან ციტატები და იგონებდენ ჩემს მიერ უკვე დიდი ხნის დავიწყებულ დეტალებს. დელიკატობა და ბუნებრივობა, რომლითაც ეს ციტატები მოჰყავდათ, ჩემთვის უფრო სასიამოვნო იქნებოდა, უფრო ნაკლები მლიქვნელობა რომ ყოფილიყო მათ სიტყვებში. მე ვერ ვხედავდი განსაკუთრებულ მიზეზს, რომ მეამაყა ჩემი სახელგანთქმულობით, ვინაიდან ის მცირერიცხოვანი წიგნების რაოდენობა, რომელსაც შეუძლიან საკენზურო დაბრკოლებანი გადალახოს, დიდხანს ცოცხლობს მკითხველთა ხსოვნაში.

ჩემი დარბაზობის დღეს გუბერნატორის სახლში შეიკრიბა მისი მეუღლის მთელი ოჯახი, ამ ქალის დები ქმრებითა და შვილებით მათთან იყვნენ სტუმრად. გარდა ამისა, გუბერნატორთან ხშირად სადილობს ზოგიერთი მისი ხელქვეითი. ბოლოს, შვილს (რომელმაც მე მომიყვანა) ჰყავდა თავის ჰასაკის შესაფერი გუვერნერი. ამ გვარად ოჯახური მაგიდის ირგვლივ თავი მოიყარა ოცმა ადამიანმა. სადილს წინ უძღოდა საუზმის მსგავსი რაღაც, გამზადებული სასტუმრო ოთახში და თუ სმენა არ მღალატობს, „ზაკუსკად“ წოდებული. თვით სადილი ძალიან მშვენიერი და ზედმეტ ფუფუნებას მოკლებული იყო. საერთოდ რუსული სადილები მე მომწონს. ისინი ადამიანს არ ღლიან გადაჭარბებული ხანგრძლივობით და როდესაც სტუმრები სუფრიდან დგებიან, მალე მიდიან შინ. ზოგი სასეირნოდ მიდის და ზოგიც მუშაობას უბრუნდება. სადილი აქ სატრაპეზო არ არის, რომელიც ამთავრებს შრომის დღეს. გამომშვიდობების დროს, დიასახლისი იმდენად თავაზიანი იყო, რომ მთხოვა საღამო ჩემთან გაატარეთო. მე დავთანხმდი ამ მიპატიჟებას, რადგანაც უარი უზრდელობად მიმაჩნდა, თუმცა განმარტოებით დასვენება მსურდა. ამგვარი სტუმართმოყვარეობა სასიამოვნო ტირანიაა. მაგრამ განა შემეძლო სხვანაირად მოქცევა? მიგზავნიან ოთხცხენიან ეტლს, მთელი ოჯახი ცდილობს ჩემს გართობას და სხვადასხვა ყურადღების ნიშნებით მაჯილდოვებენ. განა შეიძლება აქ თავის შეკავება? მით უმეტეს, რომ ჩემი პატრიოტული გული ხარობდა, ვინაიდან მთელი ეს მომხიბლავი თავაზიანობა მომდინარეობს ძველი საფრანგეთიდან, რომლის აჩრდილიც ჩემ თვალთ წინაშე დგას. თითქოს მე მივაღწიე განათლებული ქვეყნის საზღვრებს, რათა მეპოვნა გამოძახილი XVIII საუკუნის საფრანგეთის სულისა, რომელიც უკვე დიდი ხანია გაჰქრა თავის სამშობლოში.

გუბერნატორის ერთმა სიძეთაგანმა მოისურვა ეჩვენებინა ჩემთვის ფერისცვალობის მონასტერი, იაროსლავლის ეპისკოპოსის რეზიდენცია. როგორც ყველა მართლმადიდებელი მონასტერი, ეს სავანე წარმოადგენს მიწურ ციტადელის მსგავს შენობას, რომლის კედლებს შუა აგებულია მრავალი საყდარი და პატარა სახლი, ყოველგვარი სტილის, გარდა კარგისა. ამ შენობათა საერთო შთაბეჭდილება საკმაოდ უბადრუკია. უწესრიგოდ გაბნეული თეთრი შენობები ფართო მწვანე მინდორზე არ ქმნიან არავითარ ანსამბლს.

მონასტერის დათვალიერების დროს მე ყველაზე ძალიან ჩემი გამცილებლის მორწმუნეობამ გამაკვირვა. არაჩვეულებრივი გრძნობით ემთხვეოდა იგი ყველა საგნებს, რომელიც გამოფენილი იყო მორწმუნეთა პატივსაცემად. ხოლო, სანამ მის სალონურ ლაპარაკს ეუ-

სმენდი, ვერ წარმომედგინა, რომ იგი ასე ბერულად კეთილმსახური იყო. საქმე იმით გათავდა, რომ მან წინადადება მომცა მიმეგებაძა მისი მაგალითისათვის და ვთხოვევოდი წმინდა ნეშტს, რომლის აკლდამაც ბერმა გაგვილო. ორმოცდაათჯერ მაინც გადაიწერა პირჯვარი და გადაჰკოცნა ოცზე მეტ ხატი და სხვადასხვა რელიკვიები. ჩვენში არც ერთ ბერს ფიქრათაც არ მოუვიდოდა ამდენი მუხლის მოყრა, პირჯვრის გადაწერა და სხვა, როგორც ეს ჩაიდინა უცხოელის თანდასწრებით ამ რუსის თავადმა, იმპერატორ ალექსანდრეს ყოფილმა ადიუტანტმა.

საღამოთი, საათის ცხრაზე, გუბერნატორისას დავბრუნდი. დაიწყო მუსიკა: გუბერნატორის მეუღლის ერთ-ერთი ძმა საკმაოდ კარგად უკრავდა ვიოლონჩელს. აკომპანიმენტს ეუბნეოდა მისი ცოლიუალრესად სასიამოვნო პიროვნება. ამ დუეტისა და ნაციონალურ სიმღერების წყალობით, რომელნიც შესრულებულნი იქმნენ დიდი გემოვნებით, საღამო ძალიან მალე გავიდა.

გამოვეთხოვე გულღია მასპინძლებს, რომელთანაც მე მომელოდა კიდევ შეხვედრა ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე და ჩემს სასტუმროში დავბრუნდი, ფრიად კმაყოფილი დროს გატარებით მშვენიერ საზოგადოებაში. გლეხური ქოხი, სადაც მე გუშინწინ ღამე გავათიე (რა საშინელი ღამე იყო ეს!) და დღევანდელი სალონი—კამჩატკა და ვერსალია სამი საათის სავალ მანძილზე. კონტრასტები იმდენად დიდია ამ ქვეყანაში, რომ გლეხი და მემამულე თითქოს ერთსა და იმავე სახელმწიფოს არ ეკუთნიან.

მაგრამ მე რუსეთის მთავრობას იმდენად წარჩინებულ წოდების ბოროტმოქმედებისათვის არ ვკიცხავ, რამდენადაც პოლიტიკური ძალა-უფლების უქონლობისთვის, რომლის საზღვრები უნდა იყოს ზუსტად შემოფარგლული კონსტიტუციონური კანონებით. არისტოკრატია, ცნობილი პოლიტიკურად, მუდამ სასარგებლოდ მიმაჩნდა ქვეყნისათვის, ხოლო არისტოკრატია, დამყარებული პრივილეგიურ წოდების უსამართლობაზე, დამღუპველია, რადგანაც მისი კომპეტენცია არაფრით არ არის განსაზღვრული. რუსი მემამულეები ბატონები არიან თავიანთ მამულებში და მეტის მეტად თვითმპყრობელი ბატონებიც. მაგრამ, არსებითად, ეს სოფლის თვითმპყრობელები ცარიელ ადგილს წარმოადგენენ სახელმწიფოში. მათ პოლიტიკური ძალა-უფლება არა აქვთ. თავიანთ სახლში მემამულეები ყოველგვარ ბოროტმოქმედებას სჩადიან და დასცინიან მთავრობას, რადგანაც საყოველთაო მექრთამეობა სრულიად აქარწყლებს ადგილობრივ ხელისუფლებას, ხოლო სახელმწიფოს ისინი არ განაგებენ. მეფე ერთად ერთი

წყაროა მათი გავლენისა სახლმწიფოებრივ საქმეებზე, მათი პოლიტიკური კარიერა მხოლოდ მისი მოწყალებაზეა დამოკიდებული. აზნაური მხოლოდ კარისკაცობის დროს სახელმწიფო მოღვაწე ხდება. მაგრამ სახლის მლიქვნელის მდგომარეობა არასოდეს არ არის მტკიცე. სასახლეში ცხოვრება არ ეგუება ამაღლებულ სულს, დამოუკიდებელ გონებას, ნამდვილ ჰუმანურ და პატრიოტულ გრძნობებს და ფართო პოლიტიკურ ზრახვებს, ერთი სიტყვით, არ ეგუება ყველა იმას, რაც შეადგენს ნამდვილ არისტოკრატიულ წოდებათა თვისებებს იმ სახელმწიფოებში, რომელნიც ისე არიან მოწყობილნი, რომ ხანგრძლივად იცოცხლონ და გააფართოვონ თავიანთი სამფლობელო. საერთოდ, სახელმწიფოს მმართველობის რუსული ფორმა აერთიანებს დემოკრატიის და დესპოტიზმის ყველა ნაკლს და არ შეიცავს არც ერთი რეჟიმის დადებითი თვისებას.

რუსეთს განაგებს მოხელეთა კლასი, რომელნიც მოწაფის კამიდანვე იკავებენ ადმინისტრატულ თანამდებობას და ხშირად სახელმწიფოს მონარქის სურვილის წინააღმდეგ მართავენ. თვითეული ამ ვაკბატონთაგანი აზნაური ხდება, იღებს ჯვარს და წარჩინების ნიშანს, და შეიარაღებული ამ ჯადოსნური ნიშნით, იქცევა მემამულედ, იღებს მიწას და ყმა „სულებს“. ისინი მეტიჩარები არიან ძალაუფლების მქონეთა წრეში და სარგებლობენ თავიანთი ძალაუფლებით, როგორც ეს მეტიჩარებს შეეფერით. სიტყვით ისინი რეფორმების მომხრენი არიან, საქმით კი-დესპოტზე უფრო დესპოტები. ისინი ხალხის განმანათლებელთა როლს ჩემულობენ, ნამდვილად-კი ყველას დასაცინნი არიან, დიდიდან პატარამდე. ყველა, ვინც-კი თავის თავზე ამ ახლად გამომცხვარი აზნაურების აუტანელი მედიდურება გამოსცადა, რომლებმაც რანგების ტაბელით ხელთ იგდეს ორდენები და მამულები, შურს იძიებს ამ დამცირებისათვის მწარე სარკაზმით. მემამულეთა უფლებებით ისინი ერაჩვეულებრივი სიმკაცრით სარგებლობენ, რაც მათ უბედურ გლეხთა წყევლის ობიექტად ხდის.

თავიანთ კანცელარიების წიაღიდან ეს უხილავი დესპოტები, ეს ჯუჯა-მტარვალები დაუსჯელად სჩაგრავენ ქვეყანას. და თუმცა ეს პარადოქსალურად მოსჩანს, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელი ხშირად აშჩნევს, რომ იგი არც ისე ყოვლად შემძლე ყოფილა, როგორც ლაპარაკობენ, და გაკვირვებით ხედავს (ამავე დროს ეშინიან გამოუტყდეს თავის თავს ამაში), რომ მის ძალაუფლებას საზღვარი ჰქონია. ეს საზღვარი მას დადებული აქვს ბიუროკრატიის მიერ, რომელიც ყველგან, და განსაკუთრებით რუსეთში, საშინელ ძალას წარმოადგენს, ვინაიდგან ამ ძალის ბოროტად გამოყენებას წესიერების

სიყვარული ეწოდება. როდესაც ხედავ, თუ როგორ იცვლება იმპერატორის აბსოლუტიზმი ბიუროკრატული ტირანიით, შიშობ ამ ქვეყნის ბედისთვის, სადაც მშვენიერ ყვავილებად გაიფურჩქნა ადმინისტრატული სისტემა, ევროპაში დანერგილი ნაპოლეონის მიერ.

ამ პერმანენტული შეთქმულების დასაწყისი, როგორც მარწმუნებენ, ნაპოლეონის ეპოქიდან მომდინარეობს. შორსმჭვრეტველი იტალიელი ხედავდა საფრთხეს, რომელიც რევოლუციურ ევროპას მოელოდა რუსეთის ძლიერი ბუმბერაზის მხრივ, და ამ საშინელი მტრის დასასუსტებლად იგი იდეების ძალას მიმართავდა. მან ისარგებლა თავისი მეგობრობით იმპერატორ ალექსანდრესთან და ამ უკანასკნელის თანდაყოლილი სურვილით ლიბერალური დაწესებულებების შემოღებისადმი, და იმ საბაბით, რომ ახალგაზრდა მონარქს გეგმების განხორციელებაში დახმარებოდა, გაგზავნა პეტერბურგში პოლიტიკურ მომუშავეთა მთელი პლეადა,—რაღაც გადაცმული არმიის მსგავსი, რომელსაც ჩუმად გზა უნდა გაეკაფა ჩვენი ჯარისკაცებისთვის. ამ დახელოვნებულ ინტრიგანებს დავალებული ჰქონდათ შეუმჩნევლად შესულიყვნენ ადმინისტრაციაში, დაეპყროთ პირველ ყოვლისა სახალხო განათლების დარგი და შთაენერგათ ახალგაზრდობის გონებაში იდეები, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის, ანუ უკეთ—მისი მთავრობის პოლიტიკურ სიმბოლო სარწმუნოებას. ამ გვარად, დიდებულმა სარდალმა, საფრანგეთის რევოლუციის მემკვიდრემ და მთელი ქვეყნიერების თავისუფლების მტერმა, შორიდან რუსეთში შფოთისა და აღელვების თესლი დასთესა, რადგანაც თვითმპყრობელი სახელმწიფოს მთლიანობა მას სახიფათო იარაღად მიაჩნია რუსულ მილიტარიზმის ხელში. ამ ეპოქიდან დაწყებული ჩაისახა საიდუმლო საზოგადოებანი, რომელნიც ძლიერ გაიზარდნენ მას შემდეგ, რაც რუსეთის არმიამ საფრანგეთში დაჰყო და გახშირდა რუსეთის ურთიერთდამოკიდებულება ევროპასთან. რუსეთი ეხლა თავის მოწინააღმდეგის ღრმა პოლიტიკურ ზრახვების ნაყოფს მკის, იმ მოწინააღმდეგის, რომელიც მან თითქოს შემუსრა.

ჩვენი არმიების წინამძღოლთა და აგრეთვე მათი შვილების, მოწაფეების და მიმდევრების შეუმჩნეველ გავლენას მე ვაწერ საგრძნობლათ რევოლუციური იდეების ზრდას, რომელსაც ადგილი აქვს რუსულ საზოგადოებაში და თვით ჯარებში, და იმ შეთქმულებებს, რომელნიც დღემდე მარცხდებოდენ არსებული მთავრობის ძალებით. შეიძლება ვცდები, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეხლანდელი იმპერატორი გაიმარჯვებს ამ იდეებზე, შემუსრავს ან და სრულიად განდევნის მათ მატარებლებს და მიმდევრებს უკანასკნელ ადამიანამდე.

თ ა ვ ი XXIV

გზად ნიჟნი-ნოვგოროდში.—რუსი მეეტლეები.—საბიფათო მოგზაურობა.—ვოლგაზე გადასვლა,—თვითუარყოფა და მორჩილება.—ციმბირი.—რუსეთი კვ დრატში,—რუსეთია საბრისიანობა.—კიდევ ნაციონალურ ჰანგებზე.—სამოვ ლიანი ეტლი.—ციმბირის გზა.—მოწყენილი პეიზაჟები.—ბორკილიანებთან შეხვედრა.

გუშინ დილით იაროსლავლიდან ნიჟნი-ნოვგოროდში წავედი. გზა ვოლგას ნაპირს მისდევს, ამასთანავე მდინარის ორივე ნაპირი ძალიან გაირჩევა ერთმანეთისაგან. ერთი წარმოადგენს დაუსრულებელ დაბლობს, ოდნავ ამაღლებულს მდინარის დონეზე, მეორე—დაქანებულ კედელს, ხშირად ასი ან ას ორმოცდაათი ფუტის სიმაღლეს; იგი წარმოადგენს ზეგანის კიდურს, რომელიც შორდება მდინარეს დაქანებული ფერდობებით. ვოლგას მრავალი შენაკადები თავისი ხეობებით სჭრიან კლდიან ნაპირებს. ეს ხეობები ძალიან ღრმაა და გზა, რომელიც მიდის ზეგანის კიდურზე, არ უვლის მათ, რათა ზედმეტი მიხვეულ-მოხვეულები არ გააკეთოს, არამედ სჭრის დაქანებული ფერდობებით და აღმართებით.

რუსი მეეტლეები, ძალიან დახელოვნებულნი ვაკეზე, უაღრესად საბიფათონი არიან მთიან ადგილას, რომელსაც არსებითად ვოლგას მარჯვენა ნაპირი წარმოადგენს. და ჩემი გულგრილობა ხშირად სასტიკ განცდაში იყო ამ უგუნურთა თავსებური სიარულის გამო. დალმართზე ცხენები ჯერ ნელი ნაბიჯით მიდიან, მაგრამ მალე, ჩვეულებრივ ყველაზე უფრო დაქანებულ ადგილს, მეეტლესაც და ცხენებსაც ბეზრდებათ ასეთი უჩვეული თავის შეკავება, ეტლი მიჰქრის საშინელი სისწრაფით და ხტება ხიდზე, ე. ი. ფიკრებზე, რომლებიც დუნედ და დაუმაგრებლად გადებულია გადასასვლელ ადგილას. მეეტლის ერთი გაუფრთხილებელი მოძრაობა საკმარისია, რომ ეტლი წყალში გადავარდეს. პასაჟირის სიცოცხლე დამოკიდებულია მეეტლისა და ცხენების აკრობატულ სიმარდეზე.

ზემოდაღნიშნულ აზარტულ თამაშის საჯერ განმეორების შემდეგ, მე პროტესტი განვაცხადე და მეეტლეს მოვთხოვე, რომ მუხრუჭი ეხმარა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩემს მიერ მოსკოვში დაქირავებულ ეტლს ეს მოწყობილობა სრულიად არ ჰქონდა. იძულე-

ბული გავხდით გამოგვეშვა ერთ-ერთი ცხენი და მისი მოსართაგები მუხრუჭის მაგიერ გამოგვეყენებინა. ასეთ ოპერაციებს ვაკეთებდით ყოველთვის ჩემი დაბეჯითებითი მოთხოვნით დაქანებულ ადგილას, რომელიც მე სახიფათოდ მიმაჩნდა. მეეტლეები თითქოს ძალიან განცვიფრებულნი იყვნენ ასეთი არაჩვეულებრივი სიფრთხილით. თუმცა, ისინი, როგორც ყოველთვის ამგვარ შემთხვევებში, არაფრით არ გამოსთქვამდენ თავიანთ განცვიფრებას, და ყველა ჩემი ბრძანება, გადაცემული ფელდიეგერის მიერ, რომელსაც მე გერმანულად ველაპარაკებოდი, უდავოდ სრულდებოდა, მაგრამ მათ სახეებზე რაღაც გაკვირვება იყო აღბეჭდილი. ხელისუფლების წარმომადგენლის დასწრება ხალხის თვალში მეტ ღირსებას მაძლევდა. მე არ ვურჩევდი უცხოელებს რუსეთში მოგზაურობის გაბედვას, განსაკუთრებით ცენტრიდან დაშორებულ გუბერნიებში, თუ მათ ასეთი დამცველი არ ეყოლებოდათ.

ყველაზე ღრმა ხევს რომ თავს დააღწევთ, უფრო რთული ამოცანა დგება თქვენს წინაშე: უნდა ახვიდეთ ხევის მოპირდაპირე აღმართზე. ამისათვის რუს მეეტლეებს მხოლოდ ერთი საშუალება მოეპოვებათ—დაბრკოლების პირდაპირ და ერთი დაკვრით აღება. თუ რომ გზა კარგია, აღმართი მოკლეა და ეტლი მსუბუქია, ცხენები ჭენებით აგიტაცებენ მაღლა. მაგრამ, თუ ნიადაგი ქვიშნარია, რაც ხშირად ხდება, ხოლო აღმართი გრძელი და ცხენებს უჭირდებათ უცბად, ერთი შეტევით აღმართზე ასვლა, ისინი მალე იქანცებიან და ჩერდებიან. მეეტლე ცხენებს მათრახს სცემს, ისინი კეთილსინდისიერად მიიწევენ წინ, მაგრამ ეტლი უკან ქანდება და ლამობს თხრილში გადაჩეხას. ასეთ შემთხვევებში მე მუდამ ვიგონებ რუს პატრიოტების ამაყ თქმულებას: „რუსეთში მანძილი არ არსებობს".

ამგვარი ინციდენტები მუდამ ხდება. ალიაქოთის დაწყებისთანავე ყველანი გამოდიან ეტლიდან, მსახურნი მხრებით ეწევიან ეტლსა და მიაგორებენ თვლებს, ყოველ სამ-ოთხ ნაბიჯზე ასვენებენ ცხენებს და ეტლს თვლების ქვემ ხის კუნძებს უდებენ. შემდეგ ისევ ყველაფერი თავიდან იწყება. ცხენებს აღვირით ეწევიან, უყვირიან, ცხვირის ნესტოებს ძმრით უზელავენ, რათა სუნთქვა გაუადვილდეს, და უმოწყალოდ მათრახებს სცემენ. ყველა ზემოდ ჩამოთვლილ ოპერაციების შეწყობით, რომელსაც თან სდევს ველური ლანძღვა-გინება, თქვენ ბოლოს წარმოუდგენელი გაჭირვებით აღწევთ „საშიხელ" მთის მწვერვალს. სხვა ქვეყანაში თქვენ ასეთ უბრალო აღმართს ვერც კი შეამჩნევდით.

რუსეთში მგზავრს ელის საფრთხე, რომელსაც თითქმის არავინ არ გრძნობს წინასწარ: საფრთხე თავის გატეხისა ეტლზე. ეს რისკი ძალიან დიდია და საფრთხეც სრულიად რეალური. ეტლი ისე მაღლა ხტება ოღრო-ჩოღრო გზებზე, სადაც ხის ბოგირებია გადებული, რომ პასაჟირს ყოველ წუთს საშინელი ბედი მოელის: ან გადმოვარდეს ეტლიდან, თუ რომ ჩარდახი დაშვებულია, ან და, თუ აწეულია, თავის ქალა გაიხეთქოს. ამიტომ რუსეთში აუცილებელია ისეთი ეტლით სარგებლობა, რომლის ჩარდახის ჭერი, რაც შეიძლება, უფრო დაშორებულია დასაჯდომ ადგილს: ამას წინად ეტლის ჯანჯღარის დროს გამიტყდა ბოთლი, სელტერის წყლით სავსე და მშვენივრად შენახული თივაში; ხომ იცით, რა მაგარია ეს ჭურჭელი.

ღამე სადგურის სახლში გავატარე, ვინაიდგან ჩემი ეტლის რესორები იმდენად მაგარია, ხოლო გზა იმდენად ოღრო-ჩოღრო, რომ არ შემიძლიან ავიტანო განუწყვეტლივი მგზავრობა ოცდა ოთხ საათზე მეტი ისე, რომ თავი ძალიან არ ამტკივდეს. ამიტომ, მე ცუდი ღამის სათევი ადგილი მირჩევნია ტვინის ანთებას და ღამე იქ ვჩერდები, სადაც მომხვდება, ოღონდ თავზე ჭერი მეხუროს. ყველაზე ძნელი ამ სახელდახელო დასასვენებელ ადგილებში, როგორც ყველგან რუსეთში, სუფთა თეთრეულის შოვნაა. მე უკვე აღვნიშნე, რომ ჩემი საკუთარი საწოლით ვმოგზაურობ, მაგრამ თან ვერ წამოვიღე საცვლების საკმარ მარაგი, ხოლო ზეწრები, რომელსაც სადგურებზე მაძლევენ, ნახმარია. მე არ ვიცი ვის ეკუთნის მისი პირველად ხმარების პრივილეგია. თურმე წინადღით, ღამის თორმეტ საათზე, პოჩტმეისტერს შიკრიკი გაეგზავნა ჩემი საცვლებისთვის უახლოეს სოფელში, სადამდისაც სადგურიდან ბილზე მეტია. მე რასაკვირველია პროტესტს განვაცხადებდი ასეთ ზედმეტი გულმოდგინეობის წინააღმდეგ ფელდიეგერის მხრივ, მაგრამ ეს შემთხვევა მხოლოდ დღეს დილით გავიგე. ჩემი ბუნაგის ფანჯრიდან რუსული ღამის მერყევ სინათლეში მე შემძლო დავმტკბარიყავი აუცილებელი რომაული თაღებით, ხის გათეირებული აივანით და შელესილი სვეტებით. ყველა ფოსტის სადგურები აშენებულია აქ ამ სტილზე, რომელიც პირდაპირ ჩემ კოშმარად იქცა. კლასიკური სვეტი დაღია, რომელიც ახასიათებს ყველა საზოგადოებრივ შენობას რუსეთში.

გუშინ ვოლგაზე გადავედით ბორანით. საძაგელი დარი იყო, საშინელი გამჭვალავი ქარი უბერავდა და დასველებულ ნავს ცივი შხაპუნა წვიმა სცემდა. მე გამახსენდა, რომ პეტერბურგში არავინ არ ჩქაროობს ნევაში ჩავარდნილი ადამიანების გადარჩენას და ჩემს გულში ვამბობდი: თუ შენ დახრჩობას დააპირებ, არავინ არ გადა-

ვარდება წყალში, რომ გადაგარჩინოს, არავინ არ იყვირებს, არ აღელდება. რუსებს ისეთი დაღვრემილი და დაჩაგრული სახე აქვთ, რომ ისინი ალბად ერთნაირი გულგრილობით ეპყრობიან როგორც თავის, ისე სხვის დაღუპვას. ადამიანის სიცოცხლეს აქ არავითარი ფასი არ აქვს.

რუსეთში ადამიანის სიცოცხლე ისე შევიწროებულია, რომ მე მგონია სადმე გადაკარგავს ყველა ოცნებობს. მაგრამ ეს ოცნება ვერ ხორციელდება სინამდვილეში. აზნაურებს პასპორტებს არ აძლევენ, გლეხებს კი ფული არ აქვთ, და ყველანი ერთ ადგილას რჩებიან და თავ თავიანთ კუთხეებში სხედან მოთმენით და უიმედო სიმამაცით. თვითუარყოფა და მორჩილება, რომელიც სხვა ქვეყნებში სიკეთედ ითვლება, აქ ბოროტებად იქცევა, რადგანაც იგი ხელს უწყობს ძალმომრეობითი წესწყობილების უცვლელობას.

აქ საკითხი პოლიტიკურ თავისუფლებას კი არ ეხება, არამედ პიროვნების დამოუკიდებლობას, მოძრაობის თავისუფლებას და თვით ადამიანის ბუნებრივ გრძნობების გამომჟღავნებას. მონები მხოლოდ ჩუმად და ხმა-აუმაღებლივ ჩხუბობენ, რადგანაც სიბრაზე ძალაუფლების მქონეთა პრივლეგიაა. რაც უფრო მეტს ვხედავ ისეთ ადამიანებს, რომელნიც ასეთი რეჟიმის დროს გარეგნულად მშვიდად გამოიყურებიან, მით უფრო ძალიან მებრალებიან ისინი. სიმშვიდე ან მათრახი!—ასეთია დილემა ყველასათვის. მათრახის როლს წარჩინებულ წოდებისთვის ასრულებს ციმბირი, ხოლო ციმბირი რუსეთია კვადრატში აღებული.

მე ამ სტრიქონებს ულრან ტყეში ვწერ, ადამიანთა საცხოვრებელ ადგილიდან მოშორებით. საშინელმა გზამ—ქვიშნარმა და ხეებმა—კვლავ დააზიანა ჩემი ეტლი. და ვიდრე ჩემი კამერდინერი, გლეხის დახმარებით, რომელიც თვით ზეცამ მოგვივლინა, შეკეთებას აწარმოებს სახელდახელოდ, მე თავდამცირებული მხოლოდ ჩემს უძლურებას ვგრძნობ და, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ჩემის მხრივ ყოველი დახმარების ცდა მხოლოდ ხელს შეუშლიდა მათ, ხელი მოვკიდე ჩენთვის უფრო ჩვეულ საქმეს: და აი მე ვწერ, რათა დავამტკიცო გონებრივი კულტურის მთელი უსარგებლობა იმ შემთხვევებში, როდესაც ადამიანი, მოკლებული ცივილიზაციის მიღწევებს, იძულებულია მარტოდ მარტო ებრძოლოს ველურ პირველყოფილ ბუნებას.

მხოლოდ აქ შუაგულ რუსეთში შეიძლება მიხვდეთ, რა უნარით და ნიჭით იყო დაჯილდოვებული პირველყოფილი ადამიანი და რა წაართვა მას ჩვენი ცივილიზაციის უაღრესმა განვითარებამ. კიდევ ვიმეორებ: ამ

პატრიარქალურ ქვეყანაში ცივილიზაცია აფუჭებს ადამიანს. სლავიანი ბუნებით გამჭრიახია, მუსიკალური, და თითქმის თანამგრძნობი სხვის უბედურებისადმი, ხოლო ნიკოლოზის გაწვრთნილი ქვეშევრდომი ყალბია, ცრუ პატივმოყვარე, დესპოტი და მაიმუნივით მიმბაძავი. კიდევ საუკუნე ნახევარი დასჭირდება იმას, რომ აქ ზნეჩვეულებები შეუთანხმდეს თანამედროვე ევროპიულ იდეებს, და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ხანგრძლივი წლების განმავლობაში რუსების მმართველები იქნებიან განათლებული მონარქები და პროგრესის მეგობრები, როგორც ეხლა იტყვიან ხოლმე. ეხლა-კი ძლიერი განხეთქილება წოდებათა შორის საზოგადოებრივ ცხოვრებას ამორალურად და აუტანელ მძიმედ აქცევს. მომავალი გვიჩვენებს, შეუძლიან თუ არა სამხედრო ძლევამოსილებას დაასაჩუქროს რუსის ხალხი ყველა იმ გაჭირვებისათვის, რომელსაც აყენებს მას საზოგადოებრივი და პოლიტიკური წესყობილება.

როდესაც ვხედავ როგორ მუშაობს ჩვენი მხსნელი-გლეხი დაზიანებული ეტლის შესაკეთებლად, მე მაგონდება ხშირად მოსმენილი სიტყვები, რომ რუსები უაღრესად მარდნი და დახელოვნებულნი არიან, და ვხედავ, რომ ეს მართალია.

რუსის გლეხმა დაბრკოლებაარ იცის, მაგრამ არა თავის სურვილების დაკმაყოფილების დროს (საბრალო ბრმა!), არამედ მიღებული ბრძანების შესრულების დროს. ცულით შეიარაღებული, იგი ჯადოქრად იქცევა და თქვენთვის კვლავ პოულობს კულტურულ ღირებულებათ უდაბნოსა და უღრან ტყეში. იგი შეაკეთებს თქვენ ეტლს, შესცვლის გატეხილ თვალს მოჭრილი ხით, რომელიც ერთი ბოლოთი მიმაგრებულია ეტლის ღეროს, ხოლო მეორით მიწაზე ეთრევა. თუ რომ თქვენ ეტლს საბოლოოდ აღარ შეუძლიან სიარული, იგი ერთ წუთში გააკეთებს ახალს ძველი ეტლის ნამსხვრევებისაგან. თუ ტყეში ღამის გათევას მოისურვებთ, იგი რამდენიმე საათში აგიშენებთ ქოხს; მოგაწყობთ რაც შეიძლება კარგად, გაეხვევა თავის ქურქში, და დაიძინებს სახელდახელად აშენებული ქოხის შესავალთან და გიდარაჯებთ, როგორც ერთგული გუშაგი ან და ჩამოჯდება ქოხის ახლო ხის ქვეშ, და იწყებს ოცნებით ზემოთ ცქერას და გაგართობთ მელონქალური ჰანგებით, რომელიც ჰარმონიულადაა შეწყობილი თქვენი გულის საუკეთესო მოძრაობასთან, ვინაიდან მუსიკალური ნიჭი ამ რჩეული რასის ბუნებით თანდაყოლილი თვისებაა. მაგრამ არასოდეს მას აზრად არ მოუვა, რომ შეუძლიან სამართლიანად თქვენთან ერთად ადგილი დაიკავოს მისი ხელითვე აშენებულ ქოხში.

დიდხანს განაგრძობს კიდევ განგება ამ ადამიანთა მოდგმის დაშაშვენებელი ხალხის ჩაგვრას? როდის ჩამოჰკრავს მისი განთავისუფლების,—ან კიდევ მეტი,—მისი გამარჯვების საათი? ვინ იცის? ვინ გასცემს პასუხს ამ კითხვაზე?

რუსული სიმღერების მოწყენილ ჰანგებს განცვიფრებაში მოჰყავთ ყველა უცხოელი. მაგრამ გი მარტო ნაღვლიანი კი არა, უაღრესად მელოდიური და რთულიცაა იმავე დროს. თუ რომ ერთი მომღერლის მიერ შესრულებული სიმღერა საკმაოდ არა სასიამოვნოა, გუნდის მიერ შესრულების დროს იგი იღებს ამაღლებულ და თითქმის რელიგიურ ხასიათს. კომპოზიციების ცალკე ნაწილების შეხამება, მოულოდნელი ჰარმონიები, თავისებური მელოდიური სურათი, ხმების ჩართვა—ყველა ეს ერთად ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს და არასოდეს შაბლონური არ არის. მე ვფიქრობდი, რუსული სიმღერა მოსკოვის მიერ ბიზანტიიდინაა გადმოღებული მეთქი. მაგრამ დამარწმუნეს, რომ იგი ადგილობრივი წარმოშობისაა. ამით აიხსნება ჰანგების ღრმა მოწყენილობა, იმ ჰანგებისაც-კი, რომელნიც თავისი სწრაფი ტემპით მხიარულობას ჩემულობენ. რუსებს არ შესწევთ უნარი ამბოხებისა ჩაგვრის წინააღმდეგ, ხოლო ოხვრა და კვნესა კი შეუძლიათ . . .

იმპერატორის ადგილ[illegible] ავუკრძალავდი ქვეშევრდომებს არა მარტო ჩივილს, არამედ სიმღერ[illegible] რადგანაც მათი სიმღერა იღაბაფარებული ჩივილია. ეს ნაღვლიანი ხმები-დანაშაულის აღიარებაა და შეიძლება ბრალდებად იქცნენ. დესპოტური რეჟიმის დროს თვით ხელოვნებაც კი, თუ რომ მას წმინდა ნაციონალური ხასიათი აქვს, ჰკარგავს თავის უვნებელ თვისებას და ფარულ პროტესტად იქცევა. აქედან წარმოსდგება რუსული მთავრობის და წარჩინებული წოდების მიდრეკილება უცხოელის ლიტერატურისა, ხელოვნებისა და პოეზიისადმი, რომელსაც აქ ფესვები არ აქვს გამდგარი. დამონავებული ხალხის მთავრობას ეშინია ღრმა სულიერი მოძრაობისა, რომელიც გამოწვეულია პატრიოტული გრძნობით. აქ ყველაფერი ნაციონალურია და თვით მუსიკაც, პროტესტის იარაღად ხდება. რუსეთში ადამიანი სიმღერაში ჩივილით მიმართავს ზეცას და სთხოვს ბედნიერებას, რომლის მიღწევაც შეუძლებელია დედამიწაზე. ამგვარად, თუ რომ თქვენ იმდენად ძლიერი ხართ, რომ ხალხი დაიმორჩილეთ და მას სჩაგრავთ, თანმიმდევარი უნდა იყოთ და უთხრათ მას: არ გაბედო სიმღერა! ხალხის ტანჯვა არსად არ მოსჩანს ისე, როგორც მის სევდიან გართობაში. რუსებს შეუძლიათ მხოლოდ ნუგეშის ძებნა, მხიარულება კი-არა. მიკვირს, რომ ჩემამდე არავინ

ხელისუფლების ყურადღება არ მიაქცია ამ დაუდევრობას: განა შეიძლება რუსებს ნება დართო დროს გატარებისა, რომელიც მათ უსაზღვრო მწუხარებას ამჟღავნებს?

განვაგრძობ შენიშვნების ჩაწერას უკანასკნელ სადგურზე, ნიჟნის წინ. აქ ჩვენ სამთვლიანი ეტლით მივედით, მეოთხის ადგილი დაიკავა ფიჭვის ლატანმა, რომელიც გატარებული იყო უკანა თვლის ღერძის ქვეშ და მიმბული ეტლის წინა ნაწილზე; ამ მოწყობილობამ ალტაცებაში მომიყვანა თავისი სიმარტივით და გონება მახვილობით.

იაროსლავლიდან ნიჟნში მიმავალი გზა დიდ მანძილზე ფართო და სწორი პარკის ხეივანს წააგავს. ორივე მხრივ მიდის ორი სხვა უფრო ვიწრო ხეივანი, დაფარული მწვანე ხავერდით და ჩამწკრივებული არყის ხეებით. ეს გზა რბილია, რადგანაც მგზავრი სულ ბალახზე მიდის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჭაობიან ადგილებს, რომელიც უნდა გადალახო მერყევ ხის ბოგირებზე. ეს უკანასკნელნი საშიშროებას წარმოადგენენ როგორც ეტლისა, ისე ცხენებისათვის.

გუშინ, ვიდრე ჩვეულებრივ ავარიას განვიცდიდით, ჭენებით მივდიოდით მცირედ დასახლებულ ტრაქტზე.

—მშვენიერი გზაა,—მივმართე მე ჩემს ფელდიეგერს.

—აქ საკვირველი არაფერია,—შენიშნა იმან,—ეს ხომ დიდი ციმბირის გზაა.

სისხლი გამეყინა ძარღვებში. ციმბირი! იგი მდევნის ყველგან და ძარღვებში სისხლს მიყინავს, როგორც ფრინველს ბასილისკოს შეხედვა. რა საშინელი გრძნობებით და უიმედობით მიეხეტებიან ამ წყეულ გზაზე საბრალო ბორკილგაყრილები! მე კი მოწყენილი მგზავრი მივდევ მათ კვალს და ვეძებ ახალ შთაბეჭდილებებს!

რა უცნაური მხარეა! დაუსრულებელი, ხელისგულივით ბრტყელი დაბლობი, უფერული და უფორმო. მუდმივი ჭაობები, რომელსაც იშვიათად პურის ნათესი და გადამხმარი ქერი სცვლის. მოსკოვის მიდამოებში, აქა-იქ, გაფანტულია სწორკუთხედი ბოსტნები—სამიწადმოქმედო კულტურის ოაზისები, რომელნიც არ არღვევენ მონოტონურ პეიზაჟს; ჰორიზონტზე—დაბალი და უბადრუკი ტყეები მოსჩანს, გზის გასწვრივ—უფერული და თითქოს მიწასთან გასწორებული სოფლის ქოხები, ხოლო ყოველ ოცდა-ათ ორმოცდა-ათ მილის მანძილზე მკვდარი და თითქოს მკხოვრებლების მიერ მიტოვებული ქალაქები, აგრეთვე მიწასთან გასწორებული, უფერული და მოწყენილი, სადაც ქუჩები ყაზარმებს წააგავს, აშენებულებს მხოლოდ მანევრებისთვის. აი კიდევ, მეასეჯერ იგივე რუსეთი, როგორიც სინამდვილეშია იგი!

ამ უპეიზაჟო მხარეში მიმდინარეობენ ვეებერთელა მდინარეები, მოკლებულნი ყოველგვარ კოლორიტს. ისინი მიაგორებენ თავიანთ ტყვიისფერ წყალს ქვიშიან ნაპირებზე, რომელნიც დაფარულნი არიან ხავსით და თითქმის არ მოსჩანან. მდინარეებიდანაც რაღაც მოწყენილობა მოჰქრის, როგორც ციდან, რომელიც ასახულია მათ უფერულ ზედაპირზე. გეჩვენებათ, რომ ზამთარი და სიკვდილი უცვლელად თავს დასტრიალებენ ამ მხარეს. ჩრდილოეთის მზე და ჰავა სამარისებურ ჩრდილს აყენებს მთელ არე-მარეს. რამდენიმე კვირის შემდეგ მგზავრის გულს შიში მოიცავს. აქ ცოცხლივ დამარხული ხომ არა ვარო, ელანდება მას; მას სურს გაარღვიოს გარსშემოხვეული სუდარა და უკან მოუხედავად გაიქცეს ამ საერთო სასაფლაოდან, სადაც არ მოსჩანს არც ბოლო და არც კიდე.

ასეთი სევდიანი ფიქრებით შეპყრობილი მივდიოდი ციმბირის გზაზე. უცბად წინ გავიხედე და შორს, გზაზე ერთ-ერთ გვერდით ხეივანში შევამჩნიე შეიარაღებული ხალხის ჯგუფი, რომელიც ხეებს ქვეშ ისვენებდა.

— ეს რა რაზმია?—ვკითხე ფელდიეგერს.

— ესენი ყაზახები არიან, რომელნიც კონვოით აცილებენ ციმბირში გადასახლებულ დამნაშავეებს—მიპასუხა მან.

მაშ ეს არც მითი ყოფილა, არც გაზეთების ჭორი! ჩემწინ ნამდვილი ხორცშესხმული გაძევებულნი იყვნენ, საბრალო ტანჯულნი, რომელნიც ფეხით მიდიოდნენ საშინელ ციმბირის ტაიგაში, სადაც მათ სიკვდილი მოელით, მოშორებით ყველა იმისგან, რაც მათთვის ძვირფასია. იქნებ მე მინახავს ან ვნახავ მათ დედებს და ცოლებს. ესენი ხომ მართლა დამნაშავენი არ არიან; ესენი პოლონელებია—მოვალეობის და თავგანწირვის გმირები. ცრემლები მახრჩობდენ, როდესაც დავუპირდაპირდით ამ უბედურებს, რომელთა ახლოს ვერც-კი გავბედე ეტლის გაჩერება, რათა არ გამომეწვია ჩემი არგუსის ეჭვი. მე შემრცხვა ჩემი სულმოკლეობის და ბრაზმა ჩემი გულიდან თანაგრძნობა განდევნა. „შორს ამ ქვეყნიდან!—ვამბობდი ჩემს გულში,—სადაც ვიღაც უბადრუკი შიკრიკი მაიძულებს დავმალო ჩემი საუკეთესო და უაღრესად ბუნებრივი გრძნობები“.

გადასახლებულთა პარტია შესდგებოდა ექვსი კაცისაგან, რომელთაც თან მისდევდა თორმეტი ცხენოსანი. თუმცა ეს ხალხი ბორკილებ გაყრილი იყო, მაგრამ ჩემ თვალში ისინი უდანაშაულნი იყვნენ, ვინაიდგან დესპოტური რეჟიმის დროს დამნაშავეა მხოლოდ ის, ვინც სჯის. ჩემი ეტლის ჩარდახი ახდილი იყო და რაც უფრო ვუახლოვდებოდით გადასახლებულთა და მათ მცველთა ჯგუფს, მით

უფრო გულმოდგინედ მადევნებდა თვალყურს ფელდიეგერი. ამასთანავე იგი ძალიან ცდილობდა ჩემს დარწმუნებას, ეს გადასახლებულნი უბრალო სისხლის საქმის დამნაშავენი არიან და მათშორის არც ერთი პოლიტიკური არ მოიპოვებაო. დაღვრემილი და გაჩუმებული ვიყავი და მისი ცდა, რომ გაეფანტა ჩემი ფარული აზრები ფრიად დამახასიათებლად მეჩვენა—ალბად ამ აზრებს იგი კითხულობდა ჩემს სახეზე. ასეთია აბსოლუტიზმის ყმების საკვირველი შორსმჭვრეტელობა! აქ ყველანი ჯაშუშობას ეწევიან ხელოვნების გულისთვის და არც კი ფიქრობენ, რომ ჯილდო მიიღონ ამ საქმისათვის.

თ ა ვ ი XXV

ნიჟნი-ნოვგოროდი.—ბაზრობა.—ენათა და ტანსაცმელთა აღრევა.—ხალხის შეჯგუფება.—თავშესაფარის ძიება.—გარიგება მოხდა.—მესამე ბრძოლა ბაღლინჯოებთან.—შეტაკება ფელდიეგერთან.—საბაზრო შენობები.—ჩაის ქალაქი.—რკინის ქალაქი.—სპარსული სოფელი.—ყმა კომერსანტები.—პატიოსნების გაკვეთილები.—სიძვირე.—პროტესტის აფეთქება.—საბაზრო გართობანი

რუსეთში არაფერი მინახავს ნიჟნი-ნოვგოროდის მდებარეობაზე ულამაზესი. თქვენს წინ აღმართულია არა დაბალი გორაკები, დაქანებული ფერდოებით მდინარის გასწვრივ, არამედ ნამდვილი მთა, რომელიც ჰქმნის მძლავრ კონცხს ვოლგისა და ოკას შეერთების ადგილს. ეს ორივე მდინარე ერთნაირად დიდებულია, ვინაიდგან იმ ადგილს, სადაც ოკა ვოლგას ერთვის, პირველი არაფრით არ ჩამოუარდება მეორეს და ჰკარგავს თავის მდინარისებურ „მე"-ს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი სათავე გაცილებით უფრო ახლოა. აი ამ მთაზე გაშენებულია ნიჟნი-ნოვგოროდი, რომელიც გაბატონებულია ზღვასავით თვალგადაუწვდენელ ველზე, ხოლო მთის ძირას იმართება უდიდესი ბაზრობა მთელ ქვეყანაზე. ექვსი კვირის განმავლობაში ორი უმდიდრესი მატერიკის ვაჭრობა ერმანეთს პაემანს უნიშნავს ვიწრო სამკუთხედში მდინარე ოკასა და ვოლგას შუა. ეს ადგილი პირდაპირ სურათზე გადაღებას მოითხოვს ლანდშაფტის ბუნებრივი სილამაზის გამო. იმავე დროს კი ძველი ქალაქი ნიჟნი, იმის მაგიერ რომ დასტკბეს ორივე მძლავრი მდინარით, თითქოს გაურბის მათ და მთის იქით იმალება. ასეთმა უცნაურობამ გააკვირვა იმპერატორი ნიკოლოზი, რომელმაც, დაინახა თუ არა ეს ქალაქი პირველად, როგორც გადმოგვცემენ, თურმე შესძახა: „ნიჟნში ბუნებამ ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო, ხალხმა-კი ყველაფერი გააფუჭა!" რათა ქალაქის დამაარსებლების შეცდომა გამოსწორდეს, ეხლა მთის ძირას მდინარის ნაპირზე შენდება ქალაქის განაპირა უბანი, რომელიც წლითი წლობით იზრდება და მალე დაჩრდილავს ნიჟნის მთიან ნაწილს. ძველი კრემლი (ყოველ რუსულ ქალაქში თავისი კრემლია) ჰყოფს ძველ ქალაქს ახლისაგან.

ბაზრობა იმართება მდინარე ოკას გადაღმა ნაპირზე, სამკუთხოვან დაბლობზე ამ მდინარესა და ვოლგას შუა. ორივე ნაპირი

გაერთიანებულია ბრტყელ ფსკერიან ნავებზე (პლაშკოტებზე) დამაგრებული ხიდით, და ისინი უკიდურეს კონტრასტს წარმოადგენენ: ერთი, როგორც კოლოსალური პირამიდა, ამაყადაა ამაღლებული რუსეთად წოდებულ ველზე, ხოლო მეორე, სადაც საბაზრო ვაჭრობა სწარმოებს, გაშლილია მდინარის დონეზე, რომელიც ყოველწლივ ლეკავს მას. ეს იშვიათად მხატრული კონტრასტი ეცა თვალში ნიკოლოზს. ჩვეულებრივი გამჭრიახობით იგი მიხვდა, რომ ნიჟნი მისი იმპერიის ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტია და შეიყვარა ეს ქალაქი, რომელიც შორეულს ქვეყნებიდან მოსული ვაჭრების შესახვედრ ადგილად გადაიქცა და რომელმაც პირველხარისხოვანი სავაჭრო მნიშვნელობა მიიღო. მეფემ ჯეროვანად შეაფასა ნიჟნის კომერციული როლი და ფულს არ ზოგავს მის ყოველნაირად გასამშვენიერებლად; ამბობენ, რომ ამ საქმეზე მან ჩვიდმეტი მილიონი მანეთი გადასდო და ამასთანავე პირადად უწევს კონტროლს ყველა სამუშაოებს.

ნიჟნი-ნოვგოროდის კრემლი მთაზე დგას, რომელიც გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე მოსკოვის კრემლის გორაკი. ზემოდ მწვანე ხეებით დაფენილ და დაქანებულ ფერდოებზე, მოსჩანს თეთრი კედლები ირგვლივ (ნახევარ მილზე მეტი), ხოლო უფრო მაღლა ბრწყინავენ ოქროს გუმბათები, როგორც შუქურა, რომელიც უნათებს მგზავრს, რომელიც მოწყენილი მოდის იაროსლავლის სილაყრილი დუინების გზით. ძლიერი შთაბეჭდილება, მუდამ განუყრელი რუსულ ნაციონალურ არქიტექტურასთან, ორკეცდება ადგილმდებარეობის რელიეფით: ზოგიერთ ადგილას კრემლის კედლები თითქო პირდაპირ ამოდიან ფრიალო კლდეებიდან.

ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობა, რომელიც ამჟამად ყველაზე შესანიშნავია დედამიწის ზურგზე, ხალხთა შეხვედრის ადგილს წარმოადგენს, რომელთაც არაფერი აქვთ ერთმანეთში საერთო არც სახით, არც ტანისამოსით, არც ენით, არც სარწმუნოებით და არც ზნე-ჩვეულებით. ჩინეთის მოსაზღვრე ტიბეტის და ბუხარას მცხოვრებნი აქ ხვდებიან ფინებს, სპარსელებს, ბერძნებს, ინგლისელებს და ფრანგებს. ეს ნამდვილი მეორედ მოსვლის დღეა ვაჭრებისთვის. ბაზრობის დროს მოსულთა რიცხვი, რომელნიც იმავე დროს მის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, ორას ათას უდრის. თვითეული ერთეულნი, რომელნიც ამ ხალხის მასსას შეადგენენ მუდამ სცვლიან ერთმანეთს, მაგრამ საერთო ჯამი მუდმივი რჩება, ხოლო გამოცოცხლებულ ვაჭრობის დღეებში ეს რიცხვი სამას ათასს აღწევს. ამ კომერციულ სატურნალიების გათავების შემდეგ ქალაქი კვდება. ნიჟნიში თორმეტ ათას მუდმივ მცხოვრებელზე მეტი არ ითვლება; ეს მოსახლეობა გა-

ფანტულია მის შიშველა მოედნებზე, ხოლო ბაზრის ტერიტორია ცარიელია მთელი ათი თვე წელიწადში. ასეთი უამრავი ხალხის შეჯგუფებას თან არ სდევს საგრძნობი უწესოება. ეს უკანასკნელი რუსეთში უცნობი საგანია. ასეთი უწესოება ერთგვარი პროგრესი იქნებოდა, რადგანაც ეგი—თავისუფლების შვილია.

რუსეთში მხოლოდ ერთ ადგილას ვნახე ნამდვილი ხალხის ბრბო—ნიჟნი-ნოვგოროდში, ოკაზე გადებულ ხიდზე, რომელიც ერთადერთი მიმოსვლის გზაა ქალაქსა და ბაზარს შუა. როდესაც ნიჟნი-ნოვგოროდში მიდიხართ იაროსლავლის მხრივ, ქალაქში თქვენ ისევ ამ ხიდით შედიხართ. ხიდზე შედგომის უმალვე მტვერი გაბრმავებთ, ხმაურობა გაყრუებთ, ეტლები ერთმანეთს აწვებიან, ფეხით მოსიარულეები იკვლევენ გზას მათ შუა, თვით მდინარე კი არსად მოსჩანს, მას სრულიად ჰფარავს ხომალდების და ნავების უამრავი რიცხვი. აქეტომ ძალაუნებურად ეკითხებით თქვენ თავს, რა საჭიროა აქ ხიდი? აქ პირდაპირ შეიძლება ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასვლა და გადახტომა „ჯონკიდან ჯონკაზე". მე განსრახ ვხმარობ ხომალდების ჩინურ სახელებს, რადგანაც დანიშნულება უმთავრესად ის არის, რომ გადატვირთონ ბაზარზე ჩინური საქონელი, განსაკუთრებით ჩაი. ყველაფერ ამას, რასაკვირველია, განცვიფრებაში მოჰყავს ოცნება, და არა მხედველობა, ვინაიდგან მხატვრული სურათები არ მოიპოვება ამ ბაზრობის ადგილას, სადაც ყველა შენობა სრულიად ახალია, როდესაც ხიდზე მივდიოდით, მე მეგონა, ოცს კაცს მაინც გავსრესავთ, ვიდრე მეორე ნაპირს მივაღწევთ. მეთქი. მადლობა ღმერთს რომ ეს არ მოხდა, მაგრამ გადავედით თუ არა მეორე ნაპირზე მე დავინახე, რომ ახალი უბედურება მოშველოდა. უნდა მეშოვნა თავშესაფარი, სასტუმროები კი სულ სავსე იყო. ჩემი ფელდიეგერი უკაკუნებდა ყოველ კარს, მაგრამ ყოველთვის ერთიდაიმავე პასუხით ბრუნდებოდა: „ოთახი არ არის!" იგი მირჩევდა მესარგებლა გუბერნატორის სტუმართმოყვარეობით, მაგრამ მე გადაჭრით უარი ვთქვი.

ბოლოს გავიარე მთელი გრძელი ქუჩა, იმ ადგილამდე, სადაც მას მეორე ქუჩა სჭრის, ზემოდ მოვავალი ძველი ქალაქისკენ, ბნელ, სქელ კედელში გაჭრილ ალაყაფის კარში შევედი და შევნიშნე რალაც ყავახანა. ამ შენობაში მისასვლელი გზა დახშული იყო ჰატარა დახურული ბაზრით, საიდანაც უცნაური სურნელობა მოდიოდა. მე ვუბრძანე ცხენები გაეჩერებინათ და ყავახანაში შევედი. უკანასკნელი შესდგებოდა მთელ რიგ ოთახებისგან, სადაც ბრბო თავს იქცევდა ჩაით და სპირტიანი სასმელებით. ყავახანის პატრონმა თავაზიანად მიმი-

ლო და პირადად დამატარა ყველა ოთახები. როდესაც შევედით „დარბაზში“, რომელიც აგრეთვე სავსე იყო მაგიდებით და სტუმრებით, მე დავრწმუნდი, რომ იქ მართლაც არ მოიპოვებოდა თავისუფალი კუთხე.

— ეს კუთხის ოთახია თქვენ სახლში, არა?—შევეკითხე მე: მას ცალკე გასასვლელი აქვს?

— დიახ.

— მაშ ჩაჰკეტეთ კარი, რომელიც მას სხვა ოთახებთან აერთებს და მომაქირავეთ რამდენიმე დღით.

მე უკვე ვიხრჩობოდი ამ საშინელი ჰაერისაგან, ვინაიდან რუსული სუნის ჩვეულებრივ თაიგულს კიდევ უხვად ზედ დაერთო ღვინის სუნი. მაგრამ რა უნდა მექნა? სხვა გამოსავალი არ იყო. გარდა ამისა, იმედი მქონდა, რომ თუ ოთახს საფუძვლიანად შეაკეთებდენ, ატმოსფერა ცოტა გაიწმინდებოდა. ამიტომ ფელდიეგერმა ჩემი დაბეჯითებითი თხოვნით აუხსნა ყავახანის პატრონს ძისდამი წარდგენილი წინადადების შინაარსი.

— მე ამ საქმეზე ვიზარალებ.

— ზარალს მე აგინაზღაურებთ სურვილისამებრ.

გარიგება შესდგა. ამგვარად მე ავიღე იერიშით მყრალი სამიკიტნო, რომელიც დამიჯდა უფრო ძვირად, ვიდრე უაღრესად მორთული ოთახი დამიჯდებოდა პარიზის ყველაზე მდიდარ სასტუმროში. მაგრამ გამარჯვებულის სიამაყემ ამინაზღაურა ყველა გაწეული ხარჯები. მხოლოდ რუსეთში, სადაც ამა ქვეყნის ძლიერთა ჟინიანობას საზღვარი არ აქვს, შეიძლება თვ ლის თახამხამებიში რესტორანი საწოლ ოთახად გადააქციო.

ჩემმა ფელდიეგერმა სთხოვა იქ მყოფთ, რომ გაესულიყვნენ. მათ დასტოვეს ოთახი ხმის ამოუღებლივ. დაუყოვნებლივ დაკეტეს კარები და კლიტე დაადეს; ამის შემდეგ შემოცვივდა ახალგაზრდა ბერების მთელი არმია კაბებში, მე მინდოდა მეთქვა, იატაკის საწმენდ პერანგებში მეთქი და ერთ წუთში გაიტანეს მთელი ავეჯეულობა. მაგრამ რას ვხედავ? ყოველ მაგიდიდან, ყოველი დასაჯდომი სკამიდან გამოდიან ჯერ კიდევ უნახავ მხეცთა ლაშქარნი—შავი მწერები, სიგძით ნახევარი დიუმი, რბილი, ლორწოიანი და საკმაოდ სწრაფად მორბენალი. ეს მყრალი ცხოველები გვხვდება ჩვენ ვოლინხე, უკრაინაში, რუსეთში და პოლონეთში, სადაც თუ არ ვცდები persica-ს უწოდებენ, რადგანაც შემოსულნი არიან აზიიდან. მე ვერ გავიგონე კარგად ის სახელი, რომელსაც უწოდებდენ ამ ცხოველებს ნიჟეგოროდელი იატაკის საწმენდავები. როცა დაკინახე, რომ ჩემი ახალი ბინის იატაკი

შთლად დაიფარა ამ საზიზღარ ქვემძრომებით, რომელთაც ნებსით თუ უნებლიეთ ასობით კი არა, არამედ ათასობით ხოცავდენ და როცა შევნიშნე, რომ ამ ხოცვა-ჟლეტის შემდეგ დადგა ახალი და ფრიად არასასიამოვნო სუნი,—მე გაჩქარებით გავარდი გარედ და გავეშურე გუბერნატორისაკენ. ეს უკანასკნელი ატარებდა ძველ ბოიარულ გვარს, რომელიც ძველი დროიდან ცნობილი იყო რუსეთის ისტორიაში (რაც უკვე იშვიათი მოვლენაა აქ). იგი სტუმართმოყვარედ და დანარჩენ რუსებთან შედარებით საკმაოდ გულახდილ ადამიანად მეჩვენა.

მხოლოდ როდესაც დამარწმუნეს, რომ ჩემი საზიზღარი ბუნაგი კარგად გაწმენდილია და გასუფთავებული, მე გავბედე იქ შესვლა. ჩემი საწოლი, ახალი თივით გატენილი, მოთავსებული იყო შუა ოთახში, და მისი ფეხები ჩადგმული იყო ოთხ წყლით სავსე ჯამში. მაგრამ, მიუხედავად ასეთი ზომების მიღებისა, დილით, მოუსვენარი ღამისა და საშინელი სიზმრების შემდეგ, ბალიშზე მაინც ვიპოვე ორი თუ სამი „persica". ეს ცხოველები უკნებლები არიან, მაგრამ ვერ გადმოგცემთ იმ ზიზღს, რომელსაც ისინი ჩემში იწვევენ.

ნიჟნი ტროპიკული სიცხით და სულის შემხუთველ მტვერით დამიხვდა. ამიტომ და აგრეთვე გამოცდილი ხალხის რჩევით მე ვერ გავბედე ფეხით წასვლა ბაზარში. მაგრამ მოსული ხალხის რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ვერავითარი ფულით ვერ დავიქირავე ეტლი. ამიტომ იძულებული ვიყავი მესარგებლა ტარანტასით, რომელზედაც მრავალი თავგადასავალი გადამხდა ვიდრე ნიჟნი-ნოვგოროდამდე მივაღწევდი; ამასთანავე მე უნდა დავკმაყოფილებულიყავი მხოლოდ ორი ცხენით, რის გამო არა ნაკლებ ვიყავი გაჯავრებული, ვიდრე ყოველი რუსის „ბარინი" ჯავრობს. საერთოდ ჩემი ეტლი და ცხენები არც თუ ძალიან ბრწყინვალე სანახაობას წარმოადგენდენ.

ერთმა მოსკოველმა ნეგოციანტმა, ფრიად მნიშვნელოვანი და მდიდარი აბრეშუმის მაღაზიის პატრონმა, ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობის დროს მოისურვა ჩემ ჩიჩერონედ ყოფნა. როდესაც ჩემ მშვენიერ ეტლში ვჯდებოდი მასთან და მის ძმასთან ერთად, მე ჩემს მცველს წინადადება ძიეეცი თან წამოგვყოლოდა. და აი ეს უკანასკნელი, სრულიად მოუფიქრებლად და ჩქარა ნებადაურთველად, ეტლში ხტება და წინ დასაჯდომ ადგილს იჭერს ბ-ნ № ძმის გვერდით, რომელმაც ეს ადგილი დაიკავა მიუხედავად ჩემი თხოვნისა.

რადგანაც ვშიშობდი, რომ ფელდიეგერის ასეთი ფამილიარობა არასასიამოვნო არ ყოფილიყო ჩემი თავგადასავალი გამცილებლებისთვის,

შე ვთხოვე შიკრიკს თავისი ჩვეულებრივი ადგილი დაეჭირა კოფოზე, მეეტლის გვერდით, და თითქმის შეუმჩნევლად ვუთხარი ეს.

— მე ამას ვერ ვიზამ,—ფრიად გულცივად მიპასუხა ამ ვაჟბატონმა.

— რად მოისურვეთ ურჩობა ჩემს წინააღმდეგ? შევეკითხე უკვრო დამშვიდებული ხმით. ჩვენ გერმანულად ვლაპარაკობდით.

— ეს დამამცირებელი იქნებოდა ჩემი წოდებისთვის.

ფელდიეგერის პასუხმა გამახსენა დაუსრულებელი კამათი ბოიარებისა ადგილების შესახებ, რომლითაც სავსეა იოანე მრისხანის ეპოქის მთელი ფურცლები რუსეთის ისტორიაში.

— რის თქმა გინდათ ამით? განა თქვენ ეს ადგილი არ გეკავათ მთელი გზის მანძილზე მოსკოვიდან ნიჟნი-ნოვგოროდამდე?

— თქვენ მართალი ხართ, ბ-ნო, ეს ჩემი ადგილია სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს, როცა გზაში ვართ. მაგრამ სეირნობის დროს ბე ეტლში უნდა ვიჯდე. მე მუნდირს ვატარებ.

ეს მუნდირი საფოსტო უწყების მოხელის ფორმაა.

— მე „ჩინი" მაქვს. მე ლაქია არ ვარ, მე ვემსახურები მის უდიდებულესობას.

— ძალიან ნაკლებად მაინტერესებს, ვინ ხართ და რა ხართ თქვენ. გარდა ამისა, არც მიფიქრია თქვენთვის ლაქია მეწოდებია.

— მაგრამ მე სწორედ მას დავემსგავსები, თუ კოფოზე დავჯდები ამ დროს, როდესაც ბატონი ქალაქში დასეირნობს, მე რამდენიმე წლის სამსახური მიმიძღვის და კარგი ყოფაქცევისთვის აზნაურობა აღმითქვეს.

ერთი წუთით დაფიქრდი ჩვენი არისტოკრატულ მცნებების ასეთ აღრევაზე ახალი სახის ცრუპატივმოყვარეობასთან, რომელიც მშიშარა დესპოტების მიერ შთაგონებული აქვს შურით დაავადებულ ხალხს, და ჩემ განრისხებულ ფელდიეგერს შემდეგი სიტყვებით ვუპასუხე:

— მე პატივსა ვცემ თქვენ სიამაყეს, თუ იგი დამყარებულია რაიმე საფუძველზე. მაგრამ, რადგანაც ცუდად ვიცნობ თქვენი ქვეყნის ადათებს, მე მინდა, ვიდრე ნებას დაგრთავდეთ ეტლში დაიჭიროთ ადგილი, თქვენი პრეტენზიები გუბერნატორს ვაცნობო, მე არ მსურს იმაზე მეტი სამსახური მოგთხოვო, რაც გათვალისწინებულია თქვენმიერ მიღებულ ინსტრუქციებში. რადგანაც ამ ძემთხვევაში ეჭვები მაქვს, ამიტომ დღეს განთავისუფლებთ სამსახურიდან: უთქვენოდ წავალ.

მე კინაღამ გადავიხარხარე ჩემს მიერ ასეთი სერიოზული კი-

ლოთი წარმოთქმულ ტირადის გამო, მაგრამ ასეთი კომედია ეუცილებლად მიმაჩნდა, რათა დამშვიდებული ვყოფილიყავი დანარჩენი მოგზაურობის დროს. ეს აზნაურობის კანდიდატი, რომელიც ასე ზედმიწევნით იცავდა შარა გზის ეტიკეტს, ყველაფრის გარდა, სამასი ფრანკი მიღირს თვეში, რომელსაც მას ჯამაგირის სახით ეაძლევ. ამის გაგონებაზე ფელდიეგერი გაწითლდა, უსიტყვოდ გამოვიდა ეტლიდან და ჩუმად გამწორდა.

ბაზარს, როგორც უკვე აღვნიშნე, უაღრესად ფართო ტერიტორია უჭირავს სრულიად ბრტყელ მანძილზე ოკასა და ვოლგას შუა. მიწის ნიადაგი, სადაც საქონელი მოაქვთ მთელი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, ოდნავ ამაღლებულია წყლის ზედაპირზე. ამიტომ ვოლგასა და ოკას ნაპირებზე მოსჩანს მხოლოდ უთვალავი საწყობები და ბეღლები, ნამდვილი საბაზრო ქალაქი კი მდებარეობს ამ ნაპირების მოშორებით, ორივე მდინარით შექმნილი სამკუთხედის ფუძეზე. ეს ჩავარდნილი სავაჭრო ქალაქი მრავალი ფართო და გრძელი ქუჩისაგან შესდგება; ეს უკანასკნელნი ისარივით სწორი და გადაკვეთილია სწორი კუთხეებით; ეს გეგმა სრულიად მოკლებულია მხატვრულ ელფერს. ფსევდო-ჩინური სტილის ათიოდე პავილიონი გაშენებულია მაღაზიებს ზემოდ, მაგრამ მათი ფანტასტიური მოხაზულობა თითქმის ვერ აცოცხლებს ბაზრობის საერთოდ მოწყენილ და სევდიან სახეს. ეს მოწესრიგებული ბაზარი ისე დიდია, რომ უდაბნოდ გვეჩვენება. მის ფარგლებში არ მოსჩანს ხალხის ბრბო, მაშინ როდესაც მისი სავაჭროების ირგვლივ მდებარე განაპირა ადგილები სხვადასხვა ტომის და სხვადასხვა ენით მოსაუბრე ხალხითაა სავსე. საბაზრო ქალაქი, როგორც ყველა თანამედროვე რუსული ქალაქები, მეტისმეტად დიდია თავისი მოსახლეობისათვის, თუმცა ეს უკანასკნელი, როგორც მე უკვე ვთქვი, საშუალოდ ორასი ათასი სულისაგან შესდგება; თუმცა, ამ ვეებერთელა რიცხვში შედიან ყველანი ვინც დროებით თავშეფარებულნი არიან ბანაკებში, რომელიც გაშენებულია ბაზრის ირგვლივ და აგრეთვე ისინი, ვინც მდინარეებზე არიან დაბანაკებულნი. ეს მდინარეები საკმაოდ დიდ მანძილზე დაფარულია ყოველნაირი სახის და ზომის ხომალდებით, სადაც ორმოცი ათასი ადამიანი ცხოვრობს. ამ დასახლებულმა მდინარეებმა მე ყველაზე ძალიან გამაკვირვა. ისინი მოგვაგონებენ ჩინური ქალაქების სურათს, სადაც მდინარეები ქუჩებადაა გადაქცეული ხალხის მიერ, რომელიც უადგილობის გამო წყალზე ცხოვრობს.

ბაზრის ყველა შენობები დგას მიწის ქვეშ გაშენებულ ქალაქზე—მშვენიერ თაღებიან კანალიზაციაზე; იგი ნამდვილი ლაბირინ-

ტია, სადაც შეიძლება კაცი დაიკარგოს, თუ მას გამოცდილი გამცილებელი არ ჰყავს. ყოველ ქუჩას აქ მეორე მიწის ქვეშ გაშენებული გალერეა აქვს, რომელიც ქუჩის მთელ მანძილს მისდევს და უსუფთაობის ჩასარეცხ ადგილს წარმოადგენს. ეს გალერეები, დაფენილი ფიქალი ქვით, დღეში რამდენჯერმე იწმინდება მრავალი ტუმბოთი, რომელიც წყალს ქაჩავენ მიდამოებში მიმავალი მდინარეებიდან. გალერეები მიწის ზედაპირთან ფართო კიბეებითაა გაერთიანებული.

მთელი ქვეყნის საქონელი დაგროვილია ამ ბაზრის თვალგადაუწვდენელ ქუჩებზე, ბაგრამ ეს საქონელი სრულიად იკარგება იქ. მყიდველები აქ ყველაზე იშვიათი საქონელია. ყველაფერი, რასაც-კი მე ამ ქვეყანაში ვხედავ, მაიძულებს წარმოვთქვა ხმა მაღლა: „აქ ძალიან ცოტა ხალხია ასეთი ვეებერთელა ადგილისათვის!“—წინააღმდეგს ვხედავთ ძველი კულტურის ქვეყნებში, სადაც ხალხს ადგილი არ ჰყოფნის ცივილიზაციის გასანკითარებლად. ინგლისური და ფრანგული სავაჭროები ყველაზე მშვენიერია და კარგად მოწყობილი მთელ ბაზრობაში. რათა ნამდვილი წარმოდგენა იქონიოთ ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე, უნდა მოშორდეთ ალექსანდრეს ეპოქის ლამაზ ჩინურ ფანტაზიებს და უწინარეს ყოვლისა ხეტიალი დაიწყოთ ბაზრის ცენტრის ირგვლივ მდებარე სავაჭროებში. იქ შესვლა არც ისე ადვილი საქმეა, რადგანაც თვითეულ ბაზარს მთელი ქალაქის ადგილი უჭირავს, და ყოველ მათგანში გამეფებულია მსხვილი ვაჭრობის ნამდვილი ქაოსი და ცოცხალი მოძრაობის უწესრიგობა.

დავიწყოთ ჩაის ქალაქით. ეს აზიური ბანაკია, გაშლილი ორივე მდინარის შეერთების ადგილას, სამკუთხედის მწვერვალზე. რუსეთში ჩაი ჩინეთიდან მოდის კიახტაზე, აქედან იგი მოაქვთ კუბიკური ფორმის პარკებით. ეს „ციბიკები“ წარმოადგენენ ტყავშემოჭერილ ჩარჩოებს, რომლის თვითეული გვერდის სიგრძე დაახლოვებით ორ ფუტს უდრის. მყიდველები ჩხვლეტამენ ტყავს განსაკუთრებული მახათებით, რათა საქონლის ღირსება გაიგონ. კიახტიდან ჩაი ხმელეთით ტომსკამდე მიაქვთ. იქ ხდება მისი გადატვირთვა ბარჟებზე და სხვადასხვა მდინარეებით შემდეგ ტიუმენამდე მოგზაურობს, აქედან ისევ ხმელეთით მიდის პერმამდე, შემდეგ მდინარე კამათი ეშვება ვოლგაზე და ამგვარად ხვდება ნიჟნი-ნოვგოროდში. რუსეთში ყოველ წლივ 75—80 ათასი ყუთი ჩაი შემოდის; აქედან ნახევარი ციმბირში რჩება და ზამთრობით მარხილით მოსკოვში მოაქვთ, ხოლო მეორე ნახევარი ხვდება ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზარზე.

ეს ჩაის მარშრუტი მე ამიწერა გამოჩენილმა რუსმა ჩაის

მოვაჭრემ, და პასუხს არ ვაგებ ამ მდიდარ კაცის არც გეოგრაფიისა და არც ორთოგრაფიისათვის. თუმცა ისიც შეიძლება, რომ მილიონერებს ზუსტი ცნობები ჰქონდეთ, რადგანაც ისინი თავიანთ ცოდნას სხვებისაგან ყიდულობენ.

როგორც ხედავთ ნაქები ჩაი, ვითომდა ქარავნებით მოტანილი და ამიტომ ასე ძვირად შეფასებული მცოდნე პირების მიერ, სინამდვილეში მთელ გზას წყლის სამუალებით აკეთებს. თუმცა ისიცაა, რომ ეს წყალი მლაშე არ არის, და როგორც ამბობენ მდინარის ნისლი ისე მავნებელი არ არის ჩაისთვის, როგორც ზღვისა.

ორმოცი ათასი ყუთი ჩაი! ეს ადვილად ითქმის, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია ჩაის ციბიკების მთელი კედლები ბაზარზე. მე აი, ეს არის გამოვიარე ბეღლები, სადაც ისინი აწყვია. მარტო ერთმა ნეგოციანტმა, ჩენმა განათლებულმა გეოგრაფმა, თოთხმეტი ათასი ყუთი იყიდა ათ მილიონ ვერცხლის მანეთად (ქალალდის მანეთები უკვე ალარ არის). ჩაის ფასი ყველა დანარჩენ საქონლის ფასებს განსაზღვრავს. ვიდრე ამ ფასს არ გამოაქვეყნებენ, ყველა დანარჩენ გარიგებებს პირობითი ხასიათი აქვს.

მეორე „ქალაქი" ასევე დიდია, მაგრამ ნაკლებად დელიკატური და კეთილსურნელოვანი, ვიდრე ჩაის ქალაქი: ეს ძონძების ქალაქია. საბედნიეროდ, ვიდრე მთელი რუსეთიდან აქ ძონძებს მოიტანდენ, კარგად რეცხავენ მათ.

დანარჩენ საბაზრო მიდამოებიდან ყურადღების ღირსია საეტლე ხეტყის ქალაქი, ამ ხეტყიდან აკეთებენ რუსულ „ტილეგების" თვლებს და რკალებს, რომელიც ასე მხატვრულად ამშვენებს აქაურ ეტლებს. ქერქგაცლილი ხის მარაგი, დამზადებული აქ მთელი ევროპიული რუსეთისათვის, ახოხოლავებულია ნამდვილ მთებად, რომელზედაც ჩვენი პარიზის ტყის საწყობები სუსტ წარმოდგენასაც-კი არ აძლევიან.

კიდევ ერთი ქალაქი, ყველაზე დიდი და საინტერესო,—რკინის ქალაქია. მთელი კილომეტრის მანძილზე გაგრძელებულია ყოველნაირი რკინის ლიანდაგების, და შტანგების გალერეა. ბერე მიდევს მოაჯირები, ნაჭედი რკინა და შემდეგ სამიწადმოქმედო იარაღების და საშინაოდ სახმარი საგნების მთელი პირამიდები; მოკლეთ რომ ვთქვათ, თქვენს წინაშე მთელი სამეფოა ლითონისა. რომელიც იმპერიის სიმდიდრის ერთ უდიდეს წყაროს შადგენს. ეს სიმდიდრე აშინებს მაყურებელს. რამდენი კატორღელი უნდა გყავდეს, რომ მიწის გულიდან ასეთი განძეულობა ამოიღო! თუ რომ დამნაშავენი არ ეყოფა, მათ შექმნიან, ყოველ შემთხვევაში ტანჯულ ხალხს შექმნიან.

დესპოტიზმი იმარჯვებს, და სახელმწიფოც აყვავებულია. სასარგებლო იქნებოდა ურალის მემაღაროების ცხოვრების შესწავლა, მაგრამ უცხოელებისთვის ეს ყოვლად შეუძლებელია.

მთელი დღეც სამყოფი არ იქნებოდა ყველა მიდამოების ზერელედ დასათვალიერებლადაც კი, რომელნიც, ასე ვთქვათ, თანამგზავრები არიან ბაზრობისა ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით. ყველა ესენი რომ საერთო გალავანში მოვათავსოთ, ამ უკანასკნელის სივრცე დიდ ევროპიულ სატახტო ქალაქის მოცულობას არ ჩაუოუვარდებოდა. აქ დაგროვილ სიმდიდრის უფსკრულში შეუძლებელია ყველაფრის ნახვა და ძალაუნებურად არჩევა გიხდება. გარდა ამისა, სულის შემხუთავია სიცხე, მტვერი, ხალხის ბრბო,—ყველა ეს საშინლად მოქმედებს სულსა და სხეულზე.

მე დამავიწყდა მომეხსენებინა ქიშმირის მატყლის ქალაქი. როდესაც ვუცქეროდი გრეგნულად ულაზათო და ვეებერთელა ბარდანებად შეკრულ მატყლს, ვფიქრობდი საუცხოვო ქალების მხრებზე, რომელთაც იგი დაჰფარავს ერთ მშვენიერ დღეს, როცა სასწაულებრივ წამოსასხამ შალებად იქცევა.

სიტყვა „ქალაქს“ მე განზრახ ვხმარობ, რადგანაც მხოლოდ ამ სიტყვას შეუძლიან მოგვცეს წარმოდგენა იმ კოლოსალურ საწყობებზე, რომელიც ბაზრობას ნამდვილ გრანდიოზულ ხასიათს აძლევს. რასაკვირველია ასეთი საყურადღებო კომერციული ფენომენი შესაძლებელია მხოლოდ რუსეთში. ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობის მოსაწყობად საჭირო იყო მთელ რიგ განსაკუთრებულ გარემოებათა შეხვედრა, რომელიც არ არის და არც შეიძლება იყოს ევროპიულ სახელმწიფოში: ვეებერთელა სივრცე, რომელიც სთიშავს ნახევრად ველურ ხალხს, უკვე შეპყრობილს ფუფუნებისადმი დაუცხრომელი სწრაფვით და კლიმატური პირობები, რომელიც სრულიად ანმართოებენ სხვადასხვა კუთხეებს მრავალი თვეების განმავლობაში, ხელსაყრელ და სწრაფ მიმოსვლის საშუალებათა უქონლობა და სხვადასხვ... მაგრამ მე ვფიქრობ, შეიძლება წინასწარ იმის თქმა, რომ ახლო მომავალში მატერიალური კულტურის პროგრესი რუსეთში ძალიან შეამცირებს ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობის მნიშვნელობას. ეხლა-კი, ვიმეორებ, ეს უდიდესი ბაზრობაა მთელ დედამიწაზე.

გარეუბანში, რომელიც დაყოფილია ოკას შესართავით, მოთავსებულია მთელი სპარსული სოფელი; ამ უკანასკნელის სავაჭროები მხოლოდ სპარსული საქონლით არის სავსე. სიამოვნებით ვათვალიერებდი იქ მშვენიერ ხალიჩებს, დარაიას და აბრეშუმის ქიშმირის მსგავს თერმოლამას, რომელიც თურმე მხოლოდ სპარსეთში,

მზადდება. თუმცა მე არ გამიკვირდებოდა, რომ რუსებს სპარსულ ბანუფაქტურად გაესაღებინათ თავიანთი ფაბრიკის ნაწარმოები. ამას უნდა დავუმატო, რომ ეს მხოლოდ ჩემი აზრია, რომელიც არ არის დადასტურებული ფაქტებით.

მე გამასეირნეს ქალაქში, რომელიც მთლიანად გაშენებულია ხმელი და დამარილებული თევზის საწყობებისათვის; ეს თევზი კასპიის ზღვიდან მოაქვთ მორწმუნე რუსებისათვის, რომელნიც მარხვას ინახავენ. ეს უკანასკნელნი ამ ზღვის მუმიებს დიდი რაოდენობით ნთქავენ: მოსკოვიტების ოთხი თვის მარხულობა ამდიდრებს სპარსეთის და საფათრეთის მაჰმადიანებს. ზღვის ცხოველთა გვამები გაშხლართულია მიწაზე, ჩამოკიდებულია საგანგებო დაზგებზე და ნაწილობრივ დამალულია ხომალდების ტრიუმებში. თუ ამ თევზის სასაფლაოზე ეს გვამები მილიონობით არ ყოფილიყო დაწყობილი, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ საბუნებისმეტყველო ისტორიის კაბინეტში მოხვდით თქო. ახლილ ჰაერზედაც კი ამ თევზებს საშინელი მყრალი სუნი ასდით.

აქ მეტყაველობის ქალაქიც არის. ტყავი ფრიად მნიშვნელოვანი საგანია ბაზრობის საქონლის ბრუნვაში, რადგანაც იგი აკმაყოფილებს მთელი ევროპიული რუსეთის მოთხოვნილებას ამ დარგში. შემდეგ იწყება ქურქების ქალაქი. თქვენს წინაშე აქ ყოველნაირი ცხოველის ქურქია, დაწყებული სიასამურიდან (სობოლიდან), ლურჯი მელიიდან და ზოგიერთ ჯიშის დათვიდან (ხსენებულ ქურქის წამოსასხამები თორმეტი ათასი ფრანკი ჯდება) და გათავებული უბრალო მელიის და მგლის ქურქით, რომლის ფასიც გროშია. ამ განძეულობის სადარაჯოთ აყვანილი ხალხი ღამის სათევ კარავებს აშენებს — ბარბაროსულ იურტებს, რომელნიც ძალიან მხატვრულად გამოიყურებიან. თუმცა ეს ადამიანები ცივ ქვეყნებში ცხოვრობენ, მაგრამ მკირედით კმაყოფილდებიან ისინი ძალიან ღარიბულად არიან ჩაცმულნი და როცა კარგი დარია, ღია ცის ქვეშ სძინავთ. წვიმის დროს კი ძვრებიან რაღაც სოროებში და იმალებიან თავიანთ საქონლის გროვის ქვეშ. ნამდვილი ჩრდილოეთის ლაკარონები ჰრიან, მხოლოდ თავიანთ ნეაპოლელ თანამოძმეებს სიმხიარულეში და უდარდელობაში ჩამოუვარდებიან.

როგორც უკვე აღვნიშნე, ბაზრის შიგნითა ნაწილი ძალიან განსხვავდება ზემოდ აღწერილ მიდამოებისაგან და უფრო ნაკლებად საინტერესოა, ვიდრე ეს უკანასკნელნი. აქ, გარედა ნაწილში ხმაურობენ დროგები, ტაჭკები და სხვადასხვა ჯურის ეტლები, გაისმის ყიჟინა. სიმღერა და ღრიანცელი, ერთი სიტყვით, გაბატონებულია

თავისუფლება და უწესობა. აქ-კი შიგნით, ყველგან წესრიგია, სიმშვიდე და სიწყნარე; აქ გამეფებულია სიცალიერე, წესიერება და პოლიცია—ერთი სიტყვით აქ რუსეთია!

სავაჭროების დაუსრულებელი მწკრივები გაყოფილია ერთი მეორისაგან ფართო ქუჩებით, რომელთა რიცხვი მგონი თორმეტს თუ ცამეტს უდრის. ისინი პირდაპირ ტაძართან და თორმეტ ჩინურ პავილიონთან თავდებიან. ყველა ქუჩებს და სავაჭროებს რომ შემოუარო, ათი ლიე უნდა გაიარო, ასე მითხრეს ყოველ შემთხვევაში. აი ამ წყნარ ოაზისში, სადაც დარაჯობენ ყაზახები, რომელნიც მორიგეობის საათებში სერალის მუნჯ დარაჯებს წააგვანან, ჩვენ თავი შევაფარეთ ბაზრის მიდამოების აურზაურისაგან. აუარებელი თანხები შთანთქა ამ ნიადაგმა, რომელიც ყველაზე გამოსადეგია სრულიად რუსეთის ბაზრობის მოსაწყობად, როგორც ალექსანდრეს, ისე მისი მემკვიდრის მეფობის დროს. არაჩვეულებრივი მცდელობის და სრულიად შეუფერებელი ხარჯების გაწევის წყალობით ბაზრის ტერიტორია ამჟამად დასახლებულია ზაფხულობით, კომერციისათვის კი მეტიც არ არის საჭირო. მაგრამ იგი უწინდებურად მავნებელია ჯანმრთელობისთვის. გვალვის დროს დაფარულია მტვრის სქელი ფენით, ხოლო წვიმის რამდენიმე წვეთით იგი გაუვალ ჭაობად იქცევა.

ამ ბაზრობის მთავარი სავაჭრო მოქმედი პირები ყმა გლეხები არიან. მაგრამ კანონით აკრძალულია კრედიტის გახსნა ყმა გლეხისათვის, თუ იგი ხუთ მანეთს აღემატება. ამიტომ მათთან გარიგება დიდ თანხებზე სიტყვიერად ხდებოდა. ამ მონა-მილიონერებმა, ამ ყმა გლეხებმა წერა-კითხვა არ იციან, მაგრამ ამის საბადლოდ მათ განსაკუთრებული გამჭრიახობის უნარი აქვთ.

რუსეთში ხალხმა არითმეტიკა არ იცის. უძველეს დროიდან იგი აწარმოებს თვლას ძვლების საშუალებით, რომელნიც წვრილ მავთულებზე მოძრაობენ ხის ჩარჩოებში. თვითეულ მწკრივს თავისი ფერი აქვს და ამგვარად განირჩევიან ერთმანეთისაგან ერთეულები, ათეულები და ასეულები და სხვ. ესაა უაღრესად უბრალო და სწრაფი ანგარიშის წესი. ნუ დაივიწყებთ, რომ იმით, ვისაც ეს მონა-მილიონერები ეკუთნიან, შეუძლიანთ ყოველ დღეს და საათს წაართვან მათ ეს ქონება. თუმცა, ასეთი ძალმომრეობის აქტები იშვიათია, მაგრამ ეს შესაძლებელია. იმავე დროს არავის არ ახსოვს, რომ გლეხს მოეტყუებინოს ვაჭრის ნდობა, რომელსაც მასთან სავაჭრო ხასიათის საქმე აქვს დაჭერილი. ამგვარად ყოველ საზოგადოებაში ხალხურ ზნე-ჩვეულებათა პროგრესი ასწორებს საზოგა-

დოებრივი ორგანიზაციების ნაკლს. ამასთანავე მე შეშიძლიან მოვიყვანო ასეთი ჩემს მიერ გაგონილი ამბავი: ვინმე გრაფნა, რომელიც ამჟამად ჯანმრთელად ცოცხლობს (კინალამ წამომცდა: ჯანმრთელად მეფობს მეთქი) „თავისუფლება“ აღუთქვა თავის ერთ-ერთ ყმას და სამოცი ათასი მანეთი მოსთხოვა. რა მოხდა შემდეგ? მან ფული აიღო და გაძარცულ ოჯახს-კი თავისუფლება არ მიაწოდა.

ასეთია პატიოსნების და კეთილსინდისიერების გაკვეთილები, რომელსაც იღებენ რუსის გლეხები არისტოკრატიული დესპოტიზმის და ავტოკრატიული დესპოტიზმის სკოლაში; პირველი სჩაგრავს მათ, და მეორე განაგებს. იმპერატორული ცრუ პატივმოყვარეობა კმაყოფილდება სიტყვებით, გარეგნული ფორმებით და ციფრებით. არისტოკრატიული ძალა-უფლების მოყვარულობა, საქმის ფესვებს უყურებს და იაფად აფასებს სიტყვებს. არსად ისე ძალიან არ მლიქვნელობენ მონარქის წინაშე და ისე ნაკლებად არ ემორჩილებიან მას, როგორც რუსეთში. ბრავის ისე არ ატყუებენ, როგორც ეგრედწოდებულ სრულიად-რუსეთის თვითმპყრობელს. მართალია ურჩობა სახიფათო საქმეა; მაგრამ ქვეყანა თვალუწვდენელი და დიდია, ხოლო უდაბნო სდუმს.

ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზარზე ყველაფერი ძვირია. სამუდამოდ წავიდა ის დრო, როცა ფასების მხრივ დიდი განსხვავება იყო სხვადასხვა რაიონებს და ეხლა ყველგან იციან ფულის ფასი. თათრებმა, რომელნიც ნიჟნი-ნოვგოროდში მიდიან ცენტრალური აზიიდან, რათა ზღაპრულ ფასებში იყიდონ პარიზიდან და ლონდონიდან მოტანილი ფუფუნების საგნები, თავიანთ მხრივ მშვენივრად იციან, რა ღირს მათი საკუთარი საქონელი. და ვაჭრებიც მეტს არ თხოულობენ, თუ მათი ენით ვიტყვით, მაგრამ არც დათმობაზე მიდიან. ისინი იუცილებლად აწესებენ მაღალ ფასებს და მათი პროფესიონალური პატიოსნება იმაში მდგომარეობს, რომ არავითარ შემთხვევაში საქონელი იაფად არ დაუთმონ. ფინანსიური თვალსაზრისით ამ ბაზრობის მნიშვნელობა იზრდება წლიდან წლობამდე, მაგრამ თუ მას, როგორც იმვიათ საქონლის და უცნაურ პირთა კრებულს შევხედავთ, არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ იგი თანდათან უფრო ნაკლებად საინტერესო ხდება. საერთოდ იგი რწმენას უკარგავს იმათ, ვინც აქ მხატვრულ სანახაობას მოელოდა. რუსეთში ყველაფერი დაღვრემილია და დაჭიმული. თვით სულებიც კი დაჭიმულნი არიან ხარისხის მიხედვით. მხოლოდ იშვიათად თუ გადმოხეთქს გარედ ძლიერი გრძნობა და მაშინ ყველაფერი თავდაყირა მიჰქრის. ხან ბატონი ირთავს ყმა—ქალს, ხან ყმები, მისულნი უკიდურეს

მდგომარეობამდე, იჭერენ ბატონს, აგებენ შამფურზე და ნელ ცეცხლზე სწვავენ,. მაგრამ ასეთი პერტურბაციები თითქმის შეუმჩნეველი რჩება• რუსეთში მანძილი დიდია, ხოლო პოლიცია მუდამ ფხიზლად არის. უძლური აფეთქება აქა-იქ არ არღვევს ჩვეულებრივ წესწყობილებას, რომელიც დამყარებულია სევდის და ჩაგვრის უსიტყვო სინონიმზე.

ბინდისას დაბლობი ულფრო მხატვრულ ხასიათს იღებს. ჰორიზონტი ნისლით იბურება და ეს ნისლი შემდეგ ცვარად იქცევა. ჰაერში მფრინავი ქვიშის მტვერი ვარდის ფრად იღებება. თანდათან ჩამობნელებულ ღამის წყვიადში მოსჩანს ფანტასტიური შუქი, მრავალი ფანარი ინთება სავაჭრო ბანაკებში ბაზრის ირგვლივ. ყოველმხრივ მოდის ხმ ურობა. იგი მოისმის შორი-ახლო ტყეებიდან, თვით მდინარეებიდანაც კი, რომელიც ადამიანის ჭიანჭველისებურ სოროდ გადაქცეულა. ადამიანთა რა დიადი თავყრილობაა! რამდენ ენათა აღრევაა! რა კონტრასტებია ზენ-ჩვეულებებისა და ადათებისა! და იმავე დროს რა ერთობაა გრძნობებსა და მისწრაფებებში. ასი ათასობით შეკრებილ ხალხს მხოლოდ ერთი მიზანი აქვს—გამდიდრება. სხვა ქვეყნებში ხალხის სიხარბე დანალულია მისი ბუნებრივი მხიარულების საბურველ ქვეშ. აქ კი ყველაფერზე გაბატონებულია კომერსანტის გაშიშვლებული გაუმაძღრობა.

ღამე ბაზარში ხეტიალის დროს მე ვნახე გაჩაღებული სამიკიტნოები, ბალაგანები, პატარა თეატრები, ყავახანები და საჩაიები მაგრამ ამ მრავალი ცეცხლებით გაჩირაღდნებულ ადგილებიდან მხოლოდ დაშხული, ყრუ ხმაურობა მოისმოდა. კონტრასტი ამ ძლიერ ილუმინაციებსა და ადამიანთა სიჩუმეს შორის განსაცვიფრებულია და პირდაპირ ზებუნებრივად მოგეჩვენება. თქვენ გარს გახვევიათ ხალხი, თითქოს მ ოჯადოებული ჯადოქარის თილისმური ჯოხით.

ხომალდის ანძების ხშირი ტყე ორი მხრივ საზღვრავს თქვენ მთვალწინ გაშლილ სანახაობას და ზოგიერთ ადგილას ცას ჰფარავს. ესამე ხრივ დაბლობია, რომელიც კიაფობს დაუსრულებელ ფიჭვნარში. თანდათან ცეცხლები კლებულობს და ბოლოს სრულიად ჰქრება. წყვდიადი და დუმილი ჩამოდის დიდა-მიწაზე. ყველაფერი რაც კი უდაბნოს ეხლახან აცოცხლებდა მოძრაობით და ფერებით, დავიწყებას ეძლევა და თითქოს აღარ არსებობს. ბუნდოვანი მოგონებანი სცვლიან ჭრელ სურათს, და ყარიბი მგზავრი პირისპირ რჩება რუსის პოლიციასთან, რომელიც ღამის წყვდიადს უფრო საშინლად ხდის. ასე გგონია, თითქო დღის შთაბეჭდილება ხხოლოდ ცხადში ნახული სიზმარი იყო და თქვენ ღამ ს გასათევ ბინაში მიდიხართ, აღვსილი პოეზიით, ე. ი. ბუნდოვანი შიშით და მძიმე წინაგრძნობებით.

თავი XXVI

ფულის რეფორმა.—გუბერნატორი „მშვიდად“ ებაასება ვაჭრებს. — დეკპოტური თ. ღლითობა — იმპერატორი იწყებს ნიჟნი-ნოვგოროდის გადაკეთებას. — ბატონები და ყმები. მართლმსაჯულების უქონლობა. — ჯაშუში—მცველი. — ისტორიის ფალსიფიკაცია. — ნიჟნი-ნოვგოროდის სამხედრო ბანაკები.

წელს, ბაზრობის გახსნის დღეს გუბერნატორმა მიიწვია ცნობილი რუსი კომერსანტები, რომელნიც შეკრებილნი იყვნენ ნიჟნი-ნოვგოროდში, და დაწვრილებით აღნიშნა მათ წინაშე უკვე დიდი ხნის ცნობილი და ფრიად სიმწუხარო ეხერბულობანი, რომელნიც გამომდინარეობენ იმპერიაში არსებული ფულის სისტემიდან. როგორც მოგეხსენებათ, რუსეთში აღებმ-ცემობის საშუალებათ, ერთის მხრივ ქაღალდის ფული არსებობს, ხოლო მეორის მხრივ ვერცხლის მანეთი. ძაგრამ, თქვენ შეიძლება არ იცოდეთ, რომ ამ უკანასკნელის ღირებულება განუწყვეტლივ იცვლება, მაშინ, როდესაც ასიგნაცია ერთსა და იმავე ღირებულებას ინარჩუნებს; ესაა უცნაურობა, რომელსაც არ მოეპოვება ანალოგია ფინანსიურ ისტორიაში. აქედან გამომდინარეობს ის, რომ რუსეთში ნამდვილი ფული ასიგნაციაა, მაშინ, როდესაც იგი შემოღებული იყო ვერცხლის სურაგატის სახით და ასეც ითვლებოდა კანონით, გუბერნატორმა მოახსენა ყველაფერი ეს თავის მსმენელებს და დასძინა, რომ იმპერატორმა, თავის ქვეშევრდომთა კეთილდღეობაზე მუდმივი ზრუნვის გამო, გადასწყვიტა ბოლო მოუღოს ამ ფინანსიურ არევ-დარეკას, რომელიც იმპერიის ვაჭრობა-მრეწველობის საფუძვლებს დანგრევას უქადის: ერთად ერთი საშუალება ამ ბოროტების წინააღმდეგ არის ვერცხლის მანეთის ღირებულების საბოლოო და ურყევი განმტკიცება. იმპერატორის უქაზმა ეს რევოლუცია,—ქაღალდზე, ყოველ შემთხვევაში, — ერთ დღეში მოახდინა. და გუბერნატორმა დაამთავრა თავისი სიტყვა მოწოდებით დაუყოვნებლივ განხორციელებელ იქნეს რეფორმა, რომლის გატარება ცხოვრებაში მინდობილი აქვს მას, გუბერნატორს, და იმპერიის ყველა მოსამსახურე პირებს. გუბერნატორი იმედოვნებდა, რომ ვერავითარა პირადი ხასიათის მოსაზრებანი ვერ დასძლევენ მონარქის ნებისადმი დაუყოვნებლივ და უსიტყოდ დამორჩილების მოვალეობას.

ბრძენი ექსპერტები უპასუხებდენ, რომ ეს ლონისძიება, საუცხოვო თავისთავად, შეიძლება დამლუპველი იყოს უაღრესად შეძლებული ვაჭრებისათვის, თუ რომ მას უკვე დადებულ გარიგებებზე გაავრცელებენ, რომელთა ძალითაც ფულის გადახდა ამ ბაზრობის დროს უნდა მოხდეს. ისინი ლოცავდენ ხელმწიფეს და მუხლს იყრიდნენ მისი უაღრესი სიბრძნის წინაშე, მაგრამ იმავე დროს მიუთითებდენ გუბერნატორს იმ ვარემოებაზე, რომ იმ ვაჭრებს, რომლებმაც გაყიდეს საქონელი უწინდელ მანეთებზე, შეიძლება დიდი ზარალი მოუვიდეთ, თუ რომ მათ ახალი ფულის ერთეულებით გადუხდიან დავალიანებას, თუმცა ეს გადახდა კანონიერი იქნება ახალი ბრძანების მიხედვით. ამიტომ, ამბობდენ ვაჭრები, ამ ბრძანებას მრავალი ნაწილობრივი და სრული გაკოტრება მოჰყვება შედეგად, თუ მას უკუქცევითი მოქმედება ექნებაო.

მოისმინა რა ნეგონციატების აზრი, გუბერნატორმა უაღრესი სიმშვიდით განუცხადა დამსწრეთ, რომ მას კარგად ესმის ბ. ვაჭრების შიში, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ფინანსიური რეფორმის ასეთი სამწუხარო შედეგები საფრთხეს წარმოადგენენ მხოლოდ ზოგიერთ კერძო პირისთვის, რომელთაც საკმაოდ იცავს არსებული კანონი ბანკროტების წინააღმდეგ; ბრძანების შესრულების გადადება კი მოასწავებს წინააღმდეგობის გაწევას და მას უფრო სახიფათო შედეგები მოჰყვება, ვიდრე რამდენიმე კერძო პირის გაკოტრება. ასეთი მაგალითი, მიცემული იმპერიის ყველაზე მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრის მიერ, ლახვარს ჩასცემდა სახელმწიფოს უაღრესად სასიცოცხლო ინტერესებს. იგი არსებული წესწყობილების საფუძვლის დანგრევის მომასწავებელი იქნებოდა. ამიტომ, დასძინა გუბერნატორმა, ვიმედოვნებ, რომ ბატონი კომერსანტები შეეცდებიან მთელი ძალღონით აიცილონ თავიდან ის საყვედური, რომ სახელმწიფო ინტერესებს ისინი მსხვერპლად სწირავენ თავიანთ კერძო ინტერესებსო.

ამ მეგობრული ბაასის შემდეგ გაიხსნა ბაზრობა აღნიშნული უქაზის უკუქცევითი მოქმედების ნიშანს ქვეშ; ეს ბრძანება გამოქყეყნებულ იქნა საჯაროდ იმპერიის პირველ ნეგოციანტებისაგან თანხმობის და სათანადო დაპირების მიღების შემდეგ.

ყველაფერი ეს მიამბო თვით ბატონმა გუბერნატორმა, რათა ჩემთვის დაემტკიცებინა, თუ რა რბილად მუშაობს ადმინისტრატიული მანქანა დესპოტური მთავრობისა, რომელსაც ასე ლანძღავენ და ცილსა სწამებენ ევროპის ლიბერალურ ქვეყნებში.

მე ვკითხე აზიური პოლიტიკის ჩემ უცილობელ და თავაზიან

მასწავლებელს, როგორი იყო შედეგი მთავრობის ღონისძიების და მისი გმირული განხორციელებისა ცხოვრებაში მეთქი.

— მან ყველა ჩემ მოლოდინს გადააჭარბა — მიპასუხა გუბერნატორმა კმაყოფილებით, — არც ერთი გაკოტრება არ ყოფილა, ყველა ახალ გარიგებებს ახალი ფულის სისტემის მიხედვით სდებდნენ. მაგრამ ყველაზე გასაკვირვალი ის არის, რომ არც ერთ მოვალეს არ უსარგებლია კანონის მიერ მინიჭებულ შესაძლებლობით გადაეხადა ძველი ვალები ბორიტად ზარალის მიყენებით კრედიტორისათვის. უნდა ვალიარო, რომ ასეთმა შედეგმა თავდაპირველად გამაკვირვა, მაგრამ, როდესაც დავფიქრდი, მე დავინახე აქ ჩვეულებრივი რუსული ცბიერება: კანონი გამოქვეყნდა და მას ეშორჩილებიან... ქალალდზე. მთავრობისათვის ეს საკმარისია. თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა რუსეთში შეიძლება ორიოდე სიტყვით ასე განვმარტოთ: ეს ის ქვეყანაა, სადაც მთავრობა იმას ამბობს, რაც სურს, რადგანაც მხოლოდ მას აქვს ლაპარაკის უფლება. ამ შემთხვევაშიაც მთავრობა ამბობს: „აი კანონი, დაემორჩილეთ", მაგრამ დაინტერესებულ მხარეთა უსიტყვო შეთანხმება აბათილებს კანონის იმ მუხლებს, რომელთა გავრცელებაც ძველ ვალებზე აშკარა უსამართლობა იქნებოდა. ამგვარად, ქვეშევრდომთა მოხერხება და გამჭრიახობა ასწორებს ხელისუფლების უხეშ და სასტიკ შეცდომებს.

მე გაჩუმებული ვიყავი და ვხედავდი, რომ ბუტურლინი სტკბებოდა ჩემი განცვიფრებით.

— შეუძლებელია წარმოდგენა იქონიო იმპერატორის სიდიადეზე, — განაგრძო გუბერნატორმა, — ვიდრე არ იხილავ მისი მოღვაწეობის ნაყოფს განსაკუთრებით აქ ნიჟნი-ნოვგოროდში, სადაც მისი უდიდებულესობა სასწაულებს ახდენს.

— მე ქედს ვიხრი, — ეუპასუხე, — მონარქის შორსგამჭრიახობის წინაშე.

— თქვენი პატივისცემა უფრო გაორკეცდება, როდესაც ჩვენ ვნახავთ სამუშაოებს, რომელიც სწარმოებს მისი უდიდებულესობის ბრძანებით ხომ ხედავთ, რომ ფულის სისტემის მოწესრიგება, რომელიც ყოველ სხვა ქვეყანაში დიდ ძალ შრომას და ჯაფას მოითხოვდა, ჩვენში მეჯის ენერგიის და ფართო შეხედულების გამო, თითქოს ჯადოსნური სისწრაფით ხდება.

ადმინისტრატორი-კარისკაცი მორცხვობდა და არ აღნიშნავდა თავის დაბსახურებას ამ საქმეში. გარდა ამისა მან არ მომცა დრო იმის გაბმეორების, რასაც ბოროტი ენები ჩუმად ამბობენ, სახელდობრ, რომ ფინანსიური ოპერაცია, ჩატარებული ეხლა რუსე

თის მთავრობის მიერ, უზენაეს ხელისუფლებას დიდ სარგებლობას აძლევს; ამის შესახებ ხმა მაღლა ვერავინ ბედავს ლაპარაკს, მაგრამ მან უნდა აუნაზღაურის ხელმწიფის კერძო ბახინას ის თანხები, რომელიც ამოღებულია იქიდ ნ ხამთრის სასახლის ასაშენებლად თავის დროზე მეფემ უარჰყო დიდსულოვნად (ამან განცვიფრებაში მოიყვანა დასავლეთი ევროპა და რუსეთი) წინადადება მთელი რიგ ქალაქებისა და კერძო პირებისა, რომელნიც ერთმანეთს ეცილებოდნენ თავიანთი წვლილის შეტანაში არქიტექტურის ამ ნაციონალური ძეგლის რეკონსტრუქციისათვის—ნაციონალურის, რადგანაც იგი მონარქის რეზიდენციაა. ეხლა-კი მეფემ ასკეცად აინაზღაურა თავისი კეთილშობილი საქციელი.

ამ დესპოტური თაღლითობის მაგალითის მიხედვით თქვენ შეგიძლიანთ განსაჯოთ, რა დაბლა აფასებენ აქ სიმართლეს და როგორ არ უნდა ენდო მაღალ, მყვირალა ფრაზებს მოვალეობაზე და პატრიოტულ გრძნობების შესახებ. რათა რუსეთში იცხოვრო, საკმარისი არ არის დამალო შენი აზრები—უნდა თვალთმაქცეობდე კიდეც. პირველი სასარგებლოა, მეორე-კი—აუცილებელი.

გუბერნატორმა თავისი სიტყვა შეასრულა. მან დეტალურად მიჩვენა ყველა სამუშაოები, რომელსაც აწარმოებენ ნიჟნი-ნოვგოროდში იმპერატორის ბრძანებით და რომელსაც მიზნად დასახული აქვს ამ ქალაქის ისტორიის მიერ დაშვებულ შეცდომათა გასწორება. ოკას ნაპირიდან ქალაქის ზემო ნაწილში მშვენიერი ქუჩა იქნება გაყვანილი. ამისათვის საჭირო იქნება ხევების მიწით ამოვსება, მაღალი ფერდოების გასწორება და კლდეების აფეთქება. ვეებერთელა მიწის ქვეშ ალმართული ნაგებობანი დაიცავენ მოედნებს, ქუჩებს და სხვადასხვა შენობებს. ხიდები, ეკსპლანადები და აივნები ერთ მშვენიერ დღეს ნიჟნი-ნოვგოროდს რუსეთის ულამაზეს ქალაქად გადააქცევენ. ყველაფერი ეს გრანდიოზულია! მაგრამ აი რა ახდენს პირიქით კომიკურ შთაბეჭდილებას: გუბერნატორმა უნდა წარუდგინოს ხელმწიფეს დამტკიცებული გეგმების სულ უმნიშვნელო ცვლილებებიც-კი, და აგრეთვე ყოველი ნაგებობის თვითეული დეტალი, ან და ყოველი შენობის ფასადის ცვლილება. „რა ადამიანია!"—გაიძახიან რუსები. . . „რა ქვეყანაა!—"ვიტყოდი მე, გაბედულობა რომ მქონდეს.

გზაში ბუტურლინმა გადმომცა ფრიად საინტერესო ცნობები რუსულ ადმინისტრაციაზე და იმ გაუმჯობესებათა შესახებ, რომელიც ყოველ დღე შეაქვს ყმების მდგომარეობაში ზნე ჩვეულებათა და ადათების საერთო პროგრესს რუსეთში. ამ ჟამად ყმას მიწის შე-

ძენაც-კი შეუძლიან თავის ბატონის სახელზე, რომელიც არ დაარღვევს მორალურ ვალდებულებას, დამაკავშირებელს შეძლებულ მონასთან. ამ უკანასკნელის შრომის და მომჭირნეობის ნაყოფის წართმევა ხელისუფლების ბოროტად გამოყენება იქნებოდა, რომელსაც ვერ გაბედავდა ვერც ერთი დესპოტური „ბოიარინი“ იმპერატორ ნიკოლოზის მეფობის დროს. მაგრამ ვინ არის იმის თავმდები, რომ იგი არ გაბედავს ამას სხვა მონარქის დროს? ვინ დამიმტკიცებს იმას, რომ თვით უაღრესად სამართლიან (ბეტურლინის სიტყვით) მეფის დროს არ მოიპოვებიან გაუმაძღარი მონათმფლობელნი, რომელნიც აშკარად არ სძარცვავენ თავიანთ ყმებს; მაგრამ ჩუმად და შეუმჩნევლად ითვისებენ მათ სიმდიდრეს?

კაცმა რუსეთში უნდა დაჰყოს, რომ შეაფასოს დაწესებულებათა მნიშვნელობა, რომელნიც იცავენ მოქალაქეთა თავისუფლებას მონარქების ამა თუ იმ სულიერ თვისების დამოუკიდებლად. მართალია, გაღარიბებულ მემამულეს შეუძლიან თავისი სახელით დაიცვას გამდიდრებული ყმა-გლეხი, რომელსაც კანონი ნებას არ აძლევს იქონიოს მიწის სულ მცირეოდენი ნაკვეთი და საკუთარი შრომით ნაშოვი ფულიც-კი. მაგრამ ეს ორაზროვანი მფარველობა საესებით დამოკიდებულია მფარველის სურვილებზე. ეს ურთიერთობა ბატონსა და ყმას შორის თავისებურია. ძნელად დასაჯერებელია იმ საზოგადოებრივი წყობილების ხანგრძლივობა, რომელმაც ასეთი უცნაური სოციალური ურთიერთობანი წარმოშობა. და მიუხედავად ამისა, ეს წყობილება მაინც მტკიცეა.

√ რუსეთში არაფერს თავის სახელი არ ჰქვიან, — სიტყვებს და სახელებს მხოლოდ შეცდომაში შეჰყავთ ადამიანი. თეორიაში ყველაფერი ისეა მოწესრიგებული, რომ კაცი ამბობს თავის გულში: „ასეთ რეჟიმის დროს შეუძლებელია ცხოვრება“. ხოლო პრაქტიკაში იმდენი გამონაკლისი არსებობს, რომ, როდესაც ხედავთ მათ მიერ წარმოშობილ ზნე-ჩვეულებათა არევ-დარევას, თქვენ მზად ხართ წაკოიძახოთ: „ასეთ მდგომარეობაში შეუძლებელია მართვა-გამგებლობა!“

ფრიად თავაზიანი ნიჟეგოროდელ გუბერნატორის სიტყვით ამაზე ადვილი არაფერია. ხელისუფლებით ბოროტად სარგებლობის შემთხვევები ძალიან იშვიათია სწორედ კანონების უკიდურესი სისასტიკის გამო, რაზედაც დამყარებულია საზოგადოებრივი წესწყობილება. ყველას ესმის, რომ, თუ გინდა პატივისცემა შეინარჩუნო ამ სახელმწიფოს მთლიანობის დასაცავად აუცილებელი კანონებისადმი, მათ იშვიათად და ფრთხილად უნდა მიჰმართო. აი ამიტომ ხელისუფლების ყველა წარმომადგენელნი იშვიათად მიჰმართავენ უკიდუ-

რეს ზომებს. მაგალითად, თუ რომელიმე მემამულე არა საკიდრის საქციელს ჩადის, გუბერნიის უფროსი არა ერთხელ და ორჯერ აძლევს მას შენიშვნას კერძოდ, ვიდრე იგი ოფიციალურად ჩაერეოდეს საქმეში. თუ რომ ან არ იმოქმედა, აზნაურული სასამართლო გაფრთხილებს მემამულეს მეურვის დანიშვნით და, თუ გაფრთხილებამაც არ იმოქმედა სათანადოდ, იგი თავის მუქარას განახორციელებს.

მთელი უთვალავი წინასწარ გაფრთხილებანი მე ძალიან სანუგეშებლად არ მიმაჩნია ყმა-გლეხისათვის, რომელიც მოასწრობს ასჯერ სიკვდილს როზგის ქვეშ, ვიდრე მის ბატონს, ჯეროვანად გაფრთხილებულს და ჭეშმარიტ გზაზე დაყენებულს, აიძულებენ ანგარიში მისცეს ყველა მის მიერ ჩადენილი სიმკაცრისა და სისაძაგლისთვის. მართალია, მემამულეც, გუბერნატორიც და მოსამართლეც შეიძლება მეორე დღესვე გადასახლებულ იქნენ ციმბირში, მაგრამ ასეთი, ძალიან იშვიათად განხორციელებული შესაძლებლობა მე უფრო უბედური ხალხის დამშვიდების საშუალებად მიმაჩნია, ვიდრე ნამდვილ გარანტიად ძალმომრეობის წინააღმდეგ.

რუსეთში დაბალი კლასები იშვიათად მიჰმართავენ სასამართლოს თავიანთი საჩივრების გადასაწყვეტად. ასეთი ინსტიქტური უნდობლობა სასამართლოსადმი მე მიმაჩნია მსაჯულთა უსამართლობის უტყუარ ნიშნად. სასამართლოს პროცესების მცირერიცხოვანობა შეიძლება შედეგი იყოს ორი მიზეზისა: ან ქვეშევრდომთა სამართლიანობისა, ან და მსჯაულთა უსამართლობისა.

რუსეთში თითქმის ყველა საჩივრები ადმინისტრაციის ჩარევით თავდება, რომელიც ურჩევს მხარეებს მორიგებით გაათავონ საქმე, რაც ერთნაირად მძიმეა და არა ხელსაყრელი ორივე მხარისათვის. ამიტომ მოდავე მხარეები ცდილობენ არ მიმართონ სასამართლოს და უპირატესობას აძლევენ ნებაყოფლობით შეთანხმებას, იმ შემთხვევებშიაც-კი, როდესაც იგი დაკავშირებულია უაღრესად კანონიერ პრეტენზიების დათმობის აუცილებლობასთან, ვინაიდან ასეთი გამოსავალი უკეთესია, ვიდრე სასამართლოს მიერ საქმის გაჭიანურება. აქედან ცხადია, თუ რა ნაკლები საბუთი აქვთ რუსებს იამაყონ სასამართლოს პროცესების იშვიათობით ამ ძალმომრეობის და თვითნებობის ქვეყანაში.

გუბერნატორმა მოისურვა აუცილებლად ეჩვენებინა ჩემთვის მთელი ბაზრობა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ დავკმაყოფილდით მხოლოდ ჩქარა ეტლით გასეირნებით ამ ბაზრისაკენ. მე მოვასწარი დავმტკბარიყავი მშვენიერი სურათით, რომელსაც წარმოადგენდა რუსეთის ვაჭრობის ცენტრის მთელი ეს ტერიტორია, პანორამა გადა-

ბლილი ჩვენს წინაშე ერთ-ერთი ჩინური პავილიონის მაღლობიდან, მართლაც რომ საუცხოვო იყო.

მეორე დღეს გუბერნიის სტუმართმოყვარე უფროსმა შემოიარა ჩემთან თავისი ეტლით, რათა ჩემთვის ძველი ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები ეჩვენებინა. მას თან ახლდენ მისი მსახურნი, და ამან დამიხსნა ახალ უსიამოვნებისაგან ჩემ ფელდიეგერის მხრივ, რომლის პრეტენზიებიც გუბერნატორს სამართლიანად მიაჩნია. ჩემი ფელდიეგერი, რომელსაც ამასთანავე იშვიათად არასასიამოვნო სახე აქვს, პირდაპირ მეზიზღება. მე მდევნის ის აზრი, რომ მისი სახით ბიელინებული მყავს ჯაშუში-მცველი, რომლისაც ეშინიან თვით ყოველად შემძლე გუბერნატორს. თუ არ შიშით, მაშ რითი უნდა აიხსნას ამგვარი უკნაურობა, რომ ხელისუფლების ამ უმაღლეს წარმომადგენელს ვერ გაუბედნია უბრძანოს შიკრიკს დაიკავოს ადგილი ეტლში თავისი სამსახურის მიხედვით? ჩვენ ამ საათში დავინახავთ, რომ თვით სიკვდილიც-კი არ არის თავდები მოსვენებისა ამ უბედურ ქვეყანაში, რომელიც დაუსრულებლივ იტანჯება ძალმომრეობით და თვითნებობით.

მინინი, რუსეთის განმათავისუფლებელი, რომლის ხსოვნასაც განსაკუთრებით თაყვანსა სცემენ ფრანგების შემოსევის შემდეგ, დამარხულია ნიჟნი-ნოვგოროდში. მისი საფლავი იმყოფება ტაძარში უდელის თავადების საფლავთა შორის. მინინის და პოჟარსკის დროშა,—რელიკვია უაღრესად პატივცემული რუსეთში,—შენახული იყო სოფელში იაროსლავსა და ნიჟნის შორის. ათას რვაას თორმეტ წელს, როდესაც საჭირო იყო ჯარისკაცების ენტუზიაზმის გაღვივება, ეს დროშა გაგზავნეს არმიაში, ამასთანავე საჯაროდ აღუთქვეს მის შემნახველებს, რომ საჭიროების შემდეგ იგი კვლავ დაბრუნებული იქნებოდა თავის ადგილას. მაგრამ, გამარჯვების შემდეგ ეს დროშა, წინაალმდეგ დაპირებისა, მოთავსებული იქნა მოსკოვის კრემლში შესანახად, ხოლო მოტყუებულ გლეხებს მისცეს სასწაულმომქმედი დროშის ასლი; ამასთანავე მათ თავაზიანად განუმარტეს, რომ ეს ასლი ზუსტად შეესაბამება ორიგინალს, აი კარგი ნიმუში რუსეთის მთავრობის პატიოსნობისა.

ეს კიდევ ცოტაა. ისტორიულ ჭეშმარიტებას რუსეთში მეტ პატივს არა სცემენ, ვიდრე ფიცის სიწმინდეს. ქვის სინამდვილის დადასტურება აქ ისევე შეუძლებელია, როგორც ზეპირი ან წერილობით სიტყვის უტყუარი არსებობა. ყოველ მონარქის დროს ხდება შენობების შეკეთება ახალი ბრძანებლის სურვილების მიხედვით. და ამ ყველაფრის მანიის გამო, რომელსაც ცივილიზაციის, პრო-

გრესის ამაყ ტიტულს აძლევენ, არც ერთი ნაგებობა არ რჩება იმ ადგილას, სადაც იგი მის დამაარსებელს აღუმართავს. მეფის კაპიტელების ქარიშხალი საფლავებსაც-კი არ ინდობს. იმპერატორი ნიკოლოზი, რომელიც მოსკოვის არქიტექტორის როლს ჩეძულობს და კრემლს ხელახლად თავის გემოვნებაზე გეგმავს, ახალი კაცი არ არის ამ საქმეში. ნიჟნიმ უკვე იხილა იგი მუშაობის დროს.

როდესაც დღეს ტაძარში შევედი, რალაც აღელვება ვიგრძენი იქ არსებულ სიძველეთაგან. რადგანაც ამ ტაძარში განისვენებს მინინის ნეშტი, მე მეგონა, რომ მისთვის ხელი არ უხლიათ სულ ცოტა ორას წელს მაინც. და ეს რწმენა უფრო აძლიერებდა ჩემს პატივისცემას ძველი შენობისადმი. ფოკრძალებით და დუმილით ვიდექით ჩვენი გმირის აკლდამის წინაშე.

— ეს, უეჭველად ყველაზე მშვენიერი და და საინტერესო ეკლესიაა, რომელიც მე ვხახე თქვენს ქვეყანაში, ვუთხარი გუბერნატორს.

— იგი მე ავაშენე, — მიპასუხა ბუტურლინმა.

— როგორ? რა გინდათ ამით სთქვათ? ალბად მისი რესტავრაცია მოახდინეთ?

— არავითარი ამის მსგავსი: ძველი ეკლესია სრულიად დაძველდა და იმპერატორმა საჭიროდ ჩასთვალა შეკეთების მაგიერ მისი ხელახლად აშენება. ჯერ კიდევ ამ ორი წლის წინად იგი ორმოცდაათი ნაბიჯის მოშორებით იდგა, გამოწეული იყო წინ, და არღვევდა ჩვენი კრემლის დაგეგმვის სისწორეს.

— მინინის ნეშტი?! — შევძახე მე.

— ამოთხარეს ისევე როგორც თავადების ნეშტი. ეხლა ისინი განისვენებენ ახალ ადგილას, რომელსაც თქვენ ამ წუთში ათვალიერებთ 37).

მე თავი შევიკავე რეპლიკისაგან, რათა რევოლუცია არ მომეხდინა იმპერატორის ერთგული მსახურის გონებაში; დუმილით გავყე მას და განვაგრძობდი ნიჟნი-ნოვგოროდის კრემლის დათვალიერებას.

აი როგორ ესმით აქ მიცვალებულთა ხსოვნა, სიძველის ძეგლებისადმი პატივისცემა და მშვენიერ ხელოვნებათა კულტი. მაგრამ, რადგანაც იმპერატორმა იცის, რომ ყველაფერი ძველებური განსაკუთრებულ პატივიაცემას იწვევს, მას სურს, რომ გუშინ აშენებული ეკლესიაცპ ატივისცემით იხსენებოდეს, როგორც ძველი ეკლესია. როგორ იქცევა იგი? ძალიან უბრალოდ: იგი ძველია, — ამბობს ი პერატორი, — და ეკლესიაც ძველი ხდება. ახალი ტაძარი ნიჟნი-ნოვგოროდში ძვე-

ლიან, და, თუ თქვენ ეჭვი გეპარებათ ამ ჭეშმარიტებაში, მეამბოხე ყოფილხართ.

კრემლიდან გამოსვლის შემდეგ გუბერნატორმა წამიყვანა ბანაკში: პარადების და მანევრების მანიას რუსეთში მასიური ავადმყოფობის ხასიათი აქვს. გუბერნატორები, ხელმწიფის მსგავსად, ჯარისკაცების თამაშობაში ატარებენ დროს. მათი ყველაზე საყვარელი გართობა სამხედრო ვარჯიშობის ხელმძღვანელობაა, და რაც უფრო მეტი ჰყავთ ჯარისკაცები, მით უფრო ამაყობენ თავიანთი მსგავსებით იმპერატორთან ამ მხრივ. ნიჟნის მიდამოებში დაბანაკებული არიან რაზმები, რომელნიც ჯარისკაცების შვილებისაგან შესდგებიან. ექვსასი კაცი ლოცვას გალობდა და მოახლოვებულ დაისში მონების ეს გუნდი სულს აღელვებდა. ხოლო შორიდან ყრუდ მოისმოდა თოფის ხმა, რომელიც თავისებურად ბანს აძლევდა რელიგიურ საგალობლებს.

თავი XXVII

იმპერიის გამხრწნელი სენი. — მონობა. — კიუსტინს აგონდება ანეკდოტები. — რეპეტიტორი — როტმისტრი. — სამწუხარო წასვლა ნიჟნიდან. — „რად არის ავად?“ — ქალაქი ვლადიმირი, — კანცელარიის წიაღი. — ისევ მოსკოვში. — ხელმწიფის შეხვედრა, — ბოროდინოს დღესასწაული.

გლეხთა მოძრაობა მატულობს: კაცს ყოველდღე ესმის ცეცხლის გაჩენის და მემამულეების მკვლელობის ამბავი. ამ დღეებში გადმომცეს ერთი გერმანელის მკვლელობის შესახებ, რომელმაც ამას წინად მამული შეიძინა და ფიქრობდა აგრონომიულ გაუმჯობესებათა შემოღებას თავის მამულში. მაგრამ, ვიდრე თქვენამდე მოაღწევდეს ამბავი ამ გვარ შემთხვევაზე, იმდენი დრო გადის, რომ იგი უკვე დიდი ხნის წარსულ ამბვად გეჩვენებათ, და ეს გარემოება ასუსტებს შთაბეჭდილებას. და გარდა ამისა, რაც უნდა მრავალრიცხოვანი იყოს ამგვარი ამბები, ეს უკანასკნელნი განცალკევებულ მოვლენებს წარმოადგენენ. საერთოდ, სახელმწიფოს სიმშვიდე არ ირღვევა, ძლიერი შეხლა-შემოხლა არ ხდება და ალბად კიდევ დიდ ხანს არ იქნება. მე უკვე ვამბობდი, რომ ქვეყნის დიდი სივრცე და მთავრობის მიერ შეთავსებული გაჩერების პოლიტიკა ხელს უწყობს ხალხის დამშვიდებას. დაუმატეთ ამას არმიის ბრმა მორჩილება: ჯარისკაცებზე „დაიმედება“ დამყარებული გლეხურ მასების სრულ უვიცობაზე. ხოლო ეს უვიცობა თავის მხრივ მიზეზია მრავალი სენის, რომელიც ხრწნის იმპერიას და არავინ იცის, როგორ დააღწევს თავს ნაცია ამგვარ მოჯადოვებულ წრეს. შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, რა სასჯელი მოელით დანაშაულებს! ოუმცა მთელ რუსეთს ხომ ვერ გდაასახლებენ ციმბირში! შესაძლებელია სოფლების გადასახლება, მაგრამ შეუძლებელია მთელი გუბერნიების გაძევება.

გაკვრით აღვნიშნავ ცნებათა თავისებურ აღრევას, რომელიც მტკიცედ ჩანერგილია რუსის ხალხის გონებაში ბატონყმობის გამო. ასეთი წესწყობილების დროს (თუ-კი მონობას საერთოდ შეიძლება ეუწოდოთ „წესწყობილება“) ადამიანი გრძნობს მჭიდრო კავშირს მიწასთან, რადგანაც მას მიწასთან ერთად ჰყიდიან. და იმის აღია-

რების ნაცვლად, რომ იგი მიმაგრებულია მიწაზე, რომ იგი, ასე ვთქვათ, ეკუთნის მიწას, რომლის საშუალებითაც სხვები განაგებენ მას, როგორც ნივთს, ამის ნაცვლად გლეხი ფიქრობს, რომ მიწა მას ეკუთნის. რასაკვირველია, ასეთი კონცეპცია არსებითად ოპტიკური ილუზიაა, ვინაიდან, თუმცა მას თავისი თავი მიწის მფლობელად მიაჩნია, მაინც ვერ წარმოუდგენია, რომ შესაძლებელია მიწის გაყიდვა ამ მიწაზე დასახლებულთა გაუყიდავად. ამიტომ ყოველ ახალ ბატონის ხელში გადასვლის დროს გლეხი იმას-კი არ ამბობს, რომ მიწა ახალ ბატონს მიჰყიდეს, არამედ' წარმოდგენილი ისე აქვს, რომ ჯერ თვით იგი გაჰყიდეს და უკვე შემდეგ, რაღაც აუცილებელი დამატების სახით, გადასცეს მისი საკუთარი მიწა, სადაც იგი დაიბადა და რომელსაც იგი ამუშავებს თავისი ხელით.

უფსკრული მონასა და ბატონს შორის აქ იმდენად დიდია, რომ ამ უკანასკნელს პირდაპირ თავ-ბრუ ესხმის. იგი იმდენად მაღლა დგას უბრალო მომაკვდავებზე, რომ თავისი თავი სხვანაირ ცომისაგან გაკეთებულად მიაჩნია, ვიდრე დანარჩენი „უბრალო" ხალხი. ამის კარგ ილუსტრაციას იძლევა შემდეგი მაგალითი.

ერთი ფრიად შეძლებული რუსის „ბარინი" იტალიიდან გერმანიაში მიდიოდა. გზაში, რომელიღაც ქალაქში იგი ძალიან ავად გახდა. დაუძახეს საუკეთესო ადგილოგრივ ესკულაპს. ავადმყოფი ჯერ დაემორჩილა წამლობის წესს, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც მიუხედავად წამლობისა ავადმყოფობამ უმატა, მას უკვე შობეზრდა ეს და დაჰკარგა მოთმინება.

იგი წამოვარდა ლოგინიდან და შეჰყვირა ხმა-მაღლა: „არ მესმის, როგორ მწამლობს ეს შარლატანი! უკვე სამი დღეა წამლებით მბერავენ, და სულ ამაოდ! ეს რა ექიმი მომგვარეს? მან ალბად არ იცის, ვინ ვარ მე!"

რა კი ანეკტოდები დავიწყე, მე მინდა კიდევ ერთი ანეკდოტი გიამბოთ, თუმცა სულ სხვაგვარი, მაგრამ მაინც ფრიად დამახასიათებელი. იგი გვიჩვენებს, რა ბავშური მსჯელობაა გამეფებული რუსულ საზოგადოების მაღალ წრეში. ეს ამბავი მოხდა ერთი ცნობილი და მდიდარი რუსი „ბარინ"-ის მამულში მოსკოვის ახლო; იგი ხანში შესული კაცი იყო და მთელი ოლქის პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული. ამ მამულში დაბანაკებული იყო ჰუსართა ესკადრონი თავისი ოფიცერით. მოახლოვებული იყო აღდგომა, რომელსაც რუსები დიდი ზეიმით დღესასწაულობენ. ოჯახის ყველა წევრები, და აგრეთვე მათი მეგობრები და მეზობლები ესწრებიან წირვას სწორედ შუაღამისას. მაგნატი, რომელზედაც აქ ლაპარაკია, ამ

დღეს ბევრ სტუმარს მოელოდა, მით უმეტეს რომ სულ ეხლახან მშვენივრად შეაკეთა სამრეკლო ეკლესია.

ამ დღესასწაულის ორი-სამი დღის წინ იგი ილვიძებს შუალამისას, ცხენების და ეტლის თვლების ხმაურზე. მისი სასახლე, როგორც ეს ჩვეულება გავრცელებულია რუსეთში, პატარა ტბის ნაპირას სდგას. ეკლესია ტბის მეორე ნაპირას მდებარეობს, ჯებირის ბოლოს, რომელიც სასახლეს სამრეკლო — ეკლესიასთან აერთიანებს.

გაკვირვებული არაჩვეულებრივი ხმაურით, სახლის პატრონი ლოგინიდან დგება, მირბის ფანჯარასთან და რას ხედავს მრავალრიცხოვან ჩირაღდნების სინათლეზე? მშვენიერ ეტლს, ოთხ ცხენ შებმულს, რომელსაც თან მისდევენ ცხენოსნები. მან იცნო სრულიად ახალი ეტლი და ძისი პატრონი, მის სახლში მცხოვრები ჰუსარი ოფიცერი, გადარეული ახალგაზდა, რომელმაც ეხლახან მდიდარი მემკვიდრეობა მიიღო. როდესაც მოხუცმა თავადმა დაინახა, რომ იგი შუალამისას მარტოდ-მარტო დასეირნობს ახდილ ლანდოთი, გადასწყვიტა, ჩემი სტუმარი ჭკუაზე შეშლილაო. შიშით თვალს ადევნებს ამ ელეგანტურ კორტეჟს და მის უკან მიმავალ ცხენოსანთა ჯგუფს და ხედავს, რომ ეს არაჩვეულებრივი კორტეჟი მიემართება ეკლესიისაკენ. ეკლესიის შესასვლელ კარებთან ყველანი ჩერდებიან. ჰუსარი ზეიმით გადმოსვლას აპირებს ეტლიდან, მსახურნი მივარდებიან ეტლის კარებს და ფრთხილად გადმოჰყავთ ბატონი. თუმცა ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო ახალგაზდაა და მარდი. შეეხო თუ არა ოდნავ ეკლესიის შესავალი კარის საფეხურს, ჰუსარი, იმავე ზეიმით კვლავ ჯდება ეტლში, რომელიც უვლის გარშემო, ხელმეორედ ჩერდება ეკლესიასთან, და მთელი ეს ცერემონია ისევ თავიდან იწყება. ასეთი დროს გატარება გრძელდებოდა გათენებამდე. ალიონს ოფიცერი სასახლეში დაბრუნდა; გაუშვა ცხენები და ყველაფერი დაშშვიდდა.

დილით მოხუცი თავადი პირველ ყოვლისა შეეკითხა ახალგაზრდა როტმისტრს, რას ნიშნავდა ეს ღამის მოგზაურობა.

—არაფერს საიმისოს,—უპასუხა წარბშეუხრელად შამაცმა ჰუსარმა.—ჩემი ლაქიები გამოუცდელები არიან თავიანთ საქმეში, და რადგანაც ვიცოდი, რომ აღდგომას თქვენთან ბევრი სტუმარი მოიყრიდა თავს, მინდოდა გამეკეთებინა რეპეტიცია ჩემი მისვლისა ეკლესიაში.

ეხლა უნდა გიამბოთ ჩემი წასვლის შესახებ ნიჟნიდან. იგი გაცილებით უფრო ნაკლებად ბრწყინვალე იყო, ვიდრე ჰუსარი როტმისტრის ღამით გასეირნება. წასვლის წინა დღით გუბერნატორ-

თან ერთად თეატრში ვიყავი, სადაც თითქმის სრულიად ცარიელ დარბაზში მოვისმინე ფრანგულიდან ნათარგმნი ვოდევილი, ხოლო საშინლად მოსაწყენ სპექტაკლის შემდეგ მე და ერთი ჩემი ნაცნობი ციგნებთან წავედით. იქ დიდი ესტეტიური სიამოვნება მივიღე მათი სიმღერისა და ცეკვისაგან, და ვსტკბებოდი არა ერთი და ორი მომხიბლავი სახით. სხვათა შორის ამბობენ, რომ ეს ცეცხლოვით აღგზნებულნი ქალები სრულიად არ არიან ნამუს დაკარგულნი, და ხშირად ზიზღით უარყოფენ ფრიად სახეირო წინადადებასო.

უკვე შუალამე კარგად გადასული იყო, როდესაც ციგნებს დავშორდით. ცა მოიღრუბლა, კოკისპირულად წვიმდა, და ტემპერატურა ძალიან დაეცა. მე უპალტოოთ ვიყავი და ახდილ ეტლში ვერხვის ფოთოლივით ვკანკალებდი

—აი ესეც ზაფხულის დასასრული,—შენიშნა ჩემმა თანამგზავრმა.

—მე ამას ძალიან კარგად ვგრძნობ,—ვუპასუხე მე.

ღრისით მე სიცხისაგან ვიბრჩობოდი, ეხლა-კი სიცივე ძვლებში მივლიდა. როდესაც შემდეგ დილით საწოლიდან ადგომა დავაპირე, თავბრუ დამესხა, და ძალა დაკარგული ბალიშზე დავეცი. ეს მოულოდნელი ავადმყოფობა მითუფრო არასასიამოვნო იყო ჩემთვის, რომ უკვე შეკვეთილი მქონდა ხომალდი ყაზანში წასასვლელად, სადაც ფელდიეგერი უნდა გამგზავრებულიყო ჩემი ტარანტასით: უკან დაბრუნებას ცხენებით ვფიქრობდი.

გუბერნატორი იმდენად თავაზიანი იყო, რომ მინახულა ჩემს ბუნაგში. ბოლოს, მეოთხე დღეს, როდესაც ავადმყოფობამ უფრო მომიმატა, გადავწყვიტე ექიმის მოწვევა.

—თქვენ ჯერ ციება არ გაქვთ,—მითხრა მან,—ჯერ კიდევ ავად არ ხართ, მაგრამ ალბად სერიოზულად გახდებით ავად, თუ რომ ნიჟნი-ნოვგოროდში კიდევ სამი-ოთხი დღე დარჩებით. მე ვიცი ადგილობრივი ჰაგის გავლენა ზოგიერთ ორგანიზმზე. ჩქარა წადით,—საკმარისია დაშორდეთ ამ ალაგს ოცი-ოცდაათი ვერსით, რომ შელავათი იგრძნოთ, ხოლო მეორე დღესვე ჯანმრთელად შეიქმნებით.

—მაგრამ მე არ შემიძლიან განძრევა საშინელ თავის ტკივილის გამო. რა მომელის, რომ იძულებული გავხდე და გზაში გავჩერდე?

—დაე ხელით აგწიონ და ისე მიგვიყვანონ ეტლამდე. შემოდგომის წვიმები იწყება. ვიმეორებ: მე პასუხს არ ვაგებ თქვენთვის, თუ ნიჟნი-ნოვგოროდში დარჩით.

ეს ექიმი გამოცდილი და მცოდნე კაცი იყო. მე შევასრულე მისი რჩევა და მეორე დღესვე შხაპუნა წვიმაში და საშინელ ცივ ქარ-

ში გამოვედი ნიჟნიდან. ასეთი დარი სრულიად ჯანმრთელ მგზავრსაც-კი შეაშინებდა. მაგრამ უკვე მეორე სადგურზე ასრულდა ექიმის წინასწარმეტყველება, მე უფრო ადვილად დავიწყე სუნთქვა, ხოლო შემდეგ დილით სრულიად ჯანმრთელი ავდექი.

იმ დროს, როდესაც მე ავადმყოფი ვიწექი ლოგინად ნიჟნინოვგოროდში, ჩემი ჯაშუში—მცველი იტანჯებოდა უსაქმობით. ერთ დილით იგი სადარბაზოდ მოვიდა ანტონიოსთან და მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

—როდის მივდივართ?

—არ ვიცი. ბ-ნი ავად არის.

—მართლა ავად არის?

—მაშ რა გგონიათ,—ნუ თუ თავის სიამოვნებისათვის წევს ლოგინში და არ გამოდის გარედ იმ მშვენიერ ოთახიდან, რომელიც თქვენ მას უშოვნეთ?

—რა დაემართა?

—არაფერი არ ვიცი.

—რად გახდა ავად?

ეს „რად“ ღირსია აღნიშვნისა. ფელდიეგერს ვერ ეპატიებია ჩემთვის ეტლში მომხდარი სცენა. იმ დღიდან დაწყებული, მან საგრძნობლად შესცვალა თავისი ყოფა-ქცევა, და ეს გარემოება მიმტკიცებს, რომ თვით უაღრესად ფარისეველ ადამიანებსაც კი გულის სიღრმეში გულრწფელობის ნაშთი შერჩენიათ. მე კიდევაც მომწონს მისი ბოროტი მახსოვრობა, რადგანაც არ მეგონა, რომ მასში რაიმე ადამიანური გრძნობა მოიპოვებოდა.

ქალაქი ვლადიმირი ხშირად იხსენება ისტორიაში, მაგრამ იგი როგორც გაჭრილი ვაშლი ისე წააგავს სხვა რუსულ ქალაქებს. ადგილმდებარეობა, რომელზედაც ჩვენ მივდივართ, სულ ერთი და იგივეა: გაჩეხილი ტყეები და უმოსახლო ქალაქები. როდესაც ვეუბნები რუსებს, ტყეებს უწესრიგოთ სჩეხავ და უსაწვავმასალო დარჩენა მოგელით მეთქი, ისინი პირდაპირ იცინიან. მათ გამოანგარიშებული აქვთ, რამდენი ათი და ასი ათასი წელიწადი არის საჭირო იმ ტყეების გასაჩეხავად, რომელიც ჰფარავს ამ ქვეყნის უდიდეს ნაწილს, და სრულიად კმაყოფილნი არიან ასეთი სტატისტიკური ცნობებით. გუბერნატორების მოხსენებებში ნათქვამია, რომ ამა და ამ გუბერნიაში ამდენი და ამდენი დესეტინა ტყეაო, აქედან უბრალო მიმატების საშუალებით ილებენ თავბრუდამსხმელ ციფრებს. მაგრამ არავის ფიქრადაც არ მოსდის შეამოწმოს ადგილობრივ, რას წარმოადგენს სინამდვილეში ქალალზე აღნიშნული ტყეები. ისინი მაშინ

უფრო ხშირად წააწყდებოდენ გადამბმარ ბუჩქნარებს და ხავსმოკიდებულ მწირ ადგილებს. ამავე დროს, მდინარეებს უკვე ემჩნევა დაშრობა, რის მიზეზიც უნდა ვეძებოთ ტყის მტაცებლურ გაჩეხაში მდინარეების ნაპირებზე და ხე-ტყის უსისტემო გამოზიდვაში. მაგრამ რუსებს საკმარისად მიაჩნიათ გაბერილი პორტფელები ოპტიმისტური ანგარიშებით და ნაკლებად ზრუნავენ ქვეყნის უდიდეს ბუნებრივ სიმდიდრის თანდათან შემცირებაზე, მათი ტყეები უსაზღვროა... სამინისტროების დეპარტამენტებში, განა ეს საკმარისი არ არის? შეიძლება ვაწინასწარმეტყველოთ ის დღე, როდესაც მათ მოუხდებათ ღუმელების გათბობა იმ ქაღალდით, რომელიც, უხვად დაგროვილია მათ კანცელარიაში. ეს სიმდიდრე, მადლობა ღმერთს, დღითი დღე იზრდება.

ქალაქ ვლადიმირსა და მოსკოვს შუა ჩვენ წავაწყდით ორიგინალურ პროცესიას: ვეებერთელა სპილოს, გარს შემორტყმულს ცხენოსანთა რაზმით, რომელნიც ინდოეთის ბუმბერაზთან შედარებით უბრალო ჭრიჭინებს მოგვაგონებდენ, და აქლემების მთელ ქარავანს. ეს სპარსეთის შაჰის საჩუქარი იყო, იმპერატორ ნიკოლოზისადმი მიძღვნილი. ამ კორტეჟთან შეხვედრა კინაღამ სიცოცხლედ არ დამიჯდა. ამ უცნაური ცხოველის სანახაობით დაფრთხალმა ცხენებმა გაგვიტაცეს და მხოლოდ ანტონიოს გაბედულობამ და სიმამაცემ გადაგვარჩინა სიკვდილს: როდესაც ცხენებმა მოუხვიეს გზას და გაჰქუსლეს დაქანებული ხევისაკენ, სადაც შარა გზა მდებარეობდა, და დაღუპვა აუცილებლად მიგვაჩნდა, ანტონიო გადახტა ტარანტასიდან, და უკანასკნელ წუთს შეაჩერა ცხენები. მე მხოლოდ შეშინება მხვდა წილად, ჩვენ ეტლს-კი უბრალო დაზიანება. თუთხმეტი წუთის შემდეგ ყველაფერი ისევ წესრიგზე იყო მოყვანილი და ჩვენ შეგვეძლო გამგზავრება. ანტონიოს მშვიდად ეძინა.

მოსკოვში ისევ ტროპიკული სიცხე იდგა, ზაფხული სრულიად არაჩვეულებრივი იყო. ქალაქზე ღრუბლად ჩამოწოლილი იყო წითური მტვერი, რომელიც მზის ჩასვლის დროს ბენგალის ცეცხლის მსგავს განათების შესანიშნავ ეფექტებს იძლეოდა. განსაკუთრებით საუცხოვო იყო ამ წუთს კრემლი, რომელიც თავისი ფანტასტიური მოხაზულობით ირჩეოდა დაისის სისხლიან ფონზე.

კრემლში გახურებული მუშაობა სწარმოებს, და მთელი მოსკოვი რაღაც უკიდურეს აღელვებას განიცდის: ელიან ხელმწიფის მოსვლას, რომელიც ესწრება ბოროდინის დღესასწაულს. იმპერატორი აქედან ახლოა და შეიძლება ყოველ წუთს მოვიდეს. გვარწმუნებენ, რომ იგი გუშინ მოსკოვში იყო ინკოგნიტოდ. ვინ იცის იქნებ დღე-

საც აქ არის? იქნებ ხვალ მოვიდეს? ეს გაურკვევლობა, ეს იმედი და ეს მოლოდინი ყველას აღელვებს, ყველაფერს აცოცხლებს ირგვლივ, ერთი სიტყვით, ასხვაფერებს ყველას და ყველაფერს. მოსკოვი, გუშინ დარბაისელი საეკლესიო ქალაქი, დღეს ჭკუიდან იშლება აღელვებისაგან, როგორც უბრალო ქალი დიდი ჯარისკაცის მოლოდინში. ამ სამი კვირის წინად მოსკოვის ქუჩებზე შეგეძლოთ შეხვედროდით მხოლოდ ვაჭრებს, რომელნიც საქმეზე მიეშურებოდნენ დანჯღრეულ ეტლებით. დღეს კი მოსკოვი მთლად გავსებულია შესანიშნავი ლანდოებით და ოქრომკედით მოქარგული მუნდირებით. თეატრები სავსეა წარჩინებული პირებით და მათი შინამსახურებით. სასახლეები, მუდამ ცარიელი და მიგდებული, საჩქაროდ სუფთავდება და გაჩაღებულია ცეცხლებით. საყვავილეები სავსეა ქორფა და ცოცხალი ყვავილებით. ერთი სიტყვით, მოსკოვს ველარ იცნობთ. წაბაძულობა ისე გადამდებია, რომ მე თვითონ მეშინიან, არ გადვიქცე კარის-კაცად, თუ ანგარებით არა, იმ სიყვარულით მაინც, რომელსაც ყველა სასწაულებრივი მოვლენისადმი ვგრძნობ.

გუშინ ვტკბებოდი მოსკოვის ილუმინაციით. იმისდამიხედვით, თუ როგორ მატულობდა სიბნელე, ქალაქიც თანდათან ჩაღდებოდა. მისი მაღაზიები, თეატრები და ქუჩები ჩამწკრივებული ჩირაღდნებით გამოიყურებოდენ წყვდიადიდან. ეს დღე მეფის დაგვირგვინების წლის თავს შეხვდა — ესაა მეორე მიზეზი ილუმინაციისა (პირველი — ბოროდინოს დღესასწაული). საერთოდ რუსებს იმდენი საბაბი აქვთ, რათა ყოველ დღე იმხიარულონ, რომ მათ ადგილას არც კი გავაქროდი ამ ჩირაღდნებს.

თვით ქურუმი და ჯადოქარი ამ წუთს სასწაულს ჰქმნის ბოროდინოში. სულ ეხლახან აღიმართა იქ მთელი ქალაქი, და ეს ქალაქი, რომელიც აი ეს არის წარმოიშვა უდაბნოში, გაჰქრება ერთი კვირის შემდეგ. პარკიც კი გააშენეს სასახლის ირგვლივ. ხეები, რომელთაც სიკვდილი მოელით რამდენიმე დღის შემდეგ, შორიდან იქნენ მოტანილნი დიდი ხარჯების გაწევით. რუსებს ბადალი არა ჰყავთ დროს მიერ გაწეული მუშაობის გაყალბებაში. როგორც მეტიჩრები, რომელთაც წარსული არა აქვთ, ისინი ეფემერული დეკორაციებით სცვლიან იმას, რაც თავის ბუნებით ხანგრძლივი არსებობის აზრს გვიძრავს: ასი წლის მუხის ხეებს ფესვიანად ამოგდებული ხეებით სცვლიან, ძველ სასახლეებს — ფიცრული ფარდულებით, რომელზედაც გადაკრულია ძვირფასი ქსოვილები, ბაღებს — გაფერადებული ტილოებით. ბოროდინოს მინდორზე რამდენიმე თეატრი იყო აგებული და საომარ პანტომიმებს შუა კომედიური ინტერმედიები გაითამა-

შეს. ეს კიდევ ყველაფერი არ არის: იმპერატორის და სამხედრო ქალაქის მეზობლად აღიმართა ბურჟუაზიის ქალაქი. მაგრამ ისინი, ვინც ეფექტური სასტუმროები ააშენა, კოტრდებიან პოლიციის წყალობით, რომელიც ძალიან ძნელად იძლევა ნებართვას ბოროდინოში წასვლაზე.

დღესასწაულის პროგრამა მდგომარეობს ზუსტად წარმოდგენაში ბოროდინოს ბრძოლისა, რომელსაც ჩვენ მოსკოვთან ბრძოლას ვუწოდებთ. რათა უფრო მიუახლოვდენ ისტორიულ სინამდვილეს, იმპერიის ყველა კუთხიდან გამოიწვიეს 1812 წ. ვეტერანები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს განთქმულ ბრძოლაში. შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ საბრალო მოხუცთა გაკვირვება და წუხილი; ისინი უეცრივ მოაშორეს თავიანთ ახლობლებს და ოჯახს, სადაც წყნარად ატარებდენ დანარჩენ სიცოცხლეს და იგონებდენ წარსულ დიდებულ დღეებს. ეხლა მათ მაყურებელთა გასართობად უნდა გაითამაშონ ბრძოლის საშინელი ტრაგედია, სადაც სამშობლოსათვის სისხლი დაღვარეს. რომ ვინმეს ძოესურვებინა ომის კორიკატურის დახატვა, უკეთეს სიუჟეტს ვერ გამონახავდა იგი. უკვე მრავალი წელიწადია, რაც ყველა ეს მოხუცები ცხენზე არ მჯდარან, ისინი ასე უხეშად გაალვიძეს საფლავის კარზე და ეხლა მონარქის სასიამოვნოდ, რომელიც მათ თვალით არ უნახავთ, იძულებულნი არიან შეასრულონ უკვე დიდი ხნის დავიწყებული და უჩვეული როლი. საწყლებს ისე ეშინიანთ, იქნებ ამ ახირებულ მბრძანებელს ვერ ვასიამოვნოთო, რომ მომავალი ბრძოლის იმიტაცია მათ უფრო აშინებთ, ვიდრე თავის დროს ნამდვილი ომი აშინებდათ. ეს სრულიად არა საჭირო წარმოდგენა და ომის კომედია ბოლოს მოუღებს ჯარისკაცებს, დაზოგვილთ ბრძოლების და წლების მიერ; ესაა სასტიკი გართობა, ღირსი იმ მეფის ჩამომავლისა, რომელმაც თავის მასხარის მასკარადულ ქორწილში ცოცხალი დათვი შეაგდო. ამ მეფეს პეტრე დიდი ერქვა. ამგვარ გართობათა ერთადერთი წყარო—ადამიანის სიცოცხლისადმი ზიზღია.

იმპერატორმა მე ნება დამრთო, ე. ი. სხვანაირად რომ ვთქვათ, მიბრძანა დავსწრებოდი ბოროდინოს დღესასწაულს, მაგრამ მე ვგრძნობდი, რომ ღირსი არ ვიყავი ასეთი წყალობის: ჯერ ერთი იმიტომ, რომ თავდაპირველად აზრად არ მომსვლია, რა ძნელი იქნება ფრანგის როლი ამ ისტორიულ კომედიაში; შემდეგ, მე უნდა აღფრთოვანებული ვყოფილიყავი ბარბაროსული მუშაობით,—ახალი სასახლის აშენებით,—რომელიც საუცხოო კრემლს დასახიჩრებას უქადის, დაბოლოს, მე არ შემიძლიან დავივიწყო საბრალო კნეინა

ტრუბეცკოი. ყველა ამ მიზეზების გამო გადავწყვიტე მივჩქმალულიყავი, რაც არც ისე ძნელი იყო ჩემთვის. გაცილებით უფრო ძნელი იყო ბოროდინოში წასვლის ნებართვის აღება, თუ მხედველობაში მივიღებთ მრავალი ფრანგის და უცხოელის ბეცადინაობას. ისინი ამაოდ ცდილობდენ ამ ნებართვის აღებას.

საქმე ის იყო, რომ ბოროდინოს ბანაკის პოლიცია უეცრივ არაჩვეულებრივად სასტიკი შეიქმნა. გაორკეცებული გაფრთხილებანი ვითომ აძაღელვებელი ცნობების მიღებით აიხსნება. თავისუფლების ფერფლის ქვეშ ყველგან ამბოხების ცეცხლი ღვივის. ასეთ პირობებში მე ძალიან ვეჭვობ, მოვახერხებდი თუ არა ნებართვის აღებას, მიუხედავად ჩემი პირადი მიწვევისა ხელმწიფის მიერ, რომელმაც გამოსამშვიდებელ აუდენციაზე პეტერჰოფში მითხრა: „მე ძალიან მოხარული ვიქნებოდი, ბოროდინოში რომ გნახავდეთ“.

მიუხედავად ამისა მე ვნახე მოსკოვში მიწვეულ პირთა მთელი რიგი, რომელნიც ბოროდინოში მაინც არ შეუშვეს. მხოლოდ რამდენიმე რჩეულმა ინგლისელმა და დიპლომატური კორპუსის წევრებმა მიიღეს ნებართვა, ყველა დანარჩენები-კი: მოხუცნი, ახალგაზრდები, სამხედრო პირები, დიპლომატები, უცხოელები და რუსები— შინ გამობრუნდნენ უშედეგოდ. მე მივწერე იმპერატორის ერთ-ერთ დაახლოვებულ პირს, სამწუხაროდ არ შეძიძლიან ვისარგებლო მისი უდიდებულესობის წყალობით, რომელმაც მანევრებზე დასწრების ნება დამრთო მეოქი, და მივუთითე თვალების ავადმყოფობაზე, როგორც ჩემი იძულებითი უარის მიზეზზე. და მართლაც, დღემდის მე თვალები მტკივა, ხოლო ბოროდინოს ველზე, თურმე, ისეთი საშინელი მტვერია, რომ სრულიად დავბრმავდებოდი 38).

თავი XXVIII

მზადება წასასვლელად.—თანამემამულის თავგადასავალი.—ამაოცდა პერნეს გასანთავისუფლებლად.—ბარონესას მონაწილეობა.—პერნეს ნაამბობი.—მოსკოვის საპყრობილეები.—ბაასი ბეკენდორფთან.—გამოსამშვიდებელი სიტყვა რუსეთზე.

იმ წუთს, როდესაც მოსკოვის დატოვებას ვაპირებდი, მოხდა ერთი შემთხვევა, რომელმაც მთელი ჩემი ყურადღება მიიპყრო და მაიძულა რამდენიმე დღით გადამედო წასვლა.

მე შევუკვეთე ფოსტის ცხენები დილის შვიდი საათისათვის. ჩემდა განსაცვიფრებლად, ანტონიომ ოთხ საათზე გამაღვიძა. ჩემ შეკითხვაზე, რით აიხსნება ასეთი უცნაური აჩქარება მეთქი, მან მიპასუხა, დაუყოვნებლივ უნდა გადმოგცეთ ერთი ახალი ამბავი, რომელიც ფრიად საყურადღებოდ მიმაჩნიაო. აი რამდენიმე სიტყვით მისი გადმონაცემი:

აი ეს არის დაეტუსაღებიათ ერთი ფრანგი, ბ-ნი ლუი პერნე, რომელიც მოვიდა მოსკოვში ამ რამდენიმე დღის წინად. მასთან შუაღამისას მივიდნენ, ჩამოართვეს კორესპონდენცია და გადაიყვანეს ქალაქის ციხეში, სადაც იგი „კარცერში“ მოათავსეს. ჩემ კამერდინერს ამ შემთხვევის შესახებ უამბო ჩვენი სასტუმროს მსახურმა, ანტონიომ გაიგო აგრეთვე, რომ პერნე ოცდაშვიდი წლის ახალგაზრდა კაცია, სუსტი ჯანმრთელობის, და უკვე წარსულ წელს ცხოვრობდა მოსკოვში; იგი სტუმრად იყო ერთი თავისი ნაცნობი რუსის მამულში, რომელიც ამჟამად სადღაც წავიდა, ისე, რომ ამ საბრალო პატიმარს არავინ ჰყავს ისეთი, ვისაც შეეძლო მასზე ზრუნვა, გარდა ვიღაც ბატონ რ-სა. რომელთან ერთად იგი მოგზაურობდა ჩრდილოეთ რუსეთში. ბატონ რ-ის გვარი მე ნაცნობად მეჩვენა, გამახსენდა, რომ ვნახე იგი ნიჟეგოროდელ გუბერნატორის სადილზე, სადაც მან გამაკვირვა თავისი ბრინჯაოს ფერი, ვაჟკაცური სახით და არაჩვეულებრივი სიჩუმით, მთელი მისი ფიგურა ემტკიცებდა უდრეკ ძალას და სიმშვიდეს. ანტონიოს მიერ გადმოცემული ისტორია საკმაოდ ფანტასტიურად მეჩვენა. მაგრამ მაინც ავდექი და პირადად გამოვკითხე მსახურს, რომელმაც ეს ამბავი მოიტანა. მან სიტყვა სიტყვით დაადასტურა ანტონიოს ნაამბობი, თურმე ბა-

ტონ პერნეს დატუსაღების დროს ის სასტუმროში იყო და საკუთარი თვალით დაინახა პოლიცია და დატუსაღებული.

ჩავიცვი თუ არა, გავსწიე ბატონ რ-თან, რომელიც ცხოვრობდა სასტუმროში ხიფათში ჩავარდნილ ფრანგთან ერთად. ამ შემთხვევაში ბრინჯაოს ბუმბერაზი მოკლებული იყო სიმშვიდეს. მე უკვე ჩაცმული დამიხვდა იგი. სჩანდა, რომ იგი ძალიან აღელვებული იყო, როდესაც გაიგო ჩემი ნაადრევი დარბაზობის მიზანი, იგი საგრძნობლად შეკრთა.

— მართალია,—სთქვა მან,—მე ვმოგზაურობდი ბატონ პერნესთან ერთად, მაგრამ ეს მხოლოდ შემთხვევით აიხსნება. ჩვენ არხანგელსკში შევხვდით ერთმანეთს და იქიდან ერთად წამოვედით. გზაში ცოტა დახმარებას ვუჩენდი მას, რადგანაც იგი ავადმყოფი კაცია. ესაა და ეს, მე სრულიად არ ვეკუთვნი მის მეგობართა რიცხვს და თითქმის არ ვიცნობ მას.

— მე მას უფრო ნაკლებად ვიცნობ, ვიდრე თქვენ,—ვუპასუხე მე,—მაგრამ ჩვენ სამივე ფრანგები ვართ და უნდა ერთმანეთს დავეხმაროთ იმ ქვეყანაში, სადაც ყოველ ჩვენთაგანს ამგვარი ბედი მოელის.

— შეიძლება,—განაგრძო რ,—ბ-მა პერნემ ეს სასჯელი რაიმე გაუფრთხილებელი საქციელით დაიმსახურა. მე აქ უცხო კაცი ვარ, არავინ მიცნობს,—რითი უნდა დავეხმარო მას? თუ იგი უდანაშაულოა, მის დაპატიმრებას არავითარი შედეგი არ მოჰყვება. ხოლო თუ დამნაშავეა, ღირსეულ სასჯელს მიიღებს. მე არაფრის გაკეთება არ შემიძლიან მისთვის და თქვენც, ბატონო, არ გირჩევთ ამ ისტორიაში ჩარევას.

— მაგრამ ვის შეუძლიან მსჯელობა მისი დანაშაულის შესახებ?—წამოვიძახე მე, პირველ ყოვლისა საჭიროა მისი ნახვა, რათა პირადად მისგან მოვისმინოთ, რით ხსნის იგი თავის დატუსაღებას, და გავიგოთ, როგორ შეიძლება მისი შველა.

— თქვენ გავიწყდებათ, რომელ ქვეყანაში ვიმყოფებით. იგი კარცერში ზის. როგორ მივაღწევთ მას? ეს ყოვლად შეუძლებელია.

— შეუძლებელია აგრეთვე ისიც, დავუმატე მე,—რომ ფრანგებმა თანამემამულე ღვთის ანაბარად დასტოვონ ასეთ კრიტიკულ მდგომარეობაში და არც კი შეეცადონ იმ უბედურების მიზეზის გამორკვევას, რომელიც მას შეემთხვა.

როდესაც ამ ფრთხილ და წინდახედულ სუბიექტს მოვშორდი, მე დავიწყე ფიქრი იმის შესახებ, რომ ბ-ნ პერნეს შემთხვევა უფრო სერიოზულია, ვიდრე ეს შეიძლება პირველი შეხედვით გვეჩვე-

ნოს. ამიტომ გადავწყვიტე საფრანგეთის კონსულის ნახვა, რათა გამომერკვია საქმის ნამდვილი ვითარება. მე ვუბრძანე უკან გაებრუნებიათ ფოსტის ცხენები, დავიქირავე ლანდო და დილის ათ საათზე უკვე კონსულთან ვიყავი.

მაგრამ ფრანგ მოქალაქეთა ოფიციალური დამცველი კიდევ უფრო კეთილგონიერი და ფრთხილი აღმოჩნდა, ვიდრე რ. ალბად რუსეთში ყოფნის დროს კონსული სრულიად გარუსდა. მე მაინც ვერ გავიგე, რით იყო ნაკარნახევი მისი პასუხები: ქვეყნის ზნე-ჩვეულებათა გაცნობაზე დამყარებული შიშით, თუ შელახული თავმოყვარეობით.

— ბატონი პერნე,—მითხრა მე კონსულმა,—უკვე ხუთი თვეა მოსკოვში ცხოვრობს და მთელი ამ ხსის განმავლობაში მან საჭიროდ არ ჩასთვალა გამოცხადებულიყო საფრანგეთის კონსულის წინაშე, ამიტომ ეხლა მას მხოლოდ თავის იმედი უნდა ჰქონდეს, რომ გამოვიდეს იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც საკუთარი დაუდევრობის გამო ჩავარდა. ეს სიტყვა,—დაუმატა მან ხაზგასმით,—შეიძლება საკმაოდ ძლიერი არ არის,—ბოლოს კონსულმა დასძინა, არც ვალდებული ვარ, არც მსურს და არც შემიძლია ამ საქმეში ჩავერიო-ო.

ყველა ჩემი საბუთი და რჩევა ამაო იყო, ბატონი კონსული მტკიცედ იდგა თავის სიტყვაზე, ჩემი მეორე დარბაზობა უფრო უშედეგო იყო, ვიდრე პირველი.

მაგრამ მე არ შემეძლო მაინც დამშვიდება, ჩემი ცოცხალი ოცნება ძისახავდა ყოველნაირ საშინელებას და თუმცა ვიცოდი, რომ რუსეთის ციხეები როგორც ყველა საზოგადოებრივი შენობები ამშენებულია კლასიკურ სტილზე, მაინც საბრალო ფრანგის საპყრობილე წარმოდგენილი მქონდა მიწის ქვეშ გაშენებულ გოთური კოშკის მსგავსად სათანადო საწამებელ იარაღებითურო. საშინელი სურათები წარმომიდგა და ვგრძნობდი, აუცილებლად უნდა ვუშველო ამ საბრალოს და გავაკეთო, რაც-კი შემიძლია მეთქი. მასთან ციხეში მისვლა შეუძლებელი იყო, ეს უნაყოფო ცდად იქნებოდა და შეიძლება სახიფათოც. ხანგრძლივი დამტანჯველი ფიქრის შემდეგ სხვა მოქმედების გეგმაზე შევჩერდი: რადგანაც ბევრ გავლენიან პირს ვიცნობდი, გადავწყვიტე მოვლაპარაკებოდი გულახდილად ერთ-ერთ მათგანს, რომელიც ჩემში უფრო მეტ ნდობას იწვევდა. თავისთავად იგულისხმება, რომ მე არ შემიძლია აქ დავასახელო მისი გვარი.

ბ-ი № მაშინვე მიხვდა ჩემი მისვლის მიზეზს და არც კი დამაცადა დალაპარაკება; ამასთანავე საჩქაროდ მითხრა, რომ პირადად იცნობს ბ-ნ პერნეს, სრულიად უდანაშაულოდ მიაჩნია იგი და ვერ გაუგია, რას ნიშნავს ეს საქმე, მაგრამ, დაუმატა, მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებით შეიძლება აიხსნას მისი დაპატიმრება, რადგანაც რუსის პოლიცია მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში იხდის ნიღაბს, ალბად ფიქრობდენ, რომ ახალგაზრდა ფრანგს არავინ არ იცნობს, ეხლა კი, როდესაც უკვე ჭექა-ქუხილი გაისმა, მის მეგობრებს მხოლოდ ვნების მოტანა შეუძლიანთ მისთვის, რადგანაც „მფარველების“ არსებობის გამო შეეცდებიან რაც შეიძლება მალე მოიშორონ თავიდან—ამიტომ თვით „პაციენტის“ ინტერესისათვის რაც შეიძლება ფრთხილად უნდა იმოქმედოთ, „თუ ის ციმბირში გადაასახლეს, ღმერთმა უწყის, როდის დაბრუნდება უკან!“ შემდეგ ეს ბატონი N შეეცადა გაეგებინებია ჩემთვის, რომ მას არაფრის გაკეთება არ შეუძლია დატუსაღებულის სასარგებლოდ, რადგანაც ლიბერალობას მაბრალებენ და ჩემი ერთი შუამდგომლობა საკმარისი იქნებოდა, რომ ტუსაღი შორეულ კუთხეში გადაჰკარგონო. მან ასე დაამთავრა: „თქვენ მისი არც მეგობარი ხართ, არც მტერი, თქვენთვის იგი მხოლოდ უბედურებაში ჩავარდნილი მემამულეა. რათ შეგეძლოთ უკვე ყველაფერი გააკეთეთ მისთვის—თქვენ ელაპარაკეთ მის ნაცნობს, კონსულს და ეხლა ჩემთან ლაპარაკობთ. მერწმუნეთ მე, რომ ყველაზე უკეთესი, რაც კი თქვენ ეხლა შეგიძლიანთ გააკეთოთ, ის იქნება რომ პეტერბურგში წახვიდეთ და იქ შუამდგომლობა აღძრათ თქვენი ელჩის წინაშე. ზომების მიღება მინისტრის საშუალებით ისეთი ადამიანის მიერ, როგორიც ბატონი ბარანტინა, უფრო ნამდვილი და მიზანშეწონილი იქნება, ვიდრე ყველა თქვენი ცდა მოსკოვში. აქ აბსოლუტურად არაფრის გაკეთება არ შეიძლება“.

მე ვცადე პასუხი გამეცა, მაგრამ მალე მივხვდა, რომ თავის გამოდება მხოლოდ აღიზიანებდა ბ-ნ №, თუმცა ეს უკანასკნელი ჩვეულებრივი თავაზიანობით ცდილობდა არ ეგრძნობინებინა ეს ჩემთვის. იძულებული ვიყავი დავთანხმებოდი და ამ საქმეზე შემდგომი ზრუნვა გადამედო პეტერბურგამდე. კეთილი რჩევისათვის მადლობა გადავუხადე ბ-ნ №, რომლის მოთმინების ფიალა თითქმის უკვე აივსო, გამოვემშვიდობე და საჩქაროდ მზადება დავიწყე წასასვლელად. ჩემი ფელდიეგერის მიერ საქმის გაჭიანურებამ, რომელსაც ეტყობოდა, გადაეწყვიტა ამ უკანასკნელ წუთებში ჩემთან ანგარიშის გასწორება, იქამდე მიმიყვანა, რომ ჩვენ მხოლოდ ნაშუადღევის ოთხ საათზე გამოველით. ფელდიეგერის ბოროტი ნებისყოფა ქმნიდა ყოველ-

გვარ ინციდენტებს, შემთხვევითი ხასიათისას ანდა გამოწვეულს ამ ბოროტი ნებისყოფით; ცხენების უშოვრობა, რომელთაც აკავებდენ გზაში ყველა სადგურებზე მეფის ამალისა და შიკრიკებისათვის (ეს უკანასკნელნი განუწყვეტლივ დარბოდნენ პეტერბურგსა და მოსკოვს შუა), ყველაფერი აფერხებდა ჩემ მოგზაურობას და მას აუტანელად ჰქმნიდა. მოუთმენლობით შეპყრობილს მე არ მსურდა გზაში გაჩერება ღამის სათევად, მაგრამ ამით სარგებლობას ვერ ვიძენდი. მხოლოდ მეოთხე დღეს მივაღწიეთ პეტერბურგს.

გზიდანვე პირდაპირ გავეშურე ბატონ ბარანტთან. მან არაფერი არ იცოდა პერნეს დაპატიმრების შესახებ და ძალიან გაუკვირდა, როდესაც გაიგო, რომ ჩემი მოგზაურობა ოთხ დღეს გაგრძელდა. მისი გაკვირვება უფრო გაორკეცდა, როდესაც ვუამბე საფრანგეთის კონსულის საქციელის შესახებ მოსკოვში.

თანაგრძნობამ, რომლითაც ბატონი ბარანტი შეხვდა ჩემს ნაამბობს, მისმა განცხადებამ და აღთქმამ, რომ იგი მიიღებს ყველა ზომებს საბრალო პერნეს გასანთავისუფლებლად და იმ დრომდე არ მოისვენებს, სანამ არ გამოარკვევს ინტრიგის ყველა ძაფებს, მისმა ყურადღებით მოპყრობამ ფრანგ მოქალაქეთა ბედისადმი ყველა შემთხვევებში და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე საფრანგეთის ღირსებას ეხებოდა,—დაამშვიდეს ჩემი სინიდისი და გაფანტეს საშინელი აჩრდილები, რომელნიც მდევნიდენ. ბატონ პერნეს ბედი მისი ბუნებრივი მფარველის და დამცველის საიმედო ხელში იყო. ვგრძნობდი, რომ მე უბრალო მოგზაურმა, გავაკეთე ყველაფერი, რაც-კი შემეძლო, და რომ ჩემმა ცდამ უქმად არ ჩაიარა. რამდენიმე დღის განმავლობაში ჩემი პეტერბურგში უკანასკნელად ყოფნის დროს, მე მოვალეობად მივიჩნიე აღარ მეხსენებინა ბატონ პერნეს სახელი ბ-ნ საფრანგეთის ელჩთან და ისე დავტოვე რუსეთი, რომ არ ვიცოდი, რით გათავდა ტრაგიკული ისტორია, რომლის დასაწყისმა ასე ძლიერად შეიპყრო ჩემი აზრები და გრძნობა.

მაგრამ იმ დროს როდესაც ჩემი ეტლი სწრაფად და თავისუფლად მიჰქროდა საფრანგეთისაკენ, ჩემი აზრები და გონება ძალაუნებურად უარუნდებოდა ისევ მოსკოვის საპყრობილეებს. რომ მცოდნოდა, თუ რა ხდება იქ, ჩემი აღელვება უფრო ძლერი იქნებოდა...

რათა მკითხველი არ დავტოვო გამოურკვეველ მდგომარეობაში მოსკოველ პატიმრის ბედის შესახებ, გიამბობთ, თუ რა გავიგე ამაზე ექვსი თვის შემდეგ, როდესაც უკვე პარიზში ვცხოვრობდი.

ერთხელ, 1840 წ. ზამთრის მიწურულებში მომახსენეს, რომ ვიღაც უცნობ კაცს სურს ჩემი ნახვა. მე ვთხოვე გაეგზავნა მისი გვარი.

გადმომცეს, რომ მას პირადად ჩემთან სურს თავისი გვარის დასახელება. მე უარი ვთქვი მის მიღებაზე. შემოიტანეს ხელმოუწერელი ბარათი. იქ ეწერა, რომ მე არ შემიძლიან არ შევიღო ადამიანი, რომელიც ვალდებულია ჩემს წინაშე თავისი სიცოცხლით. ამაში ვუბრძანე ამ უცნობის შემოშვება. შემოსვლისთანავე მან შემდეგი სიტყვებით მომმართა.

— ბ-ნო, მე მხოლოდ გუშინ გავიგე თქვენი მისამართი და დღეს გამოვეშურე თქვენთან. ჩემი გვარია პერნე. მე მოვედი მადლობა მოგახსენოთ, რადგანაც პეტერბურგში მითხრეს, რომ ჩემი განთავისუფლების, და მაშასადამე, სიცოცხლის მიზეზი თქვენ ყოფილხართ.

აი რა მიამბო მან:

მოსკოვის ციხეში მან სამი კვირა დაჰყო, აქედან ოთხი დღე კარცერში იჯდა. პირველ ორ დღეს საჭმელი არ მისცეს სრულიად. წარმოიდგინეთ მისი სულიერი მდგომარეობა! მისთვის არავის არ დაუკითხავს და საკანში იჯდა. ერთად ერთი ხმა, რომელიც ესმოდა „როზგების„ დარტყმის ხმა იყო; დილის ხუთი საათიდან დაწყებული დაღამებამდე ამ როზგებს სცემდენ ყმებს, რომლებსაც მათი ბატონები ციხეში გზავნიდენ ფიზიკური სასჯელის მისაღებად. დაუმატეთ ამ საშინელ ხმებს უბედურ მსხვერპლთა გოდება, ტირილი და ყვირილი, ჯალათების გინება და მუქარა,—და თქვენ მიიღებთ სუსტ წარმოდგენას საბრალო პერნეს ზნეობრივ წამებაზე. ივი დარწმუნებული იყო, სიკვდილამდე აქ მომელის ჯდომა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთ პირობებში არ ჩამაგდებდენ, ვინაიდგან ამ ხალხს ყველაზე ძალიან მათი სიმხეცის გამომჟღავნებისა ეშინია. მხოლოთ თხელი სატიხარი აშორებდა მას იმ ადგილს, სადაც ეს ეკზეკუცია ხდებოდა, როზგი, რომელსაც ჩვეულებრივ ეხლა მათრახის ადგილი უჭირავს, ყოველ დარტყმაზე ტყავს აძრობს, ისე რომ მეხუთტმეტე დარტყმაზე საბრალო მსხვერპლი თათქმის ყოველთვის ჰკარგავს ყვირილის უნარს, და მხოლოდ ხანგრძლივი და დახშული კვნესა მოისმის. გვემულთა საშინელი ხრიალი გულს უგმირავდა ჩვენ ტყვედ ქმნელს და უქადიდა ბედს, რომლის წარმოდგენაც კი შიშს აღუძრავდა.

ბატომა პერნემ რუსული იცის, ამიტომ მას ესმოდა, რისთვის სჯიდნენ უბედურებს. ჯერ მოიყვანეს ორი ქალიშვილი, რომელნიც სახელოსნოში მუშაობდნენ მოსკოვში მოდისტ-ქალთან. მათ სცემდნენ ამ ქალბატონის თანდასწრებით, რომელიც აქეზებდა ჯალათებს, რომ უფრო ძალიან დაერტყათ როზგი. ეს მეგერა ამ ქალიშვილებს ბრალსა სდებდა, რომ მათ საყვარლები ჰყავთ და ბედავენ (წარმოიდგი-

ნეთ, რა თავხედობაა!) მათ სახლში მოყვანას! ერთი ქალიშვილი პატიებას მოითხოვდა: ეტყოპოდა, რომ კვდებოდა და სისხლიდან იცლებოდა. მიუხედავად ამისა ეკზეკუცია მაინც გრძელდებოდა. ეს ქალი ხომ თავხედურად ამტკიცებდა, რომ ჩემს ქალბატონზე მეტად არ ვარ დამნაშავეო!.. ბ-ტონი პერნე მარწმუნებდა, რომ თვითეულ ამ უბედურთაგანს ასრთხმოცი როზგი დაარტყეს. „მე მეტის მეტად ვიტანჯებოდი ამ დათვლის დროს და ამიტომ არ შემეძლო შევმცდარიყავი ჯაჭის გამოყვანაში“ დასძინა მან. შემდეგ დაუსრულებლივ მოჰყვნენ ყმა-გლეხები, რომელსაც სჯიდნენ სხვა დანაშაულობისათვის, უფრო ხშირად რომელიმე მოურავის ან „ბარონის“ შურისძიების გამო. და ასე გრძელდებოდა ველური სიმხეცის და ძალადობის დაუსრულებელი ჯაჭვი! დაპატიმრებული ელოდა ღამეს, როგორც ციურ მანანას, რადგანაც მხოლოდ ღამით გამეფდებოდა ხოლმე სიჩუმე სატიხარის იქითა მხარეს.

ბოლოს, ორი დღის ასეთ ზნეობრივი და ფიზიკური ტანჯვის შემდეგ, პერნე ამოიყვანეს კარცერიდან და ყოველგვარი დაკითხვის და ახსნა-განმარტების გარეშე, მოათავსეს ციხის მეორე ნაწილში. იქიდან მან წერილი მისწერა ბარანტს ერთი გენერლის საშუალებით, რომლის მეგობრობის იმედი მას ჰქონდა.

ეს წერილი არ მივიდა დანიშნული მისამართით; და რამდენიმე დღის შემდეგ მან ჰკითხა გენერალს, რატომ არ გადაუგზავნეთ წერილი დანიშნულებისამებრო. გენერალმა მეტად სუსტი ახსნა-განმარტება მისცა და ბოლოს სახარებაზე დაიფიცა, წერილი არ ჩავარდნია და არც არასოდეს ჩაუვარდება ხელში პოლიციის დეპარტამენტს. ასეთი იყო მცირეოდენი დახმარება, რომელიც ალმოუჩინა პერნეს მისმა მეგობარმა.

გავიდა სამი კვირა; დატუსაღებულის ტანჯვა თანდათან მატულობდა, რადგანაც მას სრული საბუთი ჰქონდა ეფიქრა, რომ საერთოდ დაივიწყეს იგი. სამი კვირა საუკუნედ ეჩვენებოდა; უეცრივ ერთ მშვენიერ დღეს იგი გაანთავისუფლეს ყოველ მიზეზის ახსნის გარეშე.

განმეორებითი შეკითხვებმა, რომლითაც მან მოსკოვის პოლიციის უფროსს მიმართა, სრულიად ვერ მოჰფინა შუქი ამ საქმეს. მას უთხრეს მხოლოდ, რომ საფრანგეთის ელჩმა მოითხოვა მისი განთავისუფლება, და წინადადება მისცეს დაეტოვებინა იმპერიის საზღვრები. მისი თხოვნით ნება დართეს პეტერბურგის გზით წასვლისა. იქ გამოცხადდა ელჩთან, რათა მადლობა მოეხსენებინა ციხიდან განთავისუფლებისათვის და ბოლოს მთელი ამ ისტორიის მიზეზი გაეგო. ბატონი ბარანტი ურჩევდა არ წასულიყო ჟანდარმების შეუ ბეკენ-

დორფთან[39]). მაგრამ ამაოდ: პერნემ მოითხოვა აუდიენცია და მიიღო ამის ნებართვა. მან უთხრა გრაფ ბეკენდორფს, ასეთი სერიოზული სასჯელის შემდეგ, ვიდრე დავტოვებდე რუსეთს მსურს გავიგო ამ სასჯელის მიზეზი რა იყო. ჟანდარმების შეფმა მოკლედ უპასუხა: გირჩევთ ღრმად ნუ შეეხებით ამ საგანსო, და კვლავ გაუმეორა ბრძანება დაუყოვნებლივ წასულიყო რუსეთიდან.

ასეთი იყო ცნობები, რომელიც გადმომცა ბატონმა პერნემ. ამ ახალგაზდამ, როგორც ყველამ, ვისაც-კი რამდენიმე ხანს რუსეთში უცხოვრია, ფრიად არაჩვეულებრივი საიდუმლო სახის გამომეტყველება მიიღო და ორჭოფულად და გადაკვრით ლაპარაკობს. რუსეთში, შეიძლება ითქვას, ყველაფერი საიდუმლოების სენით არის შეპყრობილი. მე მას მხოლოდ ვათქმევინე, რომ ჯერ კიდევ პეტერბურგში მისვლამდე, გემზე, იგი საჯაროდ გამოსთქვამდა თავის ლიბერალურ აზრებს რუსულ დესპოტიზმზე ვიღაც უცნობი პირების თანდასწრებით. მან დამარწმუნა, რომ ამის მეტი არაფერი არ მახსოვს ისეთი, რასაც-კი შეეძლო მოსკოვის განსაცდელი გამოეწვიოთ ჩვენ გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს და ამის შემდეგ აღარ მინახავს იგი.

როდესაც ბოლოს რუსეთში თავისუფლების მზე ამოვა, იგი გააშუქებს იმდენ უსამართლობას და საშინელ სიმკაცრეს, რომ მთელი ქვეყნიერება შეძრწუნდება. თუმცი შეიძლება ისიც ძალიან შეძრწუნდეს რადგანაც ასეთია სიმართლის ხვედრი ამქვეყნად. როდესაც ხალხს ჭეშმარიტების გაგება ესაჭიროება, მან არ უწყის იგი ხოლო, როცა ჭეშმარიტება მიაღწევს მას, ეს უკანასკნელი აღარავის აინტერესებს, ვინაიდგან დამხობილი რეჟიმის ბოროტებანი მხოლოდ გულგრილ დამოკიდებულებას იწვევენ ხალხში. ის აზრი, რომ ჩვენ ერთად ერთი ჰაერით მრავალ ადამიანთან ერთად, რომელნიც ასე საშინლად იყვნენ დაჩაგრულნი და მოწყეტილნი მთელ დანარჩენ ქვეყნიერებას, მოსვენებას არ მაძლევდა არც დღისით და არც ღამით. მე წავედი საფრანგეთიდან შეშინებული ყალბად გაგებული თავისუფლების გადაჭარბებით. მე ებრუნდები სახლში დარწმუნებული, რომ თუ წარმომადგენლობითი წესწყობილება ზნეობრივად უაღრესად ფაქიზი არ არის, ყოველ შემთხვევაში იგი ცნობილი უნდა იყოს ფრიად ბრძნულ და ზომიერ რეჟიმად. როდესაც ვხედავ, რომ იგი იფარავს ხალხს სხვა სისტემების უაღრესად საშინელი ბოროტებისაგან, ძალაუნებურად ვეკითხები ჩემს თავს, განა არ უნდა დავივ წყალ პირადი ანტიპატია და უსიტყვოდ დავემორჩილო პოლიტიკურ აუცილებლობას, რომელსაც ბოლოს და ბოლოს საკმაოდ მომწაფებული ხალხისთვის მეტი სიკეთე მოაქვს ვიდრე ბოროტება?

მე არასოდეს არ დამავიწყდება ის გრძნობა, რომელმაც შემიპყრო ნემანზე გადასვლის დროს იმ წუთს სავსებით დავაფასე ლიუბეკის სასტუმროს პატრონის სიტყვები. გალიიდან გამოშვებული ან და ჰაერის ტუმბოს ზარიდან გამოფრენილ ჩიტი უფრო ნაკლებად განიცდის სიხარულს. მე შემიძლიან ლაპარაკი, შემიძლიან იმის წერა, რასაც ვფიქრობ!... „მე თავისუფალი ვარ"—გავიძახოდი ჩემს გულში

მშვენიერი გზები, საუცხოო სასტუმროები, სუფთა ოთახები და ლოგინი, სამაგალითო წესიერება მეურნეობაში,—ყველაფერი ეს საკვირველად და არაჩვეულებრივად მეჩვენებოდა. განსაკუთრებით გამაკვირვა სოფლის მოსახლეობის დამოუკიდებელმა და მხიარულმა სახემ. მათი კარგი სულიერი განწყობილება თითქმის მაშინებდა, იგი მოწმობდა თავისუფლების გრძნობას; ევროპიული ცხოვრების პირობები იმდენად დავიწყებული მქონდა, რომ მეშინოდა მათ მაგიერ. რასაკვირველია, პრუსიას ძნელად თუ შეიძლება ვუწოდო თავისუფლების და თავაშვებულობის მხარე, მაგრამ როდესაც ტილზიტის და და კ ნიგსბერგის ქუჩებზე გავიარე, მე ვფიქრობდი,—ვინც აში ხომ არ მოვხვდი კარნავალის დროს მეთქი? და გამახსენდა ერთი ჩემი ნაცნობი გერმანელი, რომელმაც რუსეთში რამდენიმე წელიწადი დაჰყო და ბოლოს იგი საბუდამოდ მიატოვა. იგი თავის მეგობართან ერთად ბრუნდებოდა, და ავიდნენ თუ არა ინგლისურ გემზე, რომელმაც უკვე იალქნები აუშვა, ისინი მოეხვიენ ერთმანეთს, და წყეს სიხარულით ტირილი და წამოიძახეს: „მადლობა ღმერთს, ჩვენ ეხლა შეგვიძლიან თავისუფლად სუნოქვა და ხმა მაღლა ფიქრი"!

რასაკვირველია, მარტო მე აო განვიცდი ასეთ გრძნობებს რუსეთიდან წამოსვლის შემდეგ, მე ბევრი წინამორბედები მყავდა. მაშ რატომ არც ერთმა მათგანმა არ გვაუწყა თავის სიხარული? მე ძალიან ვიხრი რუსეთის მთავრობის წინაშე, რომელიც ბრძანებლობს ადამიანთა გონებაზე, თუმცა არ მესმის, რაზეა დამყარებული ეს ძალაუფლება, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: რუსეთის მთავრობა აჩუმებს არა მარტო თავის ქვეშევრდომებს,—რაც სრულიად არ არის გასაკვირველი, არამედ უცხოელებსაც, რომელთაც თავი დაახწიეს მის რკინისებურ დისციპლინას. მას ან აქებენ, ან და სდუმან—აი ჩემთვის გაუგებარი საიდუმლოება.

უნდა იცხოვრო ამ დაუცხრომელ ოდაბნოში, ამ დაუსვენებელ ციხეში, რომელსაც რუსეთი ეწოდა, რათა იგრძნო მთელი თავისუფლება მინიჭებული ხალხისადმი ევროპის სხვა ქვეყნებში, რანაირიც არ უნდა იყოს იქ მიღებული მმართველობის წესი.

როდესაც თქვენი შვილები დაიწყებენ საფრანგეთის გაკიცხვას, გთხოვთ, ისარგებლოთ ჩემი რეცეპტით და უთხრათ მათ: წადით რუსეთში! ეს მოგზაურობა სასარგებლოა ყველა ევროპიელისათვის. ყველა, ვინც ახლო გაიცნობს მეფის რუსეთს, მოხარული იქნება იცხოვროს სხვა მხარეში, სადაც არ უნდა იყოს იგი. მუდამ სასარგებლოა იცოდე, რომ არსებობს ქვეყნად ისეთი სახელმწიფო, სადაც შეუძლებელია ბედნიერება, რადგანაც ადამიანი თავისი ბუნებით არ შეიძლება ბედნიერი იყოს თავის უფლების გარეშე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. მიხეილის სასახლე, რომელიც აშენებულია ხუროთ მოძღვართა ბაჟენოვის და ბრენის გეგმების მიხედვით, დამთავრებული სულ რამდენიმე თვით ადრე შეფის მკვლელობამდე 1801 წ. მარტის 11—ს. პავლეს სურდა შეექმნა ციხის მსგავსი შენობა თავის დასამალავად შეთქმულებისაგან, რომელიც მას ყველგან ელანდებოდა. ტახტზე ასვლის შემდეგ პავლემ მაშინვე აგრძნობინა თავად-აზნაურობას, რომ ეს უკანასკნელი არ უნდა ელოდეს მისგან იმ მფარველობას, რომელსაც უწოდა „კეთილშობილ წოდებას" ეკატერინა. პავლეს მიერ მიღებულ ღონისძიებათა მთელი რიგი („სიგელების" შეზღუდვა, სამდღიური ბეგარის შემოღება, აზნაურების მასიური გამორიცხვა სამსახურიდან და სხვ...) პირდაპირი დარღვევა იყო იმ პრივილეგიების, რომელიც ჰქონდა მიღებული თავადაზნაურობას წარსულ მეფობის დროს და რომელმაც შეუქმნა მას მონოპოლიური მდგომარეობა სახელმწიფოში. საგარეო პოლიტიკაში პავლე ჩამოშორდა ინგლისს და დაუახლოვდა საფრანგეთს, ამას კი შედეგად მოსდევდა თავად-აზნაურობის სასიცოცხლო ინტერესების შელახვა, რადგანაც ეკონომიურად ინგლისი მჭიდროდ დაკავშირებული იყო რუსეთთან. პავლეს ანტი-თავადაზნაურული ტენდენციები მაჩვენებელი იყო ფეოდალურ-ბატონყმურ და ბურჟუაზიულ ინტერესების მწვავე შეტაკებისა. ამ შეხლა-შემოხლის დროს იმპერატორი არ მიემხრო იმ კლასს, რომელსაც იგი ეკუთვნოდა თვითონ. ამას შედეგად მოჰყვა თავად-აზნაურობის მტრული განწყობილება პავლესადმი, რაც უფრო გაძლიერდა სასტიკი პოლიტიკური რეჟიმის და პავლეს პირადი თვისებების გამო. ამგვარად, შეთქმულების ნიადაგი კარგად იყო მომზადებული. შეთქმულთა შემადგენლობაში შედიოდენ მხოლოდ გვარდიის ოფიცრები, სატახტო ქალაქის სამხედრო გუბერნატორის ვრ. პალენის მეთაურობით; მათ განსაზღვრული ჰქონდათ აეძულებინათ პავლე უარი ეთქვა ტახტზე ალექსანდრეს სასარგებლოდ, რომელიც არა პირდაპირ მონაწილეობას იღებდა ამ შეთქმულებაში. შეთქმულნი ორ რაზმად გაიყვნენ და 1801 წ. მარტის 11—12-ს შეეიდნენ სასახლეში. იმ რაზმმა, რომელსაც პალენი მეთაურობდა, სასახლის მთავარი კიბე დაიჭირა და აქ დარჩა ბოლომდე. ხოლო ის რაზმი, რომელსაც წინამძღოლობდა გენ. ბენიგსენი შეეიდა პავლეს საწოლ ოთახში საიდუმლო დერეფნით. კიუსტინმა აურია ერთმანეთში ბენიგსენის და პალენის როლი. სცადა თუ არა პავლემ წინააღმდეგობის გაწევა, მაშინვე მისცვივდნენ მას შეთქმულნი და დაახრჩეს იგი. ისე ძლიერი იყო მისდამი სიძულვილი, და იმდენი შეურაცყოფა და შურისძიება იყო დაგროვილი მის წინააღმდეგ, რომ შეთქმულნი სიკვდილის შემდეგაც-კი განაგრძნობდენ მკვდრის გვემას და ისე დაასახიჩრეს გვამი, რომ შემდეგ დასჭირდათ მისი შელამაზება ნაცემი ადგილების დასაფარავად. შეთქმულთა ასეთი გაცოფება სრულიად არ ეთანხმება იმ „ცივ ანგარიშს" რომელზედაც კიუსტინი ლაპარაკობს.

2. პეტერბურგში მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ამბავი საშინელ წყალდიდობის შესახებ, რომელიც მოხდა 1824 წ. ნოემბრის 7—ს, უკვდავყ ქმნილი პუშკინის მიერ თავის „თუჯის მხედარში". მეორე უფრო ნაკლებად ძლიერი წყალდიდობა 1777 წ. მოხდა. შესაძლებელია, რომ პუშკინს მხედველობაში ჰქონდა წყალდიდობა. მომხდარი ქალაქის დაარსების დროს, რომელმაც კინაღამ ვაანადგურა სრულიად პეტერბურგი.

3. პეტრე პავლეს ციხე უკვე XVIII წ. ასრულებდა საკატორღო ციხის ფუნ-ციებს. 1790 წ. იქ შეპყრობილი იყო ა. ნ. რადიეჩევი. დაახლოვებით იმავე დროს აშენებული იყო ალექსის რაველინი, რომელიც გამოწვეული იყო სპეციალური საპყ-რობილის აუცილებლობით „სახელმწიფო დამნაშავეთა“ რიცხვის გამრავლებასთან დაკავშირებით. 1825—26 წ. ეს საპყრობილე გავსებული იყო დეკაბრისტებით. კიუს-ტინის ყოფნის დროს პეტერბურგში ალექსის რაველინში იმყოფებოდა კიდევ ერთი მათგანი—გ. ს. ბატენკოვი. მხოლოდ 1884 წ. მთავრობამ შეიგნო უხერხულობა საკა-ტორღო ციხის მეზობლად მდებარეობისა პეტრე პავლეს ტაძართან, სადაც შეფების აკლდამები იყო; და მაშინ ააშენეს ციხე შლისელბურგში, თუ რა საშინელი პირობე-ბი იყო პეტრე-პავლეს ციხეში ნიკოლოზ I ის დროს, ამის შესახებ შენახულია მდი-დარი მასალა დეკაბრისტები პეტრაშევლეების მემუარებში. „პეტრე-პავლეს ციხე,— სწერდა დეკაბრისტი ა. მ. მურავიოვი,—თვითმპყრობელობის სამარცხვინო ძეგლია იმპერატორის სასახლის ფონზე აგებული, როგორც საბედისწერო გაფრთხილება იმისი, რომ მათი არსებობა ერთი მეორის გვერდით შეუძლებელია. ციხის მუდამ თვალ წინ ყურება, სადაც ჰგმინავენ თვითმპყრობილობის მსხვერპლნი, ბოლოს და ბოლოს აუცილებლად ახშობს სიბრალულის გრძნობას მოყვასისადმი.

4. ჯარის კაცის სამსახურის ვადა იმ დროს განსაზღვრული იყო 25 წლით, არა ნაკლებ ტრაღიკულ მდგომარეობას განიცდიდენ ის ბედნიერნი, რომელნიც თავს აღწევდნენ მეფის ყაზარმის კატორღულ პირობებს. მთავრობა სრულიად არ ზრუნავდა იმაზე სიცოცხლის უზრუნველყოფის შესახებ სიბერეში, ვინც თავის სი-ყმაწვილე და ჯანმრთელობა სახელმწიფო სამსახურს შეალია. სამსახურში გამო-სული ჯარისკაცები, რომელნიც უკვე გადაჩვეულნი იყვნენ მშვიდობიან შრომას, დაავადებულნი და უძლურნი, ნახევრად მშიერნი დაძრწოდენ და უსახლკაროენ მათხოვრობით ირჩენდნენ თავს. ისინი, ვინც კიუსტინმა ნახა, კიდევ შედარებით კარგ პირობებში იმყოფებოდნენ—რადგანაც უზრუნველყოფილნი იყვნენ ლუკმა პუ-რით. სალტიკოვ შჩედრინი მოგვითხრობს ერთ ჯარის კაცის შესახებ, რომელიც სა-მსახურის გათავებას შემდეგ დაბრუნდა თავის სოფელში და რადგანაც მას საბლში არაფერი არ დახვდა, იძულებული გახდა ქუჩა-ქუჩა დავწყო სიარული გაწვრთნი-ლი კურდღელივით; ეს უკანასკნელი „ბარაბანს“ ეტყაპუნებდა და „ფრონტში“ დგებოდა. ეს სამსახურ დამთავრებული ჯარისკაცი, რასაკვირველია, ბოგონილი არ არის, არამედ გადაღებულია „ნატურიდან“.

5. ნიკოლოზ I გულმოდგინედ ცდილობდა დაერწმუნებინა ევროპა იმაში, თუ რა მოთმინებით ეპყრობოდა სხვის სარწმუნოებას. სწორედ 1839 წ. სწერდა იგი პაპს გრიგორი—VI-ს: „მე მუდამ ჩემს პირველ მოვალეობად ჩავთვალი დავიცვა ჩემი კათოლიკე ქვეშევრდომების კეთილდღეობა, პატივისცემით მოვეპყრა მათ რწმე-ნას და უზრუნველვყო მათი მშვიდობიანობა. ეს „მშვიდობიანობა“ ალბად თავისე-ბურად ესმოდა მეფეს. 1830 წლები აღნიშნულია უსაშინელესი დევნით კათოლიკე-ბისა და უნიატების, რომელსაც შედეგად მოსდევდა მასიური გადასახლება, წამება და მკვლელობა.

6. საკითხი გლეხთა გაყიდვის აკრძალვის შესახებ წინადაც იყო დასმული. ბოლო 1827 წ. კანონი, რომელიც ალბად მხედველობაში ჰქონდა ავტორს, აკრძალავდა მემამულეებს დაეტოვებიათ გლეხები უმიწაწყლოდ. კანონი მოითხოვდა, რომ მა-მულში დატოვებული ყოფილიყო მიწა არა ნაკლებ $4^1/_2$ დეს. სულზე. ამ კანონის დარღვევას შედეგად მოსდევდა მამულის ჩამორთმევა ხაზინის სასარგებლოდ. თეორეტიულად ეს კანონი არ იყო მოკლებული მნიშვნელობას, მაგრამ მისი სუ-

სტად გატარება ცხოვრებაში და ყოველნაირად გვერდის ახვევა არსებითად ყოველგვარ მნიშვნელობას უკარგამდენ მას.

7. გლეხთა მღელვარებანი ნიკოლოზ I მეფობის დროს ფრიად ხშირი მოვლენა იყო. ეს მღელვარება ხდებოდა ყველგან, სადაც კი არსებობდა ბატონ-ყმობა და გამოწვეული იყო გლეხობის უბრმო ეკონომიური ექსპლოატაციით, მკაცრი მოპყრობით და იძულებითი გადასახლებით. ხანდახან ისინი აშკარა ამბოხების ხასიათს იღებდენ მთელი ბატონყმობის წინააღმდეგ ნიკოლოზ I-ის ზოგიერთი ღონისძიებაო გლეხთა სასარგებლოდ ამ აღელვებით იყო გამოწვეული. მაგრამ ასეთი დათმობა, რასაკვირველია, არ სპობდა ხალხის უკმაყოფილებას, და აღელვებათა რიცხვი ყოველ წლივ მატულობდა.

8. იოჰან-ჰენრიხ შნიცლერი—(1802—1871) ისტორიკოსი და სტატისტიკოსი. 1820 წ. იგი ცხოვრობდა რუსეთში და შეჰკრიბა მდიდარი მასალა, რომელიც საფუძვლად დაედო მის ორ პირველ კაპიტალურ შრომას, რამაც ავტორს ლიტერატურული სახელი მოუხვეჭა.

9. ბასტილია—განთქმული სახელმწიფო საპყრობილე პარიზში, 1789 წ. 14-ვლ. განადგურებული რევოლიუციონურ ხალხის მიერ. ამ ამბით იწყება ხალხური მასების აქტიური მონაწილეობა დიდ რევოლიუციაში.

10. დეკაბრისტების ამბოხების მეორე დღეს ალექსანდრა თეოდორეს ასულმა ჩასწერა თავის დღიურში: „მე ვფიქრობდი, რომ ჩვენ უკვე საკმაოდ ბევრი ვიტანჯეთ და გადავიტანეთ, მაგრამ უზენაეს განგებას თურმე სხვა რამ ჰქონია გადაწყვეტილი ჩვენთვის. გუშინდელი დღე ყველაზე საშინელი იყო, რაც-კი მე გამომივლია... არ შეიძლებოდა ამ საფრთხილო მომენტის დამალვა. ოჰ, ღმერთო, მარტო ის, რომ ჩემი უძვირფასესი სიცოცხლე განსაცდელში იყო, საკმარისია, რომ ჭკუიდან შევიშალო.... ღმერთო, რა საშინელი დღე იყო! რა სამახსოვრო ძეგლი იქნება იგი მთელ ჩემ სიცოცხლეში!“ როგორც ცნობილია, თვით დაგვირგვინება დიდ ხანს არ ხდებოდა იმპერატორიცის ნერვიული დაავადების გამო, რომლითაც იგი მთელ სიცოცხლეს იტანჯებოდა.

11. დამარწმუნებელი კილო, რომლითაც ავტორი ლაპარაკობს ნიკოლოზ I-ის ოჯახურ სათნოებაზე, სასაცილო შთაბეჭდილებას სტოვებს, რაც ხელმწიფის არტისტულ ფარისევლობას აშოწმებს. ნიკოლოზი ფრიად ქალების მოყვარული იყო და მის დროს რუსეთის მეფის სასახლეში ჰყვაოდა ფავორიტიზმი. ნიკოლოზი არ კმაყოფილდებოდა ოფიციალურ და ყველასაგან ცნობილ ფავორიტ ვ. ა. ნელიდოვას, რომელიც თვით სასახლეში ცხოვრობდა; იგი ორმაგი ყურადღებით აჯილდოვებდა არა მარტო ფრეილინებს და სასახლის ქალებს და ქალიშვილებს, არამედ—ყურადღებით ეპყრობოდა აგრეთვე შემთხვევით ნაცნობებს საშუალო წოდებიდან. კიუსტინის დაკვირვებული თანამემამულე, რომელიც რუსეთში ცხოვრობდა, მოგვითხრობს შემდეგს: „თუ რომ მეფე შეამჩნევს ქალს სეირნობის დროს, თეატრში ან საზოგადოებაში, იგი მხოლოდ ერთ სიტყვას გადაუკრავს მორიგე ადიუტანტს. ის პიროვნება, რომელმაც მიიპყრო ღვთაების ყურადღება, ჰყვება ზედამხედველობის ქვეშ, და აფრთხილებენ მეუღლეს, თუ რომ იგი გათხოვილია, ან მშობლებს-თუ გასათხოვარია, იმ ბედნიერების გამო, რომელიც მათ ხვდათ წილად. არ არის არა ერთი შემთხვევა, რომ მეფის ასეთი ყურადღება არ იქნეს მიღებული გულ-

რწფელი კმაყოფილებით და მადლიერებით. ამასთანავე, ჯერ არ ყოფილა ისეთი მაგალითი, რომ შეურაცყოფილმა ქმრებმა ან და მამებმა რაიმე სარგებლობა არ ნახონ თავიანთი შეურაცყოფით.'' —„ნუთუ მეფეს არასოდეს წინააღმდეგობას არ უწევენ მისი ეინიანობის მსხვერპლნი?'' შევეკითხე მე ზრდილობიან, ჭაიან, და სათნოიან ქალს, რომელმაც გადმომცა ასეთი დაწვრილებითი ცნობები.—„არასოდეს!"—მიპასუხა მან უაღრესად გაკვირვებულმა.—„როგორ შეიძლება?"—„მაგრამ გაფრთხილდით, თქვენი პასუხი უფლებას მაძლევს მოგმართოთ თქვენ ამ შეკითხვით"—ახსნა-განმარტება ამ შემთხვევაში მე უფრო ნაკლებად დამაბრკოლებს, ვიდრე თქვენ ამას ფიქრობთ. მე ისე მოვიქცეი, როგორც ყველანი. გარდა ამისა, ჩემი ქმარი არასოდეს არ მაპატიებდა, მე რომ უარი მეთქვა მისთვის." (ამონაწ. პ. ვ. შჩეგოლევის თხზ. „პუშკინის დუელი და სიკვდილი." სახ. გამ. 1928, გვ. 439). წ. ა. დობროლიუბოვი ეხლახან გამოქვეყნებულ წერილში „ნიკოლოზ პავლეს—ძის და მის დაახლოვებულ პირთა გარყვნილება" „Голос минувшего", 1922, №1, გვ. 65) გვამცნობს შემდეგს: „არ არის და არც ყოფილა სასახლეში არც ერთი ფრეილინა, რომლის სიყვარულიც არ შეელახოს მეფეს, ან მის უავგუსტოეს საგვარეულოს ერთ-ერთ წევრს, არ მოიპოვება იქ თითქმის არც ერთი, რომელსაც შერჩენოდეს თავისი სიფაქიზე და სიწმინდე გათხოვებამდე ჩვეულებრივი წესი ასეთი იყო: ფრეილინილად იყვანდნენ წარჩინებულ საგვარეულოს ქალიშვილს და იმსახურებდენ მას უკეთილ მორწმუნე და თვითმპყობელ მეფის გასართობად. ამის შემდეგ იმპერატორიცა ალიქსანდრა ურიგებდა პატივ ახდილ ქალიშვილს საქმროს იმავე სასახლეში." ასეთი იყო მეფის ოჯახის ინტიმური ცხოვრება, რომლითაც გულუბრყვილოდ აღფრთოვანებული იყო კიუსტინი. როგორც ცნობილია, ლ. ნ. ტოლსტოიმ თავის „მამა სერგი"—ს თემა სასახლის ამ ზნე-ჩვეულებიდან ამოიღო. ამის შემდეგ გასაგები ხდება პუშკინის რჩევაც თავის ცოლისადმი, როდესაც ეს უკანასკნელი ცდილობდა თავის დების მოწყობას სასახლეში: „კიდეც რომ მიიღონ, დაფიქრდი, თუ რა საზიზღარი ხმები გავრცელდება უმაგავს პეტერბურგში. . . ჩემი რჩევა ასეთია—შორს დაიჭირეთ თავი სასახლეზე: იქ სახარბიელო არაფერია."

12. ალბად, მეუღლე სამეგრელოს მთავრის ნიკოლოზ დადიანისა, რომელმაც 1803 წ. რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო ვასალის უფლებებით. 1837 წ. კავშირში ყოფნის დროს, ნიკოლოზ I გაჩერდა თავ. დადიანთან და შემდეგ ასე იგონებდა ამ წარაულს: „ჩვენ მიგვიღო თავადის მეუღლემ, ზორბა და ახოვანმა ქალმა რომლის ერთი დანახვა საკმარისი იყო დასარწმუნებლად იმისა, რომ ყველაფერს განაკებს იგი და არა მისი სუსტი და მხდალი მეუღლე." (შილდერ. ნიკოლოზ I, ტ. II, გვ. 749).

13. ლუვრი—პარიზის უდიდესი საზოგადოებრივი შენობა, სადაც თავმოყრილია საფრანგეთის ხალხის მხატრული ღირებულებანი. მას უზარ-მაზარი ფართობი უჭირავს (200 ათას კვ. მეტრ—დე) და სამ საუკუნოზე მეტის განმავლობაში რამდენჯერმე იქნა გადაკეთებული. ეს შენობა ამ ჟამად გაყოფილია ორ ნაწილად: „ახალი ლუვრი" და „ძველი ლუვრი. სწორედ ეს უკანასკნელი ჰქონდა მხედველობაში ავტორს; იგი კვადრატიულია გეგმით და ასეთივე კვადრატულ ეზოს შეიცავს.

14. როდესაც ეკატერინა II 1784 წ. შემოდგომით განიზრახა მოგზაურობა ყირიმში პოტემკინმა სასწრაფო ბრძანებები დაუგზავნა ადგილობრივ გუბერნატორებს, თუ როგორ მოეწყეებინათ იმპერატორიცა და შეექმნათ სასურველი შთაბეჭდილება დაპყრობილ კუთხის მდგომარეობის შესახებ. ეკატერინა გაემგზავრა იქ

სამი წლის შემდეგ, ისე რომ ადმინისტრაციას ძალიან ბევრი დრო ჰქონდა მოსამზადებლად. შედეგი მიღწეული იქნა სავსებით. მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ ეკატერინა სწერდა პოტემკინს, რომ იგი განაგრძობს ყველგან ლაპარაკს „თქვენდამი რწმუნებულ გუბერნიების და ოლქების მშვენიერ მდგომარეობაზე და თქვენ მიერ გაწეულ შრომაზე ყველგან საუცხოვო წესრიგის დასამყარებლად.“ ბოლო ფრანგი მოგზაური, მარკიზ-დე-ლინ, რომელიც მისდევდა ეკატერინას კვალდა კვალ, სწერდა იმავე დროს: „ეხლა მე გავიგე, თუ რას ნიშნავს მოხერხებული ტყუილი. იმპერატორიცას, არ შეეძლო ლანდოდან გარეულ გამოსვლა, და უნდა დაეჯერებინა, რომ ზოგიერთი ქალაქები, რომელთა ასაშენებლად იგი აძლევდა უამრავ თანხებს, უკვე დამთავრებულია. ხოლო იმავე დროს ხშირად ვხედავდით ამ ქალაქებს უქუჩებოდ, ქუჩებს უსახელოდ, სახლებს უპეროდ, უფანჯროდ და უკაროდ. იმპერატრიცას აჩვენებდენ მხოლოდ ლამაზად აგებულ ქკის მწკრივებს და გუბერნატორების სასახლეთა კოლონადებს... იმ ადგილებზე, სადაც იმპერატორიცას უნდა გავარა, მდიდრულად მორთული დეკორაციები, რომელიც საგანგებოდ მისთვის იყო გაკეთებული, ცვივოდნენ და იშლებოდნენ მისი გავლის უმალვე.

15. კიუსტინის მიერ ჩაწერილი მოთხრობა დეკაბრისტების ამბოხებების შესახებ, წაამბობი ნიკოლოზ I-ის მიერ, ძალიან დაშორებულია სიმართლეზე, მაგრამ იმავე დროს ფრიად დამახასიათებელია. კიუსტინმა უყურადღებოდ დასტოვა მოჩვენებითი წინააღმდეგობა. მაშინ, როდესაც არა მარტო ნიკოლოზი, არამედ კიუსტინის ყველა მოსაუბრენი მასთან ლაპარაკის დროს ბევრს უხვევდნენ რუსეთის წარსულის სახიფათო ადგილებს (და არა მარტო ისეთ უახლოეს წარსულს, როგორც მაგალ. პოლონეთის აჯანყება, არამედ—შორეულ წარსულსაც, მაგალ. ეკატერინა II-ის გამეფების ამბები, იოანე VI-ის სიკვდილი და სხვ...), ნიკოლოზი თვით იწყებს გრძელ ბაას დეკემბრის 14-ის შესახებ. და ეს, რასაკვირველია, სრულიად შემთხვევითი არ აყო. ნიკოლოზმა ისარგებლა შემთხვევით მოეგონებინა ევროპისათვის ძველი ოფიციალური ლეგენდა ამ ამბების შესახებ. იგი შექმნილი იყო 14 წლის წინად, სწორედ იმ დღეს, როდესაც ზარბაზნების ქუხილში მარიამ თედორეს ასული აღელვებული ხმით გაჰყვიროდა ზამთრის სასახლეში: „ღმერთო, რას იტყვის ევროპა!“ ამ შემთხვევაში კიუსტინი არსებითად ახალს არაფერს არ ამბობს. ჯერ კიდევ 1825 წ. დეკ. 20-ს, დიპლომატიურ კორპუსის მიღების დროს, ნიკოლოზმა გააცხადა თავისი სურვილი, რომ ევროპამ გაიგოს მთელი სიმართლე დეკ. 14-ს ამბების შესახებ.“ „უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ,—განმარტავდა იგი,—რამდენიმე ოფიციერმა, რომელიც გამსჭვალული იყო რევოლიუციონური მოძღვრებით და გაუმჯობესებათა ბუნდოვანი სურვილით, დიწყეს ოცნება გარდაქმნაზე... ასეთი იყო შეთქმულების ფესვები.“ სრულიად შეთანხმებით იმ ახსნა-განმარტებასთან, რომელიც მისცა შემდეგში კიუსტინის, ნიკოლოზი ამბობდა, „რომ ამბოხების მეთაურებს შეეძლოთ ბოროტად ესარგებლათ ჯარის კაცის ერთგულობით ფიცისადმი და ერთი-წუთით შეცდომაში შეეყვანათ იგი. მათ სხვა რაიმე საშუალებისათვის არც მიუმართავთ“... (შილდერი. ნიკოლოზ I, ტ. I, გვ. 340—341). თუ რომ ჯარის კაცების როლის ასე უბრალოდ წარმოდგენას და ახსნა-განმარტებას შეეძლო ვისმე მოტყუილება დეკემბრის 20-ს, სამხრეთში მომზადარ ამბების შემდეგ (ორი კვირის შერმე) მან თითქოს ყოველივე სიმართლის მსგავსება დაჰკარგა. ყოველ შემთხვევაში თავის დროს ამ ოფიციალურმა ვერსიამ დიდი როლი ითამაშა. და თუ ხლა ნიკოლოზს საჭიროდ მიაჩნდა მისი ამოღება არქივიდან, ის რასაკვირველია

მოხდა იმიტომ, რომ იგი, როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, ყოველნაირად ცდილობდა ავმაღლებინა თავისი თავი საფრანგეთის საზოგადოებრივ აზროვნებაში. დაკარგულ ავტორიტეტის აღდგენა ჰქონდა აგრეთვე მიზნად დასახული ნიკოლოზის „მოოცხვ" მოთხრობას ოავის პირად მოქმედების შესახებ დეკემბრის 14 ს, რაც სრულიად ეწინააღმდეგება სინამდვილეს. და ამ მიმართულებით ნიკოლზი ჯერ კიდევ 1825 წ. ცდილობდა დაერწმუნებინა ევროპა თავის სიმტკიცესა და გამბედაობაში. ნამდვილად-კი არც ერთი იყო და არც მეორე. ეჭვს გარეშეა, ნიკოლოზს გარკვეული გეგმა ჰქონდა, რომელიც მდგომარეობდა ამბოხების ლოკალიზაციაში მოედანზე, (ქუჩაში ბრძოლის ასაცილებლად, რომელიც სულ ადვილად შეიძლებოდა ხალხურ მოძრაობად გადაქცეულიყო) და აჯანყებულთა სრულ იზოლიუციაში. ეს გეგმა სრულიად ბუნებრივი იყო და თუმცა არ საჭიროებდა სარდლის გენიალურ ხიჭს, მაინც გონივრულად იყო მოსაზრებული. მაგრამ შექმნილ სიტუაციაში უკანასკნელ წუთამდე იგი არ იყო დარწმუნებული მის განხორციელებაში ნიკოლოზის გაუბედაობა გამოწვეული იყო ჯარის უნდობლობის, რომელიც მაოლოდ გარეგნულად და რჩა საიმედო. მას არც პირადი სიმტკიცე და მამაცობა გამოუჩენია. აჯანყებაში მონაწილეთა ჩვენებით ნიკოლოზი არც ერთხელ არ მიჰკარებია ახლო აჯანყებულებს. ამიტომ კიუსტინის მიერ დაშვებული ეფექტური შედარება ნიკოლოზისა ახელგანთქმულ რომაელ სარდალ მარიუსთან ჰაერში დარჩა გამოკიდული. ამიტომაც ნიკოლოზს არ შეეძლო არც „გაზრდა ყოველ ფეხის გადადგმაზე," და არც მედიდურად თავის დაჭერა მეამბოხეთა რიგებს წინაშე. იგი არჩევდა მათგან მოშორებით ყოფნას. ინციდენტი ჯარისკაცების დაჩოქებასთან დაკავშირებით სინამდვილეს არ შეეფერება. ჯერ კიდევ დეკაბრისტი როზენი აღნიშნავდა ამის შესახებ, რომ კიუსტინმა „აურია ერთმანეთში 1825 წ. დეკემბრის 14-ის ამბოხება და სენის მოედანზე მომხდარი აჯანყება ხოლო ერის დროს." ... (დეკაბრისტის წერილები, ს ბ კ. 1907 წ. გვ. 4) ჩვენ უფრო ნამდვილად მიგვაჩნია, რომ ნიკოლოზი თავისებურად გადასცემდა კიუსტინს შემდეგ ეპიზოდს. პირველი თოფის სროლის შემდეგ მუშამა ისაკის ტაძრის შენობიდან დაიწყეს ხეების სროლა, ხოლო თავშიშველა ბრბომ, რომელიც ნიკოლოზს გარს ეხვია, დაიწყო ქუდებიან დახურვა. ნიკოლოზმა შეჰყვირა: „ქუდები ძირს!" ბრბომ ისევ მოიხადა ქუდები და მოშორდა ოდნავ ხელმწიფეს. ეფექტი არ იყო ნიკოლოზის სასარგებლოდ. ხოლოს, კიუსტინის მოთხრობაში წვიოლმანი ცნობებიც არ არის სწორე გადმოცემული. ამბოხების პირველ გაგონებაზედვე ნიკოლოზმა ღმერთს-კი არ მიმართა დამარებისათვის, არამედ—სამხედრო ნაწილებს მიტროპოლიტი უშედეგოდ ამშვიდებდა, აჯანყებულებს გაცილებით უფრო გვიან. და სხვ..და სხვ. . . .

16. ნიკოლოზ I—ს არა ერთხელ გამოუთქვამს თავისი ზიზღი კონსტიტუციონურ მართვა-გამგეობისადმი. კიუსტინთან ბაასის დროს მან უფრო მძაფრად და პირდაპირ გმოსთქვა ეს. როდესაც ამბობდა, რომ ის კონსტიტუციონური მონარქი იყო, იმპერატორს მხედველობაში ჰქონდა პოლონეთი, სადაც 1930 წ. აჯანყებამდე მოქმედებდა ალექსანდრე I-ის მიერ შემოღებული კონსტიტუცია 1830 წ. რევოლიუციამ საბამი მისცა ნიკოლოზს ბოლო მოეღო მის მიერ მოძულებულ წესწყობილებისათვის. 1832 წ. გამოქვეყნებული იყო საგანგებო სტატუსი, რომლის მიხედვითაც უნდა წარმოებულიყო პოლონეთის მართვა-გამგეობა. ეს სტატუტი აუქმებდა პოლონეთის სამეფოს, როგორც განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ ერთეულს, და დაჰყავდა იგი უბრალო პროვინციის მდგომარეობამდე, მაგრამ მაინც უტოვებდა პოლონეთის ხალხს რაღაც თვითმართველობას. მიუხედავად ამისა, მე

დმივ მღელვარების გამო, პოლონეთის სტატუტი არასოდეს არ შესულა ძალაში
და მთელ ამ კუთხ ს ძ რთავდენ სანხედრო დებულების საფუძველზე, რომელიც გ
უქმებული იყო მხოლოდ ნიკოლოზ I-ის სიკვდილის შემდეგ. ეს რეჟიმი იყო მ
ხეში პოლონელების საშინელი სიძულვილისა რუსეთის მთავრობისადმი, რომლი
შესახებაც ასე ხშირად ლაპარაკობს კიუსტინი.

17. ასეთი მტკიცება ნიკოლოზ I-ისა გაშსკვალულია სიცრუით, რომელმ
რასაკვირველია ვერ შეიყვანდა შეცდომაში ფრანკ მოგზაურს. ნიკოლოზ I-ის ეპო
ქის დაპყრობითი ტენდენციები რუსეთის იმპერიის პოლიტიკაში ისეთად ცხად
იყო ყველასათვის. ერევანის და ნახჩევ ნის ოლქის დ პყრობა, რუსის ჯარების შ
ტრა კავკასიაში, რომელიც ყველაზე აქტიურად გამოიხატა 1834 წ., შეტრა შუა ა
იაში დაპყრობის მიზნით, ოსმალეთის კამპ ნია 1829 წ., რომელსაც შედეგად მო
ყვა შავი ზღვის კავკასიის ნაპირის შეერთება რუსეთისადმი, სამხედრო ჩარეგ
ოსმალეთის საქმეებში 1833 წ., რომელ ც გათავდა ფრიად ხელსაყრელ ხავის პ
რობებით რუსეთისათვის,—ასეთი იყო ფაქტებ ნიკოლოზის საგარეო პოლიტიკ
დარგში, რაც სრულიად არ ამტკიცებს მ ს სწრაფვას „მხოლოდ შემოიერთეს თ
ვის ირგვლივ რუსეთის მთელი მოსახლეობა.“

18. კიუსტინს მხედველობაში აქვს მრავალი შემთხვევა რუსეთის მ
ფეების ტახტიდან ჩამოგდებისა, რომელიც ჩვეულებრივ გამოწვეული იყ
გაბატონებული კლასების უკმაყოფილებით მონარქის პ ლიტიკით, ვ ნაიდგან ეს
უკანასკნელი აღარ იცავდა განსაკუთრებით მათ ინტერესებს. თავადაზნაურობ
ინტერესების დაცვის უარყოფა ნიშნავდა ბურჟუაზიისაკენ გადახრას, რომელიც
თანდათან იზრდებოდა და ძლიერდებოდა, როგორც თვისებით, ისე რაოდენობით
ამას-კი შედეგად მოსდევდა აუცილებლად პროგრესიულ ელემენტების შეკრა მთ
ავრობის პოლიტიკაში და, მაშასადამე, განხეთქილება „მამა-პაპურ ხნეჩვეულებას
თან,“ რომელზედაც კიუსტინი ლაპარაკობს.

19. სიკვდილით დასჯა ოფიციალურად გაუქმებული იყო ჯერ კიდევ ელ
საბედის ბრძანებით. მიუხედავად იმისა, მთავრობა არა ერთხელ მიმართავდა ამ
დასჯის ზომას. (მიროვიჩ, პუგაჩევ, დეკაბრისტები). ასეთ შემთხვევებში საჭირ
იყო სხვა და სხვა საბაბის გამოგონება, რომ გაემართლებინათ უმაღლეს ბრძან
ებით გაუქმებული სიკვდილით დასჯის აუცილებელებლობა. ფაქტიურად სიკვდ
ლით დასჯას მუდამ ადგილი ჰქონდა და ხდებოდა იმ საშუალებით, რომელზედ
მოგვიხსრობს კიუსტინი. როდესაც ერთხელ ნიკოლოზ I—ს მისცეს ხელის მოსაწ
რად სიკვდილის განაჩენი სამხედრო დანაშაულისათვის, მან წარმოსთქვა: „მადლ
ბა ღმერთს, რომ რუსეთში სიკვდილით დასჯა გაუქმებულია“ და მიუსაჯა დამ
შავეს ათი ათასი „როზგი“

20. სემირამიდა—ასურეთის მეფის ნინის მეუღლე. (VIII ს. ქ. დ.—დე) ბ
აირჩია თავის სატახტო ქალაქად ბაბილონი, რომელიც გ ამშვენიერა საზღაპრ
შენობებით. სხვა შესანიშნავ შენობათა შორის სემირამიდამ ააგო განთქმული დ
კიდული ბაღები, რომელიც ქვეყნიერების ერთ შ კიდთაგან სასწაულად ითვლ
ბოდა.

21. ტახტის მემკვიდრე კონსტანტინე პავლეს-ძე შეპყრობილი იყო პარადო
მანიით და ფრუნტომანიით. მიუხედავად ამისა, 1820 წ. ისიც-კი ამბობდა
„ამ ჟამად ფრონტში ისეთი საცეკვაო მეცნიერება შემოვიდდა, რომ ვერაფერს ვ
გაიგებ.“ კარგი სარდლის თვისებები მას არასოდეს არ ჰქონია. კიუსტინის შენ
შენა მისი ყოფა-ქცევის შესახებ პოლონეთში შეეხება პოლონეთის [illegible]

უკანასკნელის ჩაკრობის დროს კონსტანტინემ გამოიჩინა არა ჩვეულებრივი სისუსტე და გაუბედაობა, რომელიც უმთავრესად მისი პირადი მამაცობის უქონლობისაგან გამოიდინარეობდა.

22. პეტრე III დაჰყო რუსეთის ტახტზე სულ ნახევარ წელიწადი, 1762 წ. ივნისის 28-დე, როდესაც იგი ჩამოგდებული იყო ტახტიდან გვარდიის მიერ; ამ უკანასკნელის დახმარებით სამეფო ტახტზე ავიდა ეკატერინა II. ამ გადატრიალების მიზეზი იყო თავადაზნაურობის უკმაყოფილება პეტრე III საგარეო პოლიტიკით, რომელიც ზღუდავდა ამ კლასის ინტერესებს. გვარდიამ ეკატერინას მეთაურობით გაილაშქრა პეტრეს წინააღმდეგ, რომელიც ამ დროს ორანიენბაუმში იმყოფებოდა. მისმა მცველმა ჰოლშტინიის ჯარებმა არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწიეს გვარდიას და პეტრემ, როდესაც დაინახა რომ მისი საქმე წაგებულია, უარი განაცხადა ტახტზე. უარყოფის აქტი მოწერილი იყო აგრეთვე ზოდებულ პეტერშტადტში, პატარა და თითქმის სათამაშო კოშკი, რომელიც აგებული იყო იმპერატორის მიერ თავის გასართობად სამხედრო ვარჯიშობის დროს. (ეს კოშკი მალე დანგრეული იყო და დარჩა მხოლოდ თვით პეტრე III მციერე პავლიონი-სასახლე, რომელიც არსებობს დღემდის). ტახტზე უარის თქმის შემდეგ პეტრე დაპატიმრებული იყო და გადასახლებული როპშაში (30 კმ-დე ორანიენბაუმიდან), სადაც იგი ცხოვრობდა, როგორც პყრობილი. ივლისის 6—ს იგი მოჰკლეს სადარაჯოზე მყოფმა გვარდიის ოფიცერებმა; ამ საქმეში მთავარი როლი მიუძღოდა ალექსი ორლოვს. მკვლელობა ყოველ შემთხვევაში ჩადენილი იყო ეკატერინას ჩუმი ნებაყოფლობით, თუ არა მისი პირდაპირი ბრძანებით.

23. კიუსტინის მოთხრობა პუშკინის დუელზე და ლერმონტოვის პირველ გადასახლების შესახებ, რასაკვირველია, ბევრად მოკლებულია სიმართლეს. როდესაც შემუარისტი (კიუსტინი) პუშკინის სიკვდილის მიზეზს მხოლოდ პოეტის პირადი დრამით ხსნის, იგი იმეორებს ოფიციალურ ვერსიას, რომელიც შეკეთილი იყო პუშკინის დაღუპვის შემდეგ დაუყონებლივ. ევროპიული პრესა მოებღალუნა ამ ლეგენდას და კიუსტინს შეეძლო ორი წლით უფრო ადრე გასცნობოდა მას ფრანგულ გაზეთებში და ჟურნალებში. „ნიჭიერი ახალგაზდა"—ლერმონტოვის კავკასიაში გადასახლების ამბავი სრულიად სწორედ გადმოცემული; თუმცა მისი ლექსი „პუშკინის სიკვდილზე", რომელშიაც მან პირველმა აღნიშნა დაღუპულ პოეტის ტრაგედიის სოციალური მიზეზები, რასაკვირველია, არავითარ შემთხვევაში არ ჩაითვლება „პატრიოტულ ოდად".

24. იოანე VI (ივანე ანტონის-ძე), იმპ. ანა იოანეს ასულის შვილის შვილი, მისი ხიკვდილის შემდეგ, 1740 წ. ტახტზე იქნა აყვანილი, მის მაგიერ ნომინალურად მართავდა—მისი დედა, მეკლენბურგელი პრინცესა ანალეოპოლდის ასული, ხოლო ფაქტიურად—ჯერბირონი, და შემდეგ—მინიხი. იოანე ჩამოგდებული იყო ტახტიდან ერთ წელს ელისაბედ პეტრეს ასულის მიერ და დამწყვდეული დინამიუნდის ციხეში, ხოლო შემდეგ ხოლმოგორში, საიდანაც იგი გადმოყვანილ იქნა შლისელბურგში. 1764 წ. იოანე მოჰკლეს ბოქაულებმა, როდესაც გარნიზონის ოფიცერი ვ. ი. მიროვიჩი შეეცადა მის განთავისუფლებას. როგორც სჩანს, ბოქაულები მოქმედებენ ეკატერინა II-ის ინსტრუქციის მიხედვით. მიროვიჩი სიკვდილით იქნა დასჯილი იმავე წელს. კიუსტინმა შეცდომით მიაწერა ამ დრამის ბოლო ელისაბედის დროს.

25. ავგუსტ კოცებუ (1761—1819) პოპულიარული თავის დროს გერმანელი დრამატურგი და მწერალი. 1800 წ. განიზრახა რუსეთში მოგზაურობა, სადაც მან

უკვე წინად დაჰყო ორი წელიწადი და იზრდებოდენ მისი შვილები. კოცებუ შეპყრობილი იყო რუსეთის საზღვარზე და გადასახლებული ეჭვის გამო რალაც პამფლეტის შედგენაში პავლე I-ზე. გადასახლებაში ისეთ დიდ ანს არ დაუყვია: მისმა ერთმა პიესამ შემოხვევით მიიქცია პავლეს ყურადღება და შემდეგ წელს კოცებუ ისევ დააბრუნეს პეტერბურგში, შეამკეს იგი ყოველნაირი წყალობით და დანიშნეს თეატრების მთავარ გამგეთ. მარტის 11-ს მომხდარ მეფის მკვლელობის შემდეგ კოცებუ გაემგზავრა თავის სამშობლოში, სადაც სახელი გაითქვა სასტიკი რეაქციონერობით. 1819 წ. კოცებუ მოჰკლა სტუდენტმა ზანდმა, რომელიც შეაქო პუშკინმა ერთ თავის ლექსში.

26. შლისელბურგი მდებარეობს მდინარე ნევას სათავეზე, ლადოგის ტბასთან, იქ სადაც ნევა ერთვის ლადოგის არხებს. ეს ციხე („ორეხოვის" ანუ „ორეშეკის" სახლწოდებით) დაარსებული იყო XIV ს. დასაწყისში. თავისი გეოგრაფიული მდებარეობით იგი მნიშვნელოვან სავაჭრო და სამხედრო პუნქტს წარმოადგენდა. ორეშეკი მუდმივი საბაბი იყო ბრძოლისა-შვედებსა რუსებს შორის, რომელნიც ერთნაირად იყვნენ დაინტერესებულნი მისი დაუფლებით. ეს ციხე, რომელიც შვედებს ეკუთვნოდათ, 1702 წ. უკანასკნელად იქნა დაპყრობილი რუსების მიერ- ამის გამო პეტრე I სწერდა: „მართლაც რომ ძალიან მაგარი იყო ეს კალეა („ორეხოვო") მაგრამ, მადლობა ღმერთს, მაინც დავამტვრიეთ". ეამთა მსელელობაში შლისელბურგი ჰკარგავდა სტრატეგიულ მნიშვნელობას, მაგრამ იმავე დროს იზრდებოდა მისი მნიშვნელობა, როგორც სახელმწიფო ციხისა. იქ იტანჯებოდნენ შეპყრობილნი პეტრე I-ის პირველი მეუღლე, შემდეგ იოანე VI, „რასკოლიკ" ხელმძღვანელი ნოვიკოვი, ზოგიერთი დეკაბრისტები, კარაზინი და სხვ... ციხეში დაპატიმრებულთა რაოდენობა თან და თან იზრდებოდა. ტყუილად-კი არ ამბობდა მ. ს. ლუნინი, რომ „ენა კიევამდე მიგვიყვანს, ხოლო კალამი შლისელბურგამდე." 1827 წ. იქ დაპატიმრებულნი იყვნენ ძმათა კრებულების საიდუმლო საზოგადოების ხელმძღვანელნი, 1834 წ.—გერცენისა და ოგარევის საქმის მონაწილენი—სოკოლოვსკი, იბაევი და უტკინი, რომელთაც დაჰყვეს იქ თითქმის კიუსტინის შისვლამდე.

27. სახელმწიფო დანაშავენი იმდენად ბევრნი იყვნენ რუსეთში და ისე ბლომად იყვნენ დაპატიმრებულნი სხვა და სხვა ციხეებში, რომ კიუსტინს ისინი ვლანდებოდნენ იქ-კი, სადაც ნამდვილად სულ არ ყოფილან. კრონშტადის ციხე არასოდეს სატუსაღო არ ყოფილა.

28. ადამ დე-ჟანლისი (1746-1830), ცნობილი ფრანგი მწერალი ქალი და რევოლიუციის დროის საზოგადო მოღვაწე. 1825 წ. მან გამოსცა მემუარები ამ სათაურით: „Souvenirs de Felicie".

29. იხ. ზემოდ, შენიშვნა № 56. ონორე დე-ბალზაკ (1799—1850), გამოჩენილი ფრანგი რომანისტი. მან იმოგზაურა რუსეთში კიუსტინის შემდეგ. ერთი იმ დროს მაღალი საზოგადოების ქალის სიტყვით მას რასაკვირველია ისე არ დახვდნენ, როგორც კიუსტინს, მაგრამ მაინც ფრიად ზრდილობიანად მოეპყრნენ. ისე რომ პარიზში დაბრუნების შემდეგ ბალზაკი ამბობდა, რომ მან პეტერბურგში მიიღო სილა, რომელიც უფრო კიუსტინმა დაიმსახურა". („Русская Старина" 1880, № 11, გვ. 795).

30. რუსული სეკტანტობა, რომელზედაც მოკვითხრობს ავტორი, რასაკვირველია, პოლიტიკური პროტესტის ფარული ფორმა იყო. კიუსტინი ითვისებდა ბრძოლად მის-გარეგნულ საბურველს და არ ეშინოდა ამ მოძრაობის სოციალური

[illegible]ინაარსი. ამგვარ შეხედულობასთან დაკავშირებით კიუსტინის წარმოდგენაში სოციალური რევოლიუცია უნდა მომხდარიყო სარწმუნოების თავისუფლების ლოზუნგით.

31. გლეხური ამბოხებანი, რომელნიც მუდმივად ხდებოდნენ ნიკოლოზის მეფობის დროს (იხ. შენიშვნა № 34), განსაკუთრებული სიმძაფრით გავრცელდა ვოლგაზე 1830—1840 წ. სარატოვის გუბ., მაგალითად, გამოქცეულ ყმა-გლეხების მთელი რაზმები შესდგა, რომელიც ძველ „понизовая вольница"-ს წაგავდა. ამ რაზმების მონაწილენი პირველადყოვლისა ჯავრს ყრილობდნენ იმათზე, ვინც მათი უბედურობის მიზეზი იყო, მემამულეებზე, მოურავებზე, მამასახლისებზე და სხვ... მეამბოხეთა თავში ტრიალებდა აზრი ბატონყმობის ჩამოგდებისა, რაც ერთი ატამანის მიერ ამ სიტყვებით იყო გამოთქმული: „სულელებო ხართ, გლეხებო, რომ ჭუდს იხრით ბატონის წინაშე ტყუილ-უბრალოდ. ყველა გლეხები რომ თოფებით შეიარაღდნენ და შესხდნენ ცხენებზე, მაშინ არც ბატონების სახსენებელი იქნება ქვეყნად". ამ გლეხურ „რუნტებიან" ჩაკრობა ბევრ უსიამოვნობას აყენებდა მთავრობას. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ გლეხთა მოძრაობაში პოლონელებს არავითარი ბრალი არ მიუძღოდათ და კიუსტინი მხოლოდ მთავრობის მიერ შექმნილ ვერსიას იმეორებს. 1830 წ. ვოლგის ნაპირების გლეხებმა გაიგეს, რომ შესაძლებელია ყაზახად ჩაწერა ჩოდილო კავკასიაში, სადაც რუსების დასახლება იწყებოდა, და გაემურნენ სახეთისაკენ. ნიჟეგოროდის და სიმბირსკის გუბერნიის გლეხები კურსკისა და სხვა ცენტრალურ გუბერნიებიდან გამოქცეულებთან ერთად ბასიუოად სტოვებდენ თავიანთ მემამულეებს.

32. ლაფონტენ (1621—1695) სახელგანთქმული ფრანგი იგავ-არაკების მწერალი და პოეტი. კიუსტინს მხედველობაში აქვს, რასაკვირველია, მისი ცნობილი ლექსი—„მგელი და კრავი", რომელიც გადმოთარგმნილია რუსულად ი. ა. კრილოვის მიერ.

33. ტრუბეცკოის ისტორია, გადმოცემული კიუსტინის მიერ, არსებითად სწორია, მაგრამ დეტალებში დაშორებულია სიმართლეზე. თავ. სერგეი პეტრეს-ძე ტრუბეცკოი (1790—1860) იყო ფარულ საზოგადოების ერთი დამაარსებელთაგანი. მისი მუდმივი, მომქმედი წევრი და „14 დეკემბრის" დიქტატორი; მან შეიერთა ცოლად გრაფ. ეკატერინა ივანეს ასული ლავანი, ფრანგი ემიგრანტის ქალიშვილი, რომელსაც დიდი ადგილი ეჭირა ალექსანდრე I-ის სასახლეში. უზენაესი სასამართლოს განაჩენით იგი მიაკუთვნეს ხელოვნურ დამბაში ეთა I ხარისხს და გადაეწყვიტა მას 20 წელ წადი კატორღაში მუშაობა და უვადო დასახლება ციმბირში. დეკაბრისტების ცოლებში ტრუბეცკაიამ პირველმა გადასწყვიტა გაჰყოლოდა თავის ქმარს ციმბირში. ამ ბამაცმა და ძლიერმა ქალმა ბოლომდე შეინარჩუნა სულის სიმტკიცე. თ ვ. ა. ნ ბოლიკინი მარიამ თეოდორეს ასულს სწერდა ხ. მ. მურავიოვის ცოლის სოფარკვეთილების შესახებ და დაძენდა იქვე, რომ „ეს. ტრუბეცკაია ყველა ამას დიდი ძორჩილებთ ი ტანა". ტრუბეცკოი შეხვდა იმ 8 კაცის რიცხვს, რომელნი განაჩენს გადაცხადებას უმალვე გაგზავნილნი იყვნენ ძლაგოდატსკის მაღაროებში, სადაც ყველნი უაღრესად მძიმე პირობებში იყვნენ, ვიდრე აანენებდნენ დროებით „ოსტროგს", სადაც მიიყვანეს დანარჩენი დეკაბრისტები. ის პირობები, რომელშიაც დეკაბრისტების ცოლები იღებდნენ თავიანთ ქმრებთან წასვლის ნებართვას და შეხვედრები, რომელსაც ისინი ძალაუნებურად სთანხმდებოდენ, ყველასთვის ცნობილია. ყველაზე ყსაშინელი შეზღუდვა იყო ბავშვების თანწაყვანის აკრ-

ჭალვა. მაგრამ ტრუბეცკოებს მაშინ ჯერ შვილები არ ჰყავდათ. ტრუბეცკოია იყო პირველი ამ „რუს ქალთ განი“ და ამით უფრო ორკეცდებოდა ის სიძნელე, რომელიც მას უნდა დაეძლია. მას გაჰყვნენ შემდეგ კვალდაკვალ მურავიოვა, ვოლკონსკია და სხვ.. ჩიტაში და შემდეგ პეტროვსკის ქარხანაში გადაყვანით ტრუბეცკოების და ყველა დანარჩენ დეკაბრისტების ცხოვრების პირობები საგრძნობლად გაუმჯობესდ. 1839 წ. საკატორღო მუშაობის ვადის შესრულების შემდეგ, ტრუბეცკოები დაასახლეს ს. სეკუი, ირკუტსკის ახლო. ამ დროს მათ ხუთი შვილი ჰყავდათ. 1845 წ. ტრუბეცკაიამ მიიღო ნებართვა თავის შვილებით ცხოვრებისა ირკუტსკში, სადაც იგი გარდაიცვალა 1854 წ. ამგვარად, იმ დროს, როდესაც კიუსტინი სწერდა თავის დღიურებს, ტრუბეცკოი ათავებდა საკატორღო მუშაობის ვადას, და აქ აღწერილი ისტორია შესაძლებელია წ�eებოდა იმას, თუ რა ადგილს მისცემდნენ ძას დასასახლებლად. დეკაბრისტების შვილების მდგომარეობა გართულდა უფრო შემდეგ, 1842 წ., როდესაც განათლების და სწავლის მიღების პირობად ნიკოლოზმა მათ მამების გვარის გამოცვლა დაუდო, რითაც თითქმის არავინ არ ისარგებლა. კიუსტინის მოთხრობა, თუმცა სწორეა არ არის დეტალებში, მაგრამ სწორედ გადმოგვცემს ამ ტრაგედიის ზოგად ფერებს და სხვადასხვა დამოკიდებულებას დეკაბრისტებისადმი, რომელიც გამეფებული იყო მაღალ წრეებში. თავისთავად ცხადია, ის, თუ რა სწორით არის დასურათებული თვით ნიკოლოზის დამოკიდებულება მათდამი, ნიკოლოზის, რომელმაც სიკვდილამდე ვერ აპატია დანაშაული „14-ის მეგობრებს“.

34. კიუსტინის მოსვლის დროს რუსეთში მხოლოდ ერთი რკინის გზა იყო პეტერბურგსა და მოსკოვს შუა. (ესაა ევროპაში), ნიკოლოზის გზა შენდებოდა 1840 წ. ამით განისაზღვრა ძველი რუსეთის რკინის გზის მშენებლობა. ამის მიზეზები უნდა ვეძებოთ, რასაკვირველია, არა „თოვლის სამოსელში“, არამედ შინაგაბრძოლების სუსტ განვითარებაში ბატონყმობის დროს, რომელიც რკინისგზებით მიმოსვლას არ საჭიროებდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის ირგვლივ წარმოებდა სასტიკი ბრძოლა, სადაც ახალი გზების გაყვანის წინააღმდეგ „დილეტანტების“ პატრონები გამოდიოდნენ.

35. „სუხარევის“ კოშკი მოსკოვში აშენებულია პეტრე I-ის მიერ 1692 წ. სუხარევის „სტრელეცკის პოლკის“ სატახტოდ, რადგანაც მან ერთადერთმა შეინახა ერთგულება პეტრესადმი „სტრელეცკის ამბოხების“ დროს 1689 წ. იგი წარმოადგენს გოთიკური სტილის საშესანიშნავ შენობას ამ შენობას, სხვადასხვა მიზნებისთვის იყენებდნენ; იქ მოთავსებული იყო ხან საზღვაო სასწავლებელი, ხან მოსკოვის საადმინისტრაციო კანტორა და ხან საზღვაო საწყობები საშუალო,—და ამ ადგილის სართულმა, როგორც კიუსტინი ამბობს,—კიუსტინის მოსვლის წინ გაშარტული იყო ფართო წყლის რეზერვუარი, ეგრეთწოდებული „მიტიშჩინის წყალსადენი“.

36. მეფე ბორის თეოდორის-ძე გოდუნოვი გარდაიცვალა 1605 წ. და დაკრძალული იყო არხანგელსკის ტაძარში, საიდანაც ამოიღეს მისი ვვამი და დასაფლავეს საგვარეულო ადგილს ვოსკრესენსკოეს მონასტერში. შემდეგ წელს, ვასილი შუისკის ბრძანებით მისი გვამი კვლავ ამოთხარეს მ. წიდან და გადაასვენეს ტროიცკო-სერგიევის ლავრაში, სადაც იგი მაზია ცალკე საკანში მიძინების ეკლესიაში. იგივე ბედი ეწია მის ცოლ, მაოიამ გრიგორის ასულს, დაბად. სკურატოვა-ბეზკაიას, და შვილს თეოდორეს, რომლებიც დაახრჩეს 1605 წ. ივნისის 10-ს. ბოლოს, 1622 წ. იქვე დამარხეს ბორისის გარდაცვალებული ქალიშვილი ქსენია, გოდუნოვების საგვარეულოს უკანასკნელი შტო.

37. კუზმა მინინი და თავ. დ. მ. პოჟარსკი—აღრეული დროის ცნობ[illegible] მოლვაწენი იყვნენ. მინინი გარდაიცვალა 1616 წ. და დასაფლავებულია ნიჟეგ[illegible]დის კრემლში, ფერისცვალობის ტ ძარში, რომელიც აგებულია XIV ს. შუა [illegible]ხუებში. იქვე იმყოფებოდა თავ. იოანეს, და ვასილის საფლავები. 1834 წ. ფერის[illegible]ცვალობის ტაძარი დანგრეული იყო და აშენებული ხელახლად, ამავე დროს მინი[illegible]ნის საფლავი მორთული იყო საუცხოვო აკლდამით.

38. 1839 წ. ბოროდინოს ველზე დაუდგეს ძეგლი გენერალ თავ. პ. ი. [illegible]ტიონს, ცნობილ სარდალს, რომელიც სასიკვდილოდ დაჭრილი იყო ბო[illegible]ნოს ბრძოლაში. ეს ამბავი აღნიშნული იყო დიდი დღესასწაულებით და [illegible] ბოროდინოს ბრძოლის პანტომიმით (წარმოდგენით), სადაც ნიკოლოზი ხელმძღვ[illegible]ნელობდა ერთერთ „ფრანგულ“ კორპუსს. თავისთავად იგულისხმება, რომ [illegible] პსევდო-ისტორიულ წარმოდგენის დროს რუსებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს.

39. გრ[illegible]ფი ალექსანდრე ქრისტეფორის-ძე ბეკენდორგი (1783—1844) [illegible]-დარმთა კორპუსის დამაარსებელი შეფი და III გა[illegible]ყოფილების უფროსი.

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
Всес[illegible]ий Научно-Исследовательский [illegible]нститут [illegible]ого [illegible]
[illegible]